გ. გასვიანი

დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება (XVI-XIX სს)

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი 1988

ნაშრომში ნაჩვენებია ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლის, ფეოდალური ანარქიისა და თურქ-ოსმალთა გამუდმებული შემოსევების მძიმე შედეგები, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება და მისი პროგრესულ-ისტორიული მნიშვნელობა.

ნაშრომი ეხება აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას, წოდებრივ-კლასობრივ ურთიერთობებს, ახალი მმართველობის შემოღებას, საგლეხო რეფორმას და სხვ.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი პროფ. ბრ. მარგიანი

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ბ. თოგოშვილი

დოცენტი ბ. იოგაშვილი

0505040000 — 072

Г ——————— 39 — 88

М 601 (08) — 88

ISBN 5-529-00238-2

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988

შესავალი

ცენტრალიზებული სახელმწიფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცების შემდეგ საქართველოს მოსახლეობას მძიმე დრო დაუდგა. ქვეყანა, ერთი მხრივ, შინაფეოდალურმა ანარქიამ და ძმათამკვლელმა ომმა მოიცვა, მეორე მხრივ, მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოთა აგრესიის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოუხდა.

ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სამეფო-სამთავროებად დაშლილ პატარა საქართველოს, — წერდა ფარსადან გორგიჯანიძე, — „იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი და ამისთანას ორს დიდს ჴელმწიფეს შვაში ბევრს ეცადნეს, აქეთ იქნიეს ჴმალი და იქით და მრავალი ნავნებიც ქნეს, მაგრამ არა იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნეს"[1].

საქართველოს დარბაისელნი „ერთმანეთის მტერნი და ქიშპნი იყვნენ, არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ქონებოდათ, ვერც არას ურუმელი, ვერც არას სხვა მტერნი აწყენდათ რასმე, ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამჴდარა, მაგრამ ამ საქმეებს არც მოიშლიან და არც მოუშლიათ..." [2].

ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის შენარჩუნებისათვის გულმოდგინე მეცადინეობამ საქართველო საბოლოოდ ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთებამდე მიიყვანა.

* * *

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის არაერთ საკითხს მოფინა შუქი ვახუშტი ბატონიშვილმა, რომელმაც თავის ნაშრომში სამშობლო ქვეყნის მთისა და ბარის გეოგრაფიულ-კლიმატური, სოციალური და პოლიტიკური ვითარების დასასურათებლად ძვირფასი მონაცემები მოიშველია და ღრმად გაიაზრა[3].

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, 1925, II, ს. ყაყაბაძის გამოც., გვ. 215.

[2] ქრონიკები, III, თ. ჟორდანიას გამოც., თბ., 1967, გვ. 107.

[3] ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV (აღწერა სამეფოსა საქართველოსა), ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973.

გვიანი საშუალო საუკუნეების საქართველოზე, კერძოდ, მის სამეფო-სამთავროების თუ სათავადოების სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე მრავალფეროვან მონაცემებსა და მოსაზრებებს შეიცავენ აგრეთვე ფარსადან გორგიჯანიძის, ბერი ეგნატაშვილის, არჩილ მეფის, დავით, ბაგრატ და იოანე ბატონიშვილების, პაპუნა ორბელიანის, ტიმოთე გაბაშვილის, ნიკო დადიანის, სეხნია ჩხეიძისა და სხვა ავტორთა ნაწერები. ჩვენთვის საინტერესო ეპოქის გასაშუქებლად დიდი მუშაობა ჩაატარეს მარი ბროსემ, ალექსანდრე ხახანაშვილმა, დიმიტრი ბაქრაძემ, დავით ჩუბინაშვილმა, ზაქარია ჭიჭინაძემ, მიქელ თამარაშვილმა და სხვებმა, რომელთაც განსახილველ პრობლემაზე დიდძალი წყაროები მოიძიეს, გააანალიზეს და ანგარიშგასაწევი დასკვნები ჩამოაყალიბეს.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის ღრმამეცნიერული შესწავლა უდიდესი მონდომებით გააგრძელა ივანე ჯავახიშვილმა, რომლის მეთაურობით დასავლეთ საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხების კვლევა-ძიებაში დიდი წვლილი შეიტანეს ექ. თაყაიშვილმა, თ. ყორდანიამ, ს. კაკაბაძემ, შ. ბურჯანაძემ, ლ. მუსხელიშვილმა, გ. ბოჭორიძემ და სხვ.

დასავლეთ საქართველოს ისტორიის გაშუქება მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციიდან საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. მათთან ერთად ამ პრობლემის არაერთი საკითხი დაამუშავეს ს. ყაუხჩიშვილმა, გ. მელიქიშვილმა, შ. ჩხეტიამ, პ. გუგუშვილმა, ო. სოსელიამ, ი. ანთელავამ, მ. დუმბაძემ, დ. გვრიტიშვილმა, ი. ცინცაძემ, ზ. ანჩაბაძემ, კ. გრიგოლიამ, ს. მაკალათიამ, მ. ლორთქიფანიძემ, ი. ახალაიამ, ნ. რეხვიაშვილმა, ვ. მაჭარაძემ, გ. ჯამბურიამ, ბ. ლომინაძემ, ქ. ჩხატარაიშვილმა, მ. რეხვიაშვილმა, ს. რეხვიაშვილმა, ლ. ფრუიძემ, თ. ბერიძემ და სხვ.

საგანგებოდ ხაზგასასმელია ნ. ბერძენიშვილის, ს. კაკაბაძისა და ო. სოსელიას დამსახურება XV—XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლაში.

დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის არაერთი ფაქტი და მოვლენა გააშუქა ს. კაკაბაძემ, რომელმაც სათავადოთა დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშან-თვისებაც დაადგინა[1].

ნ. ბერძენიშვილმა. საზოგადოდ, ახლებურად გაიაზრა სათავადოთა სისტემა, ახსნა სათავადოთა წარმოქმნის მიზეზები, კანონზომიერებანი, არსი და ძირითადი ნიშნები. მათი წარმოქმნა, ნ. ბერძენიშვილის განსჯით, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის შედეგი იყო.

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე — Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков Тб, 1912; მ ი ს ი ვ ე, საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს. ტფ., 1913; მ ი ს ი ვ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. I, II, ტფ., 1921 და სხვ.

ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პარალელურად XIV—XV საუკუნეებში (თათარ-მონღოლთა ბატონობის დროს) დიდგვარიანი ფეოდალები ეკონომიკურად ძლიერდებიან და მეტ-ნაკლებ დამოუკიდებლობას აღწევენ — საკუთარ სათავადოებს ჩამოაყალიბებენ[1].

ნატურალური მეურნეობის პირობებში სუსტი ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის საფუძველზე ხელოვნურად (ძალით) გაერთიანებულმა საქართველომ შინაგან (მსხვილ ფეოდალთა მისწრაფება იმუნიტეტისათვის) და გარეგან (უცხო დამპყრობთა მოძალება და ბატონობა) ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად, დროის გამოცდას ვერ გაუძლო, და ფეოდალურ ერთეულებად დაიშალა[2]. ნ. ბერძენიშვილმა ეს გარემოება ქვეყნის შინაგანი განვითარების მომწიფების მიზეზ-შედეგობრივ კანონზომიერებად მიიჩნია: მებატონე ფეოდალები ხელისუფლების მიერ ნაწყალობევ ყმამამულს საშვილიშვილოდ დაეუფლენ, ისინი ჯერ ნახევრად განთავისუფლდნენ, შემდეგ სრული იმუნიტეტი მოიპოვეს და გახელმწიფდნენ. სათავადოთა სისტემის წარმოშობა ნ. ბერძენიშვილმა შეაფასა, როგორც ზრდადასრულებული ფეოდალური საზოგადოების დაჩიხვა და ქვეყნის ეკონომიკური დაცემა[3].

ნ. ბერძენიშვილის ზოგადთეორიული დებულებების გათვალისწინებით, დასავლეთ საქართველოს სათავადოები კონკრეტულად შეისწავლა ოლღა სოსელიამ, რომელმაც ამ მოვლენაზე ფრიად მნიშვნელოვანი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა[4].

ხსენებული ეპოქის დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესამუშავებლად ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა მისი კვლევა-ძიება კვლავაც გრძელდება.

წინამდებარე ნაშრომში გაშუქებულია რაჭა-ლეჩხუმის განსახლება, ბუნებრივი პირობები, მეურნეობა, სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის ევოლუცია, დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება, ლეჩხუმის საკითხი იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს ურთიერთობაში, საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება.

აქვე ვეხებით დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას XVI—XIX საუკუნეებში, ძნელბედობისას აქ გამეფებულ შინა არეულო-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 131—132, 145.

2 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 85—88.

3 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX ს. დასასრულამდე), დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 260—262, 248—249.

4 ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა), თბ., 1966; მისივე, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973.

ბასა და თურქ-ოსმალთა მოძალების უაღრესად მავნე შედეგებს, რითაც მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა ერთხელ კიდევ დარწმუნდეს თავის დროზე საქართველოს რუსეთთან შეერთების აუცილებლობასა და პროგრესულ-ისტორიულ მნიშვნელობაში.

გამოკვლევაში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ისტორიული მეცნიერების თანამედროვე მიღწევები, მრავალფეროვანი წერილობითი წყაროებისა და საარქივო მასალების მონაცემები, მათ შორის საბჭოთა კავშირის ცენტრალურ არქივებში დაცული დოკუმენტები და სხვ.

თავი პირველი

რაჭა-ლეჩხუმის განსახლება

1. მდებარეობა და საზღვრები

რაჭა-ლეჩხუმი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით. მათ ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სვანეთი, მალყარეთი (ბალყარეთი) და ჩრდილო ოსეთი, აღმოსავლეთიდან — სამხრეთ ოსეთი, სამხრეთიდან — იმერეთი, ხოლო დასავლეთიდან — იმერეთი და სამეგრელო.

რაჭა-ლეჩხუმის საზღვრები მისდევს ეგრისის ქედის აღმოსავლეთ ნაწილს, რაჭა-ლეჩხუმის ქედებს, კავკასიონის წყალგამყოფ ქედს, ხვამლისა და ასხის მასივებს.

ვახუშტი ბატონიშვილის განსაზღვრით, რაჭის საზღვრებია: „აღმოსავლით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარეს შორისი მთა, და კავკასი კედელა, და მუნიდამ ჩრდილოთ წარსრული კავკასივე, ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჭა გლოლასა და ჟღელეს შორისი; სამჴრით წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდამ, ვიდრე არპანისა და დღნორამდე, გაჭრილი რიონისაგან მუნ, და მთასა ამას საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას, ხოლო განყოფით დღნორს ზეით წმიდის გიორგისასა, მერმე გაჭრილს, ნაქერალას, ველევს, საღორეს, გარჯილას, ნაჯიხურევს, საწალიკეს და კეცებს. ამ მთათა ჩრდილოთ კერძი არს რაჭისა და სამჴრეთის კერძი-გარჯილა-ნაჯიხურევ-საწალიკე-კეცებისა-არს არგუეთისა და მდინარენიცა ეგრეთვე; დასავლით მზღვრის საღორის მთიდამ დღნორამდე რომელნი მთანი აღვსწერეთ, და მთა გუელის თავისა.... და ჩრდილოთ მზღვრის რაჭას კავკასი, რომელი განჰყოფს გღოლას, ღებს, ჭიორასა და დიგორს-ბასიანსა, ლუხუნსა და სუანეთსა, სადმელს, ტოლას და სუანეთსა“ [1].

ლეჩხუმის მდებარეობას და საზღვრებს ვახუშტი ასე აგვიწერს: „ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასიამდე არს ჴეობა ლეჩხუმისა... გარნა ლეჩხუმსა და რაჭას განჰყოფს: გუელის თავის მცირე მთა აღმოსავლეთიდამ; ჩრდილოთ მთა კავკასი, ლეჩხუმსა და სუანეთს შორისი; დასავლით მთა კავკასივე და კავკასიდამ ჩამოსული სამჴრეთად მთა გორდამდე; სამჴრით რიონი და მთა ხომლის კლდიდამ წარსული დასავლეთად გორდამდე“[2].

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 769—770.
[2] იქვე, გვ. 748.

რაჭა-ლეჩხუმის უმაღლეს წერტილს წარმოადგენს ჭანჭახის მწვერვალი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 4.443 მეტრს უდრის. მოცემული რეგიონის უმდაბლესი ადგილი არის რიონის ხეობის დაბლობი ტვიშის კლდეკარის მიდამოებში, რომელიც ზღვის დონიდან 320 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

რაჭა-ლეჩხუმის ფართობი უდრის 3.218 კვადრატულ კილომეტრს, რაც საქართველოს ტერიტორიის 4,6%-ს შეადგენს[1].

რაჭა-ლეჩხუმში ამჟამად სამი რაიონია: ცაგერის — 820,4 კვ. კმ ფართობით, ამბროლაურისა — 1159,5 კვ. კმ და ონის — 1237,5 კვ. კმ ფართობით.

ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით რაჭა-ლეჩხუმი საქართველოს მთიანეთს განეკუთვნება. მიუხედავად ამისა, რაჭა-ლეჩხუმის სოფლების მდებარეობა ერთიმეორისაგან განსხვავდება. მოცემული რეგიონის უდიდესი ნაწილი მაღალი და საშუალო მთიანია და დანაწევრებული ციცაბო ზედაპირით ხასიათდება. დასახელებულ ტერიტორიაზე ყველაზე მაღალმთიანი და მკაცრი ბუნებრივი პირობებია ე. წ. მთა რაჭაში, რომელიც უშუალოდ კავკასიის მთავარ ქედს ემიჯნება.

რაჭა-ლეჩხუმში, რელიეფის მეტისმეტი დანაწევრებისა და კლდიან-ფერდობიანი მდებარეობის გამო, მეურნეობისათვის ვარგისი მიწები მცირეა, სახნავად მხოლოდ ხეობის სანაპირო ზოლი და დამრეცი ფერდობების ნაწილი გამოიყენება, დანარჩენი კლდეებს, ტყეებს, სუბალპურ და ალპურ სავარგულებს უკავია. საერთო ფართობის 59% ტყეებსა და ბუჩქნარებზე მოდის, 7,2% — სახნავებზე, სოფლის მეურნეობისათვის გამოყენებული სავარგულის (სახნავი, სათიბი, საძოვარი, მრავალწლიანი ნარგავები) საერთო ფართობი 23,7%-ს შეადგენს (მთელ საქართველოში 39,3%-ს)[2].

რაჭა-ლეჩხუმის დაბალმთიანი ტერიტორიაა: რიონის ხეობა ტვიშის კლდეკარიდან — უწერამდე, ლაჯანურის ხეობის ქვემო ნაწილი და ცხენისწყლის ხეობის გაფართოებული მონაკვეთი — ცაგერის ქვაბული, აგრეთვე ორბელ-ცაგერს შუა მდებარე ტერიტორია. დასახელებული ადგილები სამეურნეოდ და საცხოვრებლად ყველაზე მოხერხებულია, რადგან შედარებით ვაკობს და ნაკლებდამრეცი გორაკ-ბორცვიან ადგილებს წარმოადგენს, აგრეთვე ზამთარი ზომიერი, ზაფხული ცხელი და ხანგრძლივია, ზაფხულის სამი თვის საშუალო ტემპერატურა 20 გრადუსს ჭარბობს. სიცხე ზოგჯერ 36—38 გრადუსს აღწევს.

რაჭა-ლეჩხუმის საშუალო და დაბლობ ადგილებში ხელსაყრელი პი-

---

[1] ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, თბ., 1961, გვ. 21.

[2] იქვე.

რობებია მევენახეობისა და მებაღეობა-მებოსტნეობისათვის, აგრეთვე მარცვლეულის წარმოებისათვის.

რაჭაში ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტებია ონი და ამბროლაური, რომლებიც მდ. რიონის ტერასზე არიან განლაგებული, ლეჩხუმში კი ცაგერი, რომელიც მდ. ცხენისწყლის ხეობის გაფართოებულ ნაწილში — მურსა და სარეწკელას შორის მდებარეობს.

რაჭა-ლეჩხუმის ძირითადი ტერიტორიის სიმაღლე ზღვის დონიდან 500-2000 მეტრს შორის მერყეობს. ამის შესაბამისად აქ მეურნეობისათვის სხვადასხვა პირობები არსებობს.

პირველ ზონაში, რომელიც მდინარეების — რიონისა და ლაჯანის შეერთების ხეობაში მდებარეობს და რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 500 მეტრზე დაბალია, უპირატესად მევენახეობა და მებაღეობა წარმოებს; მეორე ზონაში, რომელიც ზღვის დონიდან 500-1000 მეტრზე მდებარეობს და რაჭა-ლეჩხუმის უდიდეს ნაწილს მოიცავს, ხელსაყრელი პირობებია როგორც მევენახეობა-მებაღეობისათვის, აგრეთვე მარცვლეულის წარმოებისათვის, მებოსტნეობისა და სხვა კულტურებისათვის; მესამე ზონაში შედის 1000-2000 მეტრზე მდებარე ტერიტორია (მთა რაჭა და სხვ.), რომელიც ნაწილობრივ მემინდვრეობისათვისაც გამოიყენება, მაგრამ არსებითად, საძოვრის დანიშნულებას ასრულებს.

რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მეორე ჰიფსომეტრულ ზონაში ცხოვრობს, მესამე ზონაში შედის რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის ნახევარზე მეტი, სადაც უპირატესად მესაქონლეობას მისდევენ.

რაჭა-ლეჩხუმის სხვადასხვა ნაწილის მეურნეობრივ-კლიმატური პირობების განსხვავება, სპეციალისტთა აზრით, განპირობებულია არა მარტო ზღვიდან ამაღლებისა და დაშორების სხვაობით, არამედ კავკასიის წყალგამყოფი მთავარი ქედის მყინვარებთან სიახლოვით, მიწის ნოყიერებით, მცენარეული საფარით, რელიეფის ფორმით და სხვ.

რაჭა-ლეჩხუმის უდიდეს ნაწილში კლიმატი ზომიერი და უხვნალექიანია, მაგალითად, 500-1200 მეტრ სიმაღლეზე კლიმატი ზომიერად ცივია, ზაფხული თბილი, ხანრძლივი და უხვნალექიანი. ზამთრის ორი-სამი თვის ტემპერატურა ნულ გრადუსზე დაბალი, ხოლო ზაფხულის სამი თვის ტემპერატურა 20 გრადუსზე მაღალია.

მცენარეული საფარიდან რაჭა-ლეჩხუმში ძირითადად გავრცელებულია: რცხილა, მუხა, წაბლი, წიფელი, ფიჭვი, ბუჩქნარი, ტირიფი, ქაცვი, მურყანი და სხვ. აქ ტყეებს სამრეწველო დანიშნულებაც აქვთ.

რაჭა-ლეჩხუმში გარეული ცხოველებიდან ბინადრობენ: ჯიხვი, შველი, დათვი, მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, კურდღელი და სხვ. გარეული ფრინველებიდან გავრცელებულია შურთხი, როჭო, შაშვი, ჩხართვი, ბოლოშავი, სკვინჩა, ღაჟო, თეთრი, ბოლოქანქალა. მტაცებელ ფრინველთა შორის გვხვდება: არწივი, ქორი, ორბი, სვავი; მდინარეებში მოიპოვება კალმახი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ რაჭა და ლეჩხუმი ცალკე ერთეულებს (კუთხეებს) შეადგენენ, პირობითად თითოეული მათგანი შეიძლება რამდენიმე ნაწილად დავყოთ. გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების შესაბამისად რაჭას სამ ნაწილად ყოფენ: ქვემო რაჭა, ზემო რაჭა და მთა რაჭა. ქვემო და ზემო რაჭის საზღვრად მიჩნეულია ხიდიკარი. ვახუშტი წერს: „ხოლო კუალად კრიხულას შესართავსა და ამბროლაურ-ხიმშს ზეით მოვიწროვდების რიონის სიმჴრიდამ და ჩრდილოდამ კლდითა. მუნ ძეს ჴიდი რიონზედ. ჴიდისთავს, კლდის ძირში არს, რიონის ჩრდილოთ კიდესა ზედა, ციხე და უწოდებენ ჴიდიკარს... მას ზეით არს წესი, დაბლა კარგი“ [1]. ხიდისკარამდე რიონის ხეობა უფრო ვიწრო და კლდიანია, რომელიც დაბლა თანდათანობით ფართოვდება.

ზემო რაჭა შეიცავს ტერიტორიას ხიდისკარიდან ლუხუნის ხეობამდე და სოფელ უწერამდე.

მთა რაჭას უწოდებენ მდ. რიონის სათავეს და, აგრეთვე, გლოლა-ჭანჭახის წყალს (კავკასიონის მთავარ ქედს და შიდა-კედელას შორის) შუა მდებარე ტერიტორიას. მთა რაჭა შემოფარგლულია ფასის, გეზე-ლაბოის, წიხვარგას, ბურჭულასა და შოდას მთებით.

მთა რაჭას, რომელიც სამ თემს შეიცავს, ვახუშტი ასე ახასიათებს: „არს გლოლა დაბა მგზავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი... კუალად გლოლის ჴევის შესართავს ზეით რიონის სამჴრით არს ჴიორა, დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი, გოდლოვანი. ამას ზეით, ჩრდილოთ კერძოდ, დაბა არს ღები, ეგრეთვე ნაშენი, ხოლო ჴიდროთას ზეით ეს ადგილნი, რომელნი დავსწერეთ, ნაყოფით, პირუტყვით, მაგარი, ვიწრო და შეუალი მტერთაგან“[2].

ვახუშტი ბაგრატიონი აღწერს რა რაჭის საზღვრებსა და მის ცალკეულ ადგილებს, იქვე ახასიათებს რაჭასა და მის მოსახლეობას: „და ამ საზღვართ შინაგან არს რაჭა, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, ჴრამითა, ჴევითა და ტყითა, შეუალი გარე მტრისაგან. ჰავით არს კეთილმშუენი, ზაფხული გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, თჳნიერ ბრინჯბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი. ხილნი, მტილოვანნი ყოველნი. რიონის კერძოდ ამიერ და იმიერ, სრულიად რაჭას ესრეთ ნაყოფიერებს, არამედ მთათა კერძონი, ვითარცა სხუანი მთის ადგილნი... კაცნი ტანოვანნი, მჴნენი, ბრძოლასა შემმართებელნი, ძლიერნი. უსაქციელო ბრიყუნი, უშუარ-მქცევნი, სხუათა მაოჴარნი, მომხუეჴნი და ძჴრნი“[3].

გარკვეული განსხვავების გამო ლეჩხუმსაც (პირობით) — ზემო და ქვემო ლეჩხუმად ყოფენ. ქვემო ლეჩხუმს სხვანაირად „ტედაღმართსაც“ („კლდედაღმართს“) უწოდებენ. ლეჩხუმის ეს მხარე შემდეგ სოფლებს შეიცავს: ტვიშს, ვანს, ორხვს, ქორენიშს, დერჩს, მექვენას, ონჭეიშს,

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 764—765.
[2] იქვე, გვ. 768—769.
[3] იქვე, გვ. 770.

ჭაშლეთს, დღნორისას, საჩხეურს, ჩორთისას და სხვ. ზემო ლეჩხუმში შედის მდ. რიონის დანარჩენი ნაწილის და ცხენისწყლის ხეობის სოფლები.

ლეჩხუმსა და მის მოსახლეობას ვახუშტი ასე ახასიათებს: „არამედ თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოსავალს ყოველნი მარცვალნი, თვნიერ ბრინჯ-ბამბისა, გარნა სივიწროვისა და კლდიანობისათვს არა ეგოდენი სიმრავლით. **მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი, რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვითკირისა და შენობანი ყოველნივე ქვიტკირისანი.** და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი, და კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემართებულნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მჴნენი და მორჩილნი უფალთა თჳსთა, არამედ ბრიყუნი, უზნეონი და უწყალონი“[1].

როგორც ვხედავთ, რაჭა-ლეჩხუმი, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, მეურნეობით და, საერთოდ, მოსახლეობის საქმიანობით, ერთიმეორისაგან ნაკლებად განსხვავდება.

ჯ. გზები

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე, რომელიც კავკასიონის ქედიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ეშვება, უძველესი დროიდან მრავალი გზა-ბილიკი მიემართებოდა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ე. წ. „თაკუერის გზა“, რომელიც რაჭა-ლეჩხუმის მიწა-წყალზე გადიოდა და მას საქართველოს სხვა კუთხესთან აკავშირებდა.

რაჭა-ლეჩხუმის ეს მთავარი გზა, ერთი მხრივ, დასავლეთ საქართველოს მთავარ ცენტრებს უკავშირდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს[2]. იგი ქვემო ლეჩხუმს, მთელ რაჭასა და შიდა კედელას (აწინდელ მამისონს) კვეთდა, შემდეგ ზრამაგას, ნარას, ზეკარის უღელტეხილს, გუმთას, კეხვს, ცხინვალს, ნიქოზს, ფხვენისს, ნაჭარმაგევს, მუხრანს, მცხეთას უკავშირდებოდა.

აღნიშნული გზის მეორე განშტოება რაჭა-ლეჩხუმს ჩრდილოეთთან აკავშირებდა, რომელიც ზრამაგადან (ჩრდილოეთის მიმართულებით) კასპის კარის, ვალაგირისა და თერგის ხეობისკენ მიემართებოდა[3].

რაჭა-ლეჩხუმს რამდენიმე საუღელტეხილო გზა-ბილიკი აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან: როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი თაკვერის გზა იყო, მეორე მიემართებოდა ღები-ჭიორა გლოლადან კარაგომის (გურძიკეკის) უღელტეხილისაკენ, საიდანაც დიგორისა და ურუხის ხეობას და

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 749—750 (ხაზგასმა ჩვენია).

2 ს. რეხვიაშვილი, ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 12.

3 ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 26.



თერგს უკავშირდებოდა, მესამე გზა ჭიორა-ღებიდან მიემართებოდა, ჩუ-ეშოს ხეობისა და კირტიშის (ღებივცეკის) უღელტეხილის გავლით დი-გორისაკენ; მეოთხე გზა გლოლა-ჭიორა-ღები-თევრეშიდან მიემართებოდა (ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით) გორიბოლოსაკენ, საიდანაც რიო-

ოდოვა-ლეჩხუმის ძველ („თაკვერის გზა") აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიისაკენ:



ნისა და ცხენისწყლის გამყოფ ქედს მიყვებოდა ფასის მთისა და შღულის გადასასვლელისაკენ (შარი-ვცეკის), სადაც ის ორად იყოფოდა — ერთი დიგორისაკენ, მეორე კი მდინარე ჩერეკის ხეობის გავლით და ბალყარეთისაკენ მიემართებოდა[1].

---

1 ს. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 14.

რაჭიდან ჩრდილოეთისკენ გამავალი გზა-ბილიკები:



რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთსა და ქართლს შორის, აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთსა და ჩრდილო კავკასიას შორის დამაკავშირებელი უძველესი გზების არსებობაზე ცნობებს გვაწვდიან არა მარტო ქართველი, არამედ ბიზანტიელი და სხვა ისტორიკოსებიც.

მოცემულ მხარეებს შორის სამიმოსვლო კავშირურთიერთობაზე მიგვანიშნებს ბიზანტია-ირანის (სპარსეთის) დიპლომატიური მოლაპარაკების მასალები, რომელშიც მენანდრე პროტიქტორმა აღწერა ბიზანტია-ირანის დავა (VI საუკუნეში) სვანეთის გამო [1].

ამ მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ირანს აღმოსავლეთ საქართველოდან (ლაზიკის გვერდის ავლით) შეეძლო რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთთან დაკავშირება. როგორც ირკვევა, ეს კავშირ-ურთიერთობა, პირველ რიგში, ე. წ. თაკვერის გზით ხორციელდებოდა.

აღნიშნული გზის მოქმედებასა და დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობაც, რომლის თანახმად დასავლეთ საქართველოში ჩრდილოეთიდან (თაკვერის გზით) ოსებიც გადმოდიოდნენ [2].

ჩანს, თაკვერის გზამ თავისი მნიშვნელობა საშუალო საუკუნეების მთელ სიგრძეზე შეინარჩუნა, რასაც XV საუკუნის საბუთი — ე. წ. „ჯაფარიძეთა სიგელი“ ადასტურებს[3].

---

1 გეორგიკა, III, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტფ., 1936, გვ. 213—233.
2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 68—748.
3 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. მე-2, 1941, გვ. 31—34.

რაჭა-ლეჩხუმსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის პირდაპირი გზის უეჭველი არსებობის მაჩვენებლად ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა ისიც, რომ ერთ დროს ზემო რაჭა ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა. რომ არა პირდაპირი კავშირურთიერთობა, — დასძენს ნ. ბერძენიშვილი, — სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ქართლთან რაჭის ამგვარი გაერთიანება[1].

თაკვერის გზა არც XVIII საუკუნეში კარგავს თავის მნიშვნელობას და ის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად რჩება.

ზოგიერთი მონაცემით თაკვერის გზის ოდინდელი მიმართულება, მთლად ნათელი არ ჩანს, მაგრამ ამ გზის უძველესი დროიდან მოქმედებაზე და, მით უფრო, მის ვახუშტისეულ ლოკალიზაციაზე ეჭვის შეტანა ძნელია. ვახუშტის მიხედვით აღნიშნული გზა, ზემო რაჭას, წონას, კუდაროს, ცხინვალს, დვანს და ქართლს შორის, ხომ XVIII საუკუნეშიც მოქმედებდა[2].

ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ რაჭა-ლეჩხუმს (აგრეთვე სვანეთს) ქართლთან რამდენიმე გზით შეეძლო დაკავშირება: ერთი გზა ონიდან მდ. ჯეჯორის ხეობასა და ლეთის ზეკარზე (მდინარე ქეშელთით) მიემართებოდა მდინარე ფაწის, კეხვის და ცხინვალის მიმართულებით; მეორე — ონიდან ჯეჯორას, ჩასავალს, არაშენდას, ზამთარეთს, ჯავისთავს, ფაწას, კეხვს და ცხინვალს აკავშირებდა; მესამე — ონიდან ჯეჯორაზე, ერწოზე, ფაწაზე, ცხინვალზე გადიოდა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ერთ ამ გზათაგანს ძველად „ლიბიის გზა“ ეწოდებოდა[3].

რაჭიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა სვანეთისაკენ. ის გლოლა-ჭიორა-ღებსა და თეკრეშოს ქვემო და ზემო სვანეთთან აკავშირებდა (ცხენისწყალ-რიონის წყალგამყოფი ქედის გადაკვეთით, ვაციწვერის სერზე გავლით). აღნიშნული გზა ქვემო სვანეთის სათავე ლაფურის ხეობას კვეთდა, შემდეგ ცანა-ყოორულდაშს გაივლიდა და ლასდილისა და ატკვერზაგარის გადაკვეთით, უშგულსა და ზემო სვანეთის სხვა ადგილებს უკავშირდებოდა, საიდანაც შეიძლებოდა ბალყარეთში ან ყარაჩაიში გადასვლაც.

რაჭა-ლეჩხუმიდან სვანეთის მიმართულებით სხვა გზა-ბილიკებიც გადიოდა, მათ შორის სადმელის და ღვიარას (ღვარას) ხევებიდან, აგრეთვე ტოლიდან და სხვ.

რაჭა-ლეჩხუმიდან დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით მთავარი გზის გარდა სხვა მრავალი გზა-ბილიკიც მიემართებოდა. მათ შორის, ერთ-ერთი ლეჩხუმიდან ორბელს-ლაილაშს-თაბორის გადასასვლელს — ჭყვიშს გაივლიდა და მდინარე რიონის მარცხენა ნაპირს მიჰ-

---

1 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 29.
2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 767.
3 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 29.

ყვებოდა ღვარდიის-ზოგიშის-ცაგერას-ორხევის-გონიის-დღნორისას, დერჩის მიმართულებით ქუთაისისაკენ [1].

მეორე გზა მიემართებოდა ცხენისწყლის ხეობის მიყოლებით (ქვემო სვანეთით) შდულისაკენ (ჩრდილო კავკასიისაკენ), აგრეთვე ლატფარის, მუშურის და ატკვერისაკენ, საიდანაც ზემო სვანეთში გადადიოდა.

რაჭა, აგრეთვე ლეჩხუმი სხვა გზებითაც უკავშირდებოდა იმერეთს, სამეგრელოს და სხვა კუთხეებს. რაჭის იმერეთთან დამაკავშირებელ გზებს შორის მნიშვნელოვანი იყო ონი-საჩხერის გზა, რომელიც შქმერაზე გადიოდა. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე რაჭიდან ნაქერალას უღელტეხილზე გამავალი გზაც, რომლითაც ლეჩხუმი და სვანეთი სარგებლობდნენ.

აღნიშნულის გარდა, რაჭა-ლეჩხუმს მეზობელ და შორეულ მხარეებთან სხვა მეორეხარისხოვანი გზა-ბილიკები და გადასასვლელებიც აკავშირებდა, მაგრამ ყველა მათგანის დეტალური ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

რაჭა-ლეჩხუმის, ასევე საქართველოს სხვა კუთხეების ძველი გზები უპირატესად ხეობებს კი არ მისდევდა, არამედ მთის კალთებს, სერებს და ქედებს, რაც რელიეფის უსწორმასწორობითა და ხეობათა სივიწროვით, მეტისმეტი დაფერდებით, დაკლაკნილობით, ხიდების უქონლობით და სხვა მიზეზებით იყო განპირობებული.

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული რაჭა-ლეჩხუმის ოდინდელი სამიმოსვლო საშუალებათა ზოგადი დახასიათება. გზებს შორის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი იყო თაკვერის გზა, რომელიც, ერთი მხრივ, მამისონის უღელტეხილზე გადადიოდა და აღმოსავლეთ საქართველოს უკავშირდებოდა, მეორე მხრივ, ქუთაისისაკენ მიემართებოდა, რომელსაც ლეჩხუმის დასავლეთ ნაწილში ცხენისწყლის შუა და ზემო ხეობიდან გამავალი გზაც უერთდებოდა. ეს გზა ყველაზე უფრო მოხერხებული იყო არა მარტო ქვეითად მოსიარულეთათვის, არამედ პირუტყვის გადასარეკად და ტვირთის გადასაზიდადაც. მისი ზოგიერთი მონაკვეთი ზამთრობით იკეტებოდა და პირუტყვის გადაყვანა და ტვირთის ზიდვა ზაფხულობითაც დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ამის მიუხედავად, შეუძლებელია თავისი მნიშვნელობით მას რაჭა-ლეჩხუმის სხვა რომელიმე გზა შეედაროს.

რაჭა-ლეჩხუმის მეორე მნიშვნელოვან და შედარებით მოხერხებულ სამიმოსვლო საშუალებას წარმოადგენდა გზა, რომელიც ჩრდილო კავკასიისაკენ მიემართებოდა. იგი ღებიდან ჩრდილო დასავლეთისაკენ მისდევდა რიონის სათავე ხეობას (გორიბოლოსა და ფასის მთის მიყოლებით), ხოლო ცაგერიდან ეს გზა, ერთი მხრივ, რაჭა-ლეჩხუმის გამყოფ ქედს მიჰყვებოდა. მეორე მხრივ, ცხენისწყლის ხეობას ლაფური-

---

[1] დ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი. ლეჩხუმზე გამავალი ძველი გზები, გაზ. „კომუნიზმის სხივი", 1974, 27 აგვისტო.

საკენ, სადაც მას რაჭის გზა უერთდებოდა და შდულის უღელტეხილით ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა.

რაჭა-ლეჩხუმიდან მალყაარამდე გზის დაფარვა ფეხით მოსიარულესათვის ორ დღეში თავისუფლად შეიძლებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ გზის ხოგიერთ მონაკვეთზე მარხილი და ურემიც გამოიყენებოდა. რაც შეეხება შდულის უღელტეხილს, იგი ნაპრალიანი მუდმივყინულებით იყო დაფარული, მაგრამ ამის მიუხედავად, აქ ზაფხულობით ცხენით სიარული და პირუტყვის ჯოგის გადაყვანაც შეიძლებოდა. სათანადო მონაცემებზე დაკვირვებამ მკვლევარი ს. რეხვიაშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ დასახელებული გზა დასავლეთ საქართველოს ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო მაგისტრალად ჩაეთვალა [1].

რაჭა-ლეჩხუმიდან (აგრეთვე სვანეთიდან) შდულის უღელტეხილის შემდეგ ყარაჩაისაკენ მიმავალი გზა, ჯერ მდინარე ჩერეკის ხეობასა და ელბრუსის ფერდობს მისდევდა, შემდეგ ყუბანის აღმოსავლეთ შენაკადისაკენ და ხეობით ყარაჩაის ცენტრისაკენ მიემართებოდა. ს. რეხვიაშვილისავე დაკვირვებით, რაჭა-ლეჩხუმიდან ყარაჩაიმდე გზას ცხენოსანი მგზავრი სამ დღეში ფარავდა [2]. სხვათა შორის, ისიც დასტურდება, რომ რაჭა-სვანეთი ძველ დროში საურმე სამარხილე გზით ყოფილა დაკავშირებული(ამას, ზეპირსიტყვიერ გადმოცემებთან ერთად, მოწმობს დღემდე შემორჩენილი გზის კვალი, აგრეთვე მის გაყოლებით საფორთიფიკაციო ნაგებობათა ნანგრევები). აღსანიშნავია, რომ დასახელებული გზის ოდინდელ ფუნქციონირებას ადასტურებს რუსი მკვლევარი მ. შოსტაკი, რომელსაც ზემოაღნიშნულ გზაზე ჩვენი საუკუნის დასაწყისში უმოგზაურია [3].

რაჭა-სვანეთს შორის საურმე-სამარხილე გზის არსებობა სარწმუნოდ მიაჩნიათ სხვა თანამედროვე დამკვირვებლებსაც [4]. რაჭა-სვანეთის დამაკავშირებელ ამ გზაზე, ს. რეხვიაშვილი წერს: „მიუხედავად რთული გარემო პირობებისა, მთელ სიგრძეზე გზა ღებიდან-უშგულამდე მაღალოსტატურად ყოფილა გაყვანილი, მიწა რომ არ ჩამოწოლილიყო, გზისპირა ფერდობებს ქვის კედლებით ამაგრებდნენ, წყლიან-ტალახიან ადგილებში (გზის სიმაგრისათვის) ხის მორებს აგებდნენ“ [5].

დასახელებული გზა ერთმანეთთან აკავშირებდა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთს, აგრეთვე ბალყარეთ-დიგორ-ყარაჩაის და სხვ. რაც ამ „გზა-მაგისტრალს“ საერთო ქართულ-კავკასიურ კავშირურთიერთობის მნიშვნელობას ანიჭებდა.

---

1 ს. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 18; Известия о Кавказе, ч. II, М., 1823, с. 219.

2 ს. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 19.

3 Шостак, М. А., по Раче и Свашетн, изв. КОИРГО, т. XVI, 1903.

4 რ. კ ვ ე რ ე ნ ჩ ხ ი ლ ა ძ ე, რაჭა-ლეჩხუმის ტრანსპორტი და რაიონთაშორისი კავშირი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები XII თბ., 1961, გვ. 177

5 ს. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 20

რაჭა-ლეჩხუმის გზების საერთო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე მიუთითებს გვიანი შუასაუკუნეების ზოგიერთი ცნობაც, რომელიც გვაუწყებს, რომ ყაენის წინააღმდეგ ჯარის შესაგროვებლად 1689 წელს „...გიორგი მეფე მოვიდა ქრცხინვალს და მუნიდამ წარვიდა რაჭას ლიბის გზასა ზედა, და მთიდამ გამოუტევნა ქართველნი...“[1].

რაჭის გზით არაერთხელ სარგებლობდნენ უცხო მტრების მიერ თუ ადგილობრივ მეტოქეთაგან დევნილი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მესვეურები და მოსახლეობა. 1724 წელს რაჭის გზით წავიდა ემიგრაციაში ვახტანგ მეექვსე. რომლის 1400-კაციან ამალაში საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის საუკეთესო მცოდნე ვახუშტი ბაგრატიონიც შედიოდა[2]. იგივე გზა გაიარა 1768—1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილე გენერალ ტოტლებენის კორპუსმა, რომელმაც მძიმე ტვირთიც წაიღო.

რაჭა-ლეჩხუმის გზებმა თავისი მნიშვნელობა არც XIX საუკუნეში დაკარგეს. მათ მეფის მთავრობაც ხშირად იყენებდა. ამიტომ, ბუნებრივია, საქართველოს ადმინისტრაცია იძულებული იყო ამ გზების მოვლა-გაუმჯობესებისათვის ეზრუნა. მაგალითად, 1823 წელს, გენერალ ერმოლოვის ბრძანებით, დაიწყო და განხორციელდა ქუთაის-ალაგირის გზის საუღელტეხილო მონაკვეთის შესწავლა. ამ საქმისათვის კავკავიდან (ახლანდელი ორჯონიკიძე) მამისონის უღელტეხილზე სამხედრო ინჟინერ კერშინის რაზმი გაიგზავნა, შემდეგ ინჟინერ პოპოვის რაზმი, რომელშიც 422 ჯარისკაცი შედიოდა. პოპოვის ამალის მიზანს შეადგენდა: გორი-დიდი ლიახვის-ერწოს ტბა-ჯეჯორა-მამისონის, აგრეთვე მდინარე რიონისა და ქუთაისის დამაკავშირებელი გზის შესწავლა და ნაწილობრივ შეკეთება, მაგრამ სამხედრო ჯგუფმა დავალება ვერ შეასრულა და უკან დაბრუნდა. პოპოვი 1824 წელს, 1500 კაცით, ხელახლა შეუდგა დავალების შესრულებას და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია (ბოლომდე შეისწავლა გზა და ზოგან კიდევაც შეაკეთა)[3].

მეფის მოხელეთა ყურადღება რაჭის ამ გზაზე იმით იყო განპირობებული, რომ საჭირო შემთხვევაში, მას საქართველოს სამხედრო გზის მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ რაჭაზე გამავალ ქუთაის-მამისონ-ცხინვალის გზის მშენებლობა (დაკლაკნილობის, კლდიან-დამრეც ფერდობიანობის და ყინულოვანი მდებარეობის გამო) მეტისმეტად ძნელი იყო, მან საქართველოს ადმინისტრაციის ყურადღება მრავალჯერ მიიპყრო, მაგრამ საქმეს აქაც უფულობა ფუშავდა.

ხანგრძლივი ძიებისა და მეცადინეობის შედეგად, მართალია, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის უფრო მოკლე და მოხერ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 463.

[2] იქვე, გვ. 507.

[3] Маевский В. Т., Кутаисская губерния (военно-статистическое описание), Тифл., 1896, № 1, с. 111.

ხებული გზები გამოანახა (რიკოთის ულელტეხილი, აგრეთვე ჭიათურის გზა), მაგრამ ბოლოს და ბოლოს 1858 წ. კავკასიის ადმინისტრაციამ ქუთაის-მამისონ-ცხინვალის გზის გეგმაც დაამტკიცა, რომლის ზოგიერთი სამუშაო, მეფის მთავრობამ, 1889 წ. განახორციელა.

ჩამოთვლილ გზა-ბილიკებს და საულელტეხილო გადასასვლელებს რაჭა-ლეჩხუმისათვის (ნაწილობრივ სხვა მეზობლებისათვისაც) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მათი საშუალებით ხორციელდებოდა ქვეყნის მთა-ბართან თუ გარე სამყაროსთან ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობა, რომელიც თავისი ხასიათით იყო მთისა და ბარის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური კავშირი, მას მთის მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მთისა და ბარის განუყოფელ ურთიერთკავშირს, როგორც ცნობილია, პირველ რიგში, მათი განსხვავებული სამეურნეო-კულტურული მდგომარეობა აპირობებდა

მთისა და ბარის მუდმივი კავშირურთიერთობის აუცილებლობას ივ. ჯავახიშვილი ასე ახასიათებდა: „ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი, უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეუძლიათ“ [1]. ამასთანავე, სამიმოსვლო საშუალებათა მნიშვნელობაზე, ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა: მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის გზები იყო ის თვალსაჩინო ძალა, რომელიც, ერთი მხრივ, საქართველოს მრავალ კუთხეს ერთიმეორეს უახლოვებდა და აერთებდა, მეორე მხრივ, უცხოეთის პოლიტიკური თუ კულტურული გავლენა შემოდიოდა, ასევე მეზობელ და შორეულ სამეფოებსა და ხალხებზე საქართველოს გავლენა ვრცელდებოდა. მეცნიერი დასძენს: რარიგად არ უნდა გვეუცხოვოს, უტყუარი ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ძველ საქართველოში უფრო მრავალრიცხოვანი გზა-ბილიკები იყო, ვიდრე გვიან შემოგვრჩა, თუმცა თავისი მასშტაბით და მნიშვნელობით ძველი გზები ახალს ვერაფრით შეედრება [2].

ყველაფერი ეს ცხადყოფს ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრების მცდარობას — თითქოს ძველ დროში რაჭა-ლეჩხუმი (საერთოდ მთა) კარჩაკეტილ კუთხეებს წარმოადგენდნენ. როგორც ვნახეთ, ძველი დროის კვალობაზე ამ მთიან კუთხეებში მრავალი გზა-ბილიკი გადიოდა და ზოგიერთ მათგანს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა. ეს გზები ერთიმეორესთან აკავშირებდა არა მხოლოდ მთის, არამედ მთისა და ბარის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას. აგრეთვე ქართველ და მეზობელ ხალხებს.

მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო მთის მოსახლეობა, ძველ დროში იზოლირებულ-განკერძოებულად კი არ ცხოვრობდა, არამედ თავისი ქვეყნის ბარის, აგრეთვე მეზობელი ქვეყნების მთა-ბარის ხალხებთან კავშირში, რაც მათი ცხოვრებისა და განახლების აუცილებელი პირობა იყო.

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1930, გვ. 316—317.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 68.

რაჭა-ლეჩხუმის სოციალური სტრუქტურა

1. საქართველოს დაშლა და რაჭის საერისთავოს ხელახალი წარმოშობა

ქართველი ხალხის ცხოვრებაში XV ს. ერთ-ერთი მძიმე და სუსხიანი ქარტეხილია, რომელიც საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს საბოლოო დაშლით დამთავრდა. საქართველოს დაშლა, თავისი შედეგებით, უაღრესად რეგრესული მოვლენა იყო. იგი საშინაო მიზეზებთან ერთად, საგარეო ფაქტორებმაც განაპირობა.

ფეოდალური ურთიერთობის განვითარება-გაღრმავებასთან ერთად, როგორც ცნობილია, მსხვილი ფეოდალ-აზნაურები მეტ და მეტ მიწას და მოძრავ ქონებას იგდებდნენ ხელში, ისინი იტაცებდნენ ყველაფერს, რის ხელში ჩაგდებაც შეიძლებოდა: სახელმწიფო, საეკლესიო, სასოფლო და სხვა მიწა-წყალს. მსხვილი მემამულეები ცდილობდნენ შეუვალი ყოფილიყვნენ, თავიანთი სამფლობელო დამოუკიდებელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთეულად გადაექციათ. ამ მიზნით ისინი ქმნიდნენ და აძლიერებდნენ შეიარაღებულ რაზმებს, ცეცხლითა და მახვილით თრგუნავდნენ მოწინააღმდეგეს, ახშობდნენ გლეხთა გამოსვლებს, უპირისპირდებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას.

მეფე ერთმმართველობის შენარჩუნებას ცდილობდა, მსხვილი ერისთავ-ფეოდალები საგამგებლო სამფლობელოს საშვილიშვილო დასაკუთრებას და ცალკე გამოყოფას ესწრაფოდნენ. ძალთა ჭიდილში, ხშირად გარეშე მტრებიც ერეოდნენ. პირველობისათვის ბრძოლაში ფეოდალები არ ერიდებოდნენ არც შინაური და არც უცხო ძალის გამოყენებას.

დეცენტრალიზაციის მომხრე მსხვილი ფეოდალები ქვეყნის საერთო ინტერესებს არარად აგდებდნენ და უცხო ძალასთან კავშირში ებრძოდნენ ერთიანობის მომხრე პროგრესულ ძალებს, სპობდნენ და ანადგურებდნენ მათ.

ასეთ ვითარებაში, საქართველო ჯერ სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაიყო, ხოლო შემდეგ ამ ერთეულების უფრო წვრილ ნაწილებად დაქუცმაცების ტენდენციამაც იჩინა თავი.

ცნობილია, რომ საქართველოს პოლიტიკური დაშლა, პირველ რიგში, საშინაო ფაქტორებმა (მეურნეობის ნატურალურმა ხასიათმა, მსხვილი ფეოდალური მეურნეობის ჩამოყალიბებამ, კლასობრივმა ბრძოლამ, შინა ფეოდალურმა ომებმა და სხვ.) განაპირობეს, მაგრამ ამ საქმეში

რეალური როლი შეასრულა, აგრეთვე საგარეო ფაქტორმაც (ჯერ თათარ-მონღოლებმა, შემდეგ მაჰმადიანმა მეზობლებმა). საქართველოს გაბატონებული კლასის მესვეური ფეოდალები დღენიადაგ დამოუკიდებელ მეფობა-მთავრობას ესწრაფოდნენ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი წერს, ისინი „გადგებოდიან და იწოდებოდნენ მეფედ“ [1].

ასე იქცეოდნენ იმერეთის, აგრეთვე ოდიშის, გურიის, აფხაზეთის, სვანეთისა და სამცხის მმართველ წრეთა წარმომადგენლები. როდესაც საქართველოს მეფე გიორგი მერვემ მტკიცე ერთმმართველობის გატარება მოიწადინა, იმერეთის უფლისწულ-ერისთავი ბაგრატი, დადიანი, გურიელი, გელოვანი და ათაბაგი ერთიმეორეს შეუთანხმდნენ, რათა საერთო მეფე მოეშორებინათ და თავისუფლება მოეპოვებინათ.

აჯანყებულები 1462 წელს კიდევაც შეებრძოლენ გიორგი მეფეს და დაამარცხეს. „ხოლო ბაგრატ გამარჯვებული მოვიდა ქუთაისს, აქა მოერთვნენ დადიან-გურიელ-აფხაზი და სვანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო ჩინებითა, მეფედ. ამისათვის აღუსრულა მთავართა მათ აღთქმული თვისი და განთავისუფლდნენ, თვინიერ ლაშქრობისა და ქვეგანწესებისა“ [2].

ამიერიდან, გვაუწყებს ისტორიკოსი, „იქმნა იმერეთი... ერთ მეფედ და ოთხ სამთავროდ ანუ სათავადოდ“ [3].

ჩანს, დამოუკიდებლობის მოსურნე მოხელე-ერისთავები უკვე ნახევრად თავისუფალნი გახდნენ (თუმცა ერისთავებს იმერეთის მეფისადმი „ლაშქრობა და ქვეგანწესება“ რჩებოდათ). როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, დეცენტრალიზაციის მომხრე ერისთავებისადმი დათმობის ფასად იმერთა მესვეურმა საქართველოს საერთო მეფისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. ეს იყო დასავლეთ საქართველოს დეცენტრალიზაციის მომხრე ფეოდალთა (მით უფრო იმერეთის) ტახტის მაძიებლის გამარჯვება [4].

საქართველოს ამგვარი დაშლის შემდეგ გაძლიერებული ერისთავები, კერძოდ, ოდიშის მთავარი XVI საუკუნის შუა ხანებში იმერეთის მეფე ბაგრატ მესამეს უარს უცხადებს სამცხეში შემოსეულ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობაზე[5]. რამდენიმე ხნის შემდეგ დადიანი უარს აცხადებს იმერეთის მეფისადმი სოხოისტის ომში დახმარებაზეც. „ეს იყო იმ ერთადერთ ვალდებულებაზე — ლაშქრობასა და ქვეგანწესებაზე — უარის თქმა, — წერს ო. სოსელია, რომელიც დადიანსა და სხვა ერისთავებს იმერეთის მეფესთან აკავშირებდა და მის ყმად ტოვებდა“[6].

---

1 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, ქართლის ცხოვრება ნ. II, უ. ჩუბინოვის გამოცემა, სანკტპეტერბურგი, 1854, გვ. 185.

2 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 185.

3 ი ქ ვ ე.

4 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში... მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1937, გვ. 27.

5 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 189.

6 ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასახელებული შრომა, გვ. 35.

იმერეთის მეფე ბაგრატ მესამემ ერისთავთა ურჩობის ასალაგმავად არაფერი დაზოგა, მაგრამ ვახუშტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვერღარა ეწია თვისსა ნებასა“[1].

საბოლოო ჯამში, სხვა ერისთავებიც, ოდიშის ერისთავივით, განთავისუფლდნენ იმერეთის მეფის გავლენისაგან, თუმცა ის ფარხმალს არასოდეს ყრის მთელ დასავლეთ საქართველოს ფეოდალ-ერისთავთა მორჩილებაში მოსაყვანად, მაგრამ, უკეთეს შემთხვევაში დროებით თუ ახერხებდა მათ მოკავშირედ გახდომას. კიდევ მეტი, ოდიშის ძლიერი მთავრები ხშირად ტოლს არ უდებდნენ იმერეთის მეფეს და მას დროდადრო კიდევაც ავიწროებდნენ. რაც შეეხება სვანეთისა და გურიის შედარებით სუსტ მთავრებს, ისინი გარკვეულ დრომდე იმერეთის მეფის გავლენის ქვეშ რჩებოდნენ, მაგრამ ეს დამოკიდებულებაც ხშირად ფორმალური და სიმბოლური იყო.

საქართველოს პოლიტიკურ დაშლას მოჰყვა ქართლისაგან ლიხთ-იმერეთის ეკლესიის ცალკე გაფორმებაც. დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა და დამოუკიდებელი მღვდელმთავრის უფლებები მოიპოვა.

საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცებით განსაკუთრებით მეზობელი მაჰმადიანი მფლობელები სარგებლობდნენ. ქვეყნის დაწვრილ-ერთეულება და დასუსტება მათ საშუალებას აძლევდა ერბიათ და ეძარცვათ საქართველო.

განსაკუთრებით მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ თურქ-ოსმალები, რომლებიც ქართველებს ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდნენ. საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროს თუ სათავადოს მესვეურები, პირადი ინტერესებით მოქმედებდნენ, ქვეყნის დაშლა-დასუსტებას, პარტიკულარიზმს უწყობდნენ ხელს, რაც ქართველობას დაღუპვას უქადდა.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში სხვა ფეოდალურ ერთეულებს შორის გამოირჩეოდა იმერეთის სამეფო, რომელიც საკუთრივ იმერეთის გარდა რაჭა-ლეჩხუმსაც მოიცავდა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საქართველოს ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს საუკუნოვანი არსებობისა, აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი და „სამცხე“ არ გამქრალა, სხვანაირად რომ ვთქვათ, XV საუკუნემდე ქართველი ხალხის საბოლოო კონსოლიდაცია ვერ დამთავრდა და ძველი ტომობრივ-თემობრივი განსხვავება ისევ შემორჩა. მიუხედავად „საქართველოს“, თუ „ყოველი ქართლის“ წარმოშობისა, განკერძოების პირობებში ცოცხლდება ოდინდელი ტომობრივ-თემობრივი გრძნობები და პარტიკულარიზმი, რაც კვებავდა და ასულდგმულებდა ფეოდალთა შორის შუღლსა და ძმათამკვლელ ომებს, გზას უხსნიდა მოძალადე მტერს, რომელიც ქვას ქვაზე არ ტოვებდა, სპობდა და აკნინებდა ქართველ ხალხს. XV საუკუნის მეორე ნახევარში, იმერე-

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 190.

თის სამეფოს ფარგლებში აღდგა რაჭის საერისთავოც. როგორც ცნობილია, რაჭის საერისთავო, ჯერ კიდევ ადრე, საქართველოს ცენტრალიზებულ სახელმწიფოში არსებობდა, კერძოდ, თამარ მეფის ეპოქაში. იმ დროს რაჭის საერისთავოში ხშირად თაკვერიც (ოგულისხმება ლეჩხუმი) შედიოდა და მისი ერისთავი კახაბერ კახაბერიძე იყო [1].

ეტყობა, პირობებისა და სიტუაციის ცვლილებების შესაბამისად, რაჭის საერისთავოს გეოგრაფიული საზღვრები იცვლებოდა. ჩანს, რაჭის საერისთავო ზოგჯერ არამც თუ ლეჩხუმს, არამედ საკუთრივ მთელ რაჭასაც კი ვერ მოიცავდა.

მონღოლთა შემოსევისა და საბოლოო გაბატონების შემდეგ, როდესაც საქართველოს სამეფო ტახტს ორი მაძიებელი გაუჩნდა, რაჭას კახაბერ ერისთავი განაგებდა. მას ერთხანს კეთილი დამოკიდებულება ჰქონდა მონღოლთა მიერ დასავლეთ საქართველოში გამეფებულ დავით რუსუდანისძესთან (ნარინად წოდებულთან), მაგრამ შემდეგ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მეფე დავით ლაშას ძე (ულუდ წოდებული) დასავლეთ საქართველოში გაიქცა და იქ თავისი წილი მიიღო, რაჭის ერისთავი დავით ნარინს განუდგა და დავით ულუს მიემხრო. მაგრამ ნარინმა იგი რაჭიდან გააძევა. ქართლში გაქცეულმა კახაბერმა, მონღოლთა მხარდაჭერით შეძლო თავისი პოზიციების დროებით განმტკიცება (დავით ნარინი იძულებული გახდა კახაბერს შერიგებოდა და მისთვის სამფლობელო დაებრუნებინა), მაგრამ, როგორც ჟამთააღმწერელი გვაუწყებს, კახაბერი კვლავ მამა-პაპის კვალს გაჰყვა „...დამვიწყებელმან საშინელთამან, იწყო ღალატად მეფეთა და წარავლინა კაცი და წიგნი ალიყანს თანა ათასისთავსა, რომელ იდგის მთათა ჯავახეთისათა და კოლისათა, რათა პირველისაებრ დაესხას მეფესა, და ადვილად ჴელთ იგდოს მეფე“[2].

ეს მზაკვრობა მეფემ უკვე ვეღარ აიტანა და, როგორც მემატიანე გვაუწყებს, „ამისათჳს მიეგო მისაგებელი ბოროტი, და სიცრუე მისი თხემსა მისსა ზედა დაუჴდა. შეიპყრა მეფემან და პირველ თუალი დასწუა. და მერე ერთი ჴელი ერთი ფეხი მოკკუეთა, და ორნი შვილნი მისნი მისცნა ექსორიობად, კონსტანტინეპოლისს წარგზავნა... ხოლო კახაბერი, მცირე ცხოვრებული, განვიდა და მოკუდა, და მოისპო ყოველნი ნათესავი მისი, ბაღუაშთა კახაბერისძეთა, არა დაშთა, და აღიჴოცა ნათესავი მისი და საჴსენებელი მათი“[3].

რამდენიმე ხნის შემდეგ რაჭის საერისთავო კვლავ აღდგა და ასპარეზზე გამოვიდა.

იმასთან დაკავშირებით, თუ როდის აღდგა ეს საერისთავო და ვინ იყო მისი განმგებელი, სხვადასხვა აზრი არსებობს. ვახუშტი ბაგრატიო-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1950, გვ. 33; ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 68—69.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 275.

[3] ი ქ ვ ე.

ნის აზრით. რაჭის საერისთავოს აღდგენა ბაგრატ მესამის დროს (1510—1565 წწ.) მოხდა: „ხოლო... ბაგრატ მეფემან დასუა ერისთავად რაჭას ჩხეიძე შოშიტა და მისცა რომელნიმე სახასო დაბანი ციხე მინდა. რამეთუ აქამომდე იყო რაჭა სამეფო და კუალად ჰყო საერისთაოდ"[1].

შესაძლებელია, ჩხეიძეთა ერისთავობა რაჭაში მართლაც ბაგრატ მესამის დროს დაიწყო, მაგრამ რაჭის საერისთავო ასე გვიან არ უნდა აღდგენილიყო. რადგან სხვა წერილობითი წყაროები ამას არ ადასტურებს. ეს გარემოება თავის დროზე კარგად შენიშნა ს. კაკაბაძემ, რომლის დაკვირვებით. XIII საუკუნის ბოლო მეოთხედში გაუქმებული რაჭის საერისთავო და კახაბერისძეთა ერისთავობა XIV საუკუნის მეორე ნახევარში აღდგა[2]. მკვლევარის ასეთი ვარაუდი მღვიმის მონასტრის ფრესკების მონაცემებს ემყარება. მაგრამ მ. ბროსეს, გ. წერეთლისა და დ. ბაქრაძის აზრით ეს ფრესკები XIV საუკუნეზე ადრინდელი ხანისაა. თუ ეს სწორია, მაშინ ეს თავისთავად გამორიცხავს ს. კაკაბაძის მოსაზრების სისწორეს.

ს. კაკაბაძის აღნიშნული მოსაზრება, ჯერ კიდევ, ეშვქვეშ დააყენა კ. გრიგოლიამ, თუმცა რაჭის საერისთავოს ხელახალი აღდგენის დათარიღებაში თვითონაც უზუსტობა დაუშვა[3].

ამ საკითხს უკანასკნელად შეეხო ო. სოსელია, რომლის აზრით, რაჭის საერისთავოს ხელახალი აღდგენა XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე მოხდა. ამასთანავე, იგი გამორიცხავს რაჭის ძველ ერისთავ კახაბერისძეთა მმართველი დინასტიის აღდგენას. ო. სოსელია დასძენს, რომ XV საუკუნის დასაწყისში რაჭის ერისთავად ვინმე აღბუღა იჯდა, ხოლო 1432 წ. ციცი ჭარელიძე, შემდეგ კი ქველი ჭარელიძე და სხვ.[4]. აქედან გამომდინარე, ო. სოსელია მართებულად დაასკვნის, რომ რაჭის ახალ საერისთავოში კახაბერიძეები კი არა, არამედ სულ სხვა გვარეულობა ერისთავობდა. რაც შეეხება. შემდეგ, XV ს. მეორე ნახევარში, რაჭის ერისთავები უკვე ჩხეტიძეთა (ჩხეიძე) საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ. მკვლევარის განცხადებით, ეს ჩანს ერთი წარწერიდან, რომელშიც, 1488 წ. რაჭის ერისთავად ვინმე ივანე ჩხეტიძე მოიხსენიება, დაახლოებით ათი წლის შემდეგ კი მისი ძმა — კახაბერ ჩხეტიძე[5].

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973, გვ. 811.

2 Какабадзе С., Мелкие известия и заметки. Известия Кавказского историко-археологического института в Тифлисе, IV. 1926, с. 127.

3 კ. გრიგოლია, იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება მე-17 საუკუნეში. საკანდ. დისერტაცია (ხელნაწერი), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტ. ბიბლ., გვ. 60—63.

4 ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 73.

5 ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, VI, 1924, გვ. 25, 27—28; მისივე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბ., 1920, გვ. 74.

ამიერიდან, წერს ო. სოსელია, რაჭის ერისთავები უეჭველად ჩხეიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ [1].

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი შეცდომით ათარიღებს რაჭის საერისთავოს აღდგენას, აგრეთვე იმასაც. თითქოს ჩხეტიძეთა (ჩხეიძეთა) საგვარეულოს ფუძემდებელი XVI საუკუნის დასაწყისში მოღვაწე შოშიტა ჩხეტიძე ყოფილიყო.

XVI საუკუნის დასაწყისში რაჭის ერისთავად ჩხეტიძის ყოფნას, პირველხარისხოვან წერილობით წყაროებთან ერთად, სასისხლო სიგელიც ადასტურებს [2].

ყოველივე ეს უეჭველს ხდის იმ მოსაზრების სისწორეს, რომ რაჭის საერისთავო მართლა XV საუკუნის დასაწყისში აღდგა, აგრეთვე იმასაც. რომ ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან რაჭის ერისთავობა ჩხეტიძეთა (ჩხეიძეთა) საგვარეულოს ხელში იყო.

საქართველოს რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაშლის შემდეგ, დეცენტრალიზაციის პროცესი კვლავ გრძელდებოდა, ამის მაჩვენებელია სათავადოებისა და საგრაფოების წარმოშობაც.

დასავლეთ საქართველოში სათავადოთა წარმოშობის პროცესი მთელ XV—XVII საუკუნეებში მიმდინარეობდა, რასაც, ადრე თუ გვიან, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სათავადოთა სისტემის საბოლოო ჩამოყალიბება მოჰყვა.

მკვლევართა აზრით, სათავადოთა აღმოცენება და ჩამოყალიბება სხვადასხვა საფუძველზე და სხვადასხვა დროს მოხდა. ზოგი სათავადო სამემკვიდრეო, დიდ მამულზე აღმოცენდა, ზოგი — ნაწყალობევ და მემკვიდრეობად გადაქცეულ მამულზე, ზოგიც საერისთავოს საფუძველზე და ა. შ.

მაგალითად, ო. სოსელიას აზრით, რაჭის სათავადო საერისთავოს საფუძველზე წარმოიშვა: „...ბაგრატ მეფის მიერ რაჭის ერისთავად დასმული შოშიტა ჩხეიძის მემკვიდრეები, მომდევნო საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე თვისად ფლობდნენ საერისთავოს და ერისთავადაც თვითონ ჯდებიან“ [3].

მამულისა და ერისთავობის მემკვიდრეობით მიღება რაჭის ერისთავებისათვის დამოუკიდებლობის მოპოვების ერთადერთი და აუცილებელი პირობა იყო.

იმერეთის მეფის ძალაუფლების დასუსტების პარალელურად, რაჭის ერისთავის ძალაუფლება ძლიერდებოდა. XVI საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული ჩხეტიძეები ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატურად და დაჟინებით იბრძოდნენ მამულების გადიდებისა და შეუვალობისათვის. ბო-

---

1 ო. სოსელია, ნარკვევები..., გვ. 74.
2 ს. კაკაბაძე, ვახტანგ უცნობი XV საუკ. აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი... ტფ., 1912, გვ. 9.
3 ო. სოსელია, ნარკვევები..., გვ. 37.

ლოს და ბოლოს. XVII საუკუნეში ჩხეტიძეები უკვე თავადებად, ხოლო რაჭის სათავადოდ იქცა.

მართალია, თავადი დასავლეთ საქართველოში XV საუკუნიდან მოიხსენიება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს წოდება ყველგან იმთავითვე ჩამოყალიბდა. ჩანს, XV საუკუნეში თავადი, როგორც სოციალური წოდება, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო. მართალია, თავადის როგორც სოციალური წოდების წარმოშობის პროცესი, ადრე დაიწყო. მაგრამ ის XII—XIII საუკუნეებში აზნაურისაგან არ არის მთლიანად გამოყოფილი და ჩამოყალიბებული. შესაძლებელია, XIV საუკუნეში „თავადი" მეთაურის, უფროსის და „თავში მდგომის" სინონიმია, მაგრამ ის XV საუკუნეში ნაწილობრივ მაინც, სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელია, ხოლო XVI საუკუნეში იგი უკვე ცალკე სოციალურ წოდებადაა ჩამოყალიბებული.

საინტერესოა თავადთან ერისთავისა და მთავრის — ფეოდალური ერთეულების მეთაურთა შედარება. როგორც ცნობილია, ერისთავი ამა თუ იმ პროვინციის (კუთხის) სათავეში მდგომი მეფის მოხელეა, რომლის მოვალეობა იყო მეფისადმი ვასალური სამსახური. მაგალითად, ხარკისა და ლაშქრის შეგროვება, ნადიმსა და ნადირობაში მონაწილეობა, ძღვენ-საჩუქრების მირთმევა და სხვ. ერთი სიტყვით, ერისთავი სამეფოში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის სათავეში მდგომი მოხელეა, რომელსაც მეფე სვამს გამოჩენილ ფეოდალურ გვარეულობიდან არამემკვიდრეობით.

ვახუშტი ბაგრატიონის განსაზღვრით, „წესი ერისთავთა იყო მეფის მიერ განწესება ქვეყანათა მიმართ და მის მიერ მოურნეობა. სამართალნი და ლაშქარნი მის ქუეყნისანი მის ქუეშევე იყვნენ, და იგინი მოჰკრეფდნენ ხარკთა სამეფოთა. ხოლო ესე ერისთავად დაიდგინებოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი, და ძენი მათნი შეცვალებით" [1].

ერთი შეხედვით, თავადი ერისთავს ჰგავს, კერძოდ, იმ მხრივ, რომ თავადიც მეფის ვასალია და მეფისადმი ვალდებული (ერისთავის მსგავსად). მაგრამ ერისთავისაგან განსხვავებით, თავადი სათავადოს გამგებლად სახლიკაცების თანხმობის საფუძველზე ჯდება, ამასთანავე სათავადო ხშირად გარკვეული იმუნიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს.

რაც შეეხება მთავარს, იგი პატარა მეფეს მოგვაგონებს: მთავარი ამა თუ იმ პროვინციის (კუთხის) დამოუკიდებელი გამგებელია და რაც მნიშვნელოვანია, ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე [2].

თავდაპირველად რაჭის ერისთავიც რიგითი ერისთავის ფუნქციებით სარგებლობდა და ყოველმხრივ მეფეზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ის თავადად იქცა. რაჭის საერისთავო და მისი მესვე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 17.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია..., გვ. 185.

ურები იმერეთის სამეფოში თანდათანობით ძლიერ ძალად გადაიქცევიან და ზოგჯერ პირველხარისხოვანი როლის შემსრულებლად გვევლინებიან.

რაც შეეხება ლეჩხუმს (რომელიც ადრე თაკვერის სახელწოდებითაც მოიხსენიება), იგი გვიან საშუალო საუკუნეებში, ერთხანს რაჭის საერისთავოში შედიოდა. მაგრამ შემდეგ მეფის უშუალო კუთვნილებად (სახასო მამულად) იქცა. სხვათა შორის, XVI—XVII საუკუნეებში და შემდეგაც, ლეჩხუმიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმერეთის სამეფოს ცხოვრებაში.

2. რაჭა-ლეჩხუმის სოციალური სტრუქტურა

მთიან-გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, რაჭა-ლეჩხუმის სოციალური სტრუქტურა თავისი შინაარსითა და ფორმით შუა საუკუნეებში არსებითად ისეთივე იყო, როგორც საკუთრივ იმერეთისა და სამეგრელოს სოციალური სურათი.

საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ რაჭა-ლეჩხუმში, რომელიც კოლხეთისა და ეგრისის სამეფოების ორგანული ნაწილი იყო, ფეოდალური ურთიერთობა, ქვეყნის ცენტრალური ნაწილის კვალდაკვალ ჩაისახა და განვითარდა.

ირკვევა, რომ XI საუკუნეში რაჭა უკვე განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობის საფუძველზე იდგა. ამისი პირდაპირი და უტყუარი დამადასტურებელია ჩვენამდე მოღწეული „ნიკორწმიდის იადგარი", ანუ „ნიკორწმიდის სიგელი"[1].

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების რაჭა-ლეჩხუმის სოციალურ სტრუქტურაზე სხვა წერილობითი წყაროებიც მოგვეპოვება, მათ შორის არაერთი საერო და სასულიერო ძეგლი, რომელთა მიხედვით რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა შემდეგი სოციალური წოდებებისაგან შედგებოდა:

ა) გლეხი

მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოება, რომელიც ამავე დროს მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს წარმოადგენდა, წერილობით წყაროებში, ის „წურილ ერად", „მსოფლიონი ერის კაცად" და „ქუეყნისა მოქმედად" იწოდებოდა[2]. ხოლო XI საუკუნიდან მოყოლებული ამ საზოგადოების აღმნიშვნელად „გლეხი" ჩნდება.

ცნობილია, რომ ადრეფეოდალურ საფეხურზე მიწის მოქმედი საზოგადოება ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა: მემამულე აზნაურების მიერ დაქვემდებარებულ ნაწილად და თავისუფალ მეთემეებად. შემდგომ, რო-

---

[1] ქრონიკები, წ. II, თ. ჟორდანიას გამოცემული, ტფ., 1897; ქართული სამართლის ძეგლები, წ. II, ი. დოლიძის გამოცემული, თბ., 1970.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 37—38; მ. ბ ერ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, გლეხთა კატეგორიები XI—XII საუკუნეებში, ისტ. ინსტ. შრომები, ტ. V, ნაკ. I, 1960, გვ. 139—140; ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასაელეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 66.

დესაც ფეოდალურმა ურთიერთობამ საბოლოოდ გაიმარჯვა, თავისუფალ მეთემეთა მასა გაქრა და მთელი მიწისმოქმედი საზოგადოება მემამულე აზნაურებმა, ეკლესია-მონასტრებმა და სხვა ფეოდალ-ხელისუფლებმა დაიქვემდებარეს. ამიერიდან მიწისმოქმედი საზოგადოების სახელად გლეხი გვევლინება. ამდენად, გლეხის ცნებაში იგულისხმება თავისუფლება-შეზღუდული ან დაკარგული და წარმოების მთავარ საშუალებას მოკლებული ადამიანი, რომელიც მიწის მეპატრონესთან იყო დაკავშირებული და მის ექსპლუატაციას განიცდიდა.

ლ. მუსხელიშვილი გლეხს მემკვიდრეობით მიწაზე მჯდომ-მოსახლე კაცს უწოდებს[1].

გლეხი, რომელსაც მიწა არ გააჩნია, ოჯახის არსებობის შესანარჩუნებლად იძულებული იყო მემამულე-აზნაურს დაკავშირებოდა და გარკვეული ვალდებულების ფასად მისგან მიწის ნაკვეთი აეღო.

მართალია, გლეხი კრებითი (საერთო) სახელია, მასში არათავისუფალი მიწისმოქმედი პირი იგულისხმება, მაგრამ ქონებრივ-უფლებრივად და ვალდებულება-მოვალეობით ის სხვადასხვა ფენად (კატეგორიად) იყოფოდა. როგორც იმერეთში (ბარში), მთელ რაჭა-ლეჩხუმში მიწისმოქმედი ადამიანები XI საუკუნეში გლეხის ცნებით გამოიხატებოდა: „წორბელმან შემოსწირა ზნაკუას გ ლ ე ხ ი... ვარაზ-ვაჩე შემოსწირა ძისა მისისთავს ფუთს გ ლ ე ხ ი... წირქუალელისა ძემან შემოსწირა გ ლ ე ხ ი... მეტეხარას დებორიანის ძისაგან ვიყიდე გ ლ ე ხ ი... ჭინჭარაჲს ძისა გ ლ ე ხ ი ს ა გ ა ნ ვიყიდე ნაოთხალი ვენაჭისა... ჩუენსა გ ლ ე ხ ს ა თანა ედვა და მივეც ფური... და მუნვე ზნაკუას ვახტანგის გ ლ ე ხ ი ს ა გ ა ნ ვიყიდე ყანა... და მუნვე ზნაკუას ვახტანგის გ ლ ე ხ ს ა მივცე სახლი... რომელ ჩემობასა გ ლ ე ხ ნ ი შემოწირულ არიან და რომელნი მე თვთ მიყიდიან რიცხვთ ოცდაათი...“[2].

აღნიშნულის გარდა გლეხები მოიხსენიებიან რაჭის სხვა სოფლებშიც, კერძოდ: ხოტევში, ხივშში. შქმერში, ცხილათში, ოკრიბაში, საწირეში და სხვ.[3].

როგორც ამ მოკლე ამონაწერებიდან და სხვა საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რაჭის სოფლებში მოსახლე გლეხობა, უწყებრივი კუთვნილების მიხედვით, ორ ნაწილად — საერო და საეკლესიო გლეხობად იყოფა, ხოლო ქონებრივად და ვალდებულებით სხვადასხვა ფენად, კერძოდ: მებეგრედ, მოჯალაბედ, მსახურად, აზატად და სხვ. ეტყობა, გლეხთა ნაწილი მკვიდრი ყმა იყო, ნაწილი ნასყიდი, ნაწილი შეწირული, ნაწილი ნებიერი და ა. შ. ამასთანავე, ჩანს, რომ ზოგიერთი გლეხი შედარებით

---

[1] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს. ენიმკის მოამბე V—VI, თბ., 1940, გვ. 269.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 27, 28, 34 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია, გ. გ.).

[3] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 30—34.

შეძლებელი (ვენახისა და ყანის მფლობელი, შესაძლებელია კერძო უფლებითაც), ხოლო ზოგიერთიც უმიწაწყლო და უსახლკარო.

მართალია, ლეჩხუმის მოსახლეობის სხვადასხვა წოდებად დაყოფაზე უძველესი წერილობითი წყაროები ნაკლებად მოგვეპოვება, მაგრამ XIII საუკუნის ერთ-ერთი წერილობითი ძეგლის მიხედვით, ლეჩხუმის სოფლების მოსახლეობაც ძირითადად ასევე გლეხობისაგან შედგებოდა: „ექუსი გლეხნი მომიგიან ზოგიშს... ერთი საგლეხო კიდევ ჰამარის ძემან შემოსწირა და მე ზედა კაცი დავასახლე...“[1]

როგორც ამ საისტორიო წყაროდან ჩანს, გლეხებად იწოდებოდნენ, აგრეთვე ლეჩხუმის სხვა სოფლების: ჟოშხას, საირმეს, ალპანისა და სხვა სოფლების საზოგადოებაც.

XIII საუკუნის ერთ საეკლესიო საბუთში რაჭის მკვიდრი: ღავთუსძე, მიქაისძე და დათუისძე, აგრეთვე გლეხებად მოიხსენიებიან[2].

ლ. მუსხელიშვილის განმარტებით, დასავლეთ საქართველოში ტერმინი „გლეხი“ ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ფართო მნიშვნელობით მთელი მიწისმოქმედი საზოგადოების აღმნიშვნელად, ხოლო, ვიწრო — დაბალი ფენის მიწის მუშის[3]. აქედან გამომდინარე, იგი გლეხობას ორ ძირითად ფენად: მსახურად და მოინალედ (იგივე მებეგრედ გ. გ.) ჰყოფს, გლეხთა მასაში მკვლევარი ცალკე გამოჰყოფს მოჯალაბესა და აზატს[4].

რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოების წოდებებად დაყოფას და მოსახლეობის დიდი უმრავლესობის გლეხებისადმი კუთვნილებას ადასტურებს XV—XVII საუკუნეების წერილობითი წყაროები, მათ შორის ე. წ. „ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელი“. ამ ძეგლიდან კარგად ჩანს, რომ XV საუკუნეში რაჭა-ლეჩხუმის, კერძოდ, რაჭის მთამაღალი სოფლების მოსახლეობაც სხვადასხვა წოდებისაგან შედგებოდა და იქაური მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გლეხობა შეადგენდა. მაგალითად, სოფელ ხიდურში მოხსენიებულია 60 კომლი გლეხი, რომელთა ნაწილი საერო, ხოლო ნაწილი საეკლესიო უწყებას ეკუთვნოდა. ასევე სოფელ ბრილში — 24 კომლი გლეხი (კაცი), თევარეშოში — 56 კომლი, ზედ-ქალაქში — 100 კომლი, შოდაში — 25 კომლი, ღებში — 72 კომლი, ჩუეშოში — 7 კომლი, ჭიორაში — 16, ბუბაში — 25 კომლი გლეხი და ა. შ.[5].

XVI საუკუნის ერთი წერილობითი ძეგლი რაჭის სოფელ ხივშში (რომელიც XI საუკუნეშიც ეკლესიას ეკუთვნოდა) მცხოვრებ საეკლესიო გლეხს (დონაძე ლაზარეს) მოიხსენიებს[6]. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ

---

1 ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 21.

2 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 174.

3 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 272.

4 ი ქ ვ ე, გვ. 41, 86—87.

5 სვანეთის საისტორიო ძეგლები, პ. ინგოროყვას გამოცემა, თბ., 1941, ნაკვ. 1, გვ. 32—33.

6 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 263.

ამ სოფელში XI საუკუნიდან მოყოლებული (შესაძლებელია ადრეც) საეკლესიო უწყების გლეხები ცხოვრობდნენ.

XVI საუკუნის სხვა ძეგლი რაჭის სოფელ ფუტიეთის მცხოვრებად სამ საეკლესიო გლეხს, მათ შორის: გიორგობიანს, ბუხრაშვილსა და სვანს ასახელებს[1]. ასევე, მსგავსი საბუთი ლეჩხუმის სოფელ ჭყვიშში ორ კომლ საეკლესიო გლეხს (სვანიძესა და ეფრემაშვილს) მოიხსენიებს[2].

რაჭის მსგავსად ლეჩხუმის მოსახლეობის უმრავლესობას საერო და საეკლესიო-სამონასტრო გლეხობა შეადგენდა. საერო გლეხების ნაწილი ადგილობრივ მემამულეებს ეკუთვნოდა, ნაწილი კი მეფის (სახასო) კუთვნილებას შეადგენდა. XVI საუკუნის ერთ წერილობით წყაროში ჩამოთვლილია ლეჩხუმის სოფლები: ჩხუტელი, უსახელო, ჟოშხა, ნაკურალეში, აღუ, ლახეფა და ოყურეში, რომელთა მოსახლე ზოგიერთი გლეხი ცაგერის საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა[3].

ერთ წერილობით ძეგლში ჩამოთვლილია „ბარის" რაჭაში მოსახლე 21 გლეხის კომლი, რომლებიც ბიჭვინთის საეპისკოპოსოს ეკუთვნოდნენ[4].

XVII საუკუნის 50-იანი წლების წერილობით წყაროში დასახელებულია ცაგერის ტაძრისადმი კუთვნილი ძველი ყმა-მამული, რომელთა ნაწილი დროთა ვითარებაში ადგილობრივ საერო მებატონეებს მიუთვისებიათ, ან დაკარგულან. მათ შორის: გოლეთიანის, მეშველიანის, ფოჩიანის, ლაკოხელიანის, მუცხვატილაძის და შკვიბლიანის ექვსი კომლი (მათი ერთი ნაწილი გელოვანის ხელში მოხვედრილა, მაგრამ უკვე ეპისკოპოს გაბრიელს დაუბრუნებია). აღნიშნულთა გარდა ჩამოთვლილია, აგრეთვე 13 კომლი გლეხი, რომლებიც ასევე ეკლესიას ეკუთვნოდნენ[5]. დასახელებულ ძეგლში ლაკოხელიანი, მუცხვატილაძე და შკვიბლიანი აყრილ გლეხებადაა დასახელებული, ზოგიც ნასყიდ, შეწირულ და მკვიდრ გლეხად: „ერთი გლეხი უსახელოს ფოჩიანი გუტა და მისი ძმა სულია; ერთი გლეხი ფოჩიანი იონა და მისი ძმები. ამას გარეთ ორი გლეხი კიდევ მახალდიანი გოჩია და ფოჩიანი გიორგი ბატონმა გვიბოძა... მეთევზე ერთი გლეხი მომარდაშვილი ხუცესი შიო და მისი ძმა მათვალი; ერთი გლეხი მომარდაშვილი ლომინა... ერთი გლეხი ამბროლიანი მათვალი სულა გელოანისაგან ვიყიდე; ერთი გლეხი დათუა თედორაშვილი ხოხუა ლაშხიშვილისაგან ვიყიდე: ერთი გლეხი გიორგი აკობიძე იოვაკიმ ნემსაძისაგან ვიყიდე: ერთი გლეხი არჩვაძე ივანე ბუღია ყიფიანისაგან ვიყიდე; ერთი გლეხი ნემსიწვერიძე კავია, მისი შვილი და მისი ძმისწულები ელყან ყიფიანისაგან ვიყიდე... და კიდევ ამას გარეთად, ერთი გლეხი იქავ უსა-

---

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 308.
2 იქვე, გვ. 318.
3 იქვე, გვ. 374—380.
4 იქვე, გვ. 397—399.
5 იქვე, გვ. 516—518.

ხელოს პაატა გოლეთიანი გიორგი გელოანისაგან ვიყიდე... აწ ეს გლეხები და სასახლე მათის ყოვლისფერითა ცაგერისა ღმრთის-მშობლისათვის... შეგვიწირავს"[1].

XVII საუკუნის შუახანების წყალობის ერთ წიგნში, რომელიც გიორგი და ხოსია ახვლედიანებისადმი იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამეს მიუცია, ნათქვამია: „გიბოძეთ ღვირიშის ციხე და ღვირიშის შემავალი კაცი სოფელი სრული. აგრეთვე ცხუკუშერი სოფელი ხელშეუვალად. ამას გარეთ ტვიშს იონა ნემსიწვერიძის შვილი გლეხი. მეორე გლეხი ბესია ხუცესი. მესამე გლეხი დათუნა ხუცესი, მეოთხე გლეხი ნასხიდა სვანიძე, ესენი მათის ცოლშვილით, სახლკარით..." [2].

შეწირულების ერთ წიგნში დასახელებულია ოყურეშსა და ზუბში მოსახლე რამდენიმე კომლი გლეხი, რომლებიც უწინ საერო მებატონეების და სამეფო ყმები ყოფილან, მაგრამ XVII საუკუნის 50-იან წლებში ჩიქუან (ჩიქვან-ჩიქოვანს) გაბრიელ ეპისკოპოსს უყიდია და ხვამლის ეკლესიისათვის შეუწირავს[3]. ამავე ხანის ცაგერის საყდრის მოაღაპეთა დავთარში ჩამოთვლილია 18 კომლი გლეხი, რომლებიც უწინ მეფისა და ვიღაც სვანის კუთვნილი ყმები ყოფილან, მაგრამ ახლა, ცაგერის ეპისკოპოსის მეცადინეობით, საეკლესიო ყმები გამხდარან[4].

XVII საუკუნის შუახანებში ლეჩხუმის მოსახლეობის სოციალური დაყოფისა და გლეხთა სიმრავლის მაჩვენებელია, იგივე. ალექსანდრე მესამის მიერ ძმები ახვლედიანებისადმი მიცემული წყალობის სიგელი. რომელშიაც ჩანს, რომ ღვირიშისა და ცხუკუშერის მთელი მოსახლეობა სამეფო გლეხები ყოფილან (ასევე ტვიშისაც), რომელთა ნაწილი მეფემ თავის ერთგულ მებატონე ახვლედიანებს უწყალობა[5].

რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის სოციალურ დაყოფას, იქ გლეხობის მრავალრიცხოვნობას და მათი სხვადასხვა უწყებისადმი კუთვნილებას სხვა საისტორიო, წერილობითი წყაროებიც მოწმობენ, მაგრამ დასახელებული ძეგლები და აქ მოყვანილი ამონაწერები უეჭველად ღაღადებენ, რომ რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა სხვადასხვა სოციალურ წოდებებად იყოფოდა, რომ მოცემულ საუკუნეებში მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოება ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობაში იყო ჩაბმული, რომ რაჭა-ლეჩხუმის სხვადასხვა ნაწილებს (შედარებით ბარ, თუ მთიან სოფლებში) შორის ამ მხრივ რაიმე არსებითი სხვაობა არ შეიმჩნევა.

---

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 517—518.
2 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემული, წ. I, ტფ., 1921, გვ. 63—64
3 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 519—520.
4 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 523—526.
5 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 63—64.

ბ) მსახური

როგორც ცნობილია, თავის წარმომავლობით და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, მსახური გლეხთა წოდებას განეკუთვნება, მაგრამ ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობით ის დანარჩენ გლეხობაზე მაღლა დგას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსახური გლეხთა დაწინაურებული ნაწილია, რომელიც ჩაგრულ და გაბატონებულ წოდებათა შუა დგას და რომელსაც, გლეხთან შედარებით აზნაურთა წოდებაში მოხვედრის მეტი შესაძლებლობა აქვს. სწორედ, ამითაა განპირობებული ის, რომ ვახტანგ მეფის სამართალი, გლეხთან შედარებით, მსახურის სისხლს ორჯერ მეტი საურავით საზღვრავს.

ფ. ენგელსის აზრით, აზნაურთა ნაწილი, სწორედ მსახურებისაგან წარმოდგება[1].

ვახტანგ მეფის სამართლით, მსახური, რომელსაც თავის პატრონი (ბატონი) „სიკეთესა ზედა იცნობდა", უმადაბლეს (ცალმოგვ) აზნაურს უტოლდებოდა და მის რიგებში გადასვლის შანსი ჰქონდა მაგრამ მსახურთა ფენა, მთლიანობაში (თავის ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობით) მაინც აზნაურობაზე დაბლა იდგა.

მსახურთა ფენა შეიძლება ორ მთავარ ჯგუფად დავყოთ, ერთ ჯგუფში შედიოდნენ ისეთი მსახურები, რომლებიც უშუალოდ თავის ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს (მეფეს, მთავარს, ერისთავს ან თავადს) ემსახურებოდნენ. ასეთი მსახურები თავის ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობით უფრო უკეთეს პირობებში იყვნენ. მათ უპირველეს ვალდებულებას ლაშქრობა და წვრილი სამოქალაქო სამსახური შეადგენდა. მსახურთა ეს ნაწილი უმაღლეს მოხელეთა უშუალო განკარგულებასა და მეთვალყურეობაში იმყოფებოდა და მას ქონებრივ-წოდებრივი წყალობის მიღების მეტი შესაძლებლობა ჰქონდა.

მსახურთა მეორე ნაწილი უფრო სოფლის მკვიდრი იყო, მიწათმოქმედებას მისდევდა და საჭიროების დროს ლაშქრობაში გამოდიოდა, მის ხელში იყო აგრეთვე სოფლის ნაკლებმნიშვნელოვანი მოხელეობა, ადგილობრივი წვრილი ფეოდალ-მოხელეებისადმი სხვადასხვაგვარი სამსახური და სხვ. მსახურთა ეს ნაწილი, ძირითადად, გლეხურ (ნაკლებსათაკილო) ვალდებულებას ასრულებდა, მაგრამ შედარებით მსუბუქ სამსახურს. რა თქმა უნდა, თავისი მსახურები ჰყავდა ეკლესია-მონასტრებსაც, რომლებიც, აგრეთვე შედარებით უკეთეს პირობებში იყვნენ.

ყოველივე ამის გამო, ნ. ბერძენიშვილის აზრით, მსახურები, როგორც მიწისმოქმედნი გლეხებს ენათესავებოდნენ, ხოლო სამსახურით — აზნაურებს[2].

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938, გვ. 146.

[2] Бердзенишвили Н. Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.) Тб. 1938 с. 2—3.

ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში. მსახურთა ფენა ცალკე მხოლოდ XV საუკუნეში მოიხსენიება (ეჭვი არ შეიძლება, რომ ის უფრო ადრეც არსებობდა), კერძოდ, საეკლესიო ძეგლში — „მცნება სარჯულოჲ“ (1470—1474 წწ.), რომელშიც ქრისტიანობის უარმყოფლის შეჩვენებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „ანუ მეფეთა, ანუ მთავართა, ანუ აზნაურთა, ანუ აზნაურის შვილთა, ანუ მ ს ა ხ უ რ თ ა, ანუ გლეხთა...“ [1]. ამავე ძეგლში მსახური დასახელებულია, თავადის, აზნაურის (აგრეთვე ეპისკოპოზის, ქორეპისკოპოზის, მოძღვარის, მღვდლისა და დიაკონის) გვერდით, ბოლოს კი გლეხი [2]. მესამეგან ნათქვამია: „მეფენი, გინა თავადნი, აზნაურნი, გინა აზნაურიშვილნი, მ ს ა ხ ურ ნ ი, გინა გლეხნი, ეპისკოპოზნი, გინა ქორეპისკოპოზნი...“[3].

შემდგომ ხანაში, მსახური, როგორც ცალკე ფენა მრავალ საისტორიო წერილობით წყაროში მოიხსენიება, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმშიც. მითუფრო, რომ ლეჩხუმი უშუალოდ იმერეთის მეფის სახასო მამული იყო [4].

როგორც ჩანს, ლეჩხუმის აზნაურები და მსახურებიც მეფის ლაშქარში შედიოდნენ და წვრილ სამოხელეო სამსახურს ასრულებდნენ. მაგალითად, ეპისკოპოს გაბრიელ ჩიქვანის (ცყონდიდელ-ცაგარელის) მიერ გაცემულ პირობის წიგნში (XVII ს. მეორე ნახევარი), სხვათა შორის ვკითხულობთ: „მერმე ოყურეშის ერთობით აზნაურიშვილს, მ ს ა ხ ურ ს და გლეხს, მდიდარსა და მცირეს, ნაკურალეშელს, ლახაფელს, უსახელოველს. მთას გადაღმა ქვიშარს, ცხვედიანსა და მისს სახელო კაცს... ერთობით ცაგერისა ღვთისმშობლისა და ოყურეშის წმიდის გიორგის ყმისთვინ მომიცემია...“[5]

როგორც ვხედავთ, მსახური ყოველთვის აზნაურის (თუ აზნაურიშვილის) შემდეგ და გლეხზე წინ მოიხსენიება, ესეც იმისი მანიშნებელია, რომ მსახურთა ფენა ცალკე არსებობდა და ის გლეხობის სათავეში იდგა.

გ) აზნაური

ცნობილია, რომ საქართველოში ფეოდალურ წოდებას თავიდანვე აზნაური წარმოადგენდა (მისი თავდაპირველი მნიშვნელობა თავისუფალს, არამონას ნიშნავს, შემდეგ კი კეთილშობილს, წარჩინებულს, დიდგვაროვანს და სხვ.). ივ. ჯავახიშვილის განმარტებით. „უმაღლესი წოდების წევრს აზნაური ეწოდებოდა. აზნაურნი იყვნენ მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ი, ანუ მემკვიდრეობით მქონებელნი, ანდა მ ო ს ა კ ა რ გ ა ვ ე ნ ი, ე. ი.

---

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 224.
2 იქვე, გვ. 231.
3 იქვე, გვ. 232.
4 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 31.
5 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 110.

რომელთაც ეს წოდება სამსახურით ჰქონდათ მოპოვებული, ციხიანნი და უციხონი...“ [1].

ვახუშტი ბაგრატიონის განმარტებით, აზნაურსა აქუნდა გუარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაჲმე მთათა ანუ ბართა, და დაბნებნი. და ძალ-ედვას გამოსლვა მარქაფითა, კარვითა და მათითა გაწყობილებითა, და თჳნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“ [2].

ცხადია, ვახუშტის ეს განსაზღვრა პირობითია და მთელ აზნაურობას ვერ მოიცავს, მითუფრო გვიან შუა საუკუნეების აზნაურობას, როდესაც ამ ნიშნებიდან ზოგიერთ აზნაურს მხოლოდ მაღალი ღირსების გვარიღა ჰქონდა შერჩენილი. რაც შეეხება ვახუშტისეული აზნაურის ნიშანს სიმაგრისა და დაბის ფლობას, აგრეთვე მარქაფით, კარვით და მათი გაწყობილებით გამოსვლას, ესეც პირობითია, რადგან გაღარიბებულ-ცალმოგვი აზნაურის მიერ ასეთი რამის ფლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. აზნაური, საერთოდ, მიწა-წყლის მესაკუთრეს (გამგებელს) და ყმათა მფლობელს ეწოდება. აზნაურის წოდება და ქონება მემკვიდრეობით, მამიდან შვილზე გადადიოდა.

თუ ფეოდალური ურთიერთობის საწყის საფეხურზე აზნაურობა შედარებით ერთგვაროვანი იყო, დროთა ვითარებაში, საზოგადოების უფრო ღრმა სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად, აზნაურის წოდების შიგნითაც გაჩნდა ერთიმეორისაგან განსხვავებული ფენები, მათ შორის დიდებული აზნაურები, რომლებიც სამსახურებრივ-ქონებრივი მდგომარეობით და უფლებამოსილებით აზნაურთა სათავეში იდგნენ.

დიდებულ აზნაურთა შემდეგ შუა აზნაურები მოდიოდნენ, ხოლო, ბოლოს, მესამე აზნაური. ვახტანგ ბაგრატიონის სამართლით, პირველი კატეგორიის აზნაურის სისხლი 192 თუმნით, მეორის 96-ით, ხოლო, მესამის 48 თუმნით განისაზღვრებოდა [3].

აზნაურის წოდებას დაახლოებით ასევე ყოფს ბექა-აღბუღას სამართალიც. მის მიხედვით, აზნაურობა (როცა თავადის წოდება არ არსებობდა) შედგებოდა: დიდებული აზნაურის (რომელიც ეკლესია-მონასტერსა და დიდ ყმა-მამულს ფლობდა და დიდი მოხელე იყო), საპატიო აზნაურის (დიდი ყმა-მამულის მფლობელი) და რიგითი აზნაურისაგან (უციხოუმონასტრო და შედარებით მცირე ყმა-მამულის მფლობელი). ჩამოთვლილთაგან პირველის სისხლი 40 ათასი თეთრით განისაზღვრებოდა, მეორის — 20 ათასით, ხოლო მესამის (რიგითის) — 12 ათასით[4].

როგორც ცნობილია, გვიან საშუალო საუკუნეებში აზნაურთა წო-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 337.
2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 17—18.
3 ქართული სამართლის ძეგლები, I, პროფ. ი. დოლიძის გამოც., თბ., 1963, გვ. 489.
4 იქვე, გვ. 426—427.

დეპაში გაჩნდა თავადი, რომელიც ფეოდალთა კლასის შიგნით თანდათან უმაღლეს წოდებად ჩამოყალიბდა.

ამრიგად, გაბატონებული კლასი ორი წოდების — თავადისა და აზნაურისაგან შედგებოდა. მაგრამ, როგორც ვიცით, ამ წოდებათა შიგნითაც განსხვავებული ფენები წარმოიშვა.

ისევე როგორც საკუთრივ იმერეთში, რაჭასა და ლეჩხუმშიც ადრე გაბატონებულ წოდებას აზნაურობა წარმოადგენდა. რაჭის ეკლესიათა უძველეს წარწერებში რიგით მოსახლეობასთან (მოხევეებთან) ერთად მოიხსენიებიან აზნაურები, რომლებიც გაბატონებულ წოდებას წარმოადგენდნენ[1].

მართალია, ჩვენთვის ცნობილ, „ნიკორწმიდის იადგარში" ტერმინი აზნაური არაა პირდაპირ მოხსენიებული, მაგრამ მასში მრავლად გვხვდება ისეთი გვარეულობები, რომლებიც რაჭის ამა თუ იმ სოფელში გლეხთა მფლობელ-განმკარგულებლები იყვნენ: „წორბელმან შემოსწირა ზნაკუას გლეხი... ვარაზ-ვაჩემ შემოსწირა ძისა მისისათვს ფუთს გლეხი... წირქუალელისა ძემან შემოსწირა გლეხი... მეტეხარას დებორიანის ძისაგან ვიყიდე გლეხი... ჭინჭარაის ძისა გლეხისაგან ვიყიდე ნაოთხალი ვენაჭისა... და მუნ ზნაკუას ვახტანგის გლეხისაგან ვიყიდე ყანაი... და შქმერს ვიყიდე შქვლოიისაგან გლეხი... ვიყიდე ცხილათს გლეხი აბულახტარისაგან... ოკრიბას ვიყიდე აჩეჩილისაგან გლეხი..."[2]

ზემოაღნიშნული ამონაწერიდან ჩანს, რომ გლეხების მფლობელები და შემწირველები აზნაურები იყვნენ. მსგავსი შინაარსის, შედარებით გვიანდელ წერილობით ძეგლში, რომელიც ლეჩხუმს ეხება, ვკითხულობთ: „ექუსნი გლეხნი მომიგიან ზოგიშს, ოთხნი ტეგიანისეულნი, ერთი ნიკოლოზის ინასარიძისეული ბენმუქის ძე, ერთი საგლეხო კიდეე ჰამარის ძემან შემოსწირა და მე ზედა კაცი დავასახელე: ჟოშხას ჟოსქოფა სძე და გოგელაური პარტახტი. ეს ორნი იოანე ქობულისძეპან მოაჴსენა ეკლესიას"[3].

როგორც ვხედავთ, აქ გლეხების მფლობელებად დასახელებული არიან ტეგიანი, ინასარიძე, ქობულიძე, და სხვები. მართალია, არც ეს, გვარებია წოდებით მოხსენიებული, მაგრამ ისინი ქონებრივად და წოდებრივად დაწინაურებული, აზნაურები უნდა იყვნენ.

რაჭის სოფელ მიქარწმიდის ეკლესიის ქვის წარწერაში ნათქვამია: „...ავაშენეთ წმიდა ესე ეკლესია სალოცავად პატრონთ ჩვენთა და თავისა ჩინისა და ყოველთათა ჩვენთა აზნაურთა მოთავეთა დასალოცავად..."[4]

---

[1] გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1931—1932, გვ. 208; ტ. VIII, 1933—1934, გვ. 291—292.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 27—33.

[3] ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია..., გვ. 21.

[4] გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, ტ. VII, გვ. 208.

სოფელ სხვავას ეკლესიის XIII საუკუნის წარწერა გვაუწყებს, რომ დასახელებული ეკლესია შეუმკიათ რაჭის ერისთავ რატის და მის ძეს კახაბერს, აგრეთვე მოხევეებსა და საეკლესიო პირებს"[1].

დ) თავადი

იმერეთის სამეფოში, კერძოდ რაჭა-ლეჩხუმის გაბატონებულ წოდებაში XV საუკუნიდან თავადის წოდებაც გაჩნდა. ერთ საეკლესიო წერილობით წყაროში („მცნება სარჯულოჲ", რომელიც XV ს. 70-იანი წლებით თარიღდება) მეფესთან და ერისთავთან, აგრეთვე დიდებულთან და აზნაურთან ერთად, თავადიც მოიხსენიება: „თ ა ვ ა დ თ ა თანადგომითა... თ ა ვ ა დ ნ ი სიმართლესა ბჭობდით... და უკეთუ ვინცა მეფეთა, თ ა ვ ა დ თ ა. აზნაურთა და აზნაურიშვილთა... გინა მეფეთა, გინა თ ა ვ ა დ თ ა, გინა დიდებულთა, გინა აზნაურთა... მეფენი, გინა თ ა ვ ა დ ნ ი, გინა აზნაურნი"...[2]

ძნელია იმის გადაჭრით თქმა, თუ აქ მოხსენიებულ თავადში აზნაურთა წოდების მეთაური (თავი), თუ თავადის წოდება იგულისხმება, მაგრამ, შესაძლებელია თავადის ასე მრავალჯერ ხსენება იმისი მაუწყებელი იყოს, რომ თავადის წოდება უკვე წარმოშობილია, ამასთან, მართალია, ზემოაღნიშნული საბუთი რაჭა-ლეჩხუმს მხოლოდ არაპირდაპირ ეხება, მაგრამ. ე. წ. „ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელში", იმერეთის მეფე ალექსანდრეს სახელით ნათქვამია: „...**ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არ მყავს**ო..."[3].

ცნობილია, რომ ადრე აზნაურთა წოდების სათავეში მდგომს ეწოდებოდა „დიდებული აზნაური", რომელიც, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, მეფისაგან შეწყალებული, დიდი თანამდებობისა და ყმამამულის მფლობელი აზნაური იყო. შემდეგ, როდესაც ეს დიდება მემკვიდრეობით კუთვნილებად იქცა, თავადის წოდებაც ჩამოყალიბდა[4].

გლეხობის მსგავსად აზნაურებიც სხვადასხვა ფენად იყოფოდნენ და სხვადასხვა უწყებას ეკუთვნოდნენ, მათ შორის საერო და სასულიერო (სამეფო, საერისთავო, საუფლისწულო, აგრეთვე საეკლესიო-სამონასტრო, უფრო მოგვიანებით მათ სათავადო და სამთავრო აზნაურებიც მიემატა). ამათგან ყველაზე მაღლა სამეფო აზნაურები იდგნენ, რადგან, ერთგული და თავდადებული სამსახურის შედეგად, ისინი ხშირად მეფის წყალობას იღებდნენ.

ს. კაკაბაძის მონაცემებით, XVII საუკუნის შუახანებში იმერეთის სამეფოში სულ 840—850 კომლი აზნაური ცხოვრობდა, ამათგან 225

---

1 გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, მითითებული წერილი, ტ. VIII, გვ. 291—292.
2 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 221—233.
3 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, 1941, გვ. 32 (ხაზგასმა ჩვენია, გ. ბ.).
4 საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, I, თბ., 1946, გვ. 298—299.

კომლი სამეფო იყო, დანარჩენი კი თავადთა და ეკლესია-მონასტერთა კუთვნილებას შეადგენდა[1].

რუსი ელჩების ნიკ. ტოლოჩანოვისა და იევლევის ცნობით, XVII საუკუნის შუახანებში, იმერეთის სამეფოში 1100-მდე აზნაურის კომლი ცხოვრობდა[2].

რაჭის ძველი და ცნობილი აზნაურები იყვნენ: ლორთქიფანიძეები, ყიფიანები, არიშიძეები, ლაშხიშვილები, ინასარიძეები, გარეყანიძეები, გამრეკლიძეები, ჯაფარიძეები, გამყრელიძეები, იაშვილები, წულუკიძეები, ბაქრაძეები, გოცირიძეები, გიგაშვილები, დარახველიძეები. ლომინაძეები, დემეტრაძეები, საკანდელიძეები, ლაჭყეპიანები, ბუბაშვილები, სოსაგიძეები და სხვ.

აღნიშნულთაგან, XV საუკუნიდან მოყოლებული, თავადთა წოდებად ჩამოყალიბდნენ: ჩხეტიძეები (ჩხეიძე), წულუკიძეები, იაშვილები, ჯაფარიძეები, ინასარიძეები, ლაშხიშვილები და სხვ.

რაჭის ერისთავები იყვნენ კახაბერიძეები და ჩხეტიძეები(ჩხეიძეები).

იმავე ხანის ლეჩხუმის აზნაურები იყვნენ: ჩიქვანები, ყიფიანები, გელოვანები, ქვარიანები, ახვლედიანები, დაშნიანები, ჩარკვიანები, კუჭაიძეები, ჭაბუკიანები, ლაშხიშვილები, ინასარიძეები, ღოღელიანები, ასათიანები და სხვ.

ამათგან გელოვანები, ახვლედიანები და ჩიქვანები (ჩიქოვანები) თავადებად გადაიქცნენ. თუმცა რაჭა-ლეჩხუმის წარჩინებულ გვართაგან ვახუშტი ბაგრატიონი მხოლოდ კახაბერიძეს, ჩხეიძეს, წულუკიძეს, იაშვილს, ჯაფარიძეს, ინასარიძეს და ლაშხიშვილს ასახელებს[3].

XVII საუკუნის მონაცემებით, მთელ იმერეთში სულ 100-მდე თავადის კომლი ცხოვრობდა[4]. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის მესამედი რაჭა-ლეჩხუმზე მოდიოდა.

თუ XV საუკუნემდე ქვეყნის სიმდიდრის უდიდეს ნაწილს და ძალაუფლებას აზნაურობა ფლობდა, შემდეგ პირველობა თავადთა წოდებამ მოიპოვა და მან აზნაურობაც დაიმორჩილა.

ნ. ბერძენიშვილი გვიან საშუალო საუკუნეების წოდებრივ თანაფარდობასა და მის ევოლუციაზე დაკვირვების შედეგად აღნიშნავს „დამოუკიდებელი. თავის საკუთარ სამკვიდრო მამულზე მჯდომი აზნაურები ამ დროისათვის, როგორც საერთო მოვლენა, დიდი ხანია არაა“ და იქვე დასძენს: აზნაურთა დიდი უმრავლესობა დაქვეითებულ-დაღარიბებულია და თავადობამ დაიქვემდებარა[5].

---

1 მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ XVII საუკუნეში, საისტორიო მოამბე, წ. I, 1925, გვ. 196.

2 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლიევის ელჩობა იმერეთში 1650—1652 წწ. მ. პოლიევქტოვის გამოც., თბ., 1926, გვ. 114.

3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 27—28, 36.

4 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლიევის ელჩობა იმერეთში... გვ. 114.

5 Бердзенишвили Н. А., Очерки из истории... с. 38—39.

როგორც ჩანს, ფეოდალური წოდების — აზნაურობის რიგებში ამ ცვლილებებს არა მარტო საქართველოში ჰქონდა ადგილი, არამედ დასავლეთ ევროპაშიც. შუა საუკუნეების ფეოდალური იერარქიიდან, — წერს ფ. ენგელსი, — საშუალო აზნაურობა თითქმის სავსებით გაქრა: ერთი მისი ნაწილი დამოუკიდებელ წვრილ თავადებამდე ამაღლდა; მეორე დაქვეითდა, დაბალ აზნაურთა რიგებში მოექცა; დაბალი აზნაურების დიდი ნაწილი სრულიად გაღატაკდა და თავადებთან სამსახურით ცხოვრობდა: მეორე ნაწილი თავადებთან ვასალურ დამოკიდებულებაში და მორჩილებაში იმყოფებოდა: მესამე, მეტად მცირე ნაწილი, უშუალოდ იმპერიას ემორჩილებოდა [1].

ფ. ენგელსის ეს დახასიათება კარგად ასახავს დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმის აზნაურთა მდგომარეობასაც.

რაკი ძალაუფლების განმტკიცებაში მეფეები ძირითადად წვრილ აზნაურებს ეყრდნობოდნენ, ბუნებრივია ერთგულებისა და დამსახურების საფუძველზე მათ რიცხვს ამრავლებდნენ. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ჩანს იმერეთის აზნაურები, რომელთა უმრავლესობა წვრილმფლობელი იყო, მით უფრო მას შემდეგ, რაც თავადის წოდება ჩამოყალიბდა. თუ თავდაპირველად ზოგიერთი აზნაური, ასე თუ ისე, შეძლებული იყო, შემდეგ მათი აბსოლუტური უმრავლესობა გაღარიბდა, ზოგიერთი გლეხის დონემდე დაეცა. ასეთი ვითარება, ერთი მხრივ, თავადთა გაბატონებამ განაპირობა,მეორე მხრივ, ქვეყნის დაქუცმაცება-დაცემამ და ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამ.

თურქ-ოსმალების და, საერთოდ, მაჰმადიან მეზობელთა შემოსევებისაგან დასუსტებულ-დაქვეითებული ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება, დეგრადაციის გზაზე დამდგარ აზნაურობას სათანადოდ ვერ წყალობდა, ამასთანავე მეფის ხელისუფლება მათ ვერც მომძლავრებული თავადების ძალმომრეობისაგან იცავდა.

ამის გამო, აზნაურთა ზოგი გვარეულობები საერთოდ გაქრა, ზოგი გაღარიბებული გლეხის დონეზე დავიდა, ხოლო ნაწილიც საშუალო დონეზე დარჩა.

სამაგიეროდ, აზნაურთა აღზევებულმა ნაწილმა თავადობა და ქვეყნის მესაჭე-მოთავის როლი მოიპოვა.

ვახტანგ მეფის სამართალი თავადის წოდებას სამ კატეგორიად (ფენად) ყოფს: დიდებულ, შუა და მესამე თავადად[2]. აქედან გამომდინარე მისი სამართალი თავადთა ღირსებას, უფლებამოსილებას და სისხლის საურავს სამ ჯგუფად ყოფს: პირველის სისხლს 1536 თუმნით განსაზღვრავს, მეორისას — 768 თუმნით, ხოლო, მესამე ჯგუფის თავადთა — 384 თუმნით[3].

---

1. ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1926, გვ. 26—28.
2 ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 489.
3 იქვე.

ვახუშტი ბაგრატიონი თავადს თითქმის არ განასხვავებს მთავრისაგან. უკეთ რომ ვთქვათ, იგი თავადის შესაბამის მთავრის ცნებას ასე განსაზღვრავს: „ხოლო წესი მთავართა იყო გუარი და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი. ხოლო უკეთუ მეფისა წესსა შინა იყო იგი, უმეტეს პატივიცემოდა, არამედ მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გუარი იგი და ამის მიმართ ციხექალაქი, სიმაგრე და ჭეობანი, და თვითნიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად"[1].

როგორც ვხედავთ, ეს განსაზღვრა კარგად ასახავს თავადის ცნებასაც, რადგან გვარჩამომავლობა, ყმა-მამულისა და სიმაგრის, აგრეთვე თანამდებობის ფლობა თავადობის უპირველესი მახასიათებელია. სხვათა შორის, როდესაც ვახუშტი საქართველოს პოლიტიკური დაშლით გამოწვეულ ცვლილებებს ეხება, წერს: „გარნა მთავარნიცა არღარა იწოდებოდნენ მთავრად, არამედ თავადად..."[2].

მოცემულ განსაზღვრაში ვახუშტი ითვალისწინებს იმასაც, რომ თავადი, მითუფრო მთავარი, შეიძლება მეფის მორჩილი არ ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი სათავადო მართლაც ადმინისტრაციულ-საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტით (შეუვალობით) სარგებლობდა. ასეთი თავადი, ზოგჯერ მეფის სანქციის გარეშე (სახლიკაცთა მეშვეობით) ჯდებოდა სათავადოს უფროსად (ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ცენტრალური ხელისუფლების ძლიერებაზე იყო დამოკიდებული). რაც შეეხება მთავარს, თავადისაგან მისი განმასხვავებელი ნიშანი დამოუკიდებლობა იყო, ე. ი. მთავარი არავის ემორჩილებოდა.

როგორც წესი, თავადი მეფის ან მთავრის ქვეშევრდომი იყო და წესით მასვე ეჭვემდებარებოდა. ამასთანავე, მართალია, ამა თუ იმ დიდგვაროვანი პირის თავადობა მეფეს უნდა ეღიარებინა, მაგრამ ხდებოდა ისიც, რომ ზოგიერთი დიდგვაროვანი თვითონ, თავისი ძალით ხდებოდა თავადი.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხზულებაში ახასიათებს მეფის მოხელეთა დანიშვნის ადრინდელ და ახალ (საქართველოს პოლიტიკურ დაშლამდელ და შემდგომი დროის) წესებს და წერს: „რამეთუ ძველითგანვე იყო წესი ესე: რაჟამს მოკუდის ერისთავი, ანუ მთავარი, ანუ ჭელისუფალნი, ანუ აზნაურნი ჩინებულნი, მოართვიან მეფესა მის მომკუდრისა ჭრმალი, ცხენი და უჭუცესი ძე მისი, ხოლო მეფე ჭელისუფლობისა და ერისთობისა წესსა, ვისიცა ენება, ღირსებისაებრ მიუბოძის და ოდესმე ძესაცა, უკეთუ ღირს იყო ანუ ძალ-ედვა მოურნეობა მისი. ცხენი წარიყვანიან სამეფოთ, და ჭრმალსა მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთ-უხუცესი ძესა მის მომკუდრისასა, და დაწესიან ტაძრეულად ანუ სხუათა სამეფოთა მსახურებათა შინა ღირსებისაებრ"[3].

ახალ წესზე ვახუშტი წერს: „...არღაცა იყო ერისთავთა ცვალებანი,

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 17.
2 იქვე, გვ. 31.
3 იქვე, გვ. 31—32.

არამედ მკჳდრადნი...“[1]. აქვე განაგრძობს: „ხოლო აწინდელსა ჟამსა ჴელისუფალნი ეგრეთვე ყჳნიან, ვითარცა ზემო ითქუა, და ცხენიცა და ჴრმალიცა ეგრეთვე. არამედ ერისთობა და მთავრობა არღარა... რამეთუ შვილთავე მისთა ანუ სახლისკაცთა მისთავე მიუბოძიან, ეგრეთვე მთავართაცა“[2].

სათავადოს უფროსის (თავადის) უფლებამოსილება და ძალა, რა თქმა უნდა, მის ყმა-მამულის სიდიდეზე იყო დამოკიდებული; რამდენადაც ესა თუ ის სათავადო დიდი და ძლიერი იყო, იმდენად მისი მფლობელი (თავადი) დიდი უფლებებით და პატივით სარგებლობდა.

ო. სოსელიას განმარტებით, „სათავადო, თავადური გვარის წევრთა გაერთიანებულ, ერთ ფეოდალურ ერთეულად ორგანიზებულ სამფლობელოს ერქვა“[3]. მისივე განსაზღვრით, სათავადოს მოთავე „დიდებულ თავადად“ იწოდებოდა. როგორც წესი, დიდებული თავადის პატივს მხოლოდ სათავადო სახლის უფროსი ატარებდა. მისი სახლიკაცები კი „თავადიშვილებად“, ან „თავადად“ იწოდებოდნენ[4].

დიდებული თავადი, ანუ ფეოდალური სახლის უფროსი ყველა სახლისკაცზე მაღლა იდგა: ჯერ ერთი, იგი სათავადო სახლის საერთო ქონების გამგებელი იყო (ამ ქონებაში შედიოდა ყმა-მამული, ეკლესია-მონასტერი, ციხე-სიმაგრე, სარეწები, სხვადასხვა შემოსავალი და სხვ. ამ უძრავ-მოძრავ ქონებაში დიდებულ თავადს ყველაზე დიდი წილი — „საუფროსო“ ეკუთვნოდა); მეორეც, იგი განაგებდა სათავადოს მართვა-გამგეობას (ემორჩილებოდა სამოხელეო აპარატი); დიდებული თავადი განაგებდა სათავადოს პოლიტიკას (იგი იყო მეფის ან მთავრის უშუალო მოხელე, მოლაპარაკებას აწარმოებდა ყველა დაინტერესებულ პირთან და სხვ.). სხვანაირად რომ ვთქვათ, დიდებული თავადი (სათავადოს უფროსი) განაგებდა მთელი სათავადოს საშინაო და საგარეო საქმეებს. მიუხედავად ამისა, მას უნდა ემოქმედა წინასწარ შემუშავებული — დადგენილი წესებით, რაც სახლისკაცთა სურვილზეც იყო დამოკიდებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლებოდა კონფლიქტი მომხდარიყო და ფეოდალური სახლი, ცალკეულ სახლებად დაშლილიყო.

ო. სოსელიას დახასიათებით, სათავადოთა სისტემა „დასავლეთ საქართველოში პოლიტიკურ-ორგანიზაციულად უფრო სრულყოფილი, გამოკვეთილი და ცენტრთან უფრო სუსტად დამოკიდებული ფეოდალური სამფლობელო იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში“[5]. ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში თავადი უფრო სუვერენი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, რაც უთუოდ დასავლეთ საქართვე-

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 32.
2 იქვე.
3 ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 7—8.
4 იქვე, გვ. 8.
5 იქვე, გვ. 12.

ლოს ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეზე და შედარებით უუფლებობაზეც მეტყველებს.

რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოება შედგებოდა აგრეთვე სასულიერო წოდებისაგან, რომლის ნაწილი უმაღლეს სამღვდელოებას შეადგენდა, ნაწილი კი რიგით მღვდელმსახურებს. რაჭა-ლეჩხუმში შეინიშნებოდა ვაჭართა წოდების წარმომადგენლებიც, მაგრამ პროფესიონალ ვაჭართა რიცხვი არც თუ ბევრი იყო.

თავი მესამე

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XVII—XVIII საუკუნეებში

დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში XVII—XVIII საუკუნეები ერთ-ერთი უმძიმესი ხანა იყო. ქვეყანას აჩანაგებდა, ერთი მხრივ, საქართველოს დაქუცმაცება და ძმათამკვლელი-შინაფეოდალური ომები, ხოლო მეორე მხრივ, თურქ-ოსმალთა აგრესია და ბატონობა.

მას შემდეგ, რაც (XVI ს. ბოლოსა და XVII ს. დასაწყისში) ქართლისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანება მარცხით დამთავრდა, იმერეთის სამეფოს მესვეურებს დაუპირისპირდნენ დამოუკიდებლობისა და განკერძოების გზაზე მდგარი ერისთავ-მთავრები, რომელთაც თანდათან დიდი ძალა მოიპოვეს.

განსაკუთრებით გაძლიერდა ოდიშის მთავარი, რომელმაც ფაქტობრივად დამოუკიდებლობა მოიხვეჭა. სწორედ, იმერეთ-ოდიშის მეფე-მთავართა ირგვლივ დაჯგუფდნენ დასავლეთ საქართველოს ცალკეულ კუთხეთა მმართველი წრეები, რომლებიც XVII—XVIII საუკუნეების მთელ მანძილზე პირველობის მოპოვებას ესწრაფვოდნენ და ერთიმეორეს ექიშპებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უბოროტესი მტრები — ირანი და თურქეთი ერთიმეორის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებდნენ და მათ რუსეთის ძლიერი სახელმწიფოც უპირისპირდებოდა, საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს ვერ ეყოთ ძალა და გონიერება ირან-თურქეთის აგრესიისათვის თავისი მტკიცე ერთიანობა დაეპირისპირებინათ.

მართალია, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები თურქეთის წინააღმდეგ ერთიან მოქმედებაზე შეთანხმდნენ, მათ შაჰ-აბასისაგან დევ-

ნილი ქართლ-კახეთის სამეფოთა მესვეურებიც შეიფარეს და რუსეთსაც მიმართეს დახმარებისათვის, მაგრამ ყველაფერი ეს დროებითი იყო, ოდიშის მომძლავრებული მთავარი ლევან მეორე (1611—1657 წწ.) იმერეთის მეფე გიორგი მესამეს (1605—1639 წწ.) დაუპირისპირდა.

ოდიშის უძლიერესმა მთავარმა, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით, „ბოროტი, ხუანჯიანი, მზაკვარი და ამაყი იყო“ [1], მთელი დასავლეთ საქართველოს ხელში ჩაგდება და მეფობა მოიწადინა: „ამ მიზნის განსახორციელებლად ის ყოველგვარ ხერხს იყენებდა, სხვა მთავრებს უკავშირდებოდა ნათესაურად, დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქეთთან და რუსეთთან, ქმნიდა ძლიერ ჯარს და გამუდმებით ესხმოდა თავს იმერეთს...“[2]

ლევან დადიანმა XVII ს. 20-იან წლებში ნათესაური და პოლიტიკური კავშირები დაამყარა გურიის, აფხაზთა, ჯიქთა, სვანთა მესვეურებთან და იმერეთის თავად პაატა წულუკიძესთან, რაც, ბუნებრივია, იმერეთის მეფემ საშიშად მიიჩნია: „შემდგომად შემოიკრიბნა სპანი თჳსნი გიორგი მეფემან და განვიდა და დადგა გოჳორაულსა ზედა. მოვიდა ლევან დადიანიცა სპითა ოდიშ-აფხაზ-ჯიქთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყჳდნენ მრავალნი... იძლია მეფე გიორგი და ივლტოდა. მაშინ დადიანმა შეიპყრნა მრავალნი წარჩინებულნი და მდაბიურნი, აღიღო ალაფი და იავარი და წარვიდა ოდიშს“ [3].

მემატიანის ცნობით, 1623 წლის დეკემბრის ამ ომმა, არა მარტო მრავალი თანამოძმის სიცოცხლე შეიწირა, არამედ საფუძველი დაუდო ტყვეთა სყიდვას და ტყვეთჩაგდებულთა ფულით გამოსყიდვას; „ამით შემოჴდა ცხადად ტყჳს ყიდვა, რამეთუ სპათაცა მისთა ფარვით იწყეს თათართა (ე. ი. თურქთა — გ. გ.) ზედა ყიდვა ტყუეთა ნაშოვართა: და განმრავლდებოდა ესევითარი ჴდომა და უჯერობა იმერეთსა ზედა“[4].

დასავლეთ საქართველოს მფლობელთა შორის მტრობა კიდევ უფრო გაღვივდა. შეოთმა და შუღლმა ახლა დადიანის ბანაკშიც იფეთქა. ლევან დადიანის უსაშველო გაძლიერება გურიელსაც აშინებდა და აფხაზეთის. მთავარსაც (მითუფრო, რომ ეს უკანასკნელი თავისი ქალიშვილის გაგდებითა და დასახიჩრებით სასტიკად იყო დადიანისაგან შეურაცყოფილი), რომელთაც სცადეს ოდიშის მთავრის თავიდან მოცილება. დადიანს გადაუდგა საკუთარი ძმა იოსებიც.

აფხაზებმა არაერთხელ დალაშქრეს და ააწიოკეს მოსაზღვრე სამეგრელოს სოფლები, რის გამოც ოდიშის მთავარი იძულებული იყო აფხაზეთის საზღვარზე — ზღვიდან მთამდე სიმაგრეები აეშენებინა და იქ მუდმივი შეიარაღებული დაცვა დაეყენებინა.

ფართო შეთქმულების მიუხედავად, ლევან მეორემ ადვილად მოა-

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973, გვ. 825.
2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 341.
3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 826.
4 იქვე, გვ. 828.

ხერხა მოწინააღმდეგეთა დამარცხება, მან სვიმონ გურიელი ლანჩხუთის ბრძოლაში დაატყვევა, შემდეგ თვალები დასთხარა და გურიის ერისთავობაზეც ხელი ააღებინა. შემდეგ აფხაზეთის მთავარი შერვაშიძეც დაამარცხა და დაიმორჩილა. მოქნილმა და ცბიერმა დადიანმა შეძლო გურიელი და აფხაზეთის მთავარი იმერეთის მეფის წინააღმდეგ მოკავშირეებად გამოეყენებინა.

„საქართველოს მეფე-მთავართა აშლილობით სარგებლობდა ოსმალეთი და თავის საქმეს აკეთებდა: თანდათან იპყრობდა შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს, ავრცელებდა მაჰმადიანობას (სადაც ეს შესაძლებელი იყო) და ამ გზით ცდილობდა დაპყრობილი მხარეების სარწმუნოებრივ შემომტკიცებას“ [1]

საქმეში გარკვეული ზოგიერთი მისიონერის ცნობით, ოსმალეთის მბრძანებლები კმაყოფილი იყვნენ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ცალკეულ სამფლობელოებად დაშლით და მათი ურთიერთდაპირისპირებით, რადგან სხვანაირად შეუძლებლად მიაჩნდა მისი დამორჩილება. მითუფრო, რომ თვით ოსმალეთშიც არანაკლებ შინაფეოდალური არეულობა სუფევდა. ამასთან, თურქეთის სახელგანთქმული იანიჩართა ორგანიზაცია მოძველდა. ხოლო სამხედრო სისტემის რეორგანიზაცია დიდ სახსრებს მოითხოვდა და შეუძლებელი იყო.

სწორედ ეს იყო იმისი მიზეზი, რომ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში დასავლეთ საქართველო თურქეთის მხრიდან შედარებით მოსვენებული იყო.

აღმოსავლეთ საქართველოშიც მალე დამთავრდა შაჰ-აბასისა და მარტყოფ-მარაბდის გმირული ბრძოლების შემდგომი მშვიდობიანი პერიოდი. აქაც ფეოდალურმა არეულობამ იფეთქა, რომლის სული და გული იყვნენ ქართლის მოურავი გიორგი საკაძე და ზურაბ ერისთავი. საქმე ისე გართულდა, რომ მთელი საქართველოს მმართველი წრეები ორ ურთიერთმოწინააღმდეგე ბანაკად დაჯგუფდა. ერთ მხარეზე იყვნენ ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზი, ზურაბ ერისთავი, არაგვის ერისთავი, იოთამ ამილახვარი და სხვ. მეორე მხარეზე — გიორგი საკაძე, იმერეთის მეფე, მუხრანბატონი, ქსნის ერისთავი, სამცხის მფლობელი და ქართლის ზოგიერთი თავადი.

ბაზალეთთან 1626 წლის შემოდგომაზე მომხდარმა ძმათამკვლელმა — ტრაგიკულმა ბრძოლამ საბოლოოდ ჩაშალა არა მარტო საქართველოს ხელახალი გაერთიანების პერსპექტივა, არამედ ძლიერ შეარყია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თავდაცვისუნარიანობაც. ამასთან, საქართველოს გაბატონებულ წრეებს შორის ბრძოლა, ბაზალეთის ტრა-

---

1 მ. რეხვიაშვილი, დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში, თბ., 1978, გვ. 29.

2 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1943. გვ. 311.

გედიით როდი დამთავრდა, პირიქით, მან კიდევ უფრო გაართულა და გაამწვავა პატივმოყვარე ფეოდალ-თავადთა ქიშპი და წინააღმდეგობა.

ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზმა იმერეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე დაისიძა და გიორგი მეფე დაიმოკავშირა. ირანის ძალით ქართლის მეფედ დამჯდარმა როსტომ ხანმა დადიანის და მარიამი შეირთო, რითაც დასავლეთში მყარი პოზიცია შეიქმნა. ამასობაში ხიძის შესახვედრად წასულმა დადიანმა ბაღდადში (კაკას ხიდთან) გიორგი მეფე შეიპყრო და ოდიშში წაიყვანა. უფლისწული ალექსანდრე იძულებული გახდა მოხუცებული მამის გამოხსნაში დიდი ქონება გაეღო[1].

საქართველოს აშლილობას და ძმათამკვლელ შინა ომს მარტო ფეოდალთა პატივმოყვარეობა და პირველობისათვის მისწრაფება როდი იწვევდა, მას ირანისა და თურქეთის ძლიერი სახელმწიფოების მესვეურებიც აქეზებდნენ და ასაზრდოებდნენ. ეს ორი აგრესიული ქვეყანა ყოველგვარ ხრიკებსა და საშუალებას იყენებდა, რათა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა და წაექეზებინა ქართველი ფეოდალ-მფლობელები. თავისი კარიერისა და ბატონობის უზრუნველყოფის მიზნით უგნური და ბეცი ქართველი ფეოდალ-მფლობელები ადვილად ეგებოდნენ მტრის რჩევა-მოწოდებაზე, თავის მოძმე-მეტოქისაგან ქვას-ქვაზე არ ტოვებდნენ, ამით ქვეყნის ერთიანობასა და თავდაცვისუნარიანობას საფუძველსა და ძალას აცლიდნენ.

კახეთისა და ქართლის აოხრებისა და დამორჩილების შემდეგ XVII საუკუნის 30-იან წლებში ირანის შაჰმა დასავლეთ საქართველოს დასუსტება და, შესაძლებლობის შემთხვევაში, დამორჩილება მოიწადინა, რადგან ის, ერთი მხრივ, თავის მოწინააღმდეგე აღმოსავლეთ საქართველოს მეფე-მოღვაწეთა დასაყრდენი შეიძლებოდა გამხდარიყო, მეორე მხრივ, მეტოქე თურქეთის მოკავშირე.

ირანის შაჰმა იმერეთის სამეფოს (ფაქტობრივად ოდიშისაც) მოთხრა და დამორჩილება შინგამცემის — დადიანის მეშვეობით სცადა. მან გამაჰმადიანებული როსტომ ხანის (ქართლის გამგებლის) მეშვეობით ლევან დადიანს 50 ათასი მარჩილი გამოუგზავნა და წელიწადში 1000 თუმანი ხელფასი დაუნიშნა, რითაც დადიანი ირანის სამუდამო აგენტი და ხელდებული მოკავშირე გახდა[2].

ივ. ჯავახიშვილისა და კ. გრიგოლიას რწმუნებით, ირანისათვის დადიანთან კავშირი უაღრესად ხელსაყრელი იყო, რადგან ამით მან დასავლეთ საქართველოს დასაპყრობი პლაცდარმი და მოკავშირე გაიჩინა[3].

თავის მხრივ, ოსმალეთიც არაფერს ზოგავდა არა მარტო დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს ხელში ჩასაგდებად. ამით ის არა

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 828—829.

2 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925, გვ. 33.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 33; კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, XIII, 1942, გვ.155.

მარტო ირანის შევიწროებას და კავკასიის დაპყრობას ცდილობდა, არამედ სამხრეთის მიმართულებით რუსეთისათვის ხელ-ფეხის შეკვრასაც.

იმერეთში გაძევებული თეიმურაზ მეფე თავის იმედებს ოსმალეთის მხარდაჭერაზე ამყარებდა, მაგრამ 1635—1639 წლების ომში ირანმა და ოსმალეთმა ერთიმეორეს ვერცერთმა ვერ ძლია. 1555 წ. საზავო ხელშეკრულების შესაბამისად მათ საქართველო გაიყვეს (იმ განსხვავებით, რომ ახლა მთელი სამცხე ოსმალეთს ხვდა), რაც 1723 წლამდე დარჩა ძალაში. ამდენად, თეიმურაზის იმედიც გაქარწყლდა.

როგორც ვნახეთ, ირანმა და ოსმალეთმა საქართველო ამჯერადაც შუაზე გაიყვეს. თავის სარგო ნაწილს ორივე აგრესორი პირად საკუთრებად თვლიდა, ამიტომ მის მართვა-გამგეობასაც საკუთარ საქმედ მიიჩნევდა. საკმარისი იყო საქართველოს რაიმე გადახრა ან საეჭვო მოქმედება, რომ როგორც ირანი, აგრეთვე ოსმალეთი მყისვე გამანადგურებელ ლაშქრობას აწყობდა. ყოველ შემთხვევაში, მის ცალკეულ მფლობელ-მმართველებს ერთიმეორეს გამუდმებით უსისინებდა და ძმათამკვლელ ომში აბამდა.

იმერეთის მეფე ალექსანდრეს თეიმურაზთან დამოყვრებამ ვერაფერი უშველა. უფრო მეტი, ძალაუფლებადაკარგულ მეფესთან კავშირმა მას როსტომხანის, შაჰის, დადიანისა და მათი მომხრეების სახით მხოლოდ მტრები გაუმრავლა. განსაკუთრებით საშიში იყო დადიანი, რომელიც იმერეთის ყურისძირში ცხოვრობდა და ქართლისა და ირანის მბრძანებლების მიერ იყო ზურგგამაგრებული.

მემატიანის ცნობით „...ლევან დადიანი არა დასცხრა და უჭდებოდა მარადის იმერეთს შობას, ნათლისღებას, აღდგომას და ყოველთა დღესასწაულთა შინა... ამით აოჭრებდა სანახებსა იმერეთისასა, ვიდრე ვერღარა წინაღუდგა ალექსანდრე მეფე და მოავლო ზღუდე ქუთათისს დიდი და მოიყვანნა ყოველთა წარჩინებულთა თჳსთა ცოლშვილნი და დაადგინნა მას შინა და თჳთცა იმყოფებოდა მასვე შინა, რათა არ მიერთნენ დადიანსა ჰყო. მისთჳს“ [1].

სხვადასხვა საშუალებით გაძლიერებულ-გამდიდრებული დადიანი ფუფუნებაში ცხოვრობდა: უდიდესი სასახლე აიშენა, რომელიც მდიდრულად მორთო და ოქრო-ვერცხლის ჭურჭლეულით გაავსო. სხვათა შორის, მან ვაჭრობა-აღებმიცემობაც გააძლიერა და, მკაცრი რეჟიმის შემოღებით, ქურდ-აჯაზაკობაც შეამცირა.

ბუნებრივია, დადიანის ჭიდილს მეფესთან უდიდესი ზიანი და მსხვერპლი მოჰქონდა, არა მარტო ოდიშისა და იმერეთისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. ამისი ერთი მაგალითია ლევან მეორე დადიანის 1645—1646 წლების ლაშქრობა იმერეთში. ა. ლამბერტის გადმოცემით, იმერეთის მეფესთან ომისათვის დადიანი სპეციალურად მოემზადა. სხვადასხვა იარაღის შეძენა-დამზადებასთან ერთად, მან ფრანგ ხელოსანს

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 829.

ზარბაზნებიც ჩამოასხმევინა და ყოველმხრივ მომზადების შემდეგ ალუა შემოარტყა ქუთაისის ციხეს, სადაც მეფე და მისი ამალა იმყოფებოდნენ. მართალია, დადიანმა ციხე ვერ აიღო, მაგრამ მან მრავალი ადამიანი გაჟლიტა და ტყვეებითა და ნადავლით გამდიდრებული დაბრუნდა[1]. თანამედროვეთა გადმოცემით, ასეთ თავდასხმას დადიანი ხშირად აწყობდა და შინ ყოველთვის ტყვებითა და დიდი ნადავლით ბრუნდებოდა. თანამოძმეთა ძარცვა-რბევით გაზვიადებული დადიანი ეკლესია-მონასტრებსაც წყალობდა და ძვირფასი ჯვარხატებითაც ამკობდა.

სხვათა შორის, ერთ-ერთ ხატში, რომელიც დადიანმა სვანეთის ფხოტერერის ეკლესიას უძღვნა საჩუქრად, აღწერილია 1645—1646 წლების ლაშქრობები იმერეთში. ხატზე ვკითხულობთ: „...ჩუენ, ჴელმწიფემან დადიანმა პატრონმა ლევან, მოველაშქრენით მეფესა ალექსანდრესა და მის ძმას მამუკაზედა და მოვედით ქუთაის ციხის საბრძოლად, თავად მეფე, სრულ იმერელნი და სვანი ლენტეხელნი* და საფარ-ფაშის მეთოფეები ბევრი ახლდა, ციხესა და ჯებირშიდან იდგენ. ჩუენ მივედით და სოფია წმიდის საყდარი მეთოფეებით აევსო, გაემაგრებინა. უყავით ღამით იერიში და საყდარი წავართვით. რაცა მეომარი მეთოფეები იდგა, ყველა გამოვასხით. ჯებირს გარეთ ორი დიდი ქვის პალატი იყო ძველთაგან ნაშენები და ის მეთოფეთა და მეომრის კაცით აევსო და გაემაგრებინა. სოფია წმიდის საყდართანა დიდი ზარბაზანი მივიტანეთ და იქიდაღმა დაუწყეთ სროლა და ცემა იმ ქვის სახლებსა, და დავამტვრიეთ ზარბაზნებითა, და მრავალი კაცი შიგ მდგომნი დავხოცენით. მერე იერიში უყავით და იქით მეფემ გამოაშველა ლაშქარი, დაუშინეს ერთმანეთსა თოფითა სროლა და საკვირველი ომი შეიქნა, მრავალი კაცი დაიხოცა იქითაცა და აქითაცა. იქით მოკვდა თავადი და აზნაურიშვილი: გიორგი ლორთქიფანიძე, ელიზბარ ლოლაძე, ორი ძმა ახულედიანი... და კვირიკე, სხუა ზოგი დაიხოცა და ზოგი დაიკოდა, და წავართვით ის ქვის პალატები... ციხეზედანს... ზარბაზნები ვერ მიუტანეთ, მისატანი ალაგი არ გვქონდა. წამოვედით დაბლა რიონის... პირსა დავდეგით... სასახლის ქვის სახლებს დაუწყეთ ზარბაზნებითა სროლა და ცემა. დავამტვრიეთ ის ახალი... ქვის პალატი, თუით ალექსანდრე მეფისაგან აშენებული, გაუსივეთ ლაშქარი გაღმა ქუთაისის ქალაქსა, დავსწვით და მოვაოხრეთ, მრავალი იშოვეს და წამოვედით გამარჯვებული, მოვედით ოდიშს ძიგურს და ერთი კვირეა... ოსულა... ვქვენით იღლარი, ცხენის წყალს შემოვიღამეთ. ის ღამე ვიარეთ და გათენების დროს... სასახლესა და ქალაქს, უწინდელისაგან ოთხი და ხუთი ზომა საშოვარი ალაფი და ტყვეები ვიშოეთ, რომ ლაშქარი ძლივ დაერივა, და წამოვედით გამარჯვებული...“[2].

დადიანის ლაშქრობა იმერეთში ამით როდი დამთავრდა. ირანის

---

[1] ა. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, ა. ჭყონიას თარგმანი, თბ., 1938, გვ. 92.

* ჩანს, ლეჩხუმი და მისი მიმდებარე სვანეთი იმერეთის სამეფოში შედიოდა.

[2] ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 411.

მფარველობითა და წაქეზებით გალაღებული ოდიშის მთავარი მთელ თავის ძალასა და ენერგიას იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლას ახმარდა. იგი თითქმის ყოველთვიურად აწიოკებდა მეზობელ სამეფოს სოფლების, დაბებისა და ქალაქების მოსახლეობას. ამისი მაგალითია 1646 წ. თებერვლის ლაშქრობაც. დადიანის სახელით დაწერილ ფხოტერერის იმავე ხატის წარწერაში ვკითხულობთ: „...შევასვენეთ ლაშქარი და ცხენი და კიდევ გავილაშქრენით იმერეთზედ თვესა თებერვალსა და მივედ... ურიას აჯამეთს, დავსწვით და ავაოხრეთ, მივედით... ჩხარის ქალაქსა და... იქ დავდეგით და სოფლები და ნაშ...რულ დაწვეს და ააოხრეს სქანდა... დავსწვით ვარდის გორა და ჩიხორი ქალაქი დე ესკა... დეთ არგვეთს, რუთ...ს, ...აახლეს დავდეგით და იქიდალმა ჩუენმა ლაშქარმა სრული არგვეთი და ჭალა-ტყეს რაც სასახლე და სოფლები იყო დაუწვავი და აუოხრებელი არა დააგდეს რა. აქიდალმან ავიყარენით და თერჟოლს პათთაც და გოფანთოს მხეიძის სასახლეს დავდეგით, და იქიდალმა, სადაც ლაშქარი მოუწვევდა, დაუწვავი და აუოხრებელი არ დააგდეს რა. წამოვედით გამარჯვებული და ნაშოვრით სავსე, რომ ლაშქარი ვერ დაერივნეს, ბალახოვანზე რიონს გამოვედით და ქუთაის ციხიდალმა მეფე და სრულ იმერელი ლაშქარი შეყრილი თვალით გვიმზერდნენ, მისის თემისა და ქვეყნის ამოწყვეტას ხედავდა, იმდენი ნაშოვრის ტყვეების ჟღიეილი ყურით ესმოდა. მაგრამ ციხიდალმა თავი არ გამოყვეს და ვერცარა დაგვაკლეს, ასე შევარცხვინეთ და წამოვედით ოდიშს გამარჯვებული...“[1].

დრო გადიოდა, მაგრამ ლევან დადიანი არ ცხრებოდა, დღენიადაგ იმერეთს აოხრებდა. ერთ-ერთი შეტაკების დროს დადიანის რაზმმა ტყვედ ჩაიგდო ვაჟკაცობითა და სილამაზით განთქმული მამუკა ბატონიშვილი (მეფის ძმა). მიუხედავად იმერეთში ლტოლვილი თეიმურაზ მეფის ხვეწნა-მუდარისა და ალექსანდრე მეფის მიერ ერთადერთი ვაჟიშვილის — ბაგრატის მძევლად მიცემისა, გათავხედებულმა დადიანმა მამუკა ბატონიშვილი არ გაანთავისუფლა და „წარავლინა კაცნი ალმოვადნა თუალნი მამუკას მეფის ძესა ციხესა შინა პატიმარსა“[2]. უმწეო მდგომარეობაში მყოფი, თვალებდათხრილი მამუკა 1659 წ. ტყვეობაში გარდაიცვალა[3].

დადიანისაგან და სხვა მოწინააღმდეგეთაგან შეღონებული ალექსანდრე მესამე ხსნას რუსეთის მეფის დახმარებით ეძიებდა, მაგრამ იქ გაგზავნილმა ელჩებმა ხოსია და ლომკაცმა ჯაფარიძეებმა, გიორგი არეშიძემ და სხვებმა მას სანუგეშო პასუხი ვერ მოუტანეს.

ლევან დადიანი მეფის ჩვეულებრივი დამარცხებით როდი კმაყოფილდებოდა, იგი მის სამფლობელოს საბოლოო ამოწყვეტით ემუქრებოდა. დადიანმა არაერთი ლაშქრობა მოაწყო, დაანგრია ქუთაისი, მიწასთან გა-

---

[1] ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია... გვ. 411—412.
[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 832.
[3] სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივლიევის ელჩობა იმერეთში 1650—1652 წწ. მ. პოლიევექტოვის გამოც., 1926, გვ. 182.

ასწორა ზოგიერთი ეკლესია-მონასტერი, მრავალი გლეხი მოსპო, დატყვევებულთაგან მრავალი ოსმალებს მიჰყიდა, დანარჩენსაც თავი წვალებით გამოასყიდვინა.

პროგრესულ თანამედროვე მოაზროვნეთა შეფასებით, დადიანის მუხანათური და ულმობელი მოქმედება არა მარტო მის უშუალო მოწინააღმდეგეებს აღაშფოთებდა, არამედ ზოგიერთ მოკავშირესა და შინაურსაც. მაგალითად, როდესაც როსტომ მეფესა და მარიამ დედოფალს (ლ. დადიანის დას) ლ. დადიანის მიერ დატყვევებული მამუკა ბატონიშვილის წამებით მოკვლა შეუტყვიათ, მათ გლოვა გაუმართავთ და დადიანი დაუწყევლიათ[1]. ასევე, იმერეთის არაერთი დარბევის გამო მეგრელ გლეხს ლევან დადიანი ეკლესიაში დაუწყევლია და ომში სიკვდილი უსურვებია[2].

გ. ჯამბურიას შეფასებით, ამ ფაქტებში არ შეიძლება არ დავინახოთ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ლევან დადიანის მოქმედებისადმი[3].

აღსანიშნავია ისიც, რომ სამეგრელოს ხსენებულ მთავარს არავითარი დადებითი წვლილი არ შეუტანია ირანელ დამპყრობთაგან აღმოსავლეთ საქართველოს დაცვაში. რასაკვირველია, ყველაფერი ეს (მიუხედავად სამთავროს გაძლიერებისა), ლევან დადიანს რეაქციონერად წარმოგვიდგენს.

ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის სამეფომ ერთხანს დაისვენა. ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: ოდიშის მთავრად დაჯდა ლიპარიტ დადიანი (ლევანის ძმა, ნაშობი ათაბაგის ქალისაგან), რომელსაც მოწინააღძდეგე ჯგუფმა ვამიყ ლიპარტიანი (გიორგი ლიპარტიანის შვილი ჭილაძე დარეჯანისაგან, ე. ი. ლევან მეორის გერი) დაუპირისპირა[4].

ოდიშის მმართველ წრეში ატეხილი არეულობით ახლა იმერეთის მეფემ ისარგებლა: „...მეფემან ალექსანდრემ შემოიკრიბა სრულიად სპანი იმერთანი და წარვიდა ოდიშს შურისგებად, ამას ვერ წინაღუდგა ლიპარიტ დადიანი, შევიდა ალექსანდრე ოდიშს, მოსწყვდნა, მოსტყუევნა, მოაოჯრნა, აღიღო ციხენი, გამოიღო საგანძურნი და ქონებანი ლევან დადიანისანი, შეიპყრნა წარჩინებულნი სრულიად ოდიშისანი და დაჭსნევინა ვეცხლით ყოველთა თავნი, გამოუხუნა მათვე ძენი მძევლად და დასუა ოდიშს დადიანად ვამიყ... და თვთ დაიპყრა უნაგირას-აქეთი აღმოსავლეთის კერძი და უნაგირას-იქითი დასავლეთისა მისცა ვამიყს“[5].

მდგომარეობა ასე ერთბაშად როდი მოგვარდა, ძალაუფლებაწართმეულმა ლიპარიტმა დახმარებისათვის ქართლის მეფესა და ახალციხის ფაშას მიმართა. მათ შეუერთდნენ ქაიხოსრო გურიელი და ჭილაძე-მიქელაძეებიც.

---

[1] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 261.

[2] С. А. Белокуров. Посольство Дьяка Федота Елчина и св. Павла Захарьева в Дадианскую землю (1639—1640 гг.). Москва, 1888, с. 371.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევი, IV, გვ. 339.

[4] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 832.

[5] იქვე, გვ. 834.

ლიპარიტ დადიანისა და იმერეთის მეფის მომხრეებს შორის ბრძოლა გაჩაღდა 1658 წ. ბანძაში, სადაც ორივე მხრიდან მრავალი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ალექსანდრე მეფემ გაიმარჯვა. ლიპარიტ დადიანი და ქაიხოსრო გურიელი დახმარების სათხოვნელად ჯერ ახალციხეში გაიქცნენ, შემდეგ კი სტამბულში[1].

მართალია, ხონთქრის ბრძანებით და ახალციხის ფაშას ჯარის მეშვეობით ქაიხოსროომ გურიელობა დაიბრუნა, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ის მალულად მოკლეს და გურიელად კვლავ დემეტრე (სვიმონისძე) დაჯდა. ამასობაში, 1660 წ. მარტში იმერეთის მეფეც გარდაიცვალა და მმართველმა წრეებმა ისევ არეულობა ატეხეს.

იმერეთის მეფე 1660 წ. ალექსანდრეს მემკვიდრე ბაგრატი გახდა, მაგრამ მას ვერც ძალა და ვერც გონება ეყო დამოუკიდებელი მეფე ყოფილიყო. ქვეყანას ფაქტობრივად მისი დედინაცვალი დარეჯანი განაგებდა[2].

რამდენიმე თვის შემდეგ დარეჯანმა ბაგრატს თვალები დასთხარა და მის ნაცვლად მეფედ თავისი ახალი ქმარი — ვახტანგ ბაგრატიონი (ჭუჭუნეიშვილად წოდებული) გამოაცხადა. მაგრამ ქვეყნის მშვიდობიანი მართვა არც მას დასცალდა. ქვემო იმერეთის თავადებმა და ვამიყ დადიანმა მეფე-დედოფალი შეიპყრეს (ჭუჭუნეიშვილს თვალები დასთხარეს) და მეფედ ვამიყ დადიანი დაჯდა. დავა არც ამით დასრულდა, ზემო იმერეთის თავადებმა, რაჭის ერისთავმა და ლეჩხუმის ბატონმა ხოსია ლაშხიშვილმა იმერეთის მეფედ ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთე (შაჰ ნავაზ-ხანად წოდებული) მიიპატიჟეს. ბოლოს ვამიყ დადიანი და ვახტანგ მეხუთე შეთანხმდნენ და იმერეთი შუაზე გაიყვეს (მდ. ბუჯისწყლის აღმოსავლეთი ქართლის მეფემ შეიერთა, დასავლეთი დადიანმა)[3]. სხვათა შორის. ეს ფაქტი აღნუსხულია „არჩილიანშიც“, სადაც ვკითხულობთ:

„წამოდგა მეფე ქართლისა და ვამიყ დადიანიცა,
იმერეთზედა ილაშქრეს, მთიდამ ალაღდა სვანიცა,
დამოყვრდნენ, შუა გაიყვეს მთა-ბარის შუაგანიცა“[4].

საქმე არც იმერეთის გაყოფით მოგვარდა, დემეტრე გურიელისა და ზემო იმერეთის თავადების მხარდაჭერით ქართლის მეფემ ჯერ მთელი იმერეთი დაიკავა, შემდეგ ოდიშში გაილაშქრა. ვამიყ დადიანი გაძევა (მისი ცოლ-შვილი დაატყვევა), ხოლო დადიანად შამადავლე — ლევან მესამედ წოდებული (1661—1680 წწ.) დასვა.

აღსანიშნავია, რომ ქართლის მეფემ აფხაზეთის მთავარი და გურიელიც დაიმორჩილა, ხოლო ლეჩხუმის ბატონის (თავადის) ხოსია ლაშხიშვილის მეშვეობით სვანეთში გახიზნული ვამიყ დადიანიც მოაკვლევინა[5].

---

1 ქრონიკები, წ. II, ტფ., 1897, გვ. 470—471.
2 ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 271.
3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 835.
4 არჩილიანი, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედ., II, გვ. 125.
5 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 836; შარდენის მოგზაურობა, მ. მგალობლიშვილის გამოც., თბ., 1975, გვ. 240.

სხვათა შორის, დარეჯან დედოფალი და მისი მომხრე თავადები იმერეთში თეიმურაზ პირველის ან ერეკლე ბატონიშვილის გამეფებას მოითხოვდნენ, მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ პაპუნა ერისთავი, დადიანი და სხვ., რომლებიც რუსეთის სამეფო კარზე მყოფი ელჩების განცხადებით, იმერეთის ორ-მესამედს ფლობდნენ[1].

ო. სოსელიას მართებული დასკვნით, ამიერიდან რაჭის ერისთავებიც ებრძვიან ცენტრალურ ხელისუფლებას და ხელს უწყობენ იმერეთის გათიშულობას[2].

მოწინააღმდეგეთა განადგურების შემდეგ ქართლის მეფე ვახტანგმა იმერეთის ტახტზე თავისი მემკვიდრე, 14 წლის არჩილი დასვა, ხოლო უსინათლო ბაგრატი თავისთან წაიყვანა.

ისტორიული წყაროები ვახტანგს საქართველოს გამაერთიანებელ, პროგრესულ მეფედ წარმოგვიდგენს: „მეფობდა მეფე შანავაზ სამთავე სამეფოთა: ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა ზედა, ესრეთ განდიდნა და აღემატა მეფობა და სიმდიდრე მისი საქართველოსა შინა“[3].

მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს გაერთიანება არამყარი და დროებითი აღმოჩნდა, რადგან საქართველოს სახელმწიფო მესვეურებმა ვერ შეძლეს ვერც ქვეყნის შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევა და ვერც ირან-თურქეთის აგრესიის შეჩერება.

რაკი საქართველო ირან-თურქეთს შორის იყო განაწილებული, ირანის ქვეშევრდომი — ქართლის მეფე იძულებული გახდა იმერეთიდან თავისი მემკვიდრე უკან გაეწვია. ამის შემდეგ იმერეთის მეფობა ჩაიგდო დიმიტრი გურიელმა, რომელიც ოდიშსაც იჩემებდა, მაგრამ ქართლის მეფის დახმარებით იმერეთის თავადებმა მას თვალები დასთხარეს, ხოლო მეფედ ბაგრატი აღადგინეს[4].

ჩანს, ლევან მესამემაც დაიბრუნა დადიანობა, რომელმაც ბაგრატ მეფის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა[5]. სიცოცხლისა და დადიანობის შენარჩუნების მიზნით ლევანი იძულებული გახდა ბაგრატ მეფისათვის დაეთმო სილამაზით განთქმული მეუღლე თამარი (მეფე მის დას გაეყარა), სამაგიეროდ, დადიანს თავისი და — თინათინი (გოშაძის ნაცოლარი) შეართვევინა.

დასავლეთ საქართველოში XVII ს. 60-იანი წლებიდან შინაფეოდალური არეულობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ზომიერებადაკარგული

---

1 ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, 1973, გვ. 119; ნ. ასათიანი, მსალები XVII ს. საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 42—43; გ. პაიჭაძე, მასალები... საისტორიო მოამბე, № 23—24, გვ. 153—156.

2 ო. სოსელია, დასახელებული შრომა, გვ. 119.

3 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 440.

4 ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1922, გვ. 62.

5 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 837.

თავადები თავიანთი კეთილდღეობისა და პირველობისათვის იბრძოდნენ: „არამედ ჟამებთა ამათ შინა განიდიდნენ მთავარნი და ბიტაცებდიან თჳს — თჳსთა მჴარეთა და არღარა იყო მორჩილება ეგდენი მეფეთა; იწყეს ტყჳს ყიდვა სააჯმნოდ ქრისტეს მოსყიდულთა მაჰმადიანთა ხედა. კუალად ჴდომა, შფოთი, კირთება ერთმან მეორესა ზედა და ოჴრეთა ქუეყანათა"[1].

ტახტზე დაბრუნების შემდეგ ბაგრატმა შვიდი წელიწადი იმეფა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე საერთოდ არ შენელებულა მეფე-მთავართა და თავადთა შორის ძმათამკვლელი ომი, აგრეთვე მეზობელ ოსმალთა ამაწიოკებელი თავდასხმები. ამასთან დაკავშირებით, 1664 წ. საეკლესიო გუჯარში ნათქვამია: „წილად ხდომილი ერი შენი ესრეთ იწროებასა, ოხრებასა და მწუხარებასა შინა იყო ხუთს წელიწადს, რომ ესე ვითარი არაოდეს მოსულიყო ესრეთი შფოთი და ურვა"[2].

1666 წ. ბაგრატ მეფეს სახლთუხუცესი სეხნია ჩხეიძე განუდგა. მან ახალციხის ფაშას ქუთაისის ციხე ჩააგდებინა ხელში. თუმცა მეფის რაზმმა, მოურავ ბეჟან ლორთქიფანიძის მეთაურობით, 1667 წ. ოსმალთა მეციხოვნეები გაჟლიტა და ქუთაისის ციხე დაიბრუნა.

ამასობაში ახალციხეში გაქცეულმა დარეჯანმა ფაშა მოისყიდა და ოსმალთა ჯარით იმერეთში გამოსწია. მას შეეგებნენ დაბრმავებული მეუღლე ჭუჭუნეიშვილი, დადიან-გურიელი და სეხნია ჩხეიძე, რომელთაც თავისი რაზმებითა და მაჰმადიანი ჯარით იმერეთი დაარბიეს, გაძარცვეს და მოსტყვევნეს, ხოლო დარეჯანსა და მის მეუღლეს საძეფო ტახტი დაუბრუნეს[3].

როგორც ჩანს, შედარებით მშვიდი ვითარების წყალობით (რასაც გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეუწყო ხელი) რაჭა და ლეჩხუმი გაძლიერდნენ. XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული ამ მხარეთა თავადები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კერძოდ, ცენტრალურ ხელისუფალთა ცვლაში და, ამდენად, შინაფეოდალურ არეულობაშიც.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დარეჯანისა და ვახტანგის ერთ-ერთი დასაყრდენი და დაახლოებული პირი იყო ლეჩხუმის თავადი ხოსია ლაშხიშვილი, რომელიც მოწინააღმდეგე დაჯგუფებამ მოისყიდა და მეფე-დედოფალს დაუპირისპირა. მან 1668 წ. დარეჯან დედოფალი მოკლა. მალე ასეთივე ბედი ეწია ვახტანგ ჭუჭუნეიშვილსაც[4].

იმერეთის ფეოდალთა ჯგუფმა მეფედ დემეტრე გურიელი დასვა, მაგრამ მოკლე ხანში ისიც შეთქმულების მსხვერპლი გახდა: „შემდგომ მცირედისა ჟამისა შეიპყრეს დემეტრე გურიელი იმერთა, აღმოჴადნეს თუალნი და განაძეს"[5].

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 838.
2 ქრონიკები, II, გვ. 481.
3 ქართლის ცხოვრება, IV, 839—840.
4 ი ქ ვ ე, გვ. 839; შარდენის მოგზაურობა, გვ. 246.
5 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 839.

1669 წ. უსინათლო ბაგრატმა მეფობა კვლავ დაიბრუნა, მაგრამ მას ისევ სეხნია ჩხეიძის ჯგუფი დაუპირისპირდა. ამ მედროვე თავადმა იმერეთს, ერთი მხრივ, ოსმალები შეუსია, მეორე მხრივ, თავისი და დადიანის ლაშქარი. „ხოლო ბაგრატ მეფემან შემოიკრიბა რაჭა-ლეჩხუმი და ოკრიბელნი. შეიბნენ ჩხარს, იქმნა ბრძოლა და მოსწყდნენ ორგნითვე, იძლია სეხნია ჩხეიძე, მოკლეს იგი და მოსწყდეს სპანი მისთანანი“[1].

ჩხარის ბრძოლაში დამარცხებული დადიანი მეფეს მოსვენებას არ აძლევდა. მას იმერეთის უკმაყოფილო თავადებიც მიადგნენ. ბაგრატ მეფე იძულებული გახდა რაჭაში გაქცეულიყო, ხოლო დადიანმა და მისმა მომხრეებმა გეგუთი და მისი ახლომახლო სოფლები და დაბები დაარბიეს. „მაშინ ბაგრატ მეფემან შემოიკრიბა რაჭა-ლეჩხუმი და რაოდენიმე იმერნი მის თანა, ჩამოვიდა, ეწყო გეგუთს დადიანსა; ბრძოლას იძლია დადიანი, მოსრნეს სპანი მისნი და ლტოლვილი დადიანი შეიპყრეს კუალად და მის თანა მრავალნი სხუანი, მოართუეს ბაგრატ მეფესა და დაიპყრა იმერეთი“[2].

როგორც ჩანს, დატყვევებულმა ლევან მესამემ თავისი საქციელი მოინანია, მეფის წინაშე ერთგულებაზე დაიფიცა და თავისუფლება მოიპოვა.

ცოტა ხნის შემდეგ მეფეს გიორგი გურიელი დაუპირისპირდა. ამის მიზეზად ვახუშტი თამარ დედოფლის ტრფიალს მიიჩნევს. ამასთან, გურიელს იმერეთის მეფობის ჩაგდებაც სურდა. ვახუშტი ბაგრატიონი გურიელს რჩეულ და მხნე მშვილდოსან-მოასპარეზე ვაჟკაცად ახასიათებს, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც უღვთო, უმოწყალო და ტყვის მყიდველს[3]. გიორგი გურიელმა ბაგრატ მეფე ხონთქართან ორგულობაზე დაასმინა, თან დიდი ქრთამის ფასად ახალციხის ფაშა მოისყიდა და ოსმალთა ჯარით იმერეთში გასწია. მეფემ თავისი მეუღლე რაჭაში (კუარას ციხეში) გახიზნა, ხოლო თვითონ ლაშქარი შეკრიბა და 1672 წ. ქუთაისში შესულ მტერს შეება. მეფეს ძალა არ ეყო და მტერმა დაატყვევა.

ახალციხის ფაშა მარტო გურიელისაგან მიღებულ ქონებას, აგრეთვე იმერეთში ჩაგდებულ ტყვეებს არ დასჯერდა და, გურიელთან ერთად, ოდიშსაც შეესია. „მძიმე სანახავი იყო, — აღნიშნავს შარდენი, — თუ როგორ გარბოდა ეს უბედური ხალხი. დედაკაცებს მიჰყავდათ ბავშვები და მიჰქონდათ ფუთები, მამაკაცებს კი ბარგი. ერთნი საქონელს მიერეკებოდნენ, მეორენი საოჯახო ნივთებით სავსე ურიკას მიაგორებდნენ. გზაზე გვხვდებოდნენ ძალაგამოლეული ცოცხალმკვდარი ადამიანები. გვხვდებოდნენ მოხუცები, პატარა ბავშვები, რომლებსაც სიარული არ შეეძლოთ და საშინელი კვნესა-ტირილით ითხოვდნენ შველას. ეს იყო სასოწარკვეთილების, მწუხარებისა და ვარამის მოთქმა“[4]. ამის მხილველი ჟან შარ-

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 839—840.
2 იქვე. გვ. 840.
3 იქვე.
4 შარდენის მოგზაურობა, გვ. 206.

დენი (რომელიც დადიანთან იმყოფებოდა) დეტალურად აღწერს იმ საშინელ სურათს, რაც მტერმა სამეგრელოში ჩაიდინა. გარდა იმისა, რომ ისინი მოწინააღმდეგეს ფიზიკურად სპობდნენ, მათ ოთხბავშვიანი ოჯახიდან ერთი ხარკად მიჰყავდათ: „ეს იყო მეტად გულსაკლავი სანახაობა, როგორ გლეჯდნენ დედას მკლავებიდან საბრალო ბავშვებს, კრავდნენ მათ ორ-ორად და მიჰყავდათ თურქებთან"[1]. ამასთან, შარდენი წერს: „თურქები და გურიის მთავარი, თავიანთი ჯარებით, სამეგრელოს დასალაშქრად მოეშურებოდნენ, თითოეულ მათგანს იარაღი აეღო ხელში და იწყებდა ბრძოლას; ისინი ძარცვავდნენ თავიანთი მეზობლების სახლებს და ყველგან, სადაც კი წააწყდებოდნენ, იტაცებდნენ ადამიანებს და პირუტყვს"[2].

სამეგრელოში შეჭრილმა ოსმალებმა რუხის ციხე-სიმაგრეში შეხიზნულ დადიანს რამდენიმეჯერ მისცეს წინადადება დანებებულიყო. მაგრამ სასტიკი უარი მიიღეს, რადგან „დადიანის ციხე-სიმაგრე კარგად იყო დაცული სვანების მიერ, რომლებიც მისმა ვეზირმა* გამოუგზავნა და რომლებიც დადიანზე უფრო თვლიდნენ თავს ციხის ბატონ-პატრონად"[3].

მართალია, ოსმალებმა დადიანი ვერ დაატყვევეს. მაგრამ, სამაგიეროდ, ოდიში დაარბიეს და ორი ათასი ტყვითა და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ უკან.

ამის მომსწრე შარდენი მარტო აღნიშნული ლაშქრობის აღწერით როდი კმაყოფილდება, მისი თხზულება პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს ეპოქის საერთო დახასიათებისათვის. შარდენის აზრით, ქართველთა ყოველი უბედურების მიზეზი იყო ერთიანი სახელმწიფოს დაშლა, მათი განცალკევება სხვადასხვა ნაწილად და ურთიერთდაპირისპირება. მისიონერის რწმუნებით, ის ქართველები, რომლებიც თურქებს ემხრობოდნენ, თავდაპირველად სარგებელს ღებულობენ, მაგრამ შემდეგ მათი მოხარკე ხდებოდნენ. ასეთი ბედი ეწია გურიას, იმერეთს და სამეგრელოს.

შარდენის ცნობით, ოსმალებისადმი იმერეთის მეფის გადასახადი შეადგენდა ოთხმოცი გოგონას და ყმაწვილს, გურიის — ორმოცდაექვსს, სამეგრელოს მთავრის — სამოცდაათი ათას აბშინ სელის ტილოს[4]. მისივე გადმოცემით, თურქებს მოსაზღვრე საქართველოდან ყოველწლიურად შვიდი-რვა ათასი ტყვე გაჰყავდათ[5]. შარდენმა სამეგრელოს მახლობელ ნავსადგურში თვითონ ნახა საქართველოდან წაყვანილი „უამრავი ტყვე ყველა ასაკისა და ორივე სქესისა, ერთნი ბორკილგაყრილნი, მეორენი

---

[1] შარდენის მოგზაურობა, გვ. 231.
[2] იქვე, გვ. 250.
* იგულისხმება კაკია ჩიქვანი; რომელიც ლეჩხუმში გაიქცა. სხვათაშორის, ჟან შარდენი ლეჩხუმს სვანებით დასახლებულ სამთავროდ მიიჩნევს (იხ. შარდენის მოგზაურობა, გვ. 248). ჩანს, ლ. დადიანს უშუალოდ ლეჩხუმის რაზმი იცავდა.
[3] შარდენის მოგზაურობა, გვ. 250.
[4] იქვე, გვ. 204.
[5] იქვე.

ერთმანეთზე ორ-ორად გადაჯაჭვულნი, ავაზაკი და კაცისმკვლელი სახის მქონე საბაოს ზედამხედველები საშინელ შიშს მგვრიდნენ"[1].

ოსმალთა ლაშქრობის სურათს აგვიწერს პატრი ძამპა: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებული. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია"[2].

კიდევ უარეს დღეში იყო გურია და იმერეთი, რომელთა მოსახლეობა მტრის თავდასხმის დროს მშიერ-მწყურვალი და ტიტველი დაეხეტებოდნენ ტყე-ღრეებში, მთებსა თუ კლდეებში.

იმერეთისა და სამეგრელოს აწიოკების შემდეგ ოსმალთა ფაშას დატყვევებული ბაგრატ მეფე შეევედრა, რათა გაენთავისუფლებინა და მეფობა შეენარჩუნებინა, სამაგიეროდ, დიდ ქრთამსა და ვაჟიშვილს — ალექსანდრეს (რომელიც ლეჩხუმელი ქალისაგან ჰყავდა უკანონოდ) მძევლად მიცემას დაჰპირდა. როგორც ჩანს, ანგარებას მიჩვეულმა ოსმალთა ფაშამ არც ამაზე თქვა უარი. გურიელი, რომელმაც ოსმალებს იმერეთი და სამეგრელო დაარბევინა, საწადელს ვერ ეღირსა და გურიაში ხელცარიელი დაბრუნდა.

საქმე არც ამით დამთავრდა, 1672 წლის ზამთარში ბაგრატ მეფემ შური იძია, მან ურჩი გურიელის სამფლობელო დაარბია და უკან დაბრუნდა.

ბაგრატ მეფე არა მარტო ზვიადი ქართველი ფეოდალების მოთოკვა-დამორჩილებას ცდილობდა, არამედ ოსმალ დამპყრობთა მოგერიებასაც. მან 1674 წ. შეძლო ოსმალთა გარნიზონის დროებითი განდევნა ქუთაისიდან.

ჩანს, ბაგრატი ანგარიშს უწევდა შექმნილ ვითარებას და ერიდებოდა შინაურ შფოთს, ქვეყნის აშლას, ამიტომ გურიელის დაოკებას და გულის მოგებას მშვიდობიანად ცდილობდა. მან 1674 წ. გურიელს თავისი ასული დარეჯანი შერთო ცოლად, რათა ასე დაეშოშმინებინა ტახტისა და მეუღლის მოცილე, მაგრამ თავისი ფიზიკური მდგომარეობა და ქვეყნის შიგნით აშლილი თავადები ამის შესაძლებლობას არ აძლევდა. მალე ოსმალებმა ქუთაისის ციხე დაიბრუნეს, სამაგიეროდ მეფეს მძევლად წაყვანილი ალექსანდრეს დაბრუნება აღუთქვეს.

XVII ს. 70-იან წლებში იმერეთში ანარქია კიდევ უფრო გაძლიერდა, თურქ-ოსმალთა შემოსევები და მეფე-მთავართა შეჯახებები ყოველდღიურ მოვლენად იქცა, გახშირდა მეფეთა ცვლა. იშვიათი იყო, როდესაც სახელმწიფო მოღვაწე ბუნებრივად კვდებოდა.

საქართველოს უბედურების თავი და თავი შინა ფეოდალური არეულობა და ომები იყო. ისტორიკოს გორგიჯანიძის დასკვნით, მრავლად გაყოფილ, ერთმანეთის მოქიშპე და მაწყინარ პატარა საქართველოს „იქით ურუმნი არბევდნენ და აქეთ ყიზილბაშნი და ამისთანას ორს დიდ ხელმ-

---

1 შარდენის მოგზაურობა, გვ. 207.

2 მ. თამარაშვილი, კათოლიკობა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 204.

წიფეს შვაში ბევრს ეცადნენ. აქეთ იქნიეს ხმალი და იქით და მრავალი ნავნებიც ქნეს. მაგრამ არა იქნა და ვერც რას თავს გაუვიდნეს"[1].

ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, XVII ს. 60-იანი წლებიდან 40 წლის მანძილზე დასავლეთ საქართველოში ოცჯერ შეიცვალა მეფე (ამ ბნის მანძილზე მხოლოდ ერთი მეფე გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით). თავადებმა მიიტაცეს და დაისაკუთრეს სამეფო ყმა-მამული. ერისთავ-მოურავებმა ხელმწიფობა დაიჩემეს. მთავრები აუქმებდნენ საეპისკოპოსოებს, საწინამძღვროებს და იტაცებდნენ საეკლესიო მამულებს. საერო ფეოდალებმა დაისაკუთრეს საკათალიკოსო სოფლები[2].

ფეოდალთა თვითნებობასა და გამცემლობას, პირადი კარიერისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლას, შინაფეოდალურ ანარქიას უდიდესი და გამოუსწორებელი ვნება მოჰქონდა ქვეყნისათვის. ასეთ ვითარებაში ოსმალებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი დასავლეთ საქართველოში. და ყველაფრის ბატონ-პატრონი გახდნენ. ნ. ბერძენიშვილის დახასიათებით. ხონთქარი და მისი ვასალი ახალციხის ფაშა, მთელი ლიხთიქეთის პოლიტიკური ცხოვრების მომწესრიგებელი იყვნენ; იმერეთის მეფის, გურიის, ოდიშისა და აფხაზეთის მთავრების, კათალიკოსებისა თუ სხვა ხელშესახებ თანამდებობათა საქმე მათ ეკითხებოდა, მათი უშუალო ბრძანებითა და ნებართვით წყდებოდა მეფე-მთავართა დასმა და გადაყენება. ფაშა, რომლის ზურგში ხონთქარი იდგა, ქართველთა შორის განზრახ ართულებდა და აღვივებდა ძმათამკვლელ ომს. საქართველოს დასუსტება, მისი საქმეების არევ-დარევა და დახლართვა ოსმალეთის მიზანი იყო.

თუ ოსმალთა პოლიტიკას დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის გადაგვარება და გაქრობა არ მოჰყვა, ამაში მტრის დასუსტებას უფრო უნდა ვუმადლოდეთ, ვიდრე ურთიერთმოქიშპე ქართველი ფეოდალური საზოგადოების თავდაცვისათვის ბრძოლას[3].

შინაფეოდალურ-ძმათამკვლელმა ომებმა იმერეთის სამეფო ვაჩანაგების პირას მიიყვანა: „შემცირდა მოსახლეობა, დაეცა საქალაქო ცხოვრება, მოიშალა სოფლის მეურნეობა, შეირყა ქრისტიანული სარწმუნოება და სხვ. ყველაზე დიდი ეროვნული უბედურება მაინც იმერეთში, როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, ტყვეთა გაყიდვა იყო. ამ მოვლენამ კატასტროფული ხასიათი სწორედ XVII საუკუნის ბოლო ხანებში მიიღო"[4]. საქართველოს ასე დაქვეითება-განადგურების მიზეზად გ. ჯამბურია ფეოდალური არისტოკრატიის ზნეობრივ და მორალურ გადაგვარებას მიიჩნევს. სამეფო ტახტისა და პირველობისათვის მებრძოლი თავადები ხალხის ინტერესებისათვის როდი სწირავდნენ თავს. გ. ჯამბურიას დახასიათებით: „მათ უფრო ეხერხებოდათ ქალებისა და ბავშვების უცხოეთში გაყიდვა, ვიდრე სამშობლოსათვის თავის დადება"[5].

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 7.
[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IV, თბ., 1973, გვ. 275.
[3] იქვე.
[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 353.
[5] იქვე.

როგორც აღვნიშნეთ, ძნელბედობის დროს დასავლეთ საქართველოში რაჭა-ლეჩხუმის თავადები დაწინაურდნენ, მათ შორის ჩიქვანები. ამ გვარის ერთი წარმომადგენელი ევდომოსი, რომელიც ოდიშის მღვდელმთავარი იყო, 1661 წელს, დადიანის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს, ვახტანგ მეხუთემ დაატყვევა და შულავერის ციხეში გამოკეტა[1]. მაგრამ ევდომოს ჩიქვანმა ტყვეობიდან გაქცევა და ჰყონდიდლობის დაბრუნება მოახერხა. მალე ევდომოსი ლევან მესამის დასაყრდენ პირველ კაცად იქცა: „ამან მოიყვანა ძმა თვსი კაცია და აზრახა ლევანს მიცემად სალიპარტიანოსი, რამეთუ ამისაგან დაიპყრას ლეჩხუმიცა ლევან დადიანმან"[2].

ჰყონდიდელის დახმარებით კაციამ არა მარტო ოდიშში, არამედ იმერეთის სამეფოშიც დიდი გავლენა მოიპოვა.. ჩანს, კაციამ ისარგებლა იმერეთ-ოდიშის მესვეურთა ქიშპობით და ბაგრატ მეოთხის ვეზირი გახდა.

მართალია, ლეჩხუმელი ჩიქოვანები თავდაპირველად ღარიბი აზნაურები იყვნენ, მაგრამ ისინი თანდათანობით მდიდრდებოდნენ და დიდ ძალაუფლებას იხვეჭდნენ: „ესე კაცია იყო გორდელი მდაბალი აზნაური, რომლისა მამა სუანეთს* ტვრთითა თვსითა ზიდვიდა თაფლსა და გამოიზრდებოდა. და ესე კაცია ძმის ჰყონდიდელის გამო განდიდნა და იქმნა პატივცემულ მეფეთაგან და ამის გამო უსმენდნენ ლეჩხუმელნიცა"[3].

პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებულ კაცია ჩიქოვანს ლევან დადიანმა სალიპარტიანო უბოძა „და თვისად მისანდობელ-ჰყო ფრიად, რამეთუ იყო კაცი მკვნე და შემძლებელი საქმეთა, არამედ უღმრთო და მესისხლე; აზრახებდა დადიანს და მოსვრიდიან წარჩინებულთა ოდიშისათა"[4].

მართალია, უწინ ლეჩხუმს თავადი ლაშხიშვილი და სხვები განაგებდნენ. მაგრამ ახლა ჩიქოვანებმა მოიპოვეს პირველობა. ამიტომ, ბუნებრივია, მეფე თუ ოდიშის მთავარი მათი ერთგულების მოპოვებას ესწრაფოდა.

ოდიშის სამთავროში განსაკუთრებით დიდი ძალა და გავლენა მოიპოვა კაციას მემკვიდრე გიორგი ჩიქვანმა, რომელმაც სალიპარტიანო მამულიც მიიღო მემკვიდრეობით და დადიანის მეურვეობაც. იგი ფაქტობრივად ოდიშის მმართველი გახდა, ამასთან, გიორგიმ ლეჩხუმისა და საინასარიძოს ერთპიროვნული დაპატრონებაც მოიწადინა.

გიორგი მამამისზე უფრო ცბიერი და დაუნდობელი აღმოჩნდა. იგი გულმოდგინედ და ენერგიულად შეუდგა მოწინააღმდეგის ძირფესვიან მოსპობას და მთელ ოდიშში გაბატონებას.

მშვიდობამ არც იმერეთის სამეფოში და არც გურიაში დაისადგურა. თვითნება თავადები არ ცხრებოდნენ და პირველობის მოპოვებას ცდილობდნენ.

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 836.

2 ი ქ ვ ე. გვ. 842.

* ლეჩხუმი სვანეთის ოდინდელი ნაწილია (ან გაიმერელებული), ხოლო ჩიქვანი (ჩიქოანი-ჩიქვანი-ჩიქოვანი) სვანური წარმომავლობისაა, რომელმაც საფუძველი დაუდო ოდიშის დადიანთა (მთავართა) მეორე დინასტიას.

3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 842.

4 ი ქ ვ ე.

ამასობაში კახეთის ტახტის მაძიებელმა არჩილ ვახტანგისძემ ირანი მოიარა. გამაჰმადიანებისა და შაჰის ნდობის მოპოვების შემდეგ ის შაჰ ნაზარ-ხანად მოინათლა 1664 წ. და კახეთს მეფედ მოევლინა. მაგრამ აქ მას რუსეთიდან დაბრუნებული ერეკლე ბატონიშვილის (თეიმურაზ პირველის შვილიშვილის) სახით ტახტის პრეტენდენტი დახვდა. რაკი ერეკლე ბატონიშვილი ირანში არ გამოცხადდა, შაჰმა მას მხარი არ დაუჭირა, ამიტომ, მიუხედავად თუშების თანადგომისა, ის ამაოდ ებრძოდა მამაშვილს — არჩილსა და ვახტანგს. რადგან ერეკლემ კახეთის მეფობა ვერ ჩაიგდო, მან ისევ რუსეთს მიაშურა.

ირანის შაჰ სულეიმანს ქართლის მეფის პოლიტიკა თვალში არ მოსდიოდა, მითუფრო, რომ ის ფაქტობრივად თავისი შვილის წილხვდომილ კახეთსაც განაგებდა და ამით მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობასა და გაძლიერებას ესწრაფოდა. ჩანს, ეს შაჰს აშინებდა. ამიტომ ვახტანგის მეტოქე ერეკლეს მოშინაურება და მისთვის კახეთის მეფობის მიცემა გადაწყვიტა. როდესაც ეს არჩილმა შეიტყო, კახეთს თავი მიანება და 1675 წ. ახალციხის ფაშას ეახლა იმერეთის მეფედ გამწესების სათხოვნელად. გარდა იმისა, რომ იმერეთის მეფედ ბაგრატი იჯდა, ამ ადგილზე არჩილის ძმა ლუარსაბიც (რაჭის ერისთავის სიძე) იბრძოდა.

მიუხედავად ყოველივესი, არჩილმა შეძლო ახალციხის ფაშას მოხყიდვა და იმერეთის ზოგიერთი თავადისა და დადიანის დახმარებით, 1678 წ. სექტემბერში იმერეთის ტახტის დაკავება.

უსინათლო ბაგრატი თავისი სიძის — გიორგი გურიელის სამფლობელოში გაიქცა, მაგრამ არჩილმა ხელთ იგდო სკანდის ციხეში დატოვებული თამარ დედოფალი, რომელიც თავის პირველ ქმარს — დადიანს დაუბრუნდა, ამასთან, დადიანის ვაჟიშვილს თავისი ქალიშვილი მოათხოვა და ამით ერთგული მოკავშირე გაიჩინა.

ბაგრატ მეფემ და გიორგი გურიელმაც მოახერხეს ხონთქრის მოსყიდვა, რომლის ბრძანებით არზრუმის ფაშამ დიდი ჯარი წამოიყვანა იმერეთში, სადაც ორპირი თავადები ახლა ბაგრატისა და ოსმალების მხარეზე აღმოჩნდნენ და არჩილი რაჭაში გააძევეს.

ხრეითის ბრძოლაში მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად არჩილის ლაშქარი დამარცხდა. არზრუმის ფაშის, ბაგრატისა და გურიელის გაერთიანებულმა ჯარმა რაჭა ააწიოკა და დაარბია, მოკავშირეებმა მრავალი ადამიანი დახოცეს და მრავალიც ტყვედ წაიყვანეს[1].

თავისი ქვეყნის ასეთი დარბევით ბაგრატმა 1676 წელს იმერეთის მეფობის დაბრუნება შეძლო. მეფემ შური იძია დადიანზეც, რომელსაც მამულიც დაულაშქრა და თამარიც წაართვა[2]. მართალია, ლევან მესამემ დადიანობა დაიბრუნა, მაგრამ იძულებული გახდა (დახმარების სანაცვ-

---

1 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 68; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 843.
2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 844.

ლოდ) გურიელისათვის თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი მანუჩარი მძევლად მიეცა.

ამასობაში ძველ დადიანთა უკანასკნელი მესვეური ლევან მესამეც გარდაიცვალა (1680 წ.). ოდიშის ხელში ჩაგდების მიზნით მანუჩარ დადიანიც გურიელმა მოკლა, მაგრამ მიუხედავად ცბიერი ხრიკებისა, ეს უკანასკნელი დადიანობას მაინც ვერ ეღირსა[1].

1681 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატ მეოთხეც, რომლის მემკვიდრე ალექსანდრე ქართლის მეფე გიორგის ჰყავდა ტყვედ. ამით ისარგებლა გიორგი გურიელმა და იმერეთის ტახტი დაიჭირა. მალე ის დარეჯანს გაეყარა და სიდედრი თამარი შეირთო. რასაკვირველია, ყოველმხრივ უზნეო გურიელის მეფობაც ხანმოკლე აღმოჩნდა, მის ადგილზე ხონთქარის ბრძანებით, ახალციხის ფაშამ, ალექსანდრე ბაგრატის ძე დასვა.

გურიელი და თამარი ბევრს ეცადნენ ოდიშ-იმერეთის თავადაზნაურობის გადაბირებას და ალექსანდრე მეოთხის გადაყენებას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამასობაში თამარიც გარდაიცვალა (1683 წ.), ხოლო გურიელმა კაცია ჩიქოვანის ქვრივი (გიორგი ლიპარტიანის დედინაცვალი, რომელიც შოშიტა ერისთავის დისწული იყო) შეირთო, რითაც ოდიშის მთავრის ადგილისა და იმერეთის მეფის ტახტის დაუფლებაც მოუნდა[2].

როგორც აღვნიშნეთ, ლევან მესამის დროს (მითუფრო შემდეგ) ოდიშის თავი და გამგებელი იყო კაცია ჩიქოვანი, რომელმაც თავისი ძმის ჰყონდიდელის თანადგომითა და რჩევით მუსრი გაავლო მეტოქე მეგრელ თავადაზნაურებს. ამასთან, ოდიშის თავადაზნაურობა და გლეხობა მძიმე დღეში იყო მეზობელ აფხაზებისაგანაც: „...რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ჴმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარედმდე, და დაეშენებოდნენ თჳთ აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“[3].

ამას დაემატა კაცია ჩიქოვანის მემკვიდრე გიორგის პიროვნული მზაკვრობაც. მემატიანის ცნობით, ის თავის მამაზე უარესი და დაუნდობელი იყო: „...სრვიდა უწყალოდ და ჰყიდდა ტყუედ ოდიშართა, რამეთუ ემცნო მამასა თჳსსა არა დატევება ჩექმიანისათა კოხუნჯიანთა დაიპყრობს“[4]. ამ მრისხანე შინაფეოდალურმა შუღლმა და მოძმე მეზობელთა გამუდმებულმა ლაშქრობებმა ოდიშის თავდაცვისუნარიანობა მოშალა. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო გააქტიურდნენ აფხაზთა მმართველი წრეები, რომლებიც გზადაგზა ოდიშის მოსახლეობას ანადგურებდნენ და მის მიწა-წყალს ეუფლებოდნენ. ბოლოს და ბოლოს აფხაზეთის აღმოსავლეთის საზღვარმა მდინარე კოდორიდან მდინარე ენგურამდე გადაინაცვლა: „სორეხ შარვაშიძემ და მისმა სახლიკაცმა ყვაპუმ, მათი მომხრე აფხაზი ფეო-

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 844.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 845.
4 იქვე, გვ. 845—846.

დალების დახმარებით, რამდენჯერმე სცადეს ენგურის აღმოსავლეთით გადასვლა. მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნენ. სამაგიეროდ. მტკიცედ დამკვიდრდნენ ოდიშის ჩრდილო ნაწილში ენგურის მარჯვენა მხარეს. ასე შეიქნა XVII ს. ბოლოს მდ. ენგური აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროს საზღვრად"[1].

აღსანიშნავია, რომ, თავის მხრივ, ოდიშის ძლიერი მთავრები არანაკლებ ინტენსიობით ებრძოდნენ აფხაზებს და აწიოკებდნენ მათ.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ჩიქოვან-ლიპარიტიანმა (ლიპარტიანმა) მოწინააღმდეგე თავადებს მუსრი გაავლო, მან დადიანობა (მთავრად დაჯდომა) მაინც ვერ გაბედა, სამაგიეროდ დადიანად დასვა ლევან შესამის უკანონო შვილი (ნაშობი მკევლისაგან), რომელსაც მამის პატივსაცემად ლევანი (ლევან მეოთხე, 1683—1691 წწ.) ეწოდა. ამ აქტით გიორგი ლიპარტიანმა, ერთი მხრივ, მომხრეები გაიჩინა, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგეთა პრეტენზიები აღკვეთა (მთავრები გამხდარიყვნენ), მესამე მხრივ, გურიელის შანსები შეკვეცა დადიანად დამჯდარიყო.

იმერეთის მართვა-გამგეობა და საშინაო მდგომარეობა ალექსანდრეს მეფობის დროსაც დაძაბული იყო. მის მმართველ წრეთა ძალები ახლებურად დაჯგუფდა. ახლა ასპარეზზე გამოვიდა პაატა აბაშიძე, რომელსაც მარგველები უჭერდნენ მხარს და მთელი იმერეთი ემხრობოდა. მეფემ თავისი მოღვაწეობა სწორედ ამ თავადის გულის მოგებით დაიწყო. მეფემ მას თავისი და დარეჯანი (გიორგი გურიელის ნაცოლარი) გააყოლა ცოლად და ამით მიქელაძეთა გავლენიანი გვარიც დაიახლოვა.

ბუნებრივია, ალექსანდრესაც არაერთი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მათ შორის გიორგი გურიელი, რომელსაც მთელი დასავლეთ საქართველოს ჩაგდება უნდოდა. მეფის მეტოქე-მოწინააღმდეგეთა შორის იყვნენ გიორგი ლიპარტიანი, შოშიტა ერისთავი, ბეჟან ლორთქიფანიძე და სხვ. მართალია, თითოეულ მათგანს საკუთარი მიზანი ჰქონდა, მაგრამ ისინი მეფის წინააღმდეგ ერთად შეიკვრნენ.

გურიელმა „შემოიკრიბა გურია, მოვიდა საჩინოს, მიერთნენ ჩიჯავაძენი, მერმე ლიპარტიანი ოდიშარითა, რაჭის ერისთავი რაჭველით, ლორთქიფანიძენი და ლეჩხუმელნი*. ხოლო ალექსანდრეს დაშთა აბაშიძენი და ზემოურნი და მიქელაძე გიორგი და მარგუელნი"[2].

მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა გაიმართა 1684 წელს როკითში, სადაც „დაიკოდნენ და მოისრნენ ორგანითვე უმრავლესნი. შემდგომად მოკლეს გიორგი გურიელი (იტყჳან ვითარმედ უცნაურითა კუეთებითა მკუდა) და ივლტოდნენ სპანი მისნი. მოკლეს კუალად რაჭის ერისთავი შოშიტა, სხუათა მოსრვიდნენ და შეიპყრობდნენ უამრავთა"[3]. ალექსანდ-

---

[1] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30—90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 354.

* ამ დროიდან იწყება ლეჩხუმის მერყეობა — ვის მხარეზე ყოფილიყო, მეფის, თუ დადიანის. ცხადია, ეს ლეჩხუმელ ჩიქოვანთა გადადიანებას უკავშირდება.

[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 847.

[3] ი ქ ვ ე.

რეს მხარეზე თავადთაგან დაიღუპა ლ. აბაშიძე, ხოლო პაატა სასიკვდილოდ დაიჭრა.

გამარჯვებულმა მეფემ და მისმა მომხრეებმა ტყვედჩაგდებული მოწინააღმდეგეები ვერცხლში გაყიდეს.

იმერეთისა და ქართლის მეფეებს თავდაპირველად მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ, ისინი ერთიმეორის დამოყვრებასაც აპირებდნენ, მაგრამ რაჭის ერისთავმა პაპუნამ ეს საქმე ჩაშალა და ქართლის მეფე გიორგი ალექსანდრეს საშვილიშვილოდ გადაკიდა. ამის საპასუხოდ იმერეთის მეფემ პაპუნა ერისთავის სასტიკი დასჯა გადაწყვიტა. პაატა აბაშიძის მეთაურობით იმერეთის ლაშქარმა წევის მთა და ველიეთი გადალახა და ნინიას ციხეს მიადგა, მეფის რაზმები რაჭის სხვა სოფლებსაც შეესია. ამის საპასუხოდ, ქართლის მეფემ ზაალ ხერხეულიძის მეთაურობით, რაჭის ერისთავს თავის ლაშქარი მიაშველა. იმერეთის მეფე იძულებული გახდა ნინიას ციხისათვის ალყა მოეხსნა და უკან დაბრუნებულიყო.

ამის შემდეგ იმერეთის მეფემ დროებით შეირიგა პაპუნა, რომელსაც ცოლი გააშვებინა და თავისი და — დარეჯანი (პაატა აბაშიძის ქვრივი) შეართვევინა.

როკითის ბრძოლაში დამარცხებული დადიანი გამოსავალს ეძებდა, მაგრამ აფხაზები მოსვენებას არ აძლევდნენ. ამასთან, ქვეყანაც აშლილი იყო და დადიანს მაინცდამაინც ბევრი არაფერი ეკითხებოდა, ოდიშს გიორგი ლიპარტიანი მართავდა: „არამედ სახელითა ოდენ იყო დადიანი ლევან, გარნა მოქმედი ყოველისავე იყო ლიპარტიანი. გარნა იყო ოდიშს ჭირი გიორგი ლიპარტიანისაგან კლვითა და ყიდვითა ტყვსათა და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდიან ლაშკრად და აოვრებდიან ქუეყანათა ავაზაკობით და ცხადად“[1].

მეფე-მთავართა და თავადთა ჯიბრი არც იმერეთს და არც რაჭა-ლეჩხუმს ასვენებდა. ქართლის მეფის მოქმედებით განაწყენებული იმერეთის მეფე კავშირს ერეკლესთან (ნაზარალი ხანად წოდებულთან) ეძიებდა, თან პაპუნა რაჭის ერისთავი გააფრთხილა, რომ გიორგი მეფესთან მეგობრობა შეეწყვიტა. რადგან ერისთავმა თავისი არ მოიშალა, ალექსანდრემ 1687 წელს იმერეთის ლაშქარი შეკრიბა და რაჭაში გაეშურა. ურჩმა ერისთავმა თავისი რაზმები შეკრიბა და ლეჩხუმლებიც მიიმხრო. მასთან აფარებდა თავს ქართლიდან გამოძევებული გიორგიც. იმერეთის ლაშქარმა ქვემო რაჭა დაარბია, მაგრამ ერისთავის ამალა ვერ ჩაიგდო და უკან დაბრუნდა.

რადგან ერისთავმა პოზიცია არ შეცვალა (ურჩობასა და ქართლის მეფესთან ურთიერთობას არ შეეშვა), იმერეთის მეფე მის გადაყენებას ცდილობდა, მაგრამ, ამასობაში იმერეთის ტახტის პრეტენდენტები — ყოფილი მეფე არჩილი თავის შვილებით — ალექსანდრეთი და მამუკათი ოუ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 850.

სეთიდან დაბრუნდა. მართალია, რუსეთის სამეფო კარმა არჩილს ოსმალეებისა და სხვათა წინააღმდეგ სამხედრო ძალა და მატერიალური დახმარება არ მისცა, მაგრამ, სამაგიეროდ, მას ქართლის მეფე გიორგიმ (ძმამ) და რაჭის ერისთავმა აღუთქვეს დახმარება. რაჭაში დასადგურებულმა არჩილმა იმერეთში გამეფებაზე (მესამედ) ხონთქარის თანხმობაც მიიღო, გიორგი ლიპარტიანი, ჭილაძე-მიქელაძეები, ბეჟან ლორთქიფანიძე და სხვებიც გადაიბირა, მაგრამ თადარიგდაჭერილმა ალექსანდრემ დაასწრო და გუელის თავზე, იმერეთ-ლეჩხუმის ჯარით, არჩილის მომხრეები დაამარცხა და სხვადასხვა მიმართულებით გააქცია.

მიუხედავად ბრძოლაში გამარჯვებისა, ალექსანდრეს ეშინოდა არჩილს მეფობა არ წაერთმია, ამიტომ მოწინააღმდეგეთა მოსყიდვასა და მიმხრობას შეუდგა. იმერეთის მეფემ ყველაზე საშიში მეტოქით — გიორგი ლიპარტიანით დაიწყო, რომელსაც მხარდაჭერის შემთხვევაში ლეჩხუმის მიცემას შეპირდა*: „...ვინათგან იყო ლიპარტიანი უღვთო. ცრუ-ფიც, უპირო, ტყუს მყიდველ, მიერთო ალექსანდრეს“[1].

თურქეთის ვასალის — ყირიმის ხანის დახმარებით დაიმედებული არჩილი რაჭიდან აფხაზეთში წავიდა, სადაც დიდი პატივით მიიღო შარვაშიძემ, მაგრამ, რადგან მაშველი ჯარი არავინ მისცა, ოდიშში დაბრუნდა, საიდანაც ლიპარტიანის მოქმედებით შეშფოთებული საჭილაო-სამიქელაოში წავიდა. იქ თავისი მცირე რაზმის ამარა დარჩენილი არჩილი იძულებული გახდა ალექსანდრესათვის დაეფიცებინა, რომ თუკი ხელს არ ახლებდა და გზას მისცემდა, იმერეთის მეფობაზე ხელს აიღებდა. ასეთი შეთანხმების შემდეგ თავისი ამალით არჩილი რაჭაში და შემდეგ დიგორში წავიდა.

მშვიდობიანი ცხოვრებით არც ქართლის ყოფილი მეფე გიორგი იყო განებივრებული. იგი მომხრეების საძებნელად გურიაში მიდის. ამასობაში არჩილის ელჩი თურქისტანიშვილი სტამბულიდან ახალციხეში ბრუნდება. მისთვის ხონთქარს გამოეყოლებინა თავისი ყაფუჩი, რომელსაც უნდა დაედგინა, თუ იმერეთს ვისი მეფობა სურდა. როდესაც გაიძვერა ყაფუჩი იმერეთში წავიდა, ის კინაღამ მოკლა ალექსანდრემ, რომელმაც უმალ დაატოვებინა თავისი სამეფო. ახალციხეში დაბრუნებულმა მოთაფლულმა ყაფუჩმა გიორგისაგან ქრთამი მიიღო და სტამბულში ხონთქარი დაარწმუნა, რომ იმერეთს არჩილის მეფობა სურდა, ხოლო ალექსანდრე მათი დაუძინებელი მტერი იყო.

ხონთქრის ბრძანებით ოსმალთა ჯარი, არზრუმისა და ახალციხის ფაშების მეთაურობით, ფერსათს მიადგა, როგორც კი ეს არჩილმა შეიტყო დიგორიდან. რაჭაში გადავიდა, ხოლო იქიდან, რაჭველთა თანხლებით, იმერეთში ჩავიდა. ალექსანდრემ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა უმიზნოდ

---

* გადადიანებული ჩიქოვანები ამიერიდან იწყებენ ლეჩხუმის დასაკუთრებისათვის ინტენსიურ ბრძოლას.

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 851.

ჩათვალა და ქართლში ერეკლე პირველთან წავიდა. 1690 წელს არჩილი კვლავ იმერეთის მეფე ხდება.

მშვიდობა არც ამის შემდეგ დამყარდა. იმავე წლის დეკემბერში, იმის იმედით, რომ ოსმალები ლაშქრობას ვერ შეძლებდნენ, გიორგი აბაშიძემ და გიორგი ლიპარტიანმა ქართლში გახიზნულ ალექსანდრესთან შეკრეს კავშირი და არჩილის გაძევება მოიწადინეს.

მეფის მხარეზე იყვნენ პაპუნა ერისთავი, სვიმონ ქუთათელი, გიორგი მიქელაძე და ბეჟან ლორთქიფანიძე. მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა გაიმართა გოდოგანში, სადაც მნიშვნელოვანი მსხვერპლის მიუხედავად არჩილმა გაიმარჯვა[1]. ამ ბრძოლის შემდეგ ალექსანდრე მეოთხე კვლავ ქართლში წავიდა, ხოლო არჩილმა ზოგიერთი მოწინააღმდეგე თავადი დასაჯა, ზოგიერთსაც მამული უწყალობა.

მიუხედავად მკაცრი ღონისძიებებისა, იმერეთისა და მისი მეზობელი მხარეების მმართველი წრეები ურთიერთღალატსა და ხოცვა-ჟლეტას განაგრძობდნენ. საკმარისი იყო ძალა რომელიმე დაჯგუფების სასარგებლოდ გადახრილიყო ან ოსმალეთის ხონთქარსა და მის ფაშებს რომელიმესთვის დაეჭირათ მხარი, რომ გუშინდელი მოკავშირე ახლა მისი დაუნდობელი მტერი გამხდარიყო და მისი ძირფესვიანი ამოთხრა დაეწყო. ამიტომ არჩილის ცდა წესრიგი დაემყარებინა, მარცხით დამთავრდა. ის ვერც მთავრებს მოერია და ვერც სხვა ძლიერ თავადებს[2].

რუსეთთან კავშირის დამყარებისა და პატრიოტული საქმიანობის გამო შაჰი არჩილ მეფეს მამასისხლად გადაეკიდა. შაჰმა შეძლო თურქეთის ხონთქარს შეთანხმებოდა იმერეთიდან არჩილის გაძევებასა და იქ ალექსანდრეს აღდგენაზე. როდესაც ეს არჩილმა შეიტყო, მან ოსმალთა განდევნა და ქუთაისის გამაგრება გადაწყვიტა. მეფის მიერ ქუთაისის ციხეში ალყაში მოქცეული თურქები „...ჯღანთა ხარშვიდიან და სჭამდნენ სიყმილისათჳს და ლამობდნენ მოცემასა ციხისასა“[3]. კრიტიკულ მომენტში გ. ლიპარტიანმა მეფეს ლეჩხუმის მიცემა სთხოვა, მაგრამ რაკი ამაზე თანხმობა ვერ მიიღო: „ამისათჳს გამოიყვანნა ღამით ოსმალნი ციხიდამ, მისცნა ყოველნი საზრდელნი თჳსნი და განამაგრა ციხე, და თჳთ მასვე ღამესა ივლტოდა სპითა ოდიშს“[4].

გამარჯვების ზღვარზე მისული მეფე იძულებული გახდა ქუთაისის ციხისათვის ალყა მოეხსნა და ოსმალებს გასცლოდა. ლიპარტიანის ღალატი ძვირი დაუჯდა ხალხს, ოსმალებმა ჯერ ქუთაისი ააოხრეს, შემდეგ ახლომახლო სოფლების მოსახლეობა ააწიოკეს და პოზიციებიც გაიმაგრეს.

კარგი დღე არც არჩილის მეტოქე ალექსანდრეს ადგა, ქართლის ყოფილმა მეფე გიორგიმ მისი ცოლ-შვილი ააწიოკა რუისში, სადაც უფლისწულები სვიმონი და გიორგი შეიპყრო და ქსნის ერისთავ დავითს გადას-

---

1 ქართლის ცხოვრება IV, გვ. 853—854; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 77.
2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 854.
3 იქვე.
4 იქვე.

ცა. თვითონ ალექსანდრე ახალციხეში გაიქცა და იქიდან ოსმალთა ფაშის ჯარით იმერეთის ტახტის დასაკავებლად წამოვიდა. მრავალრიცხოვან მტერთან პირისპირ დარჩენილი არჩილი, რომელსაც ვერც ქართლის ლაშქარი მიეშველა დროზე, სისხლისღვრას მოერიდა და ჯერ რაჭაში, ხოლო შემდეგ ქართლში წავიდა.

ახალციხის ფაშამ 1691 წელს იმერეთის მეფედ ისევ ალექსანდრე მეოთხე დასვა.

ოდიშის სამთავროშიც დაძაბული მდგომარეობა იყო. თანამოძმეთა ძარცვა-რბევით და ტყვეთა სყიდვით ლიპარტიანი კიდევ უფრო გაძლიერდა. ბოლოს ისე გათავხედდა, რომ არც არაფერს ერიდებოდა: „არ-ღარა ინება ლევან დადიანი, განაძო იგი და წარვიდა ქართლს არჩილ მეფისა თანა“[1]. მაგრამ ქართლშიც შინა ფეოდალური ომი იყო გაჩაღებული, მითუფრო დევნილ არჩილს არ შეეძლო დადიანისადმი რაიმე სერიოზული დახმარება. ბედის ძიებამ დადიანი სტამბოლშიც მიიყვანა, მაგრამ ვერც ოსმალებმა უშველეს და 1694 წელს კიდევაც გარდაიცვალა უცხოეთში. ასე დამთავრდა ოდიშში ძველ დადიანთა მმართველობაც.

მართალია, ლ. დადიანის გაძევების შემდეგ ბურთი და მოედანი გ. ლიპარტიანს დარჩა, იგი ოდიშის ერთპიროვნული მმართველიც იყო და ლეჩხუმის მფლობელიც, მაგრამ თავის დადიანად წოდება მაინც ვერ გაბედა.

მდგომარეობის ნაწილობრივ მოწესრიგებისა და პოზიციის ერთგვარი მომაგრების შემდეგ, იმერეთის მეფე შეეცადა გიორგი მეთერთმეტისათვის ანგარიში გაესწორებინა (ამ უკანასკნელმა ერეკლე შეავიწროვა), ამ მიზნით (სამეფოს წარჩინებულთა დაუკითხავად) თავის ლაშქარი ქართლს შეუსია. მართალია, ალექსანდრემ გიორგის ვერაფერი დააკლო, მაგრამ მისი სოფელი ალი დალაშქრა და მცხოვრებლები ტყვედ წაიყვანა, თუმცა გზაზე მიმავალს ტაშისკარში მყოფი არჩილის რაზმი წამოეწია და ნაძარცვი და ტყვეები დაატოვებინა[2].

მოძმე და მეზობელ სამეფოთა მესვეურების ასეთი არანორმალური დამოკიდებულება, ბუნებრივია, პროგრესული საზოგადოების აღშფოთებას იწვევდა. რასაკვირველია, ამას გრძნობდნენ არჩილი და გიორგიც, რომელთაც იმერეთის დიდებულებს მიმართეს, რათა ალექსანდრესათვის შეეგონებინათ მოძმე ხალხს შორის ასეთი მტრული დამოკიდებულების უდიდესი დანაშაული. მაგრამ, ჩანს იმერეთის მეფე თავისას არ იშლიდა, რადგან მემატიანის დახასიათებით ის იყო „...ხელად მქცევი, ცუნდრუკი, ულმრთო, ტყვს მყიდველი“[3].

ასეთი თვისებების გამო ალექსანდრეს ბევრი დაუპირისპირდა: „..შეიკრიბნენ კათალიკოზი, ეპისკოპოსნი, ერისთავი პაპუნა და სრულიად წარჩინებულნი იმერეთისანი და მოადგნენ სკანდას მყოფსა ალექსანდ-

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 856.
2 იქვე, გვ. 857.
3 იქვე.

რეს, შეიპყრეს და წარგზავნეს მღვიმეს, მერმე სუერს. შემდგომად მისცეს გიორგი მეფესა, მიიყვანეს რუისს, მოაშთვეს და დაფლეს მუნვე ეკლესიასა შინა...“[1].

ალექსანდრე მეოთხის განადგურების შემდეგ 1695 წელს კვლავ არჩილი გამეფდა. მაგრამ ისევ მოკლე ხნით. ყოვლის შემძლე გიორგი აბაშიძემ თავისი ასული თამარი (ალექსანდრე მეოთხის ქვრივი) გიორგი მეთერთმეტეს შესთავაზა, სამაგიეროდ, იმერეთის მეფობა აღუთქვა, მაგრამ, რადგან ის არჩილის ერთგული იყო, ამ უმსგავსობაზე არ დათანხმდა. მაშინ აბაშიძემ ასეთივე წინადადებით არჩილს მიმართა, თან მეფობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას დაჰპირდა. როცა ამ უკანასკნელმაც უარი განუცხადა, დაბოღმილმა და გაბოროტებულმა აბაშიძემ თავის მსგავს მედროვე და ცბიერ გიორგი ლიპარტიანს შეეკრა. მათ არჩილი განდევნეს და 1696 წელს ტახტზე დასვეს ბაგრატიონთა ჩამომავალი გიორგი „გოჩიად“ წოდებული (ოდიშის მკვიდრი), რომელსაც თამარ აბაშიძე შეართვევინეს.

ახალი მეფის ხელში კიდევ უარესი მდგომარეობა შეიქმნა იმერეთში, სადაც ოსმალთა თარეში, ტყვეთა სყიდვა, ერთმანეთისადმი ღალატი და ურთიერთრბევა ისევ გრძელდებოდა. იმერეთის ფაქტობრივი მმართველი იყო გ. აბაშიძე, რომელიც უნებისყოფო და გამოუცდელ მეფეს თავის ნება-სურვილზე ათამაშებდა: „ხოლო ესე გიორგი იყო უმგზავსო ყოველითურთ და შეუგუანი მეფობისა, უზნეო, გამოუცდელი, თვნიერ გლეხთა მუშაკობისა, და იყო ხეიბარიცა. არამედ მართვიდა აბაშიძე გიორგი და თაობდა ყოველთა იმერთა ზედა, მორჩილებდნენ დადიანი, გურიელი და წარჩინებულნი სრულად“[2].

უღირსი თვისებებისა და ქცევის გამო, ერთი წლის თავზე, მეფეს მეუღლე, სიმამრი და სხვა ახლობლებიც განუდგნენ. გ. აბაშიძემ დვალეთში მყოფ არჩილს ერთხელ კიდევ მისცა წინადადება — თუ თამარს შეირთავდა. მეფედ დასვამდა, მაგრამ კვლავ უარი მიიღო, არჩილი რუსეთის დახმარებას ელოდა და მისი ძალით ფიქრობდა მეფობის დაბრუნებას.

ამასობაში გ. აბაშიძემ, შოშიტა ერისთავმა და იმერეთის მმართველმა წრემ გიორგი მეოთხე იმერეთიდან გააძევეს.

იმერეთის თავადებმა არჩილი მიიპატიჟეს მეფედ, მაგრამ მას იმედი არ ჰქონდა ამგვარ ვითარებაში ქვეყნის მართვის, ამიტომ ყოყმანობდა: „...რამეთუ არღარა იყო პირმტკიცობა. არამედ განრყუნილნი, ფიცის მტეხელნი, ტყვს-მყიდველნი, მჴდომნი, მკრეხელნი, უკეთურნი, არათუ წარჩინებულნი, გარნა მდაბიურნიცა, მოქმედნი ამისნი ყოველთა“...[3].

1698 წ. არჩილი მეფობაზე დათანხმდა და რაჭველთა თანხლებით ქუთაისში ჩავიდა, მაგრამ ეს მისი ყველაზე მოკლეხნიანი მეფობა გამოდგა[4].

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 857.
[2] იქვე. გვ. 858.
[3] იქვე. გვ. 859.
[4] იქვე.

ხონთქარის ბრძანებით იმერეთის მეფე უნდა გამხდარიყო სვიმონ ბაგრატიონი (ალექსანდრე მეოთხის შვილი), რომელიც ქართლში ერეკლე პირველთან იზრდებოდა. ახალციხის ფაშა სელიმმა სვიმონ ბატონიშვილი თავისთან მიიხმო და 1699 წლის შემოდგომაზე იმერეთში წაიყვანა მეფედ[1].

ძალაუფლებადაკარგული არჩილი გაზაფხულამდე თაგაურში დარჩა, შემდეგ თავისი ამალით რუსეთში წავიდა, სადაც მეფის წყალობით, მამული მიიღო (მოსკოვის გარეუბან ვესესვიატსკოეში) და სიკვდილამდე (1713 წ.) ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა[2].

მშფოთვარე დროში სვიმონის მეფობაც ხანმოკლე აღმოჩნდა. მართალია, თავდაპირველად მას გ. აბაშიძე და მისი ასული თამარიც მიეტმასნენ (გიორგიმ მას თავისი ასული ანიკა მიათხოვა), მაგრამ მამა-შვილი ძველებურად ზვიადობდნენ და ქვეყანასაც ისევ თავიანთ ნება-სურვილზე განაგებდნენ.

ოდიშში ისევ ლიპარტიანი ბატონობდა. მედროვე გ. აბაშიძისა და გ. ლიპარტიანის ბატონობა და განცხრომაში ყოფნა იმერეთ-სამეგრელოს ხალხს ძვირად უჯდებოდა. საკმარისი იყო ამ მოძალადეებს რომელიმე თავადაზნაური დაპირისპირებოდა, რომ მისი ყმა-მამული აწიოკებას განიცდიდა. ამისი მაგალითია გ. ლიპარტიანის მიერ ლეჩხუმის დარბევა. როდესაც გ. ლიპარტიანს ლეჩხუმი გადაუდგა, მან დახმარებისათვის თავის მეგობარ გ. აბაშიძეს მიმართა, ორივე მოძალადემ ლაშქარი შეკრიბა „...გათხარეს მთა რაჭა-ლეჩხუმისა თოვლიანი და შევიდნენ ლეჩხუმს, ურჩნი მოსწუეს, მოსტყუევნეს და დაუმორჩილა ლიპარტიანსა“[3].

განცხრომასა და დროისტარებაში იყო თამარ აბაშიძეც, მან ახლა ლიპარტიანს გააშვებინა ცოლი (რომელსაც შვიდი შვილი ჰყავდა) და თვითონ დაექორწინა. ბუნებრივია, ამან ის კიდევ უფრო გააძლიერა და გააოთავხედა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ თანამედროვენი მას ოდიშ-იმერეთის დედოფალსაც უწოდებენ[4]. უზნეობასა და ამორალურ ქცევაში შვილს არც მამამისი ჩამორჩებოდა, პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ გიორგიმ მეორე ცოლიც მიატოვა და პაპუნა ერისთავის ქვრივი შეირთო.

ყოველმხრივ განდიდებული მამა-შვილის ხელში სვიმონი მარტო სახელად იყო მეფე, ყოველივეს თავი და მოქმედი გიორგი და თამარი იყვნენ: „ხოლო იმერეთს თაობდა აბაშიძე და დედოფლობდა ასული მისი, და მორჩილებდნენ სრულიად ყოველნი“[5]. ასეთ ყოფაში ძალაუფლებაგამოცლილმა სვიმონმა იმერეთი მიატოვა და ქართლში გაიქცა.

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 859.
2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 873; ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები. II, გვ. 174.
3 ქართლის ცხოვრება. IV, გვ. 860—861.
4 ი ქ ვ ე, გვ. 861.
5 ი ქ ვ ე, გვ. 860.

მიუხედავად უსაზღვრო ძალაუფლებისა, თავკერძა და გათავხედებული გ. აბაშიძე გარკვეულ წინააღმდეგობას მაინც აწყდებოდა. მას ახლო რაჭა გადაუდგა, მაგრამ ძალამ თავისი გაიტანა: „...შეკრიბნა სპანი იმერეთისა აბაშიძემ, შეუჯდა რაჭას, მოსწუა, მოსტყუევნნა, დაიმორჩილნა და მოვიდა იმერეთს“[1].

იმერეთის სამეფო ტახტისათვის ბრძოლას ბოლო არ მოეღო, საქმეში მამია (მესამე) გურიელი ჩაერია, მან ახალციხის ფაშა მოქრთამა და სვიმონის მეფედ აღდგენაზე დაითანხმა. ეს უკანასკნელი თავისთან მიიპატიჟა და თავის დაზე დააქორწინა (ანიკას გაყარა). ამით შეშფოთებულმა გ. აბაშიძემ და მისმა მოკავშირე გ. ლიპარტიანმა ჯარი შეკრიბეს, გურიელს შეუთვალეს სვიმონი მოეკლა და თვითონ გაამეფებდნენ. მართალია, გურიელმა სიძე-მეფის უშუალო მოკვლა არ იკისრა, მაგრამ აბაშიძესა და ლიპარტიანს ამაზე დათანხმდა. „მაშინ წარავლინეს ამათ კაცნი და ცოლისა თჳსისა თანა მწოლი სჳმონი; ოდეს განვიდოდა ბუნებისა სამჭირნოსა ადგილსა, ჰკრეს თოფი და მოკუდა სჳმონ მეფე...“[2].

ზნედაცემულმა და მორალურად გადაგვარებულმა თავადებმა ასე შეკრეს პირი და 1701 წ. გაამეფეს ახალციხის ფაშასთან დაახლოებული მამია გურიელი.

სვიმონ მეფის ღალატით მოკვლამ და გურიელის გამეფებამ ქართლის მეფე ერეკლე შეაშფოთა, მან ქართლ-კახეთის ლაშქარი შეკრიბა, მაგრამ ეტყობა ოსმალებთან შეჯახების შიშმა მას იმერეთში ლაშქრობაზე ხელი ააღებინა.

გურიელის დროსაც იმერეთს მედროვე მამა-შვილი განაგებდა „...სამეფონი დაბანი, აგარანი და შემოსავალნი ეპყრა აბაშიძეს და ასულსა მისსა თამარს და მოახლედ მათდა იყვნენ წარჩინებულთა და აზნაურთა ძენი და თჳთ იგინიცა“[3]. ძალაუფლებასა და შემოსავალს მოკლებული გურიელი იძულებული გახდა მეფობას გასცლოდა და გურიაში დაბრუნებულიყო.

ფორმალური მეფის გაძევების შემდეგ გ. აბაშიძემ და მისმა ასულმა საბოლოოდ მოიხსნეს ნიღაბი და ქვეყნის მართვა-გამგეობა მოურიდებლად განაგრძეს, მათ პასუხის გაცემას ვერავინ უბედავდა.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს. დასაწყისში გ. აბაშიძისა და გ. ლიპარტიანის მეგობრობა-მოყვრობის შედეგად იმერეთ-ოდიშის მმართველ წრეთა მეტოქეობა და ურთიერთრბევა ერთობ შენელდა, მაგრამ ოდიშზე აფხაზთა თავდასხმები ინტენსიურად გრძელდებოდა. ამით შეწუხებულმა ლიპარტიანმა თავის სიმამრს მიმართა დახმარებისათვის: „...რამეთუ მიეღოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოჯრებდნენ ოდიშს კლვითა და ტყუეობითა. უსმინა აბაშიძემ შემოიკრიბნა სპანი იმერთა, წარვიდა და შთავიდა აფხაზეთს. ვერ წინაღუდგა შარვაშიძე, მოსტყუევნეს აფხაზეთი,

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 861.
2 იქვე, გვ. 862.
3 იქვე.

აღიღო ალაფი დიდი, დააზავა ლიპარტიანი და შარვაშიძე, გამოუხენა ქუეყანა მიღებული და მძევალნი, მერმე წამოვიდა და მოვიდა იმერეთს"[1].

მემატიანის ცნობით, გ. აბაშიძე ახალციხის ფაშასაც ნაკლებად ემორჩილებოდა. მან შინა არეულობითა და რუსეთის დაპირისპირებით შერყეულ ოსმალებს ხარკისა და ძღვენ-საჩუქრების მიცემაც შეუწყვიტა. ამასთან ტყვეთა სყიდვაც საგრძნობლად შემცირდა. ყოველივე ამის გამო ფაშამ გ. აბაშიძე ხონთქართან დაასმინა: „განრისხნა ხონთქარი მუსტაფა და წარმოავლინა არზრუმის ფაშა სპითა დიდითა ზღვთ და ჯმლით, რათა დაჰყონ წელი შვიდი იმერეთს და მოაოჯრონ სრულიად ციხეებითურთ. წარმოემართა არზრუმის ფაშა კერძოთა გურიისათა. ხოლო ქეჰა თჳსი წარმოავლინა სპითა ახალციხეს, რათა შემოიკრიბოს სპანი სამცხისანი და შთავიდეს იმერეთს"[2].

ოსმალთა სალაშქრო მზადება იმერეთშიც შეიტყვეს, მით უფრო იცოდნენ, რომ სვიმონის მოკვლის გამო ხონთქარი იმერეთის დარბევას აპირებდა, იქაურ მეფედ ქართლიდან ახალციხე'ში წაყვანილი გიორგის (სვიმონის ძმას) ამზადებდა. გ. აბაშიძემ თავისთან მიიხმო გ. ლიპარტიანი, რაჭის ერისთავი, წულუკიძე, მიქელაძე, ჭილაძე, ჩიჯავაძე, ჩხეიძე, იაშვილი, მხეიძე, წერეთელი, ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე, ქვარიანი, აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი, ქუთათელი ევდემოსი, გენათელი ნიკოლოზი და სხვები, რომლებიც ერთგულებასა და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანობაზე დააფიცა: „დღეის შემდგომათ იმერეთის წასახდენათ და ასაოხრებლად ჩვენ თათარს არც პირი მივსცეთ და თუ ვინ იცის და თათარი ლაშქრით არ ჩამოვიდეს იმერეთის წასახდენად, ჩვენც არც მივიდეთ მასთან და უწინამძღუროთ, და არც არა მათი ვიწამოთ რა ამ იმერეთის წახდენის საქმეზედ..."[3]. ლაშქარი შეკრიბეს, გზები ჩაკეტეს, ხოლო მოსახლეობა მიუვალ ადგილებში გახიზნეს.

სალაშქროდ მომზადებულმა არზრუმის ფაშა ქოსა ხალილმა 1703 წ. აგვისტოში გურია დაიკავა, ქეჰასა* და ახალციხის ჯარმა ზეკარი გადმოლახა, ცეცხლმსროლელი იარაღით კაკას ხიდის მცველების წინააღმდეგობა დაძლია და ბაღდადში შეიჭრა. ოსმალები ზღვით წამოვიდნენ და ოღიშის ნაპირები დაიკავეს.

სხვადასხვა მხრიდან შემოსეულმა მტრის უზარმაზარმა ჯარებმა ქვეყნის სიღრმეში სწრაფი შემოჭრა ვერ მოახერხეს, რადგან ქართველთა მედგარი წინააღმდეგობის შედეგად მათ შეთანხმებული მოქმედების საშუალება მოესპოთ: „...ვერარაჲ სცნა სარასკარმან სპათა თჳსთა, ვერც რა ქეჰამ სარასკარისა, ვინაჲთგან იყვნენ გზანი ყოველგნით შეკრულნი"[4].

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 863.

[2] ი ქ ვ ე.

[3] საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. 44—45.

*ქეჰა-ხონთქარის აღმასრულებელი მოხელე, ოსმალთა მთავარსარდლის ქოსა ხალილ-ფაშას მოადგილე იყო.

[4] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 863.

ამ უაღრესად მძიმე და კრიტიკულ მომენტში ქართველებში კვლავ იჩინა თავი ჩვეულმა შინგამცემობამ და ღალატმა, ფიცისა და ქვეყნის მოღალატე მამია გურიელი და გიორგი მიქელაძე ხალილ ფაშასთან გამოცხადდნენ, მათ მეგზურობაც იკისრეს და სხვა მხრიდან შემოჭრილი მოკავშირეთა მოძრაობაც შეატყობინეს. ერთიმეორესთან დაკავშირებული ოსმალთა ჯარები იმერეთის შუაგულისკენ გაემართნენ. ქეჰა არგვეთში შეიჭრა და ჭალატყის კოშკებს მიადგა. მიუხედავად ქართველ მცირერიცხოვან მცველთა თავგანწირული წინააღმდეგობისა, ოსმალებმა თხრილები გადალახეს და კოშკები ააფეთქეს. ამის შემდეგ მტერმა სებეკას ციხეც შემუსრა და ქვეყნის შუაგულიც დაიკავა.

თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, ოდიშში შეჭრილმა ოსმალებმა რუხის ციხე-სიმაგრე და ცენტრი დაიკავეს. ამასთან, სამეგრელოს აფხაზთა ლაშქარიც შემოესია.

ამ ლაშქრობის (დიდი თურქობის) შემდეგ ოსმალებმა მთელი დასავლეთ საქართველოს (მთა-ბარის) საბოლოო დაუფლება და შემომტკიცება განიზრახეს. ამ მიზნით ოსმალებმა გამოუყენებელი ციხეები დაანგრიეს, ხოლო თავისთვის ხელსაყრელ სტრატეგიულ ციხეებში, აგრეთვე ახლად აშენებულში (მაგ., ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, ანაკლიის, რუხის, ბაღდათის და სხვ.) თავისი გარნიზონები ჩააყენეს[1].

მართალია, ოსმალებმა იმერეთისა და სამეგრელოს ცენტრები დაიკავეს, მაგრამ დასავლეთ საქართველოს მთელი მთა-ბარის დაპყრობა და იქ სამუდამო დამკვიდრება მაინც ვერ მოახერხეს, რადგან ოსმალთა ქვეყანაც შინაფეოდალური ომით იხრწნებოდა. საქმე იმაშია, რომ აჯანყებულმა ჯარმა კონსტანტინეპოლი აიღო, სულთანი მუსტაფა მეორე კი ტახტიდან გადმოაგდო. მიუხედავად იმისა, რომ მუსტაფას ძმამ აჰმედ მესამემ იანიჩართა აჯანყება ჩაახშო და ძალაუფლება ჩაიგდო, უზარმაზარი სამხედრო ხარჯებით და შინა არეულობით გამოფიტულ ხაზინას უკვე აღარ შეეძლო ახალი ხარჯების გაღება, ამიტომ მათ დასავლეთ საქართველოში ხანგრძლივი დარჩენა და მისი მთა-ბარის ძირფესვიანი მოთხრა ვერ შეძლეს, თავისი მრავალრიცხოვანი ჯარები უკან გაიწვიეს.

უკან დაბრუნებამდე არზრუმის ფაშამ გ. აბაშიძესთან მოლაპარაკება გააბა, რათა იმერეთს ძველებური ხარკი ეკისრა, მის მეფედ გიორგი ბატონიშვილი დასმულიყო და შორაპნის ციხე დანგრეულიყო. ყოველმხრივ შეევიწროებულ აბაშიძეს სხვა გზა არ ჰქონდა, წამოყენებულ მოთხოვნებზე მოჩვენებითი თანხმობა განუცხადა, მაგრამ, როდესაც ოსმალთა მთავარი ძალები უკან გაუდგნენ გზას ქაიხოსრო იაშვილის მეთაურობით, იმერელთა, რაჭველთა და ლეჩხუმელთა* ლაშქარი ფერსათის მთაზე წამოეწია მტერს, რომელსაც დიდი ზარალი მიაყენა (ბრძოლაში მოკვდა კოლის ფაშა. დაიჭრა ახალციხის ფაშა და სხვ.). ამასთან, უწესრიგოდ გაქ-

---

[1] ქ. ჩხატარაიშვილი, დასავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, საქ. ისტ. ნარკვევები. IV. 1973, გვ. 459.

* ჩანს, ლეჩხუმი. ჯერ კიდევ. იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა.

ცეულ მტერს დაატოვებინეს „ალაფნი ურიცხუნი, ცხენნი, ჯორნი და აქ-ლემნი კიდებულნი“, აგრეთვე მძევლები და სხვ[1].

ჩანს, ოსმალთა მთავარი ძალების უკან დაბრუნების მიუხედავად, მა-თი შერჩეული გიორგი ალექსანდრეს ძე იმერეთის მეფედ დაჯდა, მაგრამ მის ირგვლივ მხოლოდ გ. მიქელაძე და მისთანანი შემოიკრიბნენ, ამიტომ ძალაუფლებასმოკლებული გიორგი მეექვსე უმეტესად ქუთაისის ციხეში იყო ჩაკეტილი.გ. აბაშიძე ისევ ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი იყო, ამი-ტომ გ. ლიპარტიანი და მოღალატე მ. გურიელიც მას ემორჩილებოდნენ[2].

როდესაც აბაშიძემ პოზიცია გაიმაგრა, მან გ. მიქელაძეს ძველი და ახალი ცოდვები გაუხსენა, ქვეყნიდან გააძევა და მისი მამული, სამიქ-ელაო-საჭილაო, ლიპარტიანს გადასცა[3].

დროებითი სიწყნარე ოდიშში კვლავ არეულობამ შეცვალა. გიორგი ლიპარტიანს ახლა თავისი ძმა, ლეჩხუმის თავი იესე გადაუდგა. ის გიორ-გი მეფეს ეახლა ქუთაისში, აგრეთვე ქართლის გამგებელ ვახტანგს და მას-თან მყოფ გ. მიქელაძეს დაუკავშირდა ღვიძლი ძმის წინააღმდეგ ერთობ-ლივ მოქმედებაზე. შეშინებულმა ლიპარტიანმა მყისვე ლეჩხუმში გაი-ლაშქრა, იქიდან იესე და მისი მომხრეები გააძევა და უფროსად თავისი სა-შუალო შვილი ბეჟანი დააყენა. 1704 წელს გ. ლიპარტიანმა დადიანად თავისი უფროსი შვილი კაცია გამოაცხადა*, ხოლო ჭყონდიდლობა მესა-მე შვილს — გაბრიელს უბოძა. მიუხედავად ამისა, მემატიანის ცნობით, გ. ლიპარტიანი ისევ უფროსობდა და შვილებიც ემორჩილებოდნენ[4].

იმერეთის სამეფოს დეცენტრალიზაცია XVIII საუკუნეშიც გრძელ-დებოდა და ღრმავდებოდა. თავადები თავიანთი საგამგებლო ადგილ-მა-მულის გაფართოებას და საბოლოო დასაკუთრებას ესწრაფოდნენ. ამას-თან, მიუხედავად იმისა, რომ ქურდ-ავაზაკობა და ტყვეთა სყიდვა აიკრ-ძალა, ყოველივე ძველებურად გრძელდებოდა. ყოველგვარი სისაძაგლი-სა და დანაშაულის თავიდათავი, სწორედ ყველაზე ძლიერი თავადები იყვნენ.

ქვეყანა კარგად ვერ იყო დაწყნარებული, გლეხობა ჯერ კიდევ თურ-ქებთან ბრძოლაში დაღუპულ ახლობლებს გლოვობდა და მეურნეობის აღდგენას ცდილობდა, რომ იმერეთისა და მეზობელი მხარეების მმართ-ველი წრეები ისევ შფოთმა მოიცვა. პატივმოყვარე თავადთა ნაწილმა ვერ აიტანა გ. აბაშიძის ასეთი უზომო განდიდება და მის წინააღმდეგ შეთქმუ-ლების ქსელი დახლართა. მოწინააღმდეგეთა ჯგუფში აღმოჩნდნენ იმერე-თის თავადთა უმრავლესობა, კათალიკოსი გ. ლორთქიფანიძე, გენათელი, რაჭის ერისთავი პაპუნა, ლიპარტიანის შვილები და სხვა, რომელთა ზურ-გში იმერეთის ფიქტიური მეფე გიორგი მეექვსე და ქართლის ჯანშინი ვახტანგი იდგნენ.

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 865.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 866.
[3] ი ქ ვ ე.
* ამიერიდან დადიანობენ ჩიქოვანები.
[4] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 866.

როდესაც თავის წინააღმდეგ გ. აბაშიძემ დიდი ძალა დაინახა, მან გ. ლორთქიფანიძისა და გენათელის მეშვეობით, საქმის მშვიდობიანი მოგვარება სცადა, მაგრამ შეთქმულებთან შესარიგებლად გაგზავნილი მღვდელმთავრები უკან არც კი დაბრუნდნენ. როდესაც ყველაფერი გამოაშკარავდა, გ. აბაშიძემ და მისმა მოკავშირე გ. ლიპარტიანმა ძალას მიმართეს, ლაშქარი შეკრიბეს და ვაკეში დაბანაკდნენ. აქეთკენ გაემართა გიორგი მეფისა და რაჭის ერისთავის ლაშქარიც: „წარავლინა მარბიელნი, რაჭველნი და იმერელნი რაოდენნიმე მათ თანა და შეესივნენ დაბნებთა ვაკისათა. მცნობელმან აბაშიძემ, უბრძანა სპათა თჳსთა, მოეტევნენ, მოსრნეს და შეიპყრნეს უმრავლესნი რაჭველნი, ტყუე-ჰყვნეს და დაყიდნეს სრულიად"[1].

დამარცხებულმა ერისთავმა კვლავ ახალი ლაშქარი შეკრიბა, მას შეუერთდნენ მამისადმი განაწყენებული კაცია დადიანი (ჩიქოვანი) და მისი ძმები ბეჟანი, გაბრიელი და სხვები, აგრეთვე ზურაბ, სვიმონ და ვახუშტი აბაშიძეები (გ. აბაშიძის ძმისწულები), რომელთაც გიორგი მეექვსეს დაუჭირეს მხარი. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი ქუთაისიდან გასვლას ვერ ბედავდა, თუმცა მეფე და აბაშიძე დღენიადაგ ერთიმეორეს აწიოკებდნენ. ამიტომ, მემატიანის თქმით, იმერეთში „იყო ჴდომა მარადის"[2].

როგორც სხვაგან, დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურებიც ხშირად იცვლიდნენ პოზიციას, თავისი ინტერესების შესაბამისად ისინი ერთი დაჯგუფებიდან მეორეში გადადიოდნენ და უმოწყალოდ ღალატობდნენ გუშინდელ მოკავშირეს. ასე მოიქცა რაჭის ერისთავი, როდესაც მასთან ძაძებჩაცმული გ. ლიპარტიანი მივიდა და შთააგონა, რომ ის აბაშიძის ახლობელი იყო და უჯერო იყო მის წინააღმდეგ ბრძოლა, უცებ პირი იბრუნა: „უსმინა ერისთავმან, შეკრბნენ ორნივე სპითა თჳსითა, მოვიდნენ და დადგნენ ფარცხანაყანევს; აქეთ აბაშიძე შეკრებილი სპითა წარვიდა მათ თანა, რათა შეკრბნენ და მოვიდნენ მეფესა ზედა"[3].

რასაკვირველია, მეფე გიორგიმაც თავისი ლაშქარი შეკრიბა და 1709 წ. მოწინააღმდეგეებისკენ გაეშურა: „...მსწრაფლად ვლეს ღამე იგი და დილასა დაესხნენ ლიპარტიანსა და ერისთავსა და იქმნაცა ბრძოლა ფიცხელი..."[4].

მემატიანის რწმუნებით, ამ ბრძოლაში მეფემ გაიმარჯვა, მან დატყვევებული მეგრელები და რაჭველები ვერცხლში გაყიდა. გიორგი მეექვსე ამით არ დაკმაყოფილდა, მან კაცხისა და სუერის ციხეებსაც შეუტია, მაგრამ გ. აბაშიძე ვერაფრით შეიპყრო და ქუთაისში დაბრუნდა. მალე მეფემ რაჭაში გაილაშქრა: „გარდავლო ნაჯიხურევი და დადგა შაორს". მაგრამ წულუკიძის, იაშვილისა და ჯაფარიძის რაზმებმა მეფის ლაშქარი შეაჩე-

---

1 ქართლის ცხოვრება. IV, გვ. 868.
2 იქვე.
3 იქვე. გვ. 868—869.
4 იქვე, გვ. 869.

რეს, ხოლო ღამით შოშიტა ერისთავის რაზმი იმერეთის ჯარის განლაგებაში შეიპარა და სახლთუხუცესი ჩხეიძე მოკლა. განრისხებული მეფე შეტევაზე გადავიდა და მოწინააღმდეგეს ხოტევამდე მისდია, მაგრამ ერისთავი ვერ მოიხელთა და უკან დაბრუნდა. მალე მან აბაშიძის ციხე ნავარძეთზეც მიიტანა იერიში, მაგრამ, ბრძოლაში წარმატების მიუხედავად, ვერც ერთი მოწინააღმდეგე თავადი ვერ ჩაიგდო ხელში. ამ დროს მეფესთან კაცია დადიანი და ბეჟან ჩიქოვანი (ლეჩხუმის თავი) გამოცხადდნენ და თავიანთი მამის წინააღმდეგ ოდიშში გალაშქრება თხოვეს.

მეფემ ნავარძეთში დატოვებულ რაზმს ქველი წერეთელი ჩაუყენა სათავეში, თვითონ ოდიშში გასწია. ლიპარტიანი მეფისა და შვილების ლაშქარს ვერ შეება და აფხაზეთში გაიქცა, ხოლო მისი შვილი კაცია დადიანი თავის სამფლობელოს დაეუფლა[1].

ქველი წერეთლის რაზმმა ბოლოს და ბოლოს ნავარძეთის ციხე აიღო, მაგრამ გ. აბაშიძე მაინც ვერ ჩაიგდო, სამაგიეროდ, მეფის ოდიშში ლაშქრობის დროს, შოშიტა ერისთავი იმერეთს დაესხა თავს და ჭალატყის მოსახლეობა ააწიოკა.

ოდიშიდან დაბრუნებისთანავე იმერეთის მეფემ გურიაში გაილაშქრა. გურიელმა ციხეს შეაფარა თავი, მეფის ლაშქარმა მისი მამული დაარბია, მოსახლეობის ნაწილი კი ტყვედ წაასხა.

ნავარძეთის შემდეგ წერეთლის რაზმმა კაცხის ციხეს შეუტია. მიუხედავად ზარბაზნებით სროლისა, აბაშიძის მეციხოვნეთა წინააღმდეგობა ვერ დაძლია, იძულებული გახდა ციხისათვის ალყა მოეხსნა და უკან დაბრუნებულიყო.

კაციას მოქმედებით უკმაყოფილო გ. ლიპარტიანი ოდიშს ისევ თვითონ დაეუფლა. მალე ის და გურიელი მეფე გიორგის შეურიგდნენ. ახლა ნაცვლად იმისა, რომ მეფე აოხრებული ქვეყნის დაწყნარებასა და აღდგენას შედგომოდა, ის 1711 წ. ლიპარტიანს შეუთანხმდა შოშიტა ერისთავი გაენადგურებინათ. ამ მიზნით მეფემ რაჭაში გაილაშქრა. „მოსწუა მოსტყუევნა სხოვადმე", მაგრამ ერისთავი ვერ ჩაიგდო[2].

ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით, გიორგი მეფე მსუბუქი ყოფაქცევის, მომხვეჭელ-ვერცხლისმოყვარე, ანგარებიანი და უნდო პიროვნება იყო, ამიტომ შოშიტა ერისთავმა, ბეჟან ლეჩხუმის ბატონმა, ზურაბ აბაშიძემ, გურიელმა და გ. ლიპარტიანმა მას შეთქმულება მოუწყვეს, იმერეთიდან გააძევეს და მის ადგილზე 1711 წ. მამია გურიელი გაამეფეს (გიორგი მეექვსე ქართლში გაიქცა, იქ აფარებდა თავს გ. აბაშიძეც)[3].

ქართლიდან ახალციხეში წასულ გიორგი მეექვსეს გიორგი და ზურაბ აბაშიძეებიც შეუერთდნენ. ისინი, ისაკ ფაშის ჯარის თანხლებით, გვიან ღამით ლეჩხუმში წავიდნენ, საიდანაც, ბეჟან ჩიქოვანის ლაშქართან ერთად, არგვეთში გასწიეს. ეს გარემოება, რასაკვირველია, მამია გური-

---

1 ქართლის ცხოვრება, IV. გვ. 870.
2 იქვე.
3 იქვე.

ელმაც შეიტყო, რომელმაც იმერეთის, გურიისა და რაჭის ლაშქარი შეკრიბა და მოწინააღმდეგეებს შეება. ბრძოლა მოხდა 1712 წ. ჩხარში, სადაც გურიელი და მისი მომხრეები დამარცხდნენ (ბრძოლაში მოკვდა გ. წულუკიძე) და უწესრიგოდ გაიფანტნენ.

გიორგი მეექვსემ მეფობა დაიბრუნა. მან ჩხარის ბრძოლაში ტყვედ-ჩაგდებული რაჭველები, გურულები და მოწინააღმდეგე იმერლები ოსმალებს მიჰყიდა.

რაჭაში გაქცეული მამია გურიელი ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსის და მისი შვილის ბაქარის დახმარებით ჯერ ქართლში, შემდეგ ჯავახეთში წავიდა, შემდეგ ასან ფაშის (სიძის) დახმარებით ისევ გურიას დაეუფლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ იმერეთში ისევ ინტრიგა დაიწყო. ახლა ზურაბ აბაშიძემ მეფეს ჩააგონა, რომ გ. ნიჟარაძე მას შეთქმულებას უწყობდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მეფეს ეჭვმიტანილისათვის თვალები დაეთხარა და ცოლიც წაერთმია. უმაქნისო და უპრინციპო მოქმედების გამო მეფეს აუმხედრდნენ აბაშიძე, ერისთავი, ჩიქოვანი, დადიანი და გურიელი, რომლებმაც თავიანთი რაზმებით ოკრიბაში მოიყარეს თავი. მეფემ და მისმა მომხრეებმაც იქითკენ გასწიეს და 1713 წ. ნოემბერში მოწინააღმდეგეს დაეცენ. უმცირესობაში დარჩენილები სასტიკად დამარცხდნენ, მათი მეომრების ნაწილი გურიელმა დაატყვევა და ოსმალებს მიჰყიდა.

იმერეთის მეფობა ისევ გურიელმა ჩაიგდო ხელთ. მაგრამ ორი თვის მეფობის შემდეგ, 1714 წ. იანვარში გარდაიცვალა.

ხონთქარის ბრძანებით ისაყ ფაშამ იმერეთის მეფედ ახალციხეში გაქცეული გიორგი მეექვსე დასვა.

სანამ მეფის საკითხი გადაწყდებოდა, ერთმანეთს გადაეკიდნენ ლეჩხუმისა და რაჭის მფლობელები. მათ იმერეთის სხვა თავადებმაც მიბაძეს და ერთიმეორეს ანადგურებდნენ. ამასობაში იმერეთში დაბრუნებულმა გიორგიმ რაჭის ერისთავის და შეირთო ცოლად (საკუთარ ცოლს — როდამ დედოფალს, რომელიც შვილთან ერთად იყო სვანეთში გახიზნული, გაეყარა). სამაგიეროდ, ბეჟან ჩიქოვანმა ზურაბ აბაშიძე და პაატა ფხეიძე (მხეიძე) მიიმხრო და მეფე — ერისთავს დაუპირისპირდა.

თავის მხრივ, მეფემ ისევ დადიანი გადაიბირა და პაატა მხეიძის მოსპობა განიზრახა, მაგრამ ეს უკანასკნელი საწირის ციხეში შეიხიზნა და უვნებელი გადარჩა[1].

ერთმანეთს ებრძოდნენ ოდიშ-ლეჩხუმის ჩიქოვანებიც. ლეჩხუმის მფლობელ ბეჟანს დადიანობა უნდოდა, მაგრამ ამას ოდიშის მფლობელი მამამისი ეწინააღმდეგებოდა. მაშინ ბეჟანმა მეფე გიორგი მოქრთამა (დიდძალი ვერცხლი მისცა), ის ჯერ ერისთავს გადაკიდა, ხოლო შემდეგ მამამისს და 1715 წ. დადიანობაც ჩაიგდო.

მერყეევი და მომხვეჭელი მეფე ახლა ბეჟან დადიანს გადაეკიდა და

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 874.

ოდიში დაატოვებინა. მალე მეფე გ. ლიპარტიანსაც შეურიგდა, რომელსაც ოდიშის მფლობელობა დაუბრუნა. რაკი ბეჟან ჩიქოვანი არ ცხრებოდა, მეფემ და ლიპარტიანმა მის წინააღმდეგ გალაშქრება განიზრახეს.

ლეჩხუმის მფლობელი დარწმუნდა, რომ ძალით ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ ცბიერ პოლიტიკას მიმართა: მან კათალიკოს გრიგოლს დაუფიცა, რომ თუ მამა შეურიგდებოდა, მისი მონა-მორჩილი იქნებოდა. ლიპარტიანი დარწმუნდა, რომ შვილმა ურჩობა მოინანია და ლეჩხუმში ესტუმრა. მოსაჩვენებლად ბეჟანმა მამას შესანიშნავი ნადიმი მოუწყო, მაგრამ გათენებისას ყველა სტუმარი განაიარაღა, მამა ციხეში გამოამწყვდია და აიძულა დედამისს შერიგებოდა. ამის შემდეგ ბეჟანმა „...შეიპყრნა მისანდონი მამის თჳსისანი, მოსრნა და უმკჳდრო ჰყჳნა, სხუანი დაჰყიდნა დედაწულით და დაიპყრნა ოდიში თჳთ და იწოდა დადიანად"[1].

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში ინტრიგა, შუღლი და ძმათამკვლელი ომი კვლავ გრძელდებოდა. მითუფრო, რომ ამას მსუბუქი ყოფაქცევის მეფე აძლევდა ტონს. მან 1715 წ. ზამთარში ზურაბ აბაშიძის მამული დაარბია. სამაგიეროდ, აბაშიძემ და ბეჟან დადიანმა ახალციხის ფაშა მოქრთამეს და ოსმალთა ჯარით ქუთაისი ააოხრეს, მეფე და მისი ამალა რაჭაში გააქციეს. საქმე არც ამით დამთავრდა, ერთი თვის შემდეგ მეფე და ერისთავი, რაჭისა და იმერეთის ლაშქრით, სიმონეთში მივიდნენ. მათ წინააღმდეგ გაემართნენ ქუთაისში დაბანაკებული ოსმალები და მეგრელთა ლაშქარი. ბრძოლა მოხდა 1716 წ. ზაფხულში სიმონეთში, სადაც მრავალი ქართველი დაიღუპა, ძალთა უთანასწორობის გამო, მეფე და მისი მომხრეები დამარცხდნენ. ბ. დადიანი და ზ. აბაშიძე ამით არ დაკმაყოფილდნენ და ქართლში გაქცეული მეფის ახლობლებს დაერივნენ. ისინი სვანეთსაც მისწვდნენ, სადაც როდამ დედოფალი და მისი ვაჟიშვილი აფარებდნენ თავს და იქაც ჩვეული ვერაგობა ჩაიდინეს.

გამარჯვებულმა დადიანმა და ზ. აბაშიძემ, ახალციხის ფაშის ნებასურვილით, იმერეთის მეფედ გიორგი გურიელი დასვეს. შემდეგ ბ. დადიანი რაჭის ერისთავს შეურიგდა და კიდევაც დაუმოყვრდა.

როგორც ჩანს, რაჭის ერისთავი გურიელის მეფობას ვერ ეგუებოდა, თან სიმონეთში დამარცხების სიმწარეც ვერ მოინელა, ამიტომ დრო იხელთა და სალომინაოში დაუხვდა გურიიდან ქუთაისში — მეფესთან მიმავალ მებარგულებს, რომელთაც მეფის ქონება წაართვა, ხოლო შეპყრობილები ვერცხლში გაყიდა. მოსალოდნელი საფრთხის გამო გიორგი გურიელმა მეფობა მიატოვა და გურიაში გაიქცა.

მეფის გაძევების შემდეგ დადიანმა, ერისთავმა და ზ. აბაშიძემ იმერეთი გაიყვეს და მთელი ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს. მალე მათ გურიაც დაარბიეს, გიორგის ნაცვლად მისი ძმა ქაიხოსრო (ყოფილი მონა-ზონი) დასვეს გურიელად, თვითონ კი ქრთამითა და ნადავლით დაბრუნდნენ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულმა სამეულმა არც ახალციხეში გაძე-

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 876.

ვებული გიორგი მეფე შეუშვეს იმერეთში. რაკი ახალციხისა და არზრუმის ფაშები ერთიმეორეს ეომებოდნენ და მათ საქართველოში ლაშქრობა არ შეეძლოთ, გიორგი მეფე დახმარების სათხოვნელად 1717 წ. ხონთქართან წავიდა სტამბულში, სადაც რამდენიმე ხანს დარჩა.

ამასობაში, არზრუმის ფაშას მეშვეობით, გიორგი გურიელმა თავისი ძმა ქაიხოსრო დაამარცხა და გურიელობა დაიბრუნა, მაგრამ მას არც გურიის თავადაზნაურები ასვენებდნენ და არც დადიანი, ბოლოს კიდევაც გააძევეს ბათუმში, მაგრამ შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა და ისევ გურიელობდა.

იმერეთ-სამეგრელოსა და რაჭის მფლობელთა მეგობრობაც დროებითი გამოდგა. 1717 წ. ზამთარში დადიანი და ერისთავი თავს დაესხნენ ზურაბ აბაშიძეს, რომელმაც სუერის ციხეში შეასწრო, მაგრამ მომხდურებმა მამული აუწიოკეს. დადიანი შემდეგ თავის ძმა მანუჩარსაც მიუხტა ლეჩხუმში და დეხვირის ციხეში გამოამწყვდია. რამდენიმე ხნის შემდეგ დადიანმა, ერისთავმა, ზ. აბაშიძემ და გ. გურიელმა კავშირი შეკრეს და ძალმომრეკ ცხოვრებას განაგრძობდნენ. ისინი ყველა მოწინააღმდეგეს სპობდნენ ან მაჰმადიანებზე ყიდდნენ.

1719 წ. აგვისტოში, ხონთქარის ბრძანებით, სტამბოლიდან ბრუნდება გიორგი მეექვსეც, რომელიც ისაყ ფაშას ჯარით იმერეთში შევიდა, იქ მოკავშირეთა ზ. აბაშიძის, დადიანისა და ერისთავის ლაშქარი დახვდა, მაგრამ თავადთა ლაშქარმა მრავალრიცხოვან მტერს ვერ გაუძლო და უკან დაიხია. დადიანი და აბაშიძე სამეგრელოში გაიქცენ, ხოლო ერისთავი — რაჭაში: „მაშინ ოსმალთა მოსრნეს და შეიპყრნეს სპანი მათნი მრავალნი. მერმე მოსტყუვნნეს ოკრიბა, შემუსრნეს ციხენი და კოშკნი. შემდგომად წარვიდნენ ოდიშს; ვერ წინაღუდგა დადიანი მუნცა. უყვეს ეგრეთვე და მოწუეს ეკლესიანიცა. ხოლო უღონო ქმნილმან დადიანმან მისცა ქრთამი დიდი, დაიზავა, უკუმოიქცა მეფე და დადგა ქუთათაისსაე. მერმე ზავჰყო მთავართა მათ თანა და დაიპყრა იმერეთი. მერმე განუტევა ოსმალნი და იყოფოდა მშვიდობით“[1].

დასავლეთ საქართველოში ნამდვილი მშვიდობა არც ამის შემდეგ დამყარდა. სამეფო ტახტზე მეოთხედ დაბრუნებულ მეფეს კვლავ დიდი თავადები დაუპირისპირდნენ. ბოლოს და ბოლოს, 1720 წ. მარტში, ბ. დადიანმა და შ. ერისთავმა, თხმელის ციხეში ნადიმობისას, სვიმონ მეფე აბაშიძის მსახურებს მოაკვლევინეს. ამის შემდეგ ერისთავმა კაცხის ციხიდან მეფის განძეულობაც დაიტაცა. შეთქმულები არც ამით დაკმაყოფილდნენ და იმერეთი ისევ გაინაწილეს.

რა თქმა უნდა, საქმეში ისევ ოსმალები ჩაერივნენ, ხონთქრის ბრძანებით, იმერეთის მეფედ გიორგის მემკვიდრე ალექსანდრე უნდა დანიშნულიყო. მალე ახალციხის ფაშამ და შავშეთის ბეგმა უფლისწული იმერეთში მოიყვანეს. ამასობაში მოკავშირე თავადებს შორის შუღლი ჩამო-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 880.

ვარდა, შოშიტა ერისთავი ალექსანდრეს მიემხრო, ხოლო დადიანი და აბაშიძე მათ დაუპირისპირდნენ. ოსმალებმა ჯერ იმერეთი დაიპყრეს (ცუ-ცხვათის ციხეში თავისი მეციხოვნეები ჩააყენეს), შემდეგ დადიანს გაე-კიდნენ ლეჩხუმში, რომელიც საშინლად ააოხრეს და ქუთაისში დაბრუნ-დნენ. ბოლოს დადიანმა მოახერხა ოსმალები მოექრთამა (თორმეტი ქისა ვერცხლით). სამაგიეროდ, მან მოწინააღმდეგე ოტია ჩხეიძეც მოაკვლე-ვინა და მეფის მეურვეობას დაეუფლა.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დადიანმა ბოლოს მეფეც დაისიძა და მასზე უზომო გავლენაც მოიპოვა, ის იმერეთის ფაქტობრივი მბრძანე-ბელი გახდა[1]. როგორც სხვა დროს, ახლაც შურმა იჩინა თავი. დადიანს, პირველ რიგში, საკუთარი ძმა ჭყონდიდელი დაუპირისპირდა. მან კავშირი შეკრა თამარ დედოფალთან და თავისი ძმა დადიანი ახალციხისა და არ-ზრუმის ფაშებთან დაასმინა. როგორც ჩანს, დადიანმა და მეფემ ოსმა-ლებს უფრო დიდი ქრთამი მისცეს და მოწინააღმდეგეთა დასჯის უფლება მიიღეს. სიძე-სიმამრმა თამარი დეხვირის ციხეში გამოკეტეს, ხოლო გაბ-რიელს ჭყონდიდლობა წაართვეს. მალე დადიანი და ალექსანდრე რაჭის ერისთავს, მის ძმა გენათელს და ზ. აბაშიძესაც გადაემტერნენ, რომელ-თაც არაერთხელ აუწიოკეს მამული და სამწყსო.

მემატიანის რწმუნებით, დადიანი არც სიძე ალექსანდრე მეფის ერ-თგული იყო, მან არაერთხელ მოისურვა მეფის სიკვდილი, მაგრამ თავი-სი ასულის შიშით ეს ვერ განახორციელა[2].

მეფისა და დადიანისაგან ათვალწუნებულმა ერისთავმა და აბაშიძემ არაერთხელ მიმართეს დახმარებისათვის ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსეს, მაგრამ ოსმალთა რიდით ამ უკანასკნელმა ვერაფერი გაბედა. ერისთავმა რამდენჯერმე სცადა მეფისადმი შეთქმულებაც, რადგან ვერაფერი გაა-წყო, ძალის გამოყენება სცადა, 1725 წ. რაზმით დაესხა თავს სკანდის ციხეში მყოფ ალექსანდრეს, მაგრამ ციხე ვერ აიღო და ახლომახლო სო-ფლების აწიოკებით და ტყვეების წაყვანით დაკმაყოფილდა.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს. პირველ ოცეულში, შინა ფეოდალური არეულობის გამო, ოსმალები ნაკლებად ახერხებდნენ საქართველოს საქ-მეებში სამხედრო ძალით ჩარევას, მაგრამ ურთიერთმებრძოლი ქართვე-ლი თავადები მათ საქართველოს მაინც არ ავიწყებდნენ, დიდი ქრთამის ფასად ისინი ხშირად სამშობლოს დასარბევად მოჰყავდათ.

XVIII ს. 20-იან წლებში ოსმალებმა განიზრახეს შავი ზღვის აღმო-სავლეთ სანაპიროს მტკიცე დაპატრონება. მათ ფოთის ციხე ააშენეს და ფაშა დასვეს. მალე ოსმალებმა რუხის ციხესიმაგრე დაანგრიეს და მისი ნანგრევებით ანაკლიის ციხე (რედუტ კალე) ააშენეს. ამასთან ოსმალებმა შავი ზღვის სანაპირო ციხეებში გარნიზონები ჩააყენეს, ხოლო უთრო შორს მდებარე ციხეები დაანგრიეს[3].

---

[1] ქართლის ცხოვრება. IV. გვ. 830.
[2] იქვე. გვ. 882.
[3] იქვე. ეი. 883.

მიუხედავად მტრის ასეთი მოწოლისა, დასავლეთ საქართველოს მმართველი წრეები ერთიმეორის წინააღმდეგ ტრადიციულ ძმათამკვლელ ომს განაგრძობდნენ. საკმარისი იყო რომელიმე მეზობელი თავადი გაძლიერებულიყო ან მეფის კარზე აღზევებულიყო, რომ მისი წინააღმდეგ სხვა თავადები დარაზმულიყვნენ, ხოლო შესაძლო შემთხვევაში მისგან არაფერი დაეტოვებინათ.

XVIII ს. მეორე მეოთხედის დასაწყისში განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა დადიანისა და რაჭის ერისთავის ბრძოლა. 1725 წ. ბოლოს დადიანმა და მეფემ ერთიანი ლაშქრობა მოაწყვეს რაჭაში, მათ ჯერ წულუკიძის მამული ააოხრეს, შემდეგ ქვემო რაჭა სევამდე და ტყვეებითა და ალაფით დატვირთული დაბრუნდნენ. მომდევნო წელს სიძე-სიმამრმა და ზურაბ აბაშიძემ ერისთავის ერთგული ლევან აბაშიძის მამული გაატიალეს.

ბოლოს და ბოლოს ერისთავმა დადიანთან და მეფესთან შერიგება ამჯობინა (ცოლად შეირთო დადიანის ასული მარიამი, გიორგი გურიელის ქვრივი). ამასობაში ბ. დადიანი კიდევ უფრო გაძლიერდა, ის სამეგრელოსთან ერთად იმერეთსაც მართავდა. ცხადია, დადიანის ასე განდიდება ზურაბ აბაშიძემ ვერ აიტანა, მან დადიანი ახალციხის ფაშა ისაყთან დაასმინა.

ისაყ ფაშამაც არ დააყოვნა და თავისი შვილის — უსუფის სარდლობით, 1728 წ. იმერეთში ჯარი გამოაგზავნა. როდესაც გეგუთში დაბანაკებულ ოსმალებთან დადიანი და მისი შვილი ოტია გამოცხადდნენ, კარავში შესულ ბეჟანს მაჰმად ბეგმა ქურდულად ჩასცა ზურგში ხანჯალი, ოტიამ კი გაქცევა მოახერხა.

მეფემ მოღალატე ზ. აბაშიძისათვის სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა, მაგრამ სანამ ის შორაპნის ციხეს დაეცემოდა, ზურაბმა ეს უკანასკნელიც და ბაღდადის ციხეც ოსმალებს დააკავებინა.

ოდიშში მისვლისთანავე ოტია დადიანად დაჯდა, მაგრამ მას მისი ძმა — კაცო აუმხედრდა. დადიანმა ის შეიპყრო და ერისთავს კუარას ციხეში გამომამწყვდევინა. თავის მხრივ, ერისთავი მოწინააღმდეგე იაშვილს შეესია სადმელის ციხეში. მეფემ ერთგული თავადის მისაშველებლად ლევან აბაშიძე გააგზავნა, მაგრამ ერისთავმა ის მოტყუებით შეიპყრო და დადიანს გადასცა.

ერისთავის ამგვარი თავხედობით გაბოროტებულმა მეფემ ლაშქარი შეკრიბა და სადმელში გასწია, სადაც ციხე აიღო, მაგრამ ერისთავი გაექცა. ამით შეშინებულმა დადიანმა ლევან აბაშიძე გაათავისუფლა, მაგრამ მალე თვითონც გარდაიცვალა.

მოკლე დროში კაცო ჩიქოვანმაც მოახერხა კუარას ციხიდან გაქცევა, მაგრამ დადიანად უკვე გრიგოლ ოტიას ძე იჯდა. შემდეგ შოშიტაც გარდაიცვალა და ერისთავობა მისმა უფროსმა შვილმა ჩაიგდო.

1732 წ. მეფე ალექსანდრე, გურიელი და ლევან აბაშიძე გაერთიანდნენ, რაც გრიგოლ დადიანმა ვერ აიტანა. მან ჯერ მეფის ძმა მამუკა გა-

დაიბირა, შემდეგ რაჭის ერისთავი, ბოლოს მარგველები და გეგუთი დაარბიეს. მეფემ, ლევან აბაშიძემ და გენათელმა ქუთაისისაკენ დაიხიეს, აქეთ მისდია შეთქმულთა ლაშქარმა: მეგრელების, რაჭველების, ლეჩხუმელებისა და აფხაზების შემადგენლობით, მაგრამ ოსმალების შიშით მათ ქუთაისის აღება ვერ გაბედეს.

მეფეს ყველაზე მეტად ერისთავის მოქმედება აღელვებდა, მაგრამ, რადგან ის ვერაფრით ჩაიგდო ხელთ, მას საკუთარი ძმა გენათელი დაუპირისპირა, რომელსაც ამაღლება, სიმონეთი, ძულუხი და სხვა მამულები უწყალობა (ამიერიდან გენათელის სამფლობელოს ბარის საერისთავო ეწოდა)[1].

როდესაც დასავლეთ საქართველოს მმართველი წრეები ერთიმეორეს არბევდნენ, ფოთის ფაშა თავის საქმეს აკეთებდა, მტკიცედ ეუფლებოდა შავი ზღვის სანაპიროებს სამეგრელოდან-ჯიქეთამდე. ნაცვლად იმისა, რომ ქართველებს ოსმალთა წინააღმდეგ კოალიცია შეედგინათ, იმერეთის მეფე ოსმალებს ეხმარებოდა სამეგრელოსა და აფხაზეთის სანაპიროების დაპყრობაში*. ფოთის ფაშა მარტო ამ დახმარებას არ დასჯერდა და 1733 წ. ალექსანდრეს ჯიქების წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობაც მოსთხოვა. ჩანს, ეს უკვე არ შედიოდა ალექსანდრეს ინტერესებში, თან საშიშ საქმეს წარმოადგენდა, ამიტომ ღამით უკან გაიპარა, მაგრამ გზაში მას ჯერ ოსმალები გადაეღობნენ, შემდეგ დადიანის რაზმებიც. სანახევროდ განადგურებული ალექსანდრე იძულებული გახდა ღადიანისათვის მძევლები მიეცა და დაზავება ეთხოვა.

იმერეთ-სამეგრელოს, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმს ჯერ კიდევ ოსმალთა უკანასკნელი ლაშქრობისა და ურთიერთშეთქმულების იარები არ ჰქონდათ მოშუშებული, რომ მეფის წინააღმდეგ მმართველმა თავადებმა ისევ შეთქმულება მოამზადეს. დადიანმა, ერისთავმა და ზ. აბაშიძემ მეფის ძმა მამუკა გადაიბირეს და ლაშქარი შეკრიბეს. როდესაც ეს გამომჟღავნდა, მეფემ მამია (მეოთხე) გურიელი, ლევან აბაშიძე, დადიანის ძმა კაცო, ბარის ერისთავი გედეონი და მერაბ წულუკიძე შეყარა და თადარიგი დაიჭირა. მოწინააღმდეგეთა ძალები 1734 წ. ზამთარში შეებენ ერთიმეორეს ჩიხორში**: „...იქმნა ბრძოლა და მოისრნენ ორგნითვე უმრავლესნი... მერმე სძლეს ალექსანდრეთა და მოსრვიდნენ მათ, მიეწივნენ დადიანს, ჰკრეს თოფი და ჩამოვარდა. კუალად დაჰკოდეს დავით აბაშიძე; აქათ მოკლეს კაცო, ძმა დადიანისა; მიჰყვნენ ლტოლვილთა, რამეთუ იყო თოვლი დიდი, მოსრნეს, შეიპყრნეს რაჭველნი და ლეჩხუმელნი და ოდიშარნი უმრავლესნი და დაყიდეს სრულიად ოსმალთა ზედა“[2].

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 886.

* ამ ლაშქრობის დროს შერვაშიძემ მაჰმადიანობა მიიღო და ოსმალებს დაეზავა.

** ჩიხორის ბრძოლა წყაროებით სხვადასხვა წლითაა დათარიღებული (იხ. სიხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეოთეა, ზ. ჭიჭინაძის გამოც., თბ. 1913, გვ. 60; თ. ორდანია. ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 127, 638—639 და სხვ.). მკვლევარების ქ. ჩხატარაიშვილისა და მ. რეხვიაშვილის აზრით, ჩიხორის ბრძოლა 1732 წელს მოხდა.

[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 888.

წოდებრივი ტრადიციის (კლასობრივი პრინციპის) გამო ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ყოველთვის, ჩიხორის ომის მსხვერპლთაგან სახელდებით მხოლოდ თავად-აზნაურებს მოიხსენიებს, მაგრამ, იოლი წარმოსადგენია, ეს და სხვა მსგავსი ძმათამკვლელი ომები რა მძიმე შედეგებით მთავრდებოდა, განსაკუთრებით გლეხებისათვის.

ბუნებრივია, ოსმალებს არც ერთი მფლობელის უსაზღვრო გაძლიერება არ აწყობდათ საქართველოში, მითუფრო მეფის, როგორც ყოველთვის, ისინი ახლაც საქმეში ჩაერივნენ. მათ მეფეს ტყვე დადიანის განთავისუფლება და ზურაბ აბაშიძის ხელშეუხებლობა უბრძანეს. რადგან მეფეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ასე მოიქცა, სამაგიეროდ, ლეჩხუმის დაბრუნება მოითხოვა*, როცა ვერც ამას მიაღწია საჭილაო-სამიქელაოს მიღებით დაკმაყოფილდა (ეს მამულები მამუკა ბატონიშვილს გადაეცა).

დასავლეთ საქართველოში, ჩიხორის ბრძოლის შემდეგ, მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. დასავლეთ საქართველო ოსმალებს თავის საკუთრებად მიაჩნდათ, ამიტომ მის მმართველ წრეთა დავასა და შეხლა-შემოხლას თავის სასარგებლოდ იყენებდნენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს საქმეების „მოსაგვარებლად", .თავის კეთილდღეობისათვის მებრძოლი ფეოდალებისაგან, უზარმაზარ ქრთამ-გასამრჯელოს იღებდნენ.

მეფე ალექსანდრე თავისი და ქვეყნის პოზიციების განმტკიცებას ცდილობდა, მაგრამ თავადები მას საშველს არ აძლევდნენ. ამ ჭიდილში მეფემ დავით აბაშიძეს და პაპუნა წერეთელს თავები მოჰკვეთა ვარციხის სასახლეში. მეფის ამ ვერაგობის საპასუხოდ ზ. აბაშიძემ, გრიგოლ ერისთავმა და ოტია დადიანმა შეთქმულება მოაწყვეს, მაგრამ მეფე ალექსანდრემ დაასწრო, მან შანშე ქსნის ერისთავის რაზმები და ხუთასი დაქირავებული ლეკიც დაიხმარა და შეთქმულებს შეუტია. როგორც ჩანს, მეფის ზოგიერთმა მომხრემ გამოცდილებით იცოდა, თუ რას ნიშნავდა და რა შედეგები მოჰქონდა თანამოძმეთა წინააღმდეგ უცხო ძალის გამოყენებას. ამიტომ ლევან აბაშიძემ მეფეს ურჩია: „რამეთუ არა კეთილ არს ლეკთაგან შემუსვრა ქუეყანისა ჩუენისა, რაჟამს სცნან ადგილნი, თჳთვე მრავალსა ბოროტსა შეგუაჩუენებან, ვითარცა უყვეს სხუათა"[1].

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით მეფემ ისმინა ეს კეთილი რჩევა, ოდიშის დარბევას შეეშვა, ხოლო ლეკები შინ დააბრუნა[2].

ირანმა 1735 წ. თურქეთი აიძულა აღმოსავლეთ საქართველოს შეშვებოდა. იმის შიშით, რომ იმერეთის მეფე შაჰის მხარეზე არ გადასულიყო და დასავლეთ საქართველოდანაც არ განდევნილიყვნენ, ოსმალები იძულებული გახდნენ იმერეთისათვის შეღავათები მიეცათ.

მიუხედავად ამისა, საქართველოს არც ირანი თმობდა და არც ოსმა-

---

* ეტყობა XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ლეჩხუმი ოდიშის მფლობელ დადიანთა ხელშია, თუმცა ამის ფორმალურ დასტურს იმერეთის მეფეები იძლეოდნენ.

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 890.

[2] ი ქ ვ ე.

ლეთი, ისინი აშკარა თუ ფარულ ომს განაგრძობდნენ საქართველოს საბოლოო გამაჰმადიანებისა და დასაკუთრებისათვის.

ამასთან, 1736—1737 წწ. თურქეთს რუსეთიც შეეჯახა, ძალით წაართვა აზოვისა და ოჩაკოვის ციხეები.

ასეთ ვითარებაში, იმერეთის მეფე ალექსანდრემ გამოსავლის ძებნა დაიწყო, რუსეთზე აიღო ორიენტაცია. ამასთან, ირანს ქსნის ერისთავი შანშეც აუჯანყდა. ის იმერეთის მეფის ელჩთან, ტიმოთე ქუთათელთან (გაბაშვილთან) ერთად რუსეთის მეფეს ეახლა მფარველობისა და დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ოფიციალურ ელჩობასა და თხოვნას კვლავ არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყვა[1].

ამასობაში 1741 წ. დადიანმა, ერისთავმა, ზ. აბაშიძემ და შერვაშიძემ, ახალციხის ფაშის მხარდაჭერით, ალექსანდრე იმერეთიდან განდევნეს, ხოლო მის ადგილზე გიორგი ბატონიშვილი (მეფის ძმა) დასვეს.

აღმოსავლეთ საქართველოში გაძევებულმა ალექსანდრემ, ნადირ შაჰის დახმარებით, რამდენიმე თვეში დაიბრუნა მეფობა[2]. მაგრამ მეფე-მთავართა და თავადთა ბრძოლა არც შემდეგ დაცხრა. თავის ძმა — გიორგისთან ერთად მეფეს დადიანი, ერისთავი და სხვა თავადებიც ებრძოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეფე ხშირად უსასტიკეს ზომებს მიმართავდა (მოწინააღმდეგეთა ნაწილს თავებს ჭკვეთდა, ნაწილს ოსმალეთში ჰყიდდა და ა. შ.), შეთქმულება ისევ გრძელდებოდა.

დადიანი და ერისთავი 1743 წ. ისევ აუჯანყდნენ მეფეს, რომელმაც, ლ. აბაშიძესა და ბარის ერისთავთან ერთად, ახალციხის ფაშის ჯარი დაიქირავა, გრიგოლ ერისთავი ბრძოლისას მოკლა, ხოლო დადიანი გააქცია. მართალია, შემდეგ ალექსანდრემ დადიანი შემოირიგა და რაჭის ერისთავად გრიგოლის ძმა ვახტანგი დასვა, მაგრამ ერთი წელიწადიც არ იყო გასული, რომ ახლა მას მამა-შვილი ზურაბ და ზაალ აბაშიძეები აუჯანყდნენ. მეფემ ეს შეთქმულებიც დაძლია, მაგრამ საბოლოოდ ვერც დადიან-ერისთავი დაიმორჩილა და ვერც იმერეთის დიდი თავადები.

სამეგრელო-რაჭის მფლობელებმა და იმერეთის ზოგიერთმა თავადმა ალექსანდრე მეხუთეს 1749 წ. ერთხელ კიდევ დაატოვებინეს იმერეთი, მაგრამ ოსმალთა დახმარებით მან კვლავ დაიბრუნა იმერეთი და ძალაუფლება. ამ შფოთისა და გამუდმებული შეხლა-შემოხლის ვითარებაში, 1752 წ. მარტში მეფე კიდევაც გარდაიცვალა, მისი ადგილი კი უფლისწულმა სოლომონმა (პირველმა) დაიკავა[3].

დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის შუახანებშიც მძიმე მდგომარეობასა და განსაცდელში იყო. შინა ფეოდალური არეულობა და ბრძოლა კვლავ არანაკლები მასშტაბით გრძელდებოდა, ხოლო რუსეთისა და ირანისაგან შევიწროებული თურქეთი დასავლეთ საქართველოს სამეფო-

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 476—478.
2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 892.
3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 466.

სამთავროებისაგან მეტ ხარკ-გადასახადებს მოითხოვდა. ასეთმა ვითარებამ არა მარტო სამეფო-სამთავროთა ხაზინა დააცარიელა, არამედ მთელი ქვეყანა გამოიფიტა, კიდევ მეტი, მატერიალური დოვლათის შემქმნელი საზოგადოება შემცირდა, ქვეყანას გადაგვარება და ფიზიკური განადგურება ემუქრებოდა.

ტახტისა და პირველობისათვის ბრძოლა არც სოლომონის დროს შეწყვეტილა. მიუხედავად საგარეო საშიშროებისა, პირველობისა და მეფობისათვის იბრძოდნენ მამუკა და გიორგი ბატონიშვილები, დადიანი და გურიელი, ერისთავი და იმერეთის მსხვილი თავადები. ბოლოს მეფე სოლომონის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აფხაზ-იმერთა კათალიკოსი ბესარიონი და ზოგიერთი სხვა მღვდელმთავარიც აღმოჩნდა. მართალია, შეთქმულებმა სოლომონი გააქციეს, მაგრამ ახალციხის ფაშის დახმარებით მან ტახტიც დაიბრუნა და ზოგიერთი მოწინააღმდეგეც დასაჯა.

უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად სოლომონმა ვერც როსტომ ერისთავისა და ვერც მისი ძმის ბესარიონის წინააღმდეგ გააწყო ვერაფერი. კიდევ მეტი, როსტომ ერისთავი რაჭის მოსაზღვრე იმერეთის ზოგიერთ სოფელსაც დაეპატრონა.

.სოლომონს განსაკუთრებით დადიანთან ურთიერთობა უჭირდა, რადგან თავის ძალითა და სიმდიდრით ის ბევრად არ ჩამოუვარდებოდა მას, მაგრამ მეფემ ცოლად შეირთო დადიანის და, —რითაც მისი წინააღმდეგობის დროებითი განეიტრალებაც მოახერხა.

ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, სოლომონმა ზოგიერთი თავად-აზნაური დააწინაურა, მათ შორის წერეთლები და აგიაშვილები. ამასთან, სახელმწიფო გლეხების რიცხვი გაზარდა და მათ გადასახადები შეუმცირა. მალე მეფემ ტყვეთა ყიდვაც აკრძალა[1].

იმერეთის მეფემ იცოდა, რომ თავისი ქვეყნის უბედურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყვნენ ოსმალები, რომელთაც თავისი გარნიზონები ჰყავდათ ქუთაისის, შორაპნის, ცუცხვათის, ბაღდადის ციხეებში და სხვაგან. ოსმალებს არ უჭირდათ საქართველოს საქმეში ჩარევა და ყველაფრის თავის სასარგებლოდ გადაჭრა. სოლომონის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი იყო სტრატეგიული ციხესიმაგრეებიდან ოსმალთა გარნიზონების განდევნა, რაც, აგრეთვე მათი ბატონობის ლიკვიდაციის დასაწყისი შეიძლებოდა ყოფილიყო.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ხრესილის ბრძოლა, რომელიც 1757 წ. დეკემბერში გაიმართა. ამ ომში მეფის ლაშქრის მხარდამხარ იბრძოდნენ სამეგრელოს, ლეჩხუმის, გურიისა და სამურზაყანოს რაზმები, ხოლო ოსმალთა ჯარი ახალციხის საფაშოსა და აჭარის სანჯაყის ნაწილებისაგან შედგებოდა. მტრის რიგებში იყვნენ მოღალატე ლ. აბაშიძისა და რაჭის თავად წულუკიძის რაზმებიც.

---

1 შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი, გვ. 73 (თსუ შრომები, XII, 1950).

ბრძოლის დასაწყისში სოლომონმა მოკლა თურქთა სარდალი ქეჰა, მართალია, ის ლ. აბაშიძემ შეცვალა, მაგრამ ქართველთა გმირულმა ბრძოლამ ოსმალთა განლაგებაში ბზარი გააჩინა. მეფის ძხარეზე გადმოვიდა გონს მოსული წულუკიძის რაჭველთა რაზმი. ცხარე ბრძოლაში ქართველთა მეწინავე რაზმმა მოკლა მოღალატე აბაშიძეც, შეიპყრო გოლა ფაშა, სპასპეტი, ბაშ-აღა და სხვა, რამაც ძლიერ დააბნია მტერი. ბოლოს საქართველოს ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, მტრის ჯარის ნაწილი დატყვევებულ იქნა, ნაწილმა გაქცევით უშველა თავს[1].

რასაკვირველია, ოსმალები იოლად არ თმობდნენ პოზიციას, მითუფრო მათ მთელი კავკასიის დასაკუთრება უნდოდათ. ამიტომ 1758 წ. დეკემბერში მათ, ახალციხის ფაშას მეთაურობით, ქურდული შემოსევა მოაწყვეს იმერეთში. ოსმალებთან ერთად ამ ლაშქრობაში ხუნძახელი ლეკებიც მონაწილეობდნენ. მტერმა იმერეთის რიგი სოფლები ააოხრა და დიდი ნადავლი გაიტაცა. რამდენიმე თვის შემდეგ ოსმალთა შემოსევა ისევ განმეორდა, მაგრამ სოლომონ მეფის ლაშქარმა მათ საკადრისი პასუხი გასცა; მნიშვნელოვანი ზარალის შემდეგ მომხდური მტერი ისევ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან ერთად, სოლომონ პირველი ეკლესია-მონასტრების აღდგენას და ამით ხალხის რწმენის განმტკიცებას შეუდგა. მეფემ თავადაზნაურები აიძულა ეკლესიისაგან დატაცებული ყმა-მამულები უკან დაებრუნებინათ. ამასთან, სოლომონმა ღვთისმსახურება გააძლიერა და ეკლესიებს ზოგიერთი ვალდებულება შეუკვეცა.

სოლომონ მეფემ პრინციპული და ენერგიული ბრძოლა დაიწყო ტყვეთა სყიდვის აკრძალვისათვის. მიუხედავად ოსმალთა კატეგორიული მუქარისა, სოლომონმა 1759 წ. დეკემბერში საეკლესიო კრებას (რომელსაც იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მღვდელმთავრებთან ერთად, საერო თავადაზნაურებიც ესწრებოდნენ) დაადგენინა, რომ ტყვის ყიდვა აკრძალულიყო, დამნაშავე სიკვდილით დაესაჯათ[2].

სოლომონ პირველი შემდგომ ციხესიმაგრეების მშენებლობასა და მოწესრიგებას, აგრეთვე ურჩ თავად-აზნაურთა შეზღუდვას შეუდგა. მართალია, მეფემ რაჭის ერისთავთა წინააღმდეგობა ვერაფრით გატეხა, მაგრამ, სამაგიეროდ, მან არაერთი თავად-აზნაურის გვარეულობა დააწინაურა და მოიმადლიერა, მათ შორის: აგიაშვილები, წერეთლები, იაშვილები, ლორთქიფანიძეები, წულუკიძეები, მაჭავარიანები და სხვ.

ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, „1757—1759 წლებში გატარებულმა ღონისძიებებმა იმერეთის მეფეს დასავლეთ საქართველოში დიდი ავტორიტეტი

---

[1] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება. გვ. 178; ს. ჯანაშია, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, 1914. გვ. 85; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV. გვ. 638—639.

[2] Акты, собранные Кавказской археографической коммисией, т. I, с. 56.

ზოუპოვა. ეს ღონისძიებები ფართო მასების ინტერესებსაც პასუხობდნენ, თუ გავითვალისწინებთ იმ წარმოუდგენლად მძიმე პირობებს, რომელშიაც მოსახლეობას XVIII საუკუნის შუა ხანებში უხდებოდა ცხოვრება, ცხადი გახდება, რომ სოლომონს მშრომელი მასებისა და ფეოდალთა პროგრესული ნაწილის სრული მხარდაჭერა უნდა დაემსახურებინა. სწორედ ეს იყო უმთავრესი პირობა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მომავალი წარმატებისათვის, დღე ელოდა ოსმალთა ბატონობას იმერეთში"[1].

სოლომონ მეფის ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ მეტი წარმატება და შედეგი ექნებოდა მოღალატე და შინგამცემი თავად-აზნაურები რომ არ ყოფილიყვნენ. მაგალითად, თეიმურაზ მამუკასძე, რომელიც ოსმალებს შეეკრა და, მეფედ დასმის შემთხვევაში, მათ ტყვეთა სყიდვის განახლებას დაჰპირდა. ასეთები სამწუხაროდ არც თუ ცოტანი იყვნენ.

ტყვეთა სყიდვის აკრძალვით, ხარკისა და ძღვენსაჩუქრების მოკლებით და ოსმალთა განუკითხავი თარეშის შეზღუდვით გაბოროტებულმა სულთანმა ახალციხისა და არზრუმის ფაშების, აგრეთვე ბეგებისა და სხვა მოხელეთა მეშვეობით XVIII ს. 60-იან წლებში არაერთი ლაშქრობა მოაწყო დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში. მიუხედავად პროგრესულად განწყობილი ქართველი საზოგადოების, აგრეთვე აღმოსავლეთ სამეფო მესვეურთა მორალური მხარდაჭერისა, სოლომონ მეფემ ვერ შეძლო მრავალრიცხოვანი მტრებისადმი გამკლავება, მით უფრო, რომ დასავლეთ საქართველოში არც მის დროს იყო ერთიანობა. ზოგჯერ, როგორც რაჭის ერისთავი, აგრეთვე დადიანი და იმერეთის ზოგიერთი თავადი (ნებით თუ უნებლიედ), ოსმალების მოკავშირედ გამოდიოდნენ. ასე მოხდა 1766 წ., როდესაც ჰასან ახალციხის ფაშის ჯარის წინააღმდეგ სოლომონის ლაშქარი მარტოდმარტო აღმოჩნდა, რის გამოც, იმერეთი მტერმა დაარბია, ხოლო მეფის ამალამ წერეთლების მოდინახეს ციხეს შეაფარა თავი.

ამ დამარცხებამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა მეფე, რომ აუცილებელი იყო რუსეთთან კავშირი, მაგრამ ამ მიზნით დაწყებულმა მოლაპარაკებამ ვერც სოლომონს მოუტანა სანუგეშო შედეგი.

აღსანიშნავია, რომ XVI—XVIII საუკუნეებში დასავლეთში, ყველაზე მშვიდობიანად სვანეთის მოსახლეობა ცხოვრობდა. იგი არა მარტო თურქ-ოსმალთა აგრესიისაგან იყო შედარებით მოსვენებული (გეოგრაფიული მდებარეობის, რაჭა-ლეჩხუმისა და ოდიშის წყალობით), არამედ თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა იმერეთ-ოდიშისა და გურიის მმართველ წრეთა მიერ გაჩაღებულ ძმათამკვლელ-შინაფეოდალურ ომში. ამასთან, სვანეთი დასავლეთ საქართველოს იცავდა მეზობელ ჩრდილო ხალხთა დაწოლისაგან.

1766 წ. ლაშქრობაში გამარჯვების წყალობით ოსმალებმა იმერეთის

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 642.

მეფედ თეიმურაზ მამუკასძე დასვეს, ამასთან, მოღალატე თავად-აზნაურთა ხელშეწყობით, ტყვეთა სყიდვა განაახლეს[1].

თურქებმა იმერეთში 4 ათასამდე მოლაშქრე დატოვეს და ციხეებიც გაამაგრეს, მაგრამ დამპყრობლებს ვერც ამან და ვერც მოღალატე თავადების მხარდაჭერამ უშველა. იმერეთის ლაშქარმა, რომელსაც ლეკთა დაქირავებული რაზმიც ეხმარებოდა, შეძლო თეიმურაზისა და მისი მომხრეების ახალციხეში გაძევება და სოლომონისათვის მეფობის დაბრუნება.

მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის მიუხედავად, თურქეთი (პორტა) საქართველოზე ხელის აღებას არ აპირებდა. სულთანის ბრძანებით, იმერეთში სალაშქროდ ემზადებოდა ახალციხის, ერზერუმის, ტრაპიზონის, დიარბექირის, ჭანეთის, ალბანეთის და ყარამანიის ჯარები. თუმცა თურქეთის მბრძანებელი საქართველოში ძველებური პრივილეგიების მშვიდობიანი აღდგენის წინააღმდეგი არ იყო, რადგან, ჯერ ერთი, თურქეთსა და რუსეთს შორის მწვავდებოდა ურთიერთობა; მეორეც, სოლომონს მხარს უჭერდა ერეკლე მეორეც. ყოველივე ამის გამო, იმერეთთან ომს შეიძლებოდა მნიშვნელოვანი მსხვერპლი გამოეწვია, თურქეთს კი ეს არ აწყობდა.

ბოლოს და ბოლოს იმერეთსა და თურქეთს შორის 1767 წ. საზავო ხელშეკრულება დაიდო, რომლის საფუძველზე იმერეთი თურქეთის პროტექტორატში შევიდა, მას ყოველწლიურად თურქეთისათვის 60 ქალიშვილი უნდა მიეცა[2].

როგორც ჩანს, სოლომონმა შემდეგ გაითვალისწინა თურქეთის მძიმე მდგომარეობა და უარი განუცხადა ხარკის გადახდაზე.

1768 წ. იმერეთის მეფეს აუჯანყდნენ თეიმურაზი, გიორგი, დადიანი, ერისთავი, გურიელი და სხვები. ომი მოხდა ჩხარში (ცხრაწყაროსთან), სადაც გაიმარჯვა სოლომონმა, რომელმაც თეიმურაზ და გიორგი ბატონიშვილები ტყვედ ჩაიგდო, სხვებმა კი გაქცევა მოახერხეს. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთში ახალციხის ჯარის შეჭრა იყო მოსალოდნელი, სოლომონმა ერისთავს ლეკთა დაქირავებული რაზმები შეუსია, რომელთაც რაჭის ზოგიერთი სოფელი ააწიოკეს, მაგრამ ერისთავმა სამეგრელოში გააღწია თავი. იმერეთის მეფემ 1769 წ. იანვარში ერთხელ კიდევ გადაწყვიტა როსტომის ხელში ჩაგდება და რაჭაში გაილაშქრა, მაგრამ კვლავ ამაოდ. სამაგიეროდ, სოლომონმა ბესარიონი კათალიკოსობიდან გადააყენა და მის ადგილზე თავისი ძმა იოსები დანიშნა[3].

რაჭაში ყოფნის დროს სოლომონმა რუსეთის ელჩებს თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირეობა აღუთქვა. 1769 წ. მაისში მეფე როსტომსაც

---

1 მ. თამარაშვილი, კათოლიკობა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 385; შ. ბურჯანაძე. სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი, გვ. 97—101.

2 О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966, с. 136; А. Цагарели, Грамоты. I вып. II, с. 1—2.

3 შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის მეფობის.., გვ. 107.

შეურიგდა მოჩვენებით, ამით დაიმედებული ერისთავი და მისი შვილები სოლომონს ეწვივნენ ვარციხეში, მან კი ისინი ძოტყუებით შეიპყრო და ყველას თვალები დასთხარა. ამიერიდან მეფემ რაჭის საერისთავო გაუქმა, ერისთავთა ყოფილი მამულებისა და ქონების ნაწილი სახასოდ გამოაცხადა, ხოლო ნაწილი ერისთავთა მიერ დასჯილ, თავის ერთგულ თავადაზნაურებს უწყალობა. ასე მოუსპო სოლომონმა ერისთავსა და მის შთამომავალს იმერეთის მეფეებისადმი მეტოქეობის შესაძლებლობა.

მართალია, სოლომონის გარდაცვალების შემდეგ რაჭის საერისთავო დროებით აღსდგა, მაგრამ მას დიდი ხნის არსებობა არ ეწერა, ისევ მალე გაუქმდა. სამაგიეროდ, რაჭაში წულუკიძეთა და წერეთელთა სათავადოები აღმოცენდნენ, მაგრამ იმერეთის სამეფოში ისინი მაინცდამაინც დიდი როლით არ გამოირჩეოდნენ, ამასთანავე რუსეთთან შეერთებისთანავე მათაც შეწყვიტეს არსებობა. აღსანიშნავია, რომ რაჭის წერეთლებისა და წულუკიძეების უმრავლესობა იმერეთის მეფეებისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ.

სულ სხვანაირად წარიმართა ლეჩხუმის საკითხი, რომელიც იმერეთის მეფესა და დადიანს შორის დიდი ხნის გადაუჭრელი დავის საგანი გახდა.

თავი მეოთხე

რაჭა-ლეჩხუმი XVIII საუკუნეში

1. რაჭა

რაჭის საერისთავოში საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობა XVIII საუკუნეში კვლავ ბატონყმურ-დამოკიდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე ვითარდებოდა. XVIII საუკუნეში რაჭის ერისთავ-თავადები უფრო მდიდარი და დამოუკიდებელი ფეოდალები ხდებიან.

XVIII საუკუნეში რაჭის მოსახლეობა დაახლოებით 5000 კომლს შეადგენდა, აქედან 1300 კომლი უშუალოდ ერისთავთა განკარგულებაში იყო[1].

რაჭის ერისთავებმა XVIII ს. მეორე ნახევარში კიდევ მეტი ძალა და დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი იმერეთის მეფეთა ძალაუფლების დასუსტება იყო. რამდენადაც ერისთავთა ყმა-მამული იზრდებოდა და მათი გავლენა ძლიერდებოდა, იმდენად ისინი შეუვალი ხდე-

---

1 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მცხოვრებთა რიცხვი იმერეთის სამეფოში XVIII ს. მეორე ნახევარში, ტბ., ე.ვ. 45—47; მ ი ს ი ვ ე. კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. თბ., 1960, ე.ვ. 44.

ბოდნენ და იმერეთის მეფეთა დაქვემდებარებისაგან თავისუფლდებოდნენ.

როგორც ო. სოსელია მიუთითებს, XVIII ს-ში რაჭის ერისთავების ყმა-მამული სამეფო გადასახადებისაგან ფაქტობრივად თავისუფალი იყო. კერძოდ, რაჭის მთელი მოსახლეობიდან სახელმწიფო გადასახადს (საურს) მხოლოდ 200 კომლი იხდიდა[1].

მეფეთაგან შეუვალობისა და შედარებით დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად, ერისთავები სულ უფრო ზღუდავდნენ და ავიწროებდნენ თავადაზნაურებს. მათი უმრავლესობა: ლორთქიფანიძეები, გამრეკელიძეები, დარახველიძეები, ლომინაძეები, დემეტრაძეები, საკანდელიძეები, ლაჭყეპიანები, ბუბაშვილები, გამყრელიძეები, ბაქრაძეები და სხვები, ერისთავთა უშუალო გამგებლობაში იმყოფებოდნენ.

ერისთავთა ძალაუფლების გაძლიერების მთავარი წყარო და საფუძველი მაინც ყმა-მამულის ზრდა იყო. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა XVIII საუკუნის მეორე და მესამე მეოთხედში, როცა იმერეთის მეფეებს ოდიშის მთავრებიც ავიწროებდნენ.

ფეოდალური ანარქიით და უცხო მტერთა შემოსევებით მარჯვედ სარგებლობდნენ რაჭის ერისთავებიც, რომლებიც პოლიტიკური სიტუაციის წყალობით, თანდათან დიდ ძალასა და დამოუკიდებლობას იხვეჭდნენ.

ქვეყნის შინა და გარეშე ძალთა დაპირისპირების შედეგად რაჭის ერისთავებმა XVIII საუკუნის შუა ხანებში თითქმის მთელი რაჭა დაიქვემდებარეს და ძალაუფლება განიმტკიცეს. მათ გლეხებს შეადგენდნენ: დემეტრაძეები, სირაძეები, საბანიძეები, ბრეგვაძეები, დაუშვილები, ფორჩხიძეები, ხმიადაშვილები, გოგილაშვილები, ნაროზაშვილები, პატარიძეები, კაშიები, კრიხელები, მეტრეველები, არჩვაძეები, ბოჭორიშვილები, მაისაშვილები, გოგობერიშვილები, გელაშვილები, კობერიძეები, ტოროშელიძეები, ლობჟანიძეები, გაგნიძეები, კერესელიძეები, მერკვილაძეები, ქრისტესიაშვილები, ლილუაშვილები, ჯანელიძეები, ხურციძეები, მაკარიძეები, ფხაკაძეები, სვანიძეები, მჭედლიძეები, არველაძეები, ჩხობაძეები, არაბიძეები, ბერძენიძეები, კუხიანიძეები და სხვა, რომლებიც როგორც ბეგარა-გადასახადებით, აგრეთვე ლაშქარ-ნადირობით უშუალოდ მათ გამგებლობაში იმყოფებოდნენ.

თუ თავდაპირველად რაჭის აღდგენილ საერისთავოში ერისთავთა განკაგრულებაში მხოლოდ რამდენიმე სოფელი შედიოდა (ონჭევი, სორღითი, ჭურისთავი, წესი, მინდა, ბარაკონი, ხიდისკარი, ლიხეთი, ამბარი და ურავი), შემდეგ მათ შეძლეს რაჭის სხვა სოფლებიც ჩაეგდოთ, კერძოდ: ონი, უწერა და გლოლა, ბოლოს კი სხვავა, შარდომეთი, სომიწო, სორი,

---

1 ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 187—188; მისივე, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 79—80.

ფსორი, ჟაშკვი, მუხურა, თავასა, მეჯვრეთი, ღები, ველტყევი, უხუთი, ეწერი, სადემეტრო, ფუტიეთი, გორა, ინაშაური, ბაში, შხივანა, შქმერი, წედისი, ბუგეული, ღარი, გრავი, მუხლი, ბარი, ამბროლაურის ნაწილი, კვაცხუთი, ხიმში, ჯვარისა, კვირიკეწმიდა, ქედისუბანი, ნიკორწმიდის ნაწილი, თლუღი, ჭრებალო, ბოსტანა, ბაჯი, ქვედაშავრა, მრავალძალი, გენდუში, ღვარდია, ხონჭკარი, ხირხონისი და სხვ.

ყმა-მამულის გაზრდამ და პოლიტიკური ძალაუფლების ჩაგდებამ რაჭის ერისთავთა საგვარეულო XVIII საუკუნის შუახანებში იმერეთის თავადთა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე მოაქცია. ამაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ ერისთავი იმერეთის სამეფო დარბაზის ერთ-ერთი საპატიო წევრი იყო*. ამასთან რაჭის ერისთავი ზოგჯერ „სპასპეტ-სპასალარის", „სტრატილატ-ვიპატოსის", აგრეთვე „ლიხთიმიერისა და ამიერის მთავრისა და მსაჯულის", „რაჭის მპყრობელის", „ლიხთიმერთა სარდლისა და რაჭის მპყრობელის" და სხვა ტიტულით მოიხსენიება.

ყოველივე ამის გამო, რაჭის ერისთავი ხშირად თავს მეფის ტოლად და სწორად თვლიდა, რაც, აგრეთვე რაჭის ერისთავის ძალაუფლების უზომო გაზრდის მაჩვენებელი იყო.

აღნიშნულის საფუძველზე, ო. სოსელიამ მართებულად დაასკვნა, რომ XVII—XVIII საუკუნეებში რაჭის საერისთავო სათავადოდ გადაიქცა, ხოლო ერისთავი იგივე სათავადოს უფროსად, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა შთამომავალს[1].

რასაკვირველია, ერისთავები (ანუ სათავადოს გამგებლები) არა მარტო გლეხობასა და რიგით აზნაურებს მბრძანებლობდნენ, არამედ ხშირად ავიწროებდნენ ისეთ თავად-აზნაურებსაც, რომელთაც პირადი სამემკვიდრეო ყმა-მამული გააჩნდათ. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, როცა რაჭის ერისთავების თავადური ძალაუფლება და მისწრაფება აშკარად გამოიკვეთა, ისინი არამც თუ ადგილობრივ, არამედ ხშირად მეზობელ (წერეთლებს, აბაშიძეებს და სხვ), თავადებსაც ავიწროებდნენ და ზღუდავდნენ. კიდევ მეტი, საკმარისი იყო უმნიშვნელო საბაბი, რათა პატივმოყვარე ერისთავები (შოშიტა მეორიდან მოყოლებული) მეფესაც უპირისპირდებოდნენ და პირველობას ეცილებოდნენ. მრავალთაგან ამის ერთი მკაფიო მაგალითია პაპუნა მეორის დამოკიდებულება იმერეთის მეფე ალექსანდრე მეორესადმი, რომელსაც ერისთავმა არაერთხელ დააკარგვინა ძალაუფლება და ბოლოს კიდევაც იმსხვერპლა. ასე მოხდა XVIII ს. პირველ მეოთხედშიც, როცა რაჭის ერისთავმა გიორგი მეფის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა გიორგი აბაშიძესა და დადიანს: „...სამთა ამათ მთავართა

* ეს გარემოება ჯერ კიდევ ადრე შეუნიშნავთ იმერეთის მეფესთან მოსალაპარაკებლად გამოგზავნილ რუს ელჩებს, რომელთაც რაჭის ერისთავს იმერეთის მეფის „პირველი კაცი" ანუ „პირველი ბოიარი" უწოდეს (იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივანეევის ელჩობა იმერეთში, 1650—1652 წწ. მ. პოლიევკტოვის გამოც., ტფ., 1926, გვ. 102, 170, 193, 195.

1 ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები... გვ. 82.

განიყვეს იმერეთი თვს-თვსნი მჴარენი და დაიპყრნეს"[1]. შემდეგ 1720 წელს მეფეც მოკლეს, შოშიტა მეორემ მეფის ციხესიმაგრე კაცხი აიღო და გაძარცვა[2].

ძალაუფლების გაფართოებისათვის ბრძოლაში რაჭის ერისთავები არაფერს ერიდებოდნენ, არც საკუთარი სამფლობელოს მსხვერპლსა და არც სამეფოს დასუსტებას. იმ დროს, როდესაც თურქ-ოსმალები დასავლეთ საქართველოს ძარცვა-განადგურებას ეწეოდნენ, ნაცვლად ერთიანი ძალებით მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლისა, რაჭის ერისთავმა 1724 წ. იმერეთი დალაშქრა და გაატიალა, სამაგიეროდ, მომდევნო წელს მეფე ალექსანდრემ რაჭის საერისთავო ააოხრა[3].

რაჭის ერისთავი შოშიტა მესამე დღენიადაგ ალექსანდრე მეხუთეს ეურჩებოდა: „...რამეთუ რაჭველთაგან იყო მარადის ჴდომა და კირთება იმერეთისა"...[4].

თანხმობა და მშვიდობა არც ერისთავთა საგვარეულოს შიგნით სუფევდა. ზოგჯერ ერისთავის თანამდებობაზე რამდენიმე მეტოქე აღმოჩნდებოდა ხოლმე. მეფე ცდილობდა სუსტი და მორჩილი ერისთავი ჰყოლოდა, ამ მიზნით ერთიმეორის წინააღმდეგ აქეზებდა ერისთავობის პრეტენდენტებს და ბრძოლით ასუსტებდა მათ. რაკი იმერეთის მეფე ალექსანდრემ (მეხუთემ) რაჭის ურჩი ერისთავის წინააღმდეგ სხვა ვერაფერი იღონა, საერისთავოს წვრილ ერთეულებად დაშლა სცადა. ამ მიზნით მეფემ გედევან გენათელიც წააქეზა, თავი დაანებებინა ეპისკოპოსობას და ეხმარებოდა, რათა ერისთავი გამხდარიყო. მეფის ასეთი პოლიტიკის შედეგად რაჭის მოსაზღვრე იმერეთის ტერიტორიაზე ე. წ. ბარის საერისთავო ჩამოყალიბდა: „რამეთუ ესე ბარის ერისთავი იყო გენათელი და ძმა შოშიტა ერისთავისა. ამან წარგუარა ცოლი ძმისწულსა თვსსა, პაპუნას. ასული ვახტანგ მეფისა, შეირთო თვთ და მოვიდა მეფისა თანა. ამან შეიწყნარა შურითა ერისთვისათა და მისცა საერისთო მამული იმერეთსშინანი და უწოდეს ბარის ერისთავად"[5].

1734 წ. რაჭის ერისთავმა, დადიანმა და ზურაბ აბაშიძემ მამუკა ბატონიშვილი (მეფის ძმა) გადაიბირეს და იმერეთში გასწიეს: „...მაშინ ალექსანდრემ ჩიხორს მდგომმან შემოიკრიბა გურიელი მამია, აბაშიძე ლევან, ძმა დადიანისა კაცო, ბარის ერისთავი, მერაბ წულუკიძე და იმერნი სხუანი ნეშტნი, დილასა მოვიდნენ იგინი და ეკუეთნენ ურთიერთს, იქმნა ბრძოლა და მოსრნენ ორგნითვე უმრავლესნი... მერმე სძლეს ალექსანდრესთა და მოსრვიდნენ მათ, მიეწიენენ დადიანს, ჰკრეს თოფი და ჩამოვარდა. კუალად დაჰკოდეს დავით აბაშიძე, აქათ მოკლეს კაცო, ძმა დადიანისა; მიჰყუნენ ლტოლვილთა რამეთუ იყო თოვლი დიდი, მოსრნეს,

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 877.
2 იქვე, გვ. 910.
3 იქვე, გვ. 911.
4 იქვე, გვ. 884.
5 იქვე, გვ. 886.

შეიპყრნეს რაჭველნი და ლეჩხუმელნი და ოდიშარნი უმრავლესნი და დაჰყიდეს სრულიად ოსმალთა ზედა"[1].

მართალია, რაჭის ერისთავი ერთხანს შეურიგდა მეფეს, მაგრამ 1740 წ. გრიგოლ ერისთავმა კავშირი შეკრა ოტია დადიანთან, აფხაზეთის მთავართან და ოსმალებთან. მოკავშირეები თავს დაესხნენ ვარციხეს, სადაც მეფე-დედოფლის ოჯახმა თავს გაქცევით უშველა, მაგრამ მომხდურებმა მცველთა ნაწილი დახოცეს და სასახლე გაანადგურეს.

გამარჯვებულმა ერისთავმა და მისმა მომხრეებმა მხარი გაუმაგრეს ოსმალებს, რომელთაც იმერეთის მეფედ გიორგი ბატონიშვილი დასვეს. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალების მოსყიდვით ალექსანდრემ კვლავ დაიბრუნა მეფობა, რაჭის ერისთავი, დადიანი და სხვა მოწინააღმდეგეები მას საშველს არ აძლევდნენ.

1743 წ. რაჭის ერისთავი გრიგოლი იმერეთის მეფესთან ბრძოლაში დაიღუპა. სამაგიეროდ, ერისთავად გრიგოლის ძმა ვახტანგი დაჯდა, მაგრამ ისიც მამა-პაპის კვალს გაყვა და ქვეყანას ასუსტებდა.

ვახტანგ ერისთავმა და მისმა მოკავშირეებმა ალექსანდრე მეფეს კვლავ მამუკა ბატონიშვილი დაუპირისპირეს, იგი ერთხანს მეფედაც დასვეს, მაგრამ არც თუ დიდი ხნით, ალექსანდრემ თავისი ძმა დაამარცხა და ძალაუფლება დაიბრუნა.

ერისთავი არც სოლომონ პირველის მეფობის დროს გამოდიოდა ქვეყნის ცენტრალიზაციის მომხრედ. პირიქით, იგი, თავის მოქმედებით, დღენიადაგ ქართველი ხალხის მტრების, ოსმალების წისქვილზე ასხამდა წყალს. მაშინ, როდესაც სოლომონ პირველი ყოველნაირად ესწრაფვოდა იმერეთიდან ოსმალთა განდევნას, როსტომ ერისთავი (ლეონ და გედევან აბაშიძეებთან ერთად) იმერეთის მეფეს და ქვეყნის გამაერთიანებელ პროგრესულ ძალებს ებრძოდა.

ერისთავი არც თავის სამფლობელოს თავადაზნაურებს და არც მათ მომხრე გლეხებს ინდობდა. XVIII ს. 50-იან წლებში მან ააწიოკა იმერეთის მეფის მომხრე ჯაფარიძეები, იაშვილები და წულუკიძეები, ხოლო მათი ყმა-მამული თვითონ მიიტაცა. შემდგომში ასეთივე ბედი ეწიათ ყიფიანებს, გამრეკლიძეებს, ლიპარიშვილებს, გოცირიძეებსა და სხვ. აღნიშნულ თავადაზნაურთა ყმა-მამულთან ერთად, ერისთავი რაჭაში მდებარე მეფის სახასო მამულებსაც დაეუფლა და ფაქტობრივად მთელი რაჭის ერთპიროვნულ ბატონ-პატრონად გადაიქცა.

საისტორიო წყაროები როსტომ ერისთავს უმდიდრეს და ძლიერ მფლობელად მიიჩნევს, მის ცეცხლმსროლელ რაზმებს — უძლეველ ძალად, ხოლო ერისთავის მარნებსა და ბეღლებს ღვინით და ხორბლით სავსედ ხატავს.

თანამედროვეთა ცნობებით, როსტომ ერისთავი ეკლესიებისა და სასახლეების მშენებელი, წიგნიერი და მოხერხებული პიროვნება იყო. მის

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 888.

ჯოგებს თითქოს მთა და ბარი ძლივს იტევდა, თითქოს ერისთავი სიმდიდრით მეფე სოლომონ პირველს აღემატებოდა[1].

შესაძლებელია, თანამედროვეები, როსტომის სიმდიდრეს, პიროვნებასა და ძალაუფლებას განგებ აზვიადებენ, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ის კი ფაქტია, რომ როსტომის სახელს უკავშირდება რაჭაში ბარაკონისა და ველტყევის ეკლესიათა, აგრეთვე იერუსალიმში დედათა მონასტრის აშენება[2]. სხვათა შორის, როსტომ ერისთავმა და მისმა ძმამ ბესარიონ კათალიკოსმა კათოლიკობაც მიიღეს[3].

რაჭის ერისთავი არა მარტო ლიხთიმერეთში ითვლებოდა მდიდარ და გავლენიან პირად, არამედ მას საკმაოდ დიდ ანგარიშს უწევდნენ ლიხთამერეთსა და საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ცხადია, ყოველივე ამის მიღწევა როსტომ ერისთავს მარტოდმარტო არ შეეძლო. იგი დიდ ძალასა და გავლენას დასავლეთ საქართველოს სხვა თვითნება ფეოდალების მეშვეობით, აგრეთვე ქართლ-კახეთის სამეფო მესვეურთა მხარდაჭერით იხვეჭდა.

როსტომ ერისთავი ერეკლე მეორის ერთგულ მოკავშირედ ითვლებოდა. როგორც ერისთავი, აგრეთვე მეფე ერეკლეც მუდამ მზად იყო ერთიმეორეს ლაშქრითა და სხვა საშუალებით დახმარებოდნენ.

სხვათა შორის, როსტომ ერისთავს პატივით მოიხსენიებდა რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორეც[4].

ცხადია, ასეთი ძალისა და სახელის მქონე ერისთავს არ სურდა ქვეყნის გამაერთიანებელ ძალას დამორჩილებოდა. როსტომ ერისთავი თავს მეფის სწორად და ტოლად მიიჩნევდა, რაც შესანიშნავად აისახა ხალხურ ფოლკლორშიც:

„ხელი აიღე რაჭაზედ,
მიხვდი, რომ აღარ გმორჩილობ სწორი გიდგები ძალაზედ,
რაჭის ბეგარას ავიღებ, არ გერიდები ამაზედ...
თო მიპირებ ამონყვეტას, აწ მობრძანდი, რაღას ყოვნი,
ციხე მიდგას მაღალ კლდეზე და ზედ აკრავს ბარაკონი!
ხიდის-კარში მცველები მყავს და კოშკები სამაგრონი!
ჩემი იყო, ქეც წაგართვი კუდარო და რაჭა-ონი!
ჩემი წინაპარი იყო ერისთავი კახაბერი,
თავარ მოთის მამობილსა ყმანი ჰყავდა ორად ბევრი.
მე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატირებ, ტყვილა მღერი,
გემორჩილო, არ გახლავარ ქაჯაია შენი გერი"[5].

---

[1] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, под ред. А. А. Цагарели, СПБ., 1891, с. 195; სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი, ისტ. ნარკვევი, 1936, გვ. 92—98.

[2] გ. ბ ო ტ ო რ ი ძ ე. რაჭის ისტ. ძეგლები, საქ. მუზ. „მოამბე", VII, 1931—1932, გვ. 245—246; მ ი ს ი ვ ე. საქ. მუზ. „მოამბე", VIII, 1933—1934, გვ. 292; ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსვლა, ელ. მეტრეველის გამოც., თბ. 1956, გვ. 81; პ. იოსელიანი, განხილვა რამდენიმე ზედ წარწერათა, „ცისკარი", 1865, მაისი.

[3] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,, 1902, გვ. 366.

[4] Грамоты... I, с. 82.

[5] სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი, გვ. 60—61.

განდიდებისა და დამოუკიდებლობის გზაზე მდგომი როსტომ ერისთავი (აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვა ფეოდალები) სოლომონ პირველს, რომელსაც დასავლეთ საქართველოს გაერთიანების, ტყვეთა სყიდვის აკრძალვისა და ოსმალთა ბატონობის მოსპობის ფართო გეგმა ჰქონდა დასახული, გასაქანს არ აძლევდა. კიდევ მეტი, რაჭის ერისთავმა კავშირი შეკრა ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე რეაქციულ ძალებთან და 1752 წ. სოლომონ მეფე ახალციხეში გააქცია. მართალია, მეფემ ხელისუფლება დაიბრუნა, მაგრამ მან რაჭის ერისთავს მაინც ვერაფერი მოუხერხა და იძულებული გახდა მას შერიგებოდა.

მიუხედავად ფორმალური დაზავებისა, როსტომ ერისთავი თავისას მაინც არ იშლიდა, 1757 წ. კვლავ სცადა მეფის ძალაუფლების დამხობა, მაგრამ რაჭის სხვა თავად-აზნაურები თვითონ მას დაუპირისპირდნენ, კერძოდ: ჯაფარიძეები, წულუკიძეები, იაშვილები და სხვები, რომლებიც მეფეს მიემხრნენ. ამასთანავე, დადიანიც მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. მიუხედავად არგვეთის ძლიერი თავადის, ლევან აბაშიძის მხარდაჭერისა, რაჭის ერისთავს დამარცხება ემუქრებოდა, ამიტომ გაბოროტებული როსტომი საქართველოს დაუძინებელ მტრებს ოსმალებს შეეკრა. ცხადია, ამ უკანასკნელებს არ აწყობდათ სოლომონის სიძლიერე, მითუფრო ის უცხო მოძალადეთა დამარცხებისა და ტყვეთა სყიდვის აღკვეთას ლამობდა. პაპუნა ორბელიანის ცნობით, ოსმალთა დახმარებით გალაღებული რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე 1757 წ. იმერეთს შეესივნენ. ბრძოლა მოხდა სრესილში: „დაუმარცხა იმერეთის მეფემ სოლომან ურუმის ჯარს, რომ ლევან აბაშიძეს და რაჭის ერისთავს მოეყვანათ მის წასახდენათ, მოკლეს ლევან, ამოწყვიტეს ჯარი მისი და ურუმნი სულ ხელთ დარჩათ, სამი ფაშები ცოცხალნი დაიჭირეს...“[1].

მიუხედავად ამისა, მეფემ თავისი მოწინააღმდეგე ერისთავი საბოლოოდ მაინც ვერ დაიმორჩილა და იძულებული გახდა შერიგებოდა.

ერისთავსა და მეფეს შორის მტრობა ისევ განახლდა. მტკიცე ხელისუფლებისა და ქვეყნის ცენტრალიზაციის მოსურნე სოლომონის წინააღმდეგ ოსმალები არაფერს ზოგავდნენ, ისინი უხვ დაპირებებსა და დიდ დახმარებას პირდებოდნენ რაჭის ერისთავსა და მის მოკავშირეებს, რომლებიც მტრის საქმეს ემსახურებოდნენ და რეაქციულ როლს ასრულებდნენ. ამდენად, შემთხვევითი როდია ისტორიკოსის მიერ როსტომ ერისთავის მოქმედების ასეთი შეფასება: „კვალადცა მსგავსებითა იუდასითა აღიღო მახვილი მეფესა თვისსა ზედა“[2]. რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში იმერეთის მეფეს სხვა შესაძლებლობა არ ჰქონდა, თუ არა შინგამცემი და რეაქციონერი ერისთავ-მთავრებისა და თვითნება თავადების შეწყალება. დაუსჯელად დარჩენილი, მოღალატე ერისთავ-მთავარი ან

---

1 ქართლის ცხოვრება, ნაწ. მეორე, უ. ჩ ე ბ ი ნ ო ვ ი ს გამოც., სპ., 1854, გვ. 473.
2 საქართველოს სიძველენი, III, თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს გამოც., გვ. 569.

თავადი მეორედ და მესამედ უფრო საზარელ ბოროტებას ჩადიოდა, ძირს უთხრიდა საქართველოს ერთიანობასა და ძლიერებას.

XVIII ს. 60-იან წლებში როსტომ ერისთავმა ოსმალებთან ერთად, არაერთხელ ააოხრა იმერეთი[1].

როსტომ ერისთავმა და სხვა რეაქციონერმა თავადებმა 1765 წ. სოლომონ პირველი კვლავ განდევნეს მეფობიდან და მის ადგილზე თურქოსმალების ყურმოჭრილი მონა თეიმურაზი (როსტომის სიძე, სოლომონ პირველის ბიძაშვილი) დასვეს. თეიმურაზი ოსმალებს დიდი ხარკით, უხვი საჩუქრებითა და ტყვეთა გაცხოველებული ვაჭრობით ამდიდრებდა. დეცენტრალიზაციის მომხრე ძალების მიერ გაჩაღებულ შინაფეოდალურ ომს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა დაცვისა და სრული განადგურებისაკენ მიჰყავდა. ეს არ შეიძლება არ დაენახა პროგრესულ, ქვეყნის ცენტრალიზაციის მომხრე ძალას, რომელმაც სოლომონ მეფეს 1768 წ. ჩხარის ბრძოლაში ოსმალებთან და მათ მომხრეებთან გამარჯვება და მეფობის დაბრუნება მოუტანა. ამიერიდან იმერეთის მეფის ერთ-ერთი მიზანი რაჭის ერისთავთა საგვარეულოს მოსპობა გახდა.

ცხადია, რაჭის ურჩ ერისთავთა დამხობა სოლომონ პირველს თავის ძალაუფლების განმტკიცებისათვის თავიდანვე სჭირდებოდა, მაგრამ, საფიქრებელია, რომ მის უპირველეს ამოცანას ოსმალების მოგერიება წარმოადგენდა, ამიტომ ჩანს, შინაური მტრების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას ერიდებოდა, მაგრამ რაკი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქვეყნის საშინაო მდგომარეობის განმტკიცების გარეშე საგარეო მტრების დამარცხება და მოგერიება შეუძლებელი იყო, 1767 წ. ლეკები მოიმხრო და როსტომის შეპყრობა განიზრახა.

განსაცდელში ჩავარდნილი ერისთავი სამეგრელოში გაიქცა, ხან სად აფარებდა თავს და ხან სად, ხან ახალციხის ფაშას ემუდარებოდა დახმარებას, ხან ყაბარდოს მთავარსა და ხან ლეკებს. როსტომი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს მიმხრობასაც ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. სოლომონმა ჯერ რაჭა ააწიოკა, შემდეგ ერისთავის საგვარეულოს სრულ მოსპობასაც შეუდგა[2].

რაკი ძალით ვერაფერს გახდა, სოლომონ მეფემ ხერხს მიმართა და რაჭის ერისთავს ერთგულების ფიცით შერიგება შესთავაზა. ასეთი გზით 1769 წ. მეფემ შეძლო ერისთავისა და მისი ოჯახის დაპატიჟრება, რასაც სასტიკი წამებაც მოჰყვა: „ამან მეფემან აღხოცა ერისთავობა რაჭისა, შეიპყრა ერისთავი რაჭისა როსტომ და ძე მისი გიორგი და სხვანი მცირე-

---

[1] Грамоты... I, с. 15—16; მეფე სოლომონ პირველის და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან... გაზ., „კომუნარი" (ამბროლაური), 1959, 16 აგვისტო; შ. ბ ე ر ჯ ა ნ ა ძ ე, სოლომონ პირველის მეფობის პირველი პერიოდი, სახ. უნივერსიტეტის შრომები, XLI, 1950, გვ. 96—102.

[2] დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, თბ., 1941. ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., გვ. 10; Грамоты... с. 31—32, 73, 418—422; ქართლის ცხოვრება, II, შ. ჩუბინოვის გამოც. გვ. 474.

წლოვანი შვილნი მისნი და დასწვნა ამათ ყოველთა თვალნი, ვინათგან სწამობდა ორგულებასა და მამულნი მისნი რომელნიმე მისცნა თავადთ წერეთელთ პაპუნასა და ძმასა მისსა ზურაბს და რომელნიმე თვით დაიპყრა სამეფოდ თვისად[1].

რაჭის ერისთავისა და მისი შთამომავლობის განადგურებას ერთ-ერთი თანამედროვე ასე აგვიწერს: მეფემ დასდვა წერილი წყევით და შეჩვენებით მსოფლიოთა პატრიარხთაგან, რათა დასასრულამდე ქვეყნისა ძენი და ძის ძენი და შთამომავლობანი რაჭის ერისთავთა „არღარა მიღებულ იქმნენ მემკვიდრედ რაჭისა"[2].

XVIII ს. 70-იან წ. საქართველოში მოგზაური ერთი იტალიელი მისიონერი ლეონი გვამცნობს, რომ სოლომონ მეფის ბრძანება როსტომ ერისთავის შთამომავლისათვის თვალების ამოშანთვაზე, მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული. ზოგიერთს თვალები ღრმად არ ამოწვეს და მცირე სინათლე დაუტოვეს[3]. ამგვარ ცნობას სხვა წყაროებიც ადასტურებენ[4].

რაც შეეხება როსტომის ერთ-ერთ ძმას — ბესარიონს, რომელიც იმერეთის კათალიკოსი იყო, სოლომონს უფრო ადრე გადაუყენებია, მაგრამ მას ოდიშში გაქცევა მოუხერხებია და იქ დადიანის წყალობით კვლავ კათალიკოსი გამხდარა[5].

რაჭის ერისთავთა საგვარეულოს ტრაგიკული დასასრული მოხდა 1769 წ. ვარციხის სასახლეში. როსტომის შვიდი ვაჟიშვილიდან მეფეს ცოცხალი მხოლოდ ოთხი გადაურჩა, მათ შორის: გიორგი, მეთოდე (ბერყოფილი, უკანასკნელ ხანს იგი მეფის მდივანბეგი იყო), დიმიტრი და იოანე. ოთხივე ძმა მეფეს ციხეში დაუმწყვდევია, მაგრამ მათ თურქეთში გაქცევა მოუხერხებიათ[6].

საქმე მარტო ერისთავის ოჯახის ულმობელი დასჯით როდი დამთავრდა, მეფემ ჩამოაქვეითა და უფლებები შეუზღუდა ერისთავთა მიერ აღზევებულ ყველა თავად-აზნაურს. ამასთანავე, ერისთავთა მთელი ყმა-მამული და უძრავ-მოძრავი ქონება მეფემ სახასო მამულად გახადა.

როსტომ ერისთავი და მისი შვილები, რომლებიც სამშობლოდან გადაიხვეწნენ, თურქ-ოსმალთა თუ თანამოძმეთა დახმარების მიუხედავად ამაოდ მცდელობდნენ ყმა-მამულისა და ძველი დიდების დაბრუნებას.

რაჭის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელთაგან დაკარგული უფლებებისა და პატივის აღდგენისათვის ლაშქრობა პირველად მეთოდემ

---

1 ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962. შ. ბურჯანაძის გამოც., გვ. 179.
2 საქართველოს სიძველენი, III გვ. 570.
3 გაზ. „კომუნისტი" (ამბროლაური), 1959 წ. 16 აგვისტო, № 96.
4 დავით ბატონიშვილი... გვ. 54.
5 ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, 1954, გვ. 134—135; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., I. თბ., 1982, გვ. 321.
6 ო. სოსელია, ნარკვევები... გვ. 103—105.

მოაწყო, რომელიც ლეკებისა და ოსმალების ჯარით 1774 წ. იმერეთში შეიჭრა, მაგრამ ჩხერის ბრძოლაში სოლომონ მეფემ მოწინააღმდეგის ძალები არამარტო დაამარცხა, არამედ მეთოდეც ტყვედ ჩაიგდო და მას ხელახლა დაუშანთა თვალები.

დაბრმავებული მეთოდე ერთხანს ერეკლე მეორემ შეიფარა (რომელმაც სარჩო-საბადებლად ქართლის სოფელი ტირძნისი მიუჩინა), მაგრამ, როგორც ჩანს, მან სოლომონთან შერიგება და ბოლოს ბარაკონის ეკლესიის ყმა-მამულის დაბრუნებაც მოახერხა[1].

რაც შეეხება როსტომის ყველაზე უფროს ვაჟიშვილს გიორგის, რომელსაც ცალი თვალი შერჩა, ის სტამბოლში სულთანის სამსახურში იმყოფებოდა ქიორ-ბეის სახელით.

როდესაც უმემკვიდრეო სოლომონ პირველი გარდაიცვალა და იმერეთის სამეფო ტახტს რამდენიმე პრეტენდენტი (დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე) გაუჩნდა, ქიორ-ბეიმ იმერეთს მოაშურა და სამეფო ტახტის ჩაგდება მოიწადინა. მაგრამ იმერეთის მეფობა ახლა უკვე არა მარტო ქართველი ფეოდალური წრეების საშინაო საქმე იყო, არამედ იგი თურქ-ოსმალეთისა და რუსეთის დავის საგანიც გახდა. ცხადია, რუსეთის იმპერია იმერეთის სამეფო ტახტს შავი ზღვის პრობლემას უკავშირებდა და ამ საქმისადმი ხელის შეშვებას ასე ადვილად არ აპირებდა, ამიტომ თურქეთი იძულებული იყო თავის კანდიდატურაზე ხელი აეღო, ხოლო იმედგაცრუებული ქიორ-ბეი იძულებული გახდა კვლავ სტამბოლში დაბრუნებულიყო, მითუფრო, რომ იმერეთის მეფედ უკვე მისი ცოლის ძმა დავით გიორგისძე დაჯდა[2].

რაჭის ერისთავთა შთამომავალი იმერეთის ახალმა მეფემ მხოლოდ ნაწილობრივ შეიწყალა. ეს, პირველ რიგში, ქიორ-ბეის შვილებს ანტონსა და ლევანს შეეხო, რომელთაც ერისთავთა ყოფილი ყმა-მამულის ნაწილი უწყალობა და, სამაგიეროდ, ერთგული სამსახურის შესრულება უბრძანა[3]. როგორც ჩანს, იმერეთის მეფემ რაჭიდან გაძევებულ ერისთავთა ზოგიერთ სხვა წარმომადგენელს რიგითი მემამულის უფლებები და გარკვეული ყმა-მამული მისცა.

მემამულე ერისთავთა უფროსობა იმერეთის მეფემ თავის დისწულს ანტონს (ქიორ-ბეის შვილს) დააკისრა, მაგრამ რაკი ამ უკანასკნელმა საქმეებს თავი ვერ გაართვა, მეფემ 1785 წ. სტამბოლიდან მამამისი ქიორ-ბეი (თავისი სიძე) მიიწვია და ერისთავად დასვა[4].

ქიორ-ბეიმ მხოლოდ ორი წელიწადილა იუფროსა და 1787 წ. იოსებთან ბრძოლაში დაიღუპა.

---

[1] ო. სოსელია, ნარკვევები... გვ. 107.

[2] იქვე.

[3] საქართველოს სახ. მუზეუმის ისტ. დოკუმენტები და არქივები.., შ. ბურჯანაძის გამოც., II. თბ.. 1953, გვ. 10.

[4] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი დავით გიორგისძისა და ამისი ძმებისა, მ. ჯანაშვილის გამოც., ტფ., 1906; შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის, 1784—1789 წწ., ხელნაწერთა ინსტ. „მოამბე", II, გვ 91—92; დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია... გვ. 60.

ამის შემდეგ რაჭის ერისთავთა სახლს ერთხანს კვლავ ანტონი მეთაურობდა, მაგრამ მისი ერისთავობა ისევ დროებითი გამოდგა, რადგან იმერეთის ახალმა მეფემ სოლომონ მეორემ, ერისთავთა ის წარმომადგენლები, რომლებიც წინამორბედმა მეფემ დაიახლოვა და ნაწილობრივ აღადგინა, კვლავ დააძდაბლა, ხოლო მათი ყმა-მამული ისევ სამეფო საკუთრებად გამოაცხადა. მან ანტონი იმერეთში ჩაიყვანა და იქ ამაღლების სასახლე მისცა. საბოლოოდ ანტონ ერისთავი ზეინდარში გადავიდა და იქ დაასრულა თავისი სიცოცხლე.

სამაგიეროდ, ახალმა მეფემ სხვა ერისთავიშვილები შეიწყალა, მათ შორის შოშიტა და ოტია იმერეთში დაასახლა და მნიშვნელოვანი ყმა-მამული მისცა; ბეჟან, გრიგოლ, დავით და გიორგი ერისთავიშვილებსაც გარკვეული მამულები და მემამულური უფლებები უბოძა[1].

სოლომონ მეორემ არც რაჭა დატოვა უყურადღებოდ, თავის დასაყრდენის გასაძლიერებლად იქ წესი (სასახლითა და ბარაკონით), ხიდისკარი და ციხე — „მინდა“ (თავისი შემოგარენით) 1804 წ. თავის ერთგულ ფეოდალს — სოლომონ ლიონიძეს (ლეონიძეს) უწყალობა[2].

მაგრამ, როგორც ო. სოსელია აღნიშნავს, სოლომონ ლიონიძე და ყველა ის ერისთავიშვილი, რომელიც ბოლოს დაწინაურდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გამო, იძულებული გახდა 1810 წ. მეფე სოლომონ მეორესთან ერთად, ოსმალეთში გახიზნულიყო და თავის ყმა-მამულს საბოლოოდ გამოთხოვებოდა .

იმერეთის რუსეთთან შეერთებისა და იქ მდგომარეობის ერთგვარი მოწესრიგების შემდეგ, მეფის მთავრობამ გარკვეული პრივილეგიები და მამულები უწყალობა იმ ერისთავიშვილებს, რომლებიც იმერეთის უკანასკნელი მეფის მიერ იყვნენ დევნილი, მათ შორის ანტონ ერისთავიშვილს, რომელსაც ერთგული სამსახურის გამო 1812 წ. პოლკოვნიკის ჩინი და რაჭის ყოფილ საერისთავოში 14 სოფელი: ურავი, ამბარი, ლიხეთი, წესი, მინდა, ხიდისკარი, ხონჩკარი, ხირხონისი, სომიწო, ფსორი, ჟაშკვი, თავასა და მეჯვრეთი, აგრეთვე არგვეთში სახაზინო სოფელი მუხურა უბოძა[3].

ახალი მმართველობის შემოღებისთანავე რაჭა, როგორც ცალკე ფეოდალურ-ადმინისტრაციული ერთეული, საბოლოოდ გაუქმდა, ხოლო მეფის მთავრობისადმი ერთგულ ერისთავიშვილებს მხოლოდ მემამულური უფლებები დარჩათ.

* * *

რაჭაში ფეოდალურ-წარჩინებულ გვარეულობათა შორის გამოირჩეოდნენ იაშვილები, რომელთა დაწინაურებასა და გათავადებას ო. სოსელია XV საუკუნის მიწურულად ათარიღებს[4].

XVII საუკუნეში იაშვილთა სათავადო უკვე რამდენიმე სოფლისაგან

---

1 საქართველოს სიძველენი, III, გვ. 569—570.
2 ო. სოსელია, ნარკვევები... გვ. 109.
3 ო. სოსელია, ნარკვევები.., გვ. 110.
4 • ქვე, გვ. 122.

შედგებოდა, კერძოდ: სადმელის (აქ იყო მათი რეზიდენცია), ძირაგეულის, კლდისუბნის, ბეთლევისა და ნაწილობრივ ბოსლევისაგან. ჩანს, იაშვილები ზოგჯერ კვარასა და მის ციხე-სიმაგრესაც ფლობდნენ[1].

XVIII საუკუნის დასაწყისში იაშვილებს აზნაურთა ორი გვარეულობა — ტუნაძეები და მხეიძეები ეკუთვნოდათ, ხოლო გლეხებიდან: აგლაძეები, გოგიაძეები, ენუქიძეები, დარახველიძეები, დიაკონიძეები, კაპეტივაძეები, კაციტაძეები, მჭედლიძეები, კერესელიძეები, კუბლაშვილები, ობოლაძეები, ოშხერელები, ჭაბუკიანები, ფხაკაძეები და სხვ.[2].

იაშვილებს დიდი პატივი და გავლენა ჰქონდათ მოპოვებული არა მარტო რაჭაში, არამედ იმერეთის სამეფო კარზეც, მათი წარმომადგენელი ხშირად დარბაზის წევრი (მეღვინეთუხუცესი, მდივანბეგი და სხვ.) იყო, ხოლო მათი ყმა-მამული უმეტესად შეუვალობით (იმუნიტეტით) სარგებლობდა. ერთ-ერთი საბუთიდან ჩანს, რომ XVIII ს. პირველ ნახევარში იაშვილების განკარგულებაში მყოფ 160 გლეხის კომლიდან საურს მხოლოდ ათიოდე გლეხი იხდიდა, ხოლო საუდიეროს — არც ერთი.

სამეფო კარისადმი დიდი ერთგულებისა და მხარდაჭერის გამო იაშვილები ხშირად განიცდიდნენ ერისთავების მხრივ თავდასხმასა და აწიოკებას.

რაჭის გაძლიერებულმა ერისთავებმა, XVIII ს. პირველ მეოთხედში იაშვილთა სათავადოს ბოლო მოუღეს, ხოლო ამავე საუკუნის 50-იან წლებში მათ იაშვილთა ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილიც რაჭიდან გააძევეს.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი როდია, რომ რაჭაში ერისთავობის გაუქმებისა და ერისთავთა დასჯის შემდეგ იაშვილებმა კვლავ წინა პლანზე წამოიწიეს.

ბუნებრივია, ერთგულების გამო იმერეთის მეფეები იაშვილებს დიდი პატივით ეპყრობოდნენ და ყმა-მამულით აჯილდოებდნენ. ერისთავთა მიერ დევნილი იაშვილები მამულს იმერეთშიც იღებდნენ, ამასთანავე ისინი რაჭაში სახასო მამულის მოურავად, მდივანბეგად ან სხვა მოხელედ ინიშნებოდნენ.

იაშვილები ზოგჯერ საეკლესიო დარგშიც წინაურდებოდნენ და დიდ თანამდებობებსაც იღებდნენ. მაგალითად, ალექსანდრე მეხუთის დროს ჯერ ბაკა, ხოლო შემდეგ სვიმონ იაშვილი ცაგერის ეპისკოპოსები გახდნენ, იაშვილთა წარმომადგენლები სხვადასხვა დროს ბედიისა და ხონის ეპისკოპოსებადაც მოღვაწეობდნენ[3].

იაშვილთა გვარეულობა განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდა მე-

---

1 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივევევის ელჩობა იმერეთში.., გვ. 105; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 145.

2 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 74, 93, 106; წ.II, გვ. 171.

3 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 131; წ. II, გვ. 37—38; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, წ. I, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1958, გვ. 77; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, ძველი საქართველო, III, გვ. 30.

ფე სოლომონ პირველისადმი, რომელმაც რაჭის საერისთავო გააუქმა, ერისთავთა ოჯახი ააწიოკა, ხოლო იაშვილებს მამული და ძველი დიდება დაუბრუნა.

იმერეთის სამეფო ტახტისადმი ერთგულების გამო, ცხადია, იაშვილებს, არა მარტო ერისთავები, არამედ დადიანები და სხვებიც მტრობდნენ. 1769 წ. დადიანმა ღალატით მოკლა იაშვილთა საგვარეულოს ერთ-ერთი მეთაური (იმერეთის სარდალთან — ქაიხოსრო წერეთელთან ერთად)[1].

სამეფო კართან დაახლოებული იაშვილები ხშირად იყვნენ ჩაბმული ტახტის მაძიებელ პრეტენდენტთა ბრძოლაში. სოლომონ პირველის გარდაცვალების (1784 წ.) შემდეგ იაშვილები მიემხრნენ დავით არჩილის ძეს, ამის გამო დროებით გამარჯვებულმა დავით გიორგის ძემ იაშვილები სოფელ ზარათის ყმა-მამულის ჩამორთმევით დასაჯა, მაგრამ, სამაგიეროდ, გამარჯვებულმა დავით არჩილის ძემ იაშვილები კვლავ დააწინაურა და ერთ-ერთ დასაყრდენად გაიხადა. სოლომონ მეორემ იაშვილთა წარმომადგენელი დანიშნა გეგუთის მოურავად, რომელსაც ისინი იმერეთის რუსეთთან შეერთების შემდეგაც დიდხანს ინარჩუნებდნენ.

რაც შეეხება იაშვილთა სათავადოს, იგი როგორც ფეოდალურ-ადმინისტრაციული ერთეული ახალი მმართველობის შემოღებისთანავე გაუქმდა. მეფის მთავრობამ, იაშვილთა ნაწილს, რომელმაც მას მხარი დაუჭირა, მემამულეთა უფლებები დაუტოვა, ხოლო მოწინააღმდეგეები ყმა-მამულის ჩამორთმევით და, საერთოდ, სამშობლოდან გაძევებით დასაჯა.

რაჭის თავადაზნაურთა გვარეულობებიდან გამოირჩეოდნენ, აგრეთვე ჯაფარიძეები, წულუკიძეები და სხვ.

ჯაფარიძეები განსაკუთრებით გაძლიერებულან XV საუკუნეში (როდესაც რაჭის ძველი საერისთავო გაუქმებული იყო). ეს კარგად ჩანს ჯაფარიძეთა „სასისხლო საქმის სიგელიდან", რომელშიაც აღნიშნულია, რომ მეფეს რაჭაში „ჯაფარიძის ტოლი თავადი არ ჰყავდა", რომ „ჯაფარიძენი მწუედ მძლავრნი კაცნი იყვნენ"[2].

ამ „სიგელიდან" ჩანს ისიც, რომ ალექსანდრე მეფე რაჭის ჯაფარიძეებს იცავს სვანებისაგან. ეს თავისთავად იმას მოწმობს, რომ ეს გვარეულობა მეფესთან იყო დაახლოებული და დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა.

სავარაუდოა, რომ ერისთავობის გაუქმების შემდეგ ჯაფარიძეები „მთა რაჭის" მნიშვნელოვან ნაწილს ფლობდნენ და თავისი ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობით უძლიერესი თავადები იყვნენ. საისტორიო წყაროები მოწმობენ, რომ თავად ჯაფარიძეთა რეზიდენცია გლოლაში იყო.

თავის გვარჩამომავლობისა და ქონებრივ-სოციალური მდგომარეობის

---

1 [illegible] საბუთები, ნ. I, გვ. 131; ნ. II, გვ. 37—39; [illegible]... ნ. I, გვ. 77; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ხონის ეკლესია [illegible], [illegible]

2 [illegible] ისტორიო ძეგლები. ნ. II, თბ., 1941. ბ. ინგოროყვას გამოც., გვ. 32.

წყალობით XVII—XVIII საუკუნეებში ჯაფარიძეთა წარმომადგენლები დიდი პატივით სარგებლობდნენ მას შემდეგაც, როცა რაჭის საერისთავო აღდგა. შემთხვევითი არ არის, რომ XVII საუკუნის შუა ხანებში (ალექსანდრე მეფის დროს), როდესაც ხოსია ჯაფარიძე იმერეთის სამეფოს ელჩად გაიგზავნა რუსეთში (ტოლოჩანოვისა და იეველევის იმერეთში ელჩობისას 1650—1651 წწ.) ამავე გვარის მეორე წარმომადგენელი — ლომკაცი იმერეთის სამეფოს სახლთუხუცესი და ელჩი იყო[1].

ფეოდალური შუღლით გამოწვეული დაქვეითების მიუხედავად, ჯაფარიძეებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ რაჭის საერისთავოს გამგებლობაშიც, მაგალითად, XVIII ს. 30-იან წ. გრიგოლ ერისთავმა შიოშ ჯაფარიძე ღების მოურავად დასვა, ოღონდ იმ პირობით „თუ თქუენ (ე. ი. ჯაფარიძე — გ. გ.) და ან თქვენი შვილები ჩემი ერთგული და სიტყვის მომსმენენი იყვნეთ და რაც ჩვენი სიტყუა და ბრძანება მოგვიდესთ, ის გაგვითაოთ, ერთგულად და უტყუვარად მემსახუროთ, აღარც მოგეშალოთ ჩემგან და არცა სხვათა ჩვენთა შემდგომთა ერისთავთაგან"[2].

მეფისადმი ერთგულებისათვის როსტომ ერისთავმა არაერთხელ ააწიოკა როგორც იაშვილები, აგრეთვე ჯაფარიძეები, წულუკიძეები და სხვები, რომელთაც ყმა-მამულსაც ართმევდა[3].

მიუხედავად ყველაფრისა, ჯაფარიძეებს ანგარიში ეწეოდათ რაჭის ერთ-ერთი უძლიერესი ერისთავის — როსტომის დროსაც. ამას ადასტურებს აფხაზეთის კათალიკოსის ბესარიონის (როსტომ ერისთავის ძმის) „იმედისა და პირობის წიგნი" სოფრომ, ვახტანგ, გიორგი და მერაბ ჯაფარიძეებისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს ჯაფარიძეები ერისთავის „ერთგული და სიტყვის მორჩილი" იქნებოდნენ, მათ როსტომისაგან „წახდენით და გაღარიბებით არა დაუშავდებათ რა"[4].

მერაბ ჯაფარიძემ, 1768 წ. როსტომისაგან წყალობად მიიღო ვენახი: „...წყალობის წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ბატონმან ერისთავმან როსტომ, შვილმან ჩვენმან გიორგიმ, ბარძიმ, მეთოდიმ, მამუკამ, ნიკოლოზ, იოანემ, დიმიტრიმ, სხვათა ჩვენთა შვილთა და მომავალთა შენ, ჩვენს დიდ ერთგულს და კარგის მდომს ჯაფარიძეს მერაბს, შენს შვილს გიორგის, ნიკოლოზს, იობს, სხვათა შენთა შვილთა და მომავალთა ასე და ამა პირსა ზედან: ჩვენი ერთგული და კარგის მდომი იყავით, ვენახი გვთხოვეთ, ქრთამიც მოგვართვით... და მოგეცით შეუბანს იოსებაშვილის ურიის ნაქონი ვენახი; მოგვიცემია და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულობაში მკვიდრად და ყოვლის კაცის უცილობლად"[5].

---

1 ქართლის ცხოვრება, IV. გვ. 832; ღასავლეთ საქართველოს საეკლესიო სამართები, წ. I, გვ. 131; ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მეხლობრივი აღწერილობა, 1650—1651 წწ., ი. ცინცაძის გამოც., თბ., 1970, გვ. 143—144.

2 ისტორიული დოკუმენტები..., წ. I, გვ. 72.

3 АКАК, т. V, с. 91; თავად ჯაფარ ჯაფარიძის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი, ა. წერეთლის კრებული, 1899, № 7, II განყ. გვ. 4.

4 ისტორიული დოკუმენტები..., წ. I, გვ. 117.

5 იქვე.

ამავე საბუთიდან ჩანს, რომ მერაბ ჯაფარიძისადმი ამგვარი წყალობის დროს ვახტანგ ჯაფარიძეც ერისთავ როსტომის ერთგული კაცი ყოფილა.

როგორც აღვნიშნეთ, სხვა თანამოძმეთა მსგავსად, რაჭის ფეოდალებიც ურთიერთ ძარცვა-ხოცვით იყვნენ გართული, თუმცა ზოგჯერ ისინი ერთმანეთს ერთგულობდნენ კიდეც. მაგალითად, ვახტანგ ჯაფარიძე როსტომ ერისთავს ამხედრებია, მაგრამ საქმეში ერისთავის ძმა — ბესარიონ კათალიკოსი ჩარეულა და მოქიშპენი იმ პირობით შეურიგებია, რომ ჯაფარიძე ერისთავის მოყვრის-მოყვარე და მტრის-მტერი ყოფილიყო, სამაგიეროდ ერისთავი მისი მოკეთე და მწყალობელი იქნებოდა[1].

XVIII ს. 60-იან წ. სოფლების სარეკისა და ბაჯის რამდენიმე გლეხის ოჯახი ჯაფარიძეთა მფლობელობაში იმყოფებოდა, მაგრამ მათ ეს გლეხები ფალავანდიშვილებს მისცეს ვალში გირაოდ.

როგორც ირკვევა, ჯაფარიძეებს XVIII საუკუნეში უკვე ძველი ძალა და სახელი აღარ ჰქონიათ, მართალია, ერისთავების დარბევის (1769 წ.) შემდეგ, მათ ძველი ყმა-მამულის ნაწილი დაუბრუნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი უკვე რიგით მემამულეებად ითვლებოდნენ.

2. ლეჩხუმი

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, რაჭასთან ერთად, ლეჩხუმიც იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. როგორც მეფის სახასო მამული.

როგორც აღვნიშნეთ, თავის მოხერხებული გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობის წყალობით ლეჩხუმმა თანდათან დიდი მნიშვნელობა მოიპოვა.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ლეჩხუმი მდიდარი იყო ქვითკირის მრავალრიცხოვანი ციხესიმაგრეებით, რომელთა უმრავლესობა მაღალ ადგილზე მდებარეობდა და კლდეებითა და ბუნებრივი ზღუდეებით იყო დაცული. ამიტომ ლეჩხუმის ციხეები მტრისათვის მიუდგომელ-აუღებელი იყო. ვახუშტის აზრით, ლეჩხუმის ციხესიმაგრეთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მაღალ კლდეებზე ნაშენი: თაკუერი, დეხვირი, მური და ჭყვიში. იგი დეხვირის ციხეზე წერს: „...რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად“. ხოლო მურის ციხეზე დასძენს, რომ იგი „არავისაგან შემუსვრილ-აღებული არ ყოფილა“[2].

მიუხედავად მთიან-კლდიანი მდებარეობისა და მცირემიწიანობისა, ლეჩხუმი ეკონომიკურადაც დაწინაურებული იყო, აქ თითქმის ყველა სასოფლო კულტურა ხარობდა, რაც საქართველოს ბარისათვის იყო დამა-

---

1 ისტორიული დოკუმენტები.., წ. I, გვ. 117.
2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 748—749.

ხასიათებელი. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...თემცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა, გარნა სიეიწროვისა და კლდიანობისათჳს აოა ეგოდენი სიმრავლით“[1].

ლეჩხუმი როდი ჩამორჩებოდა სოციალურ-კულტურულადაც. როგორც აღინიშნა, მისი მოსახლეობა ადრიდანვე იყოფოდა სხვადასხვა სოციალურ წოდებად. ვახუშტი წერს: „მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი რამეთუ არ არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვითკირისა* და შენობანი ყოველნივე ქვითკირისანი“[2].

ლეჩხუმის დაწინაურებასა და მისი როლის გაზრდაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის კარგ ბრძოლისუნარიან თვისებას: „და არს (ლეჩხუმი — გ. გ.) მთითა და კლდითა ფრიად მაგარი, და კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემმართებელნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მჴნენი და მორჩილნი უფალთა თჳსთა...“[3].

XVII—XVIII საუკუნეების ლეჩხუმის დაწინაურებულ თავად-აზნაურთა გვარეულობებიდან აღსანიშნავია: ახვლედიანი, გელოვანი, ჩიქოვანი, ჩარკვიანი, ლაშხიშვილი, ყიფიანი, ნემსიწვერიძე და სხვ. ამ გვარეულობათაგან განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ჩიქოვანებმა, ახვლედიანებმა, გელოვანებმა და ლაშხიშვილებმა, რომლებმაც არა მარტო ლეჩხუმის მებატონეობა, არამედ იმერეთის სამეფო კარზე და ოდიშის სამთავროში უდიდესი გავლენა მოიპოვეს.

ერთ-ერთი წყალობის სიგელიდან ჩანს, რომ ლეჩხუმის მკვიდრი ხოსია და გიორგი ახვლედიანები იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამის ერთგული და თანამდგომი თავადები იყვნენ, რისთვისაც მეფემ მათ ღვირიშის სოფელი (ციხით), სოფელი ცხუკუშერი და, აგრეთვე სოფელი ტვიშის რამდენიმე გლეხის კომლი უწყალობა[4]. სხვა საბუთიდან ჩანს, რომ ხოსია ახვლედიანი მთელი ლეჩხუმის თავი და საერთო მებატონე იყო[5].

XVII ს. შუახანებში ლეჩხუმის ერთ-ერთი წარჩინებული გვარი გელოვანი ორგულობის გამო მეფემ ჩამოაქვეითა. ამაზე ცაგერის ეპისკოპოს გაბრიელის (ჩიქვანის) შეწირულების ერთ-ერთ წიგნში ვკითხულობთ: „აწ გელოვანს მეფის (ალექსანდრე მესამის — გ. გ.) ღალატი შეაჩნდა, გაუწყრა მეფე...“[6]. მოღალატე გელოვანები ალექსანდრე მეფემ ზემო სვანეთში გააქცია და ყმა-მამულები ჩაბოართვა[7]. ამ აქტის შემდეგ

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 749.

* სხვათა შორის, ზოგიერთ ეთნოგრაფ მკვლევარს კოშკების არსებობა სვანეთის გვაროვნულობის მაჩვენებლად მიაჩნია, როგორც ვხედავთ, კოშკი თავისთავად არ შეიძლება გვაროვნულობას გამოხატავდეს, პირიქით, ეს ნაგებობა, როგორც წესი ფეოდალიზმს ახასიათებს.

2 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 749.

3 ი ქ ვ ე.

4 დასავლეთ საქართველოს საეკლ. საბუთები, წ. I, გვ. 63—64.

5 ი ქ ვ ე, გვ. 72—73.

6 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 517.

7 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. II, გვ. 51—52; ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ., გვ. 114—116.

გელოვანები დიდხანს არ ჩანან ასპარეზზე, მაგრამ ლეჩხუმის ოდიშთან შეერთების შემდეგ ისინი კვლავ აღზევებული ჩანან და როგორც ლეჩხუმში, აგრეთვე დადიანთა კარზე დიდ როლს ასრულებენ.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის პროცესში ლეჩხუმში ახვლედიანები და ლაშხიშვილები ბატონობდნენ, როგორც სხვა კუთხეების გაბატონებული წოდება, ისინიც შინა ფეოდალურ ომში იყვნენ ჩაბმული. ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით: „არამედ ჟამებთა ამათ შინა განდიდნენ მთავარნი და მიიტაცებდიან თჳს-თჳსად მჴარეთა და არღარა იყო მორჩილება ეგდენი მეფეთა: იწყეს ტყჳს ყიდვა სააჯმნოდ ქრისტეს მოსყიდულთა მაჰმადიანთა ზედა. კუალად ჴდომა, შფოთი, კირთება ერთმან მეორესა ზედა და ოჴრება ქუეყანათა“[1]. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე იყო ლაშხიშვილთა წარმომადგენელი ხოსიაც, რომელიც იმერეთის სამეფო კარზე ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად იქცა[2].

XVII ს. 60-იან წ. ხოსია ლაშხიშვილმა კავშირი შეკრა ქართლის მეფე ვახტანგთან (შანაოზად წოდებულთან), მათ დასავლეთ საქართველოში პირველობისათვის მებრძოლი ოდიშის მთავარი — ვამიყ დადიანი დაამარცხეს. შემდეგ სვანეთში გააქციეს და მოკლეს: „...რამეთუ შეჩენითა ხოსია ლაშხიშვილისათა მოკლეს სუანეთს დადიანი ვამიყ ბრძანებითავე ვახტანგ მეფისათა“[3].

ლეჩხუმის მებატონე ხოსია ლაშხიშვილი იმდენად გაძლიერდა, რომ იგი აქტიურ როლს ასრულებდა იმერეთის სამეფო ტახტზე მეფეთა ცვლაში. კერძოდ, მაშინ, როდესაც დარეჯან დედოფალმა თავისი ქმარი ბაგრატი დააბრმავა და ვახტანგ ჭუჭუნაშვილი შეირთო. ამ ცოლ-ქმარმა დაიახლოვეს ლეჩხუმის მებატონე ლაშხიშვილი და ქვეყანას ძალით განაგებდნენ. მაგრამ მალე იმერეთის თავადებმა ლეჩხუმის მებატონე ლაშხიშვილი გადაიბირეს და მეფე-დედოფალი მოსპეს.

სამეფო კარზე დიდი როლის შესრულებამ ხოსია ლაშხიშვილი ყოველმხრივ გააძლიერა. რამდენიმე ხნის შემდეგ ლაშხიშვილი და რაჭა-ლეჩხუმის ზოგიერთი თავად-აზნაური უსინათლო ბაგრატს მიემხრო, გაერთიანებული ძალით მათ 1670 წ. დაამარცხეს (ჩხარის ბრძოლაში) სეხნია ჩხეიძე, აგრეთვე ოდიშის მთავარი დადიანი და ბაგრატს მეფობა დაუბრუნეს. რაჭა-ლეჩხუმთან კავშირში ბაგრატ მეფემ (1671 წ.) ვეგუთშიც სძლია თავის მოწინააღმდეგეებს[4].

ბოლოს ლეჩხუმის მებატონე (იმერეთის სამეფო კარის ერთ-ერთი დასაყრდენი) ხოსია ლაშხიშვილიც დამარცხდა, რომლის შემდეგ ლაშხიშვილთა წარმომადგენელი დიდ ასპარეზზე უკვე არ ჩანს.

სამაგიეროდ, XVII ს. მეორე ნახევარში წინა რიგებში გამოჩნდნენ

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 833.
2 იქვე, გვ. 839.
3 იქვე, გვ. 836.
4 იქვე, გვ. 872.

ჩიქოვანები (ჩიქვანები, ჩიქუანები), რომელთაც როგორც ლეჩხუმში, აგრეთვე იმერეთსა და ოდიშში დიდი ძალა და პატივი მოიპოვეს[1].

ჩიქოვანები იმერეთის სამეფო კარზე, ჯერ კიდევ, ალექსანდრე მესამის დროს დაწინაურდნენ. ამ გვარის წარმომადგენელთა ასპარეზზე გამოსვლა და მომძლავრება დაიწყო XVII ს. 50-იან წ., როდესაც ალექსანდრე მესამემ გაბრიელ ჩიქოვანს ცაგერლობა უბოძა. დაწინაურებულმა გაბრიელმა ჭყონდიდლობა და ბოლოს ბედიელობაც მიიღო[2]. ცხადია, გაბრიელი ამ დროს დადიანს დაუახლოვდა და მისი ნდობაც დაიმსახურა.

როდესაც ქართლის მეფე ვახტანგმა ვამიყ დადიანი დაამარცხა (სვანეთში გააქცია და იქ მოაკვლევინა) და დადიანად ლევან მესამე დასვა (1660 წ.), გაბრიელ ჭყონდიდელი შეიპყრო, ქართლში წაიყვანა და შულავერის ციხეში გამოამწყვდია. მაგრამ პატიმრობიდან გაქცეული გაბრიელი „მოვიდა და დაიპყრო ჭყონდიდლობავე, და იქმნა მისანდო ლევან დადიანისა ყოველსა ჟამსა"[3].

დიდგავლენიანმა გაბრიელმა თავისი ძმა კაცია იმერეთის მეფესაც დაუახლოვა, განსაკუთრებით კი დადიანს, ამ უკანასკნელმა იგი თავის უახლოეს მრჩევლად და მეურვედ დაისვა: „ესე კაცია ძმის ჭყონდიდლის გამო განდიდნა და იქმნა პატივცემულ მეფეთაგან და ამის გამო უსმენდნენ ლეჩხუმელნიცა". კაცია თავისი მოხერხებით იმერეთსა და ოდიშში ყოვლისშემძლე გახდა. როგორც ცაგერის სოფლის ნაყურალეშის ეკლესიის ფრესკებიდან და წარწერებიდან ჩანს, კაცია ჩიქვანი გახდა „ლეჩხუმისა და სალიპარტიანოს პატრონი, ოდიშის თავი, აგრეთვე იმერეთისა და ოდიშის სარდალი"[4].

რა თქმა უნდა, კაცია ჩიქოვანის დაწინაურებით (მეორე კაცად გადაქცევით) ოდიშის მთავარს თავისი მიზნის მიღწევა — ლეჩხუმის ხელში ჩაგდება სურდა.

ცხადია, კაცია ჩიქოვანის ასე უზომო განდიდებას ოდიშის დიდებულები ვერ შეეგუენ, მითუფრო, რომ კაცია წარმოშობით ლეჩხუმელი (ნასვანარი), ღარიბი აზნაურის ოჯახიდან იყო, რომლის მამა, თურმე, „სვანეთს ტკრთითა თვსითა ზიდვიდა თაფლსა და გამოიზრდებოდა"[5]. თვითონ დადიანის მეურვე და სალიპარტიანოს მფლობელი იმდენად ძლიერი და მოხერხებული გახდა, რომ თავის მეუფე-დადიანის მეშვეობით, მოწინააღმდეგე წარჩინებულებს მუსრს ავლებდა.

კაცია ჩიქოვანი (ლიპარტიანად წოდებული) კიდევ უფრო ყოვლისმძლე გახდა მას შემდეგ, რაც ლევან მესამის მემკვიდრე მანუჩარი (დადიანთა ძველი დინასტიის უკანასკნელი, კანონიერი მემკვიდრე) მძევლად

---

1 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 516—517; სტეფანიკ ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში..., გვ. 193—195.

2 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 580; ეკ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში.., გვ. 73.

3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 842.

4 ეკ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში.., გვ. 74—76.

5 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 842.

ყოფნისას გიორგი გურიელმა მოკლა. ამიერიდან კაცია ჩიქოვანი ოდიშის თავი და ფაქტობრივი გამგებელი გახდა. იგი, როგორც დაუნდობელი პირი, თავის ძმასთან ერთად განაგრძობდა მოწინააღმდეგე მეგრელთა მეთოდურ და საბოლოო მოსპობას, „ამით მოიყვანა ოდიში ქუეშე თჳსსა, ვიდრე პყრობამდე თჳსად"[1].

კაცია ჩიქოვანის გარდაცვალების შემდეგ (1681 წ.), მისმა მემკვიდრეებმა ოდიშის სამთავროს სათავეში მოქცევაზე და ლეჩხუმის დასაკუთრებაზე კიდევ უფრო ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს. გიორგი კაციას ძემ ჯერ მამამისის სამფლობელო — სალიპარტიანო დაიჩემა, შემდეგ მამის მსგავსად, მეტოქე და ურჩი დიდებულების განადგურება განაგრძო და დადიანობისკენ იკაფავდა გზას.

ლეჩხუმელ ჩიქოვანთა წარმომადგენლებთან ერთად, სადადიანოს ხელში ჩაგდებას ლამობდა გურიის მთავარი გიორგიც, რომელიც ერთხანს იმერეთის გამგებელი გახდა.

ამასობაში გიორგი ლიპარტიანმა, მოწინააღმდეგე და მეტოქე მეგრელთა დასაოკებლად, აგრეთვე გიორგი გურიელის წინააღმდეგ, დადიანად დასვა ლევან მესამის უკანონო შვილი ლევან მეოთხე, მაგრამ ოდიშის ფაქტობრივი გამგებელი მაინც თვითონ იყო.

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შორის პირველობისათვის ბრძოლა XVII ს. 80-იან წ. კიდევ უფრო გამწვავდა. ამ ჭიდილში ახლა დადიანი, გურიელი, რაჭის ერისთავი, იმერეთის თავადი ბეჟან ლორთქიფანიძე და ლეჩხუმის ზოგიერთი მემამულე დაჯგუფდნენ, ისინი 1684 წ. როკითში შეებრძოლენ იმერეთის მეფე ალექსანდრესა და მის მომხრეებს, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ (სხვათა შორის ბრძოლის დროს დაიღუპნენ რაჭის ერისთავი შოშიტა, გიორგი გურიელი და სხვ.).

მიუხედავად დამარცხებისა, გიორგი ლიპარტიანის პოზიცია არ შერყეულა, მან ლევან მეოთხის (დადიანის) მეოხებით იწყო „სრვა და კლვა წარჩინებულთა ოდიშისათა, ყიდვა უწყალოდ ტყუეთა მაჰმადიანთა ზედა და ეპყრა სალიპარტიანო, და ნებითა მისითავე აყო ლევან დადიანად"[2].

გიორგი ლიპარტიანმა, მოხერხებული პოლიტიკით, თანდათან განამტკიცა თავისი ძალა და გავლენა. მისი რჩევით ლევან დადიანი იმერეთის მეფე ალექსანდრეს დაემძახლა, რამაც კიდევ უფრო აამაღლა მისი ძალაუფლება: „არამედ სახელით ოდენ იყო დადიანი ლევან, გარნა მოქმედი ყოველისავე იყო ლიპარტიანი"[3]

მიუხედავად ყოველივესი, გიორგი ლიპარტიანი ვერ ბედავდა ვერც დადიანად (ოდიშის მთავრად) დაჯდომას და ვერც ლეჩხუმის ერთპიროვნულ დამკვიდრებას. იგი, ჯერ კიდევ იძულებული იყო ლევან დადიანის მეგობარიც ყოფილიყო და იმერეთის მეფესთანაც კეთილურთიერთობა ჰქონოდა.

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 845.
2 იქვე. გვ. 849.
3 იქვე. გვ. 850.

ჩანს, XVII ს. 80-იანი წლების მიწურულში, ლეჩხუმი ჯერ კიდევ იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამას მოწმობს ისიც, რომ 1687 წ. და შემდეგაც ლეჩხუმი იმერეთის მეფე ალექსანდრეს მხარეზე იბრძოდა, ჯერ ქართლის მეფის წინააღმდეგ, ხოლო, შემდეგ იმერეთის სამეფო ტახტის მაძიებელ არჩილის, დადიანის, ერისთავისა და მათი დაჯგუფების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში, რომელიც გუელის თავზე მოხდა, „ლეჩხუმელნი იყვნენ ალექსანდრეს კერძოდ...“[1]. აქედან კარგად ჩანს, რომ ლევან მეოთხე დადიანი და ლიპარტიანი საკუთრად არ ფლობენ ლეჩხუმს. რასაც, აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგი სიტყვებიც ადასტურებს: „შემდგომად ეზრახა ლიპარტიანს ალექსანდრე მეფე და მისცა თავობა ლეჩხუმისა და, ვინაჲთგან იყო ლიპარტიანი უღთო, ცრუფიც, უპირო, ტყვს მყიდველ, მიერთო ალექსანდრეს“[2].

მოვლენათა შემდგომი მსვლელობიდან ჩანს, რომ ალექსანდრე მეფემ გიორგი ლიპარტიანს ლეჩხუმი კვლავ წაართვა, შესაძლებელია მერყეევი და ცბიერი ქცევის გამო. ახლა გიორგი ლიპარტიანი არჩილს (ალექსანდრეს მეტოქეს) შეუჩნდა, — ოღონდ ლეჩხუმი მიეცა და სამუდამო ერთგულებას ჰპირდებოდა. როდესაც საწადელს ვერც ამ გზით მიაღწია, ის 1691 წელს ქუთაისის ციხეში გამოკეტილი ოსმალების მხარეზე გადავიდა და მათ არჩილ მეფის რეზიდენცია ააოხრებინა.

ირკვევა, რომ XVII საუკუნის მიწურულში გიორგი ლიპარტიანი ეპიზოდურად მაინც ეუფლებოდა ლეჩხუმს. იმერეთის სამეფო ტახტის მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ ვის მხარეზეც იქნებოდა გიორგი ლიპარტიანი, „მპყრობელი ოდიშ-ლეჩხუმისა, — ძლევაცა მისი იქმნებოდა“[3]. ამიტომ ტახტის თითოეული პრეტენდენტი ცდილობდა ლიპარტიანის გულის მოგებასა და მიმხრობას.

ტახტისა და პირველობის მაძიებელ ფეოდალთა ურთიერთჭიდილში, აგრეთვე მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების ხშირმა შემოსევებმა დაასუსტა საქართველოს ცენტრალიზაციის მომხრე პროგრესული ძალები, დაკნინდა და განადგურდა მატერიალური დოვლათის მწარმოებელი გლეხობა, ამავე დროს, ტყვეთა სყიდვაც დროის მუდმივი თანამგზავრი გახდა. ცხადია, ამით არაერთმა მედროვემ ისარგებლა, მათ შორის გიორგი ლიპარტიანმაც, რომელმაც იმდენად დიდი ძალა მოიპოვა, რომ დადიანი გააძევა და მთელ ოდიშს დაეპატრონა, შემდეგ „თავობდა ლეჩხუმსაცა კნინღა დაპყრობად“[4].

მართალია, გიორგი ლიპარტიანი მტკიცედ მაინც ვერ დაეუფლა ლეჩხუმს, მაგრამ მიზნის მიღწევაში მას ხელს უწყობდა იმერეთში გამეფებული ქაოსი, რომელიც პროგრესულ ძალებს და, საერთოდ, სამეფო ხე-

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 851.

2 იქვე.

3 ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, შ. ბერჯანაძის გამოც., გვ. 166.

4 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 856—857.

ლისუფლებას აკნინებდა. თანამედროვე მემატიანის დახასიათებით, იმერეთში „...არღარა იყო პირმტკიცეობა. არამედ განრყუნილნი, ფიცის მტეხელნი, ტყვს-ძყიდველნი, მჭდომნი, მკრეხელნი, უკეთურნი, არათუ წარჩინებულნი, გარნა მდაბიურნიცა“[1].

ამ დროს, იმერეთსა და ოდიშს ფაქტობრივად ორი მეფეროვე: გიორგი აბაშიძე და გიორგი ლიპარტიანი დაეუფლნენ. ერთობლივი ძალით მათ ჯერ იმერეთის მეფის მომხრე ლეჩხუმის მებატონეები და მოსახლეობა დაიმორჩილეს: „...გათხარეს მთა რაჭა-ლეჩხუმისა თოვლიანი და შევიდნენ ლეჩხუმს, ურჩნი მოსწუნეს, მოსტყუევნეს და დაუმორჩილა ლიპარტიანსა“[2]. შემდეგ ურთიერთ დაემძახლენ და 1701 წ. სვიმონ მეფე მოიშორეს. ერთობლივი ძალით მათ (ქაიხოსრო იაშვილის სარდლობით) ოსმალებიც დაამარცხეს: ბრძოლის დროს მოკლეს კოლის ფაშა, ახალციხის ფაშა დაჭრეს, ხოლო ხონთქარის დასაყრდენი სერასკირი გააქციეს. ყოველივე ამის შემდეგ „გარნა აბაშიძე უმეტეს განდიდნა და განმდიდრდა, რამეთუ დადიან-გურიელი მოწოდებითა მისითა მის წინაშე იყვნენ მარადის“[3].

აბაშიძესთან კავშირით გიორგი ლიპარტიანმა 1704 წ. ჯერ საჭილაოსამოქალაქო დაიპყრო, შემდეგ გიორგისთან (მეფე ალექსანდრეს ძესთან) კეთილკავშირურთიერთობის მეოხებით თავისი ძმა იესე (იოსები) გააძევა ლეჩხუმიდან, რომლის უფროსობა (თავადობა) თავის შვილს ბეჟანს მისცა. დაბოლოს (1704 წ.), უფროსი შვილი კაცია დადიანად — ოდიშის მთავრად დასვა, ხოლო მომდევნო შვილს გაბრიელს (რომელიც მონაზონი იყო) ჭყონდიდლობა უბოძა. თვითონ გიორგი „ლიპარტიანობდა კუალად და იყვნენ მორჩილებასა შინა მისსა ძენი მისნი“[4].

ამასობაში, გიორგი ალექსანდრეს ძემ და მისმა მომხრეებმა აბაშიძეს მოსთხოვეს ხელი აეღო იმერეთზე და საკუთარი მამულით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ ამ უკანასკნელს კვლავ თავისი სიძე ლიპარტიანი (რომლის მეუღლე უკვე გარდაცვლილი იყო) და რაჭის ერისთავი მიემხრნენ. სამაგიეროდ ლიპარტიანს გადაუდგნენ თავისი შვილები კაცია და ბეჟანი (მათ ამის საბაბად გამოიყენეს ლიპარტიანის მიერ თავიანთი დედის მიტოვება და ცოლად აბაშიძე თამარის შერთვა), რომლებიც გიორგი ალექსანდრეს-ძეს მხარეზე გადავიდნენ.

ამ ორ დაჯგუფებას შორის ბრძოლა 1709 წ. მეფე გიორგის მომხრეების სასარგებლოდ დამთავრდა, მათ ჯერ აბაშიძე დაამარცხეს, შემდეგ რაჭა-ოდიში და გურიაც დალაშქრეს.

კაცია დადიანის გარდაცვალების შემდგომ წლებში ოდიშს კვლავ მამამისი — გიორგი ლიპარტიანი განაგებდა. ლიპარტიანმა, გურიელმა,

---

1 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 859.
2 იქვე, გვ. 860—861.
3 იქვე, გვ. 866.
4 იქვე, გვ. 866—867.

რაჭის ერისთავმა და ბეჟან ლეჩხუმის ბატონმა. იმერეთის მეფე გიორგი ქართლში გააქციეს.

ამიერიდან დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა და ფეოდალთა შორის ბრძოლა, რომელშიც ლეჩხუმის თავი ბეჟან ჩიქოვანიც აქტიურად მონაწილეობდა, კვლავ დიდხანს არ დაცხრა. ბრძოლა არა მარტო სხვადასხვა დაჯგუფებას შორის წარმოებდა, არამედ თითოეული დაჯგუფების შიგნითაც.

ლეჩხუმის მებატონე ბეჟან ჩიქოვანი 1714 წ. იმერეთში გამეფებულ გიორგი გურიელს მიემხრო, ამის ძალით მან ოდიშიდან მამა გააძევა, ხოლო საკუთარ ძმას — გაბრიელს ჭყონდიდლობა წაართვა, ბოლოს მან მოწინააღმდეგეები ამოწყვიტა და დადიანობაც დაისაკუთრა*. მალე ბეჟან დადიანმა (ზურაბ აბაშიძის დახმარებით) მოტყუებით შეიპყრო მამამისი, ციხეში დაამწყვდია და იძულებული გახადა პირველ ცოლს — მიქელაძის ქალს (რომელიც ბეჟანის დედა იყო) შერიგებოდა და ასე ეცხოვრა ბოლომდე.

დასავლეთ საქართველოს მესვეურ ფეოდალთა შეხლა-შემოხლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არა მარტო გადადიანებული ჩიქოვანები, არამედ ის ჩიქოვანებიც, რომლებიც ლეჩხუმში ან სალიპარტიანოში (კვაუთში, ლესაჯეში, თარგამულში, ჯოლევში, ნამკოლუში, ლეძაძამიეში, თამაკონში და ნოქალაქევში) ცხოვრობდნენ და ბატონობდნენ.

ირკვევა, რომ სამეგრელოში დაწინაურებული ჩიქოვანები თავდაპირველად იმერეთის მეფეთა თანხმობით (ზოგჯერ ძალით) ეპიზოდურად ეუფლებოდნენ ლეჩხუმს, მაგრამ ბეჟანის გადადიანების შემდეგ ეს კუთხე ოდიშს უერთდება და დადიან-ჩიქოვანთა ხანგრძლივ გამგებლობაში გადადის. ამიერიდან უკვე იმერეთის მეფეები იშვიათად ახერხებდნენ ლეჩხუმის ჩაგდებას.

საქმე იმაშია, რომ ბეჟან დადიანი მჭიდროდ შეეკრა იმერეთის ძლიერ ფეოდალ ზურაბ აბაშიძეს, დაუმოყვრდა რაჭის ერისთავს, დაუმეგობრდა გურიელს, უკავშირდებოდა ოსმალებსაც. ყველაფერი ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ ის ადვილად გამკლავებოდა იმერეთის მეფეს და ხელიდან არ გაეშვა ლეჩხუმი, მითუფრო, რომ მას საკუთარ, საბატონო მამულად მიიჩნევდა.

ლეჩხუმი დადიანთა ხელში იყო ალექსანდრე მეხუთის მეფობის დროსაც (1721—1751 წწ.), როდესაც ოსმალთა დახმარებით ბეჟან დადიანი ალექსანდრე მეფის მოურნედ დაჯდა. მალე ალექსანდრემ ცოლად შეირთო დადიანის ასული, ამით კიდევ უფრო განმტკიცდა ოდიშის მთავრის

---

*ბეჟან ჩიქოვანის გადადიანების თარიღად ვახუშტი ბაგრატიონი და ნიკო დადიანი 1715 წელს ასახელებენ (იხ. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 876. აგრეთვე ქართველთ ცხოვრება, გვ. 172). ხოლო ო. სოსელიას მტკიცებით, ეს 1714 წელს მოხდა. რასაც საეკლესიო შეწირულობის საბუთიც ემთხვევა (იხ. ნარკვევები ეკონ. ხან. დასავლეთ.., გვ. 317). ჩანს, ეს უკანასკნელი თარიღი სწორია.

მდგომარეობა: „არამედ თუმცა იყო ალექსანდრე მეფედ, გარნა ბეჟან დადიანი იყო მოქმედი და მმართებელი ყოვლისა საქმისა“.[1]

შეკავშირებული დადიანი და მეფე ადვილად უსწორდებოდნენ მოწინააღმდეგეებს, მათ არაერთხელ ააწიოკეს რაჭის საერისთავო, აგრეთვე მოქიშპე იმერელი თავადები.

დასავლეთ საქართველოში ფეოდალური არეულობა კვლავ შეუნელებლად გრძელდებოდა, სათავადოთა სისტემა შეუზღუდველად ბატონობდა. მეფის ძალაუფლება სულს ღაფავდა, მისი კუთვნილი ციხე-სიმაგრეები და მამულები მთავრებსა და თავადებს ჰქონდათ მიტაცებული. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოში ოსმალთა გავლენაც დღითიდღე ძლიერდებოდა. ოსმალებმა 1723 წ. დაიპყრეს ფოთი, სადაც დასვეს ფაშა, რომელიც ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მმართველად დანიშნეს. ოსმალებმა მალე ძველი რუხის ციხე დაანგრიეს და ანაკლიის ააშენეს. ამავე დროს, მათ ხელში იყო ბათუმი, ციხისძირი და სოხუმი, სადაც თავის ნება-სურვილით მოქმედებდნენ.

შინა ფეოდალური არეულობა და ძმათამკვლელი ომი ხელს უწყობდა დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვის გაძლიერებას და მწარმოებელი კლასის მოსპობას. ოსმალები ფიზიკურად ანადგურებდნენ, ან ძალით ამაჰმადიანებდნენ ქართველებს, რითაც საქართველოს სამუდამო დასაკუთრებას ცდილობდნენ.

ბუნებრივია, ოსმალებს არ აწყობდათ ქართველი მეფის ან რომელიმე მთავრის გაძლიერება. იმერეთის თავად ზურაბ აბაშიძის გამცემლობით, ოსმალებმა 1728 წ. გაძლიერებული ბეჟან დადიანი კარავში შეიტყუეს და იქ, ახალციხის ფაშის უსუპის მეშვეობით, ღალატით მოკლეს.

იმავე წელს დადიანად ოტია ბეჟანის-ძე დაჯდა. მაგრამ მას საკუთარი ძმა კაცო გადაუდგა. ოტიამ, გრიგოლ ერისთავის დახმარებით, შეიპყრო მოქიშპე ძმა და კვარას ციხეში გამოამწყვდია.

სამთავროს მესვეურთა შეცვლამ ოდიშში ფაქტობრივად არაფერი შეცვალა. დასავლეთ საქართველო, ისევ მეფე-მთავართა და თავადთა ომის, აგრეთვე ოსმალთა შემოსევა-აწიოკების ასპარეზად დარჩა.

ოტია დადიანმა 1732 წ. შეკრიბა ოდიშ-ლეჩხუმის ჯარი და აფხაზეთ-რაჭის თავადების, აგრეთვე ზურაბ აბაშიძის დახმარებით ალექსანდრესა და მის მომხრეებს (მათ შორის იყო პატიმრობიდან გაქცეული კაცო ჩიქოვანიც) შეესია. ასე ოხრდებოდა და ნადგურდებოდა დასავლეთ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა.

დადიანის მტრობის საპასუხოდ ალექსანდრე მეფემ კავშირი შეკრა საქართველოში დაბანაკებულ ოსმალებთან და ოდიშის სამთავრო ააწიოკა. დროებითი დაზავების შემდეგ, დადიანისა და მეფის ძალები კვლავ ერთიმეორეს შეეჯახენ. ერთ ბანაკში შედიოდნენ: ოტია დადიანი, რაჭის ერისთავი გრიგოლი, იმერეთის თავადი ზურაბ აბაშიძე და მეფის ძმა მა-

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 882; ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 174.

შუკა, ხოლო მეორეში: ალექსანდრე მეხუთე, მამია გურიელი. ლევან აბაშიძე, კაცო ჩიქოვანი, ბარის ერისთავი, მერაბ წულუკიძე და სხვები.

ამ ორ დაჯგუფებას შორის გენერალური ბრძოლა 1734 წ. ზამთარში გაიმართა ჩიხორში, სადაც არაერთი ქართველი დაიღუპა, მათ შორის ყველაზე მეტი ლეჩხუმელი და რაჭველი მოლაშქრეები. მეთაურთაგან ბრძოლის დროს მოკვდა დადიანის ძმა კაცო და სხვ. დაიჭრა ოტია დადიანიც, რომელიც გამარჯვებულმა მეფემ ტყვედ ჩაიგდო.

როდესაც ტყვეობაში მყოფი ოტია დადიანი გამოკეთდა, მეფემ მას განთავისუფლება აღუთქვა, რაშიც ლეჩხუმის დაბრუნება მოსთხოვა. მაგრამ მემატიანის ხმით, დადიანმა არ ინება ლეჩხუმის მიცემა, სამაგიეროდ, მეფე სამიქელაო-საჭილაოს დაუაბულდა და დადიანი გაათავისუფლა[1].

მეფის მომხრეებსა და მათდამი დაპირისპირებულ დადიან-ერისთავ-აბაშიძის ამალას შორის მტრობა არც შემდეგ შენელდა. დადიანმა, ერისთავმა და ზურაბ აბაშიძემ საიდუმლო მოლაპარაკება გააბეს მეფისადმი მოულოდნელ და ერთობლივ თავდასხმაზე. შეთანხმებისამებრ დადიანმა ოდიშ-ლეჩხუმისა და აფხაზთა ლაშქრით, გრიგოლ ერისთავმა რაჭველთა და ზურაბმა თავისი ძალებით, 1740 წელს, იერიში მიიტანეს ვარციხის სასახლეზე, რომელიც რამდენიმე დღის ალყის შედეგად კიდევაც აიღეს და ძირფესვიანად ააოხრეს, მაგრამ მეფე ვერ შეიპყრეს.

ერთი წლის შემდეგ დადიანმა, ერისთავმა და მათმა მომხრეებმა კავშირი შეკრეს ოსმალებთან, იმერეთი დალაშქრეს, ალექსანდრე მეფე ქართლში გააძევეს, ხოლო მის ადგილზე გიორგი (მეფის ძმა) დასვეს.

მალე ალექსანდრე მეხუთე ოსმალებს შეურიგდა და 1742 წ. ახალციხის ფაშის მეშვეობით მეფობა დაიბრუნა. დადიანი, ერისთავი და ბატონიშვილი გიორგი, ოსმალთა დახმარებით, მეფეს მიუხდნენ გეგუთში, გააფთრებულ ბრძოლაში გამარჯვების შედეგად ალექსანდრე მეხუთემ მეფობა დაიბრუნა, ხოლო მისი ძმა გიორგი დადიანთან გაიქცა. დადიანი და ერისთავი 1743 წ. ისევ გეგუთს შეესივნენ, მაგრამ მეფემ და მისმა მომხრეებმა (ოსმალთა დახმარებით) ორივე მომხდური დაამარცხეს, რაჭის ერისთავი გრიგოლი ბრძოლაში დაიღუპა.

მეფე-მთავარ-ერისთავთა და დიდგვაროვან ფეოდალთა შორის შუღლი და პირველობისათვის ბრძოლა XVIII ს. 50-იან წლებშიც გაგრძელდა. კიდევ მეტი. ამ ბრძოლამ ახლა უფრო მრისხანე და ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო. მართალია, იმერეთის სამეფო ტახტზე ახლად ასულმა სოლომონმა (1749 წ.), უპირველეს ამოცანად, ოსმალთა განდევნა დაისახა (მათ ხელში იყო ქუთაისის, შორაპნის, ცუცხვათის, ბაღდადისა და იმერეთის სხვა ციხეები). მაგრამ, რაკი ამისათვის მას საკმაო ძალები არ ჰყავდა, სამოყვრო კავშირი შეკრა ოტია დადიანთან (მისი ასული შეირთო), რამაც მეფეს შესაძლებლობა მისცა საქართველოში შემოსული ოს-

---

[1] ქართლის ცხოვრება. IV, გვ. 888.

მალები არაერთგზის დაემარცხებინა. მაგრამ ამ კეთილშობილური საქმისათვის ბრძოლაში მეფეს ახლაც მოძმე თავადები უშლიდნენ ხელს. მეფისადმი დაპირისპირებულმა ლეონ აბაშიძემ და სხვა შინგამცემმა თავადებმა იმერეთში მოსყიდული ოსმალთა ლაშქარი შეიყვანეს. სოლომონ მეფე იძულებული გახდა დადიანისათვის ეთხოვა დახმარება: „...ვინაითგან კაცი მამაცი დადიანი ოტია მოუძლურებული იყო მოხუცებულობისა გამო, ამისათვის წამოუვლინა ძე თავისი კაცია სპითა ოდიშ-ლეჩხუმ-აფხაზთა, და აქათ მეფემან შეიკრიბნა რამოდენიმე იმერნი, გარნა უმეტესი მიბირებული იყო აბაშიძის ლეონისა მიმართა, და შეერთებულნი მეფე და კაცია დადიანისძე მიუხთენ ხრესილს მყოფს ოსმალთა განდიდებულთა მხედრობათა და შეიქმნა ბრძოლა სასტიკი, სადა მამაცად ბრძოდნენ მენგრელნი და ლეჩხუმელნი და განსდრიკნეს თათარნი"[1].

ხრესილის ბრძოლაში, 1756 წ.*, დაიღუპა ლეონ აბაშიძე, ხოლო მისი თანამებრძოლი გედევან აბაშიძე ტყვედ ჩავარდა, ბრძოლაში დაეცა აგრეთვე ახალციხის ფაშა, ჯარის სარდალი (სპასპეტი) და სხვა მრავალი. სოლომონის მომხრეთაგან მრავალმა მებრძოლმა ისახელა თავი, მათ შორის აფხაზმა ხუტუნია შერვაშიძემ, რომელმაც თავის სიცოცხლის ფასად თექვსმეტი ოსმალო მოკლა.

როგორც დავინახეთ, XVIII ს. 20-იანი წლებიდან მოყოლებული, ლეჩხუმს დადიან-ჩიქოვანები განაგებდნენ. ეს კარგად ჩანს არა მარტო ხრესილის ბრძოლის ამსახველი მასალიდან, არამედ კაცია დადიანის პირადი ისტორიიდანაც. ისტორიკოსის გადმოცემით, კაცია დადიანმა თავისი მეორე მეუღლე (ელისაბედი — თეიმურაზ მეფის ასული) 1770 წ. მურის სასახლეში დაასაფლავა[2].

იმერეთის მეფეს ხელი არასოდეს აუღია ლეჩხუმის დაბრუნებაზე, მაგრამ შინაურ და გარეშე მტრებთან გამუდმებული ბრძოლა ამის საშუალებას არ აძლევდა. საქმე იმაშია, რომ მოქიშპე თავადებისა და ოსმალების გამკლავება სოლომონს დადიანთან კავშირით თუ შეეძლო, ამიტომ, ის იძულებული იყო ლეჩხუმის დაკარგვას შერიგებოდა (დროებით მაინც), ოღონდ ოსმალები მოეგერიებინა და რაჭის ერისთავთა საგვარეულო მოესპო.

რუსეთის მიერ ომში გამარჯვების წყალობით, XVIII ს. 70-იან წლებში საქართველოში თურქ-ოსმალების თარეში შენელდა. ამასთანავე, იმერეთის სამეფოსთან ჭიდილში რაჭის ერისთავებიც განადგურდნენ. ამიტომ სოლომონს საშუალება მიეცა ლეჩხუმისათვის მიეხედა. იმერეთის მეფე ლეჩხუმს თავის საკუთრებად თვლიდა, მაგრამ გადადიანებული ჩიქო-

---

1 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 178.

* ხრესილის ბრძოლის თარიღად პ. ორბელიანი 1757 წელს ასახელებს (იხ. ამბავი ქართლისანი, ქართლის ცხოვრება, 1854, გვ. 473). ამასვე ადასტურებს ექ. თაყაიშვილის გამოქვეყნებული მასალა (იხ. ძველი საქართველო, წ. II, განყ. III, გვ. 72). ო. სოსელიას მიაჩნია, რომ ეს უკანასკნელი თარიღი სწორია.

2 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 179.

ვანებიც მას საკუთარ მამულად მიიჩნევდნენ და ცოცხალი თავით არ თმობდნენ.

მემატიანე მოგვითხრობს, რომ, როცა მომენტი დადგა, იმერეთის მეფემ დაივიწყა გაჭირვების ჟამს დადიანთა სამსახური და ლეჩხუმის დაბრუნება მოიწადინა: „არბევდა მეფე ოდიშს მრავალჯერ და ეკირთებოდა, გარნა არცა დადიანი აყენებდა და მრავალჯერ ესეცა არბევდა იმერეთრაჭასა და ესრეთ განვლო ჟამმან საკმაომან"[1].

ჩიქოვან-დადიანებმა ლეჩხუმის დამკვიდრების შემდეგ მისი მოსაზღვრე ქვემო სვანეთის ნაწილი — ლენტეხის თემიც დაიმორჩილეს (XVIII ს. შუა ხანებში), ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დადიანს აფხაზების წინააღმდეგ რუხის ბრძოლაში, ლეჩხუმლებთან ერთად, ქვემო სვანებიც ჰყავდა: „დადიანმა შეკრიბა სპანი თვისნი ოდიშ-ლეჩხუმისა და სვანეთისა და დაებანაკა რუხს კიდესა ზედა ეგურისასა"[2]. მართალია, დადიანთა ტიტულატურაში „სვანეთის მფლობელობა" ადრეც მოიხსენიება, მაგრამ ამას უფრო სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ XVIII ს. 70-იან წლებში ლენტეხის თემი მართლაც დადიანთა ხელში იყო, ამიერიდან ისინი მთელი ქვემო და ზემო სვანეთის ჩაგდებას ცდილობდნენ.

XVIII ს. 80-იან წლებში დადიანები კვლავ რეალურად ფლობდნენ ლეჩხუმს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ ლეჩხუმი იმერეთის სამეფო ტახტის მაძიებელთა (დავით გიორგისძისა და დავით არჩილისძის) მხარეზე კი არ იყო, არამედ დადიანი კაციას ხელში[3].

როგორც კი კაცია დადიანი გარდაიცვალა, ახლად გამეფებულმა დავითმა (გიორგისძემ) ლეჩხუმის ხელში ჩასაგდებად ოდიშის სამთავროს შეუტია, ყრმა გრიგოლ დადიანი ლეჩხუმში გაიქცა და მურის ციხეში გამაგრდა. რამდენიმე ხნის შემდეგ პოზიციამომაგრებული დადიანი დავით არჩილისძეს (სოლომონ მეფეს) დაუკავშირდა და ორივემ ერთად დავითი (გიორგისძე) იმერეთიდან გააძევეს.

ლეჩხუმს ყოველმხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა XVIII საუკუნეში. ამიტომ შემთხვევითი არ იყო იმერეთ-ოდიშის მესვეურთა შორის გააფთრებული დავა მის ხელში ჩასაგდებად. ლეჩხუმის საბოლოო მიმხრობა-ჩაგდების მიზნით არაფერს ერიდებოდა არც იმერეთის მეფე და არც დადიანი. ერთგულების მოპოვებისა და მტკიცე დასაკუთრების მიზნით დადიანი დიდ პრივილეგია-უფლებებს აძლევდა ლეჩხუმის მებატონეებს, ამის მაგალითია ქაიხოსრო გელოვანი. იგი დადიანმა ჯერ ლეჩხუმის მოურავად დანიშნა (XVIII ს. 80-იან წლებში), შემდეგ თავის მარჯვენა ხელად აქცია და დიდი უფლებამოსილებით შემოსა: „ჟამსა ამას

---

[1] ნ. დ ა დ ი ა ნ ი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 179.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 180.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 183.

დიდ-შემძლე კაცი ყმა დადიანისა გელოანი ქაიხოსრო, რომელი მოურაობდა ლეჩხუმს და მძლავრობდა ოდიშსაცა"[1].

ლეჩხუმის გამო იმერეთ-ოდიშის მესვეურთა ბრძოლა თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა. სოლომონ მეორემ მოახერხა გრიგოლ დადიანისათვის საკუთარი ძმა მანუჩარი და გელოვანი აემხედრებინა, მაგრამ დადიანი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, რადგან სამეგრელოსა და ლეჩხუმის თავად-აზნაურთა უმრავლესობა მის მხარეზე იყო. ამასთან მის ხელში რჩებოდა ჭაქვითის (ჭაქვინჯის) და მურის ციხესიმაგრეები, რომელთაც მედგრად იცავდნენ ერთგული მცველები პეტრე მხეიძისა და ხოსია გასვიანის მეთაურობით[2].

დადიანს განსაკუთრებით სჭირდებოდა გელოვანი, რომელსაც დიდ წყალობას ჰპირდებოდა. მეფისა და ძმის მხრივ შევიწროებული გრიგოლი ბოლოს ლეჩხუმში გადაბარგდა, სადაც ქაიხოსრო გელოვანმა და სრულიად ლეჩხუმმა „ბისცეს ფიცი დადიანსა ურთგულებისა და ციხენი ყოველნი, და დაიპყრა დადიანმა სრულიად ლეჩხუმი"[3]. ლეჩხუმის მეშვეობით გრიგოლმა მალე მთელი ოდიში დაიბრუნა, შემდეგ მეტოქე ძმას შეურიგდა, რომელსაც ლიპარტიანობა უბოძა.

პოზიციის განმტკიცებისთანავე გრიგოლ დადიანმა გაიხსენა გელოვანის ადრინდელი ორგულობა და მისი თავიდან მოცილება გადაწყვიტა. ამ მიზნით დადიანმა საიდუმლო მოლაპარაკება გამართა სოლომონ მეორესთან, რომელიც, აგრეთვე დიდად განაწყენებული იყო გელოვანის ორპირი მოქმედებით. ბოლოს დადიანმა მოახერხა გორდში მყოფი გელოვანის მოსპობა და მისი ყველა მომხრის თავიდან მოშორება[4].

მიუხედავად გელოვანის წინააღმდეგ დროებით მხარდაჭერისა, სოლომონი დღენიადაგ დადიანის დასუსტებასა და ლეჩხუმის დაბრუნებას მცდელობდა. ამ მიზნით მეფემ კვლავ საიდუმლო მოლაპარაკება დაიწყო მანუჩარ ლიპარტიანთან, რომელიც ისევ დადიანად გამოაცხადა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის მეფემ, საკუთარი ძალებით და დაქირავებულ ლეკთა რაზმებით შეუტია ოდიშს, ვერაფერი გააწყო.

ბოლოს სოლომონ მეფემ ისევ მანუჩარი, აგრეთვე თავადი ბააკა ჩიქოვანი გადაიბირა და 1802 წ. ლეჩხუმში გაილაშქრა, სადაც ჭყვიშის ციხესიმაგრეს შემოარტყა ალყა, მაგრამ გრიგოლ დადიანმა მურის ციხეში გაასწრო და იქ გამაგრდა.

გრიგოლ დადიანი ხედავდა, რომ ზოგიერთი შინაურიც ღალატობდა და მტერს ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ ხერხს მიმართა, სოლომონს შესთავაზა: ოღონდ მანუჩარს ნუ დაეხმარები და რასაც მთხოვ აგისრულებო-

---

[1] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 183.
[2] იქვე, გვ. 188.
[3] იქვე, გვ. 189.
[4] იქვე, გვ. 190.

მეფემ აღუთქვა: „უკეთუ მომცემ ციხესა ჭყვიშისასა და მომდგომსა მისსა, ბე დაუტევებ მანუჩარს ყოვლად შეუწევნელად"[1].

რაკი დადიანმა ჭყვიშის მიცემაზე თანხმობა მისცა, მეფემ მანუჩარს ზურგი შეაქცია და საომარი მოქმედება შეწყვიტა. მარტო დარჩენილი მანუჩარ დადიანი დეხვირიდან ბააკა ჩიქოვანთან გაიქცა ორბელში, სადაც მალე დარწმუნდა, რომ მეფე მხოლოდ თავის გამორჩენაზე ზრუნავდა და მათი სიკეთე არ სურდა.

მოკავშირეთა გარეშე დარჩენილმა მანუჩარმა და ბააკა ჩიქოვანმა დადიანს ცოდვების პატიება და შერიგება სთხოვეს, ამაზე თანხმობის მიღების შემდეგ დადიანს მთელი ლეჩხუმი შემოუმტკიცეს.

გამარჯვებულმა დადიანმა იმერეთის მეფეს ჭყვიშის ციხისა და მისი შემოგარენის დათმობაზეც უარი განუცხადა. რა თქმა უნდა, ამას მეფე ვერ შეურიგდა და ჭყვიშის ციხე სამხედრო ძალით ჩაიგდო. ამასთანავე სოლომონმა მთელი ლეჩხუმის დაპყრობაც განიზრახა, მან ისევ ლეკთა რაზმები დაიქირავა და ლაილაშში დაბანაკდა. მიუხედავად ლეჩხუმისა და სამეგრელოს რაზმების მედგარი წინააღმდეგობისა, იმერეთისა და ლეკთა რაზმებმა უსახელოც ჩაიგდეს. იმერეთის მეფემ გაიმარჯვა დეხვირთანაც, საიდანაც დადიანმა მურისაკენ დაიხია და იქ გამაგრდა. მაგრამ საბოლოოდ ვერც იქ გაძლო და იძულებული გახდა ლეჩხუმიდან სამეგრელოში გაქცეულიყო.

სოლომონ მეორე მთელ ლეჩხუმს დაეპატრონა, სადაც მოურავად ქაიხოსრო გელოვანის შვილი — ბერი დანიშნა, თვითონ კი იმერეთში დაბრუნდა.

მეფე-დადიანს შორის პირველობისა და ლეჩხუმისათვის ბრძოლა ამით როდი დამთავრდა. გრიგოლ დადიანი აფხაზთა მთავარ ქელაიშ-აჰმედ-ბეგს შეუთანხმდა, რომ ერთად გაელაშქრათ მეფის წინააღმდეგ, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ძალა არ ეყოფოდათ და დროებით თავი შეიკავეს. თავის მხრივ, სოლომონ მეფე მოსვენებას უკარგავდა სამეგრელოს, მაგრამ დადიანის საბოლოო განადგურებისათვის ძალა არც მას ჰყოფნიდა.

რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში გრიგოლ დადიანმა გადაწყვიტა, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო მესვეურთა მაგალითისამებრ რუსეთის იმპერატორისათვის ქვეშევრდომობა და მფარველობა ეთხოვა. საქართველოს მთავარმართებლის ციციანოვის შუამდგომლობითა და დახმარებით, 1803 წელს გრიგოლ დადიანმა იმპერატორ ალექსანდრეს ერთგულების და ქვეშევრდომობის ფიცი მისცა. რუსეთის მფარველობასა და ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ, გრიგოლ დადიანმა ალექსანდრე ნეველის ორდენი და ხელისუფლების ოფიციალური ნიშნები მიიღო.

ზურგგამაგრებულმა დადიანმა მალე მოურავი გელოვანი და ქვემო

---

1 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 190.

სვანეთის თავადებიც გადაიბირა და ლეჩხუმ-ქვემოსვანეთიც რუსეთის ქვეშევრდომობაში შეიყვანა, თუმცა ჭყვიშის ციხესიმაგრე ისევ იმერეთის მეფის ხელში რჩებოდა.

თავი მეხუთე

რაჭა-ლეჩხუმი XIX საუკუნის პირველ ნახევარში

1. დასავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან და იმერეთ-სამეგრელოს მმართველი წრე

XIX საუკუნის დასაწყისში მეფის თვითმპყრობელობამ დიდი წარმატებები მოიპოვა საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში. თავის მხრივ, საქართველოს სამეფო-სამთავროების მესვეურებმა ირან-თურქეთისაგან თავის დასაცავად და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად რუსეთის ძლიერი სახელმწიფოს მოკავშირე-მფარველად გამოყენება სცადეს. „რუსეთის სახელმწიფო, რომელიც საკუთარი ინტერესებიდან გამოდიოდა, ყურადღებით ხვდებოდა ამ ცდას"[1].

აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების შემდეგ დღის წესრიგში დადგა რუსეთთან დასავლეთ საქართველოს შეერთებაც. მართალია, ეს საქმე პოლიტიკურად უკვე მომზადებული იყო, მაგრამ საჭირო იყო მისი პრაქტიკული განხორციელება.

რაკი რაჭა-ლეჩხუმი იმერეთ-სამეგრელოს შემადგენლობაში შედიოდა, რუსეთთან მათი შეერთება იმერეთ-სამეგრელოსთან ერთად მოხდა.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება ერთბაშად არ მომხდარა, ამ მხრივ პირველი ნაბიჯი სამეგრელოს მფლობელმა დადიანმა გადადგა. მართალია, აღმოსავლეთთან ერთად, დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებაც ისტორიულად შემზადებული იყო, მაგრამ მის პრაქტიკულ განხორციელებას, ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა: ჯერ ერთი. საგარეო ფაქტორი (თურქეთისა და სხვა მაჰმადიანური სახელმწიფოების აშკარა წინააღმდეგობა), მეორე, დასავლეთ საქართველოს მმართველ წრეებს შორის პირველობისა და ძველებური ბატონობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა.

საქმე იმაშია, რომ სოლომონ მეორე თავს მთელ დასავლეთ საქართველოს მეფედ თვლიდა, ამდენად რაჭა-ლეჩხუმის რუსეთთან შეერთებას თავის ნება-სურვილის საქმედ მიიჩნევდა. მაგრამ დასავლეთ საქართველო ახლა ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს როდი წარმოადგენ-

---

1 [illegible] Махарадзе Н. Б., Восстание в Имеретии 1819—20 гг., ენიმეის „მოამბე", ტ. XIII, 1943, გვ. 289.

და, ის დიდი ხანია რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად იყოფოდა, ამიტომ თითოეული სამფლობელოს მმართველი წრე რუსეთის იმპერიის მესვეურებთან დამოუკიდებელ მოლაპარაკებას აწარმოებდა, მითუფრო სამეგრელოს მთავარი, რომელიც იმერეთის მეფეს უკვე არაფერში არ ემორჩილებოდა.

სამეგრელოს (ოდიშის) მთავრებმა რუსეთის იმპერიის ხელისუფალთან დიდი ხნის წინ დაწყებული კავშირ-ურთიერთობა XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში კიდევ უფრო განამტკიცეს. აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ მეფის რუსეთის მფარველობასა და ქვეშევრდომობაში ყველაზე ადრე სამეგრელოს სამთავრო შევიდა.

როდესაც თვითმპყრობელობა დარწმუნდა, რომ მას ვერავინ დააბრკოლებდა, გადაწყვიტა სამეგრელოს შესაერთებლად უშუალო და პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა.

სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანთან უშუალო მოლაპარაკების წარმოება საქართველოს მთავარმართებელ თავად ციციანოვს (ციციშვილს) დაევალა. ცარიზმის ინტერესების ამ დამცველმა კარგად დაინახა, რომ დასავლეთ საქართველოს შეერთება იმერეთ-სამეგრელოს მესვეურებთან ცალ-ცალკე მოლაპარაკებით უნდა გადაჭრილიყო. მითუფრო, რომ დადიანი (თავის მეტოქესთან შედარებით) ნაკლებ პრეტენზიებს აყენებდა, ამასთან, საქართველოს მთავარმართებელს ემლიქვნელებოდა და მაღალი ეპითეტით ამკობდა (ბრძენს, მამასა და მასწავლებელს უწოდებდა).

ცხადია, რეალური ვითარების შეფასებამ სამეგრელოს მმართველი დაარწმუნა, რომ იმერეთის მეფის პრეტენზიისა და თურქ-ოსმალთა აგრესიისაგან მას და მის სამფლობელოს მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა იხსნიდა.

მართალია, თვითმპყრობელობა მთელ დასავლეთ საქართველოს ერთდროულ შეერთებას ესწრაფოდა, მაგრამ იძულებული გახდა ეს შედარებით იოლი საქმის მოგვარებით — სამეგრელოს შეერთებით დაეწყო, მითუფრო, რომ სამეგრელო პირდაპირ შავ ზღვას ებჯინებოდა. ამასთან, თვითმპყრობელობას აწყობდა საქმე პატარა მფლობელთან ჰქონოდა, ვიდრე პრეტენზიების მქონე დიდ მეფესთან. ჩანს, თავის დროზე ამან განსაზღვრა თვითმპყრობელობის მიერ დადიანზე ორიენტაციის აღება, რაც თავისთავად მოასწავებდა იმერეთის მეფის და დასავლეთ საქართველოს სხვა მფლობელთა პოზიციის დასუსტებას.

როდესაც დასავლეთ საქართველოს მიმართ თვითმპყრობელობის პოლიტიკას ვეხებით, უნდა გვახსოვდეს, რომ სამეგრელოს თავდაპირველი შეერთება მარტო დადიანთა ერთგულებამ არ განაპირობა (უეჭველია, ამასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა), საქმე იმაშია, რომ ყველაზე პირდაპირ ეს შეესაბამებოდა შავი ზღვის პრობლემას. ამასთან, ცარიზმმა აღმოსავლეთ საქართველოს მეფობა უკვე გააუქმა და, ბუნებრივია. ვერც დასავლეთ საქართველოში აიტანდა რომელიმე მეფის არსებობას, რაც თა-

ვისთავად არც იმერეთის მეფისთვის არ უნდა ყოფილიყო საეჭვო. ამიტომ იყო, რომ მან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას. ყოველივე ამან იმერეთის უშუალო შეერთება რუსეთთან დააბრკოლა.

ოდიშის მთავართა ერთგულება თვითმპყრობელობისადმი თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით როდი იყო ნაკარნახევი. დადიანებს უპირველეს ყოვლისა, თავისი საკუთარი ბატონობის და კეთილდღეობის შენარჩუნება ამოძრავებდა, რაკი მათ ბატონობას იმერეთის მეფის თუ სხვა მეზობელ მაჰმადიანთა მხრივ მეტი საფრთხე დაემუქრა, ისინი თვითმპყრობელობას მიეტმასნენ. ამით სცადეს თავიანთი ბატონობა გაეგრძელებინათ და გაეხანგრძლივებინათ. გრ. დადიანი 1802 წ. დეკემბერში მეფის სპეციალურ რწმუნებულს ა. სოკოლოვს სწერდა: სურვილი მაქვს რუსეთის მოწყალე მეფის მფარველობაში შევიდე, რათა მეფე სოლომონისაგან ვიხსნა თავი. თუ ჩემი ეს სურვილი არ დაკმაყოფილდა, იძულებული ვიქნები ოტომაიანთა პორტას ქვეშევრდომობაში შევიდეო[1].

გულუბრყვილობა იქნებოდა იმისი მტკიცება, რომ მეფის თვითმპყრობელობა საქართველოსაკენ ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად მოეშურებოდა (მიუხედავად იმისა, თუ რუსეთთან შეერთებამ საქართველოს ობიექტურად რა შედეგი მოუტანა). მეფის თვითმპყრობელობას მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა.

საქართველოს მთავარმართებელი ციციანოვი 1803 წ. პირველ მარტს ალექსანდრე იმპერატორს მოახსენებდა, რომ დადიანი სოლომონ მეფისაგან შევიწროებული და თავის საზღვრებიდან განდევნილი იყო. თუკი იმპერატორი ინებებს, სამეგრელოს მფლობელი რუსეთის ქვეშევრდომი გახდება და ფოთს რუსეთის ჯარი დაეუფლებაო[2].

რასაკვირველია, ცარიზმი დიდი გულისწადილით ეკიდებოდა შავი ზღვის პრობლემის მოგვარებას, ბუნებრივია, დიდად აინტერესებდა მისი ერთ-ერთი ფორპოსტის — სამეგრელოს ზღვის სანაპიროს ჩაგდება.

საქმის აწონ-დაწონისა და სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე 1803 წ. 26 ივნისს ციციანოვი გრ. დადიანს სწერდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლასთან დაკავშირებით მალე შეედგინა და წარედგინა „სათხოვარი პუნქტები". ამ პუნქტებში ლაპარაკი უნდა ყოფილიყო ერთგულებისა და ქვეშევრდომობის მიღებაზე, რუსეთის სამხედრო ნაწილის დაბანაკებაზე სამეგრელოში და მისი შენახვის პირობებზე, სამეგრელოს შინა მმართველობის შენარჩუნებაზე და სისხლის სამართლის საქმეების რუსული კანონებით წარმოებაზე.

ციციანოვის მითითება ეხებოდა აგრეთვე, გრ. დადიანის მიერ ნდო-

---

[1] АКАК, т. II с. 453; დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია.., თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 35; ზ. ე დ ი ლ ი, უკანასკნელი დღენი იმერეთის სამეფოსი. გაზ., „დროება", 1910, № 67.

[2] АКАК, т. II, с. 456.

ბით აღჭურვილი პირის გაგზავნას თბილისში. სადაც. საბოლოო სახით უნდა ჩამოეყალიბებინა „სათხოვარი პუნქტები".

როდესაც საკითხი უკვე მომწიფდა, ციციანოვმა 1803 წ. ოქტომბერში წერილი მისწერა გრაფ ვორონცოვს, თუ საბოლოოდ როგორ გაეფორმებინათ სამეგრელოს შესვლა რუსეთის ქვეშევრდომობაში. ციციანოვის აზრით, სამეგრელოს შეერთების ნიშნად. საჭირო იყო რუსეთში გრ. დადიანის მემკვიდრის გაგზავნა სწავლა-განათლების მისაღებად (და არა აზიური წესით მძევლის მიღება).

როგორც აღვნიშნეთ, ცარიზმი იმერეთის შეერთებასაც ესწრაფოდა, მაგრამ იმერეთის მეფე თავს იკავებდა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე. ასეთ მიზეზად ის ასახელებდა დადიანისა და გურიელის მისადმი დაქვემდებარების არ ცნობას და, რაც მთავარია, მისადმი ლეჩხუმის მიუკუთვნელობას. თუმცა, როგორც ჩანს, სოლომონის თავშეკავებას, პირველ რიგში მეფობის მოსპობის შიში განაპირობებდა.

ბუნებრივია, სოლომონს შეგნებული ჰქონდა, რომ მას მთელ დასავლეთ საქართველოს მეფედ აღიარება და ლეჩხუმის მიცემაც ვერ იხსნიდა. რუსეთის მფარველობისა და ქვეშევრდომობის მიღებით, ბოლოს მისი მეფობა აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად გაუქმდებოდა. ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლაზე უარი ეთქვა.

წინასწარი შეთანხმების შემდეგ, მეფის მთავრობის სპეციალური რწმუნებული პოლკოვნიკი მაინოვი ჭალადიდში ეწვია გრ. დადიანს, რომელსაც ხელი მოაწერინა წინასწარ შეთანხმებულ „სათხოვარ პუნქტებზე". ამასთანავე, იმპერატორის სახელით დადიანს გადასცა ხელისუფლების სათანადო ნიშნები, გენერალ-მაიორის წოდების საბუთი და ჯილდო — ალექსანდრე ნეველის ორდენი[1].

დადიანმა და მისმა წრემ 1803 წ. 2 დეკემბერს ფიცი დადეს იმპერატორის ერთგულებასა და ქვეშევრდომობაზე, თუმცა სამთავროს ზოგიერთმა თავად-აზნაურმა ფიცის ცერემონიალში მონაწილეობა ვერ მიიღო[2].

მართალია, გრ. დადიანის „სათხოვარ პუნქტებში" ლეჩხუმის კუთვნილების თაობაზე პირდაპირ და მკაფიოდ არაფერი იყო ნათქვამი, მაგრამ მე-7 პარაგრაფში ეწერა: „ინებეთ ჩემთვის რათა მაქვნდეს ნაწილი რაოდენიმე ჩემთა სამთავროთა შორის, უკეთუ მადანი რაიმე იპოოს, ვინაიდგან ხილულ არს ადგილ-ადგილ ლეჩხუმთა და სვანთა შორის ნიშნები ოქროსა და ვერცხლისა და ტყვიისა. ხოლო ტყვიისა არა ნიშანი მხოლოდ, არამედ სრულად იპოვების და ესე იმოქმედოს სახელმწიფოდ, გარნა ნურცა მე დავშთები უნაწილოდ, ვინადგან სიყრმით ჩემითგან აღვისურვე უავღუსტესისა ჭელმწიფისა მონება"[3].

იმპერატორის მიერ გ. დადიანისადმი მიცემულ სიგელში ნათქვამი

---

[1] АКАК, т. II, с. 464, 465.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 461.

იყო, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა „სამეგრელო და მისდამი დაქვემდებარებული ოლქი"[1].

საქართველოს მთავარმართებელმა 1804 წ. 20 იანვარს იმპერიის კანცლერს ვორონცოვს გაუგზავნა დადიანის „სათხოვარი პუნქტები" და წერილი, რომელშიაც შეატყობინა, რომ 19 იანვარს მან სამეგრელოსაკენ გააცილა გრენადერთა პოლკი, გენერალ ტუჩკოვის მეთაურობით, თუმცა მთავარმართებელი შიშს გამოთქვამდა, რომ დადიანებისადმი მხარდაჭერით გაგულისებული იმერეთის მეფე წინააღმდეგობას გაწევდა[2].

მეზობელ მაჰმადიანთა აგრესიით შეწუხებულმა იმერეთის მეფეებმა, მათ შორის სოლომონ მეორემ კარგად იცოდა, რომ რუსეთს შეეძლო საქართველოს დაცვა. ამიტომ მეფედ დაჯდომისთანავე მან ბესარიონ გაბაშვილი მოამზადა ეკატერინე მეორესთან მოსალაპარაკებლად (რაც გაბაშვილის გარდაცვალების გამო არ შედგა). მაგრამ სოლომონის აზრით, ამ მოლაპარაკების უპირველესი მიზანი უნდა ყოფილიყო იმერეთის მმართველი დინასტიის უშიშარი ბატონობისა და მთელი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფა.

იმერეთის სამეფო კარი შემდგომშიაც ცდილობდა რუსეთთან დაკავშირებას, მაგრამ ინტერესთა სხვადასხვაობისა და საერთაშორისო რთული ვითარების გამო XIX საუკუნის დასაწყისამდე ამას რეალური შედეგი არ მოჰყვა[3].

1801 წ. იანვარში იმერეთის მეფემ კვლავ მოსინჯა ნიადაგი რუსეთთან თავის სასარგებლო კავშირის გაფორმებაზე, მაგრამ იმპერატორმა ალექსანდრემ სოლომონს შეუთვალა, რომ ყიუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით საქართველო თურქეთის გავლენის სფეროში შედიოდა, თითქოს ეს გარემოება მას უფლებას არ აძლევდა საქართველოს სამეფოს მესვეურებთან რაიმე კავშირი გაეფორმებინა[4].

აღმოსავლეთ საქართველოში მყარი პოზიციის მოპოვების შემდეგ მეფის თვითმპყრობელობა უკვე ნაკლებად ერიდებოდა თურქეთ-ირანის განაწყენებას, პირიქით, იგი საბაბს ეძებდა საქართველოს და, საერთოდ მთელი შავი ზღვის ხელში ჩაგდებისათვის. ასეთ საბაბად მან იმერეთის ყოფილი მეფის — დავითის ქვრივი ანა დედოფალი გამოიყენა, კერძოდ, ცარიზმი სოლომონ მეორეს აძალებდა მუხურის ციხეში გამომწყვდეული კონსტანტინე ბატონიშვილი გაენთავისუფლებინა[5]. თუმცა ამ საქმეზე ა. სოკოლოვის მისიამ ვერაფერი გააწყო[6].

სოლომონის მოქმედებით განაწყენებულმა ა. სოკოლოვმა 1802 წ. აგვისტოში გენერალ ლაზარევს მისწერა: იმერეთში ვიმყოფებოდი რა

---

[1] АКАК, т. II, с. 468.

[2] იქვე, გვ. 465.

[3] Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1903 г., СПБ., ч. II, с. 285.

[4] АКАК, т. I, с. 559.

[5] დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია.., გვ. 81; Соколов А. Е. Путешествие в Имеретию... и обратное оттуда путешествие в Грузию, М., 1874, с. 158.

[6] დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია.., გვ. 22.

ერთი თვის მანძილზე, მაღალი დავალების შესასრულებლად. იძულებული გავხდი უკან დავბრუნებულიყავი. ჩანს, კონსტანტინეს განთავისუფლების გარდა ა. სოკოლოვს იმერეთის მმართველი წრის საერთო განწყობილების დაზვერვაც ევალებოდა, მაგრამ ამ მხრივ მან დიდი სანუგეშო ვერაფერი ნახა: «Царь Соломон, не склоняясь на требование Е. И. В. по предмету миссии моей, хотя с сожалением и представлял мне убедительнейшия по его мнению на то препятствия, однако же главнейшая упорству тому причина та, что е. в. имеет величайшее участие в замыслах Багратионов освободить Грузию из подданства России и, возобновив царство, возвесть на престол онаго царевича Юлона»[1].

ა. სოკოლოვის რწმუნებით, შეთქმულებაში მონაწილეობდნენ მეფე ერეკლეს ქვრივი, უფლისწულები — ვახტანგი და ალექსანდრე, აგრეთვე სხვა ბაგრატიონები, რომლებიც იმერეთში იმყოფებოდნენ. ა. სოკოლოვის აზრით, იმერეთის მეფე რუსეთის წინააღმდეგ კავშირს კრავდა მეზობელ აზიელ მფლობელებთან, რომლებიც თითქოს იარაღით ემზადებოდნენ საქართველოში მყოფი რუსი რაზმებისადმი თავდასასხმელად და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტის აღსადგენად. სოკოლოვის მტკიცებით, ამ საქმის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორები ახალციხის ფაშა და დაღესტნის მმართველები იყვნენ.

ა. სოკოლოვი რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებაში განსაკუთრებით სოლომონ ლიონიძეს (ლეონიძეს) ადანაშაულებდა. თითქოს იგი არა მარტო ბაგრატიონებს აერთიანებდა, არამედ კახეთისა და ქიზიყის თავადაზნაურებსაც.

ბოლოს ა. სოკოლოვი ლაზარევს აცნობებდა, რომ მისი იმერეთში ყოფნის დროს სოლომონმა ჯარი (სამი ათასამდე ცხენოსანი და ფეხოსანი, ერთი ქვემეხით) წაიყვანა ლეჩხუმში გრ. დადიანის წინააღმდეგ[2].

იმერეთის მეფე, ცხადია უკმაყოფილო იყო აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის გაუქმებით, მას ეშინოდა, რომ მეფის მოხელეები ბატონიშვილ კონსტანტინეს მის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ, ამიტომ, ბუნებრივია, კონსტანტინეს განთავისუფლებაზე თავს იკავებდა და თანამოძმე ბაგრატიონებთან ერთად თავის მეფობის განმტკიცებაზე, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის აღდგენაზე ზრუნავდა.

ბუნებრივია, სოლომონის მოქმედება ადვილად შენიშნეს მეფის გამოცდილმა მოხელეებმა და დიპლომატებმა, მათ ხელთ ჩაიგდეს სოლომონის ზოგიერთი საიდუმლო წერილი მეზობელ მაჰმადიან მფლობელებისადმი.

გენერალმა ლაზარევმა, რომელიც იმერეთის ვითარებაზე უკვე საკმაოდ ინფორმირებული იყო, 1802 წ. 15 აგვისტოს წერილით მიმართა სოლომონს, რომელსაც ბრალს დებდა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედება-

---

[1] АКАК, т. I, с. 572.
[2] იქვე, გვ. 573.

ზე. გენერალი დაჟინებით მოითხოვდა სოლომონს განემარტა, თუ რატომ და რა მიზნით კრებდა იგი სამხედრო რაზმებს[1].

ჩანს, თვითონ მეფეც კარგად გრძნობდა, რომ რუსეთის მთავრობა მის სამეფოს უმიზნებდა, ბუნებრივია, იგი ძალასა და ენერგიას არ იშურებდა როგორმე დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებასაც ერიდებოდა, მითუფრო, რომ სახარბიელო მდგომარეობა არც სამეფოს შიგნით და არც მეზობელ მაჰმადიან მფლობელებთან ჰქონდა.

მეზობელ მაჰმადიანებთან ურთიერთობას სოლომონი მაინც ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირს არჩევდა. ამას მოწმობს მისი წერილი გენერალ კნორინგისადმი, რომელსაც აცნობებდა, რომ სპარსეთის შაჰი ბაბა-ხანი (ფათალი-ხანი) მას რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდა. სოლომონი მზად იყო რუსეთთან მეგობრული კავშირი ჰქონოდა, მაგრამ იმასაც აგრძნობინებდა, რომ თუკი საქმე მოითხოვდა, მას შეეძლო მაჰმადიანი მოკავშირეები ჰყოლოდა.

რა თქმა უნდა, იმერეთის მეფის მოქმედება მეფის თვითმპყრობელობის ფარგლებში თვალს არ ეპარებოდა. იგი ყველაფერს იგებდა, რასაც მეფე ფიქრობდა და რაც იმერეთში და მის ირგვლივ ხდებოდა.

ცარიზმის სპეციალური რწმუნებულის, პოდპორუჩიკ სიმონოვიჩის 1802 წ. აგვისტოს რაპორტში გენერალ ტუჩკოვისადმი ვკითხულობთ: კუდაროს ოსების მეოხებით შევიტყვე, რომ რაჭაში თავი მოიყარეს იმერეთისა და რაჭის შეიარაღებულმა რაზმებმა, რომლებიც რუსებზე თავდასასხმელად ემზადებიანო[2].

ჩანს, ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, იგი სიმონოვიჩის სიფრთხილით ან შიშით იყო ნაკარნახევი, რადგან უცხო მხარესა და გარემოში მყოფ რუს მოხელეებს თვითდამშვიდების უფლება არ ჰქონდათ. სიფრთხილის მიზნით სიმონოვიჩმა დაუყოვნებლივ მიმართა კუდაროს ოსებს, რათა ისინი არავითარ შემთხვევაში იმერეთის მეფეს არ აჰყოლოდნენ, რადგან თითქოს იმერლები მათი მტრები იყვნენ. სიმონოვიჩი ოსებს ურჩევდა, რომ რუსების მხარეზე ყოფილიყვნენ და საჭიროების შემთხვევაში რაჭის გადასასვლელები ჩაეკეტათ[3].

თვითმპყრობელობა სოლომონისადმი დადიანის წინააღმდეგ მოქმედების გამოც იყო განაწყენებული. მეზობელ მაჰმადიანებთან ურთიერთობა და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დინასტიის წარმომადგენლებთან კავშირი სოლომონს რუსეთის უბოროტესი მტრების სიაში აქცევდა. თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მოქმედების გამო იმერეთის მეფეს განმარტებას განმარტებაზე თხოვდნენ.

ისედაც პოზიციებდასუსტებული სოლომონი ყოველნაირად გაურბოდა ცარიზმის მოხელეებთან კონფლიქტს და უმტკიცებდა, რომ მას რუ-

---

[1] АКАК. т. I, с. 571.
[2] იქვე.
[3] იქვე.

სეთის იმპერიის წინააღმდეგ არავითარი მტრული განზრახვა არ ჰქონდა. იგი 1802 წ. 25 აგვისტოს ლაზარევს განუმარტავდა, რომ მან წინაპართაგან მემკვიდრეობად მიიღო ტახტი და სამფლობელო, აგრეთვე უფლება ჯარის შეყრა-განტევების. რაც შეეხებოდა რაზმების თავშეყრას, სოლომონის მტკიცებით, ეს გრიგოლ დადიანის ურჩი მოქმედების შედეგი იყო. დადიანისა, რომელიც „მდაბალთა ჩიქუანთაგან გაკეთილშობილდა და მთავრად დაიდგინა სამეფოთა ჩუენთა ოდიშ-ლეჩხუმთა შინა". სოლომონი აღნიშნავდა, რომ დადიანმა მრავალგზის ინება მის წინააღმდეგ ეამოსვლა, რომ „იმერეთის მეფემ სჯულიერთა მოყვრობითა და ქრისტიანებრითა კაცთმოყვარეობითა მრავალგზის აპატია შეცდომა". თუმცა დადიანმა არაერთხელ დაიფიცა ჩვენდამი ერთგულებაზე, მაგრამ მაინც არაერთხელ გატეხა ფიცი და ჩვენს წინააღმდეგ გაილაშქრაო[1].

სოლომონი პირდაპირ განმარტავდა, რომ მის მიერ ჯარის შეყრა მხოლოდ დადიანის მტრულმა მოქმედებამ გამოიწვია, რის გამოც მისმა რაზმმა ლეჩხუმის შვიდი ციხე (თავისი სოფლებით) დაიკავა და მურის ციხეში მყოფ დადიანს შეუტია. სოლომონი გადაჭრით ირწმუნებოდა, რომ თვითონ არავითარ შემთხვევაში პირველი არ დაიწყებდა ცარიზმის წინააღმდეგ მოქმედებას[2].

სოლომონმა ასეთივე განმარტება მისცა გენერალ კნორინგსაც, რომელსაც აუწყა, რომ რაზმების შეყრა მხოლოდ და მხოლოდ გრ. დადიანის ურჩობამ და ლეჩხუმის მიტაცებამ გამოიწვიაო[3].

დადიანის წინააღმდეგ სოლომონის მოქმედებამ დიდად შეაშფოთა მეფის მოხელეები. 1802 წ. 10 სექტემბერს „სოვეტნიკი" კოვალენსკი კნორინგს აცნობებდა, რომ იმერეთის მეფემ ჯარით გადალახა სამეგრელოს საზღვარი და ლეჩხუმის დიდი ნაწილი დაიკავა. რომ, არსებული რვა ათასი მებრძოლის გარდა, სოლომონი კიდევ კრებდა ჯარს, ამასთან, თითქოს ის ახალციხის ფაშასა და ლეკებსაც თხოვდა მებრძოლების მიშველიებას ათასი კაცის ოდენობით. კოვალენსკი კნორინგს იმასაც ატყობინებდა, რომ დადიანი მათი რჩევით შეურიგდა თავის დედასა და ძმას — მანუჩარს[4].

მეფის მოხელეთა პროტესტის მიუხედავად სოლომონ მეფე მედგრად უტევდა დადიანს, რომელიც მის წინააღმდეგ ცარიზმის მთავარი დასაყრდენი იყო. მეფის მოხელეებმა იცოდნენ, თუკი სოლომონი დადიანს დაამარცხებდა, ეს მათი პოლიტიკის მარცხიც იქნებოდა. ამით იყო ნაკარნახევი გენერალ ტუჩკოვის მიერ 1802 წ. 16 სექტემბერს ლაზარევისადმი გაგზავნილი — გაზვიადებული რაპორტიც, რომელშიც შეწუხებული ატყობინებდა, რომ იმერეთის მეფემ დაიპყრო და ააწიოკა ლეჩხუმის ნაწილი, რომ ლაილაშის ციხეში დაბანაკებული სოლომონი შეპყრობით

[1] АКАК, т. I, с. 571.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 574.
[4] იქვე, გვ. 575.

ემუქრებოდა მურის ციხეში მყოფ დადიანს. ამასთან ტუჩკოვი ატყობინებდა, რომ სოლომონს მალე ლეკთა ათასკაციანი რაზმიც მიეშველებოდა, მაგრამ იმედს გამოთქვამდა, რომ ძნელად ასაღებ მურის ციხეში გამაგრებული დადიანი თავს დაიცავდა, მითუფრო, რომ საჭირო შემთხვევაში მას აფხაზთა მთავარი ქელეშ-ბეგიც დაეხმარებოდა. აქვე ტუჩკოვი ატყობინებდა, რომ ლეჩხუმის ერთ-ერთი უძლიერესი თავადი გელოვანი, რომელიც უწინ დადიანის ქვეშევრდომი იყო, ახლა სოლომონთან ერთად იყო და მას ემხრობოდა[1].

ტუჩკოვი არც აღმოსავლეთ საქართველოს ბაგრატიონთა წარმომადგენლების მტრულ მოქმედებას ივიწყებდა და ლაზარევს ატყობინებდა, რომ იულონ და ფარნაოზ უფლისწულები ქუთაისში იმყოფებოდნენ და კავშირი ჰქონდათ ალექსანდრე უფლისწულთან, რომელიც, თითქოს, 12 ათასი მაჰმადიანი მებრძოლის გამოყვანას აპირებდა აჯანყებული კახელების დასახმარებლად. ტუჩკოვის აზრით, თითქოს სოლომონიც ემზადებოდა ჯარის გამოსაყვანად ბაგრატიონი უფლისწულების დასახმარებლად და რუსების წინააღმდეგ ოსებსაც ამზადებდა[2].

რამდენადაც მეფის მთავრობა დადიანის ინტერესებს იცავდა, იმდენად უფრო ბოროტდებოდა სოლომონი და უფრო გააფთრებით ებრძოდა სამეგრელოს მფლობელს. მეფესა და დადიანს შორის მტრობის ერთი მთავარი მიზეზი იყო ლეჩხუმი, რომლისათვის ბრძოლას ეწირებოდა მრავალი თანამოძმე. ამ ბრძოლაში, იმერეთისა და სამეგრელო-ლეჩხუმის მოსახლეობასთან ერთად, ხშირად ახალციხისა და აფხაზეთის, რაჭისა და გურიის მოსახლეობაც, აგრეთვე ლეკებიც ებმებოდნენ, რაც ხშირად მოლაშქრეებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი აწიოკებით მთავრდებოდა.

როგორც ჩანს, ლეჩხუმისათვის დავისას (1802 წ. ნოემბერში) დადიანს აფხაზეთის მთავარმა ქელეშ-ბეგმა მიაშველა 20 ათასი მებრძოლი, მაგრამ აფხაზები უშუალო ბრძოლაში არ ჩაებნენ და უკან დაბრუნდნენ[3]. ერთი ცნობის თანახმად, უმწეო მდგომარეობაში დარჩენილმა გრ. დადიანმა იმერეთის მეფეს პატიება სთხოვა და ერთგულების ფიციც მისცა[4]. როგორც ჩანს, იმერეთის მეფემ, თავის მხრივ, დადიანად გრიგოლის ძმა ოტია გამოაცხადა. ამას მოწმობს სოლომონის 1803 წ. იანვრის წერილი კოვალენსკისადმი, რომელსაც სწერდა, თითქოს გრ. დადიანი მისი ხელდებული იყო, მაგრამ მას გადაუდგა და მაჰმადიანთა ჯარით ბრძოლა დაუწყო, თითქოს ამის გამო გადააყენა იგი დადიანობიდან და ამიტომ დაიბრუნა ლეჩხუმი. აქედან გამომდინარე, სოლომონი თავს იმართლებდა და იმედს

---

[1] АКАК, т. I, с. 575.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 577-578.
[4] იქვე, გვ. 578.

გამოთქვამდა, რომ ამ მოქმედებისათვის იმპერატორი მას არ დაადანაშაულებდა[1].

იმერეთის მეფის წარმატება დადიანის წინააღმდეგ, რასაკვირველია, თვითმპყრობელობას მოსვენებას უკარგავდა. მისი მოხელეები საგულდაგულოდ ზვერავდნენ დასავლეთ საქართველოს და ყველა შესაძლო ზომას ხმარობდნენ თავიანთი პოზიციის გასაძლიერებლად.

ლეჩხუმის გამო მეფე-მთავარს შორის გაჩაღებულ ბრძოლაზე საქართველოს მთავარმართებელი, თავადი ციციანოვი იმპერატორ ალექსანდრეს მოახსენებდა, რომ ყოველივე სოლომონის მიზეზით ხდებოდა, რომ იგი უმიზეზოდ ავიწროებდა ალალმართალ დადიანს[2].

საკმაოდ შორსმჭვრეტელი, სიტუაციის კარგი შემფასებელი და კარგი დიპლომატი სოლომონი იძულებული იყო ზოგიერთ დათმობაზეც წასულიყო, მან პატიმრობიდან გაანთავისუფლა კონსტანტინე დავითის ძე და თავის მემკვიდრედ გამოაცხადა[3].

შეუძლებელია ყოველივე კონსტანტინეს განთავისუფლებას მივაწეროთ, მაგრამ ამიერიდან თვითმპყრობელობამ სოლომონთან დამოკიდებულებაში უფრო რბილ ტაქტს მიმართა. ამას მოწმობს 1803 წ. აგვისტოში იმპერატორ ალექსანდრეს მიერ სოლომონის ალექსანდრე ნეველის ორდენით და სიგელით დაჯილდოება. სიგელში ნათქვამი იყო: „...ჩვენი სურვილია მიგიღოთ თქვენ ჩვენს წმინდა თავად ალექსანდრე ნეველის ორდენის მქონეთა რიგებში, რისთვისაც გიგზავნით გულზე სატარებლად ბრილიანტებით მორთულ ნიშნებს“[4].

ურთიერთობის ასეთმა ცვლილებამ იმერეთის მეფეს იმპერატორის მოწყალების ერთგვარი იმედი აღუძრა და გადაწყვიტა ხელსაყრელ პირობებში მიეღო რუსეთის მფარველობა, რაც მითუფრო საჭიროდ მიიჩნია, რამდენადაც მან დამოუკიდებლად ვერავინ დაიმორჩილა.

იმერეთის სამეფო დარბაზი 1803 წ. აგვისტოში იმპერატორთან მოსალაპარაკებლად აგზავნის სოლომონ ლეონიძეს, რომელმაც პეტერბურგში წაიღო წინასწარ შემუშავებული ტრაქტატის პროექტი. მასში ჩამოყალიბებული იყო, თუ რა პირობებში უნდა შესულიყო იმერეთი რუსეთის მფარველობა-ქვეშევრდომობაში.

სოლომონის მიერ წამოყენებული პირობის საფუძველზე, იმპერატორი იმერეთის სამეფოს მიიღებდა თავის მფარველობაში, რაც იმპერატორს ყველა სახელმწიფოსათვის უნდა ეცნობებინა; იმერეთის მეფის წარგზავნილები უშუალოდ იმპერატორს უნდა მიეღო; ქვეშევრდომობაში შესულ იმერეთის მეფეს უნდა მიეღო სიგელი, რომლის საფუძველზე (თუკი ეს საჭირო იქნებოდა) საქართველოს მთავარმართებელს იმერეთში 1000 კაცისაგან შემდგარი ჯარი უნდა გაეგზავნა; ამასთან, სოლომონის მემკვიდ-

---

[1] АКАК, т. II, с. 340—341.
[2] იქვე, გვ. 340.
[3] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 66.
[4] АКАК, т. II, с. 352.

რეებს უფლება უნდა ჰქონოდათ სამეფო ტახტის მემკვიდრეობით (წესი-სამებრ) მართვისა.

ქვემოთ ჩამოთვლილი იყო იმერეთის მეფის ვალდებულება რუსეთის იმპერატორისადმი, აგრეთვე მხარეთა პირობები, რაც სარგებლიანობას მოუტანდა ორივე მხარეს.

მოცემულ პროექტში პირდაპირ არაფერი იყო ნათქვამი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების ურთიერთობა-დამოკიდებულებაზე, მაგრამ წარდგენილი ტექსტიდან ჩანდა, რომ სოლომონი დასავლეთ საქართველოს მეფედ აღიარებას მოითხოვდა, რაც თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველოს ყველა მფლობელი მის ქვემდგომად ჩათვლილიყო[1].

თვითმპყრობელობა დიდი ხნის წინ იყო ინფორმირებული დასავლეთ საქართველოს მესვეურ-მფლობელთა მოქმედებასა და სურვილზე, იმაზეც, რომ დადიანი ჩქარობდა რუსეთის ქვეშევრდომობის ოფიციალურ მიღება-გაფორმებას. ამიტომ, რასაკვირველია, ცარიზმი არ დათანხმდა იმერეთის სამეფო კარის მიერ წამოყენებულ პირობებზე, მითუფრო სოლომონის პრეტენზიას მთელი დასავლეთ საქართველოს მეფედ ცნობაზე, ამას ემატებოდა გრ. დადიანის ინტრიგა და ციციანოვის მიერ სოლომონის არაერთგზის დასმენა ანტიცარისტულ მოქმედებაზე. ყოველივე ამან განაპირობა იმპერატორის კარზე იმერეთის ელჩის ს. ლეონიძის ცივად მიღება და მისი უშედეგოდ დაბრუნება[2].

იმერეთის ელჩის პეტერბურგში ყოფნის დროს, იმპერიის ვიცე-კანცლერმა, გრაფმა ვორონცოვმა ციციანოვს მისწერა, რომ იმერეთის მფლობელის ვერაგობის მშვიდობიანი გზით გასწორება შეუძლებელი იყო და ავალებდა, რომ ის აზიურად კარგად შეეშინებინა და უვნებელი გაეხადა. რაც შეეხებოდა ლეონიძის მისიას, ამაზე ვორონცოვი წერდა, რომ იგი უფლებამოსილი იყო იმერეთის საკითხი თვითონ დაემთავრებინა და გადაეჭრა, ამიტომ მას თქვენთან ვაგზავნითო[3].

იმპერიის ხელისუფლებამ საქართველოს მთავარმართებელს მიუთითა: «Здесь не только не колеблются в принятом намерении занять войсками Российскими Имеретию, но напротив того ожидают... Возможно будет, Ваше сиятельство, без дального отлагательства приступить к занятию Имеретии»[4].

მართალია, პ. ციციანოვმა იმერეთის საკითხი ვერ გადაჭრა, მაგრამ სამეგრელოს საქმე ბოლომდე მიიყვანა, თურქეთმა კი აშკარა წინააღმდეგობა ვერ გაბედა.

სამაგიეროდ, ლეჩხუმის გამო სოლომონი დადიანთან ბრძოლას განაგრძობდა. 1804 წ. თებერვალში იმერეთის მეფემ თხოვნით მიმართა

---

[1] АКАК. т. II, с. 352.

[2] დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი., ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 85: АКАК, т. II, с. 362.

[3] АКАК. т. II, с. 362.

[4] იქვე, გვ. 363.

პ. ციციანოვს არ წაერთმია მისთვის ლეჩხუმის პროვინცია, რომელიც ოდითგანვე იმერეთის კუთვნილება იყო და ახლა ძალით დაიკავა. ამასთან დაკავშირებით ციციანოვმა უპასუხა, რომ ლეჩხუმი ჯერ დადიანს უნდა დაბრუნებოდა. ხოლო შემდეგ მისი კუთვნილების საქმე განხილულიყო. ამ ულტიმატუმის საპასუხოდ სოლომონის წარმომადგენლები ქ. წერეთელი და ს. წულუკიძე ციციანოვს არწმუნებდნენ, რომ იმერეთის მეფე მზად იყო რუსეთის მფარველობაში შესულიყო, ოღონდ ლეჩხუმი მას უნდა დარჩენოდა. ამასთან, ისინი ციციანოვს თხოვდნენ თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა იმერეთში, რათა ოფიციალურად გაეფორმებინათ სოლომონის შესვლა რუსეთის მფარველობაში.

სამეგრელოს შეერთებისთანავე მეფის თვითმპყრობელობა შეუდგა სამეგრელოს შავი ზღვის სანაპიროს შემომტკიცება-გამაგრებას. საგარეო საქმეთა მინისტრმა, თავადმა ჩარტორიცკიმ 1804 წ. 20 მარტს ციციანოვს მისწერა, რომ ფოთი უნდა გამხდარიყო რუსეთის ერთ-ერთი ფორპოსტი შავ ზღვაზე. იგი მთავარმართებელს სთხოვდა როგორმე ფოთის შესყიდვის საშუალება გამოენახა ისე, რომ პორტასთან ურთიერთობა არ გამწვავებულიყო[1].

თვითმპყრობელობის მხარდაჭერით გრ. დადიანიც განაგრძობდა ლეჩხუმის დაბრუნებისათვის ბრძოლას. იგი 1804 წ. 4 აპრილს პ. ციციანოვს სწერდა, რომ 2 აპრილს სისხლისღვრის გარეშე შეძლო ლეჩხუმის ზოგიერთი ადგილის დაბრუნება, გარდა დეხვირის ციხისა, რომელიც იმერეთის რაზმებს ეკავათ. ამასთანავე დადიანი სწერდა, რომ ლეჩხუმიც ითხოვდა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებას. დადიანი სოლომონს აბეზღებდა, რომ მის წინააღმდეგ ის რაჭის რაზმს იყენებდა და ახალციხისა და აფხაზეთის მიმხრობასაც ცდილობდა.

დადიანი იმედოვნებდა, რომ თვითმპყრობელობის მხარდაჭერით და რუსი რაზმების დახმარებით, ფოთსაც აიღებდა და ყოველივეს შეინარჩუნებდა, რაც, საერთოდ მას ეკუთვნოდა[2].

სანამ იმერეთის წარმომადგენელი ლეონიძე პეტერბურგიდან უკან დაბრუნდებოდა, საქართველოს მთავარმართებელს უკვე შემუშავებული ჰქონდა თვითმპყრობელობის მიერ იმერეთის მეფისადმი დამოკიდებულების გეგმა.

პეტერბურგიდან დაბრუნებული ლეონიძე თბილისში მიიღო ციციანოვმა, რომელმაც შესთავაზა, რომ სოლომონი შეხვედროდა უშუალო მოსალაპარაკებლად. რაკი სხვა გზა არ ჰქონდა, იმერეთის მეფე ამაზე დათანხმდა. მოლაპარაკებისას გაირკვა, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლის ის პირობები, რომელიც იმერეთის მეფემ პეტერბურგს წარუდგინა, თავდაყირა იდგა. ციციანოვმა სოლომონს შესთავაზა, რომ ის რუსეთის მფარველობაში კი არა, ქვეშევრდომობაში შესულყო. ამასთან, დადებუ-

---

[1] АКАК. т. II. с. 369.
[2] იქვე, გვ. 470—471.

ლიყო არა ტრაქტატი, როგორც ორივე მხარის საპირობო ხელშეკრულება, არამედ სოლომონის სათხოვარი, რომელიც მუხლებად უნდა ჩამოყალიბებულიყო.

ცხადია, ასეთი პირობა უკიდურესად ამცირებდა სოლომონის უფლებამოსილებას, ვიდრე ეს მას ჰქონდა ნავარაუდევი. ციციანოვის მიერ შეთავაზებულ პირობით სოლომონს, როგორც ქვეშევრდომს, ფაქტობრივად არავითარი უფლება არ ეძლეოდა, მითუფრო სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის, აგრეთვე თავის ქვეყანაში, სისხლის სამართლის და სხვა მნიშვნელოვანი საქმეების წარმოებისა. მეფე იმდენად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ მზად იყო ყოველივეზე დათანხმებულიყო, ოღონდ ლეჩხუმი მის სამეფოს შემადგენელ ნაწილად გამოცხადებულიყო[1].

რაკი სოლომონმა ლეჩხუმზეც ვერ მიიღო მტკიცე პირობა, ეს ქვეშევრდომობის მიღებაზე უარის თქმის საბაბად გამოიყენა.

დიპლომატიური მოლაპარაკების შემდეგ ციციანოვმა ძალას მიმართა და იმერეთში სამხედრო ნაწილის შეყვანა ბრძანა[2]. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ იმერეთი რუსეთის ხელში აღმოჩნდებოდა.

სოლომონი იძულებული გახდა რეალური ვითარებისათვის გაეწია ანგარიში და 1804 წ. აპრილში დათანხმებულიყო რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლაზე, მან ხელი მოაწერა თხოვნა-საველრებელ პუნქტებზე, რომელიც 17 მუხლისაგან შედგებოდა[3].

„მუხლნი სათხოვრისანში“ იმერეთის მეფე სოლომონი რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორს მონებრივ და ერთგულ სამსახურს აღუთქვამდა. „ბ“ პუნქტით გურიის სამთავრო იმერეთზე დამოკიდებულად ცხადდებოდა, ხოლო დადიანსა და ლეჩხუმთან დაკავშირებით „იბ“ პუნქტში ნათქვამი იყო: „ყოველნი ტყვენი თავადისა დადიანისა სამფლობელოდგან წამოყვანილნი უკუნვაქციო, და ეგრეთვე ციხეებიცა აღებულნი ოდიშსა და ლეჩხუმსა შინა მათთა გარეშემოთურთ დავცალო და არა ოდესმე არღა ვდაობდე მათ, და მოკლედ ვსთქუა, არცა მე და არცა მონაცულეთა ჩემთა თავადისა დადიანის სამფლობელოჲსადმი არა ოდეს არა რაიმე ძიება გვაქუნდეს“[4].

სათხოვარ პუნქტებზე ხელმოწერასთან ერთად, სოლომონმა იმპერატორის „მონისაებრ“ ერთგულებაზე, მორჩილებასა და თავდადებული სამსახურის შესრულებაზე, აგრეთვე საიდუმლოს მტკიცედ შენახვაზე დაიფიცა. რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცეს აგრეთვე სოლომონის სამეფო კარის წევრებმაც[5].

---

1 ო. სოსელია, წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან, ანალები, თბ., 1947, გვ. 259.

2 АКАК, т. II, с. 368.

3 საქ. ცსია, ფ. 2, ანაწ. 1, ს. 1275, ფურც. 19—26; მ. გონიკიშვილი, იმერეთი XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1979, გვ. 97—108.

5 იქვე, ფურც. 19.

4 საქ. ცსია, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. 1275, ფურც. 22.

მართალია, წერილობითი პირობის საფუძველზე, სოლომონს უნდა დაეცალა ლეჩხუმის ციხესიმაგრეები, მაგრამ, როგორც ჩანს, მან სიტყვიერი პირობა მიიღო, რომ თუკი სათანადო საბუთებს წარადგენდა, ლეჩხუმის კუთვნილების საქმე განიხილებოდა და იმპერატორი სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანდა.

როგორც ვხედავთ, რუსეთის ქვეშევრდომობის ოფიციალური აღიარებით, იმერეთის სამეფო კარმა არამც თუ მთელი დასავლეთ საქართველოს მბრძანებლის უფლება ვერ მიიღო, არამედ იმერეთის დამოუკიდებელი მართვის უფლებაც დაკარგა, ხოლო ლეჩხუმის საკითხი, რომლის კუთვნილების განსჯა მეფის მთავრობამ იკისრა, უპერსპექტივო ჩანდა.

მართალია, მეფის რუსეთის ქვეშევრდომობის აღიარების შემდეგ იმერეთში თავდაპირველად ძველებური მმართველობა დარჩა, მაგრამ შეზღუდული სახით, 1810 წ. კი მეფის მმართველობა გაუქმდა.

სოლომონის მიერ რუსეთის ქვეშევრდომობის აღიარებიდან ერთი თვის შემდეგ, იმერეთში რუსეთის წარმომადგენლად დაინიშნა გენერალი ლიტვინოვი, რომელსაც სამი ოფიცერი და 50 ჯარისკაცი მიეცა[1].

სხვა მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებასთან ერთად, ლიტვინოვს უნდა ეზრუნა იმერეთის მეფისა და დადიანის შერიგებაზე, მათ შორის სადაო საქმეების მშვიდობიან გადაწყვეტაზე იმგვარად, რომ დადიანის უფლებები არავითარ შემთხვევაში არ შელახულიყო.

რადგან იმერეთში მყოფ მცირე სამხედრო რაზმს არ შეეძლო თვითმპყრობელობის მითითებისამებრ იმერეთ-სამეგრელოს მეფე-მთავარს შორის სადაო საკითხის პრაქტიკული გადაჭრა, საქართველოს მთავარმართებელი ცდილობდა მოდავე მხარეები სიტყვით დაეშოშმინებინა და სადაო საქმეების სამართლიან განსჯას დაჰპირებოდა. ყოველ შემთხვევაში, მეფის მოხელეები დადიანის მხარეზე იყვნენ, მაგრამ, რთულ ვითარებაში, ისინი სოლომონის წინააღმდეგაც ვერ ილაშქრებდნენ, რადგან ეშინოდათ საქმე არ გამწვავებულიყო.

სოლომონ მეორის მიერ რუსეთის ქვეშევრდომობის აღიარების შემდეგ, საქართველოს მთავარმართებელმა წერილით მიმართა დადიანს, რომ მას გარემოება აიძულებდა ლეჩხუმის ის ნაწილი, რომელიც სოლომონს ეკავა, მისთვისვე დაეტოვებინა იქამდე, სანამ სადაო საქმეს იმპერატორი არ გადაჭრიდა საბოლოოდ. ციციანოვი დადიანს სთხოვდა, რომ მას მოთმინება გამოეჩინა, რითაც მეტს მოიგებდა[2].

ლეჩხუმის საკითხის ასეთი განსჯა არც დადიანს აკმაყოფილებდა და არც სოლომონს. ამიტომ ორივე განაგრძობდა ურთიერთბრძოლას.

დადიანის ზემოქმედებით ლეჩხუმის თავადებმაც მიმართეს ციციანოვს, რომელსაც მისწერეს: სოვეტნიკ მაინოვის მეშვეობით მივიღეთ ბრძანება, რომ იმერეთის მეფესთან შერიგებისას თქვენ გადაგიწყვე-

---

[1] АКАК, т. II, с. 379.
[2] АКАК, т. II, с. 472.

ტიათ — ლეჩხუმში რაც მეფის ხელთ არის — მასვე დარჩეს, მანამ მისი უდიდებულესობა იმპერატორი არ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. საქმის ამგვარ განსჯას ლეჩხუმის თავადები უკანონოდ თვლიდნენ და აღნიშნავდნენ, რომ როდესაც პოლკოვნიკი მაინოვი ჩვენთან მოვიდა და ჩვენმა მფლობელმა უავგუსტესი მონარქის ქვეშევრდომობა და მოწყალების წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი მიიღო, ჩვენ ლეჩხუმის მკვიდრებმა, ჩვენი მფლობელის ნებით, მივიღეთ თქვენი ქვეშევრდომობა, რაც სათანადო სიგელზე ხელმოწერით და ბეჭდების დასმითაც დავადასტურეთ. როდესაც ეს პირობა ჩვენ ხელახლა განვაახლეთ, მაშინ დადიანისადმი მორჩილებაზე უარი მხოლოდ გელოვანთა ნაწილმა თქვა, ხოლო სხვებმა კვლავ ვაღიარეთ ჩვენი მფლობელის მონება (რაც, აგრეთვე წერილობით დავადასტურეთ, იმერეთის მეფესთან შერიგებამდე). მაშინ ჩვენ, ატყობინებდნენ ლეჩხუმის თავადები, მიუხედავად იმერეთის დედოფლის, მისი ძმისა და ვეზირების (დ. აბაშიძისა და ს. წულუკიძის) წინააღმდეგობისა, ჩვენ ვერავინ შეგვაცვლევინა ჩვენი პირობა. შემდეგ თქვენი სურვილით, ჩვენ დავბრუნდით ჩვენს ციხეებში (ჩანს იმერეთის მეფის მიერ დაკავებულში — გ. გ.), რაც თქვენი უწინდელი ბრძანება როდი იყო, ძაგრამ იძულებული გავხდით თქვენს ბრძანებას დავმორჩილებოდით.

„ლეჩხუმის მკვიდრი მონები" პ. ციციანოვს ემუდარებოდნენ, რომ თუ მათ უბედურებასა და მახვილს არ არგუნებდა, ნუ უბრძანებდა დადიანისადმი ჩამოცილებასა და სხვის მსახურებას. „ჩვენ სიკვდილამდე ვერ ჩამოვცილდებით ჩვენს მფლობელს", — წერდნენ ისინი[1].

წერილს ხელს აწერდნენ: მოლარეთუხუცესი ოტია ჩიქოვანი, ლეჩხუმის სარდალ-მოურავი ბერი გელოვანი, კაცია ჩიქოვანი, ნიკოლოზ ჩიქოვანი და ვახტანგ ასათიანი.

გენერალი ლიტვინოვი თავდაპირველად ლოიალურად იქცეოდა და ფორმალურად სოლომონსა და დადიანს შორის შემრიგებლურ პოლიტიკას ეწეოდა. იმერეთის მეფე და დადიანი მოჩვენებით კიდევაც შერიგდნენ, მაგრამ ერთიმეორის წინააღმდეგ ფარულ ომს განაგრძობდნენ.

საქართველოს მთავარმართებელი 1804 წ. 18 მაისს ლიტვინოვს ავალებდა, რომ სოლომონისა და დადიანის შეჯახება არ დაეშვა და ლეჩხუმში ისინი ძველ პოზიციებში დაეტოვებინა. ამასთან დაკავშირებით, ლიტვინოვმა არაერთხელ დაარიგა მოწინააღმდეგე მხარეები, რათა მოთმინება და მორჩილება გამოეჩინათ. ლიტვინოვმა წერილობით მიმართა სამეგრელოს მამასახლისებს („სტარშინებს"), თავადებსა და აზნაურებს, აგრეთვე მთელ ხალხს, რათა ხელი აეღოთ მეზობლებთან მტრობაზე და ტყვეთა სყიდვა არ დაეშვათ[2].

---

[1] АКАК, т. II, с. 472.
[2] АКАК, т. II, с. 475.

საქართველოს მთავარმართებელი მარტო ლიტვინოვის დარიგებით როდი დაკმაყოფილდა. მან 1804 წ. 9 ივნისს წერილი გაუგზავნა სოლომონს, რომელსაც საყვედურობდა, თუ რა უფლებით ავიწროებდა დადიანს და აწიოკებდა მის სამფლობელოს. იგი სწერდა, რომ სად ნაჭელ. ერთ სახელმწიფოს შიგნით ერთმანეთთან ომი, ამასთანავე დაბეჯითებით თხოვდა ერთიმეორეს ნუ ერჩოდნენ[1].

თავისი ინტერესების შებღალვით გაბოროტებული სოლომონი ციციანოვს სწერდა, რომ მან იმპერატორის ქვეშევრდომობა შიშის გამო კი არ მიიღო (თუმცა იმასაც არ მალავდა, რომ ციციანოვს შეეძლო უბედურების მოტანა), არამედ სიყვარულის, ერთმორწმუნეობისა და პირადი სარგებლობისათვის. ყოველივეში, რაც ხდებოდა, სოლომონი ღადიანს ადანაშაულებდა, თითქოს მხოლოდ ის იყო შერიგების მოწინააღმდეგე[2].

დადიანმა სოლომონის წინააღმდეგ აამოქმედა ლეჩხუმის თავადები ბააკა ჩიქოვანი და გრიგოლ ახვლედიანიც, რომლებიც აგრეთვე ციციანოვთან ჩიოდნენ.

დადიანები იმერეთის მეფეს ადანაშაულებდნენ იმაშიც, რომ მისი მოქმედება თითქოს ხელს უშლიდა სვანეთში ოქრო-ვერცხლისა და ტყვიის მოძიებას. მათი განსჯით, ლეჩხუმის თავადები სვანეთის თავაღებთან მეგობრობდნენ და ლეჩხუმის დაკარგვით ისინი სვანეთზეც კარგავდნენ გავლენას, ამასთან, დადიანის მტკიცებით, ასეთ ვითარებაში, თითქოს ფოთის ჩაგდებაც შეუძლებელი იყო[3].

მეფის მოხელეთა აქტიური ჩარევის მიუხედავად, სოლომონსა და დადიანს შორის ქიშპობა გრძელდებოდა, იმერეთში დაბანაკებული სამხედრო რაზმი კი საქმეს ვერ შველოდა, ამასთან, დასავლეთ საქართველოში მეზობელ მაჰმადიან მფლობელთა გალაშქრებაც მოსალოდნელი იყო.

ლიტვინოვმა არაერთხელ მიიღო მითითება მოწინააღმდეგე მხარეები შეერიგებინა. ამ მიზნით იგი დადიანსაც ეწვია ოდიშში, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და ლეჩხუმშიც წავიდა, სადაც ადგილობრივ თავადაზნაურებს შეხვდა და მათი პოზიციაც საბოლოოდ დაადგინა.

თავის რაპორტში ლიტვინოვი ციციანოვს აღუწერდა ლეჩხუმს და იქაურ ციხე-სიმაგრეებს. მისი ცნობით, ლეჩხუმში იყო 11 ციხე, რომლებიც სხვადასხვა თავადს ეკუთვნოდა.

ლეჩხუმში ყოფნის დროს ლიტვინოვი დაინტერესდა სვანეთითაც, მისი დახასიათებით «Сванеты, власти Дадиани повинующиеся, наименее ему вредны, а иногда пособие их ему полезно; народ сей, так, как и многие горцы, храбр, мужествен, трезв, умерен, лю-

---

[1] АКАК, т. II, с. 386—387.
[2] იქვე, გვ. 387.
[3] იქვე, გვ. 388.

бит простоту, бедности не чувствует, управляется старшинами; неприступныя горы служат ему защитой и укреплением»[1].

ცარიზმის დაკინებული მოთხოვნით და მის ოფიციალურ მოხელეთა მეცადინეობით 1804 წ. ივნისში მოხერხდა სოლომონისა და დადიანის დროებითი შერიგება, მათ ხელი მოაწერეს აქტს დაზავების შესახებ. შერიგების აქტის პირველ პუნქტში მეფეც და დადიანიც პირობას იძლეოდნენ, რომ იმპერატორის ბრძანების ერთგულნი იქნებოდნენ; მეორე პუნქტით, ისინი მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობას იძლეოდნენ. ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა არ დაეშვა ერთიმეორის ყმა-მამულის დატაცება, დარბევა, დატყვევება, საქონლის წასხმა და სხვ. თუ მათ შორის ისეთი სადაო საკითხი აღიძრებოდა, რომელშიც ვერ შეთანხმდებოდნენ, მაშინ საქმის გადასაჭრელად საქართველოს მთავარმართებლისათვის უნდა მიემართათ: მესამე (ბოლო) პუნქტში ნათქვამი იყო: „სრულიად ქვეყანასა შინა ჩვენსა, რათა მივსცეთ მშვიდობიანი მდგომარეობა და სამართლიანი გზა და კვალი, რათა სცხოვრობდნენ ყმანი ჩვენნი ანუ ერნი კეთილითა მდგომარეობითა"[2].

როგორც ვხედავთ, მოცემულ აქტში კონკრეტულად არაფერი იყო ნათქვამი. ლეჩხუმზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციის დაპირებით ამ საქმეს, სამართლიანობის საფუძველზე, იმპერატორი გადაწყვეტდა

შერიგების მიუხედავად მეფესა და დადიანს შორის მშვიდობა მაინც არ დამყარდა, ლეჩხუმს არც ერთი თმობდა და არც მეორე. სოლომონი კვლავ მთელ ლეჩხუმზე აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ეს უკანასკნელი დადიანს თავის სამფლობელოდ მიაჩნდა, თვითმპყრობელობა კი საბოლოო პასუხზე თავს იკავებდა.

ლიტვინოვის ცნობით, 1804 წ. გაზაფხულზე ლეჩხუმში 11 ციხიდან 5 მეფე სოლომონს ეპყრა, 3 უშუალოდ დადიანს, ხოლო სამიც ადგილობრივ თავადებს, რომლებიც დადიანს ან სოლომონს ემხრობოდნენ. ლეჩხუმის აზნაურები შეძლებით თითქოს გლეხებისაგან არ განსხვავდებოდნენ.

ცარიზმის მოხელეები დადიანის მხარეზე იყვნენ და ლეჩხუმის საქმის სამართლიან გადაჭრაზე სოლომონს ცრუ დაპირებას აძლევდნენ, სოლომონი ამას კარგად ხვდებოდა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ ჰქონდა, ვერაფერს ბედავდა.

საქმის გამწვავების შიშით, თავდაპირველად ვერც მეფის მოხელეები იღებდნენ მტკიცე გადაწყვეტილებას, მაგრამ სამეგრელოში ახალი სამხედრო ნაწილისა და არტილერიის დასადგურების შემდეგ, ისინი უფრო მკაცრ პოლიტიკას დაადგნენ. ლიტვინოვმა სამხედრო რაზმი წაიყვანა ლეჩხუმში, სადაც ერთხელ კიდევ დააზუსტა ვითარება და სოლომონის წინააღმდეგ აშკარა მოქმედებას შეუდგა.

---

[1] АКАК, т. II, с. 410.
[2] იქვე.

იმერეთის მეფემ კვლავ ციციანოვს მიმართა თხოვნით — ლეჩხუმი მისთვის მიეკუთვნებინა, მაგრამ საქმე პირუკუ ტრიალდებოდა, ლიტვინოვმა ლეჩხუმში მყოფი სოლომონის რაზმი შეავიწროვა და სურსათ-საზოვაგის მისაღები გზა გადაუჭრა. სოლომონის პროტესტზე ლიტვინოვი თავს იმით იმართლებდა, რომ თითქოს მას ლეჩხუმის საკითხის გადაჭრა სოლომონის სასარგებლოდ უნდოდა, მაგრამ თითქოს ადგილობრივი თავადები აუჯანყდნენ[1].

სოლომონი კარგად ხედავდა, რომ ლეჩხუმი ხელიდან ეცლებოდა, მაგრამ სამხედრო ძალის გამოყენებას ვერ ბედავდა. მიუხედავად იმისა, რომ საქმე წაგებული იყო, იმერეთის მეფე ფარ-ხმალს არ ყრიდა და ციციანოვს სწერდა: თქვენ რომ უძველესი დროიდან ჩემი სამფლობელოსადმი კუთვნილი ლეჩხუმის მოცემაზე დასტური არ მოგეცათ, მე იმპერატორის მონებას არ მივიღებდი და ხელს არ მოვაწერდი სათხოვარ აქტსო[2].

იმერეთის მეფე მარტო რუსი მოხელეების ხვეწნა-მუდარით როდი კმაყოფილდებოდა, თავისი პოზიციის გასამაგრებლად იგი დიპლომატიური ხერხის და რთულ საერთაშორისო ვითარების გამოყენებასაც ცდილობდა. ეს გარემოება კარგად ჩანს მის მიერ 1804 წ. 14 სექტემბერს საქართველოს მთავარმართებლისადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიც ეკითხულობთ: „ვერც სპარსელების მაცდურობა და ვერც სხვა მეზობელ მაჰმადიანთა განრისხება ვერ შეცვლის ჩემს რწმენასა და გადაწყვეტილებას მის უდიდებულესობის იმპერატორისადმი ერთგულებაზე“. სოლომონი შეახსენებდა, რომ თუკი ის, თავის დროზე, ლეჩხუმში დაკავებული ციხესიმაგრეების დატოვების გარანტიას არ მიიღებდა, მაშინ რუსეთის ქვეშევრდომობაზე ხელს არ მოაწერდა. იგი მთავარმართებელს მიმართავდა ლიტვინოვისადმი ებრძანა, რათა დეხვირის ციხე და მისი შემოგარენი სოფლები მისთვის დაეტოვებინა და იქ მყოფი რაზმისათვის სურსათ-საზოვაგის მიწოდება დაენებებინა[3].

იმერეთის მეფე არაერთხელ შეახსენებდა ციციანოვს, რომ მის მიერ რუსეთისადმი დაკავშირების საფუძველი ლეჩხუმის დატოვების იმედი იყო და სხვა არაფერი, მაგრამ ეს იმედი ჯერ არ მიმართლდებაო. იგი განსაკუთრებით უკმაყოფილებას გამოთქვამდა გენერალ ლიტვინოვზე, სამაგიეროდ, ლიტვინოვის საქმიანობას თვითმპყრობელობა დიდი ხოტბა-ქებით იხსენიებდა, თითქოს ის თავისი კეთილშობილური განკარგულებით ლეჩხუმის საკითხს და, საერთოდ, მეფესა და დადიანს შორის დავას მშვიდობიანი გზით ჭრიდა[4].

ლეჩხუმზე დავის გამწვავების გამო 1804 წ. 12 ნოემბერს ციციანოვმა წერილით მიმართა სოლომონს, რომელსაც განუმარტა, რომ რუსეთის

---

1 АКАК, т. II, с. 412.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე, გვ. 121.

ქვეშევრდომობა ლეჩხუძის მიკუთვნების იმედით არ მიიღო, რომ ამაზე იგი მხოლოდ ზოგადი დაპირებით დაკმაყოფილდა[1].

დადიანი ცდილობდა ლიტვინოვის დახმარებით სოლომონი დეხვირის ციხიდანაც გაეძევებინა, მაგრამ მის დასახმარებლად ლეჩხუმში წასულ ბატალიონს, სურსათ-სანოვაგის უკმარობისა და, რაც მთავარია, იმერეთში თურქეთისა და მისი ვასალების შეჭრის საფრთხის გამო, უჭირდა ადგილზე დარჩენა, მითუფრო რომ ქუთაისსა და სამეგრელოშიც მცირე რუსული რაზმები იყვნენ.

ლიტვინოვი მხოლოდ პირადი მოქმედებით როდი კმაყოფილდებოდა, იგი აბეზღებდა და ასმენდა იმერეთის მეფესა და მისი დარბაზის წევრებს, ს. წულუკიძეს, ს. ლეონიძეს, რ. ნიჟარაძესა და სხვებს, რომელთაც რუსეთის უბოროტეს მტრებად ნათლავდა[2].

ვითარების რეალური განსჯის შემდეგ იმერეთის მეფემ გადაწყვიტა ლეჩხუმიდან თავისი რაზმი უკან გაეწვია, მაგრამ გრ. დადიანის მოულოდნელმა გარდაცვალებამ (ხმები გავრცელდა, რომ ამაში სოლომონის ხელი ერია) მას ლეჩხუმის ჩაგდების იმედი ჩაუსახა.

იმერეთის მეფემ ერთხელ კიდევ მოსინჯა ლეჩხუმის საქმე, მაგრამ სხვებთან ერთად, ახლა მას ბერი გელოვანიც დაუპირისპირდა[3]. სოლომონმა არც ამის შემდეგ აიღო ხელი ლეჩხუმის ძალით თუ ხვეწნა-მუდარით დაპატრონებაზე.

დასავლეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობაზე 1804 წ. 24 ნოემბერს ლიტვინოვი რაპორტს უგზავნის ციციანოვს, რომელსაც ამცნობს გრ. დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშში შექმნილ სურათს და წინადადებას აძლევს ოდიშის მართვა-გამგეობის ორად გაყოფაზე. მისი აზრით, საკუთრივ ოდიშის მართვა-გამგეობა დადიანის ძმებს ბესარიონ ჭყონდიდელს, გიორგის და სახლთუხუცეს ჩიქოვანს უნდა დაკისრებოდა; ლეჩხუმის მმართველობა კი ნიკო დადიანს (გრ. დადიანის ბიძაშვილს) და მოურავ ბერ გელოვანს, რომელთაც თავიანთი ერთგულება რუსეთს უკვე დაუმტკიცესო. რაც შეეხებოდა სისხლის სამართლის საქმეებს, ის ორივეგან რუს ჩინოვნიკებს უნდა ეწარმოებინათ.

გრ. დადიანის ანდერძით მთელი ოდიშის (ლეჩხუმითურთ) მთავარი უნდა ყოფილიყო მისი უფროსი ვაჟიშვილი ლევანი, რომელიც მძევლად ჰყავდა აფხაზეთის მთავარ ქელეშ-ბეგს[4].

სხვათა შორის, ოდიშის მთავრის პრეტენდენტი იყო მანუჩარ დადიანიც, რომელიც მეფის მოხელეებს უმტკიცებდა, რომ მთელი ხალხი მას უჭერდა მხარს და რომ ის რუსეთის ერთგულ სამსახურს შეალევდა სიცოცხლეს. თუკი ეს არა, მაშინ სალიპარტიანოს (რომელიც ადრე ხვდა) მიკუთვნებას მაინც მოითხოვდა.

---

[1] АКАК, т. II, с. 414.
[2] იქვე, გვ. 413.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 490.

1804 წ. შემოდგომაზე რუსეთსა და სპარსეთს შორის იმდენად დაიძაბა ვითარება, რომ ამას ომი მოჰყვა, მოსალოდნელი იყო ომში თურქეთის ჩაბმაც, მითუფრო, რომ მას მოკავშირეები აქეზებდნენ. ამან თვითმპყრობელობა აიძულა სამხრეთისაკენ შეტევა შეენელებინა, ხოლო დასავლეთ საქართველოში სამხედრო რაზმები გაეძლიერებინა. მალე ქუთაისში ოთხასამდე მებრძოლი შევიდა პოლკოვნიკ ტარასოვის მეთაურობით.

რეზიდენციაში ახალი ძალის ჩაყენებამ სოლომონი აიძულა უფრო უსაფრთხო ადგილზე — ვარციხეში (ახალციხის ახლოს) გადასულიყო.

იმერეთის მეფე ახლა ვარციხიდან განაგრძობს მეფის მოხელეებისადმი წინააღმდეგობას და ლეჩხუმისათვის ბრძოლას. იგი თავის წერილებში არაერთხელ საყვედურობდა მეფის მოხელეებს, რომ ლეჩხუმის მიკუთვნებაზე მას პირობა არ შეუსრულეს. რასაკვირველია, ვალში არც მეფის მოხელეები რჩებოდნენ, 1805 წლის იანვარში ციციანოვი სოლომონს სწერდა, რომ პირობა თვითონ სოლომონმა დაარღვია, რაც თითქოს იმაში გამოიხატებოდა, რომ მას კავშირი ჰქონდა რუსეთის მტრებთან (ბაბა-ხანთან და სელიმ-ყიფიანთან), აგრეთვე ბაგრატიონ-უფლისწულებთან, რომელთაც სოლომონმა თავშესაფარი მისცა (ბაგრატიონებს უკვე რუსეთში გადასახლება ჰქონდათ ნაბრძანები)[1].

იმერეთის მეფემ 1805 წ. თებერვალში მიიღო უმაღლესად დამტკიცებული სიგელი, რომელშიაც ფიქსირებული იყო 1804 წ. ივნისიდან იმერეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა[2].

სიგელით იმერეთის საქმეები უშუალოდ საქართველოს მთავარმართებელს დაექვემდებარა, ხოლო მეფეზე და მის ვალდებულება-მოვალეობაზე მარტო ზოგადად იყო ლაპარაკი, ლეჩხუმზე კი საერთოდ არაფერი იყო ნათქვამი[3].

აღნიშნული სიგელი მეფემ და მისმა პირებმა სათანადო ფიცისა და წირვა-კურთხევის ქვეშ მიიღეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მიუხედავად მრავალი ჭირვეულობისა, იმერეთის შეერთება რუსეთთან უდავო ფაქტი იყო, რაც თავისთავად სოლომონის საბოლოო მარცხს ნიშნავდა.

იმერეთის მეფესა და დადიანებს შორის ლეჩხუმისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ეს ახლა უფრო დიპლომატიური გზით წარმოებდა, ვიდრე იარაღის ძალით, რადგან უკვე შუაში რუსეთის სამხედრო ძალები იდგნენ.

ციციანოვი თავის, აგრეთვე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, თავადი ჩარტორიცკის სახელით, იმერეთის მეფეს დიპლომატიურად სწერდა, რომ ლეჩხუმთან დაკავშირებით მას დეპუტატები უნდა გაეგზავნა პეტერბურგში, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი კუთვნილების საქმეს იმპერატორი დამოუკიდებლად გადაწყვეტდა. რაც შეეხებოდა ლეჩხუმის ციხეებიდან იმერეთის რაზმების გამოდევნას და იქ რუსი რაზმების ჩაყე-

---

1 AKAK, т. II, с. 450.
2 მ. გ ო ნ ი ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 114—115.
3 ი ქ ვ ე.

ნებას, ამაზე ციციანოვი აცნობებდა, რომ ეს მხოლოდ სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით მოხდა[1].

საგარეო ვითარების გამწვავების და იმერეთის საქმეების დაძაბვის გამო, თვითმპყრობელობა სოლომონის წინააღმდეგ უხეშ ძალადობას ერიდებოდა. იგი მეფეს მაინც მორიდებულად და თვალთმაქცურად აწყნარებდა, თითქოს ლეჩხუმის საქმე სამართლიანად გადაწყდებოდა, ხოლო საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, სადავო ციხეების ირგვლივ მდებარე სოფლებიდან შემოსავალს მიიღებდა. ციციანოვი ლიტვინოვს სთხოვდა სოლომონისათვის ეცნობებინა, რომ თუკი ის კონსტანტინე უფლისწულს მათ გადასცემდა და წერილობით პირობას დადებდა რუსეთის მტრებთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტაზე, მაშინ საკითხის საბოლოო განხილვამდე, ლეჩხუმის ციხეებს დაუბრუნებდნენ და იქაურ შემოსავალსაც დაუტოვებდნენ[2].

რაც დრო გადიოდა ლეჩხუმისათვის დავა იძაბებოდა. შესაძლოა, სოლომონის პრეტენზიამაც დააჩქარა ოდიშის მთავრად გრ. დადიანის მემკვიდრის ლევანის დამტკიცება. 1805 წ. 26 იანვარს საქართველოს მთავარმართებელმა ციციანოვმა მიიღო უმაღლესად დამტკიცებული რესკრიპტი ოდიშის მთავრად ლევან დადიანის დამტკიცებაზე. ლევანი გამოცხადდა ოდიშ-ლეჩხუმის „ვლადეტელნი კნიაზად". იქამდე, ვიდრე მთავარი ოცი წლის შესრულდებოდა, სამეგრელო უნდა ემართა საბჭოს, რომელშიაც სამეგრელოს ოთხი წარჩინებული თავადი უნდა შესულიყო. საბჭოს უფროსი უნდა ყოფილიყო გრიგოლის ქვრივი ნინო, რომელიც მთავრის მეურვედ და სამეგრელოს დედოფლად გამოცხადდა[3].

ლევანის სამეგრელოს მთავრად დამტკიცების გამო აფხაზეთის მთავარი იძულებული გახდა 1805 წ. გაზაფხულზე, იგი ტყვეობიდან გაენთავისუფლებინა. მალე ლ. დადიანს დაევალა პეტერბურგში გასაგზავნი დეპუტაციის მომზადებაც. დეპუტატთა ამ რიცხვში თავდაპირველად ბ. გელოვანიც იყო ნავარაუდევი, მაგრამ ლიტვინოვი ამის წინააღმდეგი იყო, რადგან მის გარეშე ლეჩხუმში წესრიგის დამყარება შეუძლებლად მიაჩნდა.

სამეგრელოს მხრიდან პეტერბურგში გასაგზავნი დელეგაციის შემადგენლობაში შევიდა ნიკო დადიანი, რომელიც ისტორიის, და კერძოდ, ლეჩხუმის საქმის კარგ მცოდნედ ითვლებოდა (იგი გრ. დადიანის დროს აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელოს მართვა-გამგეობაში). დეპუტატებად გაგზავნას მოითხოვდნენ მანუჩარ და ტარიელ დადიანები, მაგრამ მათ უარი ეთქვათ, რადგან ისინი ხშირად სოლომონს ემხრობოდნენ და იარაღით ხელში იბრძოდნენ გრ. დადიანის წინააღმდეგ, დეპუტატობაზე ასევე უარი ეთქვა ცნობილ თავად ოტია ჩიქოვანს.

სამეგრელოს სამთავროს მესვეურები პეტერბურგში წასვლამდე სა-

---

[1] АКАК, т. II, с. 451
[2] იქვე, გვ. 451—452.
[3] იქვე, გვ. 499.

გულდაგულოდ მოემზადნენ ლეჩხუმის საკითხზე, მათ არაერთი ლეგენდა და ცნობა შეთხზეს, თითქოს თამარ მეფის დროიდან მოყოლებული ლეჩხუმი დადიანების ხელში ყოფილიყოს[1].

მალე, 1805 წ. მარტში, სამეგრელოს მმართველი საბჭოც შეიქმნა, მის შემადგენლობაში შევიდნენ ბ. ჭყონდიდელი (გრ. დადიანის ძმა), ნ. დადიანი (გრ. დადიანის ბიძაშვილი), ბერი გელოვანი (ლეჩხუმის მოურავ-სარდალი), გიორგი ჩიქოვანი (გოფმარშალი) და ნინო ბაგრატიონ-დადიანი (თავმჯდომარე)[2].

სოლომონმა 1805 წ. 13 მარტს ლეჩხუმის თაობაზე წერილით მიმართა საქართველოს მთავარმართებელს, რომელსაც ატყობინებდა, რომ მან უკვე მოამზადა პეტერბურგში გასაგზავნი დეპუტატები, ამასთანავე იგი ციციანოვს წინდაწინ სთხოვდა, წერილობით შეეტყობინებინა, მისი აზრით ვის მიეკუთვნებოდა ლეჩხუმი, ან დაუჭერდა თუ არა მას მხარს. თუკი, სწერდა სოლომონი, თქვენ ამისი წინააღმდეგი ხართ, მაშინ პეტერბურგში გაწბილებას მირჩევნია საკითხი სულ არ დავსვაო[3]. მიუხედავად იმისა რომ მთავარმართებელმა პირდაპირ არაფერი უპასუხა, 1805 წ. აპრილში სოლომონმა შეარჩია პეტერბურგში გასაგზავნი დეპუტაცია ზ. წერეთლის, ს. ლეონიძის, ს. მაჭავარიანის შემადგენლობით და გზას გაუყენა. მაგრამ, როგორც გამოირკვა, საქართველოს ადმინისტრაციის აზრით, ს. ლეონიძე და სხვებიც არასასურველი პირები იყვნენ, ამიტომ 53 დღე თბილისში შეჩერების შემდეგ, ისინი იმერეთში დააბრუნეს[4].

ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ სამეგრელოს დეპუტატები ნიკო და ბეჟან დადიანები, პროტორეა იოსელიანი და სხვები პეტერბურგში ჩავიდნენ, მათ იმპერატორს ჩაუტანეს საქართველოს მთავარმართებელის სარეკომენდაციო რაპორტი, რომელშიაც, სხვათა შორის, ჩაწერილი იყო ნინო დადიანის აზრი, თითქოს „ლეჩხუმი თამარ მეფის დროიდან კაცია ჩიქოვანსა და მის მემკვიდრეებს ეკუთვნოდათ მემკვიდრეობით", თითქოს ამას „მარტვილის სასაფლაოს წარწერაც ადასტურებდა".

მთავარმართებლის დასტურითაც „ლეჩხუმი ყოველთვის დადიანებს ეკუთვნოდათ", მაგრამ მისი რწმუნებით, გრ. დადიანისა და სამეგრელოს სხვა მესვეურთა სისუსტის წყალობით ლეჩხუმის ნაწილი სოლომონმა ძალით ჩაიგდო ხელშიო.

მთავარმართებლის განსჯით, ლეჩხუმი დადიანებს უნდა მიკუთვნებოდა. თუნდაც იმიტომ, რომ «...политические наши виды требуют, дабы уменьшать власть тех, кои не питают в себе верноподданнической преданности к России. Поведение же царя Соломона с самого вступления его в подданство В. И. В. не дает причины сомневаться о неблагорасположении его к Российскому правлению,

---

[1] АКАК, т. II, с. 504.
[2] იქვე, გვ. 505.
[3] იქვე, გვ. 431—432.
[4] იქვე, გვ. 446.

обличаемом разговором Санд-Ахмед-Эриб-Эфендия, приезжавшего из Константинополя с Д. С. С. Литвиновым, который мною препровожден к товарищу министра иностранных дел кн. Чарторыйскому»[1].

ციციანოვის გადმოცემით, ჭუვიშის ციხე თვითონ დადიანმა მისცა სოლომონს, რასაც თითქოს დადიანისავე ხელთ არსებული დოკუმენტები და დეპუტატები ადასტურებდნენ. აქვე დასძენდა, რომ საჭილაოს (რომელიც აგრეთვე სოლომონს ეპყრა) დადიანისადმი კუთვნილებას თვით მეფის მიერ გაცემული სიგელი ამტკიცებდა (წერილს თან ახლდა სოლომონ მეორის მიერ შედგენილი სიგელი გრ. დადიანისადმი საჭილაოს წყალობაზე).

ციციანოვი სარეკომენდაციო წერილში დაასკვნიდა: „სამართლიანობა მოითხოვს პატივი ეცეს ჩვენდამი წარმოდგენილ საბუთებს ლეჩხუმის დადიანებისადმი კუთვნილებაზე"[2].

ფაქტია, რომ საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ ლეჩხუმი იმერეთის სამეფოში შედიოდა, როგორც მეფის სახასო მამული, მაგრამ XVIII ს. 20-იანი წლებიდან ის ჩიქოვან-დადიანებმა დაისაკუთრეს და ოდიშის სამთავროს შეუერთეს (თუმცა დადიანთა ხელში ლეჩხუმის ყოფნა ზოგჯერ იმერეთის მეფის წყალობით ხდებოდა), ამიტომ რეალურად. ლეჩხუმი უკვე დადიანების კუთვნილებას შეადგენდა, მითუფრო, რომ იგი გადადიანებულ ჩიქოვანთა ოდინდელ სამშობლოს წარმოადგენდა.

სხვა საქმეა ამაზე მეფის მოხელეთა დამოკიდებულება. როგორც ვნახეთ, მეფის მთავრობისათვის უფრო ხელსაყრელი იყო დადიანებისადმი მხარდაჭერა და იმერეთის არასაიმედო მეფის ხელისუფლების შეზღუდვა-დასუსტება. სწორედ, ერთგული თუ ორგული ურთიერთობა განაპირობებდა ცარიზმის დამოკიდებულებას, ანტიპატიებს თუ სიმპატიებს იმერეთის მეფის, დადიანისა თუ სხვებისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ლეჩხუმის საკითხი ფაქტობრივად უკვე დადიანის სასარგებლოდ იყო გადაჭრილი, ციციანოვი არაერთხელ შეახსენებდა სოლომონს, რომ ლეჩხუმის კუთვნილების საბუთები, დეპუტატების მეშვეობით, წარედგინა პეტერბურგში, სადაც დადიანებს უკვე თავისი საბუთები ჰქონდათ წარდგენილი და იმპერატორს უნდა განეხილა.

სოლომონი რწმუნდებოდა, რომ ლეჩხუმის საკითხი დადიანების სასარგებლოდ იჭრებოდა, რომ ციციანოვი და ლიტვინოვი მის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ სოლომონი ორივე მათგანს თავის თავისუფლების შეზღუდვას აბრალებდა და ლიტვინოვს იმერეთის უკანონო მბრძანებლად იხსენიებდა.

1805 წ. 8 დეკემბერს ციციანოვი თვალთმაქცურად იმართლებდა

---

1 АКАК. т. II, с. 513.
2 იქვე.

თავს სოლომონის წინაშე და საყვედურობდა, თუ ლეჩხუმის კუთვნილებაზე რატომ არ არდგენდა საბუთებს პეტერბურგში, იგი წერდა: თქვენ ლეონიძის რჩევა-დარიგებას და ბოროტ ენებს აყვევით, ქუთაისიდან მხდლურად გაიქეცით. ამასთან დასძენდა, როგორც ადრე აღგითქვით, რუსეთის მხრივ, არავითარი საფრთხე არ გელოდებათ. მოღალატე ლეონიძეს ნურაფერს დაუჯერებთ და უკან დაბრუნდით ქუთაისშიო. ციციანოვი ბოლოს კიდევ შეახსენებდა, რომ დეპუტატები გაეგზავნა პეტერბურგში, თუ არა, მაშინ ყოველივე თავისთავისთვის დაებრალებინა[1].

იმერეთის დეპუტატები პეტერბურგში არ წასულან, როგორც აღვნიშნეთ, ამის მიზეზი თვით ციციანოვი და ლიტვინოვი იყვნენ. მაგრამ ისინი მაინც მეფეს ადანაშაულებდნენ, ამასთანავე თვალთმაქცურად ირწმუნებოდნენ, რომ უწინდელი დელეგაციის დაბრკოლება თითქოს იმან გამოიწვია, რომ დეპუტატები იმერეთის უწარჩინებულესი თავადები არ იყვნენ.

თავის წერილებში სოლომონი ციციანოვსა და ლიტვინოვს იმაში ადანაშაულებდა, რომ მათ ლეჩხუმზე უფლება წინდაწინ იმპერატორის გადაწყვეტილებამდე წაართვეს, ამის მაგალითად ასახელებდა იმასაც, რომ მისი რაზმები ლეჩხუმის ციხეებიდან ძალით გამორეკეს.

ლეჩხუმისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა თვით ოდიშის სამთავროს შიგნითაც, ერთი მხრივ, დადიანებს შორის, მეორე მხრივ, დადიანებსა და ჩიქოვანებს შორის, მესამე მხრივ, ლეჩხუმის დაჩემება უნდოდათ ადგილობრივ თავად გელოვანებსაც, რომლებიც, აგრეთვე ერთიმეორეს ებრძოდნენ.

მეფის მთავრობა ცდილობდა არა მარტო მეფესა და მთავარს შორის დავის უკონფლიქტოდ მოგვარებას, არამედ თვალყურს ადევნებდა თითოეული თავადის მოქმედებას, როგორც იმერეთში, აგრეთვე სამეგრელოს სამთავროს შიგნით. მეფის მოხელეებმა 1805 წ. ივლისში შეძლეს ერთიმეორისადმი გადაკიდებული სამეგრელოს თავადთა შერიგება. შემდეგ მანუჩარ დადიანისა და სამურზაყანოს მფლობელ შერვაშიძეთა დაფიცება რუსეთის ერთგულებაზე. ამას მოჰყვა სამეგრელოს მფლობელ ლევან დადიანისათვის 1805 წ. 29 აგვისტოს იმპერატორის სიგელის, წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენის, დროშისა და ხმლის გადაცემა. დაჯილდოების ცერემონიალს, სხვა თავადებთან ერთად, დაესწრო მანუჩარ დადიანიც, რომელმაც ახლა ლევანის ერთგულებაზეც დაიფიცა.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ შემთხვევაში ფიცის ცერემონიალს არ ესწრებოდნენ ლეჩხუმის თავადები, რასაც მეფის მოხელეები იმერეთის მეფის ხრიკებად მიიჩნევდნენ[2]. ფაქტი ისაა, რომ ლეჩხუმის თავად გელოვანთა ნაწილი იმერეთის მეფეს ემხრობოდა, რასაც ზოგჯერ მნიშვნელობა ჰქონდა ლეჩხუმის ორიენტაციაშიც.

---

[1] АКАК, т. II, с. 445.
[2] იქვე, გვ. 530-531.

ლეჩხუმისათვის ბრძოლას იმერეთის მეფე გრაფ გუდოვიჩის დროსაც ენერგიულად განაგრძობდა. ამ მიზნით იგი კვლავ არაერთ თხოვნას წერდა, როგორც ადგილობრივი მოხელეების, აგრეთვე იმპერატორის სახელზე. იგი ლეჩხუმის მიუცემლობაზე ახლა გენერალ ლიტვინოვს, თავად ციციანოვს და გენერალ რიკჰოფს ადანაშაულებდა (რადგან იმპერატორის კარზე მისი საწინააღმდეგო სიტუაცია შექმნეს).

ალექსანდრე პირველის გადაწყვეტილებით 1806 წ. მაისში სამეგრელოს მთავარს — ლევან დადიანს გენ. მაიორის ჩინი ებოძა, ნიკო დადიანს — წმ. ეკატერინეს პირველი ხარისხის ორდენი, ბესარიონ ჭყონდიდელს — წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენი. ამასთანავე, დეპუტატებმა ლ. დადიანს, ლეჩხუმის მიკუთვნების თაობაზე პეტერბურგიდან სასიამოვნო ამბავი ჩამოუტანეს: «Чтоб в расуждении крепостей и деревень, отнятых в Лечхуме (შენიშვნაში ნაჩვენებია 60 კომლი — გ. გ.) вошел в посредство на основании 4-й статьи условий, имеретинским царем с кн. Цицановым заключенных, и употребил убеждение к полюбовному окончанию сего домогательства, наблюдая сколько возможно пользу Мингрельцев, как, потому, что со стороны царя Соломона поступлено тут обманом и силою, так и уважение преданности их и усердия к России, опытом доказанных»[1].

თვითმპყრობელობის თავდაპირველი ვერსიით, ლეჩხუმის კუთვნილების გასარკვევად თბილისში უნდა შექმნილიყო კომისია, რომელშიაც სამი-ოთხი რუსი ჩინოვნიკი და იმერეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლები უნდა შესულიყვნენ. ამ კომისიის დასკვნას უნდა დართოდა მთავარმართებლის შენიშვნები, მთელი მასალა პეტერბურგში უნდა გაგზავნილიყო განსახილველად და დასამტკიცებლად. უფრო მოგვიანებით მეფის მთავრობამ ამაზეც ხელი აიღო. საგარეო საქმეთა მინისტრის 1806 წ. 5 ივნისის საიდუმლო განწესებით (მითითებით) ის ციხეები და სოფლები, რომლებიც იმერეთის მეფემ მიიტაცა, შესაძლებლობისთანავე დადიანს უნდა გადასცემოდა[2]. სოლომონზე ნათქვამი იყო, რომ იგი უკვე არ ავლენდა რუსეთისადმი ერთგულებას, რასაც თვითმპყრობელობის მოხელეები იმითაც ადასტურებდნენ, რომ სოლომონმა იმერეთის მოსახლეობას აუკრძალა რუსი სამხედროებისათვის სურსათის მიყიდვა. ამიტომ სამხედრო მოხელეებს სოლომონის მოქმედებისათვის თვალყური უნდა ედევნებინათ. ამასთან, გუდოვიჩი 1807 წ. 22 იანვარს ნინო დადიანს ჰპირდებოდა, რომ მათი ერთგულების სამაგიეროდ რუსეთი მუდამ დაიცავდა სამეგრელოს[3].

სოლომონ მეორესა და მეფის მთავრობას შორის დამოკიდებულება თანდათან უფრო დაიძაბა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თურქეთ-რუსეთის ომი დაიწყო. რამდენადაც დასავლეთ საქართველოს ზღვის ნა-

---

[1] АКАК, т. III, с. 177.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 181.

პირი ომის ასპარეზად შეიძლებოდა ქცეულიყო, იმდენად უფრო საშიშად იქნა მიჩნეული სოლომონის მტრობა. ასეთ რთულ ვითარებაში, თვითმპყრობელობამ კიდევ ახალი სამხედრო ძალა შეიყვანა დასავლეთ საქართველოში. 1807 წ. თებერვალში თურქები, ქუჩუკ-ბეი შერვაშიძის მხარდაჭერით, სამეგრელოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ, მაგრამ რედუტ-კალე ვერ აიღეს.

ქუთაისში დაბანაკებული გენერალ რიკჰოფის გაძლიერებული სამხედრო ნაწილი ახალციხის ფაშასა და სოლომონ მეორის თავდასხმის მოლოდინში იყო. გენერალი რიკჰოფი ნინო ბაგრატიონის (გრ. დადიანის ქერივის) რაზმის მხარდაჭერასა და მზადყოფნას მოითხოვდა[1].

რუსეთის სარდლობამ გადაწყვიტა რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელში ჩაეგდო ფოთი, რომელიც თურქთა თავდასხმის ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული ფორპოსტი შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს ამოცანა გენ. რიკჰოფს დაევალა, მაგრამ თურქეთთან 1807 წ. აპრილ-მაისში დროებითმა დაზავებამ მეფის მთავრობას ამ განზრახვაზე ერთხანს ხელი ააღებინა[2].

თვითმპყრობელობის მიერ დადიანებისადმი მხარდაჭერა შავი ზღვის პრობლემით, კერძოდ, მისი აღმოსავლეთ სანაპიროს (ფოთის, ხობის, ანაკლიისა და სხვ.) ჩაგდების წადილითაც იყო განპირობებული. რუსეთს შეეძლო ეს სანაპირო თურქეთის წინააღმდეგ პლაცდარმად გამოეყენებინა. საქმე ის არის, რომ თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის არმიის საომარი მასალითა და სურსათ-სანოვაგით მომარაგება, კავკასიის ქედზე გამავალი გზით, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ხოლო თუკი სამეგრელოს დაეპატრონებოდა, მაშინ ყირიმიდან (შავი ზღვით) ჯარის შეყვანა და მისი მომარაგება გაცილებით ადვილი და ხელსაყრელი იყო.

თვითმპყრობელობა მოითხოვდა, რომ სოლომონს თურქების წინააღმდეგ აქტიური მონაწილეობა მიეღო, მაგრამ სინამდვილეში, ლეჩხუმის საკითხით განაწყენებული მეფე, ხშირად დიდ უსიამოვნებას აყენებდა მის მოხელეებს. რიკჰოფის თხოვნას ფოთის დაპყრობაში დახმარების აღმოჩენაზე სოლომონ მეფემ უპასუხა: „განზრახვა გვქონდა გაგვეწია დახმარება და მზადაც ვიყავით მხარი დაგვეჭირა რუსეთის ჯარისათვის, მაგრამ, ფიცის თანახმად, ლეჩხუმი რომ არ დამიბრუნეთ და სამეგრელოს მთავარს გადაეცით, ამიტომ შევიკავე თავიო. სოლომონ მეფე რიკჰოფს სწერდა, გავიგე საიდუმლოება, რომ განზრახულია ჩემი ნათესავების დაპატიმრება, რაც დიდ სისხლისღვრასა და უბედურებას გამოიწვევს — მთელი იმერეთი ფეხზე დადგება, რაც არც თქვენთვის იქნება სასურველიო“[3].

სოლომონ მეფეს მთელი თავისი არსებით სძულდა რუსეთის მთავრობა და მისი მოხელეები. საკვირველი არც ისაა, რომ თავისი მეფობისა

---

[1] АКАК, т. III, с. 181—182.
[2] Н. Дубровин, История войны и владычество... т. IV, с. 136.
[3] АКАК, т. III, с. 136—137.

და სამფლობელოს შესანარჩუნებლად სოლომონი არც თურქეთთან კავშირს ერიდებოდა. ეს კარგად იცოდნენ თვითმპყრობელობის სამხედრო მოხელეებმაც. ამიტომ ისინი პეტერბურგის სამეფო კარს არაერთ გაზვიადებულ ცნობას აწვდიდნენ იმერეთის მეფის ღალატზე, მის მზადყოფნაზე ოტომანთა პორტასთან თუ სხვებთან ფარულ კავშირზე, აგრეთვე სოლომონის მცდელობაზე დადიანის მომხრე ლეჩხუმელი თავადაზნაურების გადაბირებაზე და სხვ.

გენერალი რიკჰოფი 1807 წ. 8 ივნისს გრაფ გუდოვიჩს უპატაკებდა, რომ ცაგერელი მიტროპოლიტი ცდილობდა ლეჩხუმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მურის ციხე იმერეთის მეფისათვის ჩაეგდო ხელში. მან ამ საქმეში ლეჩხუმის მოურავი ხოსია ყურაშვილიც მიიმხრო და ორივე ერთად მცდელობენ მურის მოურავის — ხოსია გასვიანის მოსყიდვასო[1].

ცოტა ადრე ლეჩხუმში დაბანაკებული სამხედრო რაზმის მეთაური მაიორი სოტხიკოვი გენერალ რიკჰოფს ატყობინებდა, რომ 19 მაისს საეკლესიო სოფლების მოურავმა ხოსია ყურაშვილმა თავისი ხალხი აიძულა, რომ მას დადიანის წინააღმდეგ მოქმედება დაეფიქსირებინა. 200 კაცის შემადგენლობით, ყურაშვილი გასვიანს აიძულებდა, რომ დადიანის ხელში არსებული ციხე მური მისთვის ჩაებარებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღით ემუქრებოდა. მაგრამ საქმეში ჩაერია ლეჩხუმის მოურავსარდალი ბერი გელოვანი, რომელმაც სოტნიკოვთან ერთად შეიპყრო ყურაშვილი და მისი მომხრეები. რომლებიც ძიებას გადასცეს[2].

ყოველივე ამის შემდეგ, იმპერატორის კარი არ მალავდა იმერეთის მეფის ღალატზე და ორგულობაზე ლაპარაკს, რაც არც იმერეთის მეფისთვის არ შეიძლებოდა საიდუმლო ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით, 1807 წ. 29 ივლისს იმერეთის მეფე იმპერატორ ალექსანდრეს დაუფარავად სწერდა, რომ იგი რუსეთის ქვეშევრდომობაში ლეჩხუმის მიღების იმედით შევიდა, რომ მის მიკუთვნებაზე ციციანოვმა დაპირება არ შეასრულა. სოლომონი ახლა იმასაც აცხადებდა, რომ სათხოვარ პუნქტებზე მას ძალით მოაწერინეს ხელი და სხვ.

სოლომონი იმასაც დასძენდა, რომ ციციანოვმა მის წინააღმდეგ მრავალი მტრული აქტი ჩაიდინა, რომ გენერალმა რიკჰოფმა ძალით დაიკავა ქუთაისი, ააწიოკა მისი სასახლე, შეიპყრო და შეურაცხყო თავისი სიძე დავით წულუკიძე და სხვ.

სოლომონი იმპერატორს სთხოვდა, რომ მის წინააღმდეგ ძალადობაზე ხელი აეღო, ამასთან სათხოვარი პუნქტებიც ხელახლა შეედგინათ[3].

თვითმპყრობელობა იძულებული იყო იმერეთის მეფის მოქმედება დროებით ეთმინა. იგი დაშინებით და დაყვავებით ცდილობდა სოლომონის მოთვინიერებას. საქართველოს მთავარმართებელი გუდოვიჩი რიკჰოფის რაპორტის საფუძველზე 1807 წ. 3 სექტემბერს სოლომონს სწერდა,

---

[1] АКАК, т. III, с. 183.
[2] იქვე.
[3] იქვე.

რომ საფრანგეთ-რუსეთი უკვე დაზავდნენ, ასევე მოსალოდნელია თურქეთთან დაზავებაცო, ამიტომ ურჩევდა (სინამდვილეში უბრძანებდა) ხელი აეღო ლეჩხუმისა და სვანეთის (იგულისხმება ქვ. სვანეთის ის ნაწილი, რომელიც დადიანს ექვემდებარებოდა) ძალით გადაბირებაზე, აგრეთვე რუსეთის მტრებთან კავშირზე, თორემ იმპერატორის საბოლოო გულისწყრომას დაიმსახურებდა[1].

მიუხედავად ყველაფრისა, იმერეთის მეფე იხტიბარს არ იტეხდა, იგი საქართველოს მთავარმართებელს და გენერალ რიკჰოფს სთხოვდა ქუთაისიდან ჯარი გაეყვანათ და თავისი სასახლე გაენთავისუფლებინათ. საქართველოს მთავარმართებლის და სხვა მოხელეთა პოლიტიკამ იმერეთის მეფე თავიდანვე მტრულად განაწყო ერთმორწმუნე რუსეთის წინააღმდეგ. ის ყველაფერს აკეთებდა რუსეთთან შორს ყოფილიყო, თუნდაც თავისი ქვეყანა მაჰმადიანთა საჯიჯგნი გამხდარიყო.

მთავარმართებელი გუდოვიჩი კანცლერ რუმიანცევს სწერდა შეეტყობინებინა იმპერატორის აზრი — თუ რა გზას დადგომოდა იმერეთის მეფესთან დამოკიდებულებაში, მას საჭიროდ მიაჩნდა, შესაფერისი მომენტის დადგომისთანავე, სოლომონი ჩამოეცილებინათ მმართველობისაგან. გუდოვიჩის აზრით, მეფის ბლოკირებაში შეიძლებოდა სახლთუხუცეს ზ. წერეთლის გამოყენებაც. ეს უკანასკნელი თითქოს რუსეთის ერთგულებით განირჩეოდა და სოლომონსაც ურჩევდა ამას. გუდოვიჩის დახასიათებით, ზ. წერეთელი ძლიერ შეწუხდა სოლომონის მცდელობაზე იმერეთი პორტას დაუქვემდებაროსო.

როგორც აღვნიშნეთ, პირველობისათვის ბრძოლა წარმოებდა სამეგრელოს მმართველ წრეშიც. დედოფალი ნინო და მისი შვილი ლევან დადიანი უკმაყოფილო იყვნენ ბერი გელოვანის განდიდებითა და პოლიტიკით, ამიტომ მისი მოშორება მოისურვეს. ამის საბაბად გამოიყენეს სახელდახელოდ შედგენილი ორი ყალბი წერილი: ერთი მათგანი ეხებოდა ბ. გელოვანის საიდუმლო კავშირს იმერეთის მეფესთან. თითქოს ლეჩხუმის სარდალ-მოურავი ბ. გელოვანი იმერეთის მეფეს სწერდა, რომ იგი მალე მისულიყო ლეჩხუმში ჯარით, როცა ის გორდსა და ჭყვიშამდე მიაღწევდა, მაშინვე ბ. გელოვანი მიეშველებოდა. ლეჩხუმში დაბანაკებულ ასამდე სამხედრო რუსს თავებს წააცლიდნენ და მთელ ლეჩხუმ-სვანეთს დაიქვემდებარებდნენ[2].

ძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული წერილი ცაგერის არხიდიაკონ ახელედიანსა და მღვდელ გუგავას დაუწერიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დადიანი იხტიბარს მაინც არ იტეხდა, გელოვანის ოჯახის შევიწროებას განაგრძობდა.

მართალია, თვითმპყრობელობა ყოველმხრივ უკმაყოფილო იყო სოლომონის მოქმედებით, მაგრამ მას ყველაზე მეტად მაინც სოლომონის

---

[1] АКАК. т. III. с. 138—139.
[2] იქვე, გვ. 184.

თურქეთთან კავშირი აშფოთებდა. რიკჰოფი ზ. წერეთლის მეშვეობით ცდილობდა სოლომონის თითოეული ნაბიჯი გაეგო და თვითმპყრობელობისათვის ეცნობებინა. იგი ზ. წერეთელს სწერდა, რომ სოლომონმა აჯიიუსუფ-სერასკირ-ფაშისაგან მიიღო წერილი „რომლითაც ცხადად გამოხატავს, რომელ განმზადებულ არს უკვე, რათა მიეცეს იგი, ყოვლითა მმართველობითა და მფარველობითა თვისითა, მტერთა ჩვენთა"[1].

სოლომონი მოლაპარაკებას აწარმოებდა ლეკთა ბელადებთანაც. როგორც ჩანს, თურქეთის მხარეზე გადახრისკენ უბიძგებდნენ თავის კარის წევრებიც, რაც თვითმპყრობელობის მოხელეებსაც არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენოდათ[2].

ირანთან და თურქეთთან ომი აიძულებდა თვითმპყრობელობას სოლომონის წინააღმდეგ უფრო ენერგიული ზომები მიეღო, მითუფრო, რომ მის მხრივაც მოსალოდნელი იყო შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. ვუდოვიჩის განკარგულებით, გორში მდგარი პოლკის ნაწილი გადაყვანილ იქნა სურამში, საჭირო შემთხვევაში, ის ქუთაისის გარნიზონს უნდა დახმარებოდა. მოახლოებულმა საფრთხემ სოლომონი აიძულა ზ. წერეთელი გაეგზავნა სამხედრო ნაწილის უფროს ტარასოვთან იმის დასადასტურებლად, რომ იგი რუსეთის ერთგულია და მზად იყო იმპერატორისათვის თავისი უახლოესი თავადების შვილები მიეცა მძევლებად.

სოლომონი არაფერს ზოგავდა თავისი მეფობის გასახანგრძლივებლად, მაგრამ იმპერატორს თავისი მიზნები ჰქონდა. მან 1808 წ. 10 თებერვალს ბრძანება გასცა სოლომონ მეფე და მისი ოჯახი პეტერბურგში გადაესახლებინათ და იმერეთში დროებითი მმართველობა მოეწყოთ[3].

ასეთი განკარგულების შემდეგ იმერეთის მეფემ უარი თქვა თავისი დაპირების შესრულებაზე — მძევლები მიეცა თვითმპყრობელობისათვის. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იმერეთის სამეფოს არსებობის დღეები დათვლილი იყო. მეფე შეიარაღებული რაზმების შეკრებას შეუდგა და მეზობელ მაჰმადიანთა დახმარებას ითხოვდა[4].

გავრცელებული ხმების სინამდვილის დასადგენად, 1809 წ. იანვარში, სამეგრელოში დაბანაკებულმა სამხედრო ნაწილის უფროსმა, მაიორმა მოიზამ სოლომონთან ვარციხეში, ჯერ კაპიტანი სოტნიკოვი გაგზავნა, შემდეგ თვითონაც წავიდა. თუმცა ხმა — სოლომონის მიერ ჯარის თავმოყრასა და ქუთაისის სამხედრო ნაწილზე თავდასხმისათვის მზადებაზე — ტყუილი აღმოჩნდა, მაგრამ სოლომონი რომ თვითმპყრობელობის აშკარა მოწინააღმდეგე იყო, ეს კვლავ დადასტურდა.

დასავლეთ საქართველოში მდგარი რუსი სამხედრო ნაწილების ახა-

---

[1] საქ. სახ. მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, წ. 1, შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ი ს გამოც., თბ., 1953, გვ. 60.

[2] Ч у д и н о в В. Имеретинская неурядица... «Кав. сборник», Тифл., 1894, т. XV, с. 273.

[3] АКАК, т. III, с. 154.

[4] Ч у д и н о в В. მითითებული შრომა, გვ. 276.

ლი უფროსი, გენერალ-მაიორი დიმიტრი ორბელიანი კიდევ უფრო ენერგიულად შეუდგა იმერეთის სამეფოს მესვეურთა მმართველობის ალაგმვას. მართალია, იგი საქმის გამწვავებისა და სისხლისღვრის წინააღმდეგი იყო, მაგრამ, აუცილებლობის შემთხვევაში, როცა საქმე მეფის მთავრობის უთუო ერთგულებასა და დავალებას ეხებოდა, არც ამას ერიდებოდა.

იმერეთის სამეფოს სალიკვიდაციო ზომების გატარებას წინამორბედზე არანაკლებ ენერგიულად შეუდგა ახალი მთავარმართებელი ტორმასოვიც. იგი 1809 წ. 29 აპრილს სოლომონს სწერდა, რომ ამ მხარეში, მთავარსარდლად გამოგზავნა, მას იმერეთის სამეფო საქმეების კეთილგონივრულ მოგვარებას ავალებდა. სოლომონს არწმუნებდა, რომ ლეჩხუმის პროვინციის საკითხის გადაჭრა მის მოქმედებაზე იყო დამოკიდებული, რომ ამისათვის აუცილებელი იყო პეტერბურგში სათანადო დეპუტატების გაგზავნა[1].

გენერალმა ტორმასოვმაც არაერთხელ მიმართა სოლომონს, რომ იგი ქუთაისში დაბრუნებულიყო და დეპუტატები გაეგზავნა პეტერბურგში ლეჩხუმის კუთვნილების დასადგენად, რომ მისი ინტერესები მტკიცედ იქნებოდა დაცული. მაგრამ ამ დაპირების მიუხედავად, სოლომონი ფრთხილობდა და თავს უშიშარ ადგილებში აფარებდა.

სოლომონის ყოველი მოქმედება ცარიზმის მოხელეებს არწმუნებდა, რომ მასთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას უკვე აზრი ეკარგებოდა. თუმცა ტორმასოვი კვლავ დაჟინებით მოითხოვდა, სოლომონი ქუთაისში დაბრუნებულიყო და დეპუტატები პეტერბურგში გაეგზავნა, რომ იმპერატორი სათანადო საბუთებს ელოდა ლეჩხუმის კუთვნილების საბოლოო განსჯისათვის. ყოველივე ამას ახლა კონსტანტინე ბატონიშვილის გადაცემის მოთხოვნაც დაემატა[2].

სოლომონის ერთ-ერთი მოწინააღმდეგის, ლიტვინოვის განსჯით (იგი 1807 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს სამოქალაქო საქმეების გუბერნატორი იყო), სანამ იმერეთში ბაგრატიონთა მეფობა იქნებოდა, იქამდე სიმშვიდე ვერ დამყარდებოდა[3].

ცარიზმის მოხელეები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სოლომონის მეფობიდან გადაყენება მშვიდობიანი გზით შეუძლებელი იყო, რომ ამისათვის სამხედრო ძალა იყო აუცილებელი, მაგრამ, ბუნებრივია, ისინი კვლავ ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა ნაკლები სისხლი დაეღვარათ. ამისათვის საჭიროდ მიაჩნდათ იმერეთის გაბატონებული წოდების მოსყიდვა ჩინ-მედლებით და მაღალფარდოვანი სიტყვებით. 1809 წლის გაზაფხულზე ტორმასოვმა წერილით მიმართა იმერეთის სასულიერო წოდებასა და თავადაზნაურობას, რომელთაც თავისი სამშობლოს კეთილდღეობის უზრუნველყოფის პირობად რუსეთისადმი ერთგულებასა და მხარდაჭერას

---

1 АКАК, т. IV, с. 194, 196.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 223.

სთხოვდა, თვითონ კი თვალთმაქცურად პირდებოდა, რომ თუკი პეტერბურგში სათანადო დეპუტაციას გააგზავნიდნენ, იმპერატორი ლეჩხუმის საკითხს სამართლიანად გადაწყვეტდა.

იმავე წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავარმართებელმა და გენერალმა ორბელიანმა ერთხელ კიდევ მიმართეს მორიგ დიპლომატიურ ხერხს, სცადეს სოლომონი მიეტყუებინათ ქუთაისში და იქ შეეპყროთ, მაგრამ ამაოდ. მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელდა ხმები, რომ მათ სოლომონის შეპყრობა ჰქონდათ განზრახული, რამაც იმერეთის გაბატონებული წრე ძლიერ ააღელვა. გავლენიანმა თავადებმა ქ. წერეთელმა, ს. წულუკიძემ და რ. ნიჟარაძემ სოლომონის ერთგულებაზე დააფიცეს იმერეთის თავადაზნაურობა და სასულიერო პირები, აგრეთვე რაჭის, ლეჩხუმისა და გურიის ზოგიერთი თავადი. ამასთან, მოსახლეობა დაარიგეს, რომ რუსეთის სამხედრო ნაწილებისათვის არც სურსათ-სანოვაგე მიეყიდათ და არც არავითარი მხარდაჭერა და თანაგრძნობა აღმოეჩინათ. კრიტიკულ მომენტში იმერეთის მმართველი წრე გარკვეულ დახმარებას ელოდებოდა თურქეთ-ირანისაგან, აგრეთვე მეზობელი ფაშებისა და ჩრდილო კავკასიის გაბატონებული წრეებისაგან, მაგრამ ყველაფერი ეს უმიზნო იყო, რადგან თვითმპყრობელობის დამძლეელი ძალა უკვე არ არსებობდა.

ცარიზმის მცირერიცხოვან სამხედრო რაზმთან შეტაკების შემდეგ, 1809 წ. ივლისში, სოლომონთან გამოცხადდა იმერეთის თავადაზნაურობა და გლეხთა დახლოებით 5-ათასიანი ჯგუფი, რომელმაც მეფეს ერთგულების ფიცი დაუდო, რომ მას იარაღით დაიცავდა[1].

რამდენიმე დღის შემდეგ სოლომონმა გენერალ ორბელიანის მეშვეობით მიიღო ტორმასოვის წერილი (სინამდვილეში ულტიმატუმი), რათა სამ დღეში დეპუტატები გაეგზავნა პეტერბურგში; თუ მითითებულ ვადაში ამას არ შეასრულებდა, ეს, საერთოდ, უარი იქნებოდა დეპუტატების გაგზავნაზე[2]. ამასთან, მთავარმართებელმა ორბელიანი დაარიგა, ყველა საშუალება ეხმარა სოლომონის ახლობელთა და, საერთოდ, იმერეთის მოსახლეობის გადასაბირებლად.

ცარიზმის მოხელეთა ყოველგვარი ცდა — დაეყოლიებინათ სოლომონი და იმერეთის მმართველი წრე, ამაო გამოდგა.

ტორმასოვის ახალი გეგმით სოლომონის წინააღმდეგ უნდა აემხედრებინათ რაჭის თავადები და გურიის მთავარი, შემდეგ განმარტოებულ სოლომონს თავს უნდა დასხმოდა რედუტ-კალეში (ყულევში) და ზ. წერეთელის მამულში საგანგებოდ დაბანაკებული სამხედრო რაზმი, რომელთაც რაჭა-ლეჩხუმის თავადები და ლეჩხუმში მყოფი რაზმიც უნდა მიშველებოდა. ამგვარი საერთო ძალით უნდა დაეტყვევებინათ იმერეთის მეფე და მისი მომხრეები[3].

---

[1] АКАК, т. IV, с. 201.
[2] იქვე, გვ. 206—207.
[3] იქვე, გვ. 205.

მარცხით დამთავრდა სოლომონის ქუთაისში დაბრუნების ცდა, აგრეთვე პეტერბურგში დეპუტატების გაგზავნის მოთხოვნაც, ამგვარი საშუალებით სოლომონი ვერ მოიხელთეს. კიდევ მეტი, ეს ფანდი არამც თუ მეფემ და მისმა ამალამ გაიგო, არამედ მთელმა მოსახლეობამაც შეიტყო, რაც თავისთავად ორბელიანის მოღვაწეობის მარცხსაც ნიშნავდა. შემთხვევითი არ იყო ტორმასოვის დასკვნა, რომ ორბელიანის ქუთაისში გაჩერება ამიერიდან სარგებლობას მოკლებულიაო, საჭიროდ მიიჩნდა მისი სამეგრელოში გადაყვანა[1].

მიუხედავად გარკვეული წარუმატებლობისა, ამ გეგმის ნაწილი კვლავ სამოქმედოდ რჩებოდა, კერძოდ კი, მეფის ახლობელთა გადაბირების ცდა. ტორმასოვი ყურადღებას ამახვილებდა ზ. წერეთელთან და რაჭის თავადებთან დაახლოებაზე. უაღრესად გამოცდილი და მოქნილი ზ. წერეთელი მაინცდამაინც არ იყო მეფობის მოსპობის მომხრე, თუმცა თვითმპყრობელობის მოხელეებს ერთგულად აჩვენებდა თავს. იგი 1809 წ. 30 ივლისს ტორმასოვს სწერდა: »...ვრჩები ერთგული რუსი ხელმწიფის, რომლისათვის მზად ვარ ყოველ საათს სიხარულით დავაქციო სისხლი ჩემი და ჩემი შვილებისაო"[2]. ის ტორმასოვს არწმუნებდა, რომ მას შემთხვევით არ აფასებდნენ ციციანოვი და გუდოვიჩი, რომ იგი რუსეთის ერთგულების გამო შეავიწროვა სოლომონმა და სხვ.

თავის მხრივ, საქართველოს მთავარმართებელი ტორმასოვი 1809 წ. შემოდგომაზე ქათინაურებით სწერდა ზ. წერეთელს, რომ მშვიდობისა და სიწყნარის დასაცავად იმერეთში აუცილებელი იყო მეფობის გაუქმება და სპეციალური მმართველობის ჩამოყალიბება პოლკოვნიკ სიმონოვიჩის თავმჯდომარეობით, რომ ამ მმართველობის ერთ-ერთი საპატიო წევრი თვით ზ. წერეთელი იქნებოდა[3].

თურქეთთან ომის წარმოებისა და ფოთის ციხე-სიმაგრის აღების მიზნით, მეფის მთავრობამ დასავლეთ საქართველოში წაიყვანა ახალი ნაწილები. ამ ღონისძიებაში იმერეთის მეფობის ლიკვიდაციაც შედიოდა. 1809 წ. ნოემბერში, გ. ორბელიანის მეთაურობით, რუსეთმა ფოთის ციხე-სიმაგრე ჩაიგდო ხელში[4].

დასავლეთ საქართველოში შეყვანილი ჯარის ერთი ნაწილი სიმონოვიჩმა ფოთიდან იმერეთში გადააადგილა და იქ დაბანაკა. ფოთის აღებამ და ცარიზმის სამხედრო წარმატებამ სამხრეთში სოლომონი წელში გატეხა, იგი იძულებული გახდა იმერეთში სამხედრო ნაწილის დაბანაკებაზე და მისდამი სურსათ-სანოვაგის მიწოდებაზე დათანხმებულიყო, თუმცა ამას სოლომონისათვის უკვე არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან იმერეთის სამეფოს გაუქმება მაინც გადაწყვეტილი იყო.

---

[1] П. Шубинский Гробница Имеретинского царя Соломона в Трапезунде. «Исторический вестник», 1913, т. XXXII, с. 283.
[2] АКАК, т. IV, с. 206.
[3] იქვე, გვ. 210.
[4] იქვე.

სოლომონის შეპყრობაში ტორმასოვი მთავარ იმედს სამხედრო ძალაზე და ზ. წერეთელის მოქმედებაზე ამყარებდა. ამ უკანასკნელს გვარიანი თანხაც გამოეყო, მაგრამ ტორმასოვმა ვერც ამით მოახერხა რაიმე. მიუხედავად გამწვავებული ვითარებისა, მეფესა და ტორმასოვს შორის მიმოწერა კვლავ გრძელდებოდა. სოლომონი 1810 წ. 5 იანვარს მთავარმართებელს კვლავ სწერდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობის ფიცი და პირობა თვითონ კი არა, არამედ ციციანოვმა დაარღვია: „...უწინარეს თქვენსა მყოფთა დახსნეს ფიცი, პირობა და შეკრულება, და არა დაიცვეს წმინდად და უკეთუ დაიცვეს წმინდად, მაშინ სად არს სამკვიდრო სამფლობელო ჩემი ლეჩხუმი, რომლითა შემოველ ქვეშევდომობასა ქვეშე და რომელსა ზედა საშინელთა ფიცითა მაქვს ხელმოწერილობა და პირობა თავადის ციციანოვისა: უკეთუ დაიცვეს წმინდად, შემდგომად გვაქნდა ციხე ერთი დეხვირი საშუალ ლეჩხუმისა, რომელსა შინა მოგვიკლეს მეციხოვნე მუნ მყოფთა მოსახლეთა; ვთხოვეთ მას ზედა სამართალი და ნაცვლად სამართლის მოცემისა წაგვართვეს ციხეცა იგი და მისცეს დადიანს“[1].

სოლომონი გადაჭრით თხოულობდა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის პირობათა ხელახალ შედგენას, მან ტორმასოვს ამისი მონახაზიც კი შესთავაზა (ამ პროექტში ლეჩხუმი იმერეთის სამეფოს კუთვნილებად ფიგურირებდა), მაგრამ ტორმასოვმა ეს პროექტი უკან დაუბრუნა და თან მისწერა, „დამტკიცებული, ძველი პუნქტების შეცვლა ვის გაუგიაო“[2].

ტორმასოვი, ერთი მხრივ სოლომონთან ლოიალურ მიმოწერას აწარმოებდა და თვალთმაქცურად კვლავ დეპუტატების გაგზავნას ითხოვდა, ხოლო მეორე მხრით, სიმონოვიჩს ავალებდა, რომ მეფე როგორმე მახეში გაება. ტორმასოვის დავალებით, სიმონოვიჩს სოლომონისათვის უნდა ჩამოეცილებინა რაჭის თავადები, რითაც მეფის პარტია დასუსტდებოდა, ამავე დროს მას ზ. წერეთელი უნდა დაერწმუნებინა, რომ რაჭას მას გადასცემდნენ სამმართველოდ და ამით მეტ სარგებელს მიიღებდა (სხვათა შორის, ზ. წერეთელი ადრეც რაჭის მოურავი იყო და იქ დიდ შემოსავალს იღებდა). ტორმასოვს მიაჩნდა, რომ იმერეთისაგან გურიაც დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო ისე, როგორც სამეგრელო. იგი სიმონოვიჩს ავალებდა, რომ, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, სოლომონი ალყაში მოექცია და შეეპყრო[3].

1810 წ. 20 იანვარს ტორმასოვი გორში ჩავიდა და იქ შეადგინა სოლომონის სამხედრო ძალით შეპყრობის ვრცელი და დეტალური გეგმა[4]. ტორმასოვის აზრით, სოლომონის შეპყრობაში, რუს სამხედრო ნაწილებთან ერთად, ფართო მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქართველ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებსაც, კერძოდ; გორის თავად-აზნაურთა წინა-

---

1 АКАК, т. IV, с. 215.
2 იქვე, გვ. 217.
3 იქვე, გვ. 218.
4 იქვე, გვ. 221.

მძღოლს ამილახვარს, პოდპოლკოვნიკ ლ. ორბელიანს, მაიორ ა. ბებუთოვს, კაპიტნებს: აბამელიქოვს, თარხნიშვილს, ამირაჯიბს, ე. ერისთავს და სხვებს[1].

21 იანვარს ტორმასოვმა ულტიმატუმი წარუდგინა სოლომონს, რომ არა უგვიანეს სამ დღეში მძევლები და დეპუტატები წარედგინა და ყოველივე, რაც უწინ იმპერატორის ნება-სურვილის წინააღმდეგ ჩაიდინა, მოენანიებინა. ნებაყოფლობითი დანებების შემთხვევაში ტორმასოვი სოლომონს ერთგვარ შემწყნარებლობას აღუთქვამდა, ოღონდ უკვე არ უმალავდა. რომ იგი მეფობიდან იქნებოდა გადაყენებული[2].

ასეთ ულტიმატუმს ტორმასოვმა პროკლამაციაც მიაყოლა იმერეთის ხალხისადმი, რომელშიც სოლომონისადმი გულისწყრომას გამოხატავდა და მთელ ხალხს მოუწოდებდა თვითმპყრობელობისათვის ერთგულების ფიცი დაედო. ამასთანავე, მოსახლეობას აფრთხილებდა, რომ მას ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა სოლომონ მეფესთან, წინააღმდეგ შემთხვევაში უბედურებით ემუქრებოდა[3]. ტორმასოვი ახლა არც იმას მალავდა, რომ თუ სოლომონის ამალა წინააღმდეგობას გაწევდა, იმერეთი სამხედრო ძალით იქნებოდა დამორჩილებული[4].

ულტიმატუმის შეუსრულებლობის გამო, ტორმასოვმა ერთხელ კიდევ გააფრთხილა იმერეთის სამეფო კარის მესვეურები და ნებაყოფლობითი დანებება უბრძანა[5]. როცა ამითაც ვერაფერი გააწყო, სიმონოვიჩს უბრძანა, რომ სამეგრელო-გურიის შეიარაღებული რაზმები მოემზადებინა.

თვითმპყრობელობამ 1810 წ. 20 თებერვალს საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ სოლომონი გადაყენებული და იმერეთის სამეფო გაუქმებული იყო, მალე იმერეთის ნაწილი რუსეთის ერთგულებაზე დააფიცეს.

ამასთან, იმერეთის ტერიტორია რუსეთის ახალმა სამხედრო ნაწილებმა დაიკავეს და ხალხის დაფიცებაც გრძელდებოდა. 21 თებერვალს ერთ-ერთ სამხედრო რაზმის უფროს პრიბილევსკისთან გამოცხადდნენ ზ. წერეთელი, მისი უფროსი ვაჟიშვილი, გელათის არქიმანდრიტი და ზოგიერთი თავადაზნაური, რომელთაც თვითმპყრობელობისადმი ერთგულებაზე დაიფიცეს.

ცარიზმის მოხელეები იმერეთის მოსახლეობის ნაწილს ერთგულებაზე აფიცებდნენ, ნაწილი სოლომონთან ცხადდებოდა.

ლეჩხუმში კვლავ ძველი ვითარება სუფევდა. იქ სოლომონმა საბოლოოდ დაკარგა ციხესიმაგრეები და ყოველგვარი დასაყრდენი. ამაზე სიმონოვიჩი ტორმასოვს უპატაკებდა: „დიდი ხნის წინააღმდეგობის შემდეგ ლეჩხუმ-რაჭა-იმერეთის საზღვარზე მდებარე ჭყვიშის ციხე, რომელიც

---

[1] АКАК, т. IV, с. 221.
[2] იქვე, გვ. 219.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 220.
[5] იქვე, გვ. 222—223.

სოლომონ მეფის რაზმს ეკავა, ჩვენს რაზმებს დანებდა, ციხის უფროსმა ფირან კლდიაშვილმა ჩვენს ერთგულებაზე დაიფიცაო[1].

ჭყვიშის ციხესიმაგრე დაუყოვნებლივ დადიანს გადაეცა.

. თვითმპყრობელობის ჯარების მიერ იმერეთის დაკავებას, რაც თებერვალ-მარტში გრძელდებოდა, ზოგან ხალხის შეიარაღებული წინააღმდეგობა მოჰყვა, მაგრამ მთავარმა სამხედრო ნაწილებმა, აგრეთვე სამეგრელო-ლეჩხუმსა და გურიაში დაბანაკებულმა რაზმებმა მთელი იმერეთი დაიკავეს. თავისუფალი მხოლოდ ვარციხის მიდამოები რჩებოდა, სადაც მეფე და მისი ამალა იმყოფებოდა. ცარიზმის რაზმებმა ბოლოს ვარციხესა და ბაღდადშიც მიაღწიეს, ისინი მეფესა და მის ერთგულ ამალას ხანის წყლის ხეობისაკენ მიერეკებოდნენ. სასიკვდილო საფრთხეში მოქცეული მეფე და მისი ამალის წევრები: ქაიხოსრო, გიორგი და სიმონ წერეთლები, დავით და გიორგი ერისთავები, როსტომ ნიჟარაძე, ბერი ლორთქიფანიძე და სხვები, იძულებული გახდნენ ჯარს დანებებულიყვნენ, თვითმპყრობელობის სამხედრო ნაწილს თბილისში წაჰყოლოდნენ.

სოლომონის ერთგული იმერლები და რაჭველები ზოგან წინააღმდეგობას განაგრძობდნენ, მაგრამ მეფის დატყვევების შემდეგ, 1810 წ. მარტში მთელი იმერეთი და რაჭა რუსეთის სამხედრო ნაწილების ხელში აღმოჩნდა.

ასე დამთავრდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ბატონობა დასავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს შეერთებას რუსეთთან პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა:

ჯერ ერთი, მან დასავლეთ საქართველოში ბოლო მოუღო ძმათამკვლელ შინაფეოდალურ ომს, აგრეთვე მოძალადე მაჰმადიანთა შემოსევებსა და ბატონობას;

მეორე, რუსეთთან შეერთებამ საქართველო არა მარტო ფიზიკური განადგურების საფრთხისაგან იხსნა, არამედ ქართველ ხალხს გაერთიანებისა და სწრაფი კონსოლიდაციის შესაძლებლობა მისცა;

მესამე, რუსეთთან შეერთებამ ქართველი მშრომელები სამუდამოდ დაუკავშირა რუს და რუსეთის სხვა მშრომელებს, რომელთაც ერთობლივი ბრძოლა გააჩაღეს ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ;

მეოთხე, რუსეთთან შეერთებამ (ისტორიულმა წანამძღვარმა) ქართველ მშრომელ ხალხს რუსეთის მშრომელებთან მჭიდრო კავშირი, ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუცია და ეროვნული აღორძინება მოუტანა.

---

[1] АКАК, т. IV, с. 239.

2. ახალი მმართველობის დამყარება და პოლიტიკური ვითარება

სამეფო ხელისუფლების ლიკვიდაციის შემდეგ იმერეთსა და რაჭაში დროებითი მმართველობა („ყამიერი მმართველობა") დამყარდა.

საქართველოს მთავარმართებლის წარდგინებით იმერეთ-რაჭის, გურიისა-სამეგრელოსა და აფხაზეთის ნომინალურ მმართველად დაინიშნა პოლკოვნიკი სიმონოვიჩი, რომელიც დასავლეთ საქართველოში მოქმედ სამხედრო ნაწილს ხელმძღვანელობდა და კოლონიზატორულ-ძალმომრეობითი პოლიტიკით ხელმძღვანელობდა.

დროებით მმართველობაში, რომელიც, ძირითადად, იმერეთის ყოფილ სამეფოს განაგებდა, ცარიზმის მოხელეებთან ერთად, ადგილობრივი თავადაზნაურობის წარმომადგენლებიც იყვნენ შეყვანილი.

თავდაპირველად განზრახული იყო, რომ იმერეთის ყოფილი სამეფო ექვს ოკრუგად დაყოფილიყო, მაგრამ, საბოლოოდ ის ოთხ ოკრუგად დაიყო. ერთ-ერთს შეადგენდა რაჭა, რომელშიც საკუთრივ რაჭა და სვანეთის სოფელი უშგულიც შევიდა[1].

რაჭის ოკრუგის მმართველობის სათავეში იდგა რუსი ოფიცერი — ოკრუგის უფროსი, რომელსაც ორი თანაშემწე (ადგილობრივ თავადაზნაურთაგან), თარჯიმანი, კანცელარიის ორი მწერალი (რუსულისა და ქართულის მცოდნე) ჰყავდა, აგრეთვე სახაზინო სოფლების, ციხეების, ტყეებისა და სხვა ქონების ზედამხედველი-მოურავები.

ოკრუგის უფროსი, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის ადგილობრივ ხელისუფლებას განასახიერებდა, სხვადასხვა საქმეებს აწარმოებდა. მას ექვემდებარებოდა მთელი ადმინისტრაციული საქმეები, რომელიც 150-მდე მარჩილის ღირებულებას არ აღემატებოდა (უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმეები, კერძოდ, სისხლის სამართლისა და სხვ. იმერეთის ცენტრალური მმართველობისათვის უნდა გადაეცა).

ვიდრე ადგილობრივი მმართველობის სპეციალური წესები შემუშავდებოდა, ხელისუფლებას ეკრძალებოდა დამნაშავის სიკვდილით დასჯა. ამასთან, სისხლის სამართლის, ტყვეთა სყიდვის, ძარცვის, ღალატისა და სხვა დანაშაულის მძიმე საქმეები, სამხედრო-საველე სასამართლოს უნდა გაერჩია.

თავად-აზნაურთა, აგრეთვე გლეხთა სამოქალაქო დავის სხვადასხვა საქმე თავად-აზნაურთა სპეციალურ კომისიას დაექვემდებარა, ხოლო მისი შედეგები (სადავო საქმის მნიშვნელობის შესაბამისად) იმერეთის ან საქართველოს ადმინისტრაციას უნდა დაემტკიცებინა.

მითითებისამებრ დასახელებულ კომისიას მხოლოდ იმ თავად-აზნაურთა საქმე უნდა გამოესწორებინა, ვინც უკანასკნელი ექსპედიციის დროს (1810 წ. იგულისხმება) ცარიზმისადმი ერთგულება და გულმოდგინება გამოიჩინა, დანარჩენთა, ე. ი. მოწინააღმდეგეთა საქმეები, სპეციალურ მითითებამდე, ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო.

[1] АКАК, т. IV, с. 256—257.

სახელდახელოდ შემოღებული წესები გარკვეულად ზღუდავდა თავად-აზნაურთა უფლებებს ყმებზე. თავად-აზნაურებს სპეციალური სასამართლოს გარეშე არ შეეძლოთ ყმათა ხელყოფა, ყიდვა-გაყიდვა, ფიზიკური დასჯა და სხვ.

გამონაკლის შემთხვევაში, ახლად შემოღებული წესები ოკრუგის უფროსს ნებას რთავდა მიწათმოქმედთა წახალისებას, ამ მიზნით სახაზინო ველების, ტყეების, საძოვარ-საბალახო ადგილების გამოყენებას და სხვ.[1].

ოკრუგის უფროსი და მისი თანაშემწეები, სამხედრო და სამოქალაქო საქმეებთან ერთად, პოლიციურ მმართველობასაც ახორციელებდნენ, ოღონდ მათ მხოლოდ ისეთი საქმის განხილვა შეეძლოთ დამოუკიდებლად, რომლის ღირებულება 50 მანეთს არ აღემატებოდა. ადგილობრივ ადათ-წესის საფუძველზე საქმის განხილვისას თანაშემწე ვალდებული იყო ოკრუგის უფროსიც საქმის კურსში შეეყვანა. სათანადო კანონ-წესების შემუშავებამდე, მთელი იმერეთის დროებითი მმართველობა, ძირითადად, ძველებურ კანონებსა და ადათ-წესებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.

სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის უზრუნველყოფისათვის (ე. ი. წესრიგის დაცვისათვის) ოკრუგის უფროსს უნდა ჰყოლოდა შეიარაღებული ძალა: ფეხოსან ჯარისკაცთა ასეულის, ოცდაათი ცხენოსანი კაზაკისა და ერთი ოფიცრის შემადგენლობით.

ოკრუგის უფროსს ევალებოდა:

1) თავის სამოქმედო ტერიტორიაზე სრული წესრიგის უზრუნველყოფა;

2) მასობრივ-ინფექციური დაავადების გამოვლინებისთანავე, საქმის ვითარების იმერეთის მმართველობისადმი შეტყობინება;

3) მკვლელობის, ქურდობისა და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება, აგრეთვე სხვა დანაშაულებრივი საქმეების (რომელიც მის კომპეტენციაში არ შედიოდა) საერთო მმართველობისადმი გადაცემა:

4) შეთქმულების, უკმაყოფილო თავყრილობების და სხვა ამგვარი შემთხვევების ზემდგომი მმართველობისადმი შეტყობინება, ყველა შესაძლო ზომის მიღება მათი ლიკვიდაციისა და უვნებლობისათვის;

5) ადგილობრივი საკომუნიკაციო საშუალებების (გზების, ხიდებისა და სხვ.) წესრიგში მოყვანა;

6) დაწესებული გადასახადების აკრეფა, მიწათმოქმედებისა და შრომისმოყვარეობისათვის ხელის შეწყობა და სხვ.[2].

1810 წ. 10 ივნისს პოლკოვნიკ სიმონოვიჩს ერთხელ კიდევ მიეცა საქართველოს მთავარმართებლის გენერალ ტორმასოვის მითითება იმერეთის ოლქის დროებითი მმართველობის სისრულეში მოყვანაზე და ცალკეულ ოკრუგთა მმართველობის სათანადო დაკომპლექტებაზე.

1 АКАК, т. IV, с. 257.
2 იქვე, გვ. 261.

ტორმასოვის მითითებით, იმპერატორის უდიდებულესობისადმი ღალატსა და შეურაცხყოფაზე სასჯელს სამხედრო-საველე სასამართლო განსაზღვრავდა. ასევე მკვლელობის, ტყვეთა ტაცებისა და მათ მაჰმადიანებზე გაყიდვის, მძარცველ-მოძალადეებისა და სხვა მძიმე დანაშაულობათა საქმეებიც სამხედრო-საველე სასამართლოს უნდა განეხილა.

შედარებით უმნიშვნელო საქმეები კი ადგილობრივ სამოქალაქო სასამართლოს ექვემდებარებოდა. განსაზღვრულ იქნა, რომ პირუტყვისა და სხვა მსგავსი ქურდობის საქმე ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის საფუძველზე განხილულიყო. კერძოდ, დანაშაული ხუთმაგად უნდა ანაზღაურებულიყო (ორი ნაწილი ხაზინას ეძლეოდა, ორი დაზარალებულსა და ერთიც ქურდის მპოვნელს); მიწის, ტყისა და სხვა უძრავი ქონების უკანონო მითვისებაც ვახტანგის კანონის საფუძველზე იხილებოდა და ორმაგი ღირებულების გადახდით ისჯებოდა. თუკი დანაშაული ძალადობის გზით მოხდებოდა, დამნაშავის საქმე (როგორც საზოგადოებრივი მყუდროების დამრღვევის) სამხედრო სასამართლოს უნდა გადასცემოდა.

უსამართლო დასმენის, ცილისწამებისა და მსგავსი დანაშაულის ჩამდენის საქმეც ვახტანგის კანონის საფუძველზე უნდა გასამართლებულიყო, — დამნაშავეს ფულადი ჯარიმა უნდა დაკისრებოდა.

საღვთო კანონებისა და წმ. ეკლესიის წინაშე დამნაშავე, აგრეთვე ვახტანგის კანონის შესაბამისი სამართლით ისჯებოდა. უმნიშვნელო საქმეებს სახაზინო სოფლებში მოურავები იხილავდნენ და წყვეტდნენ, ხოლო საბატონო სოფლებში და სასულიერო დარგში დამნაშავეთა გამგებელი თავად-აზნაურები და სასულიერო პირები.

მთავარმართებლის მითითებით უნდა მოგვარებულიყო აგრეთვე იმერეთის ყოფილი სამეფო ქონებისა და შემოსავლების საკითხი, რომელიც ახლა ხაზინას უნდა დაქვემდებარებოდა. საქმის საბოლოო გადაწყვეტილებამდე, ამ უწყების გადასახადები ძველებურად უნდა დარჩენილიყო. შესაძლებლობისამებრ ასეთი გადასახადი ფულადით უნდა შეცვლილიყო, გარდა პურისა, რომელიც კვლავ ძველებურად უნდა დარჩენილიყო [1].

მას შემდეგ, რაც იმერეთი უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში შევიდა (ე. ი. მეფობის გაუქმების შემდეგ), ადგილობრივ თავად-აზნაურთა, აგრეთვე სამღვდელო პირთა უფლებები და პრივილეგიები ძირითადად ძველებურად დარჩა, მაგრამ მათ მაჰმადიანებთან ყმებით ვაჭრობა აეკრძალათ, ხოლო სასულიერო პირებს როგორც მაჰმადიანებთან, ასევე ქრისტიანებთანაც, რადგან რუსული კანონით, ჯერ ერთი, ეს საერთოდ არ შეესაბამებოდა სასულიერო სჯულს და, მეორეც, სასულიერო გლეხები სასულიერო პირების უშუალო კუთვნილებას კი არ შეადგენდნენ, არამედ ეკლესია-მონასტრებისას[2].

---

[1] AKAK, т. IV, с. 285.
[2] იქვე.

სიმონოვიჩს მიეთითა, რომ სახაზინო, საერო და საეკლესიო მამულების საზღვრები ძველ ფარგლებში დაეტოვებინა, როგორც ეს იმერეთის მეფობის დროს იყო. რაც შეეხებოდა დამნაშავეებისათვის ჩამორთმეულ მამულებსა თუ სხვა ქონებას, მის ყოფილ მესაკუთრეებისადმი დაბრუნებაზე, ამ არასასურველ ვითარებაში, თავი უნდა შეეკავებინა. ხოლო, როცა ამისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, იმერეთის მმართველს ნება ეძლეოდა, იმ პირებისადმი, რომლებიც მეფის თვითმპყრობელობისადმი ერთგულებას გამოიჩენდნენ, კანონიერი დახმარება აღმოეჩინა.

სიმონოვიჩს მიეთითა, რომ თანამედროვე, მერყეე სიტუაციაში, ფრთხილად მოქცეულიყო, თავად-აზნაურთა უფლებების შეზღუდვას მორიდებოდა, მათთვის შთაეგონებინა, რომ ქვემდგომების (იგულისხმება გლეხობა) გაღატაკება მათთვისაც საზარალო იყო. ამასთანავე, სიმონოვიჩს მიეთითა, რომ ერთგვარი ანგარიში გაეწია თავად-აზნაურთა მეტისმეტი სიღარიბისათვის. ასეთებისათვის ნება დაერთო ყმებით ევაჭრათ (ქრისტიანებს შორის, საქართველოს ფარგლებში — სპეციალური ნებართვით), ოღონდ ოჯახის წევრთა განცალკევება არ შეიძლებოდა[1].

რაც შეეხებოდა მოღალატეებს (თბილისიდან მეფესთან ერთად ახალციხეში გაქცეულებსა და სხვებს) და მათ დასჯას (მათთვის მამულების თუ სხვა ქონების ჩამორთმევას), სიმონოვიჩს დაევალა, რომ ემოქმედა იმპერატორის სარგებლიანობის შესაბამისად, რადგანაც დამნაშავეების დასჯაც და ერთგულების წახალისებაც აუცილებელი იყო წესრიგის დასამყარებლად.

გენერალ ტორმასოვის მითითებით, ერთგულების შემწყნარებლობა იმიტომაც იყო საჭირო, რომ სხვებსაც მაგალითი გადაეღოთ და მეფის მმართველობას შეგუებოდნენ, ხოლო მტრების დასჯა, მათთვის მამულებისა და სხვა ქონების ჩამორთმევა იმისათვის, რომ მტრები სიღარიბეში ჩავარდნილიყვნენ და ერთგულება ემჯობინათ[2].

სიმონოვიჩს მიეცა ინსტრუქტაჟი, ნაკლებად შეეცვალა ძველი ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებები, რასაც ხალხი შეჩვეული იყო, სათანადოდ დაეცვა ძველი უფლებები და პრივილეგიები, რათა ამით თავადაზნაურობა მტერს არ მიმხრობოდა და თვითმპყრობელობას არ დაპირისპირებოდა[3].

როგორც ვხედავთ, მეფის მთავრობა საქართველოს თავად-აზნაურთა უფლებებს და პრივილეგიებს კლასობრივი თვალთახედვით უდგებოდა, ამ პრივილეგიებს იმის შესაბამისად აღიარებდა და იცავდა, თუ რა სარგებლობასა და სამსახურს გაუწევდა მის ბატონობას.

ჯერ კიდევ, იმერეთის დროებითი მმართველობის ჩამოყალიბებამდე,

---

[1] АКАК, т. IV, с. 285.
[2] იქვე, გვ. 303.
[3] იქვე, გვ. 286.

თვითმპყრობელობა შეუდგა სოლომონის მომხრე რაჭის თავად-აზნაურების დასჯას. რაჭაშიც დანგრეულ იქნა ის ციხე-სიმაგრეები (ონის, ხოტევის, სადმელის, ხვანჭკარის და სვირის), რომლებიც ცარიზმის რაზმებმა არ დაიკავეს და შესაძლებელი იყო მტრის მიერ მათი გამოყენება. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრდა.

თბილისის ციხიდან გაქცეულმა მეფემ და მისმა ერთგულმა თავადებმა (რომელთა შორის ერისთავებიც იყვნენ), შეძლეს მთელი იმერეთი აემოძრავებინათ და თვითმპყრობელობისათვის დაეპირისპირებინათ. გაქცეული სოლომონის მოწოდებას თითქმის მთელი იმერეთის მოსახლეობა გამოეხმაურა, 1810 წ. ივნისში იმერეთი უკვე აჯანყების კვამლში იყო გახვეული. სოლომონის ამალა, რომელსაც ლეკთა რაზმიც (ექვსასიოდე კაცი) ახლდა, ახალციხიდან ბაღდადში გადავიდა, სადაც აჯანყების ცენტრი იყო, ბრძოლა აჯანყებულებსა და მეფის რეგულარულ სამხედრო ნაწილებს შორის თითქმის ორ თვეს გრძელდებოდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ თვითმპყრობელობის ჯარს ეხმარებოდა სამეგრელოსა და გურიის, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს რაზმებიც. უთანასწორო ბრძოლამ მრავალი აჯანყებული შეიწირა და გამარჯვება თვითმპყრობელობას დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ გაძევებულ მეფესა და მის ერთგულ თავადაზნაურებს სხვებიც თანაუგრძნობდნენ, აჯანყება რაჭას მაინც არ მოედო, რადგან იქ გაძლიერებული რაზმი იყო დაბანაკებული და, ამასთან, ადგილობრივ თავად-აზნაურთა უმრავლესობა მეფის მთავრობის მხარეზე იყო.

სხვათა შორის, სოლომონს თანაუგრძნობდა სამეგრელოსა და ლეჩხუმის ზოგიერთი თავადიც, მათ შორის ბერი გელოვანიც, მაგრამ აჯანყებაში არც ლეჩხუმის მოსახლეობა ჩაბმულა.

აჯანყების დროს და მისი ჩაქრობის შემდეგაც, იმერეთში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. თვითმპყრობელობის რეპრესიებს წყალდიდობა და მოუსავლიანობა მოჰყვა, შემდეგ კი შიმშილი და შავი ჭირიც, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო (სვანეთისა და აფხაზეთის ჩათვლით) და რომელმაც საბოლოოდ მოსახლეობის მესამედზე მეტი იმსხვერპლა: „მოისრნენ ურიცხვნი სულნი, ვითარცა ქართველთანი, აგრეთვე უმრავლესნი რუსთა მხედრობანი და განგრძელდა და ჭირი იგი საქართველოსა შინა ვიდრე ოთხ წლამდისინა: გარნა იმერეთსა შინა ყოველგან აჰსწყდა უმრავლესი სული, რომლისა რიცხვი შეუძლებელ არს აღწერად, რომლისა გამო აღიფხუვრნენ მრავალნი სოფელნი იმერეთსა შინა ძირითურთ ჟამსა ამას“ [1].

თუ რა მსხვერპლი მოჰყვა დასავლეთ საქართველოში (1810—1812 წწ.) შიმშილსა და ინფექციურ დაავადებას, ამის ერთგვარ წარმო-

---

[1] დ. ბატონიშვილი, ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 98.

დგენას გვაძლევს მეფის მოხელეთა ზოგადი აღრიცხვა, რომლის მიხედვით მარტო იმერეთის ყოფილ სამეფოში 32 750 სული გარდაიცვალა (აქედან 3 000 რაჭაში), ხოლო სხვაგან გადასახლდა ან გაიყიდა 9 450 ადამიანი. აღნიშნულ წლებში იმერეთის მოსახლეობა სულ მცირე 42 200 სულით მაინც შემცირდა[1].

იმერეთში, ოდიშსა და გურიაში საშინელი სენის (ჟამის) გავრცელებაზე მსგავს ცნობას გვაწვდის ნ. დადიანიც, რომლის მიხედვით, ჟამმა უამრავი ადამიანი იმსხვერპლა და მრავალი სოფელი დატოვა ოხრად[2].

აჯანყების ჩახშობის შემდეგ თვითმპყრობელობა გაჩანაგებულ იმერეთში უკვე თავისი მმართველობის პრაქტიკულ დანერგვასა და უფრო აქტიური პოლიტიკის გატარებას შეუდგა.

ვითარების ერთგვარი გაუმჯობესების შემდეგ, როდესაც მმართველობის პრაქტიკული განხორციელება დაიწყო, წინასწარ შემუშავებულ წესებში გარკვეული ცვლილება იქნა შეტანილი.

იმერეთის მმართველი აპარატი, თავმჯდომარის გარდა, შედგებოდა: სახლთუხუცესის (იგივე დივანის უფროსი), პროკურორის, ოთხი მდივანბეგის, ოთხი მდივნის, ბოქაულთუხუცესის, მეღვინეთუხუცესის, ხაბაზთუხუცესის, ორი ხევისთავის, რუსი მდივნის, რუსი ხაზინადარის, ოთხი თარჯიმნის (ერთი ქართულის, მეორე თათრულის და ორი რუსულის მცოდნე) და კანცელარიის ორი მწერლისაგან.

ხახაზინო ციხესიმაგრეებისა და სოფლების მართვა მოურავთა ხელში რჩებოდა. ოკრუგების მმართველი შტატი კი არსებითად უცვლელი დარჩა[3].

როგორც იმერეთის ოლქის აპარატის მუშაკებს, აგრეთვე ოკრუგების უფროსებს ხელფასი ვერცხლის ფულით დაენიშნათ, ქართველ სამოქალაქო მოხამსახურეებსა და მოურავებს ძველი ფუნქციები და ხელფასი დარჩათ. იმერეთის ოლქისა და მისი ოკრუგის შტატები და დაფინანსება 1814 წელს დამტკიცდა[4]. დადგინდა, რომ რაჭის ოკრუგის მმართველი შტატის ადგილსამყოფელი სხვავაში ყოფილიყო.

დებულებით, იმერეთის ოლქის მმართველობის „უმაღლეს ორგანოს“ წარმოადგენდა საერთო კრება, რომელსაც მმართველი და მისი მრჩეველი იწვევდნენ და მათვე ჰქონდათ გადამწყვეტი ხმის უფლება. საჭიროების შემთხვევაში საერთო კრებას ესწრებოდნენ ადგილობრივი თავად-აზნაურები, რომელთაც მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდათ[5].

მიუხედავად აღნიშნულისა, იმერეთის ოლქს (თავისი ოკრუგებიანად) ერთპიროვნულად განაგებდა რუსი მმართველი, სამხედრო გენერალი

---

1 АКАК. т. V, с. 97.
2 ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 203.
3 АКАК. т. IV, с. 257.
4 იქვე, გვ. 175.
5 Эсадзе С. Историческая записка об управлении Кавказом, Тифл., 1907. с. 62.

(თავმჯდომარე), რომელიც აგრეთვე ადგილზე დაბანაკებული ჯარის უფროსიც იყო. სისხლის სამართლის მძიმე საქმეებს სამხედრო-საველე სასამართლო განაგებდა, ხოლო დანარჩენებს ე. წ. „სადივანო", რომელიც დივანბეგებისაგან შედგებოდა. საბოლოო ჯამში, სასამართლო საქმეების უფროსიც მმართველი იყო.

როგორც კი იმერეთში მმართველობის პრაქტიკული შემოღება გადაწყდა, იმთავითვე დაისვა თვითმპყრობელობის შემოსავლის საკითხიც. მართალია, ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი თუ, საბოლოოდ ხაზინის ხელში რა მოხვდებოდა, მაგრამ ამის გარდა მოსახლეობასაც გარკვეული ვალდებულება უნდა დაკისრებოდა. ჯერ კიდევ, 1811 წ. 25 იანვარს მთავარმართებელი ტორმასოვი იმერეთის მმართველ გენერალ სიმონოვიჩს სწერდა: იმერეთი რუსეთის ერთ-ერთი პროვინციას უნდა წარმოადგენდეს და ახლა აქაც იმავე რაოდენობის გადასახადები უნდა დაწესდეს, რამდენსაც უწინ იხდიდნენ მეფის სასარგებლოდ. იგი სიმონოვიჩს ურჩევდა, რომ იმერეთის გადასახადები განესაზღვრა ადგილობრივი პირობების შესაძლებლობისა და აღმოსავლეთ საქართველოს გადასახადების კვალობაზე[1].

ტორმასოვის მითითებით, იმერეთში გადასახადები, პირველ რიგში, უნდა დაწესებულიყო სახაზინო გლეხებზე, რომლებიც ახლა მემამულეებისაგან თავისუფალი იყვნენ. რაც შეეხებოდა საეკლესიო გლეხებს, ტორმასოვის აზრით, მათ მიმართ ჯერჯერობით თავი უნდა შეეკავებინათ, რადგან სამღვდელოება ძლიერი გავლენით სარგებლობდა და მათ დაბეგვრას მოსახლეობა არ აებუნტებინა.

მითითების შესაბამისად, აღრიცხულ იქნა სახაზინო (სამეფო) გლეხობა. მთელ იმერეთში ის 1685 კომლს აღწევდა, თითოეული კომლის უწინდელი გადასახადი (საური) 2 მარჩილს უდრიდა წელიწადში (მარჩილი 52 ფარას უდრიდა, ხოლო ვერცხლის მანეთი — 120 ფარას). საუდიეროს უწინ მხოლოდ 430 კომლი იხდიდა, რაც 2902 ფუთ ღომს. 1 161 ფუთ ხორბალსა და 12 900 თუნგ ღვინოს უდრიდა. უწინდელი გადასახადი პირუტყვის სახით (რომელსაც სოფლობით იხდიდნენ) 500 სულს შეადგენდა[2].

რაჭის სოფლების: გლოლას, ღებისა და ჭიორას მოსახლე თითოეული კომლი წელიწადში თითო ცხვარს იხდიდა, ხოლო უწერის თითოეული კომლი — 6 ბათმან ხორბალს, რაჭის ზოგიერთ სახაზინო სოფელს (ერთად) წელიწადში ერთი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დაეკისრა, ხოლო რაჭის ოკრუგში შემავალ სვანეთის სოფელ უშგულს — წელიწადში სულ 3 ბათმანი წამალი (დენთი, რომელსაც შინ ამზადებდნენ)[3].

საქართველოს მთავარმართებლისა და იმერეთის მმართველის დავალებით, 1811 წ. სახლთუხუცესმა ზ. წერეთელმა (მას ახალ მმართველო-

---

[1] AKAK, т. IV, с. 352.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ბაშიც ეს თანამდებობა დარჩა) აღწერა რაჭის სოფლები და მოსახლეობა. ამ მონაცემების საფუძველზე რაჭა შედგებოდა ოთხი საბატონოსაგან. საერისთავოს, საწულუკიძეოს, საიაშვილოსა და საჯაფარიძეოსაგან, აგრეთვე ერთი ეპარქიისაგან[1].

ზ. წერეთლის აღწერის მიხედვით, ციხე მინდა, ხიდისკარი, წესი, ლიხეთი, ურავი და ამბარი უძველესი დროიდანვე ერისთავთა სამკვიდრო (მეფისაგან ნაწყალობევი) მამულები იყო. თავის დროზე ერისთავებმა მიითვისეს მათ მიერ ამოწყვეტილი იაშვილების, ჯაფარიძეებისა და წულუკიძეების მამულები, აგრეთვე იმერეთის მეფის სახასო ქონება და აზნაურების: ყიფიანების, ლიპარიშვილების, გამრეკელიძეებისა და სხვათა მამულები, მათ შორის: გლოლა, უწერა, ჭიდროთა, ჭიორა, ღები და სხვა. ფაქტობრივად რაჭის დიდი ნაწილი. ზ. წერეთლის რწმუნებით, სოლომონ პირველმა ერისთავი და მისი საგვარეულო მძიმედ დასაჯა (ზოგი გაწყვიტა, ზოგიერთსაც მამულები წაართვა და სხვ.). მაგალითად, იაშვილების მამულების ნაწილი და ციხე კვარა მეფემ დაისაკუთრა, ნაწილი მაჩაბელს უწყალობა, ხოლო ჯაფარიძეებს თავისი დაუბრუნა[2]. ასევე ერისთავთა ყოფილი ციხე-მამულები: მინდა, წესი, ხიდისკარი, ლიხეთი, გრავი და ამბარი სოლომონმა ლეონიძეს უწყალობა. 1811 წ. ამ ციხეებსა და სოფლებს უკვე მეფის მთავრობის ერთგული ანტონ ერისთავი დაეუფლა. ანტონი, მისი ბიძა და ბიძაშვილები დაეპატრონენ აგრეთვე სოლომონთან თურქეთში გაქცეულ თანამოძმე ერისთავიშვილთა მამულებს.

იმერეთის მეფეთა ნაწყალობევ მამულებს რაჭაში ფლობდა აგრეთვე ზ. წერეთელი, რომელიც ადრე რაჭის მოურავი იყო. რაც შეეხება რაჭის იმ თავად-აზნაურთა მამულებს, რომლებიც იმერეთის აჯანყების დროს ამოწყდნენ, მეფის თვითმპყრობელობის ხაზინა დაეუფლა.

რაჭაში იყვნენ აგრეთვე საეკლესიო გლეხები, რომლებიც თავის დროზე მეფის, ერისთავების ან სხვა თავად-აზნაურების მიერ იყვნენ ეკლესიისადმი შეწირული.

1811 წ. 3 მარტს, იმერეთის მმართველის წარდგინებით, რაჭის ოკრუგის უფროსად ტორმასოვმა დანიშნა ანტონ ერისთავი, რომელიც მთავრობისათვის სანდო პირი იყო[3].

მმართველობის ჩამოყალიბებისთანავე მეფის მთავრობა დაინტერესებული იყო იმერეთის მოსახლეობისაგან სარფიანი შემოსავალი მიეღო, მაგრამ მოუსავლიანობამ, აგრეთვე ინფექციური დაავადებით გამოწვეულმა უდიდესმა მსხვერპლმა 1811 წ. გადასახადების აღება შეუძლებელი გახადა. კიდევ მეტი, 1811 წ. ივლისში ტორმასოვი გურევს ატყობინებდა, რომ წყალდიდობის, ნაადრევი ყინვებისა და თურქების თარეშის გამო, წინა წელს იმერეთს მოუსავლიანობა დაატყდა, ხოლო სუ-

---

1 АКАК, т. IV, с. 91.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 356.

სხვანი ზამთრის გამო პირუტყვი დაეცა. ამასთანავე, მოსავალი არც წელს (ე. ი. 1811 წ.) მოვიდაო. ყოველივე ამის გამო, იმერეთში 40 ათასი ოჯახი შიმშილობდა[1]. ყველაფერ ამას, საშინელი ინფექციური დაავადებაც დაერთო. გამოუვალმა მდგომარეობამ სიმონოვიჩი და ტორმასოვი აიძულა რუსეთიდან (შავი ზღვით) პურის მიწოდება ეთხოვათ, რათა იგი ფულზე ან სესხით გაეცათ[2].

იმერეთში და რაჭაში გაუგონარი შიმშილობა და ავადმყოფობა მძვინვარებდა 1811 წლის ბოლოსაც. საქართველოს ახალი მთავარმართებელი მარკიზ პაულიჩი გურევს სწერდა, რომ მას მძიმე სასურსათო მდგომარეობის გამოსასწორებლად აღმოსავლეთ საქართველოდან არ ჰქონდა საშუალება მოსახლეობისათვის სურსათ-სანოვაგე მიეწოდებინა, ამიტომ თხოვდა, როგორმე 15 ათასი „ჩეთვერთი" პური და 10 ათასი მანეთი (ვერცხლით) ფული გამოეყო, რათა დამშეული და დაავადებული ხალხი ეხსნა[3].

მარკიზ პაულიჩი ასეთივე შინაარსის წერილს სწერს პოლიციის მინისტრ ბალაშოვსაც, რომელსაც ატყობინებდა, რომ საჩხერეში, ჩხარსა და რაჭაში დამღუპველი სენის გარდა შიმშილობა სუფევდა, რომლის შედეგად რამდენიმე ათასი ადამიანი დაიღუპაო[4].

არაერთი თხოვნის შემდეგ 1812 წლის იანვარში თვითმპყრობელობამ იმერეთის დამშეულ მოსახლეობას გამოუყო 10 ათასი მანეთი (ვერცხლით) სესხი სურსათის შესაძენად, ამასთანავე აღუთქვა, რომ გაზაფხულზე ყირიმიდან პურსაც მიაწოდებდა[5]. აღნიშნულთან ერთად, იმერეთის მოსახლეობა დროებით განთავისუფლდა ნატურით გადასახადისაგან და გურიისა და სამეგრელოს მფლობელებს ეთხოვათ, შესაძლებლობის მიხედვით, იმერეთის ხალხისათვის სიმინდი და ღომი მიეყიდათ, ოღონდ ურთიერთობისას დიდი სიფრთხილე დაეცვათ, რათა სენი არ გაევრცელებინათ[6].

ბოლოს, მეფის მთავრობამ იმერეთში ყირიმიდან შეზიდა პური, რითაც დიდი დახმარება აღმოუჩინა მოსახლეობას და ბევრი იხსნა შიმშილით სიკვდილისაგან.

მშვიდობა არც ლეჩხუმში სუფევდა, როგორც აღვნიშნეთ, მეფესა და დადიანს შორის ბრძოლაში თვით ლეჩხუმის ზედა ფენებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული. ლევან დადიანს ეშინოდა, რომ სოლომონს ლეჩხუმის რომელიმე თავადი არ გადაებირებინა, ამიტომ, გარდა იმისა, რომ იქ მოხელედ თავის საგვარეულოს წარმომადგენელი ჰყავდა, ცდილობდა საჩუქრებით და დაპირებით მოესყიდა ყველა იმის გული, ვისაც მნი-

---

[1] АКАК. т. IV, с. 382.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 93.
[4] იქვე, გვ. 94.
[5] იქვე, გვ. 97.
[6] იქვე.

შვნელოვანი როლი შეიძლება შეესრულებინა ლეჩხუმის ორიენტაციის საქმეში. ასეთთა შორის იყვნენ გელოვანები, რომელთაც დადიანები მემკვიდრეობით აძლევდნენ ლეჩხუმის მოურავის თანამდებობას.

ერთ-ერთი ასეთი მოურავთაგანი და ამავე დროს, „ლეჩხუმის მთავარსარდალი" იყო ბერი გელოვანი, ჩანს, ადრე იგი გრიგოლ დადიანს ერთგულობდა, მაგრამ, შემდეგ ზოგჯერ სოლომონ მეფის მხარეზე იხრებოდა. ყოველ შემთხვევაში, ლევანის დედა ნინო დაეჭვდა ბერი გელოვანის ერთგულებაში და მისი თანამდებობიდან მოხსნა მოიწადინა. უნდა ითქვას ისიც, რომ იმერეთის მმართველი სიმონოვიჩი გელოვანს ნდობით ეპყრობოდა, ხოლო თავის დროზე, როდესაც გრ. დადიანი მეტად შევიწროებული იყო სოლომონისაგან, ბ. გელოვანმა მას დიდი სამსახური აღმოუჩინა — ბრძოლით დაიცვა. ამ დამსახურების გამო დადიანმა გელოვანის ვაჟიშვილი კიდევაც დაისიძა.

1810 წ. სამეგრელოს დედოფალმა ნინო დადიანმა გენერალი გრ. ორბელიანი მიიმხრო და ლეჩხუმის მოურავად ნიკო დადიანის დანიშვნა გადაწყვიტა, რაც სიმონოვიჩსაც აცნობა. თუმცა ეს უკანასკნელი 1810 წ. 29 მარტს მთავარმართებელ ტორმასოვს სწერდა, რომ მან დადიანს უარი შეუთვალა გელოვანის გადაყენებაზე, რადგან რუსეთის ერთგული ბ. გელოვანი ხალხში დიდი გავლენით სარგებლობდა. სიმონოვიჩს ეშინოდა მის გადაყენებას რაიმე უსიამოვნება არ მოჰყოლოდა. სხვათა შორის, სიმონოვიჩი ტორმასოვს იმასაც შეახსენებდა, რომ ბ. გელოვანის მამა ქაიხოსრო, რომელიც აგრეთვე ლეჩხუმის მოურავ-სარდალი იყო, უწინ მტრობის ნიადაგზე დადიანმა თავის თვალწინ მოაკვლევინა და მისი მოჭრილი თავი სოლომონ მეფეს გაუგზავნა. სიმონოვიჩი ატყობინებდა, რომ ბ. გელოვანი ბევრს აკეთებდა მათ სასარგებლოდ. იგი შეახსენებდა, რომ გელოვანმა ლეჩხუმის რაზმით დიდი დახმარება აღმოუჩინა ოკრიბისა და რაჭის დამორჩილებაში. ბოლოს, სიმონოვიჩი სწერდა, რომ ლეჩხუმის მოურავ ბერ გელოვანს, თავის ციხეებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ თუნდაც ნინოსთან პირადი მტრობის გამო, მისი გადაყენება მიზანშეუწონლად მიმაჩნიაო [1].

მიუხედავად სიმონოვიჩის რჩევისა, შეეჩერებინა ლეჩხუმის საქმე, ნინო დადიანი თავის გადაწყვეტილებას ბ. გელოვანის გადაყენებაზე არ იშლიდა[2]. ამასობაში ნინო დადიანს სამეგრელოშიც ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, კერძოდ, მაზლები: მანუჩარ და ტარიელ დადიანები. ტარიელმა დადიანობა მოიწადინა და სოლომონს სთხოვდა დახმარებას. სიმონოვიჩის რჩევით, ნინო იძულებული გახდა ტარიელისათვის მამულის დაბრუნება აღეთქვა, მაგრამ დაპირება არ შეასრულა. ამის გამო ტარიელ დადიანი თავის რაზმით, აგრეთვე დაქირავებული ახალციხის ფაშისა და

---

[1] АКАК, т. IV, с. 395.
[2] იქვე, გვ. 396.

ლეკთა ჯარით იმერეთში წამოსულ სოლომონს შეუერთდა. ნინო დადიანის წინააღმდეგ სამეგრელოში იბრძოდა მანუჩარიც, რომელიც, აგრეთვე მეტად შევიწროებული იყო.

ნინო დადიანის დევნის გამო ბერი გელოვანიც უკმაყოფილო იმერლების მხარეზე აღმოჩნდა, ნინოს ლევან გელოვანიც (ბერის ძმა) აუბუნტდა. სხვათა შორის, თავის დროზე ლ. გელოვანიც მეფის მთავრობის მხარეზე იბრძოდა სოლომონისა და ახალციხის ჯარის წინააღმდეგ (სადაც კიდევაც დაიჭრა), ახლა კი ლეჩხუმის ციხეში იყო ჩაკეტილი და დადიანს ებრძოდა.

ნინოს ეშინოდა ლევანისათვის (რომელიც მისი მემკვიდრე იყო) დადიანობა არ წაერთმიათ და არ ცხრებოდა, არავის ინდობდა. მალე მან გელოვანს თანამდებობასთან ერთად მამულებიც წაართვა, ხოლო მის შვილს თავისი ასული მოსტაცა (გააშორა).

1811 წ. მარტში ტორმასოვმა ნინოს წერილით მიმართა, რომელშიც შეახსენა, რომ ქვეყნის შიგნით ასეთი ბრძოლა და დაპირისპირება სასიკეთოს არაფერს მოუტანდა. ტორმასოვი სამეგრელოს დედოფალს სწერდა, რომ მონარქმა მას დიდი უფლებამოსილება არგუნა, მაგრამ ბ. გელოვანისათვის მემკვიდრეობითი მამულის წართმევის უფლება არავის მიუცია, მითუფრო ნასყიდი და შეძენილი მამულის საკუთრების უფლებას რუსეთის კანონებიც იცავსო.

ტორმასოვი ნინოს შეახსენებდა, რომ გელოვანები დამსახურებული და ძლიერი თავადები იყვნენ, რომ მათ დიდი გავლენა ჰქონდათ ლეჩხუმსა და სვანეთში და ამიტომ მათი ხელყოფა საშიში საქმე იყო. ამის გამო ტორმასოვი დაბეჯითებით მოითხოვდა ბ. გელოვანისათვის მამულის, ხოლო შვილისათვის — მეუღლის დაბრუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი რაიმე არეულობა მოხდებოდა, ყოველივეს იმპერატორს შევატყობინებო [1].

თავის მხრივ ნინო ყველაფერს აკეთებდა, რათა მოწინააღმდეგე ბოლომდე მოესპო. იგი ბ. გელოვანს, მანუჩარ და ტარიელ დადიანებს რუსეთისადმი მტრობაში და სოლომონ მეფისადმი მხარდაჭერაში ადანაშაულებდა (თითქოს ყულევთან ბრძოლის დროს ისინი რუსეთის გარნიზონის წინააღმდეგ იბრძოდნენ).

ნინო მანუჩარსა და ტარიელს ასმენდა, თითქოს, როდესაც თურქეთის ჯარი ფოთის ციხესიმაგრეში იმყოფებოდა, ისინი ორბელიანის წინააღმდეგ მოქმედებდნენ და ბერი გელოვანი და მისი შვილი სერასკირ ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში რუსებს არ დაეხმარნენ. ამის გარდა, ნინო ბ. გელოვანს აბეზღებდა — ლეჩხუმშიც უკანონოდ მოქმედებსო [2]. სამეგრელოს დედოფალი ამითაც არ დაკმაყოფილდა და გიორგი და ბეჟან მხეიძეებიც დაასმინა, თითქოს ისინი ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობდნენ

---

1 АКАК, т. IV, с. 401—402.

2 ი ქ ვ ე, ტ. 5, გვ. 495.

თურქებთან და რუსი რაზმების სურსათ-სანოვაგესაც იტაცებდნენ.

ნინო დადიანი ცდილობდა თავიდან ჩამოეშორებინა ყველა მეტოქე. ის ათასნაირ ფანდს იგონებდა იმისათვის, რომ ტარიელ და მანუჩარ დადიანები, ბეჟან და გიორგი მხეიძეები, აგრეთვე გელოვანები და სხვა მეტოქეები თვითმპყრობელობის დაუძინებელ მტრებად მოენათლა, ყველა ისინი რუსეთში გადაესახლებინათ და სამეგრელოში მარტო თავისი მემკვიდრე დარჩენილიყო.

ტარიელ დადიანი, რომელიც სოლომონთან იმყოფებოდა, მართლაც თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ ზოგიერთი თავადი, რომელსაც დადიანი ასმენდა, ნინოზე არანაკლებ ემლიქვნელობდა თვითმპყრობელობას, ამიტომ მეფის მოხელეები ყველას მიმართ ნინოს აზრს არ იზიარებდნენ და ყველა მათგანს რუსეთში გადასახლებას არ უპირებდნენ.

სიმშვიდე არც რაჭაში სუფევდა. იქაური თავადებიც ერთიმეორეს ეჭიშპებოდნენ, თუ ვინ დაიჭერდა უპირველეს ადგილს. ამ მიზნით ზოგი მეფის მოხელეებს ეტმასნებოდა, ზოგიერთიც თურქეთში გაქცეულ სოლომონს. ამასთან ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ვინ მეტ ყმა-მამულს ჩაიგდებდა. ამას ემატებოდა ოსების თავდასხმებიც ტყვეების, პირუტყვის თუ სხვა სიმდიდრის დასატაცებლად.

1812 წ. ზაფხულში გენერალმა სიმონოვიჩმა დაავალა მაიორ გრიგოლ წერეთელს (სახლთუხუცეს ზურაბის შვილს) აღეკვეთა ოსთა თავდასხმები. მალე გრ. წერეთელი, რაჭის რაზმით, მეზობელ ოსთა წინააღმდეგ გაილაშქრებს, დამნაშავეებს დაატყვევებს, შემდეგ რაჭაში მიიპატიჟებს დიგორელ გავლენიან აზნაურებს კუბადისოვს, ძმებს აბესალოვებს და სხვებს, რომელთაც მეფის მთავრობის ერთგულებაზე დააფიცებს [1].

იმერეთთან ერთად სამეგრელოშიც გრძელდებოდა თავად-აზნაურთა შორის ბრძოლა, რასაც შიმშილთან, ინფექციურ სენთან, თურქთა თარეშთან და მეფის მოხელეთა ძალადობასთან ერთად, მშრომელი მოსახლეობისათვის უდიდესი ტანჯვა-წამება მოჰქონდა.

მეფობის გაუქმების შემდეგ (1810-დან 1814 წლამდე), მეფის მთავრობის მმართველობა იმერეთში მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ, როდესაც უფრო მყარი მდგომარეობა შეიქმნა, ცარიზმის მოხელეებმა მოწინააღმდეგეთა მიმართ ენერგიული ზომების გატარება დაიწყეს.

უწინ დამტკიცებულ მმართველობის სტრუქტურაში ახლა ნაწილობრივ ცვლილებები მოხდა. იმერეთში მეფისდროინდელი სახლთ-უხუცესის, ქუთაისის მოურავის, ბოქაულთ-უხუცესის და ხევისთავის თანამდებობები გაუქმდა. მმართველ სიმონოვიჩს უფლება ეძლეოდა, რასაც ზედმეტად ჩათვლიდა, მთავარმართებელთან შეთანხმებით გაეუქმებინა.

---

[1] АКАК, т. IV, с. 515.

სოფლის მოურავები კვლავ რჩებოდნენ, ოღონდ ოკრუგის უფროსს ყოველმხრივ უნდა დაქვემდებარებოდნენ. ისინი ვალდებული იყვნენ სამოქმედო სოფელში თვითმპყრობელობის სასურველი წესრიგი დაემყარებინათ და დაწესებული გადასახადებიც დროულად აეკრიფათ.

მდგომარეობის ნორმალიზაციისთანავე იმერეთის მმართველი შეუდგა გადასახადების დაწესებას, მაგრამ, როგორც ის გენერალ რტიშევს სწერდა (კავკასიის ხაზის მთავარსარდალს), მოსახლეობის უმრავლესობა გადასახადების გადახდაზე უარს აცხადებდა მეტისმეტი სიღარიბის გამო, ან იმ მიზეზით, რომ უწინ მას არ იხდიდა. იმერეთის მოსახლეობა აცხადებდა, რომ დაწესებული გადასახადები მხოლოდ მაშინ გროვდებოდა, როცა კარგი მოსავალი მოდიოდა და ქვეყნად სიწყნარე სუფევდა. სხვა შემთხვევაში, თითქოს ეს გადასახადები მცირდებოდა, ან სულ უქმდებოდა. მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, იმერეთის მმართველი იძულებული იყო სახაზინო სოფლებში კომლზე დაწესებული 15 ბათმანი ხორბლისა და 40 ჩაფი ღვინის ნაცვლად, მხოლოდ ნახევარს დასჯერებოდა, თუმცა მისი აღებაც უჭირდა.

რაც შეეხებოდა საბატონო გლეხებს, რომელთა მესამედზე მეტი სხვაგან გახიზნული, ან სენით იყო გაწყვეტილი, სიმონოვიჩი დათანხმდა, რომ მათი უმრავლესობა სახელმწიფო გადასახადებს არ გადაიხდიდა (მხოლოდ თავიანთ მებატონეებს მოემსახურებოდნენ), მაგრამ საბატონო გლეხთა ნაწილს, რომელიც უწინ მეფისადმიც იყო ვალდებული, სახელმწიფო გადასახადები უნდა გაეღო[1].

1815 წ. 2 ოქტომბერს იმერეთის მმართველმა გენერალმა სიმონოვიჩმა მიიღო გენერალ რტიშევის ბრძანება, რომ იმერეთის თავადაზნაურობისათვის აეკრძალა ყმათა გასხვისება ოლქის ფარგლებს გარეთ. სიმონოვიჩს მიეთითა, რათა ოკრუგის უფროსები გაეფრთხილებინა, რომ ყმათა გაყიდვა იმერეთშიც მხოლოდ მიწიანად დაიშვებოდა, თანაც ოჯახის წევრთა დაუნაწევრებლად, რომ ასეთი უფლების მიღება მხოლოდ მმართველობის ნებართვით შეიძლებოდა, ამასთანავე ყმის გამყიდველს დაწესებული ბაჟიც უნდა გადაეხადა[2].

მალე მეფის ადმინისტრაციამ იმერეთში აკრძალა ებრაელებისადმი ქრისტიანის მიყიდვა. ის, ვინც ამას ჩაიდენდა, ისჯებოდა ფასის ორმაგი ანაზღაურებით და ოთხი თვის პატიმრობით. გაყიდული ყმა თავისუფლდებოდა, ან გამომსყიდველ ქრისტიანს (ოლქის ფარგლებში) ეძლეოდა[3].

იმის გამო, რომ იმერეთის მხარე (იგულისხმება რაჭაც) მოსახლეობისაგან დაცლილი იყო, ოკრუგების უფროსებს დაევალათ აღმოსავლეთ საქართველოში თუ სხვაგან გახიზნული ოჯახების უკან დაბრუნებაზე ზრუნვა.

---

[1] АКАК, т. V, с. 479.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 485.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 492.

აღსანიშნავია, რომ იმერეთში თვითმპყრობელობის მიერ ნავარაუდევი მმართველობა სრული სახით ვერც ამჟამად განხორციელდა. იმერეთის მმართველი თვითონ, დამოუკიდებლად წყვეტდა ძირითად საკითხებს, საჭირო შემთხვევაში, იგი მხოლოდ საქართველოს მთავარმართებელს ეთათბირებოდა. სასამართლო საქმეების უდიდესი ნაწილი სიტყვიერად ირჩეოდა.

იმერეთსა და რაჭაში 1816 წლიდან დაიწყო სხვაგან გახიზნული ოჯახების უკან დაბრუნება. ზოგიერთ სოფელს უკვე ერთგვარი გამოცოცხლებაც დაეტყო. ბუნებრივია, იმას, ვინც უკან ბრუნდებოდა, თავისი სახლ-კარი და ბაღ-ვენახი გავერანებულ-დაქცეული ხვდებოდა, ამიტომ მას დიდი გაჭირვება ელოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, 1816 წ. ბოლოს იმერეთში მრავალი ოჯახი დაბრუნდა.

მაშინ, როდესაც ქვეყანა ის-ის იყო შიმშილისა და სენისაგან მიღებულ ჭრილობებს იშუშებდა, მეზობელმა მაჰმადიანებმა (ერზრუმისა და ტრაპიზონის ფაშებმა) იმერეთის ჩაგდება მოიწადინეს. 1815 წ. გაზაფხულზე ისინი იმერეთის საზღვრებს მოადგნენ, თან მოსახლეობას ჯაშუშები შეუსიეს, რათა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულიყვნენ, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწიეს და უკან დაბრუნდნენ.

* * *

1817—1819 წლებში იმერეთში კვლავ მძიმე და დაძაბული ვითარება შეიქმნა. მოსახლეობა ისევ გაჭირვებასა და შიმშილს განიცდიდა, ხოლო მეფის მოხელეები თავისას მოითხოვდნენ. ყველაფერი ეს თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მოძრაობას აღვივებდა. ამასთანავე, ბაგრატიონთა მესვეურებს სადღაც ისევ იმედი ჰქონდათ თავიანთი დინასტიის ბატონობის აღდგენისა. ისინი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მოსახლეობის წაქეზებას შეუდგნენ.

ასეთ ვითარებაში, იმერეთის მმართველმა გენერალმა კურნატოვსკიმ არაერთგზის დააყენა საკითხი მოსახლეობისათვის ერთგვარი შეღავათების მიცემაზე, კერძოდ, 1811—1812 წწ. გაცემული სესხის ნაწილობრივ პატიებაზე. თავის მხრივ, მას საქართველოს ადმინისტრაციამაც დაუჭირა მხარი.

საქართველოს ახალმა მთავარმართებელმა ერმოლოვმა 1817 წ. თებერვალში თხოვნით მიმართა იმპერატორ ალექსანდრეს, რათა მეტისმეტი გაჭირვების გამო, იმერეთის ხალხისადმი წყალობა გაეღო და მიღებული სესხი ეპატიებინა. მისი აზრით, ეს გაჭირვებულ ხალხს მთავრობისადმი მადლობის გრძნობით განაწყობდა [1].

დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, 1817 წ. 19 აპრილს, ალექსანდრე პირველმა მართლაც გასცა ბრძანება, რომლის საფუძველზე 1811—1812 წწ.

---

[1] АКАК, т. VI, ч. I, с. 530.

(შიმშილობისა და ეპიდემიის დროს) იმერეთის მოსახლეობისათვის პურის საყიდლად გაცემული სესხის ის ნაწილი, რომელიც აუღებელი იყო, ხალხისათვის ეპატიებინათ[1].

დაძაბული ვითარების მიუხედავად, მეფის მოხელეები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგე თავად-აზნაურებისათვის წართმეული მამულების ხაზინისადმი გადაცემას და მის აღრიცხვას. ამ მიზნით 1817 წ. ზაფხულში აღწერა ჩატარდა რაჭაშიც, სადაც დაახლოებით 2 940 გლეხის კომლი აღირიცხა, აქედან 897 კომლი თავადებს დარჩა, 1 070 კომლი აზნაურებს, ხოლო დანარჩენი ხაზინას გადაეცა[2]. ამ წელს მთავრობამ რაჭის სახაზინო ქონებიდან 586 მანეთის შემოსავალი მიიღო ვერცხლით.

სხვათა შორის, რაჭის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენლებმა — ანტონ და დავით ერისთავებმა (ერისტოვებმა) იმპერატორს მიმართეს თხოვნით, რათა რაჭასა და იმერეთში ადრე კუთვნილი ყმა-მამული დაებრუნებინა. ამასთან დაკავშირებით მათ სათანადო საბუთებიც წარადგინეს. იუსტიციის საიდუმლო მრჩეველმა კოზოდავლევმა შესაძლებლად ცნო ერისთავთა საქმე საქართველოს ადმინისტრაციას გადასცემოდა განსახილველად, რაც დაკმაყოფილებულ იქნა[3].

ამასობაში, იმერეთსა და რაჭაში, ისევ მკვეთრად დაიძაბა ვითარება. რაჭის თავად-აზნაურთა ნაწილმა 1819 წელს შეძლო გლეხობის ნაწილიც აეყოლებინა და მეფის თვითმპყრობელობისათვის დაეპირისპირებინა. ამ წლის ივლისში რაჭის ოკრუგის უფროსი, მაიორი ცაცკა კურნატოვსკის ატყობინებდა, რომ რაჭაში თავი მოიყარა 2 ათასამდე შეიარაღებულმა კაცმა, რომლებიც სხვადასხვა სოფლებში დადიოდნენ საყვირის ჟღარუნით და ხალხს რაზმავდნენ. ოკრუგის უფროსის განკარგულებაში მყოფი რაზმი იძულებული გახდა თავი კვარას ციხისათვის შეეფარებინა. როგორც დადგინდა, ხალხის აღშფოთებისა და გამოსვლის მიზეზი საეკლესიო ყმა-მამულის და ქონების აღწერა და ამაზე გავრცელებული ხმები იყო. ბუნებრივია, საეკლესიო უწყების ახლებურად გარდაქმნა (რეფორმა) მისმა მესვეურებმა პირობების გაუარესებად მიიჩნიეს, ამიტომ წააქეზეს ხალხი.

რაჭის აჯანყებულებმა სოფელი ხიმში დაიკავეს და იმერელ აჯანყებულებს დაუკავშირდნენ, ამასთანავე, მათ გზა გადაუჭრეს ოკრუგის უფროსის დასახმარებლად ქუთაისიდან რაჭაში გაგზავნილ სამხედრო რაზმს, რომელიც სიკვდილის მუქარით აიძულეს წინ არ წასულიყო.

იმერეთის მმართველი იძულებული გახდა ველიამინოვისათვის ეცნობებინა, რომ საეკლესიო რეფორმის განზრახვამ მთელი დასავლეთ საქართველო აფორიაქა, რომ მას საკმარისი ძალები არ გააჩნდა აჯანყებუ-

---

[1] АКАК. т. VI. ч. I, с. 530.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 531.
[3] ი ქ ვ ე.

ლი ხალხის დასამორჩილებლად. იგი მთავარმართებელს თხოვდა, სულ მცირე, სამი ფეხოსანი ასეული მაინც მიეშველებინა თავისი არტილერიით[1].

კურნატოვსკი ფრთხილობდა, რადგან ერთი გასროლაც კი შეიძლებოდა აჯანყების სიგნალი გამხდარიყო. მეფის მოხელე ეშვობდა, აჯანყებაში იმერეთ-რაჭასთან ერთად, სამეგრელო, გურია და სვანეთიც ხომ არ იყვნენ ჩაბმული. საეკლესიო რეფორმის განზრახვასთან ერთად, აჯანყების მიზეზი გახდა ხმები: თითქოს რელიგიური სარწმუნოება უნდა შეცვლილიყო, ეკლესიები დანგრეულიყო და სარეკრუტო ვალდებულება დაწესებულიყო.

კურნატოვსკის მიაჩნდა, რომ აჯანყებულთა დაშოშმინება და ხალხის მხრივ ერთგულების უზრუნველყოფა მხოლოდ ძლიერი სამხედრო ძალით შეიძლებოდა[2].

აჯანყებულთა გასათიშავად და დასაშოშმინებლად საქართველოს ადმინისტრაციამ ახალი პროკლამაცია გაავრცელა. ველიამინოვი იმერეთის მმართველს აფრთხილებდა, რომ ჯარს პირველს არ ეხმარა იარაღი და როგორმე უსისხლოდ ჩაექრო აჯანყება. თუკი აჯანყებულები მაინც გაბედავდნენ ჯარის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებას, მაშინ მათ ისე მოპყრობოდნენ, როგორც უბოროტეს მტრებს და დაუნდობლად დაეთრგუნათ ყველა მოწინააღმდეგე[3].

იმერეთის მმართველი იძულებული გახდა სათანადო უწყებისა და მიტროპოლიტ თეოფილესთვის ებრძანა, რათა დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო საეკლესიო ყმა-მამულის აღწერა.

აჯანყებულებისადმი (რომელშიც რაჭის ზოგიერთი საეკლესიო სოფლის მოსახლეობაც იყო ჩაბმული) გაგზავნილ პროკლამაციაში ნათქვამი იყო: რომ საქართველოს ადმინისტრაციამ დიდი მწუხარებით შეიტყო საეკლესიო გლეხობის აჯანყება, რომელშიაც აზნაურებიც მონაწილეობდნენ. აქვე ეწერა, რომ საეკლესიო მართვის გარდაქმნით, მთავრობის მიზანი, თითქოს ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება, ეკლესიის კეთილმოწყობა, მისი ქონების დაცვა, აგრეთვე სასულიერო სკოლების დაარსება და მღვდელმსახურთა ცხოვრების უკეთ მოწყობა იყო.

პროკლამაციაში ხაზგასმული იყო, თითქოს, მთავრობას განზრახული არ ჰქონდა რაიმე მოგების მიღება; მასში დაუფარავად იყო გამოცხადებული: გაიხსენეთ იმერლებო, რომ ორგზის აჯანყება უდიდესი უბედურებით ემუქრებოდა თქვენს მიწა-წყალს, მაგრამ მაშინ მხოლოდ იმპერატორის კაცთმოყვარეობამ და მოწყალებამ გიხსნათ საბოლოო დაღუპვისაგან. „ნუთუ, — აცხადებდა ადმინისტრაცია, — თქვენ კიდევ უნდა და-

---

[1] AKAK, т. VI, ч. I, с. 536.
[2] იქვე, გვ. 537.
[3] იქვე, გვ. 539.

ღვაროთ სისხლი და ერთგულების ფიცი გატეხოთ, მაშინ გეშინოდეთ არა მარტო მეფე-მონარქის, არამედ ღმერთის გულისწყრომისაც[1].

პროკლამაციაში ნათქვამი იყო აგრეთვე, რომ თუკი იმერლები ვერ ხვდებოდნენ, რომ ეკლესიის გარდაქმნა მათი კეთილდღეობისათვის იყო განზრახული, მათ თხოვნით უნდა მიემართათ მთავრობისათვის, რაც თითქოს მყისვე დაკმაყოფილდებოდა. აქვე ადმინისტრაცია იტყობინებოდა, რომ საქართველოს უგანათლებულესი ეგზარხი უკვე თავის რეზიდენციაში დაბრუნდა და ეკლესია ძველებურად დარჩებოდა.

დაბოლოს, საქართველოს ადმინისტრაცია აჯანყებულებს მოაგონებდა საფრანგეთის ამბებსაც, სადაც რუსეთმა შეძლო კანონიერი მეფის წინააღმდეგ აჯანყებული 30 მილიონი ფრანგის დათრგუნვა და რას ელოდება პატარა და სუსტი იმერეთი უძლეველი და ძლიერი რუსეთისაგან[2].

ამ პროკლამაციის ეკლესიებში წაკითხვისა და ხალხში გავრცელებისთანავე შეწყდა საეკლესიო ყმა-მამულებისა და ქონების აღწერა, მღვდელმთავარი თეოფილე კი აღმოსავლეთ საქართველოში გამოიძახეს.

საქმე იმაში იყო, რომ მეფის მთავრობა დაკავებული იყო დაღესტნისა და, საერთოდ, ჩრდილო კავკასიის ამბებით, ამიტომ იმერეთში ძალის გამოყენებას და იქ დამატებითი სამხედრო ნაწილების გაგზავნას ერიდებოდა.

მართალია, მეფის მთავრობა დათმობაზე წავიდა, მაგრამ არეულობა კვლავ გრძელდებოდა. მეფის მოხელეები ეშვობდნენ, რომ არეულობის მოთავეები იყვნენ გენერალ-მაიორი თავადი ზ. წერეთელი, მისი შვილი მაიორი გრიგოლ წერეთელი და პოლკოვნიკი სეხნია წულუკიძე. ხმები გავრცელდა, თითქოს აჯანყების მიზანი იმერეთში მეფობის აღდგენა და მეფედ ზ. წერეთლის დაყენება იყო.

1819 წ. 14 ივლისს კურნატოვსკი საქართველოს სამოქალაქო სამმართველოს უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს ატყობინებდა, რომ აჯანყებულებს მიზნად ჰქონდათ დასახული მათი რაზმებისადმი თავდასხმა. ეს რაზმები, ძირითადად, რედუტკალეში, მარანში, ქუთაისში, ვაკის ოკრუგში, შორაპანში და რაჭაში იდგნენ (ამ უკანასკნელში მხოლოდ 70 კაცი იმყოფებოდა), ამიტომ თხოვდა სამხედრო ნაწილების სასწრაფოდ მიშველებას[3].

აჯანყებულები აქტიურობდნენ რაჭაშიც, სადაც ერთიმეორეს შეჰფიცეს, რომ პირველი სიგნალისთანავე გამოვიდოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რაკი აჯანყება არ ცხრებოდა, ერმოლოვის განკარგულებით, იმერეთში გაიგზავნა საარტილერიო გარნიზონი გენერალ სისოევის მეთაურობით, გადაწყდა აგრეთვე ყირიმიდან იმერეთში ეგერთა ორი პოლკის შე-

---

1 АКАК, т. VI, ч. I, с. 539.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 540.

ყვანა. თუ აჯანყებულები საომარ მოქმედებას შეუდგებოდნენ, გათვალისწინებული იყო, რომ შორაპნისა და რაჭის სამხედრო რაზმები, სიმცირის გამო, ქუთაისის გარნიზონთან გაერთიანებულიყვნენ.

იმერეთში შესულმა სისოევმა სასწრაფოდ დაიბარა მიტროპოლიტები გენათელი და ქუთათელი, რომელთაც მოსთხოვა, რომ ხალხი ხელახლა დაეფიცებინა რუსეთის ერთგულებაზე, მაგრამ ამაზე უარი მიიღო. საქმე რომ შეტაკებამდე არ მისულიყო, ველიამინოვის ბრძანებით, სისოევმა მოსახლეობის ხელმეორედ დაფიცებაზე ხელი აიღო, მაგრამ ზ. წერეთელს მოსთხოვა რაჭის ოკრუგში წასულიყო და აჯანყებულები დაეშალა.

1819 წ. ივლისის პირველ რიცხვებში ზ. წერეთელი მართლაც წავიდა რაჭაში და იქაური აჯანყებულების დაშოშმინებას შეუდგა, თან ქართლში დაბანაკებული გარნიზონის მეთაურს ტიტოვს საიდუმლო წერილი მისწერა, რომელშიც ითხოვდა, რაც შეიძლება იმერეთში მალე წაეყვანა სამხედრო ნაწილი, რადგან აჯანყება თითქოს სამეგრელოში და გურიაშიც მზადდებოდა [1].

რაჭის ოკრუგის უფროსი, იმერეთში მყოფ კორპუსის უფროსს — გენერალ სისოევს ატყობინებდა, რომ რაჭაში „შავი ხალხი" და ზოგიერთი აზნაური ჯგუფ-ჯგუფად დადიოდა და მოსახლეობაში რაღაც საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა. თითქოს ქვემო რაჭიდან მღელვარე ჯგუფები რიონის სათავე სოფლებში წასასვლელად ემზადებოდნენ და მთელი მოსახლეობის გადაბირებას აპირებდნენ.

შესაძლო შეტაკებისას მეტი ძალის გამოყენების მიზნით, გადაწყდა, რომ იმერეთის ოკრუგში მყოფი მცირე რაზმები ძირითად ნაწილებთან გაერთიანებულიყვნენ. რაჭის ოკრუგის უფროსს ებრძანა თავისი რაზმი ყვირილას პოსტზე წაეყვანა, მაგრამ საწულუკიძეოს გლეხებმა გზა გადაუჭრეს და დანიშნული ადგილისკენ არ გაუშვეს. სისოევს ებრძანა, რომ რაჭის რაზმის დასახმარებლად უფრო მოზრდილი სამხედრო ნაწილი წაეყვანა, რათა არც თუ კარგად შეიარაღებული აჯანყებულები დაეშინებინა და სამხედრო რაზმისთვის გზა გაეხსნა.

მეფის მოხელეთა ნაწილი ეშვობდა, რომ აჯანყებულებს ახალციხის ფაშასთან ჰქონდათ კავშირი და მათთან შეერთების ეშინოდა, მაგრამ ზოგიერთი მოხელე თავს იმშვიდებდა, რადგან ასეთი მოქმედებით უწინდელი აჯანყების მონაწილეები ძალიან დაისაჯენ და ამიტომ ახლა ამას ვერავინ გაბედავდა.

იმერეთის აჯანყებულები არც აგვისტოში იყვნენ დამშვიდებული, მაგრამ თვითმპყრობელობის სამხედრო რაზმებთან უშუალო შებმას ვერ ბედავდნენ. თავის მხრივ, ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებდა, რათა ისინი სისხლისღვრის გარეშე დაემორჩილებინა. საქართველოს მთავარ-

---

[1] АКАК. т. VI, ч. I, с. 545.

მართებელი თავის სამოქალაქო მოხელეებს, ერთი მხრივ, პროკლამაციების განუწყვეტელ გავრცელებას ავალებდა, მეორე მხრივ, სამხედროებს აფრთხილებდა, რომ მათ იარაღის გამოყენებით ხალხისათვის საბაბი არ მიეცათ. ამასთან, იგი იმედოვნებდა, რომ აჯანყებულები ცუდად იყვნენ შეიარაღებული და დიდ წინააღმდეგობას ვერ გასწევდნენ [1].

როგორც ჩანს, 1819 წ. შემოდგომაზე იმერეთის ზოგიერთ თავადსა და სამეგრელო-გურიის მფლობელებს შორის მიმოწერა გაიმართა. მეფის მოხელეები შიშობდნენ, რომ დასავლეთ საქართველოს მფლობელებს საიდუმლო კავშირი არ ჰქონდათ თურქეთის სულთანთან და მეზობელ ფაშებთან. გენერალი ველიამინოვი თავს იმით იმშვიდებდა, რომ თავის წარმომადგენლებისა და ფულის მეშვეობით თავისუფლად შეიძლებდა დასავლეთ საქართველოს მმართველი წრეების საიდუმლო კავშირების დადგენას [2].

იმერეთის მმართველის აზრით, გურია-სამეგრელოს მფლობელების კავშირი თურქეთის მთავრობასთან და იქ გადახვეწილ ბატონიშვილ ალექსანდრე ბაგრატიონთან (სოლომონის მემკვიდრესთან) უდავო იყო. მისი აზრით, საიმედო არც ზურაბ და გრიგოლ წერეთლები იყვნენ, ხოლო ივანე აბაშიძე რუსეთის უბოროტეს და აშკარა მტრად მიაჩნდა.

კურნატოვსკის მტკიცებით, იმერეთის მთელი მოსახლეობა ანტიცარისტულ განწყობაზე იყო და, თითქოს, ყველა თურქულ იარაღს იძენდა[3].

მეფის მოხელეები იმედოვნებდნენ, რომ ისინი 1820 წ. ზამთარში მაინც შეძლებდნენ მღელვარე მოსახლეობის დამორჩილებას და მოთავეპირების შეპყრობას. მიუხედავად შემოდგომის მიწურულისა, რაჭის ზოგიერთი სოფლის გლეხობა (ნაწილობრივ აზნაურებიც) წინააღმდეგობას განაგრძობდა. მათ უარი განაცხადეს კაზაკების ცხენებისათვის საკვების მიცემაზე, იმ საბაბით, რომ სათიბები თვითონ ამ ცხენებმა მოძოვესო.

კურნატოვსკი ველიამინოვს სწერდა, რომ 500-მდე შეიარაღებული რაჭველი სოფლიდან-სოფელში დადიოდა და მოსახლეობას აბუნტებდა. ის, ვინც მღელვარებას არ თანაუგრძნობდა, მათ, თითქოს, სასტიკად ექცეოდნენ. ამის მაგალითად კურნატოვსკი ასახელებდა სოფელ სომიწოს მცხოვრებ აზნაურ იაშვილს, რომელსაც მხარდაჭერის გაუწევლობისათვის, აჯანყებულებმა, თითქოს სახლ-კარი დაუნგრიეს და 40 ვედრო ღვინო წაართვეს[4].

იმერეთის მმართველი ჩიოდა, რომ, როგორც უბრალო („შავი ხალხის"), აგრეთვე აზნაურების გულისნადების გაგება შეუძლებელი იყო

---

1 АКАК, т. VI, ч. I, с. 565.
2 იქვე, გვ. 567.
3 იქვე.
4 იქვე, გვ. 569.

ეშმაკური და ქვეშქვეშა მოქმედების გამო. მისი აზრით, თავადებიც ორპირი და პირმოთნე იყვნენ, ამიტომ მათაც არაფერი დაეჯერებათო[1].

საქართველოს მთავარმართებელ ერმოლოვს, აგრეთვე სამოქალაქო მმართველობის უფროს ველიამინოვს, ეგზარხ თეოფილეს და მათ ქვემდეგებს მიაჩნდათ, რომ იმერეთის მმართველი (1817 წლიდან) ვერ იჩენდა მოქნილობას, მას ადანაშაულებდნენ არა მარტო უტაქტო მოქმედებაში, არამედ არეულობის წინააღმდეგ გონებამახვილური ღონისძიებების მიუღებლობაში და უმაღლესი წოდებისადმი უყურადღებობაში, ასევე ხელმძღვანელობასთან საჭირო კონტაქტის უქონლობასა და სიფხიზლის მოდუნებაში.

ყოველივე ამან განაპირობა კურნატოვსკის იმერეთიდან წაყვანა და მის ნაცვლად იქ პოლკოვნიკ პუზირევსკის დანიშვნა.

ახალი მმართველი ენერგიულად შეუდგა აჯანყებულთა იზოლაციასა და მის მეთაურთა დაპატიმრებას. საამისოდ მან ყველაზე ხელსაყრელ დროდ მიიჩნია ზამთარი, როდესაც აჯანყებულებს სხვაგან გახიზვნა და თავშესაფარის პოვნა გაუჭირდებოდათ. გადაწყდა, რომ იმერეთიდან გაეძევებინათ: 1. სოლომონ პირველის შვილი დარეჯანი (ივანე აბაშიძის დედა): 2. მიტროპოლიტი ქუთათელი, 3. მიტროპოლიტი გენათელი, 4. არქიმანდრიტი გრიგოლი (შორაპნიდან); 5. ივანე აბაშიძე; 6. მღვდელი იოსებ გუნცაძე; 7. ბეჟან წერეთელი; 8. პოლკოვნიკები: სეხნია და გიორგი წულუკიძეები, მერაბ იაშვილი და სხვ.[2].

იმერეთის ადმინისტრაციის დასკვნით, აჯანყების მთავარი მიზეზი იყო მაღალი თანამდებობის მქონე სამღვდელოება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ შეგნებულად აქეზებდა ხალხს. იმისათვის, რომ სამღვდელოებას სახელი გატეხოდა და მას ხალხი არ აყოლოდა, საქართველოს მთავარმართებელმა შეადგენინა პროკლამაცია, რომელშიც დაბალი რანგის მღვდელმსახურთა და ეკლესია-მონასტერთა სიღარიბეში დანაშაულდებოდნენ მღვდელმთავრები: გენათელი, ქუთათელი და სხვები[3].

პროკლამაციაში ნათქვამი იყო თითქოს, ეკლესიის გარდაქმნა სამღვდელოებისა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისა და ეკლესიის ხარჯზე გამდიდრებული მღვდელმთავრების შესაბოჭად იყო აუცილებელი.

პოლკოვნიკმა პუზირევსკიმ აჯანყებულთა მეთაურებად მიჩნეული პირების ადგილსამყოფელი შეისწავლა და დაადგინა, თუ ვინ როდის უნდა დაეპატიმრებინა. იმერეთის მმართველმა, 1820 წ. 15 თებერვალს, თავისი გადაწყვეტილება და გეგმა ველიამინოვს აცნობა[4]. საქართველოს ადმინისტრაცია მარტო აჯანყების ჩაქრობასა და მის მეთაურთა დაპატი-

---

[1] АКАК. т. VI. ч. I. с. 570.
[2] იქვე. გვ. 576; საქ. ცსია, ფ. 2, ან. 1, ს. 3184, ფურც. 4, 14.
[3] იქვე, გვ. 577.
[4] იქვე, გვ. 578—579.

შრება-გადასახლებას როდი ითვალისწინებდა, მან ხელი არ აიღო საეკლესიო მართვის გარდაქმნაზე. ველიამინოვმა არ დააყოვნა და განკარგულება გასცა, შედგომოდნენ ეკლესია-მონასტრების, მათი მღვდელ-მსახურების, აგრეთვე საეკლესიო-აზნაურებისა და გლეხების ქონების აღწერას, ამავე დროს უნდა შეჯამებულიყო ეკლესიათა მთელი შემოსავალი ნატურითა და ფულით.

ამასთან ერთად, ერმოლოვმა საქართველოსა და იმერეთის ეგზარხი თეოფილე გააფრთხილა, როცა საეკლესიო გარდაქმნა განხორციელდებოდა, გადასახადების დაწესების დროს, ანგარიში გაეწია მოსახლეობის სიღარიბისა და უმეცრებისათვის[1].

აჯანყების მოთავეთაგან ცნობილ პირთა ნაწილი დაპატიმრებული და იმერეთიდან გადასახლებულნი იყვნენ (მათ შორის მღვდელმთავრებთან ერთად რიგითი მღვდელი მაისურაძე[2]). რაჭაში შექმნილი ვითარების გამო, 1820 წ. 8 მარტს პოლკოვნიკი პუზირევსკი ველიამინოვს სწერდა, რომ რაჭის ოკრუგის საიაშვილო და საწულუკიძეო სოფლებში 4 და 5 მარტს მღელვარება იყო, რაც არავითარ შემთხვევაში მმართველობას არ გამოუწვევიაო. იმერეთის მმართველის აზრით, დაპატიმრებული მიტროპოლიტების გარდა, რაჭაში ვიღაც სხვა წამქეზებლებიც იმალებიანო.

პუზირევსკი ერმოლოვს აცნობებდა, რომ მან რაჭაში გააგზავნა წულუკიძეები, რომელთაც თავიანთი გლეხების დაწყნარება დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამოწყვეტით ემუქრებოდა. რაც შეეხებოდა საიაშვილოს, მას პუზირევსკი ახასიათებდა როგორც ურჩს და მთავრობის ღონისძიების მუდმივ მოწინააღმდეგეს. ამიტომ საჭიროდ მიაჩნდა დაუმორჩილებელი სოფლის სამაგალითო დასჯა: «Я послал обознать местоположение сей волости. До окончания приготовлений, ежели не усмирится, пойду примерно наказать сие преступное селение»[3].

წულუკიძეებთან ერთად რაჭაში მაიორი გ. ერისთავი და ახალი ეპისკოპოსი სოფრომიც გაიგზავნა, როგორც ჩანს, ამჯერად საქმე შეტაკების გარეშე დამთავრდა. თუმცა გლეხები შეშფოთებული იყვნენ გ. ერისთავის ძალადობით[4].

იმერეთის მმართველი აჯანყების მოთავეთა დაპატიმრებას განაგრძობდა. ივანე აბაშიძემ ღამით თავი დააღწია სამხედრო რაზმის ალყას და 6 მარტს რაჭაში, იქიდან ლეჩხუმში, შემდეგ სამეგრელოში და ბოლოს გურიაში გაიქცა. განსაკუთრებით დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის — მიტროპოლიტ ქუთათელის სიკვდილს. როდესაც ის რუსეთისკენ მიპყავდათ, გორის გზაზე გარდაიცვალა. ხმები დადიოდა, რომ ის თითქოს რუსმა ჯარისკაცებმა მოკლეს.

---

1 АКАК, т. VI, ч. I, с. 579.
2 საქ. ცსია, ფ. 2, ან. 1, ს. 1588, ფურც. 31.
3 АКАК, т. VI, ч. I, с. 584.
4 იქვე.

დასაპერ პირთა სიაში შეტანილმა ზოგიერთმა აჯანყებულმა გაქცევა და გურიაში დამალვა მოასწრო. პუზირევსკი ტრაბახობდა, რომ მისი შეშით ყველა ცახცახებდა. იმერეთის მმართველი დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა თვით იაშვილებზეც და ველიამინოვს სთხოვდა მათი დასჯის ნებართვას. პუზირევსკის მიაჩნდა, რომ იაშვილებს მამულები უნდა ჩამორთმეოდათ. ამ თხოვნის საპასუხოდ ველიამინოვი პუზირევსკის აფრთხილებდა, რომ ჯერჯერობით იაშვილებისათვის ხელი არ ეხლო, ოღონდ მათთვის საშუალება არ მიეცა დაკავშირებოდნენ ერისთავებსა და წერეთლებს, რომელთა გარეშე იაშვილებს რაჭაში დიდი ძალა არ შეიძლება ჰქონდეთო. ამასთან, იგი პუზირევსკის არიგებდა, რომ უფრო აზნაურებს დაყრდნობოდა, რადგან თავადები ნაკლებ სანდო არიანო. ველიამინოვს მიაჩნდა, რომ გლეხთა წამქეზებლები თავად-აზნაურებიც იყვნენ, რადგან არეულობის დროს ისინი მეტ სარგებელს ნახულობდნენ.

ჩანს, რაჭის მღელვარე ხალხი სპეციალური მისიისა და დაშინების შემდეგაც არ დაწყნარდა, პირიქით, მომხდარი ამბები მას კიდევ უფრო მეტად აფორიაქებდა და აჯანყებისაკენ უბიძგებდა. ცხადია, ეს არც მეფის მთავრობის მოხელეებისათვის რჩებოდა გაუგებარი, მითუფრო, რომ მათ ბევრი მოსყიდული და დამსმენი ჰყავდათ, მათ შორის თავად-აზნაურთა წრიდან.

ერთ-ერთი საიდუმლო პატაკით, 1820 წ. 22 აპრილს, როსტომ ერისთავი ველიამინოვს ატყობინებდა, რომ რაჭაში მღელვარება გრძელდებოდა და აუცილებელი იყო მათ წინააღმდეგ 4—5-ათასიან კაზაკთა სამხედრო ნაწილის გაგზავნა, სხვანაირად რაჭას იმერეთისაგან ვერ ჩამოვაცილებთო [1].

მეფის მოხელეებისათვის ცნობილი გახდა, რომ იმერეთის აჯანყების ზოგიერთი მეთაური გურიაში აფარებდა თავს. ერთ-ერთი სამხედრო ექსპედიციის დროს, როცა სამხედრო რაზმმა გურიელის სახლში თავშეფარებულ ჩხეიძეს, ძმებს აბაშიძეებს, მღვდელ გუნცაძეს და სხვებს ალყა შემოარტყა, მკვეხარა და ქედმაღალი პუზირევსკი მოკლულ იქნა.

ეს გარემოება თითქოს სიგნალი გახდა აჯანყებულთათვის. ახლა იგი ახალი ძალით გაჩაღდა არა მარტო იმერეთ-რაჭაში, არამედ გურია-სამეგრელოშიც. აჯანყებულთა მცირე რაზმები მოულოდნელად ესხმოდნენ თავს სამხედრო რაზმებს და ხოცავდნენ. აჯანყებულებს კავშირი ჰქონდათ ახალციხის ფაშასთან და იქ გახიზნულ ქართველებთან. ამოქმედდა ბატონიშვილი ალექსანდრეც, რომელიც თურქეთის ძალით ცდილობდა იმერეთში გამეფებას.

უკმაყოფილებამ იფეთქა სამეგრელოშიც, სადაც ლევან დადიანის მოწინააღმდეგე გიორგი დადიანის მომხრეებმა სროლა აუტეხეს რედუტ-

[1] АКАК. т. VI. ч. I, с. 590.

კალეში (ყულევში) მიმავალ რუსთა რაზმს. არ ცხრებოდნენ გურიის აჯანყებულებიც.

პუზირევსკის სიკვდილით თავზარდაცემული საქართველოს ადმინისტრაცია შველას ცენტრიდან თხოულობდა. ერმოლოვი 1820 წ. 28 მაისს მთავარი შტაბის უფროსს — თავად ვოლკონსკის სთხოვდა იმპერატორისათვის მოეხსენებინა, რომ თუ თურქეთის ჩაურევლობა მოხერხდებოდა, მაშინ იმერეთის საქმეებს უფრო ადვილად მოევლებოდა. აქვე ატყობინებდა, რომ იმერეთის ამბები, თითქოს, მხოლოდ საეკლესიო გარდაქმნის წინააღმდეგ გამოსული მღვდელმთავრის მოქმედებას გამოეწვიოს.

აჯანყების საშიში ხასიათის გამო, საქართველოს მთავარმართებელმა (კავკასიის ხაზის ჯარების მთავარსარდალმა) ერმოლოვმა თანდათანობით უფრო მკაცრი ღონისძიებების გატარება დაიწყო. მან ბრძანა, რომ, ვინც ამბოხებაში გაერეოდა და იარაღს აღმართავდა, ის სიკვდილით დასჯილიყო, ამასთან აჯანყებული სოფლები საფუძვლიანად დაენგრიათ, ხოლო მისი მოსახლეობა ამოეწყვიტათ. ის, ვინც აჯანყებულებს შეიფარებდა, აგრეთვე სასტიკად დასჯილიყო [1].

ერმოლოვის განკარგულებით, რაჭის ოკრუგის ამბოხებულ მოსახლეობას განსაკუთრებული მეთვალყურეობა უნდა დაწესებოდა — იქაური საზიზღარი მოღალატეები სასტიკად დასჯილიყვნენ. ერმოლოვი ველიამინოვს ავალებდა, რომ მიუხედავად ძნელი მიმოსვლისა, რაჭაში ჯარი გაეგზავნა, ცეცხლითა და მახვილით დაეთრგუნა, საჭიროების შემთხვევაში ოკრუგი გაეუკაცრიელებინა [2].

ერმოლოვი თავად ვოლკონსკისადმი 1820 წ. 8 ივნისს მიწერილ წერილში, რაჭას ახასიათებდა, როგორც იმერეთში ყველაზე საზიზღარს, თითქოს ეს ოკრუგი უმიზეზოდ აჯანყდა თავად-აზნაურთა წაქეზებით. იგი ატყობინებდა, რომ აჯანყების მეთაური ბატონიშვილი დავითი (ვახტანგად წოდებული) მოკლულ იქნა. მიუხედავად მიუდგომელი მდებარეობისა, წერდა ერმოლოვი, რაჭაში ბევრი სოფელი დანებდა, მოწინააღმდეგეთა ნაწილი აწიოკებულია, ხოლო ოკრუგის ზემო ნაწილის მოსახლეობა მოუვალ მთებს აფარებს თავს, მაგრამ ჯარის გამოჩენამ და მკაცრი დასჯის მაგალითებმა მათ შიში ჩაუნერგაო. ერმოლოვი იმედოვნებდა, რომ არეულობა მალე დამთავრდებოდა და ყველა მოღალატეს ხელში ჩაიგდებდა [3].

ერმოლოვი ვოლკონსკის აცნობებდა, რომ ზოგიერთი ქართველი მოღალატე ახალციხეში იმყოფებოდა, ხოლო გიორგი დადიანი (ლევან და-

---

[1] АКАК, т. VI, ч. I, с. 594.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 595.

დიანის ძმა), თავისი ამალით, აფხაზეთის მთებში იმალებოდა, ამიტომ მის დედას (ნინოს) დარაჯები დაუწესეს[1].

პუზირევსკის მოკვლის შემდეგ იმერეთის მმართველად დაინიშნა პოლკოვნიკი გორჩაკოვი, რომელმაც აჯანყებულთა წინააღმდეგ სასტიკი მოპყრობით გენერლის ჩინი და მთავრობის ნდობა დაიმსახურა. იგი იკვეხნიდა, რომ იმერეთში წესრიგს დაამყარებდა, სახაზინო საქმეებს და აღმასრულებელ ხელისუფლებას გააერთიანებდა და მთავრობას დიდ სარგებელს მოუტანდა[2].

ვითარების ერთგვარი სტაბილიზაციის შემდეგ, გორჩაკოვი აჯანყების მონაწილეების დასჯას შეუდგა. როგორც იმერეთ-რაჭაში, ასევე გურია-სამეგრელოში, ხელისუფლების მოწინააღმდეგე თავადაზნაურთა მამულები ხაზინას უნდა გადასცემოდა, რათა ასეთი სასჯელი ყველასათვის მაგალითი ყოფილიყო.

იმერეთის სახაზინო სოფლების მართვა-გამგეობა ოკრუგების უფროსებს უნდა დაქვემდებარებოდა, მაგრამ, ენის უცოდინარობის გამო, ამ სოფლების დროებით მმართველებად მოურავები უნდა არჩეულიყვნენ, ოღონდ ისეთი თავად-აზნაურები, რომელთაც ბევრი ნათესავი ჰყავდათ და უწინდელი მფლობელებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი. ამგვარი გზით, თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეს საშუალება უნდა მოსპობოდა თავისი სამფლობელოდან რაიმე ესარგებლა. მოღალატე თავადაზნაურობისათვის თავშესაფარის მიმცემი კი სიკვდილით უნდა დასჯილიყო[3].

მკაცრი სამხედრო ზომების მიღების შედეგად, 1820 წ. ზაფხულ-შემოდგომაზე, მოხერხდა იმერეთის აჯანყების საბოლოო ჩაქრობა. აჯანყების მეთაურთა ნაწილი შეპყრობილი და საქართველოდან გადასახლებულ იქნა. აჯანყების რიგითი მონაწილეები სხვადასხვანაირად დაისაჯნენ.

მეზობელ მაჰმადიანთა შემოსევებმა, არაერთმა ამბოხება-აჯანყებამ, შიმშილმა და ადგილობრივ მოხელეთა ძალადობამ კატასტროფის პირამდე მიიყვანა იმერეთის ყოფილი სამეფო, განადგურდა მეურნეობა და ქვეყანა სანახევროდ უკაცრიელი გახდა.

ბუნებრივია, ამის გამო მმართველობაც მოუწესრიგებელი დარჩა. მეფის მოხელეთა აზრით, მძიმე ვითარებისა და განსხვავებული ადათ-წესების გამო, იმერეთში კვლავ შეუძლებელი იყო რუსეთის შიდა გუბერნიების მსგავსი მმართველობის დამყარება.

იმერეთის დროებით მმართველობაში გენერალმა გორჩაკოვმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა. იგი შეუდგა სახაზინო საქმეების მოწესრიგებას: მისი მოთხოვნით, იმ გლეხობას, რომელიც ადრიდანვე ეკუთვნოდა ხაზინას, თითო სულზე ერთი მანეთი (ვერცხლით) გადასახადი

---

[1] АКАК, т. VI, ч. I, с. 595.
[2] იქვე, გვ. 597.
[3] იქვე, გვ. 599.

უნდა დაკისრებოდა, ხოლო აჯანყების მონაწილე (მოღალატე) თავადაზნაურებისადმი ჩამორთმეულ გლეხობას სულზე — მანეთნახევარი[1]. ამასთან, თარხანობა უნდა გაუქმებულიყო (ასეთი სულ 365 სიგელი აღმოჩნდა) და ამ კატეგორიის გლეხობას ჩვეულებრივი სულადობრივი გადასახადი დაკისრებოდა, კერძოდ, მოღალატე თავადაზნაურებისათვის წართმეულ გლეხებს სულზე — 50 კაპიკი, ხოლო სხვებს ცოტა მეტი[2].

ახალი წესები საქართველოს მთავარმართებელმა ფინანსთა მინისტრს წარუდგინა, ხოლო ამ უკანასკნელმა მინისტრთა კომიტეტს, რომელმაც იმერეთში სულადობრივი გადასახადის შემოღება და თარხანობის გაუქმება 1824 წ. ძალაში შესულად გამოაცხადა[3]. ის სასულიერო ოჯახის შთამომავალი, რომელიც 1804 წ. შემდეგ დაიბადა, გადასახადისაგან თავისუფლდებოდა, ხოლო ყველა დანარჩენ სამღვდელო პირს, აგრეთვე ყოფილ ვაჭარს (რომელიც უკვე არ ვაჭრობდა) გლეხის მსგავსი სულადობრივი გადასახადი უნდა გადაეხადა.

1821 წ. იმერეთში (თავისთავად რაჭაშიც) შემოღებულ იქნა საფაჭრო ბაჟი 5%-ის ოდენობით. ამავე წლიდან დაწესდა, რომ გლეხს, რომელიც საჩივარს აღძრავდა, 50-კაპიკიანი სპეციალური სახელმწიფო ბლანკი უნდა ეყიდა.

იმერეთის მმართველი შეუდგა აგრეთვე ეკლესიის ახლებურად გარდაქმნას. ჩატარდა ეკლესია-მონასტრების ქონების, მათი მღვდელ-მსახურებისა და გლეხების უძრავ-მოძრავი ქონების აღრიცხვა.

საქართველოს ეგზარხმა 1821 წ. მთავრობასა და წმ. სინოდს წარუდგინა პროექტი, რომლის საფუძველზე: ა) იმერეთის სამღვდელოება (ვითარცა ყმა) თავისუფლდებოდა თავად-აზნაურთა, აგრეთვე მწყემსმთავართა დამოკიდებულებისაგან უმიწოდ; ბ) საეკლესიო გლეხები და მიწები, რომლებიც რუსეთთან შეერთების შემდეგ, რაიმე მიზეზით მოხვდა კერძომფლობელთა ხელში, რუსეთის სინოდის 1811 წ. გადაწყვეტილების შესაბამისად, ეკლესიასვე უნდა დაბრუნებოდა; გ) იმერეთში (აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად) საეკლესიო აზნაურები ხაზინის უწყებას უნდა გადასცემოდნენ და საეკლესიო მიწიდან თავისუფალ სახაზინო მიწაზე გადაესახლებინათ[4].

რამდენიმე წელიწადში ეს პროექტიც დამტკიცებულ-გატარებულ იქნა.

საეკლესიო სფეროში გარკვეული ცვლილებები მოხდა ლეჩხუმშიც (მიუხედავად იმისა, რომ ის სამეგრელოს სამთავროში შედიოდა). 1823 წლიდან (ცაგარელის გარდაცვალების შემდეგ) გაუქმდა მიტროპოლიტის თანამდებობა. ამიერიდან მთელი სამეგრელოს ეკლესია საქართველოს ეგზარხს დაექვემდებარა.

---

[1] АКАК, т. VI, ч. I, с. 608—609; ЦГИА СССР, ф. 560, оп. 6, д. 487, л. 1—4.
[2] იქვე, გვ. 609.
[3] იქვე, გვ. 610.
[4] იქვე, გვ. 601.

ეკლესიის გარდაქმნასთან ერთად, გაუქმებულ იქნა სასულიერო მოურავების ადგილებიც.

ბუნებრივია, რომ ყველა ეს ღონისძიება მთავრობის სასარგებლო იყო, 1822 წ. იმერეთ-რაჭაში მისმა შემოსავალმა 25 760 მანეთს (ვერცხლით) მიაღწია, აქედან მმართველობის ხელფასი, პენსიები და ექსტრაორდინარული ხარჯები 17 200 მანეთს შეადგენდა[1].

მთავრობის შემოსავალი იმერეთში გასავალ ხარჯებს ჭარბობდა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებული გადასახადები ჯერ სრულად ვერ იკრიბებოდა. იმერეთის მმართველის ცნობით რაჭის სოფლების ღების, გლოლასა და ჭიორას მოსახლეობა, სიღარიბის საბაბით, უარს აცხადებდა მათზე დაკისრებულ გადასახადებზე. ერმოლოვის დასტურით, ამ სოფლების მოსახლეობისაგან გადასახადების აღება დროებით შეჩერდა, მაგრამ საქართველოს მთავარმართებელმა მოგვიანებით ფინანსთა მინისტრს მისწერა, რომ ღების, ჭიორასა და გლოლას ღარიბ მოსახლეობას (ისინი რატომღაც ოსებად არიან მონათლული) სულადობრივი გადასახადი საკომლო გადასახადით შეცვლოდა (სულზე მანეთის ნაცვლად მთელ კომლს დაკისრებოდა ერთი მანეთი), „წინააღმდეგ შემთხვევაში, — წერდა ის, — მოსალოდნელია მათი ამბოხება და მტრულად განწყობილ სხვა მთიელებისადმი მიმხრობაო“[2]. საბოლოო ჯამში, რაჭის მთიან სოფლებში მართლაც საკომლო გადასახადები დაწესდა[3], რაც მნიშვნელოვანი შეღავათი იყო.

თვითმპყრობელობა შეუდგა იმერეთისა და რაჭის მიწების ინტენსიურ ათვისებასაც. მაგალითად, იმპერატორის 1821 წ. ბრძანებით, 1822 წ. თბილისში საფრანგეთის კონსულ გამბას იმერეთში გამოეყო 16 ათასი დესეტინა სახნავ-სავენახე მიწა, ტყე და სათიბი, აქედან რაჭის ოკრუგში (საიაშვილოში) — 2850 დესეტინა[4].

მალე რაჭაში დაიწყო სახაზინო საკუთრებად გამოცხადებული მიწებისა და სამღვბროების იჯარით გაცემა და მათი ექსპლუატაცია.

ქანცგამოლეული მოსახლეობა ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა ბედს შეგუებოდა და შედარებით მორჩილი ყოფილიყო.

მართალია, თვითმპყრობელობამ გარკვეული მსხვერპლი გაიღო იმერეთ-რაჭის აჯანყებათა ჩაქრობაში, მაგრამ, სამაგიეროდ, მან ყოველივე თავის მიზნების მისაღწევად გამოიყენა. მაგალითად, 1820 წ. აჯანყებაში მონაწილეობის გამო, მთავრობის მიერ გ. წულუკიძისათვის წართმეულ ყმათა რაოდენობა რაჭაში შეადგენდა[5] (ცხრილი 1):

რაჭის გარდა გ. წულუკიძეს ყმა-მამული წაართვეს ქუთაისის ოკრუგში, რაც ორივეგან ერთად შეადგენდა: 37 კომლ აზნაურს (რომლებიც 89 გლეხის კომლს ფლობდნენ) და აგრეთვე 98 კომლ პირად გლეხს.

---

[1] АКАК, т. VI, ч. I, с. 605.
[2] АКАК, т. VI, ч. I, с. 614; ЦГИА СССР, ф. 560, оп. 6, д. 487, л. 2—4.
[3] იქვე.
[4] АКАК, т. VI, ч. I, с. 606.
[5] სცსია, ფ. 2, ან. 1, ს. 3184, ფურც. 10—12.

რაჭის ოკრუგის სოფლებში	1821 წ. კამერალური აღწერით — აზნაური			1824 წ. აღწერით ექვემდებარებოდა					
		სული		აზნაურის გლეხი			საკუთარი გლეხი		
								სული	
	კომლი	მამრ.	მდედრ.	კომლი	მამრ.	მდედრ.	კომლი	მამრ.	მდედრ.
ახალსოფელში	—	—	—	3	12	8	1	7	6
იცში	2	5	4	—	2	—	2	7	8
საკეცში	1	2	9	6	21	23	10	43	40
ზნაკვაში	1	6	4	15	62	41	26	109	94
ბოტყიერში	—	—	—	1	2	2	9	41	33
ჯვარისაში	6	30	40	5	24	36	2	13	11
ბუგეულში	2	8	12	6	31	22	6	19	15
ღვარდიაში	—	—	—	4	21	1	—	—	—
ქვაცხუთში	—	—	—	1	5	3	—	—	—
აბანოეთში	1	1	2	1	4	1	4	25	18
ქედისუბანში	—	—	—	1	6	2	4	13	12
მიქარწმიდაში	—	—	—	1	2	—	—	—	—
ბარეულში	—	—	—	2	10	7	—	—	—
გორისუბანში	5	14	20	3	14	11	—	—	—
პატარა ონში	—	—	—	3	12	9	—	—	—
ტბეთში	—	—	—	2	6	7	—	—	—
დიდი შავრაში	—	—	—	2	9	7	—	—	—
ხონსიორში	—	—	—	5	24	21	12	69	57
ნიკორწმიდაში	—	—	—	—	—	—	2	12	9
აგარაში	2	6	8	—	4	2	1	3	6
შელიაღელეში	4	15	10	3	8	11	4	13	15
კაჩიეთში	—	—	—	1	4	5	4	20	22
ხოტევში	6	18	23	7	26	32	—	—	—
ქვემო თლუღში	—	—	—	3	14	6	—	—	—
წედისში	—	—	—	6	23	18	—	—	—
უყეშში	—	—	—	2	4	12	1	2	5
	30	105	132	83	350	287	98	396	351

აღნიშნულთან ერთად, რაჭის ოკრუგში ხაზინამ დაისაკუთრა სოფლების: უწერის, გლოლასა და ღების გლეხთა 162 კომლი; საიაშვილო სოფლების: ბოსტანას, სადმელის, ღვარდიის, ძირაგეულის, ჩორჯოსა და კრიხის 119 კომლი (აქედან 102 გლეხის და 17 აზნაურის); გიორგი და ხოსია წულუკიძეებისათვის წართმეული 193 გლეხის კომლი. ხაზინამ დაისაკუთრა, აგრეთვე ჭიორის, სხვავასა და შხივანას გლეხთა 95 კომლი[1].

იმერეთ-რაჭაში სახაზინო გლეხებისაგან მიღებული შემოსავალი შეადგენდა 9 225 მანეთს (ვერცხლით), აქედან მეათედი მოურავებს მიჰქონდათ, ხოლო დანარჩენი მთავრობას რჩებოდა. ამის გარდა, სახაზინო გლეხობა იხდიდა 162 ბათმან ხორბალს და 188 ბათმან ღომს [2].

მეფის თვითმპყრობელობას შემოსავალი შესდიოდა სახაზინო სოფლების სხვავას, საკეციისა და მოტყიერის სამღვდელოებიდანაც, რომლებიც ჯერ (1827 წლიდან) ქუთაისის მცხოვრებ ა. ჩარექოვს ჰქონდა საიჯაროდ აღებული (წელიწადში იხდიდა 45 მანეთს ვერცხლით), ხოლო შემდეგ იგივე ქალაქის მცხოვრებ ა. კალანტაროვს, რომელიც დაახლოებით ამდენსავე იხდიდა[3]. შემდეგ (40-იან წლებში) ეს სამღვბროები კვინიხიძემ, ბუაძემ და პეტრიაშვილმა აიღეს საიჯაროდ.

ხაზინას საკმაო შემოსავალი შესდიოდა აგრეთვე რაჭის ვენახების, სახნავი მიწების, სათიბებისა და ტყეების საიჯაროდ გაცემის შედეგად. 1830-იან წლებში (8 წლის ვადით) ბოსტანასა და სადმელის სათიბები იჯარით ჰქონდა თავად ნ. იაშვილს, რომელიც ყოველწლიურად 10 მანეთს (ვერცხლით) იხდიდა. 30—40-იან წლებში ახალშენის, ვანისჯალის, ვახტანგოურის, ნაციხურის, საიაშვილოს, საკმევლის, სადმელის, ხიმშისა და ხიდისკარის ბაღ-ვენახები საიჯაროდ ჰქონდა „პრაპორშიკ“ თავად ს. წულუკიძეს, რომელიც ყოველწლიურად 168 მანეთს იხდიდა ვერცხლით[4]. ს. წულუკიძემ შემდეგ საიჯაროდ აიღო, აგრეთვე ბარეულის, გაღმაბლუანის, გამოღმაბლუანის, ნასკვახევის, საკეციჯალის, სანდაუმის, სველეღელის სახნავი მიწები, რომელშიც ყოველწლიურად ვერცხლით 300 მანეთს იხდიდა[5]. ს. წულუკიძემვე აიღო სადმელისჯალისა და ბოსტანას სათიბები, რომლებშიც ყოველწლიურად 14 მანეთს იხდიდა[6].

რაჭის სახაზინო სოფლების დანარჩენ (რაც საიჯაროდ არ იყო გაცემული) ქონებას მოურავები მეთვალყურეობდნენ, მაგრამ 1839 წ. ეს თანამდებობა თანდათან გაუქმდა (სადაც მოურავი გარდაიცვლებოდა, იქ ახალი არ ინიშნებოდა), სამაგიეროდ, დაწესდა ნაცვალის თანამდებობა, რომელიც სოფლის საზოგადოებას უნდა აერჩია[7].

---

1 საქ. ცსია, ფ. 2, ან. 1, ს. 1596, ფურც. 8—9.
2 ი ქ ვ ე.
3 ი ქ ვ ე, ს. 3168, ფურც. 11—12.
4 საქ. ცსია, ფ. 2, ან. 1, ს. 6018, ფურც. 8—9.
5 ი ქ ვ ე, ფურც. 4—5.
6 ი ქ ვ ე, ფურც. 6.
7 ი ქ ვ ე, ს. 5660, ფურც. 1—4.

უნდა აღინიშნოს, რომ რაჭის ოკრუგში დანიშნული მოხელეები თავდაპირველად თავშეკავებულად მოქმედებდნენ და გარკვეულ ზომიერებას იცავდნენ, მაგრამ, როცა ხალხი უფრო დამყოლი და მორჩილი გახდა, მათ ყოველივე დაივიწყეს, ძალადობასა და მექრთამეობას მიჰყვეს ხელი. ამის ერთი მაგალითია რაჭის ოკრუგის უფროსი კაპიტანი ხერხეულიძე, რომელმაც 1840-იან წლებში სხვავაში, ზემოკრიხში, ბრავალძალში, ხირხონისში, სევაში, ხრეითში, ჭიბრევში, წედისში, ჩორჯოში, ჟაშკვში, ძეგლევში, ღვიარაში და სხვა სოფლებში ნატურით გადასახადების (შეშისა და თივის) ნაცვლად ფული აიღო უკანონოდ და 124 მანეთზე (ვერცხლით) მეტი მიითვისა. ამასთანავე ოკრუგის უფროსები და მათი მდივანბეგი სხვა მრავალ უკანონობას ეწეოდნენ, ამიტომ რაჭის გლეხობას პროტესტის ნიშნად მრავალი საჩივარი შეჰქონდა იმერეთის მმართველობაში. ხალხის დაჟინებითი მოთხოვნით მთავრობა იძულებული გახდა ხერხეულიძე და მისი თანამშრომლები სამუშაოდან გაენთავისუფლებინა[1].

მრავალ უკანონობასა და დანაშაულს ჩადიოდნენ იმერეთის მმართველობის თანამშრომლები. „სტატს სოვეტნიკი" პერეკრესტოვი, მდივანი რადჩენკო, ხელოსანი ბაქრაძე, რაჭის ოკრუგის უფროსი კაპიტანი სოკოლოვი, მისი თანაშემწე ი. ბაქრაძე და სხვ.[2]. მეფის მთავრობა იძულებული გახდა ამ თანამშრომელთა ნაწილი მექრთამეობისა და ძალადობის გამო სამსახურიდან დაეთხოვა, მაგრამ პასუხისგებაში მაინც არ გადასცა, რასაც მმართველობა იმით ამართლებდა, რომ თითქოს ეს მოხელეები ქრთამს კანონების უცოდინარობის გამო იღებდნენ.

ურთიერთჩაგვრა ლეჩხუმშიც გრძელდებოდა, დადიანებსა და გელოვანებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა. სხვათა შორის, გელოვანებს, დადიანებთან ერთად, ჩიქოვანებიც დაუპირისპირდნენ. საქმე იმაშია, რომ 1816 წ. ი. დადიანმა ბერ გელოვანს წყალობად მისცა ჩიქოვანისადმი ჩამორთმეული სოფელი სურმუში, რომლის დაბრუნება ახლა ყოფილმა პატრონმა მოიწადინა. საქმე იმდენად გართულდა, რომ სურმუში ხელიდან ხელში გადადიოდა. მართალია, გელოვანს მხარს უჭერდა იმერეთის მმართველი გორჩაკოვი, მაგრამ მეფის მოხელეები, საბოლოოდ მაინც დადიანების ნება-სურვილს იცავდნენ და ამდენად, გელოვანი დამარცხებულ იქნა[3].

---

1 საქ. ცსია, ფ. 2, ან. 1, ს. 5962, ფურც. 13.
2 ი ქ ვ ი, ს. 3354. ფურც. 100—102.
3 ი ქ ვ ი, ს. 1196, ფურც. 4.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთთან შეერთების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს უდიდესი უბედურება დაატყდა თავს, განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში, როდესაც შიმშილისა და შავი ჭირის შედეგად, იმერეთის მოსახლეობის მესამედზე მეტი გაწყდა, ხოლო ადგილზე მხოლოდ მოსახლეობის ნახევარი დარჩა. ნაწილობრივ ასეთი სურათი იყო რაჭაში და ლეჩხუმშიც, სადაც აგრეთვე სენის გამო დიდ მსხვერპლს ჰქონდა ადგილი.

ბუნებრივია, ასეთი ვითარების გამო XIX ს. პირველ მეოთხედში რაჭაშიც მრავალი სოფელი დაიქცა, მეურნეობა კატასტროფულად დაეცა (ბაღ-ვენახები და ყანები გავერანდა).

მიუხედავად იმისა, რომ XIX ს. 30-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოში შედარებით მშვიდობა ჩამოვარდა, მოსახლეობის მდგომარეობა მაინც მძიმე რჩებოდა, მით უფრო 39—40-იან წლებში, როდესაც ქუთაისის, შორაპნის და რაჭის ოკრუგებში მოუსავლიანობის შედეგად შიმშილმა იფეთქა. ხალხის უკიდურესი სიდუხჭირის გამო იმერეთის არქიეპისკოპოსმა მმართველობას სთხოვა ნება დართოდა საეკლესიო შემოსავლიდან 700—900 მანეთამდე თავის საუწყებო გლეხების დასახმარებლად გაეღო, რაც შესრულებულ იქნა [1].

მმართველობა იძულებული იყო საბატონო გლეხებისათვის ზრუნვა, თავიანთი მებატონეებისათვის დაევალებინა, ხოლო სახაზინო გლეხებისათვის მმართველობამ 2 746 მანეთი (ვერცხლით), აგრეთვე 3 038 ბათმანი ხორბალი და სიმინდი გამოყო [2].

უნდა ითქვას, რომ გლეხობაში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იყვნენ საერო მებატონეთა გლეხები, რომელთაც მცირე მიწა გააჩნდათ და სარჩო-საბადებელი ნახევარ წელსაც ძლივს ჰყოფნიდათ. უკიდურესი გაჭირვებების გამო, რაჭის თვითმოქმედი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გარე სამუშაოზე მიეშურებოდა საქართველოს სხვა კუთხეებში და მის ფარგლებს გარეთაც.

XIX ს. 50-იან წლებში რაჭის მოსახლეობა დაახლოებით 40 875 სულს უდრიდა, აქედან 23 295 მამრობით სულს შეადგენდა [3].

1851 წ. რაჭის მაზრაში ხორბლეულის მოსავალი უდრიდა „ჩეთვერთებში“ (ცხრილი 2)[4]:

1861 წლისათვის რაჭის მაზრის მეურნეობამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, მაგრამ ასათვისებელი მიწის სიმცირის გამო, ნათესი ფართობი ნაკლებად იზრდებოდა. მოსახლეობის რიცხვიც მეტისმეტად ნელა

---

1 საქ. ცსია. ფ. 2. ან. 1. ს. 6586. ფურც. 1—3.
2 იქვე, ფურც. 5, 71.
3 იქვე, ფ. 4. ან. 8. ს. 263, ფურც. 144; ს. 274, ფურც. 184.
4 იქვე, ფურც. 182.

მატულობდა. მეურნეობის მცირე მასშტაბი რაჭაში განაპირობებდა თვითმოქმედი მოსახლეობის საშოვარზე წასვლის ფართო მასშტაბს.

1851 წ. რაჭის მაზრაში ხორბლეულის მოსავალი უდრიდა „ჩეთვერთებში“:

ცხრილი 21

რაჭის მაზრაში	დათესილი		აღებული	
	საშემოდგომო	საგაზაფხულო	საშემოდგომო	საგაზაფხულო
მემამულეებისა და მათი გლეხების	7145	3036	42870	45540
სახაზინო გლეხების	1768	590	10608	8850
საეკლესიო გლეხების	1959	1166	11754	17490

1852 წელს რაჭის მაზრაში პირუტყვის ოდენობა დახლოებით უდრიდა:

ცხრილი 32

ცხენი	მსხვილფეხა რქოსანი	ცხვრები		თხა	ღორი	ჯორი	ვირი
		უბრალო მატყლიანი	ნაზმატყლიანი				
1229	18267	13608	202	4143	8921	53	42

1861 წ. რაჭის მაზრაში ხორბლისა და სხვ. მოსავალი უდრიდა „ჩეთვერთებში“:

ცხრილი 43

	დათესილი		აღებული		მოსავალი	
	საშემოდგომო	საგაზაფხულო	საშემოდგომო	საგაზაფხულო	საშემოდგომო	საგაზაფხულო
შემამულეებისა და მათი გლეხების	12600	11759	138690	18800	126000	176250
სახაზინო	7800	2500	8580	40000	78000	37500
გლეხების	5400	1900	59400	30400	54000	28500

რაჭაში საშუალოდ ექვსსულიანი გლეხის ოჯახზე მოდიოდა: 1,2 რქოსანი პირუტყვი და 4 წვრილფეხა, ცხენი და გამწევი ძალა ყველა ოჯახს როდი ჰყავდა, 1862 წელს რაჭის მთელ მაზრაში დაახლოებით 1903 ცხე-

1 საქ. ცსია, ფ. 4, ან. 8, ს. 263. ფურც. 144; ს. 274, ფურც. 184

2 იქვე, ფურც. 182.

3 Документы по истории Грузии (1862—1917), т. I. ч. I, под ред. проф. Ш. К. Чхетия, Тб., 1954, с. 7.

ნი, ჯორი და ვირი, 23 050 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 19 500 ცხვარი, 18 500 თხა და 18 740 ღორი იყო [1].

რაჭაში პურის, ქერის, ფეტვის, ჭვავისა და სხვა ხორბლეულის გარდა თესდნენ ღომსა და სიმინდსაც, მითუფრო ბარ ადგილებში. ხოლო კარტოფილს, უფრო მთიან ადგილებში თესდნენ და მცირე მიწაზე შედარებით კარგ მოსავალს იღებდნენ. რაჭაში მისდევდნენ მებაღეობა-მებოსტნეობასაც, დაბლობ ადგილებში მევენახეობას ავითარებდნენ, ზოგან აბრეშუმის ჭიაც გამოჰყავდათ.

საბნავი მიწის სიმცირე თითქმის მთელ რაჭაში შეიმჩნეოდა, მაგრამ საბალახო და სათიბი ადგილები შედარებით მეტი იყო, თუმცა დიდი ფართობით ვერც ეს გამოირჩეოდა.

რაჭაში, მიწისმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად, მისდევდნენ საოჯახო მრეწველობასაც, აქ ამზადებდნენ სახლის სხვადასხვა მოწყობილობას, ხისა და თიხის ჭურჭლეულს, ქსოვდნენ სხვადასხვა შალეულს, ამზადებდნენ ქეჩასა და ნაბდებს, აგრეთვე რკინის სხვადასხვა იარაღს და სხვ. მაგრამ ამ კარჩაკეტილ-ნატურალურ მეურნეობას ფართო მასშტაბი არ შეიძლება ჰქონოდა, ამიტომ ის მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. რაც დრო გადიოდა და თვითმპყრობელობის პოზიციები მტკიცდებოდა, რაჭის მოსახლეობის ვალდებულებაც თანდათან იზრდებოდა. თუ 1822 წ. რაჭის ოკრუგში სახაზინო გლეხებიდან მიღებული ხორბლის გადასახადი 1987 ბათმანს, ანუ 397 მანეთსა და 48 კაპიკს უდრიდა ვერცხლით (საბატონო გლეხები გადასახადებს თავიანთ მეპატრონეებს უხდიდნენ), 1851 წელს კი მთელი რაჭის მოსახლეობის სახელმწიფო გადასახადებმა 3 393 მანეთს მიაღწია [2].

XIX ს. 30—40-იანი წლებიდან რაჭაში ერთგვარ გამოცოცხლებას იწყებს ვაჭრობა, რომელიც ძირითადად ბაზრობებზე წარმოებდა. ერთი ასეთი ბაზრობა ონში რამდენიმე კვირაში ერთხელ (პარასკევობით) იმართებოდა. ონის ბაზრობაში რაჭველებთან ერთად მონაწილეობდნენ: ლეჩხუმელები, მეგრელები, იმერლები, სვანები და მეზობელი ოსები. ვაჭრების უმრავლესობას სომხები და ებრაელები შეადგენდნენ. ამ ბაზრობაზე იყიდებოდა: პირუტყვი, ხორბლეული, სასმელები, შალეულ-ბამბეული, აბრეშუმი, ჭურჭლეული, სხვადასხვა სახის სამუშაო და საბრძოლო იარაღი, ქეჩა-ნაბადი, შაქარი, ჩაი, ხილეული, თამბაქო, ცვილი, თაფლი და სხვ.

საარქივო მონაცემებით, 1851 წელს ონის თითოეულ ბაზრობაზე თავს იყრიდა დაახლოებით 14 ათასი მანეთის საქონელი, აქედან 12,5 ათასი მანეთის იყიდებოდა[3].

---

[1] Документы по ист. Грузии... с. 8.
[2] საქ. ცსია, ფ. 4, ან. 8, ს. 274, ფურც. 138.
[3] იქვე, ფურც. 140.

რაჭის მოსახლეობა (ონის გარდა) მონაწილეობდა. აგრეთვე მურის, ლაილაშის, სენაკისა და მეზობელი მხარეების ბაზრობებში.

რაჭის მოსახლეობა მოკლებული იყო სამედიცინო მომსახურებას, 1851 წ. ქუთაისის გუბერნიაში სულ ერთი ექიმი და მისი ოთხი თანაშემწე მუშაობდა. ერთ-ერთი თანაშემწე რაჭის მაზრაში იმყოფებოდა. გუბერნიას სულ 15 ამცრელი (ვაქცინატორი) ჰყავდა[1]. მოსახლეობისათვის არავითარი სახელმწიფო აფთიაქი და წამლები არ არსებობდა (პრიმიტიული წამლები სამხედრო ნაწილების ლაზარეთებს თუ გააჩნდა). ასეთი ვითარების გამო, ხშირი იყო ინფექციური და სხვა დაავადებები. შავი ჭირი, ხოლერა, ტიფი, ყვავილი, დიზენტერია და სხვა ინფექციურ-მასობრივი დაავადება ხშირად მუსრს ავლებდა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

XIX ს. პირველ ნახევარში ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობა ფაქტობრივად მოკლებული იყო სწავლა-განათლებას. გუბერნიაში მხოლოდ ერთადერთი გიმნაზია არსებობდა, მეფის მთავრობა მხოლოდ თავად-აზნაურების განათლებაზე ზრუნავდა, მაგრამ სასწავლებლებისა და სათანადო სახსრების სიმცირის გამო ისინიც მოკლებული იყვნენ ფართო განათლებას.

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ, 1853 წ. 29 ოქტომბერს, ონში გაიხსნა დაწყებითი საერო სკოლა, რომელსაც ორიოდე მასწავლებელი და რამდენიმე მოსწავლე ჰყავდა[2].

ისე, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში, სამიმოსვლო საშუალება რაჭაშიც შეზღუდულ-მოუწყობელი იყო. ამ გარემოებას მეფის მოხელეებმა თავიდანვე მიაქციეს ყურადღება. ისინი ცდილობდნენ რაჭის (კუდაროს) გზის გაფართოებას, კავშირურთიერთობის გაუმჯობესებას დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, აგრეთვე ჩრდილო კავკასიასთან. ამ მიზნით 1822 წ. იმერეთის მმართველმა გენერალმა გორჩაკოვმა რაჭაში მიავლინა სიმონ და რობერტ წერეთლები, მოურავი ბუგაშვილი და ინჟინერ-პორუჩიკი ბობორიკინი. აღნიშნული კომისია საჩხერიდან ცხინვალში გადავიდა, ხოლო იქიდან კუდაროს (ერწოს) გზით — კვაისა-გლოლაში, საიდანაც გეზი აიღო მამისონის ჭედისაკენ, მაგრამ ეს უკანასკნელი თოვლით ყოფილა დაფარული და უგზოობის გამო უკან დაბრუნდა. კომისიის დასკვნით, გლოლასა და ღვერცევს შუა სიარული არ შეიძლებოდა, ამიტომ, პირველ რიგში აუცილებელი იყო მისი შეკეთება[3].

კავკასიის ადმინისტრაციის წინაშე არაერთხელ დაისვა რაჭის გზების შეკეთება-კეთილმოწყობის საკითხი, მაგრამ საქმეს ყოველთვის სახსრების გაუღებლობა აფერხებდა. 1835 წ. მთავრობა შეუდგა გორიდან

---

1 საქ. ცსია, ფ. 4, ან. 8, ს. 274, ფურც. 8—9.
2 AKAK, т. XI, с. 739.
3 საქ. ცსია, ფ. 2, ან. 1, ს. 1277, ფურც. 3—6.

(„ოსეთის მთების“ გავლით) ონისკენ გამავალი გზის შეკეთებას, თუმცა, მხოლოდ უმნიშვნელო სამუშაო იქნა ჩატარებული[1]. ამას მოჰყვა რაჭა-ლეჩხუმისა და ქუთაის-სამეგრელოს დამაკავშირებელი გზების ნაწილობრივ გაუმჯობესება, რადგან მთავრობა დაინტერესებული იყო მათი სამხედრო, აგრეთვე სამეურნეო გამოყენებით. ცხადია, სამიმოსვლო საშუალებათა გაუმჯობესებას, პირველ რიგში, მოსახლეობისათვის ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა.

საქართველოს მთავარმართებელი როზენი 1837 წ. ჩერნიშოვს სწერდა, რომ აუცილებელი იყო სამეგრელოდან — მურამდე გზის (40 ვერსი სიგრძის) გაუმჯობესება, რადგან მისი გამოყენება სამხედრო და სამეურნეო საქმისათვის დიდ სიძნელესთან იყო დაკავშირებული[2].

სხვათა შორის, მთავრობის მოხელეებმა მოსინჯეს მდინარე რიონის საწყლოსნო ტრანსპორტად გამოყენების შესაძლებლობაც, მაგრამ მეტისმეტი კლდიანი ვიწრო კალაპოტისა და სწრაფი დინების გამო, მისი გამოყენება, თუნდაც ხე-ტყის მასალის დასაცურებლად, შეუძლებლად იქნა მიჩნეული. თუმცა აზნაურმა ალხაზოვმა (ალხაზიშვილი) 1824 წ. შეძლო რაჭიდან ქუთაისამდე რიონით 30 მორი (8 საჟენი) ხიდის მასალის დაცურება, რაც უწინ შეუძლებლად იყო მიჩნეული. ამ გაბედული ნაბიჯისათვის ალხაზოვი საქართველოს ადმინისტრაციამ ვერცხლის მედლით დააჯილდოვა[3]. მიუხედავად ამისა, რიონი როგორც სატრანსპორტო საშუალება, დიდხანს გამოუყენებელი დარჩა.

მეფის მოხელეებმა არაერთხელ დასვეს რაჭა-ლეჩხუმის წიაღისეული სიმდიდრის გამოვლენა-ათვისების საკითხიც. 40-იანი წლების დასაწყისში კომისიამ, სამთო ინჟინრის — კარტერონის მეთაურობით, მოიარა ლეჩხუმი (ზუბი და მექვენა), ქვემო სვანეთი (ლაშხეთის თემი) და რაჭა (წედისი, სადმელი და სასუნებელი)[4]. აღნიშნულ ადგილებში ტყვიისა და სპილენძის საბადოების შესწავლა რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა, ტყვიის შემცველი მინერალებიც იქნა გამოვლენილი, მაგრამ მრავალი მიზეზის გამო (უგზოობის, დასახლებული პუნქტებიდან სიშორის, საწვავის უქონლობისა და სხვ.) სასარგებლო წიაღისეულის ექსპლუატაცია არახელსაყრელად იქნა მიჩნეული[5].

მეფის მთავრობა ყოველ დაწყებულ საქმეს უმოქმედოდ ტოვებდა ნაკლებმომგებიანობისა და სახსრების უქონლობის მომიზეზებით, მოსახლეობა კი სიღატაკესა და გაჭირვებაში რჩებოდა.

---

1 AKAT, т. VIII, с. 377—378.
2 იქვე. გვ. 377.
3 საქ. ცსია, ფ. 2, ან. 1, ს. 1666, ფურც. 2—5.
4 AKAK, т. IX, с. 640.
5 იქვე. ტ. X, გვ. 141.

4. ლეჩხუმის მმართველობა და მეურნეობა

როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად იმერეთის მეფის დავისა, ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროში შედიოდა და დადიანს ემორჩილებოდა.

სამეგრელო-ლეჩხუმს ფორმალურად უმაღლესი საბჭო (მმართველი საბჭო) განაგებდა, მაგრამ საშინაო საქმეებში მთავარი მაინც დადიანი იყო.

სამეგრელოს მმართველ საბჭოში (რომელსაც თავმჯდომარეობდა დადიანი) გაერთიანებული იყო ადმინისტრაციული და სასამართლო-აღმასრულებელი ძალაუფლება.

ადმინისტრაციულ, აგრეთვე სასამართლო საქმეებს საბჭო იხილავდა, მაგრამ სინამდვილეში იგი ვერც ერთს ვერ აწესრიგებდა, მითუფრო, სასამართლო საქმეებს, რომლის განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მეფის მთავრობის მხრივ სამეგრელოსადმი ზედამხედველობას თავდაპირველად იმერეთის მმართველი აწარმოებდა.

XIX ს. 40-იანი წლებიდან დაწყებული სამეგრელოს საბჭო თავის საქმიანობაზე ანგარიშს გუბერნატორს ურდგენდა, საჭირო შემთხვევაში კი მეფის ნაცვალსაც.

სამეგრელოს მმართველ საბჭოში დადიანის გარდა შედიოდნენ: განსაკუთრებული დანიშნულების უფროსი ჩინოვნიკი (ტიტულარული მრჩეველი), რომელიც უთუოდ რუსი იყო, ეკლესიათა მზრუნველი (კოლეჯის ასესორი), საბჭოს უმცროსი წევრი, ბუხჰალტერი და სხვ.

სამეგრელო-ლეჩხუმის მმართველი აპარატი, მისდამი დაქვემდებარებულ საქმეებს ვერ აწესრიგებდა. ადგილი ჰქონდა ქაღალდების ფორმალურ ტრიალს. ამის გამო სამთავროში მრავალი ბოროტება და უკანონობა ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოს მმართველ საბჭოში რუსი მოხელე შედიოდა და ეს საბჭო იმერეთის მმართველს ემორჩილებოდა, 1850-იანი წლების მიწურულამდე სამეგრელო-ლეჩხუმში რუსული მმართველობა არ დანერგილა.

ლეჩხუმში, როგორც სამეგრელოს ცალკე ერთეულში, XIX ს. 20-იან წლებამდე (მითუფრო იმ ციხესოფლებში, რომლებიც სოლომონ მეორეს ეკავა), ფაქტობრივად არავითარი მმართველობა არ არსებობდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორი მოურავის ფორმალურ არსებობას). 20-იანი წლებიდან, როდესაც შედარებით სტაბილური ვითარება შეიქმნა, ლეჩხუმს უშუალოდ სამეგრელოს მმართველი საბჭო და მისი მცირე შტატი განაგებდა.

XIX ს. 50-იანი წლების მიწურულიდან სამეგრელოში ცალკეული ოკრუგები შეიქმნა, მათ შორის ლეჩხუმის ოკრუგი, რომელშიაც დადიანის მიერ დაქვემდებარებული ქვემო სვანეთიც შედიოდა.

XIX ს. რეფორმის წინ ლეჩხუმის მოსახლეობა, დაახლოებით 2 698

კომლს, ანუ 21 849 სულს უდრიდა[1]. საგლეხო რეფორმის დროს ლეჩხუმში 230 747 ქცევა სახნავი მიწა აღირიცხა. თითოეულ სულზე დაახლოებით 10 ფუთი ხორბალი და სიმინდი ეოდიოდა. ერთ ქცევა მიწაზე ლეჩხუმში საშუალოდ 60 ფუთ სიმინდს ან 40 ფუთ ღომს იღებდნენ.

ლეჩხუმში ოდითგანვე მისდევდნენ მებაღეობა-მევენახეობასა და მებოსტნეობას. იქაური ყურძნის ზოგიერთი ჯიში საუკეთესო ღვინოს იძლეოდა (უფრო მეტად მაღლარი ვენახი იყო გავრცელებული), ხოლო ხილი განირჩეოდა თავისი სიტკბოთი და არომატით.

ლეჩხუმში აბრეშუმის ჭიაც გამოჰყავდათ. XIX ს. 50-იან წლებში ლეჩხუმში სენკლერმა (წარმოშობით ფრანგმა) აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა ააშენა, მაგრამ, როგორც ჩანს, ავადმყოფობა გაჩნდა და მისმა წარმოებამ ფართო მასშტაბი ვერ მიიღო.

1860 წ. ლეჩხუმში 12 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი აღირიცხა. იქ ჰყავდათ აგრეთვე ცხვარი, თხა, ღორი, მცირე რაოდენობით ცხენი, ჯორი, ვირი და სხვ.

მეზობელი მხარეების მსგავსად, მეურნეობა ლეჩხუმშიც ნატურალურ ხასიათს ატარებდა. იქ თითოეული მეურნე თითქმის ყოველივე იმას, რაც მისი არსებობისათვის იყო აუცილებელი, შინ ამზადებდა. მაგალითად, ტანისამოსს, ჭურჭლეულს, სახლის მასალასა და მოწყობილობას, სამუშაო იარაღებსა და სხვ. ქალები მატყლისა და ბამბის ნართისაგან შალეულსა და უხეშ ტილოს ქსოვდნენ, აკეთებდნენ ქეჩას, ნაბდებს, ქუდებს და სხვ.

XIX ს. 50-იანი წლებიდან ლეჩხუმში ვაჭრობა გამოცოცხლდა, თუმცა ის კვლავ ბაზრობათა ხასიათს ატარებდა. ყველაზე დიდი ბაზრობა იმართებოდა ლაილაშში (ლაჯანურის ხეობაში), სადაც 60 კომლამდე სომეხი და ებრაელი ცხოვრობდა.[2]

ლაილაშის ბაზრობა გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომაზე იმართებოდა, ზამთარში კი ახალშალაში გადაინაცვლებდა.

ლაილაშის ვაჭრობაზე, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, თავს იყრიდნენ სვანები, რაჭველები, მეგრელები, იმერლები და სხვ. ვაჭრობის საგანს შეადგენდა პირუტყვი, ხორბალი, ღვინო, ხილი, მარილი, თაფლი, ცვილი, შრომისა და ბრძოლის იარაღი, შალისა და ბამბის ნაწარმი, ნაბდები, ქუდები, ქეჩები და სხვ.

მაშინ, როდესაც ზუგდიდის, სუჯუნის, ორპირის, ხობის, სენაკის, ონისა და სხვა ბაზრობა (თითოეულის) 20—25 ათასი მანეთის ბრუნვას არ აღემატებოდა, ლაილაშის სავაჭრო ბრუნვა 30 ათას მანეთს ჭარბობ-

---

[1] Документы по ист. Грузии, т. I, ч. I, с. 422 (прилож. № 1).
[2] საქ. ცსია, ფ. 5, ან. 1, ს. 264, ფურც. 40.

და[1]. ლაილაშის გარდა ლეჩხუმში ორი ბაზრობა („იარმარკობა") იმართებოდა: ერთი — ახალქალაში და მეორე — ცაგერში („ენკენობა").

ლაილაშ-ცაგერ-ახალქალის ბაზრობებს საკუთრივ ლეჩხუმელების გარდა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სვანებისათვისაც. ფაქტობრივად ეს ვაჭრობა ერთიმეორეს აკავშირებდა ლეჩხუმ-სვანეთ-რაჭა-სამეგრელოსა და იმერეთს.

ვაჭრობა წარმოებდა ე. წ. მეწვრილმანეების საშუალებითაც, აგრეთვე დუქნებისა და ფარდულების მეშვეობით, მაგრამ მათი მოუწყობლობის გამო ვაჭრობა ფართო მასშტაბს ვერ აღწევდა.

XIX ს. პირველ ნახევარში ლეჩხუმის მოსახლეობაც სამედიცინო მომსახურების გარეშე იყო მიტოვებული. სამეგრელოს სამთავროში ექიმები და ფერშლები საერთოდ არ არსებობდნენ, ხოლო მთელ სამთავროში სულ ოთხი ვაქცინატორი იყო. აფთიაქი კი მხოლოდ ერთადერთი იყო ფოთში. ყოველივე ამის გამო, ინფექციური ეპიდემიები და სხვა დაავადებები ლეჩხუმშიც ხშირად მძვინვარებდა, რაც დიდ მსხვერპლს იწვევდა.

XIX ს. პირველ ნახევარში ლეჩხუმის მოსახლეობა მოკლებული იყო სწავლა-განათლებასაც. 60-იან წლებში სოფელ დეხვირში შეიქმნა ერთადერთი სასულიერო (დაწყებითი ტიპის) სკოლა, რომელსაც ორიოდე მასწავლებელი და რამდენიმე მოსწავლე ჰყავდა. ამ სკოლის მთელი წლიური ხარჯი 300 მანეთს შეადგენდა[2].

დასავლეთ საქართველოში საერო სწავლების შემოღებას მეფის მოხელეები მთელ ამიერკავკასიაში სასწავლებლების გახსნის საკითხს უკავშირებდნენ, მაგრამ ამისათვის დიდი თანხები იყო საჭირო, მისი გაღება კი არავის სურდა. მმართველობა ითვალისწინებდა სოფელ ლაილაშში ერთი საერო დაწყებითი სკოლის გახსნას, მაგრამ ეს საქმეც უფულობამ დააბრკოლა.

XIX ს. 60-იან წლებამდე ლეჩხუმის მოსახლეობა მთავრობას არავითარ გადასახადს არ უხდიდა, იქ არც სარეკრუტო გაწვევა არსებობდა (ვლეხობა გადასახადებს უხდიდა დადიანებსა და სხვა მებატონეებს, აგრეთვე ეკლესიას).

1867 წ. შემდეგ ლეჩხუმში გლეხის კომლზე დაარსდა ორი მანეთი (ვერცხლით) გადასახადი, ერთი მანეთი სახელმწიფოს სასარგებლოდ, მეორე კი საერობო საქმისათვის.

აღსანიშნავია, რომ ლეჩხუმში საგზაო ბეგარა 1866 წ. იქნა შემოღებული. ამ წელს გზის გასაკეთებლად მოსახლეობამ 1037 მუშა და ამდენივე ურემი გამოიყვანა, ამასთანავე მოსახლეობას დაეკისრა მმართველობის საჭიროებისათვის 34-მდე საჟენი შეშის დამზადება[3].

ლეჩხუმში 1857 წლამდე სისხლისა და სამოქალაქო საქმეების აღრი-

1 საქ. ცსია, ფ. 5, ან. 1, ს. 264, ფურც. 19.
2 იქვე, ფურც. 94.
3 იქვე, ფურც. 153.

ცხვა არ წარმოებდა, ხოლო 1857—1865 წწ. აღრიცხული საქმეები არქივის ხანძარმა გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ 1866 წ. ლეჩხუმის ოკრუგში სულ 1065 სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმე აღიძრა, რომელთაგანაც 69 საქმე საერთოდ არ განხილულა, ხოლო დანარჩენი ზერელედ და მიკერძოებულად[1].

ლეჩხუმი მოკლებული იყო აგრეთვე კარგ სამიმოსვლო საშუალებას. მიუხედავად ამისა, იქაც რამდენიმე გზა-ბილიკი გადიოდა: ერთი მათგანი ცაგერიდან ცხენისწყლის დინების ხეობას მიჰყვებოდა და სამეგრელოსაკენ მიემართებოდა. ეს გზა-ბილიკი ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მისდევდა ცაგერიდან ზუბის, ოყურეშისა და ხუნწის მიმართულებით (გზის მონაკვეთი, რომელიც სამარხილე-საცხენოსნო იყო, 70 ვერსს უდრიდა); მეორე გზა ცაგერიდან (მურიდან) ორბელის ქედზე გადიოდა (მთავარი გზის გარდა აქ რამდენიმე საცალფეხო ბილიკიც იყო), შემდეგ ლაჯანურის ხეობას (7 ვერსის მანძილზე) და რიონის ნაპირს მიჰყვებოდა (იქ რაჭის გზაც უერთდებოდა) ქუთაისისაკენ. ამ გზას განსაკუთრებით დიდი სამეურნეო, სავაჭრო, კულტურული და სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ლეჩხუმის, აგრეთვე სვანეთის და, ნაწილობრივ, რაჭის მოსახლეობისათვის.

XIX ს. პირველ ნახევარში დაიწყო ლეჩხუმის ბუნებრივი რესურსების დაზვერვა, მაგრამ სათანადო უგზოობისა და უსახსრობის პირობებში მისი ათვისება დიდ სიძნელეებს უკავშირდებოდა და დიდხანს გაჭიანურდა.

3. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რაჭა-ლეჩხუმში

მთელმა რიგმა ცვლილებებმა, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთებას და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას მოჰყვა, ანტიცარისტულ მოძრაობასთან ერთად, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაც გამოიწვია.

XIX ს. დასაწყისში კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, პირველ რიგში, ფეოდალური ურთიერთობის კრიზისით იყო განპირობებული. ახალი — კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად ძველი — დრომოჭმული ბატონყმურ-იძულებითი შრომა თავისუფალი დაქირავებული შრომით იცვლებოდა და ყმა-გლეხობა პირადი თავისუფლებისათვის იბრძოდა.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას სხვა მრავალი გარემოებაც აპირობებდა, კერძოდ ის, რომ ადგილობრივ მებატონეთა მხრივ მძიმე ექსპლუატაციას ახლა მეფის თვითმპყრობელობისადმი ვალდებულება, აგრეთვე ცარიზმის ადგილობრივ მოხელეთა თვითნებური ძალადობა დასხვაც დაემატა.

---

[1] საქ. ცსია, ფ. 5, ან. 1, ს. 264, ფურც. 152.

ყველაფერთან ერთად მოუსავლობა (ასეთ დროს ზედმეტი პროდუქტის წარმოება შეუძლებელი იყო) გლეხობას აიძულებდა არსებობისა და თავისუფლებისათვის ებრძოლა. გლეხთა ბრძოლას თავისუფლებისათვის ბიძგი მისცა თვითმპყრობელობის ნაციონალისტურმა პოლიტიკამ, ამასთანავე აჯანყებაში მონაწილეთა რეპრესიებმა.

რაჭა-ლეჩხუმის გლეხთა კლასობრივი ბრძოლა, რომელიც XIX ს. პირველ ნახევარში მიმდინარეობდა, სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. გლეხები ხშირად უარს აცხადებდნენ ძველი ვალდებულების შესრულებაზე. მათი ნაწილი სხვაგან გარბოდა, ნაწილი ვალდებულების შემსუბუქებას მოითხოვდა, ზოგიერთიც სრული თავისუფლებისათვის ან სხვა უწყებაში გადასვლისათვის იბრძოდა.

რაჭაში კლასობრივი ბრძოლისა და ანტიცარისტული მოძრაობის შერწყმა და საერთო გამოვლინება იყო 1810—1820 წლების მოძრაობა-აჯანყებები, რაც მარცხით დამთავრდა.

XIX ს. ათიან წლებში რაჭის მრავალი სოფლის გლეხობა ცდილობდა ძველი მებატონეებისაგან თავდახსნას. მათ შორის შარდომეთის მცხოვრები ივანიკა და კაცუნა ჩიკვილაძეების ოჯახები. საქმიდან ჩანს, რომ 1812 წ. ჩიკვილაძეებს ჯაფარიძეებისაგან 200 მარჩილად გამოუსყიდიათ ნადელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენიმე ხნის შემდეგ ჯაფარიძეები ძველებური ვალდებულების შესრულებას მოითხოვდნენ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ერთ-ერთი ჩიკვილაძე მებატონე ჯაფარიძეს სხვისთვის მიუყიდია შინამოსამსახურედ. ჩიკვილაძეებისა და ჯაფარიძეების დავა დიდხანს გაგრძელდა. ჯაფარიძეები არაფერს თმობდნენ, რის გამოც ჩიკვილაძეებმა 1831 წ. საჩივრები აღძრეს ქუთაისში რევიზიაზე წასულ სენატორებთან (კუტაისოვთან და მენშიკოვთან), მაგრამ ვერაფერს გახდნენ. დავა შემდეგაც გაგრძელდა, რაც შეხლა-შემოხლაში და გლეხებისადმი ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ამას ჩიკვილაძეებისადმი ხარების წართმევაც მოჰყვა, მაგრამ საქმე არც ამით დამთავრდა. მებატონე ჯაფარიძეებმა ჩიკვილაძეები ციხეში გამოამწყვდიეს (იმ ბრალდებით, თითქოს ისინი მოსაკლავად დაესხნენ თავს), ხოლო მათი ქალიშვილი შინამოსამსახურედ წაიყვანეს. ამასობაში ერთ-ერთი ჩიკვილაძე პატიმრობაში გარდაიცვალა, ხოლო ჩიკვილაძეების ნასყიდი მიწა ჯაფარიძეებმა დაიტაცეს. მიუხედავად ამისა, ჯაფარიძეები მაინც არ დაცხრენ და მათ რაჭის უფროსის, აგრეთვე იმერეთის მმართველი ვაკულსკის მხარდაჭერით, ჩიკვილაძეებს რაჭიდან გადასახლება და პატიმრობა მიესაჯათ.

მებატონეთა ასეთი უკანონობის გამო, ჩიკვილაძეებს მრავალი თანასოფლელი და მეზობელი სოფლების გლეხი გამოექომაგა. მათ იმერეთის მმართველობაში არაერთი საჩივარი შემოიტანეს, რომ ჩიკვილაძეები დამნაშავენი არ იყვნენ. ერთ-ერთ საჩივარში ვკითხულობთ: „ამა ძართალსა და უტყუვარს მოწმობასა ვაძლევთ ჩვენ ზემორე ხსენებულნი ოთხნი

სოფელნი ივანიკას და მის შვილს ხარებას ჩიკვილაძეებს, ესრეთ რომელ არავითარ ჭინააღმდეგობა უბმარიეს მათ რომელნიცა არიან საპყრობილესა შინა, არც ჩხუბითა, არც დახდომითა, არც მახვილითა, არა რაჲ არს მათი ბრალობა თვინიერ ამისა, რამეთუ ქვეშევრდომილ არიან მართებლობისა და ითხოვენ მართებლობისა სამართალსა"[1]. -

საბუთს ხელს აწერენ ოთხი სოფლის — შუაუბნის, ლაშიჭალის, ხურუთისა და სხვა გლეხები: დავითა, გლახუნა, გიგუნა, ხიზანა, კაციელა, ბასილა, სესუნა და სიმონა ჩიკვილაძეები, ოთინა და დათუნა ბროლაშვილები, პაატა, თევდორე, შოშუნა და ბასილა ყავლაშვილები, ხარება, ივანიკა და სესუნა ტყეშელაშვილები, გლახუნა რთველაძე, კაცუნა ტაბუცაძე, ივანე კირვალიძე, დათუვა, გლახუნა, ნასყიდა, ქრისტესა და როსტომა ლობჟანიძეები, შოშუნა მეშვილდიშვილი, მამუკა, დავით, ივანე, კიკოლა, თვალიკა და მიქელა გობეჯიშვილები და სხვა მრავალი[2].

მებატონეთა უკანონობის წინააღმდეგ ამხედრებულმა გლეხებმა სამართალი ვერ იპოვეს, უკანონოდ დასჯილ თანამოძმეებს ვერაფერი უშველეს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის კანონი — თავადაზნაურთა მიერ ურჩი გლეხების ციმბირში გადასახლების უფლებაზე საქართველოში ახლად ვრცელდებოდა. აქ ჯერ არ იყო მტკიცედ დადგენილი, მებატონეთა ურჩი გლეხები რომელ მხარეში გადაესახლებინათ. ამის გამო რაჭიდან გადასახლებული ჩიკვილაძეები ჯერ სტავროპოლის გუბერნიაში გააჩერეს. ამასობაში მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა, რომ ამიერკავკასიიდან გადასახლებული გლეხები ჩრდილო კავკასიის სამხედრო ხაზის რომელიმე სოფლებში უნდა დაესახლებინათ, საბოლოოდ ჩიკვილაძეებიც ეკატერინოგრადის სტანიცაში ჩაასახლეს. ოღონდ ჯაფარიძეები იძულებული გახდნენ, საერთო კანონის შესაბამისად, ჩიკვილაძეებისათვის მიწაში მიღებული 200 მარჩილი უკან დაებრუნებინათ და, აგრეთვე მათთვის გზის ხარჯიც მიეცათ[3].

დასავლეთ საქართველოში გლეხთა ურჩობამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ მინისტრთა კომიტეტი იძულებული გახდა, საქართველოსა და ამიერკავკასიის გლეხობაზე სპეციალურად ემსჯელა.

ამ დადგენილებაში ნათქვამი იყო: თუკი საქართველოსა და ამიერკავკასიის მემამულეები მოიწადინებდნენ გლეხების გადასახლებას ურჩობისათვის, ასეთი გლეხები ჩრდილო კავკასიაში დაესახლებინათ (ოღონდ გადასახლებული გლეხებისათვის მემამულეებს გზის, აგრეთვე დასახლებულ ადგილზე მეურნეობის თავდაპირველი მოწყობის ხარჯების ნაწილი უნდა გაეღოთ). მაგრამ თუკი საქართველოდან ან საერთოდ — ამიერკავკასიიდან გლეხების გადასახლება მოხდებოდა, მაშინ იკრძალებოდა ასეთი

---

[1] საქ. ცსია, ფ. 2, ან. 1. ს. 2742, ფურც. 57—67.
[2] იქვე.
[3] იქვე, ფურც. 69—72, 85.

ოჯახების წევრთა განცალკევება (ქალიშვილების 15 წლამდე, აგრეთვე ოჯახთან წასვლის მსურველი ღრმა მოხუცებულებისაც)[1].

ცხადია, ასეთმა დადგენილებამ მოძალადე მებატონეებს ძალა შემატა, მაგრამ, ხარჯების დაკისრებამ ისინი ერთობ ჩააფიქრა.

XIX ს. 30-იან წლებში ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ რაჭა-ლეჩხუმის გლეხობა მასობრივად გაურბოდა თავის მებატონეებს და თავისუფლებას ეძიებდა. ასეთთა შორის იყვნენ რაჭის მცხოვრები გიორგობიანის[2], ლობჟანიძეების, კერესელიძეების, მელაშვილების, კაკაბაძეების, სამარგულიანებისა და სხვათა ოჯახები[3].

სამარგულიანების ორმა ოჯახმა 1844 წ. საქმე აღძრა გრ. წულუკიძისაგან თავისუფლების ძიებაზე. ისინი იმერეთის მმართველობაში ჩიოდნენ, რომ თამარ მეფიდან დაწყებული, მათი მამა-პაპა მემკვიდრეობით ღადიშის ეკლესიას ეკუთვნოდა და მის მიწა-წყალზე ცხოვრობდა, რომ წულუკიძეები მათ ძალით იჩემებდნენ.

საქმიდან ჩანს, რომ სამარგულიანების ოჯახები, ჯერ კიდევ, 30-იანი წლებიდან, გაურბოდნენ წულუკიძეებს, მაგრამ თოთხმეტზე მეტი წელიწადის მცდელობის მიუხედავად, მათ თავის დაღწევა ვერ მოახერხეს. ჩანს ამ ბნის მანძილზე წულუკიძეებმა მრავალჯერ შეავიწროვეს სამარგულიანები, არაერთხელ წაართვეს მათ პირუტყვი და სხვ.[4].

წულუკიძეებისაგან თავისუფლებას ძიობდნენ, აგრეთვე საყვარელა, როსება, საჩინო და ზალიკა გოცირიძეების ოჯახები, რომლებიც ერთ დროს აზნაურები ყოფილან, მაგრამ კამერალური აღწერის დროს (1840 წ.), ისინი რატომღაც წულუკიძეთა გლეხებად ჩაუთვლიათ[5].

თავისუფლებისათვის ძიებამ და მებატონეებისადმი ურჩობამ, განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ზემო რაჭაში, სადაც ხიდარის, უწერის, ღების მცხოვრებმა გლეხებმა თავიანთი მებატონეების წინააღმდეგ მრავალი საჩივარი და პროტესტი შეიტანეს იმერეთის მმართველობაში.

თავისუფლების მაძიებელ გლეხთა ნაწილი ითხოვდა, რომ ისინი სახაზინო ან საეკლესიო უწყებაში ჩაერიცხათ. ასეთთა შორის იყვნენ უწერის მცხოვრები მეტრეველები, რომლებიც ჩიოდნენ, რომ ისინი კაცია ჯაფარიძემ უკანონოდ დაიჩემა[6].

რაჭის გლეხთა პროტესტებსა და საჩივრებთან დაკავშირებით იმერეთის მმართველი, გენერალი ესპეხო, 1839 წელს საქართველოს მთავარმართებელს სწერდა, რომ რაჭაში ყოფნის დროს მასთან მრავალი გლეხი გამოცხადდა, რომლებიც მებატონეთა სისასტიკის წინააღმდეგ აღშფოთებას ვერ მალავდნენ. მათ შორის გლეხები ასახელებდნენ კაცია

---

1 საქ. ცსია, ფ. 2, ან. 1, ს. 2742, ფურც. 79, 82, 83.
2 იქვე, ს. 3152, ფურც. 3—8.
3 იქვე, ს. 3152, ფურც. 247—456.
4 იქვე, ს. 11136, ფურც. 1—4.
5 იქვე, ს. 12162.
6 იქვე, ს. 5629, ფურც. 3.

ჯაფარიძესა და მის მოგვარეებს, რომელთაც ადანაშაულებდნენ სისასტიკეში, ცბიერებასა და ეშმაკობაში, აგრეთვე გლეხების ფიზიკურ მოსპობაში[1].

თვითმპყრობელობის მოხელეებს მრავალი პროტესტი მისდიოდათ, აგრეთვე უწერის მცხოვრებ ლობჟანიძეების, კერესელიძეების, გოგიბერიშვილების, მელაშვილებისა და კობერიძეებისაგან, რომლებიც ჩიოდნენ, რომ ისინი უკანონოდ დაიყმევა ზუბოვმა (ტიფოგრაფმა რაზმაძემ) და მოითხოვდნენ მისგან განთავისუფლებას[2].

კლასობრივი ბრძოლა მწვავე ხასიათს ატარებდა ლეჩხუმშიც, მიუხედავად იმისა, რომ იქაურ გლეხთა მდგომარეობაზე ნაკლები მასალები შემოგვენახა (ასეთი მასალები არქივის ხანძარმა შთანთქა, ან, საერთოდ არ შემოგვენახა), ჩანს, გლეხები განსაკუთრებით შინაფეოდალურ შეხლა-შემოხლის დროს ნადგურდებოდნენ.

დადიანსა და ლეჩხუმის თავადებს შორის დაპირისპირება (მით უფრო, როცა საქმეში იმერეთის მეფეც ერეოდა) უამრავი გლეხის სიცოცხლეს იწირავდა და სოფელს ანადგურებდა.

ლეჩხუმში ხშირი იყო საეკლესიო ან სხვა უწყების გლეხთა ძალით მიტაცება-დაჩემება. როგორც ადგილობრივ, აგრეთვე კავკასიის მმართველობაში არაერთი საჩივარი შედიოდა ლეჩხუმის ოკრუგიდანაც, საიდანაც არაერთი გლეხი ჩიოდა მებატონეთა მხრივ აბუჩად აგდებაზე ან უკანონო ექსპლუატაციაზე, მათ შორის იყვნენ სოფლების — ნაყურალეშისა და ლახეფის მცხოვრები ჩაკვეტაძეების და ყურაშვილების ოჯახები, რომლებიც წერდნენ, რომ ისინი ადრე ცაგერის მონასტრის გლეხები იყვნენ, ახლა ყრუაშვილებმა დაისაკუთრეს. ამ უკანასკნელთა მიერ უკანონოდ მითვისებულთა შორის 40 კომლია დასახელებული, ყველა მათგანი ყრუაშვილებისაგან თავისუფლებასა და ეკლესიისადმი გადაცემას მოითხოვდა. ეს გლეხები დიდხანს განაგრძობდნენ ყრუაშვილების წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ ამაოდ, მათ ინტერესებს არავის იცავდა[3].

კლასობრივმა წინააღმდეგობამ განსაკუთრებით შეუპოვარი ხასიათი მიიღო XIX ს. 60-იანი წლების დასაწყისში (როდესაც ბატონყმობა ჯერ იმპერიის ცენტრში გაუქმდა), მეფის მთავრობა იძულებული გახდა ბატონყმობა საქართველოშიც გაეუქმებინა.

---

[1] საქ. ცსია, ფ. 2, ან. 1, ს. 5809, ფურც. 3.
[2] იქვე, ფ. 5, ან. 1, ს. 29, ფურც. 3—5.
[3] იქვე.

თავი მეექვსე

საგლეხო რეფორმა დასავლეთ საქართველოში

1. საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ქუთაისის გუბერნიაში

XIX ს. 50-იან წლებში საქართველოშიც რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა. ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური წყობილების დრომოჭმულობა. გლეხთა ანტიბატონყმურმა მოძრაობამ მთელ იმპერიაში სერიოზული საფრთხე შეუქმნა საქართველოს თავადაზნაურობის ბატონობას, საერთოდ, მთელი იმპერიის ხელისუფლებას.

ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის მოსპობა რუსეთის იმპერიის საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების წინსვლა-განახლების აუცილებელ პირობად იქცა. ქვეყნად ისეთი ვითარება შეიქმნა, როცა ბატონყმობა და მეფის ხელისუფლება ან „ქვევიდან“ უნდა დამხობილიყო, ან მეფის ხელისუფლებას „ზემოდან“ გაეუქმებინა.

ასეთ ვითარებაში, მეფის თვითმპყრობელობამ გადაწყვიტა თვითონვე ეზრუნა ბატონყმობის გაუქმებისათვის. ალექსანდრე მეორის მითითებით, საგლეხო რეფორმისათვის მზადება მთელ იმპერიაში, კერძოდ საქართველოშიც დაიწყო, მაგრამ ეს დიდ სამუშაოსთან და სახსრებთან იყო დაკავშირებული, თან საქმის შესწავლასა და დროს მოითხოვდა. ამიტომ საგლეხო რეფორმა ჯერ იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში მომზადდა და გატარდა, შემდეგ ჯერი განაპირა მხარეებზეც დადგა.

დასავლეთ საქართველოში ბატონყმობის გაუქმებისათვის უშუალო მზადება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში რეფორმის მომზადება უკვე დამთავრდა და მისი პრაქტიკული გატარება დაიწყო.

თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების გამოცხადებისთანავე 1864 წ. ნოემბერში კავკასიის ადმინისტრაციამ გასცა განკარგულება რეფორმის მომზადებისათვის ქუთაისის გუბერნიაშიც დაწყებულიყო მუშაობა.

მეფისნაცვალმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაავალა, თავადაზნაურთა წარმომადგენლობის მეშვეობით, გუბერნიის საბატონო გლეხთა განთავისუფლებისა და ყოფა-ცხოვრების მოწყობის დებულების დამატებითი წესების პროექტის მომზადება. განზრახული იყო, რომ საამისოდ ჯერ თავად-აზნაურთა სამაზრო ყრილობები მოწვეულიყო, რომელთაც დეტალურად უნდა განეხილათ ადგილზე არსებული საადგილმამულო ურთიერთობა და სათანადო წინადადებით და მასალებით უნდა წარ-

დგენილიყვნენ თავად-აზნაურთა საგუბერნიო ყრილობაზე, სადაც საერთო წესების პროექტი უნდა შემუშავებულიყო. მაგრამ, რადგან საქმის ამგვარი განხილვა დიდ დროს მოითხოვდა და, მითუფრო თბილისის გუბერნიის გამოცდილება უკვე სახეზე იყო, სამაზრო ყრილობების მოწვევა ზედმეტად, გაჭიანურებად იქნა მიჩნეული. გადაწყდა, რომ უშუალოდ (პირდაპირ) საგუბერნიო ყრილობა მოწვეულიყო, სადაც თავს მოიყრიდა თითოეული მაზრის ოთხ-ოთხი (ორი თავადი და ამდენივე აზნაური) წარმომადგენელი. ამგვარად შედგენილ კომიტეტს, წინამძღოლის მეთაურობით, თბილისის გუბერნიის გლეხთა დებულების კვალობაზე, სამი თვის ვადაში, ქუთაისის გლეხთა განთავისუფლების დამატებითი წესების პროექტი უნდა შეემუშავებინა.

გუბერნიის ოთხი მაზრის: ქუთაისის, შორაპნის, რაჭისა და ოზურგეთის თავადაზნაურთა თექვსმეტმა წარმომადგენელმა (საგლეხო კომიტეტმა), საერთო წინამძღოლის მეთაურობით, სამი თვე იმსჯელა ბატონყმობის რიგზე, მისი გაუქმების პირობებზე და 1865 წ. თებერვლის ბოლოს თავისი წინადადებები წარუდგინა გუბერნიის ხელმძღვანელობას (თავად-აზნაურთა საგლეხო კომიტეტში შედიოდნენ: ნ. წერეთელი — თავმჯდომარე, კაპიტანი ერისთავი, თავად-აზნაურები — წულუკიძე, კ. აბაშიძე, ო. ნიჟარაძე, მ. ჩიჯავაძე, მ. წერეთელი, ბებურიშვილი, ლ. ჭიჭინაძე, მ. მხეიძე, მ. ჭყონია, მაჭავარიანი და სხვ.)[1].

დავალებული სამუშაოს ჩატარების შემდეგ, მეფისნაცვალის — რომანოვის განკარგულებით, ქუთაისში შეიქმნა მთავრობის სპეციალური კომისია ბაგრატიონ-მუხრანსკის თავმჯდომარეობით (კომისიაში შევიდნენ თავად-აზნაურთა წინამძღოლი, გვარდიის პოლკოვნიკი ნ. წერეთელი, ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი ა. იზუმსკი, გუბერნიის სასამართლოს თავმჯდომარე მ. თუმანიშვილი, თავად-აზნაურები: გურამიშვილი, სეევერიან-შიმანსკი, დ. წულუკიძე, ი. ლორთქიფანიძე, ი. ბონისლავსკი, ი. ჭავჭავაძე, ნაკაშიძე და სხვ.)[2]. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე თავად-აზნაურთა საგუბერნიო კომიტეტის წევრები.

აღნიშნულ კომისიას დაევალა ორი თვის ვადაში მოემზადებინა ქუთაისის გუბერნიის ბატონყმობიდან გამოსულ გლეხთა ყოფა-ცხოვრების მოწყობის წესები. რამდენიმე სხდომის შემდეგ, 1865 წ. 26 აპრილს, კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა და გლეხთა განთავისუფლების დამატებითი წესები (თავისი ჟურნალებით და მასალებით) კავკასიის საგლეხო კომიტეტს წარუდგინა თბილისში, სადაც მის განხილვაში მონაწილეობა უნდა მიეღო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორსაც.

---

[1] Документы по ист. Грузии, ч. I, под ред. проф. Ш. К. Чхетия, Тб., 1954, с. 250.

[2] Документы... с. 251.

* * *

საგლეხო რეფორმის წესების შემუშავების დაწყებამდე აუცილებელი გახდა საადგილმამულო ურთიერთობისა და სტატისტიკური მონაცემების მომზადება.

აღსანიშნავია, რომ საადგილმამულო ურთიერთობა ქუთაისის გუბერნიაშიც ადათ-წესზე იყო დამყარებული. მისი შესწავლა და ზუსტი დადგენა მეტად დიდ მუშაობას მოითხოვდა და ძნელი საქმე იყო. ფაქტია, რომ ქუთაისის გუბერნიაში მიწის უდიდესი ნაწილი მემამულეთა საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ XVIII და მითუფრო XIX საუკუნეში მომხდარი ცვლილებების შედეგად, გლეხთა ნაწილი დაწინაურდა და შეძლო მიწაც ჩაეგდო ხელში. გახშირდა შემთხვევები, როდესაც გლეხი მიწას ყიდულობდა და ყიდდა. მაგრამ საქმის ოფიციალური გარჩევის დროს, მიუხედავად ოფიციალური საბუთებისა, მემამულე არ ცნობდა მას, მიწის ნასყიდობის აქტს ყალბ ან ფორმალურ საბუთად მიიჩნევდა. საქმეს მიწაწყლის გაუმიჯნაობა და მის კუთვნილებაზე წერილობითი მონაცემების უქონლობა ართულებდა. მემამულეთა კუთვნილი მიწები და გლეხები სხვადასხვა სოფლებში და ადგილებში იყო გაფანტული, მემამულეებისადმი კუთვნილი მიწების საზღვრები გაუმიჯნავი იყო.

ყოველივე ეს ართულებდა რეფორმისათვის მოსამზადებელ მუშაობას და დავისა და უკმაყოფილობის წყაროდ იქცეოდა.

როგორც აღვნიშნეთ, რეფორმის მოსამზადებლად აუცილებელი და საჭირო იყო საადგილმამულო ურთიერთობის მთლიანი შესწავლა როგორც მემამულეთა პირადი მეურნეობისა და მიწის ოდენობის დადგენა, ასევე მათდამი კუთვნილი გლეხობის სარგებლობაში არსებული მიწისა და პირუტყვის (უძრავ-მოძრავი ქონების) რაოდენობის საბოლოო დაზუსტება.

რაკი თვითმპყრობელობამ რეფორმის გატარება გადაწყვიტა, ბუნებრივია, საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება კლასობრივი ინტერესების შესაბამისად უნდა მომხდარიყო. საქმე იმაშია, რომ კამერალური აღწერის ჩატარება (ყოველგვარი მონაცემების აღწერა) მხოლოდ მეფის მთავრობას და, საერთოდ, თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს ძალუძდათ. ამის გამო, განსაკვირი როდია, რომ ყოველი სადავო შემთხვევა თავად-აზნაურთა სასარგებლოდ იჭრებოდა.

სათანადო მზადების შემდეგ, 1859 წ. ოზურგეთის მაზრაში, ხოლო 1864 წ. ქუთაისის, შორაპნისა და რაჭის მაზრებშიც ჩატარდა ზოგადი აღწერები (ე. წ. კამერალური აღწერები). აღწერათა მონაცემებით ქუთაისის ოთხივე მაზრაში ცხოვრობდა მებატონეთა 24 136 გლეხის კომლი (96 732 მამრ); 14 311 სახაზინო და საეკლესიო გლეხის კომლი (56 421 მამრ. სული); აქედან ქუთაისის მაზრაში მებატონეთა 7 985 გლეხის კომლი (32 134 მამრ. სული), 6 581 სახაზინო და საეკლესიო გლეხის კომლი

(25 303 მამრ. სული); შორაპნის მებატონეთა 7 730 გლეხის კომლი (32 772 მამრ. სული), 3 837 სახაზინო და საეკლესიო გლეხის კომლი (16 586 მამრ. სული); რაჭის მებატონეთა 3 311 გლეხის კომლი (15 226 მამრ. სული), 1 735 სახაზინო და საეკლესიო გლეხის კომლი (7 377 მამრ. სული); ოზურგეთის მებატონეთა 5 110 გლეხის კომლი (16 600 მამრ. სული); 2 158 სახაზინო და საეკლესიო გლეხის კომლი (7 155 მამრ სული)[1].

რეფორმის დროს ქუთაისის გუბერნიაში სულ ცხოვრობდა 4 785 მებატონის კომლი, რომელთაც 24 136 გლეხის კომლი ეკუთვნოდათ. 3 776 მებატონის თითოეულ კომლზე 21-ზე ნაკლები მამრობითი სული (გლეხი) მოდიოდა; 831 მებატონის თითოეულ კომლზე 21-დან — 500-მდე; 167 მებატონის 101-დან — 500-მდე; 7 მებატონის — 501-დან 1000-მდე; ხოლო 4 მებატონის — 1000-ზე მეტი მამრ. სული[2].

რაჭაში 1862 წელს ცხოვრობდა: 15 218 კაცი და 12 462 ქალი საბატონო გლეხი; 1 964 კაცი და 1 706 ქალი თავად-აზნაური; 5 390 კაცი და 4 260 ქალი სახელმწიფო გლეხი; 2 306 კაცი და 2 388 ქალი საეკლესიო გლეხი; 95 შინაყმა[3].

რაჭის მთელი მოსახლეობა 1865 წელს უდრიდა 49 810 სულს, აქედან 26 530 მამრ. და 23 280 მდედრ. სულს[4].

რაჭის მაზრაში 1862 წელს მემამულეებმა და გლეხებმა დათესეს (ერთად) სულ 12 400 „ჩეთვერთი" საშემოდგომო და 11 600 „ჩეთვერთი" საგაზაფხულო ხორბალი, სახელმწიფო გლეხებმა — 5 700 „ჩეთვერთი" საშემოდგომო და 2 500 „ჩეთვერთი" საგაზაფხულო ხორბალი, აიღეს 62 700 „ჩეთვერთი" საშემოდგომო და 40 000 „ჩეთვერთი" საგაზაფხულო ხორბალი; საეკლესიო გლეხებმა დათესეს 5 300 „ჩეთვერთი" საშემოდგომო და 1 200 „ჩეთვერთი" საგაზაფხულო ხორბალი, აიღეს 58 300 „ჩეთვერთი" საშემოდგომო და 19 200 „ჩეთვერთი" საგაზაფხულო ხორბალი. რაჭაში თითოეულ სულზე დაახლოებით 7,5 „ჩეთვერთი" ხორბალი მოდიოდა[5].

რაჭის მაზრაში 1 862 წელს ირიცხებოდა: 2 000 ცხენი, 23 080 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 20 200 ცხვარი (აქედან 4 400 ნაზმატყლიანი), 18 600 თხა, 18 710 ღორი, 30 სახედარი და ჯორი[6].

რაჭაში 1865 წელს, 1862 წელთან შედარებით, ნაკლები პირუტყვი აღირიცხა, სულ: 2 106 ცხენი, 13 882 მსხვილფეხა რქოსანი, 145 515 ცხვარი, 13 108 თხა, 10 642 ღორი, 141 ჯორი და 17 სახედარი[7]. აქვე

---

1 Документы.... с. 292.
2 საქ. ცსია, ფ. 220, საქმე 862, ფურც. 6.
3 СХАО. т. II. с. 397.
4 იქვე, გვ. 400.
5 СХАО. т. II. с. 400.
6 იქვე. გვ. 398.
7 იქვე. გვ. 418.

1868 წელს ირიცხებოდა: 1 225 ცხენი, 10 189 მსხვილფეხა რქოსანი, 22 952 ცხვარი; 2 963 თხა, 13 200 ღორი, 185 ჯორი და სახედარი[1].

უნდა ითქვას, რომ რეფორმის დროს ქუთაისის გუბერნიაში არ იყო ცნობილი თუ უშუალოდ რა რაოდენობის მიწები იყო მემამულეთა ხელში და გლეხთა სარგებლობაში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ასეთი მონაცემები არც რეფორმის და არც მის მომდევნო ხანაზე არ მოგვეპოვება, რაც, რასაკვირველია, ართულებს მოცემული საკითხის კვლევას.

* * *

ქუთაისის თავად-აზნაურთა საგლეხო კომიტეტის მიერ 24 სხდომაზე შემუშავებული წესების (დებულების) პროექტის პირველი პარაგრაფი შეეხება ბატონყმობის წესსა და რიგს ქუთაისის გუბერნიაში.

აქ ნათქვამია, რომ ბატონყმობა ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთ-რაჭა-გურიაში) უხსოვარი დროიდან არსებობდა და მას მტრის შემოსევის უმძიმეს პირობებშიც კი არ განუცდია მერყეობა. აქვე აღნიშნულია, რომ თავადაზნაურობა ყიდულობდა და ყიდდა გლეხობას, ამასთან გლეხობასა და მიწა-წყალს თავადაზნაურობა წყალობის სახითაც იღებდა მეფეებისა და ქვეყნის მფლობელებისაგან. ამავე პარაგრაფში მოცემულია იმის მტკიცებაც, რომ გლეხთა ფლობას თავად-აზნაურებისათვის, გარდა მატერიალური კეთილდღეობისა, სხვა მხრივაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ თავადაზნაურობა არაფერს იშურებდა გლეხების შეძენაში.

ამავე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ გლეხობას არ გააჩნდა არავითარი საკუთრება, კიდევ მეტი, გლეხები და მათ ხელში არსებული ყოველგვარი ქონება (უძრავ-მოძრავი) მემამულეთა საკუთრებას წარმოადგენდა. შემდეგ ნათქვამია, რომ თავადაზნაურთა უფლებები სპეციალური სამართლის ძეგლებით (ვახტანგ მეფის კანონებით, აღბუღას სამართლით, მეფეთა, მთავართა, ერისთავთა სიგელებით, ნასყიდობათა აქტებით და სხვ.) არის განმტკიცებული.

თავად-აზნაურთა კომიტეტის სახელით, ამავე პარაგრაფში ვკითხულობთ, რომ რუსეთთან შეერთების დროს იმპერატორმა იმერეთის სამეფოს თავად-აზნაურებს მანიფესტით აღუთქვა ყველა უფლების, პრივილეგიისა და საკუთრების შენარჩუნება. აქვე დახასიათებულია რუსეთთან შეერთების შემდგომ იმერეთის მდგომარეობა და ნათქვამია, რომ იმერეთს 1812 წ. თავს დაატყდა დიდი უბედურება — საშინელი სენი, რომელმაც მოსახლეობის ნაწილი გაწყვიტა, ნაწილი კი სხვა მხარეებში გააქცია, რამაც მხარე დააცარიელა. რის შემდეგ, თითქოს თავადაზნაურობამ თავისი სახსრებითა და მეცადინეობით შეძლო ქვეყნის აღდგენა. წესების პირველ მონახაზში ნათქვამია: მემამულეები, რომლებიც საუკუნო უფლებებით სარგებლობენ კვლავ აგრძელებენ გლეხთა ყიდვას მიწით

[1] СХАО, т. II. с. 413.

თუ უმიწოდ. ამდენად, თავად-აზნაურთა კომიტეტის განსჯით, გლეხები მემამულეთა საკუთრებასა და ქონებას შეადგენენ[1].

თავად-აზნაურთა დეპუტატები შეეცადნენ ქუთაისის გუბერნიის გლეხობისათვის უფრო უარესი პირობები მოეხვიათ თავს, ვიდრე თბილისის გუბერნიაში. ამის გასამართლებლად ისინი სხვადასხვა მიზეზსა და არგუმენტს აყენებდნენ, მათი მტკიცებით, ჯერ ერთი, ისინი გლეხთა განთავისუფლებით კარგავდნენ თავიანთი მეურნეობის წარმართვის ყოველგვარ საშუალებას; მეორეც, სიღარიბისა და უფულობის პირობებში შეუძლებელია მოსამსახურის ყოლა ან მუშის დაქირავებაო. ამასთან „ჩვენ არ გაგვაჩნია პირადი მეურნეობა, განათლება და ცოდნა, არც ვაჭრობასა და მრეწველობას მივდევთ, ჩვენი სიმდიდრე მხოლოდ ყმა გლეხობაა, რომელთაც საუკეთესო მიწები მივეცით, რათა ღალა გვაძლიონ და სამსახური გაგვიწიონ"[2].

თავად-აზნაურთა წარმომადგენლების მიერ შემუშავებულ წესებში ნათქვამია, რომ გლეხთა განთავისუფლებით თავადაზნაურობა კარგავდა არსებობის შესაძლებლობას. აქვე ჩამოთვლილია გლეხთა პირად ვალდებულებათა სახეობები, ღალის, შრომითი ბეგარისა და სხვათა სახით.

ყმა გლეხის კომლი ვალდებული იყო მებატონე უზრუნველეყო ერთი შინაყმით, აგრეთვე თავისი გამწევი ძალით და იარაღებით მებატონისათვის ემუშავა კვირაში ორი-სამი დღე, გადაეხადა ღალა და მგზავრობის დროს ფეხით ან ცხენით გაეცილებინა.

შინაყმათა ვალდებულებას შეადგენდა: მოახლეობა, მზარეულობა, მეჯინიბეობა, მეწისქვილეობა, მეთევზეობა, კალატოზობა, მჭედლობა, მწყემსობა, პურის ცხობა, დურგლობა, მიწის დამუშავება და სხვ. გლეხები იხდიდნენ: საურს (ერთიდან ხუთ მანეთამდე ღირებულს), საალდგომოს, საშობაოს, სამასპინძლოს, საქვრივოს, საჩექმოს, გასამყრელოს, საქორწილოს, შესაწევარს, სალაშქროს, საციხოს და სხვ.

გლეხთა განთავისუფლების წესების პირველ პარაგრაფში ჩამოთვლილი იყო გლეხთა ნატურით ვალდებულება. მათ მებატონე უნდა უზრუნველეყოთ: პურით, ღომით, სიმინდით, ქერით, ლობიოთი, ღვინით, ყველით, კარაქით, კვერცხით, ხორცით, ქათმით, სანთლით და სხვ. რა თქმა უნდა, ყველა ეს ვალდებულება ერთ კომლს არ ეკისრა, არამედ სხვადასხვა გლეხთა საერთო ვალდებულებას შეადგენდა.

ამ პარაგრაფში აღნიშნული იყო, თუკი გლეხის კომლი (რაღაც მიზეზით) მებატონეს არ მიაწვდიდა ერთ შინაყმას, მაშინ ის ვალდებული იყო წელიწადში 30-დან 70 მანეთამდე ფული გადაეხადა. თუკი გლეხის კომლი მინდვრის სამუშაოსაგან (ნადობისაგან) განთავისუფლდებოდა, ის ვალდებული იყო 40-დან 60 მანეთამდე გადაეხადა.

თავად-აზნაურთა წარმომადგენლების მტკიცებით, რაც წესებში აი-

---

[1] СХАО, т. II, с. 303.
[2] იქვე.

სახა. შინაყმის დაქირავება წელიწადში 40-დან 120 მანეთამდე აღწევდა. დღეში რიგითი მუშის დაქირავება 10-დან 40 კაპიკა უდრიდა, ხარებით 60 კაპიკიდან 1 მანეთამდე. ხუროს — 60-დან 1 მან. და 20 კაპიკამდე[1].

როგორც ვხედავთ, მსხვილ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმა (დეპუტატებმა) გლეხთა განთავისუფლების წესების პირველ პარაგრაფში დეტალურად აღიშნეს და გააზვიადეს გლეხთა ბეგარა-ვალდებულება, ხოლო გლეხთა განთავისუფლების შემთხვევაში თავიანთი მდგომარეობა უმწეო და უნუგეშოდ დახატეს. მიუხედავად ამისა, კომიტეტი ცნობდა და ადასტურებდა გლეხთა განთავისუფლების აუცილებლობას, რადგან მის გარეშე ვერც გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ხედავდა[2].

ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ გლეხთა ხელში არსებული მიწა-წყალი (ბაღ-ვენახი, სახნავ-სათიბი, ტყე და სხვ.) მებატონეთა საკუთრებას შეადგენდა, ამიტომ ამ მიწა-წყლისა და ბატონყმობის გაუქმების სამაგიეროდ, თავადაზნაურობას სათანადო ანაზღაურება უნდა მიეღო.

წესების მეორე პარაგრაფში მოცემულია გლეხთა უფლება მოძრავ ქონებაზე. აქ დამოწმებულია ვახტანგ მეფის სამართლის ის პუნქტი, რომელშიც ნათქვამია: რაც გლეხს გააჩნია, გარდა სულისა, მებატონეს ეკუთვნის, რომ გლეხს უფლება არ აქვს მებატონის გარეშე მოძრავი ქონება განაგოს (უმეტესად ეს ქონება გლეხის მიერ იყო შეძენილი). მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითქოს იმისათვის, რომ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის კეთილი დამოკიდებულება გაგრძელებულიყო, საოჯახო ნივთები, საოჯახო იარაღები და პირუტყვი გლეხთა საკუთრებად ცხადდებოდა.

მესამე პარაგრაფი ეხებოდა გლეხთა უფლებას საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე. ამასთან დაკავშირებით, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენლების მიერ შემუშავებულ წესებში ნათქვამია, რომ ქუთაისის გუბერნიაზე შეუძლებელი იყო თბილისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების დებულების შესაბამისი პარაგრაფის (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების გლეხებისადმი მიკუთვნება) გავრცელება, რადგან: ჯერ ერთი, ქუთაისის გუბერნიის გლეხთა ხელში არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაწილი თითქოს მეფეთა, ერისთავთა და სხვათა ნაწყალობევი იყო თავად-აზნაურებისადმი; მეორეც, გლეხის სარგებლობაში არსებულ ნაგებობათა ნაწილი მებატონეთა (მემამულეთა) ხე-ტყითა და სხვა მასალით იყო აგებული; მესამეც, გლეხთა ნაწილი ყოველგვარი ქონების გარეშე იყო ნაყიდი, ნაგებობები კი შემდეგ ჰქონდა მებატონისაგან მიღებული; მეოთხეც, ზოგიერთ განაყარ გლეხს მთლიანად მება-

---

[1] СХАО, т. II, с. 304.
[2] იქვე.

ტონისაგან ჰქონდა ნაგებობები მიღებული, ან მებატონის მიერ მიცემული შეღავათიან პირობებში; მეხუთეც, თითქოს აღმოსავლეთ საქართველოს გლეხთა ნაგებობები, დასავლეთ საქართველოსთან შედარებით, უბრალო და იაფადღირებული იყო.

კომიტეტის დასკვნით, ბატონყმობის გაუქმებიდან ერთი წლის მანძილზე, უნდა შეფასებულიყო გლეხთა ყველა სახის ნაგებობა, თუკი აღმოჩნდებოდა, რომ გლეხის მეურნეობა არ ზარალდებოდა, მაშინ მას მებატონისათვის ნაგებობის ფასის მეოთხედი უნდა ეწილადებინა[1]. კომიტეტის განსჯით, მოცემული წესი, პირველ რიგში, რაჭაში უნდა განხორციელებულიყო.

როგორც ვხედავთ, ამ საკითხში, თბილისთან შედარებით, ქუთაისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლება (მითუფრო რაჭის) უფრო მძიმე უნდა ყოფილიყო.

მეოთხე პარაგრაფი ეხება გ ლ ე ხ თ ა უ ფ ლ ე ბ ა ს ნ ა ყ ი დ მ ი წ ა ზ ე.

საგლეხო კომიტეტის ცნობით, ქუთაისის გუბერნია განიცდიდა მიწის დიდ სიმცირეს, ამიტომ აქ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაშვებულიყო გლეხისათვის რაიმე მიწის მიკუთვნება, ამაზე დავაც კი, მემამულეთა გაჩანაგების მომასწავებელი იქნებოდა. ამასთან, კომიტეტს მიაჩნდა, რომ თუკი გლეხთა პრეტენზიები ნაყიდ მიწაზე დაიშვებოდა, ამას მრავალი ყალბი საბუთი და ყალბი დამოწმებაც მოჰყვებოდა, რაც თითქოს ორივე მხარისათვის და მთავრობისათვისაც საზარალო იქნებოდა.

კომიტეტის მიერ შედგენილი წესების სპეციალური პუნქტი კატეგორიულად უარყოფს გლეხთა რაიმე უფლებას ნაყიდ მიწაზე, მით უფრო, რომ. თავის დროზე, გლეხთა ნაწილი თავად-აზნაურებს მიწიანად ეწყალობა, ამასთან გლეხს თავისი მემამულის თანხმობის გარეშე არ შეეძლო მიწის ყიდვა-გაყიდვა. ერთი სიტყვით, კომიტეტის მიერ შემუშავებულ წესებში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს მიწის ყიდვაში გლეხის სახსარი და ხელი კი არ ერია, არამედ ყოველივე მემამულის ქონებით ხდებოდა, თითქოს ის საბუთები, სადაც გლეხია მოქმედად დასახელებული, ფორმალური და საბუთის შემდგენის თვითნებობის ან მემამულის დაუდევრობის შედეგი იყო. აქვე მოცემულია იმისი მტკიცებაც, თითქოს გლეხის მიერ მიწაში გაღებული ფასი არარაობა იყო, იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში ის ღირდა. თითქოს გლეხის ვალდებულება, როდესაც მას მხოლოდ ფორმალურად ნაყიდი მიწის მეტი არაფერი ებადა, ისეთივე იყო, როგორიც მემამულისადმი კუთვნილ მიწაზე. კომიტეტის აზრით, გლეხს რომ მიწა არ ეკუთვნოდა კერძო საკუთრების უფლებით,

---

[1] СХАО, т. II, с. 306.

ამისი დამადასტურებელია ისიც, რომ მეფის მმართველობის პერიოდში გლეხებს არასოდეს მოუთხოვიათ ამისი ოფიციალური დამტკიცება[1].

კომიტეტი ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს ვახტანგის კანონებში არაფერი იყოს ნათქვამი გლეხთა კერძო მიწაზე. კომიტეტი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უშვებს გლეხის დავას, ათწლიანი ხანდაზმულობით (უცხო პირისაგან ნაყიდ მიწაზე), ოღონდ ნასყიდობის აქტი ყოველმხრივ კანონიერად უნდა ყოფილიყო გაფორმებული (ქუთაისის, შორაპნისა და რაჭის დეპუტატების აზრით, ასეთ რამეზე გლეხის დავა, რეფორმის გამოცხადებამდე, ათ წელიწადზე ადრე არ უნდა დაშვებულიყო, ხოლო ოზურგეთის დეპუტატების — 1859 წელზე ადრე)[2].

თუ თბილისის გუბერნიის საგლეხო დებულების ძალით გლეხებს შეეძლოთ ნაყიდი მიწის დავა-ძიებით დასაკუთრება, ქუთაისის გუბერნიის გლეხებს ეს შესაძლებლობა კიდევ უფრო უნდა შეკვეცოდათ.

შემდგომი პარაგრაფი ეხება ნ ა დ ე ლ ს.

თბილისის გუბერნიის დებულების (1864 წ. 13 ოქტ.) საფუძველზე ცხოვრების უკეთ მოწყობის, სახელმწიფოსა და მემამულის წინაშე ვალდებულების მოხდის შესაძლებლობის მიზნით, გლეხს ეძლეოდა მიწა-ნადელი (უმაღლესი ზომა ათი დღიური სარწყავი, ან ოცი დღიური ურწყავი) მუდმივ სარგებლობაში. ნადელის ზოგადი ოდენობა დებულებით განისაზღვრებოდა, მაგრამ კონკრეტულად ის მემამულისა და გლეხის პირადი შეთანხმებით უნდა განსაზღვრულიყო.

საგლეხო კომიტეტის განსჯით, ქუთაისის გუბერნიაში ყველაზე საუკეთესო მიწები თითქოს გლეხების ხელში იყო, თითქოს ამას მემამულეები უწყობდნენ ხელს. ამიტომ შემუშავებული წესით, რეფორმის შედეგად გლეხს არ შეიძლებოდა მთლიანად დარჩენოდა ის მიწა, რასაც ადრე ფლობდა, რადგან ეს თითქოს მემამულეთა უმიწაწყლოდ დატოვებას მოასწავებდა. ამ პარაგრაფში მოცემული იყო იმისი მტკიცებაც, რომ, თითქოს ქუთაისის გუბერნიის მიწებს ყოველმხრივ უპირატესობა ჰქონდათ, თბილისის გუბერნიასთან შედარებით (ხაზგასმული იყო რწყვის არ საჭიროება, მოხვნის სიადვილე, მოსავლის სიუხვე და სხვ.).

ყოველივე ამის გამო, ქუთაისის გუბერნიის საგლეხო კომიტეტის გადაწყვეტილებით შეუძლებლად იქნა ცნობილი იმერეთში, რაჭაში და გურიაში ნადელის უმაღლესი და ძირითადი (коренной участок) ზომა თბილისის მსგავსად განსაზღვრულიყო. შემუშავებული წესით, ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში თითოეული კომლის მინდვრის ნაკვეთი (სახნავი და სათიბი მიწა) განისაზღვრა არა უმეტესი ხუთი ქცევით, შორაპნის მაზრაში — ოთხი, ხოლო რაჭაში — სამი ქცევით (აღსანიშნავია,

---

[1] СХАО, т. II, с. 307—309.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 310.

რომ წესების თავდაპირველ პროექტში ნადელის უმაღლეს ზომაზე საერთოდ არაფერია ნათქვამი)[1].

თავად-აზნაურთა დეპუტატების განსჯით, ქუთაისის გუბერნიაში გლეხთა ვალდებულებაც უფრო მეტი უნდა ყოფილიყო თბილისის გუბერნიასთან შედარებით. მათი მტკიცებით, იმერეთ-რაჭა-გურიაში მიწის ქირა ნახევარ მოსავალს უდრიდა, იშვიათად კი მესამედს (ამასთან მიწაში გლეხი თითქოს სხვა ვალდებულებასაც ასრულებდა). კომიტეტის აზრით, ქუთაისის გუბერნიაში თბილისის მსგავსი ვალდებულების დატოვება იმიტომაც იყო არასწორი, რომ, თითქოს დასავლეთ საქართველოში მიწა უკეთეს მოსავალს იძლეოდა და, თითქოს ნაკლებ შრომასაც საჭიროებდა.

ყოველივე ამის გამო, კომიტეტმა გადაწყვიტა ქუთაისის, შორაპნისა და ოზურგეთის მაზრებში, დროებით ვალდებულ გლეხს, მოსავლის მესამედი გადაეხადა, რაჭის მაზრაში კიდევ მეტი — ნახევრამდე. რაც შეეხებოდა სათიბს, მასზე გლეხს ყველა მაზრაში თივის ნახევარი უნდა გადაეხადა და თანაც 15 ვერსის მანძილზე მემამულესათვის შინ მიეტანა[2].

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის სხდომის ოქმზე ხელმოწერისას რაჭის თავად-აზნაურთა დეპუტატებმა კატეგორიულად მოითხოვეს ოქმში შეეტანათ ისიც, რომ, თითქოს რაჭაში მიწა დასვენებას არ საჭიროებდა, ოღლი დასამუშავებელი იყო და კარგ მოსავალს იძლეოდა. ამასთანავე, თითქოს იქ, მთელ ამიერკავკასიასთან შედარებით, მიწა ძვირი ღირდა. ოქმში იქნა აგრეთვე შეტანილი. რომ თითქოს მცირემიწიანობის პირობებში რაჭის თავადაზნაურები გლეხებს (თავის დროზე) შესაძლებელზე მეტ მიწას აძლევდნენ იმისათვის, რომ მათთან კეთილი დამოკიდებულება ჰქონოდათ. ამასთან, მოსავლის ნახევრის გადახდა, თითქოს რაჭაში დაკანონებული იყო და თითქოს ამას გლეხები მიჩვეული იყვნენ.

დროებით ვალდებულ გლეხებს თითქოს იმიტომაც არ გაუჭირდებოდათ ნახევარი მოსავლის გადახდა, რომ ისინი რეწვას ეწეოდნენ, მუშაობა უყვარდათ და კარგი ხელოსნები იყვნენ. ამიტომ, თუნდაც მცირემიწიანობის პირობებში, ისინი თითქოს სხვა მაზრების გლეხობაზე უკეთ იცხოვრებდნენ[3].

წესების შემდგომი პარაგრაფი გ ლ ე ხ ი ს ს ა კ ა რ მ ი დ ა მ ო ს ეხება. თბილისის გუბერნიის დებულების შესაბამისად, გლეხის საკარმიდამოს უმაღლესი ზომა ერთი ქცევა უნდა ყოფილიყო, ხოლო მასზე სამი მანეთი (ვერცხლით) გადასახადი დაწესდა. ეს გადასახადი შეიძლებოდა გადიდებულიყო (კარგი შემოსავლიანობის შემთხვევაში), ან შემცირებულიყო ორ მანეთამდე.

ქუთაისის თავად-აზნაურთა კომიტეტმა ამ შემთხვევაშიც უფრო მძიმე პირობები წამოაყენა. თითქოს დასავლეთის საკარმიდამო ბევრად

---

[1] СХАО, т. II, с. 313.
[2] იქვე, გვ. 314.
[3] იქვე.

ჯობდა თბილისისას, როგორც მრავალკულტურული ნარგავიანობის, აგრეთვე იოლი დამუშავების მხრივ. კომიტეტის დასკვნით, ქუთაისის გუბერნიაში ერთქცევიან საკარმიდამოდან მიღებული წლიური შემოსავალი 15—20 მანეთს უდრიდა (რაჭის ზოგიერთი სოფლის გამოკლებით, სადაც მჭიდრო დასახლების პირობებში, საკარმიდამოზე არავითარი ხეხილი არ არსებობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი მიწა იქაც ძვირი ღირდა).

შემუშავებული წესებით, ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში საკარმიდამოს ოდენობა ერთი ქცევით განისაზღვრა, შორაპანში ორი მესამედით, რაჭაში კი ნახევარით (ამ შემთხვევაშიც რაჭაში უფრო მძიმე პირობები დაიშვა, რაც თითქოს მჭიდრო დასახლებით იყო განპირობებული).

თავად-აზნაურთა კომიტეტის წინადადებით, ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში საკარმიდამოზე გლეხის გადასახადი შემოსავლის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო, ხოლო შორაპანისა და რაჭის მაზრებში — მიწის ფასის მიხედვით, ისე, რომ ქუთაისის გუბერნიის გლეხთა გადასახადი, თბილისის გუბერნიასთან შედარებით, ორმაგი ყოფილიყო.

შემდგომი პარაგრაფი ეხება ყ უ რ ძ ნ ი ს ა დ ა ხ ე ხ ი ლ ი ს ბ ა ღ ე ბ ს. თბილისის გუბერნიის რეფორმის დებულებით, ხეხილის ნარგავები გლეხთა საკუთრებად იქნა ცნობილი (უმიწოდ), ხოლო ნადელის შემადგენლობაში შემავალ ვენახზე მოსავლის მეოთხედი გადასახადი დაწესდა.

იმერეთ-რაჭა-გურიაში ვენახზე და ხეხილზე ადრე სხვადასხვა გადასახადი არსებობდა, დროებით ვალდებულ გლეხებზე კი ყველგან ერთნაირი წესი უნდა შემოღებულიყო. კომიტეტის მტკიცებით, ვენახსა და ხეხილზე ქუთაისის გუბერნიაში ადათით რეფორმამდე მოსავლის ნახევარს იხდიდნენ, ამიტომ, დროებით ვალდებულ გლეხზე ყველგან ასეთი გადასახადი უნდა დაწესებულიყო. ამასთან, თუკი გლეხი გადასახადს ყურძნით გადაიხდიდა, ის ვალდებული უნდა ყოფილიყო, ყოფილ მებატონესათვის, თხუთმეტი ვერსის მანძილზე მიეტანა, თუკი ღვინით გადაიხდიდა, მაშინ — სამოცდათხუთმეტი ვერსის მანძილამდე. ამასთან, იმ მაღლარ ვენახზე და ხეხილის ნარგავებზე, რომლებიც ნადელის გარეთ მოხვდებოდნენ, გლეხს არავითარი უფლება არ უნდა დარჩენოდა[1].

ნადელის გამოსყიდვის საკითხში, ქუთაისის გუბერნიაში, კომიტეტმა შესაძლებლად მიიჩნია თბილისის გუბერნიის დებულების შესაბამისი პუნქტის გამოყენება შემდეგი დამატებით: შორაპნისა და რაჭის მაზრებში ნადელის გამოსასყიდი ფასი შემოსავლის მიხედვით კი არ განსაზღვრულიყო, არამედ მიწის ადგილობრივი ფასით[2].

რეფორმის დებულების შემდგომ პარაგრაფში მოცემულია ს ა ძ ო-

---

[1] СХАО, т. II, с. 317.
[2] იქვე, გვ. 318.

ვარ-საბალახო ადგილებით სარგებლობის წესი. ამაზე თბილისის გუბერნიის დებულებაში ნათქვამია, რომ გლეხებს შეეძლოთ თავის ყოფილ მემამულეთა მიწების ფარგლებში საძოვარ-საბალახო ადგილებით ადათისამებრ სარგებლობა. ქუთაისის გუბერნიაში, სადაც იშვიათად არსებობდა საერთო-სასოფლო საძოვრები, დროებით ვალდებულ გლეხს შეეძლო კვლავ ძველი საძოვარ-საბალახო ადგილებით ესარგებლა, მაგრამ მას, თითოეულ მსხვილფეხა პირუტყვზე, მემამულისათვის— ათი კაპიკი, ხოლო წვრილფეხაზე ხუთი კაპიკი უნდა გადაეხადა[1].

ქუთაისის გუბერნიის საგლეხო რეფორმის წესების პროექტი, თბილისის გუბერნიასთან შედარებით, სხვა მხრივაც ამძიმებდა დროებით ვალდებულ გლეხთა მოვალეობას, მაგალითად, თუკი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურს სურვილი ექნებოდა, შეეძლო გლეხის ნადელი თავისთვის სასურველ ადგილზე გადაეტანა, აგრეთვე თუკი გლეხის საკარმიდამო მემამულის საცხოვრებელთან ორას საჟენზე ახლო იყო, მემამულეს უფლება ეძლეოდა, გლეხის საკარმიდამოც თავის ნებასურვილით სხვაგან გადაეტანა[2].

კომიტეტმა განსაზღვრა გლეხთა ხელში არსებული წისქვილების საკითხიც.

ქუთაისის გუბერნიაში წისქვილების უმრავლესობა გლეხთა ხელში იყო. როგორც წესი, ეს წისქვილები მემამულეთა მიწებზე იდგა, ამიტომ შემოსავლის ნახევარს გლეხები მემამულეებს უხდიდნენ. აქედან გამომდინარე, განთავისუფლებულ გლეხს წისქვილის ნახევარი ფასი მემამულისათვის უნდა მიეცა[3].

წესებში მოცემულია აგრეთვე გლეხის უფლებამოსილება მებატონის მიწა-წყალზე ნადირობასა და თევზჭერაზე. თუ უწინ მემამულე გლეხს უფლებას რთავდა თავის სანადირო და სათევზაო ადგილებით ესარგებლა და სათანადო წილიც აეღო, კომიტეტის დასკვნით, გლეხისათვის ასეთი უფლების მიცემა კვლავ მემამულის კომპეტენციაში უნდა დარჩენილიყო.

კომიტეტმა განსაზღვრა წვრილი მემამულის ცნებაც. ასეთად ქუთაისის გუბერნიაში მიჩნეულ იქნა ის მემამულე, რომელსაც 120 ქცევაზე ნაკლები მიწა და 21 სულ მამაკაცზე ნაკლები ყმა ეკუთვნოდა. კომიტეტის დასკვნით, ის მემამულე, რომელსაც 60 ქცევაზე ნაკლები მიწა ეკუთვნოდა (სახნავ-სათიბი), უნდა განთავისუფლებულიყო გლეხისათვის ნადელის გამოყოფის ვალდებულებისაგან[4].

თავად-აზნაურთა კომიტეტის მიერ შემუშავებული წესებით, ქუთაი-

---

[1] СХАО, т. II, с. 318—319.
[2] იქვე, გვ. 319.
[3] იქვე, გვ. 320—321.
[4] იქვე.

სის გუბერნიაში გლეხთა ნატურით გადასახადების მიცემის პირობები ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც თბილისის გუბერნიაში. გლეხი ვალდებული იყო ხორბალი, სიმინდის ტარო და ღომი (გამომშრალი თავთავით) მემამულისათვის თხუთმეტი ვერსის მანძილზე მიეზიდა. თუ მემამულე ისურვებდა სიმინდი და ღომი მარცვლის სახით მიეღო. მაშინ ჩალა გლეხს რჩებოდა, მაგრამ გლეხს ევალებოდა მარცვალი მემამულისათვის სამოცდათხუთმეტი ვერსის მანძილზე მიეტანა[1].

კომიტეტმა განსაზღვრა ისეთი შემთხვევის წესიც, როდესაც გლეხი არ დაამუშავებდა ნადელს და მემამულეს დადგენილ გადასახადს არ გადაუხდიდა. ასეთ შემთხვევაში, მემამულეს უფლება უნდა მისცემოდა, დროებით ვალდებული გლეხის ნადელი თვითონ მიეღო. თუკი გლეხი ნადელის ვალს არ დაფარავდა ერთი წლის განმავლობაში, ის სამუდამოდ მემამულეს რჩებოდა. თუკი გლეხი ერთი წლის მანძილზე დავალიანებას დაფარავდა, მას უფლება ეძლეოდა ნადელი დაებრუნებინა, მაგრამ თუკი მემამულე მის მოხვნა-დათესვას მოასწრებდა, მაშინ ეს ნადელი მემამულეს რჩებოდა მოსავლის აღებამდე[2].

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატებმა შეიმუშავეს მემამულეებისადმი კუთვნილ ებრაელ და სომეხ ვაჭართა განთავისუფლების წესიც. ვაჭრები, რომლებიც ფაქტობრივად მიწათმოქმედებას არ ეწეოდნენ, გაცილებით უკეთესად ცხოვრობდნენ, ვიდრე გლეხები. კომიტეტმა აღნიშნა, რომ ასეთი ვაჭრები ზოგჯერ თავს ინთავისუფლებდნენ მემამულისაგან, დიდი თანხის (1000—10000 მანეთამდე) გაღების ფასად. კომიტეტის აზრით, ვაჭარი (რომელთა ნაწილი სოფლადაც ცხოვრობდა), მემამულისაგან შეიძლებოდა განთავისუფლებულიყო, (რეფორმამდე არსებული), თექვსმეტი წლის გადასახადის საფასურად. თუკი ვაჭარი ნადელსაც ფლობდა, მას ამ ნადელში რიგით გლეხზე დაწესებული ფასი და გადასახადი უნდა გადაეხადა[3].

ქუთაისის თავად-აზნაურთა საგლეხო კომიტეტის მიერ შემუშავებულ დებულებაში მოცემულია თავად-აზნაურებისათვის გლეხთა განთავისუფლების გამო გასამრჯელოს მიცემის წესები, რომელშიც კვლავ იმაზეა ლაპარაკი, რომ გლეხთა განთავისუფლებით თავადაზნაურობა კარგავდა მთავარ სიმდიდრეს, ცხოვრების ნორმალური წარმართვის საშუალებას. აქვე აღნიშნულია, რომ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა იმპერატორის ერთგული რჩებოდა და მზად იყო რუსეთის მტრების წინააღმდეგ სისხლი დაეღვარა (როგორც ეს ყირიმის ომის დროს მოხდაო). ამასთან, კომიტეტმა იმედი გამოთქვა, რომ 1861 წ. იმპერატორის დანა-

---

[1] СХАО, т. II, с. 322.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 323.

პირები წყალობა მთლიანად ისე შესრულდებოდა, როგორც ეს აბაშიძეებისა და წულუკიძეების მიმართ (რომელთაც 1820 წ. აჯანყების გამო ჩამორთმეული მამულების საფასური აუნაზღაურდათ).

* * *

ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მიერ გლეხთა განთავისუფლებასა და მათი ყოფა-ცხოვრების მოწყობაზე შემუშავებული დებულების პროექტი, განსახილველად გადაეცა მთავრობის სპეციალურ საგუბერნიო კომისიას. რომელსაც მეფისნაცვალის საბჭოს წევრი, თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი თავმჯდომარეობდა.

ქუთაისში შემუშავებულ პროექტზე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ თავისი შენიშვნები გააკეთა და წერილობით წარუდგინა საგუბერნიო კომისიას.

ბაგრატიონ-მუხრანსკი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ეს პროექტი მეტად მძიმე ვალდებულებას ითვალისწინებდა გლეხებისაგან და დიდად მოსაგები იყო თავად-აზნაურებისათვის, თუმცა ეს გარემოება სრულიადაც არ აკვირვებდა ბაგრატიონს, რადგან მოცემული პროექტი თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმა (დეპუტატებმა) შეიმუშავეს. კომისიის თავმჯდომარეს უფრო ის აფიქრებდა, რომ ცენტრალურ რუსეთთან და თბილისის გუბერნიასთან შედარებით ქუთაისის გუბერნიის გლეხების განთავისუფლების პირობები უფრო მძიმე იყო, ამიტომ ეშინოდა მას მღელვარება არ გამოეწვია, რაც მთავრობას უფრო ძვირად დაუჯდებოდა.

ბაგრატიონ-მუხრანსკის მიერ წარდგენილ მოხსენებაში, პირველი შენიშვნა ეხება გლეხთა უფლებას თავის ნაგებობებზე. მან არასწორად მიიჩნია (კომიტეტის მიერ წამოყენებული პროექტით) გლეხისათვის, თავის ნაგებობაში მეოთხედი ფასის გადახდევინება მემამულის სასარგებლოდ. მისი აზრით, შესაძლებელი იყო გლეხის რომელიმე ნაგებობა მემამულის მეშვეობით ან დახმარებით ყოფილიყო აშენებული, მაგრამ, როგორც წესი, ეს ნაგებობები ყველგან გლეხთა მეცადინეობით და შრომით იყო შექმნილი. ამის გამო, თბილისის გუბერნიის გლეხთა დებულების შესაბამისი პარაგრაფიდან გადახვევა, ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მიზანშეუწონლად მიიჩნია (თბილისის გუბერნიაში კი ეს ნაგებობები გლეხის საკუთრებად გამოცხადდა)[1].

მეორე შენიშვნა შეეხო გლეხის უფლებას უძრავ ქონებაზე. როგორც ვნახეთ, თავად-აზნაურთა კომიტეტმა გლეხის უფლება ნაყიდ მიწაზე ფაქტობრივად უარყო (თუნდაც ნასყიდობის უტყუარი აქტი ჰქონოდა). იმ საბაბით, რომ თუკი ეს საბუთები მიიღებოდა, მაშინ თითქოს სხვა ყალბ საბუთებსაც გაეხსნებოდა გზა. მიუხედავად იმისა, რომ თავად-აზნაურთა ეს შიში, მთავრობის კომისიამ უსაფუძვლოდ არ ჩათვალა, ამ საბაბით გლეხისათვის თავისი ნაყიდი მიწის წართმევა მაინც არასწორად მიიჩნია, რადგან ამას დიდი უკმაყოფილების გამოწვევა შეეძლო. ბაგრა-

[1] СХАО, т. II, с. 327.

ტიონ-მუხრანსკის აზრით, ქუთაისის გუბერნიაში ძალაში უნდა დარჩენილიყო თბილისის გუბერნიაზე შემუშავებული წესი, რომლის ძალით ნასყიდი მიწის ნახევარი გლეხს უნდა მიკუთვნებოდა. რადგან მისი აზრით, არ შეიძლებოდა ქუთაისის გლეხობის იმ იურიდიული უფლების ხელყოფა, რაც უმაღლესმა ხელისუფლებამ რუსეთის გლეხობას 1861 წ. 19 თებერვლის კანონმდებლობით უკვე მიანიჭა[1].

ბაგრატიონ-მუხრანსკიმ არასწორად და მიზანშეუწონლად მიიჩნია არა მარტო გლეხისათვის ძიების აკრძალვა ნაყიდი მიწის მიკუთვნებაზე, არამედ ამ ძიების ათი წლის ხანდაზმულობით განსაზღვრაც. მისი განცხადებით, ზოგჯერ გლეხს ჰქონდა ისეთი საბუთი, რომელიც ათ წელიწადზე ადრინდელი იყო, მაგრამ უტყუარი. ასეთ შემთხვევაში, მას შეუძლებლად მიაჩნდა გლეხის უფლების უგულებელყოფა, მითუფრო, რომ გლეხის ასეთი უფლება რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში უკვე დაიშვა.

შემდეგი შენიშვნა შეეხება ნადელის ზომის განსაზღვრას. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მიზანშეუწონლად მიიჩნია ქუთაისის საგლეხო კომიტეტის მიერ ნადელის მხოლოდ ერთი ზომის განსაზღვრა. მითუფრო რაჭაში მისი ზომის სამი, ხოლო შორაპანში ოთხი ქცევით შემოფარგვლა. თავმჯდომარემ მიზანშეუწონლად მიიჩნია აგრეთვე იმ ადგილის გლეხის ნადელში ჩათვლა, სადაც მაღლარი ვენახი ჰქონდა გაშვებული. ამასთან ბაგრატიონ-მუხრანსკის აზრით, მემამულეს გლეხისათვის არაფერი არ უნდა ჩამოეჭრა, თუკი ის ძირითადი ნადელის მოცულობას არ აღემატებოდა. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მემამულის პირადი მიწა, მისდამი მთლიანად კუთვნილი მიწის ნახევარზე ნაკლები იყო და გლეხს არაფერს ჩამოაჭრიდა, ამ უკანასკნელის ვალდებულება უნდა გაზრდილიყო (ე. ი. გლეხს დროებით ვალდებულების დროს მეტი გადასახადი უნდა გადახდენოდა, ხოლო გამოსყიდვის დროს — მეტი ფასი)[2].

ბაგრატიონ-მუხრანსკი საჭიროდ მიიჩნევდა ქუთაისის გლეხობას ნადელის უმაღლესი ზომაც განსაზღვროდა, რადგან მისი რწმენებით, ზოგიერთი გლეხი ფაქტობრივად 30 და ზოგჯერ 40 ქცევა მიწასაც კი ფლობდა. ეს მაშინ, როდესაც ზოგიერთი მემამულე მიწის დიდ დანაკლისს განიცდიდა[3].

ბაგრატიონ-მუხრანსკის შემდეგი შენიშვნა შეეხო დებულების პროექტის იმ ნაწილს, რომელშიაც განსაზღვრული იყო გლეხთა დროებით ვალდებულება. როგორც ვნახეთ, წესების პროექტით, ქუთაისის გუბერნიის გლეხებს მოსავლის მესამედი უნდა გაეღოთ (რაჭაში კი უფრო მეტი). იმერეთში მიწის ქირა, როგორც წესი, მოსავალის მესამედი ღირდა, იშვიათად ნახევარი. მაგრამ რეფორმის დროს გლეხები (მიწით მუდმივ სარგებლობისათვის) მემამულეებს, ფაქტობრივად ერთი მეექვსედიდან — ერთ მეათედამდე უხდიდნენ. აქედან გამომდინარე, ბაგრატიონ მუხრან-

[1] СХАО. т. II. с. 328.
[2] იქვე. გვ. 331—332.
[3] იქვე. გვ. 332.

სკის აზრით, საკმარისი იყო გლეხს მოსავლის მეხუთედი გადაეხადა. ამასთან, მან არასწორად მიიჩნია ქუთაისის გუბერნიაში გლეხთა გადასახადების სხვადასხვა ოდენობით გადახდევინება.

ბაგრატიონ-მუხრანსკის ბოლო შენიშვნა შეეხო ქუთაისის გუბერნიაში წვრილი მემამულის ცნების განსაზღვრას. მან შეუძლებლად მიიჩნია ქუთაისის საგლეხო კომიტეტის მიერ განსაზღვრული წვრილმამულიანი თავად-აზნაურის ცნების მიღება. მისი აზრით, წვრილმემამულედ უნდა ჩათვლილიყო ის, ვისაც 60 ქცევაზე ნაკლები მიწა (სახნავ-სათიბი) ეკუთვნოდა, ხოლო, ვისაც ამის ნახევარზე ნაკლები ეკუთვნოდა, ის შეიძლებოდა განთავისუფლებულიყო გლეხისათვის ნადელის გამოყოფის ვალდებულებისაგან[1].

ასეთი იყო მთავრობის საგუბერნიო კომისიის თავმჯდომარის შენიშვნები რეფორმის წესების პროექტისადმი. როგორც ვნახეთ, ეს შენიშვნები, ქუთაისის კომიტეტთან შედარებით, გარკვეულ შეღავათებს აძლევდა გლეხობას, მაგრამ გულუბრყვილობა იქნება იმის მტკიცება, რომ სპეციალური კომისია და მისი თავმჯდომარე გლეხთა ინტერესებს იცავდა. მაგრამ ქუთაისის თავად-აზნაურთა კომიტეტის პროექტი, თბილისის გუბერნიის საგლეხო დებულებასთან შედარებით, იმდენად მძიმე და მიუღებელი იყო, რომ მისი უცვლელი დატოვება გლეხთა მასობრივი უკმაყოფილებისა და მღელვარების რეალურ საფუძველს ქმნიდა, ეს კი მეფის მოხელეებსა და მთავრობას არ აწყობდა. ამდენად, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურებისათვის მეტისმეტი დათმობა შეუძლებელი იყო.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ნ. წერეთელმა სცადა თავისი უკიდურესი კონსერვატიულ-მემამულური პროექტი დაეცვა. ამიტომ, მან თავისი მოსაზრება წერილობით წარადგინა.

ნ. წერეთელმა ყურადღება გაამახვილა:

1) გ ლ ე ხ ი ს ნ ა დ ე ლ ი ს მ ო ც უ ლ ო ბ ა ზ ე. იგი წინააღმდეგი წავიდა იმაზე, რომ ქუთაისის გუბერნიაში გლეხის ნადელის უმაღლესი ზომა 12 ქცევამდე ყოფილიყო. მისი აზრით, მართალია, იმპერიის სტეპიან-ცენტრალურ გუბერნიებში ნადელის ამ მოცულობის მიცემის შესაძლებლობა არსებობდა, მაგრამ მცირემიწიან ქუთაისის გუბერნიაში ამისი შესაძლებლობა არავითარ შემთხვევაში არ იყო. ამიტომ, მისი აზრით, ქუთაისის გუბერნიაში გლეხის ნადელის უმაღლესი ზომა შეიძლებოდა მხოლოდ 8 ქცევამდე გაზრდილიყო[2].

2) ვ ა ჭ რ ე ბ ზ ე. ნ. წერეთლის აზრით, ვაჭრებზე ცხრაწლიანი სავალდებულო სამსახურის დაწესება დიდად დააზარალებდა თვითონ მათ საქმიანობას. ამიტომ, თუკი ისინი მემამულის მიწა-წყალზე საცხოვრებლად არ დარჩებოდნენ, მაშინ მათთვის ორი წლის სავალდებულო სამსახური ეკმარებინათ, თუკი ისინი მემამულეთა მიწა-წყალზე დარჩებოდ-

---

[1] АКАК, т. II, с. 333.
[2] იქვე, გვ. 340.

ნენ, მაშინ მათი სავალდებულო სამსახურის ხანგრძლივობა, მემამულისა და მისი პირადი შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრულიყო[1].

3) ნ ა დ ე ლ ი ს გ ა მ ო ს ა ს ყ ი დ ზ ე. ნ. წერეთელს შეუძლებლად მიაჩნდა ერთი ქცევა მიწის გამოსასყიდად მხოლოდ 7—10 მანეთის დაწესება. რადგან, ეს ერთი წლის შემოსავალს ძლივს უდრიდა. ნ. წერეთლის აზრით, ქუთაისის გლეხთა მოწყობის წესები თბილისის გუბერნიის გლეხთა მოწყობის დებულებას შეესაბამებოდა[2].

მოცემული პროექტით, ქუთაისის გუბერნიის გლეხებს უვადო სარგებლობაში რჩებოდა საკარმიდამო, ვენახი და მინდვრის სავარგული, იმ მოცულობით, როგორც თბილისში, კერძოდ, 12 ქცევამდე ანუ 4,5 დესეტინამდე. გლეხს უფლება მიეცა ჩამოუჭრელად შეენარჩუნებინა ფუძე ნადელი, ოთხი ქცევის მოცულობით. იმ შემთხვევაში, თუ მემამულეს ჩამონაჭერი ეკუთვნოდა, მაგრამ გლეხი მარტო ფუძე ნადელს ფლობდა, გლეხს ევალებოდა ჩამოსაჭრელ მიწაზე (რომელიც დაიტოვა) დამატებითი ვალდებულება მოეხადა. გლეხს რჩებოდა უფლება ძველებურად ესარგებლა მემამულის საძოვარ-საბალახო ადგილებით და ტყეებით, რაშიც ადათწესით დადგენილი ვალდებულება უნდა მოეხადა.

ამასთან, ქუთაისის გუბერნიაში მცირემამულიანად უნდა ჩათვლილიყო ისეთი მემამულე, რომელიც 60 დღიურზე (ქცევაზე) ნაკლებ მიწას ფლობდა (თბილისის გუბერნიაში კი 120 დესეტინაზე ნაკლებს).

საგუბერნიო კომისიამ საჭიროდ ჩათვალა, ქუთაისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების წესების პროექტში შეესწორებინა ის პუნქტები, რომლებიც მეტისმეტად ამძიმებდნენ გლეხთა განთავისუფლებას და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ თბილისის გუბერნიის დებულების შესაბამისი პუნქტებისაგან.

კომისიის პირველი შესწორება შეეხო გლეხის საკარმიდამო ნაკვეთზე მდებარე ნაგებობათა საკითხს. კომისიამ მიუღებლად მიიჩნია ქუთაისის კომიტეტის გადაწყვეტილება, გლეხისათვის საკარმიდამოზე მდებარე ნაგებობაში (საერთო ფასის) მეოთხედის გადახდევინება მემამულის სასარგებლოდ. კომისიამ ამ საქმეში არც რაჭის მიმართ მიიჩნია რაიმე გამონაკლისის დაშვება საჭიროდ. კომისიის დასკვნით, როგორც თბილისის გუბერნიაში, აგრეთვე ქუთაისის გუბერნიაში გლეხის მიერ საკარმიდამოზე აშენებულ სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობანი გლეხსვე უნდა მიკუთვნებოდა. ეს ნაგებობანი გლეხსვე უნდა დარჩენოდა იმ შემთხვევაშიც, თუკი ის მემამულის მიერ იყო მიცემული, მაგრამ, ხანგრძლივი სამსახურის პერიოდში, გლეხმა ის საფუძვლიანად გადააკეთა.

ამასთან, კომისიამ მიიჩნია, რომ თუკი ეს ნაგებობა არცთუ დიდი ხნის წინ ჰქონდა გლეხს მემამულისაგან მიღებული და მოკლე დროის სამსახურის პერიოდში გლეხს არ შეეძლო და არც რაიმე საფუძვლიანი

---

[1] СХАО, т. II. с. 340.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 344.

წვლილი მიუძღვის ამ ნაგებობის გადაკეთება-შეკეთებაში, უკანონოდ იქნა მიჩნეული მასზე მემამულის უფლების უგულებელყოფა. ამიტომ, კომისიამ საჭიროდ მიიჩნია, თბილისის გუბერნიის დებულების შესაბამისი პუნქტის შეტანა, კერძოდ, დავა საბოლოოდ მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადაეწყვიტა[1].

მეორე შენიშვნა და ცვლილება შეეხო ქუთაისის საგლეხო კომიტეტის პროექტის იმ პუნქტს, რომელშიაც გლეხის უფლებაზეა ლაპარაკი ნაყიდ მიწაზე.

მთავრობის საგუბერნიო კომისიის დასკვნით, იმპერიაში მოქმედ კანონმდებლობის საფუძველზე, აღიარებული იყო გლეხის უფლება ნაყიდ მიწაზე, ქუთაისის გუბერნიის კომიტეტის გადაწყვეტილებით კი ეს უფლება უგულებელყოფილი იყო. ამიტომ კომისიამ ასეთი პუნქტის დატოვება არასწორად ჩათვალა, მითუფრო, რომ ასეთი უფლება, თბილისის გუბერნიის შესაბამისი დებულებით, უკვე აღიარებული იყო. კომისიის დასკვნით, რაკი ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში რაიმე განსხვავებას ადგილი არ ჰქონია, ამიტომ გამონაკლისიც არ უნდა დაშვებულიყო. კომისიამ მიუთითა, რომ რაკი გლეხის უფლება ნაყიდ მიწაზე 1861 წ. 19 თებერვლის კანონმდებლობამ ცნო, ამიტომ აუცილებლად საჭირო იყო ქუთაისის გლეხთა კერძო ან შეზღუდული საკუთრების ცნობა ნაყიდ მიწაზე, იმ შემთხვევაში, როცა გლეხს, სათანადოდ გაფორმებული ფაქტობრივი საბუთი გააჩნდა (სხვა პირის ან თავის მემამულისაგან) მიწის ნასყიდობაზე.

მიუხედავად ამისა, კომისიამ გლეხის ასეთი უფლების ხანდაზმულობა მხოლოდ ათ წელიწადზე გაავრცელა. კომისიის დასკვნით, ძალდაკარგულად ჩაითვალა გლეხის შინაური აქტები, რომლებიც არაკანონიერი გზით იყო გაფორმებული, მითუფრო თუ ისინი ათ წელიწადზე ადრინდელ დროს ეხებოდა და სათანადოდ არ იყო დამოწმებული[2].

მესამე შენიშვნა შეეხო ქუთაისის საგლეხო კომიტეტის მიერ შემუშავებულ წესს ნადელისა და საკარმიდამოს მოცულობაზე. კომისიის დასკვნით, საკარმიდამოს (სამოსახლოს) ზომა ქუთაისის გუბერნიაში ერთი ქცევით უნდა განსაზღვრულიყო. რაც შეეხებოდა რაჭას, სადაც მჭიდრო დასახლება არსებობდა (საკარმიდამო მცირე იყო), საკარმიდამოს მოცულობა, ფაქტიური უნდა დარჩენილიყო.

კომისიამ მიზანშეუწონლად და გლეხის შევიწროებად მიიჩნია ფაქტიური საკარმიდამოსაგან გლეხისათვის რაიმეს ჩამოჭრა. მაგრამ თუკი ის დადგენილ ნორმას აჭარბებდა, მაშინ გლეხი ვალდებული უნდა ყოფილიყო, თბილისის გუბერნიის დებულების სათანდო მუხლის შესაბამისად, საკარმიდამოს ზედმეტ მოცულობაზე დამატებითი გადასახადი ეკისრა[3].

---

[1] Документы... с. 257—258.
[2] იქვე, გვ. 262—265.
[3] იქვე, გვ. 269—270.

კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია აგრეთვე კომიტეტის მოთხოვნა, მაღლარი ვენახის ადგილი მინდვრის სავარგულში ჩათვლილიყო. ხოლო თუ ის ნორმაზე მეტი აღმოჩნდებოდა, მაშინ ზედმეტი ფართი მემამულეს გადასცემოდა. ასეთი რამ, კომისიამ გლეხის მეურნეობის შევიწროებად ჩათვალა. ამასთან, კომისიაძ მიიჩნია, თუ გლეხი დაბლარ ვენახთან (ორ ქცევამდე) ერთად, ორ ქცევაზე მეტ მაღლარ ვენახსაც ფლობდა, მაშინ ეს ზედმეტი ფართობი ძირითად სავარგულში უნდა ჩათვლოდა. თუ გლეხს დაბლარი ვენახი არ გააჩნდა, მაშინ მას უფლება ჰქონდა ოთხ ქცევამდე მაღლარი ვენახის ადგილი დაეტოვებინა ისე, რომ ის მინდვრის სავარგულში არ ჩათვლოდა[1].

საგუბერნიო კომისიამ ცვლილებები შეიტანა, აგრეთვე კომიტეტის მიერ დადგენილი ნადელის (მინდვრის სავარგულის) მოცულობის განსაზღვრაში. კომისიამ შეუძლებლად ცნო რაჭაში ამ სავარგულის სამი ქცევით, შორაპანში — ოთხით, ხოლო ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში ხუთ-ხუთი ქცევით განსაზღვრა. კომისიამ შეუძლებლად ცნო, მინიმუმის შემთხვევაში, გლეხის ნადელიდან რაიმეს ჩამოჭრა, მაშინაც კი, როცა მემამულის ფაქტობრივი მიწა. იმის ნახევარზე ნაკლები დარჩებოდა, რაც მას მემკვიდრეობით ეკუთვნოდა. კომისიამ არასწორად ჩათვალა გლეხის შეზღუდვა ქუთაისის გუბერნიის მცირემიწიანობის მოტივითაც, რადგან ეს ყველას ეხებოდა.

კომისიის მონაცემებით, ქუთაისის გუბერნიის მემამულეები საშუალოდ 16 ქცევა (6 დესეტინა) მიწას ფლობდნენ, ხოლო გლეხები 4—5 ქცევას (იყვნენ ისეთი გლეხებიც, რომლებიც 30 ქცევაზე მეტსაც ფლობდნენ)[2].

საგუბერნიო კომისიის განსჯით, ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრაში გლეხის ფუძე ნადელი 4 ქცევა, ხოლო უმაღლესი — 12 ქცევა ($4^1/_2$) უნდა ყოფილიყო, რაც თბილისის გუბერნიის ნორმას უახლოვდებოდა. ასეთ გადაწყვეტილებას კომისია იმითაც ამართლებდა, რომ ამდენი მიწით გლეხები ფაქტობრივად სარგებლობდნენ. ამდენად, თუ ისედაც მცირე მიწა შემცირდებოდა, ეს გლეხთა უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

კომისიამ უარყო ქუთაისის თავად-აზნაურთა მოთხოვნა, რომ მცირემიწიან მემამულეს გლეხისათვის ფუძე ნადელის ნახევარი ჩამოეჭრა, რაც კომისიის აზრით, გლეხთა მეურნეობას დააქვეითებდა, ხოლო გაფანტულ ჩამონაჭრებს ვერავინ დაამუშავებდა.

კომისიის დასკვნით, როდესაც მემამულეს კუთვნილი მიწის ნახევარზე ნაკლები რჩებოდა, მას გლეხის ძირითადი ნადელისათვის არაფერი უნდა ჩამოეჭრა, სამაგიეროდ, არაკუთვნილი მიწის დატოვებისათვის გლეხს მეტი ვალდებულება უნდა დაკისრებოდა.

ქუთაისის გუბერნიაში გლეხების მიერ საძოვარ-საბალახო ადგილებით სარგებლობის წესი არაფრით განსხვავდებოდა თბილისის გუბერნიი-

[1] Документы... с. 270—172.
[2] იქვე, გვ. 275.

საგან. ამიტომ ქუთაისშიც ზუსტად იგივე წესი უნდა დაფუძნებულიყო, რაც თბილისის გუბერნიაში.

ნადელის დატოვების, მისი გამიჯვნა-დანაწილების შემთხვევაში — ქცევა მიწის გამოსასყიდად სულ მცირე 30 მანეთი (ვერცხლით) მაინც უნდა დაწესებულიყო.

4) საკარმიდამოზე. ნ. წერეთლის აზრით, ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში საკარმიდამოს უმაღლესი ზომა ერთი ქცევა უნდა ყოფილიყო, ხოლო რაჭასა და შორაპანში უფრო ნაკლები. მისი აზრით, მთავრობის კომისიას გამონაკლისი მარტო რაჭაზე კი არ უნდა დაეშვა, არამედ შორაპანზეც[1].

5) გლეხთა უფლება უძრავ ქონებაზე. ნ. წერეთლის მტკიცებით, ქვეყნის კანონითა და ადათით, გლეხის ნაყიდი მიწაც ისე ითვლებოდა მემამულის საკუთრებად, როგორც მის მიერ გლეხისათვის მიცემული. თითქოს არც ვახტანგ მეფის კანონები და, საერთოდ, არც ადათი და წესი არ ცნობდა გლეხის კერძო მიწის არსებობას.

ნ. წერეთლის აზრით, გლეხისათვის მემამულის მხრივ იმისი დათმობაც კი, რაც კომისიამ დაუშვა (ათი წლის ხანდაზმულობის ძიება), დიდი შეღავათი იყო. მისი მტკიცებით, გლეხთა მიერ მიწის ყიდვის შემთხვევები, თითქოს, სწორედ ამ უკანასკნელ ათ წელიწადზე მოდიოდა და, თითქოს ამის გამო, გლეხები არაფერს არ კარგავდნენ. ნ. წერეთელს შეუძლებლად მიაჩნდა გლეხთა ძიების ვადის უფრო გახანგრძლივება, რადგან, თითქოს ეს გაზრდიდა მემამულეთა და გლეხთა დავას, რაც მთავრობისათვისაც საზარალო იქნებაო[2].

ბაგრატიონ-მუხრანსკი როდი შემოიფარგლა თავისი პირადი მოსაზრებების წერილობით წარდგენით, მან თავისთან მიიხმო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სამაზრო და საგუბერნიო წინამძღოლები, აგრეთვე თავად-აზნაურთა სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები (ზოგან სოფლებსაც ეწვია) და საგლეხო კომიტეტის მასალების, პროექტის საფუძველზე ქუთაისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების დებულების საბოლოო პროექტი მოამზადა.

მთავრობის საგუბერნიო კომისიის მიერ, 1864 წ. 26 აპრილს წარდგენილი პროექტის არსი შემდეგში მდგომარეობდა: 1) ქუთაისის გუბერნიის გლეხობას, 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტის შესაბამისად, ებოძა პირადი, ქონებრივი და მდგომარეობითი უფლებები; 2) ქუთაისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების, ჩამონაჭრების, გლეხთა კუთვნილი წისქვილების და სხვა წესები, რაც თავად-აზნაურთა კომიტეტმა წამოაყენა, კომისიამაც ასევე მოიწონა, რადგან ისინი თბილისის გუბერნიაში მოქმედ დებულებას შეესაბამებოდნენ, ხოლო თუ მაღლარი ვენახი გლეხს ზედმეტი აღმოაჩნდებოდა და მას ჩამოეჭრებოდა, მაშინ მემამულე ვალდებული იყო გლეხისათვის ვენახის ძირების ფასი აენაზღაურებინა. თუკი

[1] СХАО, т. II, с. 341.
[2] იქვე, გვ. 342.

ამაზე შეთანხმება არ მოხდებოდა, საკითხი მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადაეჭრა[1].

შემდეგი შესწორება შეეხო მცირემამულიანობის ცნების განსაზღვრას. ქუთაისის გუბერნიაში მცირემამულიანად უნდა ჩათვლილიყო არა 120 ქცევამდე მიწის მფლობელი, არამედ 60-მდე. მართალია, თბილისის გუბერნიის დებულებით, მცირემამულიანად 120 დღიურზე ნაკლები მიწის მფლობელი ჩაითვალა და, ვისაც 60 დღიურზე ნაკლები ჰქონდა, საერთოდ თავისუფლდებოდა გლეხისათვის ნადელის გამოყოფის ვალდებულებისაგან, მაგრამ კომისიამ მხედველობაში მიიღო ის, რომ ასე მცირე მიწის მფლობელი მემამულე თბილისის გუბერნიაში საერთოდ, ცოტა იყო და, ამდენად, მიწის ჩამოჭრით ცოტა გლეხი ზარალდებოდა. სამაგიეროდ ქუთაისის გუბერნიაში მცირემიწიანი მემამულე საყოველთაო იყო, ამიტომ 60 დესეტინა მიწის მფლობელის განთავისუფლება ნადელის გამოყოფისაგან გლეხობას მასობრივად დატოვებდა უმიწოდ, რაც მათ მდგომარეობას უფრო გააუარესებდა. ამიტომ კომისიამ ქუთაისში მცირემიწიან მემამულედ ჩათვალა ის, ვინც 60 დესეტინამდე მიწას ფლობდა, ხოლო თუკი მემამულე ამის ნახევარზე ნაკლებს ფლობდა, უნდა განთავისუფლებულიყო გლეხისათვის ნადელის გამოყოფის ვალდებულებისაგან[2].

კომისიამ ყურადღება გამაახვილა რაჭის მთისწინეთზეც, კერძოდ, კუდაროს უბანზე (სადაც ოსები ცხოვრობდნენ), აგრეთვე უწერის უბნის, გლოლასა და ჭიორას სოფლებზე, რომლებიც თავისი პირობებით თბილისის გუბერნიის გორის მაზრის მთისწინეთს ჰგავდნენ. აღნიშნულის გამო, კომისიამ დაასკვნა, რომ რაჭის მთისწინეთზე გორის მაზრის მთისწინეთის წესები გავრცელებულიყო. ამ წესის მიხედვით, საკომლოს მფლობელი გლეხი (დაახლოებით 15—20 დღიურ სახნავ-სათიბი მიწის) მემამულეს წელიწადში 34 მანეთის ღირებულების პირუტყვს, პროდუქტებსა და შრომას გადაუხდიდა (თუკი გლეხის საკომლო დადგენილი ნორმის მხოლოდ მეოთხედს შეადგენდა, მას 18 მანეთი ან მისი ღირებულება უნდა გადაეხადა)[3].

კომისიის აზრით, რაჭის მთისწინეთში რეფორმის შემდეგ გლეხს მთლიანად რჩებოდა მემკვიდრეობით სარგებლობაში არსებული მიწა (რასაც ფაქტობრივად ფლობდა). ამასთან, გლეხს რჩებოდა საძოვარ-საბალახო ადგილებით და ტყით (ძველებური წესით) სარგებლობის უფლება და გადასახადის გადახდის ვალდებულება.

მთავრობის საგუბერნიო კომისიამ ცვლილებები შეიტანა კომიტეტის მიერ საკარმიდამოზე განსაზღვრულ ვალდებულებაშიც; ქუთაისის გუბერნიაში ერთი ქცევა საკარმიდამო ედრებოდა თბილისის გუბერნიის ერთ. დღიურს. მიუხედავად იმისა, რომ საკარმიდამო სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა შემოსავალს იძლეოდა, მასზე ქუთაისის, შორაპნისა და ოზურგე-

---

[1] Документы... с. 278—279.
[2] იქვე, გვ. 280.
[3] СХАО, т. II, с. 207—208; Документы... с. 216—217.

თის მაზრებში სამ-სამი მანეთი გადასახადი უნდა დაწესებულიყო, ხოლო რაჭაში, მიუხედავად იმისა, რომ იქ საკარმიდამოზე ხეხილი იშვიათად იყო გაშენებული (სოფლის მჭიდრო დასახლების გამო) და მიწა ძვირი ღირდა, კომისიამ არ გაიზიარა კომიტეტის წინადადება, იქ საკარმიდამოზე გადასახადის გაზრდის თაობაზე. სამაგიეროდ, კომისიის გადაწყვეტილებით, რაჭაში ნახევარქცევაზე ნაკლები საკარმიდამო ნახევარქცევად ჩაითვალა, ხოლო ერთზე ნაკლები — ერთ ქცევად (ამიტომ ერთ ქცევაზე ნაკლები საკარმიდამოს მფლობელს 3 მანეთი უნდა გადაეხადა, ხოლო ნახევარზე ნაკლების მფლობელს ამის ნახევარი, რაც ფაქტობრივად გადასახადის გაზრდასაც ნიშნავდა).

კომისიის დასკვნით, ქუთაისის გუბერნიაში თითოეული ქცევის ფასი 120 მანეთზე მეტი არ უნდა ყოფილიყო[1].

კომისიამ კორექტივი შეიტანა კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ბაღზე გადასახადის ოდენობაშიც. მან არ გაიზიარა კომიტეტის აზრი, რომ ქუთაისის გუბერნიაში, თბილისთან შედარებით, დაბლარ ვენახზე მეტი ვალდებულება დაწესებულიყო. კომისიის აზრით, ქუთაისის გუბერნიაში დაბლარ ვენახზე გლეხს მოსავლის მეოთხედი უნდა გადაეხადა. ე. ი. იმდენი, რამდენიც თბილისის გუბერნიაში[2]. რაც შეეხებოდა მაღლარ ვენახს, კომისიის გადაწყვეტილებით, გლეხს უნდა გადაეხადა არა მოსავლის ნახევარი, არამედ მესამედი, რადგან ამით გლეხი წახალისდებოდა და მეტად დაინტერესდებოდა ვენახის მოშენება-მოვლაში.

საგუბერნიო კომისიამ განსაზღვრა გლეხის ვალდებულება მინდვრის სავარგულზეც. მართალია, კომისიამ სარწმუნოდ მიიჩნია, რომ ქუთაისის გუბერნიაში მიწის ქირა დიდი იყო და ზოგჯერ მოსავლის ნახევარსაც აღწევდა, მაგრამ, მან მხედველობაში მიიღო ის, რომ მიწის ქირა ზოგან მოსავლის მეხუთედს და ზოგჯერ მეათედსაც უდრიდა, ამიტომ მასზე ვალდებულება მოსავლის მეოთხედით განსაზღვრა[3].

კომისიამ გაითვალისწინა ის შემთხვევაც, როდესაც გლეხი ფაქტობრივად ნადელის უმაღლეს ზომაზე მეტ მიწას ფლობდა და მემამულემ მას არაფერი ჩამოაჭრა. ასეთ შემთხვევაში ჩამოსაჭრელად განკუთვნილ მიწაზე (რომელიც გლეხს დარჩა) მას მეოთხედის გარდა, დამატებითი მოსავლის ათი პროცენტი უნდა გადაეხადა. ამასთანავე, რაჭის მაზრაში, სადაც მიწა ძვირი ღირდა, ამდაგვარად დარჩენილ მიწაზე გლეხს მოსავლის მესამედი უნდა გადაეხადა[4].

გადასახადის გადახდისა და მემამულესთან მიტანის უზრუნველყოფის საკითხზე კომისიამ ძირითადად კომიტეტის მიერ წამოყენებული წესი მოიწონა იმ გამონაკლისით, რომ ღომის გასუფთავებული სახით გადახ-

---

[1] Документы... с. 238.
[2] იქვე, გვ. 285.
[3] იქვე, გვ. 286.
[4] იქვე, გვ. 287.

და გლეხისათვის მძიმე იყო, აგრეთვე გლეხის მიერ მოსავლის სავალდებულო მიზიდვის სიშორე 75-ის ნაცვლად 50 ვერსით შეიცვალა[1].

ქუთაისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების წესებში ცალკე განისაზღვრა რაჭის მთისწინეთში მცხოვრებ გლეხთა დროებით ვალდებულება. იქაურ გლეხებს ვალდებულება უნდა მოეხადათ ფულით, პირუტყვით ან საოჯახო ნაკეთობებით (რეფორმამდე არსებული ჩვეულების ფარგლებში).

რაც შეეხებოდა მთისწინეთში საძოვრებით და ტყეებით სარგებლობას და მასზე გლეხთა დროებით ვალდებულებას, ეს გორის მაზრის მთისწინეთის მსგავსად მეფისნაცვალს უნდა განესაზღვრა[2].

საგუბერნიო კომისიამ სხვანაირად განსაზღვრა მიწის ნადელის გამოსასყიდი ფასებიც: ერთი ქცევა მინდვრის ჩვეულებრივი მიწა 10 მანეთად უნდა შეფასებულიყო, ხოლო საუკეთესო მიწა — 15 მანეთად. ამგვარი გაანგარიშებით, ერთი კომლი, რომელიც უმაღლეს ზომას ფლობდა, გადაიხდიდა:

1) თუ უწინ ნატურით ვალდებულება ეკისრებოდა (ამის გამო შეღავათი ეძლეოდა), ერთ ქცევა საკარმიდამოში 50 მანეთს, ჩვეულებრივ მინდვრის 12 ქცევა სავარგულში — 84 მან., 4 ქცევა მაღლარში — 40 მანეთს, ე. ი. სულ 174 მანეთს. თუ იგივე 12 ქცევა საუკეთესო მიწად ითვლებოდა, მაშინ 120 მანეთს, ე. ი. სულ ნადელში 210 მანეთს; 2) თუ ფულადი ვალდებულება ეკისრებოდა: ერთ ქცევა საკარმიდამოში 50 მანეთს, 12 ქცევა მინდვრის ჩვეულებრივ სავარგულში 120 მანეთს, 4 ქცევა მაღლარში 60 მანეთს, სულ 230 მანეთს. თუ გლეხის უმაღლესი ნადელი საუკეთესო მიწად ჩაითვლებოდა, მაშინ მისი მთლიანი გადასახდელი 290 მანეთს უდრიდა[3].

რაც შეეხებოდა რაჭის მთისწინეთს, რომლის მიწა და გლეხის ვალდებულება გორის მაზრის მთისწინეთს უტოლდებოდა, ნატურით გადასახადის შემთხვევაში ერთი ქცევა სახნავი მიწა 7 მანეთად ფასდებოდა, ხოლო სათიბი — 3 მანეთად. თუკი გლეხი ფულად გადასახადს იხდიდა, მაშინ ერთი ქცევა სახნავი მიწა 10 მანეთად ფასდებოდა, ხოლო სათიბი — 5 მანეთად. საკარმიდამო ორივე შემთხვევაში 50 მანეთად უნდა შეფასებულიყო. ამრიგად, პირველ შემთხვევაში ნადელსა და საკარმიდამოში კომლის გადასახდელი ფული — 180 მანეთს, ხოლო, მეორე შემთხვევაში 250 მანეთს უდრიდა[4].

ქუთაისის გუბერნიის საგლეხო რეფორმის დებულებაში კომისიამ განსაზღვრა აზატის, მსახურისა და მოჯალაბის განთავისუფლების პირობებიც.

როგორც ცნობილია, აზატის კომლი ვალდებული იყო მხოლოდ მო-

---

[1] Документы... с. 287.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 289.
[4] იქვე.

სამსახურის მიცემით, ხოლო მსახურს, სხვადასხვა სამსახურთან ერთად, ხშირად გლეხური ვალდებულებაც ეკისრა. ყმათა ყველაზე დაბალი კატეგორია მოჯალაბე, რომელიც სულ უქონებელი იყო, თავისი ოჯახით მემამულის პირად მიწაზე ცხოვრობდა.

კომისიამ ამ კატეგორიის ყმების განთავისუფლება რუსეთის შესაბამისი ყმების განთავისუფლების პირობებს და თბილისის გუბერნიის ხიზნების განთავისუფლების წესს შეუფარდა.

ქუთაისის გუბერნიის გლეხთა დებულებაში (დამატებით წესებში) განისაზღვრა ე. წ. არამემკვიდრეობით (წოდებაში დაუმტკიცებელ) აზნაურთა გლეხების განთავისუფლების პირობებიც. იმას, ვისაც აზნაურის წოდება არ დაუმტკიცდა, ჯერ კიდევ, რამდენიმე წლის წინ ებრძანა, რომ თუკი ყმები ჰყავდა, რვა წლის მანძილზე ან გაეყიდა ან, საერთოდ გაენთავისუფლებინა. ასეთი გლეხთა რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში, რეფორმის დროს 418 კომლს, ანუ 1743 მამრობით სულს უდრიდა[1].

საგუბერნიო კომისიას, ასეთ ყმათა ქონებით მდგომარეობაზე არავითარი ცნობები არ მოეპოვებოდა, მაგრამ რეფორმის დროს ისინი სხვა გლეხების მსგავსად უნდა განთავისუფლებულიყვნენ, იმდაგვარად, რომ მათი მფლობელების ინტერესები არ შელახულიყო. აქედან გამომდინარე, კომისიამ დაასკვნა: 1) გლეხებს, რომლებიც არამემკვიდრეობით აზნაურების ხელში იყვნენ, ისეთივე ქონებრივ-პიროვნული და უფლებრივი უფლებები მისცემოდათ, როგორიც, საერთოდ გლეხობას, 1861 წ. 19 თებერვლის კანონმდებლობის საფუძველზე; 2) აღნიშნულ გლეხებს, ისეთივე თავისუფლება უნდა მინიჭებოდა, როგორსაც ახალი წესები ითვალისწინებდა; 3) ამ გლეხებს უფლება უნდა მისცემოდა განთავისუფლების შედეგად ის საკარმიდამო დარჩენოდათ, რომელსაც რეფორმის დროს ფლობდნენ, ოღონდ ისეთივე გამოსყიდვის წესით, როგორიც სხვა საბატონო გლეხებს; 4) ამ კატეგორიის გლეხებს, ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე, უნდა დარჩენოდათ თავიანთ მფლობელობაში, არსებული დაბლარი ვენახის ნახევარი და მაღლარი ვენახის მესამედი; 5) ამგვარი გლეხებისა და მათი მფლობელების დავაც მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადაეჭრა[2].

ასეთი იყო ქუთაისის გუბერნიის ბატონყმობიდან გამოსულ გლეხთა ყოფა-ცხოვრების მოწყობის დამატებითი წესების პროექტი, რომელიც მთავრობის სპეციალურმა საგუბერნიო კომისიამ მიიღო. მაგრამ კომისიის ზოგიერთი წევრი, რომელიც თავად-აზნაურთა ინტერესების თავგამოდებული დამცველი იყო, ამ პროექტის ყველა მუხლს არ ეთანხმებოდა. ესეთთა შორის იყო ი. ლორთქიფანიძე, რომელმაც 1865 წ. 26 აპრილს, თავისი შეხედულებები წარუდგინა მთავარ საგლეხო კომიტეტს. იგი კატეგორიულად უარყოფდა გლეხთა უფლებას ნაყიდ მიწაზე. მისი აზრით,

---

[1] Документы... с. 291.
[2] СХАО, т. II, с. 363. ЦГИА СССР, ф. 220, д. 1067, лл. 130—137.

გლეხის ასეთი უფლება უარყოფილი იყო საუკუნო ადათ-წესით, თითქოს გლეხთა უფლება მიწაზე, არც ხალხის ცნობიერებაში და არც მახსოვრობაში არ არსებობდა. იგი გლეხის ასეთი უფლების არსებობას, საერთოდ უგულებელყოფდა 1848 წლამდე.

ი. ლორთქიფანიძის მტკიცებით, ქვეყანაში უძველესი საუკუნეებიდან შეიქმნა ისეთი რწმენა, რომ თვითონ ყმა და მისი ყოველგვარი ქონება პატრონის საკუთრებად ითვლებოდა. ასეთი რამ არა მხოლოდ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი, არამედ უფრო ცივილიზებული ხალხებისათვისაც. ლორთქიფანიძის მსჯელობით მემამულეს, თითქოს დესპოტის უფლება (უსაზღვრო ძალაუფლება) ეძლეოდა ყმაზე, როგორც პირად ნივთზე.

აქედან გამომდინარე, ლორთქიფანიძის აზრით, გლეხს არ შეიძლებოდა კერძო საკუთრება ჰქონოდა. ლორთქიფანიძე იმოწმებს ვახტანგის კანონებს, რომლის ძალით, რაც გლეხს ებადა (გარდა სულისა), მებატონეს ეკუთვნოდა.

გვიან, — დასძენს ი. ლორთქიფანიძე, — რუსეთში ყმებს 1848 წლიდან მიეცათ უფლება კანონიერი გზით შეძენილი უძრავი ქონება მათვე მიკუთვნებოდა და დარჩენოდა. აი, აქედან შეიძლებოდა გლეხის ნაყიდზე მსჯელობა. ადრე რომ გლეხს კერძო მიწა არ შეიძლებოდა ჰქონოდა, ამის დამადასტურებლად ლორთქიფანიძე იმოწმებდა იმ ფაქტსაც, რომ თუკი გლეხი გარდაიცვლებოდა და მას პირდაპირი მემკვიდრე არ ეყოლებოდა, მისი ქონება ქალიშვილზე და ძმებზე კი არ გადადიოდა, არამედ მემამულის განკარგულებაში რჩებოდა[1].

ი. ლორთქიფანიძე ამტკიცებდა, რომ გლეხს არ შეიძლება ჰქონოდა კერძო საკუთრების უფლება, ის იძულებული იყო ვახტანგ მეფის ის დებულებაც (160-ე მუხლი) მოეშველიებინა, რომ „მემამულემ გლეხს ნასყიდი არ უნდა წაართვას". მაგრამ დასძენდა, რომ, თითქოს ეს სავალდებულო კანონი კი არ იყო, არამედ ზოგადი მითითება, თითქოს ეს მხოლოდ ჰუმანურობას ეხებოდა და სავალდებულო არ იყო მისი შესრულება. მითუფრო, — დასძენდა ლორთქიფანიძე, — ვახტანგის სამართალით გლეხს უფლება არ ჰქონდა მებატონის წინააღმდეგ საჩივარი აღეძრა (258-ე მუხლი). ლორთქიფანიძის დასკვნით, ყოველივე ეს იმას ნიშნავდა, რომ გლეხს არ შეიძლებოდა კერძო საკუთრების უფლება ჰქონოდა მიწაზე. აღნიშნულის გამო, იგი ერთხელ კიდევ მტკიცედ უარყოფდა, რომ, საერთოდ არავითარი ყურადღება არ მიქცეოდა გლეხთა საბუთებს მიწის ნასყიდობაზე, მითუფრო, რომ თვითონ გლეხი იყო ყიდვა-გაყიდვის საგანი.

ლორთქიფანიძის დაჟინებითი განცხადებით, თუკი უარყოფილი იქნებოდა გლეხის უფლება ნაყიდ მიწაზე, ეს თითქოს გლეხს არაფრით დააზარალებდა.

---

[1] СХАО, т. II, с. 351.

დაბოლოს, ი. ლორთქიფანიძე შეეხო თბილისის გუბერნიის საგლეხო დებულების მუხლს, რომელშიაც ლაპარაკია, თუ რა უფლება აქვს გლეხს ნაყიდ მიწაზე. იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს თბილისის გუბერნია ქუთაისისაგან განსხვავებული სამყარო იყო და, თითქოს, ამიტომ გახდა შესაძლებელი იქ გლეხის ამ უფლების აღიარება[1].

ასეთი იყო მსხვილ თავადაზნაურთა ტიპობრივი წარმომადგენლის — როტმისტრ (თავად) ი. ლორთქიფანიძის მოსაზრებანი, ნაყიდ მიწაზე გლეხის უფლება-მოვალეობის შესახებ.

ქუთაისის გუბერნიის საგლეხო რეფორმის წესების პროექტზე დავა ამით როდი ამოიწურა, ამ საკითხზე 1865 წ. მაისში თავისი შენიშვნები წამოაყენა ქუთაისის · გენერალ-გუბერნატორმა, თავადმა სვიატოპოლკ-მირსკიმ. მისი განსჯით, მთავრობის საგუბერნიო კომისიის მიერ მომზადებული წესების პროექტი ძირითადად მისაღები იყო. თუმცა შიშს გამოთქვამდა, რომ რეფორმა შეიძლებოდა ქუთაისის გუბერნიაში დიდ დაბრკოლებას წაწყდომოდა: მთიან-ტოპოგრაფიული მდებარეობის, გლეხთა კარმიდამოსა და ნადელების გაფანტულობის, სამიმოსვლო გზების მოუხერხებლობის, მიწა-წყლის გაუმიჯნაობის, საზღვრების დაუდგენლობის, თავად-აზნაურთა მრავალრიცხოვნობისა და სხვა გარემოებათა გამო. გენერალ-გუბერნატორი რეფორმის დამაბრკოლებელ მიზეზად მიიჩნევდა თავად-აზნაურთა გაუნათლებლობას და მომრიგებელ მოსამართლეებად ასარჩევ, სათანადო პირთა უკმარისობას, აგრეთვე მოსახლეობის ჭირვეულ ხასიათს, დიდგულობასა და მტრულ მიდრეკილებას[2].

ამ დაბრკოლებათა შედარებით უმტკივნეულო დაძლევისა და მშვიდობის უზრუნველსაყოფად, გენერალ-გუბერნატორს საჭიროდ მიაჩნდა ბატონყმობის სწრაფი გაუქმება ყოველგვარი დროებითი ვალდებულების შემოღების გარეშე, ე. ი. გლეხის მიერ საკარმიდამოსა და ნადელის, აგრეთვე თავისთავის დაუყოვნებლივ გამოსყიდვა[3].

გენერალ-გუბერნატორის პირველი შენიშვნა ეხება წესების იმ მუხლს, რომელშიაც გუბერნიის მიწის ღირებულებაზეა ლაპარაკი. მართალია, ისიც იმ აზრს იზიარებდა, რომ ქუთაისის გუბერნიის მიწა, თბილისის გუბერნიასთან შედარებით, უფრო ნაყოფიერი იყო და ნაკლებ შრომას საჭიროებდა, მაგრამ, მას უფრო სამართლიანად მიაჩნდა ქუთაისის გუბერნიის ერთი ქცევა მიწის გათანაბრება თბილისის გუბერნიის ერთ დღიურთან (ეს უკანასკნელი 300 კვ. საჟენით მეტი იყო)*. ამასთან, მისი აზრით, ქუთაისის გუბერნიაში ერთი ქცევა მინდვრის სავარგულის მიწა 30 მანეთზე მეტად არ უნდა შეფასებულიყო, ხოლო ერთი კომლის

---

[1] СХАО, т. II, с. 355—356.
[2] იქვე, გვ. 362.
[3] იქვე, გვ. 363.
* ქცევა მიწა 900 კვ. საჟენს უდრის.

მთლიან გამოსასყიდს 350 მანეთისათვის არ უნდა გადაეჭარბებინა (თბილისის გუბერნიის მსგავსად)[1].

ნაყოფიერებით განსხვავებული მიწის სხვადასხვა ფასი, გენერალ-გუბერნატორის აზრით, კავკასიის ადმინისტრაციას უნდა განესაზღვრა.

გუბერნატორის აზრით, რეფორმის გატარებისას მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოეჩინა გურიისადმი, მისი ხალხის წინააღმდეგობრივი ხასიათისა და თურქეთთან სიახლოვის გამო[2]. სხვათა შორის, გენერალს საკითხის საუკეთესო მოგვარების საშუალებად მიაჩნდა გლეხობის მიერ საკარმიდამოსა და ნადელის სასწრაფო გამოსყიდვა. თან ერთი ქცევა საუკეთესო მიწის ფასს 30 მანეთისთვის არ უნდა გადაეჭარბებინა, ხოლო ოჯახის გამოსასყიდს — 300 მანეთისათვის. ამასთან, საკარმიდამოსა და ნადელის მოცულობა 7-დან 13 ქცევამდე მოცულობით უნდა განსაზღვრულიყო.

გუბერნატორის შემდგომი შენიშვნა შეეხო გლეხთა უფლების განსაზღვრას ნაყიდ მიწაზე და სხვა ქონებაზე. როგორც ვნახეთ, ამ საკითხმა თითქმის ყველაზე დიდი დავა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გუბერნატორის განსჯით, უნდა აღიარებულიყო: ა) გლეხთა კერძო საკუთრება 1848 წ. შემდგომ ნაყიდ მიწაზე; ბ) დადგენილი წესით შესრულებული ნასყიდობის აქტების კანონიერება. ამასთან, გლეხთა იმ საშინაო აქტების ვარგისიანობა, რომლებიც 1861 წლამდე იყო დამოწმებული, თბილისის გუბერნიის დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად უნდა განსჯილიყო ზოგიერთი შეზღუდვით.

გუბერნატორის აზრით, გლეხთა საშინაო აქტები, რომლებიც არსად არ იყო წარდგენილი და დამოწმებული, მიუღებლად და გაუქმებულად უნდა გამოცხადებულიყო, იმ აქტების გამოკლებით, რომლებიც თავისი მემამულის მიერ 1848 წ. შემდეგ იყო გაცემული. ასეთი აქტები გასარჩევად უნდა წარდგენოდა მომრიგებელ მოსამართლეს, თუკი ის მათ სინამდვილეს დაადასტურებდა, მაშინ ძალაში შევიდოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა[3].

გუბერნატორის შენიშვნა შეეხო აგრეთვე გლეხის მიერ გადასახდელი მოსავლის მიტანის წესს. მისი განცხადებით, მოუხერხებელი მიმოსვლის გამო, გლეხისათვის მეტად ძნელი იყო მოსავლის მიტანა 15 და, მითუფრო 50 ვერსის მანძილზე. ამიტომ, გარემოების შესაბამისად, ეს მანძილი, შესაბამისად, 10 და 30 ვერსით უნდა განსაზღვრულიყო[4].

დაბოლოს, გუბერნატორი მეფისნაცვალს სთხოვდა იმპერატორის წინაშე ეშუამდგომლა, რათა გლეხთა [illegible] ვისუფლების გამო ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურებისადმიც თბილისის გუბერნიის მსგავსი წყალობა გაეღო.

---

1 СХАО. т. II. с. 364.
2 იქვე, გვ. 365.
3 იქვე, გვ. 366—367.
4 იქვე, გვ. 367.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგლეხო კომიტეტის მიერ შემუშავებული დამატებითი წესების პროექტი, მთავრობის საგუბერნიო კომისიის, გენერალ-გუბერნატორის თუ ცალკეულ წევრთა შენიშვნები, აგრეთვე რეფორმის მთელი მასალები კავკასიის ადმინისტრაციას წარედგინა.

პროექტის საბოლოო განხილვამდე მეფისნაცვალმა რომანოვმა ბაგრატიონ-მუხრანსკის შეადგენინა იმპერატორისადმი მიმართვა, რომელშიც მოცემული იყო ქუთაისის გუბერნიის გლეხთა და თავად-აზნაურთა რაოდენობის სტატისტიკა და თხოვნა გლეხთა განთავისუფლების გამო თავადაუზნაურობისათვის გასამრჯელოს მიცემაზე.

მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ იმერეთსა და გურიაში (აწინდელ ქუთაისის გუბერნიაში) თავადაზნაურობა იაჩირვებულ მდგომარეობაში იყო და მთავრობის ყურადღებას საჭიროებდა; მათი რიცხვი 4785 კომლს შეადგენდა (თბილისის გუბერნიაში 1.751 კომლს), რომელთაგან 21 მამრობით სულზე ნაკლებ გლეხს ფლობდა თავად-აზნაურების 3.776 კომლი (თბილისის გუბერნიაში 869 კომლი). თავად-აზნაურის თითოეულ კომლზე, საშუალოდ, გლეხის 5 ოჯახი მოდიოდა[1].

მიმართვაში ჩამოთვლილი იყო გლეხთა ბეგარა-ვალდებულების ნაირსახეობა და ნათქვამი იყო, რომ რეფორმის ახალი წესებით, გლეხებზე გათვალისწინებული ვალდებულება, ძველთან შედარებით, თითქოს არარაობა იყო, თითქოს ბატონყმობის გაუქმებით არნახულ მატერიალურ ზარალს განიცდიდა თავადაზნაურობა, რომელთაც არც განათლება გააჩნიათო.

მიმართვაში მოცემული იყო უკანასკნელი აღწერის მონაცემები, რომლის მიხედვით 4 785 მემამულის კომლზე გლეხთა 96 732 მამრ. სული მოდიოდა (თბილისის გუბერნიაში 67 578 მამრ. სული). ამასთან 3 776 წვრილმფლობელი თავად-აზნაურის კომლი სულ 27 701 მამრ. სულს ფლობდა (თბილისის გუბერნიაში 6 932 მამრ. სულს).

მიმართვაში ნაანგარიშევი იყო თანხა, რაც თბილისის გუბერნიის მსგავსად, რეფორმის გატარების შედეგად ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას მოუწევდა გლეხთა განთავისუფლებისათვის, კერძოდ 2 418 300 მანეთი (96 732×25). აქედან წვრილმფლობელი მემამულის 3 776 კომლს, (27 701 მამრ. სულის განთავისუფლებისათვის) 692 525 მანეთი მოუწევდა. ამასთან, თუკი ეს წვრილმფლობელი მემამულეები, თბილისის გუბერნიის მსგავსად დამატებით დახმარებას მიიღებდნენ (თითოეულ განთავისუფლებულ მამრ. სულზე, საშუალოდ 15 მანეთს), ეს 415 515 მანეთს შეადგენდა[2].

ქუთაისის გუბერნიის საგლეხო რეფორმის წესების პროექტში უმნიშვნელო შესწორების შეტანის შემდეგ (ეს შესწორება გლეხის მიერ

---

[1] СХАО, т. II, с. 369.

[2] იქვე, გვ. 371.

გადასახდელი მოსავლის მიზიდვის სავალდებულო მანძილს შეეხო, კერძოდ, 15 ვერსი — 10-მდე, 50 კი — 25-მდე შემცირდა) ის პეტერბურგში, ცენტრალურ საგლეხო კომიტეტს გაეგზავნა, რომელმაც ამ პროექტს კავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტთან ერთად გადახედა და 1865 წ. 9 აგვისტოს, სათანადო შენიშვნებით, დაუბრუნა მეფისნაცვალს.

1865 წ. აგვისტოში უმაღლესად გადაწყდა ქუთაისის თავად-აზნაურებისათვის გლეხთა განთავისუფლებაში სათანადო ანაზღაურების მიცემა[1].

1865 წ. 24 აგვისტოს გ. ორბელიანმა (მეფისნაცვლის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა) ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ყურადღება გაამახვილა: 1) შინამოსამსახურე ყმების მდგომარეობის დადგენაზე, აგრეთვე ხიზნებზე, რომლებიც ქალაქში ან სხვაგან ცხოვრობდნენ; 2) მომრიგებელი მოსამართლეების არჩევაზე და საგუბერნიო საგანგიოს (губернское присутствие) შექმნაზე; 3) სასოფლო საზოგადოებების ჩამოყალიბებაზე, მათი მმართველობის უზრუნველყოფაზე, აგრეთვე ამ საზოგადოებების სახელმწიფო და საზოგადოებრივ გადასახადებზე; 4) გლეხთა მიერ დებულების გამოქვეყნებისას მოპოვებულ უფლებებზე და საწესდებო სიგელების შემოღებამდე მემამულეებისადმი მათ დამოკიდებულებაზე, 5) საწესდებო სიგელების შედგენაზე.

გ. ორბელიანმა მოითხოვა, რომ ეს საკითხები სამოქალაქო გუბერნატორს — ოგოლინს განეხილა თავად-აზნაურთა წინამძღოლის, გუბერნიის სასამართლოს თავმჯდომარის, აგრეთვე გუბერნიის პროკურორის დასწრებით და შედეგი ეცნობებინა[2].

ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორმა, 1865 წ. 20 სექტემბერს, კოლეჯის ასესორ ბენისლავსკის, როტმისტრ, თავადი ი. ლორთქიფანიძის, პორუჩიკ, თავადი ნ. წერეთლის და სხვათა მონაწილეობით განიხილა საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, იმ აზნაურთა საქმე, რომლებიც თავადთა ხელქვეითნი იყვნენ. ეს პირები წოდებრივ ღირსებაში არ იყვნენ დამტკიცებული, მაგრამ ცნობილი იყვნენ როგორც აზნაურები. აღნიშნული, ე. წ. არამემკვიდრეობით აზნაურთა გლეხები, ერთი მხრივ, თავის უშუალო აზნაურს ემსახურებოდნენ. მეორე მხრივ — ამ აზნაურთა თავადებს. ჯერ კიდევ, 1864 წ. მაისში, უმაღლესად დამტკიცებული გადაწყვეტილების შესაბამისად, თავადებს უფლება მიეცათ ამ აზნაურთა მამულის მეოთხედიდან ნახევრამდე თვითონ მიეღოთ[3]. ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორს უცნაურად ეჩვენებოდა აზნაურთა დამოკიდებულების შემორჩენა თავადებისადმი, მისთვის გაუგებარი იყო, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო მათ შორის მამულების გაყოფა, ან ამ აზნაურებისადმი დამოკიდებული გლეხების განთავისუფლება. აღნიშნუ-

---

[1] ЦГИА СССР, ф. 67, д. 34, лл. 97—99.
[2] СХАО, т. II, с. 376—377.
[3] იქვე, გვ. 378.

ლი საქმეები მომრიგებელ მოსამართლეებს უნდა მოეგვარებინათ, მაგრამ სათანადო ინსტრუქციის საფუძველზე.

ოზურგეთის მაზრაში (1859 წ. მონაცემებით), აგრეთვე ქუთაისის, შორაპნისა და რაჭის მაზრებში (1864 წ. მონაცემებით) წოდებრივ ღირსებაში დაუმტკიცებელ აზნაურთა რიცხვი (ისინი კვლავ ეძიებდნენ წოდებას) 287 კომლს შეადგენდა, მათ ხელში მყოფ გლეხთა რიცხვი კი 418 კომლს, ანუ 1743 მამრ. სულს შეადგენდა[1].

აღნიშნულ, ე. წ. აზნაურებზე მოდიოდა: ერთ კომლზე ათი კომლი გლეხი, ოთხ კომლზე ხუთ-ხუთი, შვიდ კომლზე ოთხ-ოთხი, ჩვიდმეტ კომლზე სამ-სამი, დანარჩენზე ორ-ორი ან ერთი[2].

როგორც ვნახეთ, მთავრობის კომისიის განსჯით, წოდებაში დაუმტკიცებელ ე. წ. არამემკვიდრეობით აზნაურსაც უნდა მიეღო თავისი გლეხის მიწის ნაწილი, ხოლო მაღლარისა — ორი-მესამედი. ნადელის გამოსასყიდ ფასზე კი ორივე მხარე უნდა შეთანხმებულიყო, თუ ეს არ მოხდებოდა, დავა მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადაეჭრა.

საქმის საბოლოო და ყოველმხრივი განსჯის შემდეგ, ქუთაისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლებისა და მათი მომავალი ყოფა-ცხოვრების მოწყობის წესები 1865 წ. 13 ოქტომბერს უმაღლესად დამტკიცდა. ამასთან 8 ნოემბერს ბატონყმობის გაუქმება გამოცხადდა.

დებულების საფუძველზე საბოლოოდ დადგინდა, რომ შინაყმები (მოჯალაბე, მოახლე და სხვ.), რომელთაც არაფერი გააჩნდათ (გამონაკლისის გარდა) ბატონყმობის გაუქმებიდან ორი წლის მანძილზე, მებატონესთან რჩებოდნენ ძველებური ვალდებულების პირობებში.

ხიზნებს, რომლებიც სხვა მემამულის მიწა-წყალზე, საეკლესიო ან სახაზინო მიწაზე, ქალაქად ან სხვაგან ცხოვრობდნენ ორი წლის მანძილზე, ყოველგვარი დამატების გარეშე, უნდა შეესრულებინათ ძველებური ვალდებულება, ოღონდ, არა უმეტესი 30 მანეთის ღირებულებისა.

ქუთაისის გუბერნიის მიწა (გამონაკლისის გარდა) უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნა (მითუფრო ის მიწა, რომელზედაც ვენახი ან სხვა ევრადღირებული კულტურა იყო გაშენებული). ამასთან, უმაღლესი კატეგორიის ერთი ქცევა მიწა 15 მანეთად შეფასდა, ხოლო დაბალი — 7 მანეთად. ერთ კომლზე საკარმიდამოსა და მთელი მიწის (ნადელის) გამოსასყიდ ფასს 350 მანეთისათვის (ვერცხლით) არ უნდა გადაეჭარბებინა, ხოლო თუკი მიწა დაბალ კატეგორიისად ჩაითვლებოდა — 250 მანეთისათვის.

რაჭის მთისწინეთში, სადაც ერთი ქცევა საუკეთესო სახნავი მიწა 10 მანეთად, ხოლო სათიბი 5 მანეთად შეფასდა, კომლის გადასახდელი უმაღლესი თანხა 250 მანეთით განისაზღვრა, ხოლო დაბალი კატეგორიის (რო-

---

[1] ЦГИА СССР, ф. 220, д. 867, л. 26.
[2] იქვე.

ცა საკარმიდამო 50 მანეთად, ერთი ქცევა სახნავი მიწა 7 მანეთად. ხოლო სათიბი 3 მანეთად ფასდებოდა) — 180 მანეთით[1].

მთავრობის დადგენილებით, გამოსყიდული ნადელი (მიწა) გლეხს უვადო სარგებლობაში ეძლეოდა. თუკი გლეხის სარგებლობაში დარჩენილი მიწა, უმაღლეს ზომას სჭარბობდა, ზედმეტი მიწის ფასზე მემამულეს უნდა შეთანხმებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავა მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადაეჭრა.

რეფორმის წესებში ნათქვამი იყო, რომ ტყე, რომლითაც გლეხები სარგებლობდნენ ნადელის შემადგენლობაში არ შედიოდა, მაგრამ თუკი სახარდნე, ანუ სასარე ტყე უშუალოდ გლეხს რჩებოდა. მაშინ ის ნადელის შემადგენლობაში ჩაითვლებოდა.

სამოსახლოს, ანუ საკარმიდამოს უმაღლეს ზომად ერთი ქცევა მიწა განისაზღვრა (ამაში შედიოდა გლეხის სახლის, საბძლის, ბეღლის, სასიმინდეს, საქათმისა და სხვა ამგვარ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ადგილი).

თუკი საკარმიდამოზე ვენახი იყო გაშენებული და მას ისეთი ადგილი ესაზღვრებოდა, სადაც დამატებითი გაშენება შეიძლებოდა, მაგრამ ბატონყმობის გაუქმებიდან ორი წლის განმავლობაში მასზე გლეხი ვენახს არ გააშენებდა, მაშინ მემამულეს შეეძლო (მომრიგებელი მოსამართლის მეშვეობით). ამ ადგილის ჩამოჭრა. თუკი მემამულე ამ მიწას არ ჩამოაჭრიდა (მოუხერხებლობის თუ სხვა მიზეზით). მაშინ გლეხს ამ ადგილზეც ისეთივე გასამსჯელო უნდა გადაეხადა, როგორიც გაშენებულ ვენახზე.

მაღლარი ვენახის ადგილში ჩაითვალა ყველა ის შემოღობილი მიწა, რაც გლეხს სათიბად, ხეხილისათვის თუ პირუტყვის საძოვრად ჰქონდა გამოყენებული. თუკი მოცემულ ადგილზე გლეხს მემამულე ედავებოდა, მაშინ მისი მინდვრის ნადელში ჩათვლის საკითხი მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადაეჭრა. მაღლარი ვენახის უმაღლეს მოცულობად გლეხს ოთხი ქცევა მიწა განესაზღვრა, თუკი ამ მოცულობას გადააჭარბებდა. მაშინ დანარჩენი მინდვრის სავარგულში უნდა ჩათვლოდა. თუ გლეხი არანაკლებ ორ ქცევა დაბლარ ვენახს ფლობდა, მაშინ მაღლარი ვენახის ადგილი მინდვრის სავარგულში ითვლებოდა.

დებულების (ახალი წესების) საფუძველზე გლეხი ძველებურად სარგებლობდა საძოვარ-საბალახო ადგილით და ტყით, მაგრამ მემამულისათვის ადათით დადგენილი გადასახადი უნდა ეხადა.

ძალაში დარჩა გლეხის ნადელის მოცულობა 4 ქცევიდან (ძირითადი ნადელი) 12 ქცევამდე (უმაღლესი ზომა). თუ გლეხის ნადელი ოთხ ქცევას არ სჭარბობდა, მაშინ მემამულეს არ ჰქონდა უფლება მისთვის რაიმე ჩამოეჭრა. თუ გლეხი ფაქტობრივად ამაზე მეტ მიწას ფლობდა და მემამულის სათავისთავო მიწა გლეხების ხელში არსებულ მიწაზე ნაკლები იყო, მაშინ მემამულეს უფლება ჰქონდა გლეხისათვის გარკვეული მიწა

[1] Документы... с. 303.

ჩამოეჭრა. მაგრამ თუკი მემამულე თანახმა იყო და ზედმეტ მიწას არ ჩამოაჭრიდა, მაშინ გლეხი ვალდებული იყო ამ მიწაში, ჩვეულებრივთან შედარებით, ათი პროცენტი დამატებით გადაეხადა. ნადელის საბოლოო გამოსყიდვამდე აღნიშნულ მიწაზე გლეხს მოსავალის მესამედი უნდა ეძლია.

რაჭაში, სადაც მიწა ძვირი ღირდა, ჩამოსაჭრელად განკუთვნილ მიწაში (თუკი მემამულე დაუტოვებდა) გლეხს უთუოდ მოსავლის მესამედი უნდა გადაეხადა.

ბატონყმობის გაუქმების შედეგად შემუშავებული წესების (დებულების) საფუძველზე, ჩამოჭრას ექვემდებარებოდა გლეხის მიწის ის ნაწილი, რომელიც უმაღლესი ნადელის ზომას სჭარბობდა, ის მიწაც, რომელიც ფუძე ნადელს სჭარბობდა (როცა მემამულეს ნახევარზე ნაკლები ჰქონდა), მაგრამ ამ შემთხვევაში, მემამულეს უნდა ჩამოეჭრა ის მიწა, რომელიც ფუძე ნადელს არ ესაზღვრებოდა.

საბალახო-საძოვარი ადგილები, ტყეები და საერთოდ ცარიელი ადგილები, რომლებიც საზოგადოების საერთო სარგებლობაში იყო, არც მემამულეს და არც გლეხს არ ეთვლებოდა.

იმ შემთხვევაში, როცა გლეხს ფუძე ნადელზე მეტი ჩამოეჭრებოდა, მას უფლება ეძლეოდა სამაგიერო მიწა მემამულისაგან ცარიელ (გამოუყენებელ) ადგილზე მიეღო. თუ ამ გზით გლეხი ყამირ მიწას (რომელსაც გაწმენდა-გაკაფვა ესაჭიროებოდა) მიიღებდა, მაშინ ასეთი მიწა ორი წლით თავისუფლდებოდა გადასახადის ვალდებულებისაგან.

თუ გლეხი ნადელის უმაღლეს ზომას არ ფლობდა და მას მემამულე რაიმეს ჩამოაჭრიდა, გლეხს უფლება ჰქონდა თვითონ გადაეწყვიტა თუ რომელი ადგილი ჩამოეჭრა მემამულეს. თუ მემამულე მაღლარი ვენახიან ან ხეხილიან ადგილს ჩამოაჭრიდა, იგი ვალდებული იყო, შეთანხმების საფუძველზე, გლეხისათვის ვენახის ძირებისა და ხეხილის ფასი აენაზღაურებინა.

თუ მემამულის მიზეზით გლეხის საკარმიდამო (სამოსახლო) სხვაგან იქნებოდა გადატანილი, მაშინ მემამულე ვალდებული იყო მისთვის არანაკლებ ერთიდან ქცევანახევრამდე მიწა გამოეყო.

ქუთაისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების წესებში ახლებურად განისაზღვრა წვრილმამულიანი მფლობელის ცნება. ამგვარ მემამულედ ჩაითვლებოდა ის, ვისი სახმარად გამოყენებული მიწა-წყალი (სათავისთავოც და საგლეხოც ერთად) სამოც ქცევაზე ნაკლებს შეადგენდა[1]. ასეთ წვრილმემამულეს უფლება ჰქონდა თავის განკარგულებაში დაეტოვებინა არანაკლები ოცდაათი ქცევა (სახნავ-სათიბი მიწა და ვენახი, ყველაფერი, რაც შეიძლებოდა გლეხს მინდვრის სავარგულში ჩათვლოდა). ამასთანავე მემამულეს, რომელსაც საკარმიდამო და ბაღი არ გააჩნდა, უფლება ეძლეოდა, არჩევანისამებრ მიეღო გლეხის საკარმიდამო და ბა-

---

[1] Документы... с. 313.

ღი[1]. თუ ასეთი მემამულის მიწა სხვადასხვა ადგილზე იყო გაფანტული, მას უფლება ეძლეოდა მთელი კუთვნილი მიწა ერთ ადგილზე აერჩია. ამასთან, თუ ასეთი მემამულის მიწა 30 ქცევაზე ნაკლები იყო, ის მთლიანად თავისუფლდებოდა გლეხებისათვის ნადელის გამოყოფის ვალდებულებისაგან.

რაჭის მთისწინეთში (კუდაროს ხეობაში, აგრეთვე გლოლასა და ჭიორაში) გლეხთა მუდმივ სარგებლობაში რჩებოდა ყველა ის ნაგებობა, სახნავ-სათიბი ადგილი, ტყე და საძოვარი, რომლითაც რეფორმამდე სარგებლობდა.

ახალი წესების საფუძველზე, დროებით ვალდებული გლეხი მოვალე იყო ცხრა წლის მანძილზე ეხადა საკარმიდამოს, ნადელის თუ სხვა ადგილით სარგებლობისათვის ადათით დადგენილი გადასახადები, შემდეგ კი სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა და საერთო წესს ემორჩილებოდა. გამოყოფილ ნადელზე, აგრეთვე მის რომელიმე ნაწილზე ან გადასახადზე უარის თქმა გლეხს მხოლოდ მემამულესთან შეთანხმების საფუძველზე შეეძლო.

დადგენილი წესებით, ერთქცევიან საკარმიდამოზე გლეხს წელიწადში 3 მანეთი უნდა გადაეხადა, ხოლო რაჭის მაზრაში (აგრეთვე სხვაგან) ნახევარქცევიან საკარმიდამოზე — მანეთნახევარი[2]. იმ ადგილებში, სადაც ვაჭრობა ან მრეწველობა უზრუნველყოფდა გლეხის მაღალ შემოსავალს, ან ერთქცევიან საკარმიდამოზე გაშენებული ვენახი და ხეხილი წელიწადში 20 მანეთ შემოსავალს იძლეოდა, საკარმიდამო 120 მანეთად ფასდებოდა. ამ შემთხვევაში გლეხს განთავისუფლებამდე ევალებოდა წელიწადში 110 მანეთის ხუთი პროცენტი გადაეხადა[3].

თუკი მემამულის მოთხოვნით, გლეხის საკარმიდამო სოფლის გარეთ, ახალ სავარგულზე იქნებოდა გადატანილი, მაშინ გლეხს იმდენი უნდა გადაეხადა, რამდენსაც შესაბამის მინდვრის სავარგულში იხდიდა. თუკი ამაზე მემამულისა და გლეხის შეთანხმება არ მოხდებოდა, საკითხი მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადაეჭრა, მაგრამ დროებით ვალდებულების დროს, წლიურ გადასახადს 2 მანეთისათვის არ უნდა გადეჭარბებინა.

საბოლოოდ დადგინდა, რომ დაბლარ ვენახზე დროებით ვალდებულ გლეხს მოსავლის მეოთხედი გადაეხადა, ასევე მინდვრის სავარგულზეც. გამონაკლისს წარმოადგენდა, როცა ჩამოსაჭრელად განკუთვნილ მიწაზე დროებით ვალდებული გლეხი (მას რომ რჩებოდა) დამატებით 10 პროცენტს იხდიდა. გლეხი მოსავლის მესამედს იხდიდა მაღლარ ვენახზეც. თუკი მინდვრის სავარგულზე ხეხილიც იყო გაშენებული, მასზე გადასახადი მემამულისა და გლეხის შეთანხმებით უნდა დაწესებულიყო, თუ არა, გადასახადის ოდენობა მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადაეწყვიტა.

დროებით ვალდებულ გლეხს ევალებოდა მოსავალი (სიმინდის ტა-

---

[1] Документы... с. 313.
[2] იქვე, გვ. 315.
[3] იქვე.

რო, გამომშრალი თავთავებიანი ღომი) მემამულისათვის მიეზიდა 10 ვერსის სიშორემდე, ხოლო გარჩეული სახით (ჩალა და ბზე თვითონ რჩებოდა) 50 ვერსის სიშორემდე, თუკი უგზოობა იყო და მისი გადაზიდვა მხოლოდ საპალნე საშუალებით შეიძლებოდა, ეს მანძილი ნახევრად უნდა შემცირებულიყო.

რაჭის მთისწინეთის დროებით ვალდებულ გლეხთა გადასახადები, ფაქტობრივად რეფორმამდელი ადათ-წესის მოცულობით დარჩა. იქაურ გლეხობას გადასახადები ძველებურად: პირუტყვის, საოჯახო ნაკეთობათა ან ფულის სახით უხდა გადაეხადა. ამავე გლეხების გადასახადების ოდენობა საძოვრებით და ტყეებით სარგებლობისათვის საგუბერნიო საგამგიოს უნდა განესაზღვრა ადათ-წესის საფუძველზე, რომელიც კავკასიის ადმინისტრაციას უნდა დაემტკიცებინა.

დებულებამ ე. წ. არამემკვიდრეობით აზნაურთა გლეხების განთავისუფლებისა და ყოფა-ცხოვრების მოწყობის წესებიც ფაქტობრივად იმდაგვარად განსაზღვრა, როგორც მემკვიდრეობით აზნაურებისა, იმ გამონაკლისით, რომ ისინი ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე იღებდნენ დაბლარი ვენახის ნახევარს და მაღლარის მესამედს. დავის შემთხვევაში, მოდავე მხარეთა საკითხიც, მომრიგებელ მოსამართლეებს უნდა გადაეჭრათ.

დებულებაში განსაზღვრული იყო გლეხთა უფლება-მოვალეობანი ბატონყმობის გაუქმების დღიდან სიგელების შემოღებამდე (სიგელები ორი წლის თავზე უნდა შემდგარიყო). მასში ნათქვამი იყო, რომ 1865 წ. 8 ნოემბრიდან (დამატებითი წესების მიღების შემდეგ) ქუთაისის გუბერნიაში ბატონყმობა გაუქმდა. ამიერიდან მემამულეს აეკრძალა ყმის ყიდვა-გაყიდვა, მისდამი თვითნებური მოპყრობა, გადასახადების თუ სხვა ვალდებულების თვითნებური დაწესება და შეცვლა. გლეხს უფლება მიეცა: დამოუკიდებლად დაქორწინებულიყო, საერთო კანონმდებლობით გათვალისწინებული საოჯახო უფლებით ესარგებლა, ეყიდა უძრავი და მოძრავი ქონება და თავისი ნებასურვილით განეგო ის, შესულიყო ამა თუ იმ საზოგადოებაში, დაედო ხელშეკრულება ვისთანაც სურდა, ეწარმოებინა ვაჭრობა (კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში), ვითარცა თავისუფალი საზოგადოების თავისუფალ წევრს, შესულიყო ამა თუ იმ საწარმოში, ეხელოსნა, გაეხსნა და ჰქონოდა სავაჭრო, სახელოსნო თუ სამრეწველო საწარმოო გლეხებისათვის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

გლეხს უფლება მიეცა, აგრეთვე შესულიყო სასწავლებელში და მიეღო სასურველი წოდება, აგრეთვე სისხლის თუ სამოქალაქო საქმე აღეძრა, ყოფილიყო მოწმე, თავისი უფლებები დაეცვა კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და სხვ[1].

დებულებასთან ერთად, მიღებულ იქნა კანონი „უფლებათათვს, რომელთაცა მოიპოვებენ გლეხნი ყმობიდგან გამოსულნი ქუთაისის გუბერნიაში, შემდეგ სახალხო-გამოცხადებისა წესდებათა, და ვალდებულობა-

[1] ЦГИА СССР, ф. 1291, оп. 36, д. 167, лл. 27--36.

თათვს მათთა მებატონეთადმი, მანამ უსტავნის გრამოტები მოქმედობაში შემოვლენ". ამ კანონში სხვათა შორის, აღნიშნული იყო: „დღითგან სახალხოდ-გამოცხადებისა უმაღლესად დამტკიცებულთა 13 ოქტომბერს 1865 წელს დაძატებითთა კანონთა გლეხთათვს, ყძობითის დამოკიდებულებისაგან გამოსულთა ქუთაისის გუბერნიაში, მოისპობიან: 1) გარდაცემა პირადთა უფლებათა გლეხთა ზედა და გარდატანა ესრეთთა უფლებათა, რა სახითაც უნდა იყოს, ახლანდელ მებატონეთაგან სხვათა პირთადმი; 2) გარდასახლება გლეხთა ერთის მიწიდგან მეორეზედ, თუ არ იმ პირობით, რომელიც დაწესებულია უმაღლესად დამტკიცებულს 13 ოკტომბერს 1864 წელსა ადგილობითს წეს-დებასა შინა დაბინავებისათვს გლეხთა, მებატონის მამულზედ მცხოვრებთა ტფილისის გუბერნიაში; 3) მიცემა მებატონეთა-მიერ გლეხთა გარეშე პირთადმი მოსამსახურედ ანუ სამუშავოდ; აგრეთვე მიცემა მცირე წლოვანთა გლეხთა ხელობისა სასწავლებლად ანუ გასაზრდელად, თვნიერ თანხმობისა ამაზედ მშობელთა მათთა ანუ აღმზრდელთა; 4) მიცემა გლეხთა, თვნიერ ნებადართვისა ჯეროვანის სასამართლოსი, ზნეობის გამმართველთა ადგილთა შინა ანუ მმართველობის განკარგულებაში (საზოგადო წესდება გლეხთათვს 19 თებერვალი 1861 წელი)..."[1].

დებულების დამტკიცებისა და რეფორმის საზეიმო გამოცხადებისთანავე მეფისნაცვალმა, 1865 წ. 8 ნოემბერს მიმართა ქუთაისის გლეხობას: „ყოვლად სანატრია, რათა პირველსავე თღითგან და უკანასკნელ დადგინებამდე ახალთა მამულებისაგამო დამოკიდებულებათა შორის მებატონეთა — ვითარცა ამ მამულების პატრონთა, და გლეხთა — ვითარც იმათ მოსარგებლეთა, ყოველივე განსაზღვრული ქმნას კეთილნებითის მორიგებითა. ამაში, მე არ ვიჭვნეულობ, დიდს დახმარებას აღმოაჩენენ გუბერნსკის პრისუტსტვიე და ნამეტნავათაც მიროვის პოსრედნიკები, რომელნიც არიან თვთ მახლობელნი გამრჩეველნი და გამსაჯველნი პირნი ყოველთა საქმეთა მებატონეთა და გლეხთ შორის და ამასთანავე ვალდებულნი დახმარებად, რათა დამყარდეს მათში მშვიდობიანი და კეთილი დამოკიდებულება. მიროვის პოსრედნიკები არიან აღრჩეულნი ჩემგან, და ამისათვს მებატონენიცა და გლეხნიცა უნდა თანასწორის ნდობით მიჰმართვიდნენ იმათ, იმათ მოქმედებაზედ, და აგრეთვე გუბერნსკის პრისუტსტვიის მოქმედებაზედ, მე ყურადღება მექმნება.

განგიმეორებთ: ორი წელიწადი არის დანიშნული — როგორც რომ საჭირო დრო გარდასასვლელად ახალს ცხოვრებაში. ამ ორი წლის განვლამდის ანუ ვიდრე დაბოლოვდებოდეს ერთმანეთთან შეთანხმება, გლეხნი ისარგებლებენ რა ახლანდელსავე მამულებითა, ამასთანავე ვალდებულ იქმნებიან უარის უთქმელად აძლიონ მებატონეთ შესახვედრი გარდასახადი უწინდელებ; ხოლო მათგანნი, რომელნიც იმყოფებიან შინამსახურად, და რაჲსამე მოხელედ მებატონის ოჯახში და მამულში, აგრეთვე რომელ-

[1] ЦГИА СССР, ф. 129.1. оп. 36, д. 167, лл. 27—36.

ნიცა ჰსდგანან ხიზნად და ჰსცხოვრობენ ქალაქებში და სავაჭრო სოფლებში, ისინიც უნდა ემსახურებოდნენ და აძლევდნენ მათ გარდასახადსა, როგორც აქამომდე. ერთნიც და მეორენიც უნდა ემორჩილებოდნენ მიროვის პოსრედნიკებს"[1].

„სოფლის მცხოვრებნო", — მიმართავდა მეფისნაცვალი, — დღეს ყმობიდგან გამოსულნო! არ ვიჭვნეულობ, რომ თქვენ დააფასებთ ყოველსავეს სიდიდეს და ყოველსავე მნიშვნელობას ამ დღისას, რომელიც განგიხსნით თქვენ ახალს ცხოვრებას; დააფასებთ იმ უფლებათა, რომელნიც თქვენ დღევანდელიდგან მოგენიჭებათ და რომელთა გამოცა შეიქმნებით თქვენ სრულს პატრონად თქვენის მონაღვაწისა, სრულს განმგებლად თქვენის შრომისა. ვიმედოვნებ, იმცნებთ და დაიხსოვებთ, თუ ვისდამი ხართ თქვენ ვალდებულნი ამ წყალობისათვს. დიდებულის ჭელმწიფე იმპერატორისადმი ხართ თქვენ, ჯერ პირველად, ვალდებულნი ამ დღის წყალობისათვს. შემდეგ ამისა, კეთილშობილთ თავადაზნაურთა — თქვენ მყოფთ მებატონეთა, ეკუთვნისთ არამცირედი წილი თქვენის ყოფა-ცხოვრების განკეთილებაში: მათ თავიანთის კეთილ-ნებლობით დაჰსთმეს უფლება თვსი თქვენზედ; პატივსჰსდეს რა თქვენს შრომას, იმათ დიდის მონდომილებით მოგიჩინესთ თქვენ, თქვენის უპირველის ცხოვრებისათვს... ეხლა თქვენ გაქვსთ გახსნილი გზა, რომ თვთ თქვენვე დააფუძვნოთ თქვენი კეთილმდგომარეობა; პატიოსანისა და გულ-დამშვიდებულის შრომით თქვენ შეგიძლიანთ განავცოთ იგი; დაზოგვით და კეთილ-წესიერის ცხოვრებით განამრავლოთ თქვენი და თქვენი შვილების ჭირნახული. ამას ისურვებს ჭელმწიფე იმპერატორი, ამასვე მოველი თქვენგან მე.

ღვთის კურთხევა გიძღოდეს თქვენ ამ ახალს, გახსნილს თქვენს წინაშე, გზასა ზედა! (ხელს აწერს: კავკასიის ნამესტნიკი, ღენერალ ფელდცეიხმეისტერი მიხაილ)"[2].

ბატონყმობის გაუქმებიდან საწესდებო სიგელების შემოღებამდე, გლეხები განაგრძობდნენ საკარმიდამოთი, ბაღ-ვენახით და მინდვრის საკარგულით სარგებლობას, სათანადო ვალდებულების საფუძველზე (რომელიც ადათ-წესით იყო განსაზღვრული), მაგრამ შემდეგი შეღავათებით:

1) თუ ადათით დაბლარ ვენახზე გადასახადი მოსავლის ერთ მეოთხედს, ხოლო მაღლარზე — ერთ მესამედს აჭარბებდა, ამიერიდან ეს გადასახადი დაბლარზე — ერთი მეოთხედით, ხოლო მაღლარზე — ერთი მესამედით განისაზღვრა; 2) ასევე, თუ სახნავ მიწაზე გადასახადი — ერთ მეოთხედს, ხოლო სათიბზე — ერთ მესამედს სჭარბობდა, ამ შემთხვევაშიც გადასახადი შესაბამისად ერთ მეოთხედამდე და ერთ მესამედამდე შემცირდა; 3) გლეხის კომლი, რომელიც ერთი შინაყმით უზრუნველყოფდა მემამულეს, თავისუფლდებოდა შრომითი ბეგარის (ან მსგავსი) ვალდებულებისაგან; 4) გლეხის კომლი, რომლის მოვალეობად შრომით ბეგარა (ნადობა) დარჩა, ვალდებული იყო კვირაში მხოლოდ ერთი დღით (მარ-

---

[1] ЦГИА ССР, ф. 1291, оп. 36, д. 167, лл. 20—24.

[2] იქვე.

ტოხელა ან გამწევი ძალით) გაკულიყო, მაგრამ არა უმეტეს ათი ვერსის მანძილზე; 5) გლეხის ვალდებულებად ტვირთის ზიდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დარჩენილიყო, თუკი ის ადრეც (რეფორმამდე) ასრულებდა ასეთ ვალდებულებას, მაგრამ ასეთი ვალდებულება შეიძლებოდა მხოლოდ გუბერნიის ფარგლებში და, ისიც, არა უმეტეს ოცი ვერსის სიშორემდე[1].

ბატონყმობის გადავარდნიდან გაუქმებულად გამოცხადდა გლეხთა არაპირდაპირი (დამატებითი) ვალდებულებანი: ძღვენ-საჩუქრების, ფრონველის, პროდუქტების, საშინაო ნაკეთობათა თუ ფულადი სახით, ასეთი გადასახადების გადახდა მხოლოდ მაშინ დაიშვებოდა, თუკი ისინი ადრე ძირითადად ვალდებულებას შეადგენდნენ.

მემამულესა და გლეხს შორის ყოველგვარი დავა ამიერიდან მომრიგებელ მოსამართლეს (საჭირო შემთხვევაში სხვა ზემდგომ ორგანოსაც) უნდა გადაეჭრა. გლეხს აეკრძალა ახალი წესების შემოღებამდე (რეფორმამდე) ყოველგვარ საკითხზე საჩივრის აღძვრა[2].

1866 წ. აპრილში დამტკიცდა აგრეთვე მემამულეებისადმი გლეხთა პირადი განთავისუფლებისათვის ფულადი გასამრჯელოს მიცემის წესი. აქ ნათქვამი იყო, რომ ქუთაისის გუბერნიის მემამულეებს გლეხთა განთავისუფლებისათვის გამოეყოთ თანხა, უკანასკნელი კამერალური აღწერის მიხედვით, თითოეულ მამრობით სულზე ოცდახუთი მანეთი. აქვე აღნიშნული იყო, რომ იმ მემამულეს, რომელსაც უკანასკნელი აღწერის დროს 21 მამრ. სულზე ნაკლები ეკუთვნოდა (ე. ი. მცირეყმამამულიანი იყო), მეფისნაცვლის გადაწყვეტილებით, შეიძლებოდა დამატებითი გასამრჯელო გაძოყოფოდა იმ ფარგლებში, რომ თითოეულ მამრობით სულზე მემამულის მიერ მიღებული თანხა 50 მანეთს არ გადააჭარბებდა. თანაც, ასეთი დამატებითი გასამრჯელო შეიძლებოდა გამოყოფოდა მხოლოდ ისეთს, რომელსაც არასაკმაო ქონება გააჩნდა, ამასთან არც თვითონ და არც თავის მეუღლეს არავითარი მოძრავი ქონება არ გააჩნდათ საკუთარი ცხოვრების უზრუნველსაყოფად. ამავე დროს, ასეთი გასამრჯელო პირველ რიგში უნდა მისცემოდა ისეთ მცირემამულიან მფლობელს, რომელსაც მრავალსულიანი ოჯახი ჰყავდა და რომელიც მთავრობისადმი ერთგულებითა და პატივისცემით გამოირჩეოდა[3].

დადგენილი წესით, მცირემამულიანი მფლობელისათვის, დამატებითი გასამრჯელოს მიცემაზე შუამდგომლობა ჯერ გენერალ-გუბერნატორთან უნდა აღძრულიყო (სათანადო საბუთების წარდგენით), ამ უკანასკნელს კი მეფისნაცვლის წინაშე უნდა ეშუამდგომლა.

* * *

დებულების დამატებითი წესების უმაღლესად განხილვა-დამტკიცებისა და ბატონყმობის გაუქმების გამოცხადებისთანავე ქუთაისის გუბერნი-

---

[1] Документы... с. 320—321.
[2] იქვე. გვ. 322.
[3] იქვე.

ის ოთხივე მაზრაში შეიქმნა მომრიგებელი დაწესებულებები: რაჭასა და ოხურგეთში სამ-სამი, ჭუთაისსა და შორაპანში ხუთ-ხუთი[1].

თითოეულ მომრიგებელ დაწესებულებაზე, დაახლოებით, 1500 გლეხის კომლი, ანუ 6000 ბამრ. სული იქნა მიმაგრებული. გათვალისწინებულ იქნა ისიც, რომ ზამთრის პირობებში რაჭაში 3—4 თვე ჩერდებოდა ბიმოსვლა, თვითმოქმედი მამაკაცის დიდი ნაწილი კი გარესამუშაოზე იმყოფებოდა, რაც, თავისთავად ბომრიგებელ მოსამართლეთა მუშაობასაც აბოკოლებდა.

მალე მომრიგებელ მოსამართლეებს უკანასკნელი კამერალაური აღწერის მონაცემები, სათანადო ბლანკები და მუშაობის განრიგი გადაეცათ.

* * *

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხთა ნაწილი უარს აცხადებდა დადგენილი წესებით განსაზღვრულ ვალდებულებაზე. შინაყმათა ნაწილმა დაუყოვნებლივ მიატოვა მემამულეთა სახლ-კარი, ხოლო ზოგიერთმა კომლმა უარი თქვა მემამულის შინაყმით უზრუნველყოფაზე. შინაყმათა ნაწილი მემამულეს არ ემორჩილებოდა ზოგიერთი სამუშაოს შესრულებაზე. ხშირად საქმე მომრიგებელ მოსამართლემდე მიდიოდა, მაგრამ, როცა ეს უკანასკნელი ვერაფერს ხდებოდა, საქმეში გუბერნიის ხელმძღვანელობა ერეოდა. გუბერნიის საგლეხო საგანგიო, მემამულეთა და მათ წინამძღოლთა მიკერძოებით, ცდილობდა შინაყმების უსიტყვო დამორჩილებას, მაგრამ ზოგჯერ ამაოდ.

მიუხედავად გუბერნიის ადმინისტრაციის მხარდაჭერისა, მემამულეები ვერ იმორჩილებდნენ გლეხებს. საქმე ისე რთულდებოდა, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა გადაწყვეტილება ჰაერზე რჩებოდა. ამის გამო, არაერთი გლეხი ჯარიმდებოდა, რაც კიდევ მეტ პროტესტს იწვევდა.

მემამულეებსა და გლეხებს შორის ხშირად ხდებოდა კონფლიქტი შრომით ბეგარასთან დაკავშირებითაც. დროებით ვალდებული გლეხები უარს აცხადებდნენ გარდამავალ პერიოდში, მემამულისათვის შრომით ბეგარის ბესრულებაზე. მემამულეები კი მოითხოვდნენ გლეხებს დადგენილ ნორმაზე მეტი ემუშავათ. ბოლოს და ბოლოს, დავა გუბერნიის საგანგიოს მსჯელობის საგანი ბდებოდა. ასეთმა დავამ, იმდენად საყოველთაო მასშტაბი მიიღო, რომ გუბერნიის საგანგიო იძულებული გახდა გლეხთა შრომითი ბეგარის ხანგრძლივობა წელიწადში 52 დღემდე შეემცირებინა[3].

როგორც ვნახეთ, ბატონყმობის გაუქმების გამოცხადებისთანავე გლეხთა ძველ-საჩუქრებით ვალდებულებაც შეწყდა, მაგრამ მემამულეები მასზე ხელის აღებას არ აპირებდნენ და გლეხებისაგან, გარდამავალ პერიოდშიც (ორწლიანი სავალდებულო სამსახურის დროს) მოითხოვდნენ

---

[1] Документы... с. 342.
[2] СХАО, т. II, с. 386.
[3] Документы... с. 345.

ამას, თუმცა ოფიციალური ხელისუფლებისაგან ამაზე მხარდაჭერას ვერ პოულობდენ.

დროსტარებასა და ბატონობას მიჩვეული მემამულეები არამც თუ ძვენ-საჩუქრებზე არ იღებდნენ ხელს, საერთოდ, არაფერს იკლებდნენ, ამიტომ მემამულეებსა და გლეხებს შორის მუდმივი უკმაყოფილება სუფევდა.

იმის გამო, რომ გლეხები არ ემორჩილებოდნენ, მემამულეები განუწყვეტლივ ჩიოდნენ გუბერნიის ხელისუფლებასთან. სხვათა შორის, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა კავკასიის ადმინისტრაციაშიც ჩიოდა, რომ გუბერხიის ადძინისტრაცია მათ მხარს არ უჭერდა და ავიწროებდა[1].

მემამულეები გლეხებს ზღუდავდნენ საბალახო-საძოვრებით და ტყეებით სარგებლობაშიც. თუკი რეფორმამდე გლეხები შედარებით ადვილად სარგებლობდნენ ხე-ტყის მასალით და შეშით. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ტყეები მემამულეთა განკარგულებაში დარჩა და ტყის მასალისათვის ისინი დიდ გასამრჯელოს მოითხოვდნენ. ყოველ შემთხვევაში, ტყით სარგებლობას გლეხები მხოლოდ დიდი გასამრჯელოს გაღებით აღწევდნენ.

საგლეხო რეფორმის ცხოვრებაში გატარება, სხვა მრავალ დაბრკოლებასთან ერთად, საწესდებო სიგელების გაფორმების სიძნელესთანაც იყო დაკავშირებული. ბატონყმობის გაუქმების გამოცხადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, საწესდებო სიგელების ბლანკები მომზადდა, მაგრამ საქმეს მემამულეთა და გლეხთა შეუთანხმებლობა ართულებდა. მემამულეები არც ერთ შემთხვევაში არ უწევდნენ ანგარიშს გლეხთა სამართლიან მოთხოვნებს არა მარტო ნაყიდი მიწის მიკუთვნებაზე, არამედ რეფორმის წესებით დადგენილ უფლებებზეც. ამის შესახებ ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი ო. გოლინი წერდა, რომ გუბერნიის ყველა მემამულე ერთხმად უარყოფდა გლეხთა უფლებას ნაყიდი მიწის მიკუთვნებაზე, რაც ბუნებრივად, გამორიცხავდა მემამულეთა და გლეხთა ნებაყოფლობით შეთანხმებას. მიუხედავად იმისა, რომ ორი წელიწადი გადიოდა. საწესდებო სიგელების შედგენაზე, დადგენილ დროში (1867 წ. იანვარი) არაფერი გაკეთდა.

საწესდებო სიგელების შედგენას აფერხებდა თავადებისადმი კუთვნილ აზნაურთა გაუმიჯნაობა, მითუფრო გლეობის პროტესტი — მათთვის მემამულეებს მიწის რაიმე ნაწილი ჩამოეკრათ. საქმე იმაშიც იყო, რომ რეფორმის დროს, ზოგიერთი შეძლებული გლეხი (ახატი, მსახური, ფარეში და სხვ.) მეტ მიწას ფლობდა (20—30 ქცევას), ვიდრე დებულებით უნდა დარჩენოდა. ზოგიერთი ასეთი გლეხი თავადთა სამსახურში იმყოფებოდა და მაღალი ქონებრივი მდგომარეობით განირჩეოდა. ამასთანავე, დაწინაურებულ გლეხთა ნაწილს (რეფორმის დროს) ფაქტობრივად თავი

[1] Документы... с. 345.

ჰქონდა გამოსყიდული და თავისუფლად ითვლებოდა. ასეთი გლეხები არაფრის დათმობას აპირებდნენ[1].

როგორც ჩანს, ზოგიერთ მემამულეს, ჯერ კიდევ 50-იან წლებში უცდია თავისუფლებამოპოვებულ გლეხთა (უპირატესად აზატთა) ხელახალი დაყმევება, მაგრამ მთავრობას ამაზე არავითარი სანქცია არ გაუცია. რეფორმის დროს, ასეთი გლეხები არაფერს თმობდნენ. თავის მხრივ, არც მემამულეები ცნობდნენ მათ პრეტენზიებს, კიდევ მეტი, ისინი უარყოფდნენ დებულების იმ მუხლსაც, რომელიც უკანასკნელ ათ წელიწადში გლეხთა უფლებას აღიარებდა ნაყიდ მიწაზე. როგორც ჩანს, ნაყიდ მიწაზე გლეხთა დავა იმდენად გამწვავდა, რომ 1865 წ. 27 დეკემბერს საქმე განუხილავს კავკასიის საგლეხო კომიტეტს, რომელიც იძულებული გამხდარა, ნაყიდ მიწაზე, გლეხთა უფლება ეღიარებინა[2].

მაგრამ კავკასიის ადმინისტრაციის ამ გადაწყვეტილებას ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა მტრულად შეხვდა და არავითარ დათმობაზე არ წავიდა. ამის გამო სამი ათასამდე გლეხის კომლმა საჩივრებით მიმართა გუბერნიის ადმინისტრაციას, სადაც მოითხოვდა თავისი სახსრებით ნაყიდი მიწების ხელუხლებლად დატოვებას, სხვათა შორის, გლეხობამ საჩივრებს ნასყიდობის სათანადო საბუთებიც დაურთო[3].

სამოქალაქო გუბერნატორის, ოგოლინის ანგარიშით, გლეხთა ნაყიდი მიწები, მათ მფლობელობაში არსებული მთელი მიწის, დაახლოებით მესამედს შეადგენდა (ყოველ შემთხვევაში გლეხები ასეთ პრეტენზიას აყენებდნენ), მთავრობის წარმომადგენლების დასტურით, ამ მიწების ნაწილის ნასყიდობაზე გლეხებს უდაო აქტები გააჩნდათ[4].

მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, კავკასიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა გლეხობას აიმედებდა, რომ საკითხის კონკრეტული განხილვის დროს, მომრიგებელი მოსამართლე ყველაფერს მხედველობაში მიიღებდა — უდავო საბუთის მქონე გლეხს ნაყიდ მიწას მიაკუთვნებდა.

რაჭის მაზრაში (ნაწილობრივ შორაპნისაც) საწესდებო სიგელების შედგენას აბრკოლებდა აგრეთვე ისიც, რომ იქ 13 სოფლის 173-მდე გლეხის კომლი გადასახადებს, ერთი მხრივ მემამულეებს უხდიდა, ხოლო მეორე მხრივ. — ეკლესიას. რეფორმის დროს ამ გლეხებისაგან ეკლესიამ მოითხოვა ნატურითი გადასახადების ნაცვლად ფულადი გადასახადები მიეცა, ხოლო მემამულეები კვლავ ნატურით გადასახადებს მოითხოვდნენ. გამოდიოდა, რომ გლეხებს ერთი და იგივე მიწაზე ორმაგი გადასახადები უნდა ეხადათ, რასაც, ცხადია ეწინააღმდეგებოდნენ[5].

ასეთივე ვითარებაში იყო ქუთაისის გუბერნიების 336 გლეხის კომლიც, რომლებიც საეკლესიო აზნაურების კუთვნილებას შეადგენდნენ (ეს

---

1 Документы... с. 349.
2 იქვე, გვ. 350.
3 Документы... с. 352; СХАО, т. II, с. 384.
4 იქვე.
5 СХАО, т. II, с. 385.

გლეხები მეფეთა ან ერისთავთა ნაწყალობევი იყვნენ). ეს გლეხები ადრე საურს იხდიდნენ (ფულით), მაგრამ რეფორმის შემდეგ მათ ჩვეულებრივი გლეხების მსგავსი გადასახადები დაეკისრათ, რაც უფრო მძიმე იყო და მიუღებლად მიიჩნიეს.

1867 წ. იანვარში მომრიგებელი მოსამართლეები შეუდგნენ საწესდებო სიგელების შედგენას, მაგრამ მემამულეთა და გლეხთა დავა ძველებურად გრძელდებოდა. ამასობაში გლეხთა სავალდებულო სამსახურის ორწლიანი ვადაც ამოიწურა. მიუხედავად მთავრობის დაბეჯითებითი მოთხოვნისა და მომრიგებელ მოსამართლეთა დაინტერესებისა, საწესდებო სიგელების გაფორმება დიდხანს გაგრძელდა.

2. საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ლეჩხუმში

როგორც აღვნიშნეთ, XVIII ს. პირველ ოცეულში ლეჩხუმი ოდიშის მთავარს დაექვემდებარა და მის სამთავროში შევიდა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1857 წლამდე, ოდიშის სამთავროს, როგორც ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს, მმართველი საბჭო (ფაქტობრივად დადიანი) განაგებდა. მაგრამ კავკასიისა და, საერთოდ, ამიერკავკასიის ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულებისა და მმართველობის გარდაქმნის შემდეგ, ოდიშის სამთავროც გაუქმდა.

ოდიშის სამთავროს ადგილზე სამი ოკრუგი (მაზრა) შეიქმნა, კერძოდ: ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის.

საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება სამეგრელოსა და ლეჩხუმში, თავდაპირველად, იმერეთ-რაჭა-გურიასთან ერთად იყო განზრახული, მაგრამ დიდი და შრომატევადი სამუშაოს შესრულების გამო, ეს ერთდროულად ვერ მოხერხდა.

სამაგიეროდ, იმერეთ-რაჭა-გურიაში საგლეხო რეფორმის მომზადებისა და ბატონყმობის გაუქმების გამოცხადებისთანავე, მეფის მთავრობა სამეგრელო-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის საგლეხო რეფორმის უშუალო მომზადებასაც შეუდგა.

ქუთაისის გუბერნიის მსგავსად, რეფორმის დროს, სამეგრელოს ყოფილი სამთავროს მიწებიც გაუმიჯნავი იყო. დადგენილი არ იყო არა მარტო მემამულეთა და გლეხთა მიწების ზუსტი ოდენობა, არამედ მათი საერთო ფართობიც. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, წერილობითი საბუთები არ არსებობდა საადგილმამულო ურთიერთობაზე (როგორც წესი ის სიტყვიერად, ადათ-წესით იყო განსაზღვრული, დასადგენი იყო თუ რა ბეგარა-ვალდებულება ეკისრათ გლეხებს, რას უდრიდა მათი ნატურით და ფულადი ვალდებულება.

მიუხედავად იმისა, რომ საგლეხო რეფორმის მომზადება დასავლეთ საქართველოში ერთდროულად ვერ მოხერხდა, სამეგრელოს მმართველ-

მა გ. ვლასტოვმა 1865 წ. დეკემბერში თადარიგი დაიკავა. იგი ამიერკავკასიის საგლეხო კომიტეტს სთხოვდა, რომ მისთვის მიეწოდებინათ 1861 წ. 19 თებერვლის კანონმდებლობა, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების საგლეხო რეფორმის დებულებები[1].

მეფისნაცვალმა რომანოვმა 1865 წ. 10 დეკემბერს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს სვიატოპოლკ-მირსკის დაავალა ოფიციალურად შედგომოდა რეფორმის მომზადებას. ამასთან, მითითება მისცა, რომ რეფორმის საფუძვლად აეღო 1861 წ. 19 თებერვლის კანონმდებლობა და ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაბამისი წესები შეემუშავებინა. ამ მიზნით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაევალა თავისთან მიეწვია სამეგრელოს თავად-აზნაურთა წარმომადგენლები, კერძოდ, თითოეული ოკრუგიდან ოთხ-ოთხი დეპუტატი (ორი თავადი და ორიც აზნაური). ამ დეპუტატებთან ერთად, 1866 წ. 15 იანვარს საგლეხო რეფორმის წესების მომზადებას უნდა შედგომოდა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, სამეგრელოს მმართველის — გ. ვლასტოვის თავმჯდომარეობით. ამასთან, გენერალ-გუბერნატორს დაევალა, რომ სამეგრელოს გლეხთა განთავისუფლებისა და მათი ყოფა-ცხოვრების მოწყობის წესები, არა უგვიანეს პირველ მაისს, კავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტს ჰქონოდა ხელთ[2].

მეფისნაცვლის ვარაუდით, სამეგრელო-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში ბატონყმობის გაუქმება 1866 წ. შემოდგომაზე უნდა მომხდარიყო.

კავკასიის ადმინისტრაციის მითითებით, სხვებთან ერთად, რეფორმა ნ. დადიანის (იგი 1867 წ. 4 იანვრამდე მცირეწლოვნად ითვლებოდა) გლეხებსაც უნდა შეხებოდა, მაგრამ საკითხის მომზადებაში მონაწილეობა უნდა მიეღო მის მეურვე დ. ყიფიანს, ან სხვა წარმომადგენელს[3].

როგორც ნავარაუდევი იყო, 1866 წ. 15 იანვარს, მუშაობას შეუდგა სამეგრელოს თავად-აზნაურთა წარმომადგენლობის საკრებულო (თავად-აზნაურთა დეპუტატებად არჩეულ იქნენ: მ. და ნ. დადიანები, კ. ნიჟარაძე, ნ. მიქაძე, ა. ჩიქოვანი, ფ. გელოვანი, ა. ნანეიშვილი, კ. ალშიბაია, დ. ჩიქოვანი, თ. ახვლედიანი, გ. ყიფიანი, დ. გეგელია, ფ. იოსელიანი და სხვ.). სხდომებზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე ექსპერტები: დ. დადიანი, ვ. ჩიქოვანი, დ. ფალავა, თ. ჩიჩუა, დ. აფაქიძე და გ. მხეიძე.

თავად-აზნაურთა დეპუტატებმა კომისიის სხდომაზე აღნიშნეს, რომ ბატონყმობა სამეგრელოში უძველესი დროიდან არსებობდა, რომ მემამულეები გლეხებს ყიდულობდნენ და ყიდდნენ ოდითგან.

სამეგრელოში გლეხთა რამდენიმე კატეგორია არსებობდა, კერძოდ: მებეგრე, მოჯალაბე, მსახური, აზატი, ხიზანი (მინდობილი) და სხვ.

მებეგრე გლეხის კომლს მემამულის უზრუნველყოფა ეკისრებოდა:

---

[1] СХАО. т. II. с. 475.
[2] იქვე, გვ. 476.
[3] იქვე.
[4] СХАО. т. II. с. 479. Документы... с. 430

შინაყმით (ყოველწლიურად), შრომითი ბეგარით (ნადობა, მუშაობა, ტვირთობა), ნატურითი გადასახადებით (ღალა) და ძღვენ-საჩუქრებით.

ყმათა შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში და უუფლებო მოჯალაბე („დალმახორე") იყო. ამ კატეგორიის ყმათა ნაწილს პირადი ოჯახი გაჩნდა და მებატონის მიწა-წყალზე ცხოვრობდა. ნაწილი კი უოჯახო და, საერთოდ უქონელი იყო.

მოჯალაბე ვალდებული იყო მებატონის ნება-სურვილით ყოველგვარი სამუშაო შეესრულებინა. ასეთი კატეგორიის გლეხები, საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება მებეგრე გლეხის კატეგორიაში გადასულიყვნენ. მოჯალაბის კატეგორია სხვადასხვა გზით იქმნებოდა: 1) მოახლეთა უკანონო შვილებისაგან; 2) უპატრონოდ მიტოვებული ბავშვებისაგან; 3) ტყვედ ჩაგდებულთაგან; 4) გლეხებისაგან, რომლებიც სისხლის ფასში იყვნენ მიცემული, ან სისხლის დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი.

დეპუტატების განცხადებით, სამეგრელოში მოჯალაბის ფასი 150—300 მანეთს უდრიდა (ვერცხლით).

ჩაგრული კლასის მეორე ფენას (კატეგორიას) შეადგენდა მსახური, რომელიც, ლაშქრობა-სამსახურთან ერთად, მკვიდრი გლეხის მსგავს, მაგრამ შედარებით მსუბუქ და საპატიო მოვალეობას ასრულებდა.

გლეხთა კატეგორიებს შორის, შედარებით თავისუფალი იყო აზატი, რომელსაც ეს მდგომარეობა ერთგული სამსახურით ან თავის გამოსყიდვით ჰქონდა მოპოვებული. ასეთი კატეგორიის ყმათა უმრავლესობა, ორ ან რამდენიმე წელიწადში, მებატონეს ერთ ძროხას ან სხვა ნატურით გადასახადს უხდიდა, ნაწილი კი მასპინძლობით და მცირე ძღვენ-საჩუქრების მიცემით იყო ვალდებული. აზატი თავისუფალი იყო, როგორც შრომითი ბეგარის (ნადობა-ტვირთობის და სხვა მუშაობისაგან). აგრეთვე მებატონის შინაყმით უზრუნველყოფისაგან. თუკი აზატს სამსახური ევალებოდა, იგი შედარებით საპატიო უნდა ყოფილიყო, მაგალითად, მერიქიფე, მესტუმრე, ცხენით ხლება და სხვ.

სამეგრელო-ლეჩხუმის გლეხთა კატეგორიებს შორის შეინიშნებოდა ხიზანიც (მინდობილი), რომელიც ახალ მებატონესთან ცხოვრობდა და, ახალთან ერთად, ზოგიერთი ძველი მემამულისადმიც იყო ვალდებული, მაგრამ პირადად თავისუფალი იყო.

სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში ერთიმეორისაგან არა ბოლოდ სხვადასხვა კატეგორიის ყმათა ვალდებულება-მოვალეობა განსხვავდებოდა, არამედ, აგრეთვე თვით ერთი და იგივე კატეგორიის გლეხებისაც. ეს ვალდებულება განსხვავებული იყო სამთავროს სხვადასხვა სოფელში, მითუფრო სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად, ლეჩხუმის გლეხთა ვალდებულება დადიანისადმი შედარებით უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე საკუთრივ სამეგრელოსი, ხოლო ქვემო სვანეთის კიდევ გაცილებით უფრო მსუბუქი. კიდევ მეტი, თვით ერთნაირი კატეგორიის გლეხები ერთი და იგივე სოფელში სხვადასხვა (მეტნაკლებ) ვალდებულებას ასრულებდნენ.

ყოველივე ეს გლეხის მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწა-წყლის მოცულობაზე და ოაობაზე კი არ იყო ყოველთვის დამოკიდებული, არამედ მემამულისა და გლეხის პირად მორიგებაზე და საუკუნო ადათ-წესზე.

მებეგრე ყმა-გლეხის კომლი ვალდებული იყო (შრომითი ბეგარით და შინაყმით უზრუნველყოფის გარდა) მებატონისათვის მიეცა: ხუთიდან — ათ კოკამდე ღვინო, ორიდან — ხუთ ფუთამდე ღომი ან ხორბალი, ერთი ღორი, ერთი თხა, ერთი ქათამი და სხვ[1].

აღნიშნულის გარდა, გლეხობის ნაწილს არაპირდაპირი გადასახადები და ძღვენ-საჩუქრებიც ევალებოდა, კერძოდ: საშობაო, საახალწლო, სააღდგომო, საყველიერო, სამასპინძლო, სამარხო, საფურე, საბაზიერო, სამეჯოგო, საქორწილო, საჩექმო, საქვრივო, გასამყრელო, სალაშქრო, საციხო და სხვ[2].

სამეგრელოსა და ლეჩხუმში ზოგიერთი გლეხის ბეგარა-ვალდებულებაში შედიოდა: ღორი (4 მან. ღირებულების), 3-დან — 10 დორამდე ღვინო. 2-დან — 5 გორომდე ხორბალი[3].

სხვადასხვა სახის (ტრადიციული) პირდაპირი თუ არაპირდაპირი გადასახადი უდრიდა: ს ა უ რ ი — ერთ ან ორ ცხვარს (2,40-დან — 4 მანეთამდე ღირებული): ს ა უ დ ი ე რ ო — 2 მანეთიან ღორს, 10-დან—15 კოკამდე ღვინოს და 1-დან—5 გორომდე ხორბალს; ც ხ ე ნ ი ს ჩ ა ბ მ ა — ზამთარში რამდენიმე თვით ცხენის ან ძროხის გამოკვება; ს ა ბ ო ჭ ი ქ ა თ ა მ ი — 12 ქათამს; საყველიერო — 30-40 კვერცხს; ს ა მ ა რ ხ ო — 2 ფოხალ ლობიოს (აგრეთვე ფხალს); ს ა ა ღ დ გ ო მ ო — 30-40 კვერცხს; ძ ღ ვ ე ნ ი — ვის რამდენი შეეძლო — კვერცხის, ღვინის, არყის და სხვათა სახით; ს ა მ ა ს პ ი ნ ძ ლ ო — ბატონისადმი, შინ ან გარეთ, საუკეთესო პურმარილით გამასპინძლება; ს ა პ უ რ ე-პ უ რ ი — 2 ფოხალ პურის ფქვილს, 2 ქათამს, 2 სულგუნს, 2 ჩაფ ღვინოს (აგრეთვე გარკვეულ ხილს): ს ა მ ე ჯ ო გ ე — ბატონის მონადირეებისადმი და ძაღლებისადმი გამასპინძლება; ს ა უ ნ ა დ ო — გამწევი ძალით და ინვენტარით, სხვადასხვა მოცულობის სეზონური სამუშაოს შესრულება; ს ა ქ ო რ წ ი ლ ო — ერთ ძროხას ერთი სოფლის ან რამდენიმე კომლისაგან; ს ა მ ა რ ხ ო — სხვადასხვა პროდუქტებს: ს ა ქ ვ რ ი ვ ო (საჩექმო) — 5-დან — 10 მანეთს; ს ა ლ ა შ ქ რ ო — 1 ცხენს (სოფელზე) ან 1-2 მანეთს კომლზე და ა. შ. ქვემო სვანეთში ასეთ ვალდებულებათა შორის გავრცელებული იყო ცხენის თხოვება, რაც საუნადოს ცვლიდა[4].

სარეფორმო კომისიის მონაცემებით, სამეგრელოს მებეგრე კომლის ბეგარა-ვალდებულება წელიწადში დაახლოებით 80—120 მანეთს უდრიდა. ამასთან, შინაყმის წლიური სამსახური 30—60 მანეთად ფასდებოდა,

---

[1] СХАО, т. II, с. 479; Документы... с. 430.
[2] СХАО, т. II, с. 480.
[3] Документы... с. 403—405.
[4] იქვე.

ხოლო შრომითი ბეგარა (ნადობა — კვირაში ერთი ან ორი დღის მუშაობა) 15—30 მანეთად. გლეხის პირადი შრომა დღეში 30—50 კაპიკად, ხოლო გამწევი ძალით მუშაობა 80-დან — 120 კაპიკამდე იანგარიშებოდა[1].

სამეგრელოსა და ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გაბატონებული კლასი რამდენიმე თანრიგად დაიყო. პირველში შევიდნენ: სამეგრელოს ფეოდალები, ბატონიშვილები და მათი ოჯახის წევრები; მეორეში რიგითი თავადები, აგრეთვე აზნაურები (როგორც საერო, აგრეთვე საეკლესიო); მესამეში დამოკიდებული აზნაურები (ე. წ. დაბალი კატეგორიის აზნაურიშვილები)[2].

რეფორმის მასალების მიხედვით, ბატონყმობის დროს გლეხი იხდიდა: სამოსახლოში (საკარმიდამო მიწაზე) წელიწადში 3 მანეთს (ვერცხლით), დაბლარ ვენახში ღვინის მეოთხედს, მაღლარში — მესამედს; სანნავ მიწაში — მოსავლის მეოთხედს; სათიბზე და ისლზე — მესამედს. გლეხები გარკვეულ გადასახადს იხდიდნენ, აგრეთვე ხეხილზე, რომელიც ვენახში ან ველის მიწებზე მოსდიოდათ[3].

კომისიის სხდომებზე დეპუტატები ერთხმად აცხადებდნენ, რომ სამეგრელოს თავადაზნაურობა ღარიბი და უსწავლელი იყო, რომ მათ ძირითად სიმდიდრეს გლეხობა შეადგენდა, ხოლო გლეხთა განთავისუფლებით ისინი არსებობის საშუალებას კარგავდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატები თავად-აზნაურთა მდგომარეობას ყოველმხრივ უმწეოდ ხატავდნენ, ისინი იძულებული იყვნენ ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობა ეღიარებინათ. ამასთან, დეპუტატების აზრით, მთელი მიწა-წყალი, ბაღ-ვენახები, ტყეები და სხვა სიმდიდრე თავად-აზნაურთა უდავო საკუთრებას წარმოადგენდა. მათი კატეგორიული მოთხოვნით თავად-აზნაურთა მთავარი სიმდიდრე გლეხები იყვნენ, რომელთა განთავისუფლებით არსებობის საშუალებას კარგავდნენ, ამიტომ ისინი აზნაურებისათვის მიწა-წყლის უდიდესი ნაწილის დატოვებას და ფულადი ანაზღაურების მიცემას მოითხოვდნენ.

რაკი ბატონყმობის გაუქმება გარდაუვალი იყო, სამეგრელოს თავადაზნაურთა წარმომადგენლები იძულებული იყვნენ ეს ეღიარებინათ, მაგრამ ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა მეტი სარგებელი მიეღოთ.

სამეგრელოს თავად-აზნაურთა დეპუტატებმა ბატონყმობის გაუქმების წესების შემუშავება შინაყმების საკითხით დაიწყეს. მათ მოითხოვეს რეფორმის წესებში შეეტანათ პუნქტი, რომლის საფუძველზე, ორი წლის სავალდებულო სამსახურის დროს, სხვაგან გაქცეული შინაყმის სამსახურის ფულადი საზღაური მის შემფარველს დაკისრებოდა[4].

თავად-აზნაურთა დეპუტატების აზრით, სამეგრელოს გლეხთა გან-

---

1 СХАО, т. II, с. 480; Документы... 431—432.
2 Документы... с. 467—468; ЦГИА СССР, ф. 1268, оп. 4, д. 174, лл. 29—30.
3 ЦГИА СССР, ф. 1268, оп. 11, д. 8, л. 66.
4 Документы... с. 361.

თავისუფლების წესები მნიშვნელოვნად უნდა განსხვავებულიყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების წესებისაგან, კერძოდ, ნადელის გამოსყიდვის საკითხში. სამეგრელოს გლეხობას დასაწყისშივე, ჯგუფურად უნდა გამოესყიდა ნადელი[1].

სამეგრელოს მიწა-წყალი გაცილებით ნოყიერი იყო, ვიდრე იმერეთისა, ამიტომ ნადელის გამოსასყიდი ფასი, თითქმის ორმაგი უნდა ყოფილიყო. ამასთან, სამეგრელოში, ლეჩხუმსა და სვანეთში გლეხთა კომლის ნადელი (სახნავ-სათიბი მიწა და ვენახი) ოთხი ქცევის მოცულობით განისაზღვრა[2].

სამეგრელოს გლეხთა საკარმიდამოს მოცულობა (სამოსახლო, ეზოკარი) იმერეთის გლეხთა წესების საფუძველზე განისაზღვრა. ხაზი გაესვა იმას, რომ სამეგრელოში ის ერთ ქცევაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ამასთან, ერთ ქცევაზე ნაკლები საკარმიდამო — ერთ ქცევად, ხოლო ნახევარ ქცევაზე ნაკლები — ნახევარქცევად ჩათვლილიყო. წესებში ჩაიწერა, რომ თუ გლეხი სამრეწველო ან სავაჭრო საწარმოს ფლობდა, მის მიერ მემამულისადმი მისაცემი გამოსასყიდი თუ გადასახადი შემოსავლის მიხედვით განსაზღვრულიყო.

დეპუტატების მიერ წამოყენებული წესით, სამეგრელო-ლეჩხუმში გლეხის ხელში დატოვებული მაღლარი ვენახი ოთხ ქცევაზე მეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, ხოლო თუ გლეხი არანაკლებ ორ ქცევა დაბლარ ვენახს ფლობდა (იგი ძირითადად ლეჩხუმში იყო გავრცელებული), მაშინ მაღლარი ვენახი მინდვრის სავარგულში უნდა ჩათვლილიყო. თუ გლეხი ერთ ქცევა დაბლარ ვენახს ფლობდა, მას შეეძლო დამატებითი ერთი ქცევა მაღლარი ვენახი დაეტოვებინა (ისე, რომ მინდვრის ნადელში არ ჩათვლოდა)[3].

ზუგდიდში განისაზღვრა გლეხთა მიერ საძოვარ-საბალახო ადგილებით სარგებლობის წესიც (საქონლის გასარეკად მინდორ-ველი, ტყე, მაღლარი ვენახიანი, ჯაგნარ-ბუჩქნარიანი და ნაწვერალი ადგილები გამოიყენებოდა). საძოვრით სარგებლობა და შესაბამისი ვალდებულება ძველებური (ადათური) უნდა დარჩენილიყო. მაგრამ, თუკი მემამულე მოიწადინებდა, მას უფლება უნდა მისცემოდა საბალახო სახნავ-სათიბად ან ბაღ-ვენახად გადაექცია.

თავად-აზნაურთა დეპუტატებმა სამეგრელოს გლეხის საკომლო ნადელის უმაღლესი ზომა — 8 ქცევით, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის — 5 ქცევით განსაზღვრეს[4]. ამასთან, მათ დროებით ვალდებული გლეხისაგან ქცევაზე გადასახადად სამეგრელოში მოსავლის მეოთხედი, ხოლო ლეჩხუმ-სვანეთში — მესამედი მოითხოვეს.

დეპუტატებმა, ქუთაისის გუბერნიისაგან განსხვავებულად, განსაზღვრეს წვრილი მემამულის ცნებაც. მათი აზრით, სამეგრელოში წვრილი ძე-

---

[1] Документы... с. 362.
[2] იქვე, გვ. 363—364.
[3] იქვე, გვ. 365.
[4] იქვე, გვ. 366.

მამულე უნდა ეწოდებინათ იმისთვის, ვისაც 80 ქცევამდე სახმარი მიწა ეკუთვნოდა, ხოლო ისეთი წვრილი მემამულე, რომელსაც 40-ქცევაზე ნაკლები სახმარი მიწა ეკუთვნოდა, თავისუფალი ყოფილიყო ნადელის გამოყოფის ვალდებულებისაგან[1].

სამეგრელოს თავად-აზნაურთა საკრებულომ თავის კლასობრივი ინტერესების შესაბამისად განსაზღვრა გლეხთა ნადელის გამოსასყიდისა და გადასახადების ოდენობაც. თუ ქუთაისის გუბერნიაში, ერთქცევიან (ჩვეულებრივ მიწიან) საკარმიდამოზე 3 მანეთი (ვერცხლით) დაწესდა, ხოლო დიდშემოსავლიანი საკარმიდამოს ფასი 120 მანეთით განისაზღვრა, სამეგრელოში ასეთ საკარმიდამოზე გადასახადი ორმაგი უნდა ყოფილიყო, რადგან კომისიის მტკიცებით, საკარმიდამოს შემოსავალი იქ ბევრად სჭარბობდა იმერეთის საკარმიდამოს შემოსავალს, თითქოს ის წელიწადში 30 მანეთზე ნაკლებ შემოსავალს არ იძლეოდა[2].

სამეგრელოში, ქუთაისის გუბერნიასთან შედარებით, გაცილებით მეტი გადასახადი უნდა დაწესებულიყო ბაღ-ვენახებზეც. ლეჩხუმში დაბლარ ვენახზე გადასახადი რეფორმამდე მოსავლის ნახევარს უდრიდა, ამიტომ დაბლარი ვენახის გადასახადი მოსავლის მესამედით, ხოლო მაღლარის — ნახევრით უნდა განსაზღვრულიყო[3]. ხეხილის გადასახადი სამეგრელოში — მესამედით, ხოლო ლეჩხუმში — ნახევრით განისაზღვრა.

სამეგრელოს გლეხთა განთავისუფლების დებულების (დამატებითი წესებით) პროექტით, მინდვრის სავარგულზე სამეგრელოში დროებით ვალდებულ გლეხთა გადასახადი მოსავლის მეოთხედი უნდა ყოფილიყო, ხოლო ლეჩხუმში — მესამედი (რადგან, თითქოს ამ უკანასკნელში მიწის ქირა მოსავლის ნახევარს უდრიდა და მიწა მცირე მოვლას საჭიროებდა). აქვე განისაზღვრა სასარე და სახარდნე ტყეზე გადასახადიც, რაც სახნავი მიწის გადასახადს უნდა გატოლებოდა[4].

ზუგდიდში განისაზღვრა აგრეთვე ე. წ. არამემკვიდრეობით აზნაურთა გლეხების განთავისუფლების წესებიც, ამასთანავე გლეხთა გლეხებისაც. კომისიის დასკვნით, გლეხთა გლეხებიც, როგორც მათ სარგებლობაში არსებული მიწა, მემამულეების საკუთრება იყო, ამიტომ ამ გლეხთა განთავისუფლება, ჩვეულებრივი გლეხთა განთავისუფლების მსგავსად უნდა მომხდარიყო[5].

ზუგდიდის სარეფორმო საკრებულომ ფართოდ იმსჯელა გლეხთა ნაყიდ მიწაზე. სამეგრელოში მოძრავ-უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა ადათისა და ვახტანგ მეფის სამართლის საფუძველზე წარმოებდა. ამ წესისა და სამართლის საფუძველზე მებატონეთა გლეხებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ მიწის ყიდვა-გაყიდვისა. თუკი ასეთი რამ ხდებოდა, გლეხის ნაყიდი მიწა მაინც მემამულის კერძო საკუთრებას შეადგენდა.

---

[1] Документы... с. 365.
[2] იქვე, გვ. 369.
[3] იქვე, გვ. 370.
[4] იქვე, გვ. 372.
[5] იქვე, გვ. 369.

ყოველივე ამის მიუხედავად, ზუგდიდის კომისიამ (თითქოს გლეხებთან კეთილი დამოკიდებულების შენარჩუნების მიზნით) შესაძლებლად ჩათვალა, რეფორმამდე ათი წლის მანძილზე გლეხთა მიერ ნაყიდი (სათანადო აქტით გაფორმებული) მიწის ნახევრის მათთვის დატოვება (ნახევრის კი მემამულისადმი გადაცემა)[1].

თავად-აზნაურთა დეპუტატების მუშაობაში მონაწილეობდა სამეგრელოს მცირეწლოვანი მფლობელის ნ. დადიანის წარმომადგენელი (დეპუტატი) თავადი ნიკარაძეც, რომელიც, სხვათა შორის მოითხოვდა, რომ გლეხთა მიერ დადიანის მიწა-წყალზე აშენებული წისქვილები უსასყიდლოდ დარჩენოდა დადიანს, ან ისინი სასწრაფოდ აღებულიყო. ამასთან იმ გლეხებს, რომელთაც ძველი და ახალი საკარმიდამო ჰქონდათ, ნადელი და საცხოვრებელი მხოლოდ ერთ ადგილას დარჩენოდათ.

ნიკარაძის მოთხოვნით, დადიანის ზოგიერთ გლეხს ჰყავდა პირადი გლეხი, რომლებიც დაუყოვნებლივ ხიზნების კატეგორიაში უნდა გადარიცხულიყვნენ[2].

თავადი ნიკარაძე მოითხოვდა აგრეთვე, რომ 1857 წელს — სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დროს და შემდეგ წლებში გლეხების მიერ დაუფარავი გადასახადი თავად-აზნაურებისათვის რეფორმის პერიოდში აენაზღაურებინათ[3].

ნიკარაძე შეეხო ქვემო სვანეთში (ე. წ. სადადიანო სვანეთში) დადიანისადმი კუთვნილი გლეხების საკითხსაც (სულ 225 კომლს) და აღნიშნა, რომ მათ მიმართ არავითარი გამონაკლისი არ დაშვებულიყო (როგორც ეს გორისა და რაჭის მთისწინეთზე მოხდა), რადგან, თითქოს იქაური გლეხები და მათი ვალდებულება არაფრით არ განსხვავდებოდა ლეჩხუმის გლეხებისა და მათი ვალდებულებებისაგან[4].

თავად-აზნაურთა დეპუტატების მიერ ზუგდიდში შემუშავებული წესების პროექტი განიხილა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა და 1866 წ. თებერვალში სპეციალური შენიშვნები გაუკეთა.

გუბერნატორმა ყურადღება გაამახვილა წესების იმ ნაწილზე, რომელიც გლეხთა ნაყიდ მიწას ეხებოდა. მისი აზრით, ეს საკითხი მტკივნეული იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებშიც. იგი არ უარყოფდა იმას, რომ გლეხობა, მემამულეთა მიწის გარდა, პირად (ნაყიდ) მიწასაც ფლობდა, მაგრამ უფრო იმ აზრს ემხრობოდა, რომ ეს მიწა მათ არაკანონიერად ჰქონდათ ნაყიდი ან ნაყიდობა არასწორად ჰქონდათ გაფორმებული. ამიტომ, ეს საკითხი კანონმდებლობით კი არა, სასამართლოს მეშვეობით უნდა გადაჭრილიყო. გუბერნატორი გადაჭრით იმიტომ ვერაფერს ამბობდა, რომ ამ მიწების კუთვნილების საკითხი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებშიც გადაუჭრელი იყო. ამასთან ის

---

[1] СХАО, т. II, 484—485.
[2] იქვე, გვ. 487.
[3] Документы... с. 375—376; СХАО, т. II, с. 488.
[4] СХАО, т. II, с. 489.

ოსძენდა, რომ ნაყიდი მიწის ათწლიანი ხანდაზმულობა არც მეფისნაცვალს მოსწონდა.

გუბერნატორი შეეხო სამეგრელოს გლეხთა უფლებას ეძრავი ქონების ყიდვაზე და იშველიებდა ნ. დადიანის ბრძანებას სამეგრელოს მმართველი საბჭოსადმი, რომ გლეხებს ასეთი უფლება არ ჰქონდათ. ამასთან, ის აღნიშნავდა, რომ ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის, გლეხები მემამულეთა ნაწყალობევ მიწებსაც ფლობდნენ, მაგრამ ეს გლეხებს არ აძლევდა უფლებას ნაწყალობევი მიწა კერძოსაკუთრებაში ჰქონოდათ. მისი აზრით, ეს წყალობა მხოლოდ განამტკიცებდა გლეხის უფლებას მიწით სარგებლობაზე. გუბერნატორის განცხადებით, ეს იქიდანაც ჩანდა, რომ გლეხი ნაწყალობევ მიწაზეც ჩვეულებრივ ვალდებულებას ასრულებდა[1].

ყოველივე ამის მიუხედავად, გუბერნატორი მოითხოვდა, რომ მემამულესა და გლეხს შორის სადავო მიწის საკითხი მომრიგებელ მოსამართლეს გადაეჭრა[2].

გუბერნატორი შეეხო დეპუტატების მოთხოვნას, გლეხები დაევალდებულათ დაუყოვნებლივ შეესყიდათ მემამულეთა მიწები (ნადელი). გუბერნატორის აზრით, ეს სახელმწიფოსათვისაც სასურველი იყო (რადგან ეს გაზრდიდა კერძომესაკუთრე გლეხთა რიცხვს), მაგრამ, მისი აზრით, ამისი საშუალება გლეხებს არ გააჩნდათ, არც სახელმწიფოს გააჩნდა რაიმე საკრედიტო დაწესებულების შექმნის შესაძლებლობა. ამიტომ, მას საჭიროდ მიაჩნდა დროებით ვალდებულება შემოღებულიყო და ნადელით სარგებლობის წესი საწესდებო სიგელით განსაზღვრულიყო[3]. ნადელის გამოსასყიდი ფასი კი სამეგრელოში ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც მეზობელ იმერეთში[4].

გენერალ-გუბერნატორმა მხარი არ დაუჭირა დეპუტატების გადაწყვეტილებას, ქუთაისთან შედარებით, სამეგრელოში ნადელის ოდენობის შემცირებას, მიუხედავად იმისა, რომ ლეჩხუმსა და ცხენისწყლის სვანეთში მიწის სიმცირე იყო[5]. ამასთან ნადელის შემცირება გლეხთა (ე. წ. ნახევრადთავისუფალი კატეგორიის) პირობებს კი არ გააუმჯობესებდა, არამედ გააუარესებდა.

გუბერნატორის აზრით, სამეგრელოს გლეხთა განთავისუფლების პროექტში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ნადელის სხვაგან გადატანის შემთხვევაც. თუკი გლეხის ნადელი ტყიან-ბუჩქნარ ადგილზე (როდესაც მის გაწმენდას შრომა ესაჭიროებოდა), ან სხვაგან იქნებოდა გადატანილი, მაშინ გლეხი ორი წლით უნდა განთავისუფლებულიყო გადასახადებისაგან.

---

1 СХАО, т. II, с. 490.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 491.
4 იქვე.
5 იქვე.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის აზრით, შემდგომ განხილვასა და დახუსტებას საჭიროებდა ზუგდიდში შემუშავებული დამატებითი წესების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა სამეგრელოს მთიან ნაწილს — ლეჩხუმსა და ცხენისწყლის სვანეთს, რომლებზეც არავითარი გამონაკლისი არ დაიშვა. თავად-აზნაურთა დეპუტატები ამ გარემოებას იმით ხსნიდნენ, რომ თითქოს სამეგრელოს მთელ სამთავროში ბეგარა-ვალდებულების მხრივ ერთნაირი სურათი იყო, ხოლო იქ, სადაც გამონაკლისი დაიშვა (რაჭისა და გორის მთისწინეთში), თითქოს გლეხები უმნიშვნელო ვალდებულებას ასრულებდნენ. წარმოდგენილი მონაცემებით, ზუგდიდის ოკრუგში ანჩაბაძეს, შარვაშიძესა და ზოგიერთ სხვა მემამულეს გლეხის კომლი წელიწადში მხოლოდ ერთ ცხვარს აძლევდა და 4-8 დღის მუშაობით იყო ვალდებული. იგივე მონაცემებით, სოფელ ლიას მცხოვრებ 163 კომლს (ზოგიერთი მათგანი 20-დან 40 ქცევა მიწას ფლობდა) ისე მსუბუქი ვალდებულება ეკისრა, რომ თითოეული მათგანი, დადიანს მხოლოდ 4-დან 10 მანეთამდე ღირებულ (ყველა სახის) გადასახადს უხდიდა[1]. თუმცა წარმოდგენილი მასალების სინამდვილე გუბერნატორს საეჭვოდ ეჩვენებოდა, ამიტომ, მისი აზრით, ამ საქმეზე მსჯელობა კავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში უნდა გაგრძელებულიყო.

სამეგრელო-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის თავად-აზნაურთა დეპუტატების მიერ შემუშავებული და წამოყენებული წესები, აგრეთვე გენერალ-გუბერნატორის შენიშვნები 1866 წ. თებერვლისა და მარტის სხდომებზე განიხილა მთავრობის სპეციალურმა კომისიამ (სამეგრელოს მმართველის ვლასტოვის, სამეგრელოს მმართველი საბჭოს უფროსი წევრის პოლკ. მაჭავარიანის, საბჭოს უმცროსი წევრის რ. ერისთავის, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საქმისმწარმოებლის რ. რუდკოვსკის, აგრეთვე თავადების გ. ფალავას, პ. დადიანისა და გაბუნიას შემადგენლობით) და სათანადო ცვლილებები შეიტანა.

აღნიშნულმა კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია თავად-აზნაურთა დეპუტატების მიერ შემუშავებული პუნქტების უცვლელი დატოვება, კერძოდ: 1. ორი წლის სავალდებულო სამსახურის მიმტოვებელი შინაყმის შრომის საფასურის მის შემფარველისადმი გადახდევინება, 2. ორწლიანი ფრეებით ვალდებულების დროს, ძველი მოვალეობის უცვლელი დატოვება და 3. ხიზანის (მინდობილის) ორი წლით დატოვება მებატონის სამსახურში. კომისიის გადაწყვეტილებით, დებულების ეს პუნქტები უნდა შეცვლილიყო თბილისის გუბერნიის დებულების სათანადო პუნქტების შესაბამისად[2].

კომისიას შეუძლებლად მიაჩნდა, აგრეთვე სამეგრელოს წესებში დატოვებულიყო გლეხთა მთელი საზოგადოების მიერ ნადელის დაუყოვ-

---

[1] СХАО, т. II, с. 491.
[2] Документы... с. 435.

ნებლივი გამოსყიდვა, რადგან რეალურად ეს არც გლეხებს შეეძლოთ და არც მთავრობას ჰქონდა მათდამი სესხის მიცემის შესაძლებლობა. ამასთან, ეს შეუძლებლად იქნა მიჩნეული მიწების გაუმიჯნაობის გამოც[1].

მთავრობის კომისიამ არ გაიზიარა, აგრეთვე თავად-აზნაურთა დეპუტატების მოთხოვნა დროებითვალდებული გლეხობისათვის გადასახადების ფულით გადახდევინებაზე, მით უფრო, რომ ცუდი სამიმოსვლო საშუალებების გამო, პროდუქტების ფულზე გაყიდვა დიდ სიძნელის წარმოადგენდა. ამიტომ მან მიზანშეწონილად ჩათვალა ვალდებულება გლეხებს პროდუქტებით და შრომით მოეხადათ, როგორც ეს ქუთაისის გუბერნიაში. კომისიამ სარწმუნოდ ჩათვალა თავად-აზნაურთა დეპუტატების განცხადება, რომ სამეგრელოში და, მითუფრო ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, მიწა ძვირად თასობდა, (აგრეთვე გამოსასყიდი ფასების შესაბამისად დანაწევრება მაინც მიზანშეუწონლად მიიჩნია. კომისიის დასკვნით, მიწა უნდა შეფასებულიყო არა იმის მიხედვით, თუ სად როგორ ფასობდა ან მასზე სად როგორი ვალდებულება არსებობდა, არამედ შემოსავლის მიხედვით. ამასთან, კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია მიწის გამოსასყიდი ფასის, აგრეთვე დროებით ვალდებულების დროს მისი გადასახადის გადიდება ლეჩხუმსა და სვანეთში.

მთავრობის კომისიის გადაწყვეტილებით, სამეგრელოში ერთი ქცევა მინდვრის სავარგული (სახნავი) უნდა შეფასებულიყო არა უმეტეს 30 მანეთად, ხოლო ლეჩხუმსა და სვანეთში — 40 მანეთად. მაგრამ სამეგრელოში ერთი ჯომლის მიწის გამოსასყიდი ფასი 360 მანეთზე, ხოლო ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში — 320 მანეთზე მეტი არ უნდა ყოფილიყო[2].

მთავრობის კომისიამ ცვლილებები შეიტანა თავად-აზნაურთა დეპუტატების მიერ კომლზე განსაზღვრულ მოცულობაშიც. მისი გადაწყვეტილებით, სამეგრელოს სამივე ოკრუგში, კომლის ფუძე ნადელის (коренный надел) მოცულობა 4 ქცევა უნდა ყოფილიყო. იქ. სადაც გლეხის კომლი ფაქტობრივად ნაკლებს ფლობდა, მცირემიწიანი მემამულე თავისუფლდებოდა გლეხისათვის დამატებით მიწის გამოყოფის ვალდებულებისაგან. სამაგიეროდ, თუ გლეხი ფაქტობრივად 4 ქცევაზე მეტ მიწას ფლობდა, სამეგრელოში შეიძლებოდა მას მინდვრის სავარგულად რვა ქცევამდე მიწა დარჩენოდა, ხოლო ლეჩხუმსა და სვანეთში — ხუთ ქცევამდე. თუ გლეხი ამაზე მეტს ფლობდა, დანარჩენი მემამულეს უნდა გადასცემოდა[3].

დეპუტატების მიერ შემუშავებული დამატებითი წესებით. მინდვრის სავარგულის (სახნავი მიწის) გადასახადი სამეგრელოში მოსავლის მეოთხედით უნდა განსაზღვრულიყო, ხოლო ლეჩხუმსა და სვანეთში — მესა-

---

[1] Документы .. с. 437.
[2] იქვე, გვ. 438—439.
[3] იქვე.

მედით, ამასთანავე, ჩამონაჭერი მაღლარი ვაზის ძირებში მემამულეს არ უნდა დაკისრებოდა რაიმე საზღაურის გადახდა (თითქოს ეს ვენახი უხსოვარ დროში იყო იაფად დარგული).

კომისიის დასკვნით, თუ კომლის სარგებლობაში არსებული მიწა მაქსიმუმს (რვა ქცევას) სჭარბობდა, მაშინ მას უფლება უნდა მისცემოდა ოთხ ქცევამდე მაღლარი ვენახი დაეტოვებინა, ამასთანავე გლეხს უფლება უნდა მისცემოდა დაბლარი ვენახი (რამდენიც არ უნდა ჰქონოდა) ხელუხლებლად დარჩენოდა, ოღონდ სათანადო გამოსასყიდისა და გადასახადის საფუძველზე. თუკი კომლი მაქსიმალური მინდვრის ნადელთან ერთად, რამდენიმე ქცევა დაბლარ და მაღლარ ვენახსაც ფლობდა, მაშინ მას შეეძლო ორი ქცევა ძაღლარი და ამდენივე დაბლარი დაეტოვებინა. თუკი გლეხს ოთხი ქცევა ვენახი დარჩებოდა, მას შეეძლო ამდენივე ქცევა მინდვრის სავარგული დაეტოვებინა.

როგორც ვნახეთ, ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ძირითადი ნადელის ოდენობა ოთხი ქცევით განისაზღვრა. თუკი ამასთან ის ვენახსაც ფლობდა, მას შეეძლო ამდენივე დაბლარი და მაღლარი ვენახი დაეტოვებინა. ამასთან, თუკი გლეხის კომლი ვენახს საერთოდ არ ფლობდა და ძირითადზე მეტი მიწით სარგებლობდა, მას შეეძლო დამატებით მხოლოდ ერთი ქცევა დაეტოვებინა (სულ ხუთი)[1].

კომისიის აზრით, საბოლოო ჯამში: ა) საკმაო მიწისმფლობელ (ვთქვათ 15 ქცევაზე ზევით) გლეხს შეიძლებოდა დარჩენოდა ერთი ქცევა საკარმიდამო (სამოსახლო), ოთხი ქცევა ძირითადი ნადელი, ამდენივე მინდვრის სავარგული და ოთხი ქცევა ვენახი (საკარმიდამოთი სულ 13 ქცევა); ბ) შედარებით ნაკლებ მიწისმფლობელ გლეხს — ერთი ქცევა საკარმიდამო, ოთხი ქცევა ძირითადი ნადელი და ამდენივე ვენახი (სულ 9 ქცევა); გ) ლეჩხუმში ერთ კომლს შეეძლო ჰქონოდა 1 ქცევა საკარმიდანო, ოთხი ქცევა ძირითადი ხადელი, ამდენივე ვენახი (დაბლარი და ძაღლარი) და ერთი ქცევაც ძიხდვრის სავარგული (სულ საკარმიდამოთი 10 ქცევა). ქვემო სვანეთში, რაკი იქ ვენახი იშვიათად იყო, კომლის ნადელის უმაღლესი ზომა ხუთ ქცევას უდრიდა, მაგრამ თუკი გლეხის სარგებლობაში არსებული მიწა ფაქტობრივად ამას სჭარბობდა, მაშინ გლეხის კომლს შეეძლო ერთი ქცევა კიდევ დამატებით დაეტოვებინა (სულ საკარმიდამოთი 7 ქცევა).

მთავრობის კომისიამ მხარი არ დაუჭირა თავად-აზნაურთა დეპუტატების მოთხოვნას დებულებაში ისეთი წესის შეტანას, როდესაც სურვილის შემთხვევაში მემამულეს შეეძლო გლეხის საკარმიდამო სხვაგან (ჯგუფური დასახლების მიზნით) გადაეტანა. ასეთი რამ კომისიამ გლეხთა უკმაყოფილებისა და გამოსვლების საბაბად მიიჩნია.

კომისიამ საჭიროდ ჩათვალა შეცვლილიყო დეპუტატების მოთხოვნა, რომლის თანახმად საწარმოს (წისქვილის, ფაბრიკის, ქარხნის, დუქ-

---

[1] Документы... с. 443.

ნის და სხვ.) მფლობელ, დროებით ვალდებულ გლეხებისათვის მემამულეს შეეძლო შემოსავლის მესამედი გადაეხდევინებინა. კომისიის დასკვნით, თუკი გლეხს ასეთი საწარმო საკარმიდამოზე გააჩნდა ან საკარმიდამოს მომიჯნავე მიწაზე, მაშინ ის გლეხის საკუთრებად ჩაითვლებოდა. ხოლო თუკი ასეთი საწარმო სხვაგან — მემამულის მიწაზე ჰქონდა, მაშინ მის მფლობელ გლეხს თბილისის დებულების შესაბამისი ფასი ან გადასახადი უნდა დაკისრებოდა. ამასთან, თუკი ის მიწა, სადაც გლეხის საწარმო იდგა, მემამულისათვის გამოუყენებელი და უსარგებლო იყო, გლეხს ამ საწარმოს ფლობისათვის დიდი გამოსასყიდი ან გადასახადი არ უნდა დაკისრებოდა, რადგან ეს უკანონობა იქნებოდა. კომისიის დასკვნით, აღნიშნული საწარმოო გამოსასყიდი, მთელი ღირებულების მეოთხედზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, ასევე დროებით ვალდებულების დროს — წლიური შემოსავლის მეოთხედზე. ამასთან, გლეხს უფლება უნდა მისცემოდა მემამულისათვის უსარგებლო მიწის (სადაც საწარმო იდგა) შესყიდვისა[1].

დეპუტატების მოთხოვნით და კომისიის დასტურით, თუკი ნადელის მფლობელი, ბატონყმობის გაუქმებიდან ცხრა წლის მანძილზე გარდაიცვლებოდა და პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩებოდა, მისი ნადელი მემამულეს უნდა გადასცემოდა, ხოლო საკარმიდამო შეეძლო გლეხის ქვრივს დაეტოვებინა, მაგრამ ხელახალი გათხოვების შემთხვევაში ქალიშვილისთვის უნდა ეანდერძა (თუ ჰყავდა) ან მემამულისათვის უნდა გადაეცა.

კომისიამ ძალაში დატოვა დეპუტატთა მოთხოვნილი წესი სამეგრელოში წვრილმფლობელ მემამულედ 80 ქცევაზე ნაკლები სახმარი სავარგულის (სახნავ-სათესი და ვენახი) მქონეს ჩათვლა, ამასთან, 40 ქცევა მიწაზე ნაკლების მფლობელი მემამულე გლეხისათვის ნადელის გამოყოფის ვალდებულებისაგან თავისუფლდებოდა. რაც შეეხებოდა დროებით ვალდებულების დროს ფულადი გადასახადის დაწესებას, ეს პირადი შეთანხმებით ან მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილებით უნდა გადაჭრილიყო[2].

სამეგრელოს თავად-აზნაურთა დეპუტატებმა და კომისიამ შეიმუშავეს ე. წ. არაშთამომავლობით აზნაურად ცნობილ პირთა გლეხების განთავისუფლებისა და ყოფა-ცხოვრების მოწყობის წესებიც. დეპუტატების მტკიცებით, ამ საქმისადმი ქუთაისის გუბერნიის წესების მიყენება შეუძლებელი იყო, რადგან, თითქოს სამეგრელოში თავისუფალი გლეხი არასოდეს არ არსებობდა (ასე უწოდეს არაშთამომავლობით აზნაურად ცნობილ პირს). ხოლო, თუკი ასეთ გლეხებს თავისი გლეხები ჰყავდათ, ეს მემამულეთა წყალობას მიეწერა. ამასთან, გლეხის გლეხები, თითქოს თავის მყიდველს და მყიდველის პატრონსაც ერთნაირად ემსახურებოდნენ.

სხვათა შორის, მთავრობის სხვადასხვა კომისიამ არაერთხელ განი-

---

[1] Документы... с. 446.
[2] იქვე. გვ. 451.

ხილა ქუთაისისა და სამეგრელოს აზნაურთა წოდებაში დამტკიცების საკითხი, ამასთან, სამეგრელოდან იმერეთის სამეფოში ძველად გადასახლებულ აზნაურთა საქმეც. მეფის მოხელეთა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრების გამო (თავის დროზე ეს აზნაურები იმერეთის მეფეს უჭერდნენ მხარს, მაგრამ ძემდეგ ეკონომიკური და სოციალური დეგრადაცია განიცადეს, თუმცა გამონაკლისს არ შეადგენდნენ). ისინი რეფორმის დროსაც ამაოდ ეძიებდნენ წოდებაში დამტკიცებას[1]. ამიტომ ისინი ჩვეულებრივ გლეხებად ჩაითვალნენ. ამასთან, თუკი დამტკიცდებოდა, ნაყიდი მიწა მათ უნდა მიკუთვნებოდა. რაც შეეხება მათ განთავისუფლებასა და დროებით ვალდებულებას, ეს ჩვეულებრივ სხვა გლეხთა მსგავსად უნდა მომხდარიყო.

6. დადიანის მეურვის წარმომადგენლის მტკიცებით და კომისიის დასკვნით, მიუღებლად იქნა ჩათვლილი ქვემო სვანეთში დადიანის კუთვნილი გლეხებისადმი რაჭის მთისწინეთის მსგავსი შეღავათებისა და გამონაკლისის დაშვება.

კომისიამ შეუძლებლად ცნო დეპუტატების მიერ წამოყენებული წესის (სამეგრელოში საკარმიდამოზე ორმაგი საზღაურისა და გადასახადის შემოღება) დებულების პროექტში დატოვება. ეს საკითხი სამეგრელოშიც ქუთისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების დამატებითი წესების სათანადო პუნქტის შესაბამისად უნდა გადაჭრილიყო.

მიუღებლად იქნა აგრეთვე მიჩნეული ქუთაისის გუბერნიასთან შედარებით სამეგრელოსა და ლეჩხუმში ვენახზე გადასახადის გაზრდა. კომისიის დასკვნით, აქაც ქუთაისის გუბერნიის წესი უნდა გატარებულიყო.

დეპუტატების მოთხოვნით და მთავრობის კომისიის დასტურით, სამეგრელოსა და ლეჩხუმში ხეხილის ნაყოფზე გლეხს მოსავლის მეოთხედი ნაწილი უნდა გადაეხადა, ოღონდ გამოსასყიდ მიწაზე გლეხს, მემამულის დაუკითხავად, კაკლის ხის მოჭრის უფლებაც არ უნდა ჰქონოდა.

კომისიამ მიუღებლად ჩათვალა, აგრეთვე ლეჩხუმში მინდვრის სავარგულზე მოსავლის მესამედი გადასახადის დაწესება. მისი დასკვნით, ლეჩხუმის მოსავალი რაჭისას შეედრებოდა, იქ კი რაიმე გამონაკლისი არ დაწესებულა. ამიტომ, გლეხის გადასახადი ლეჩხუმშიც მოსავლის მეოთხედით უნდა განსაზღვრულიყო.

კომისიამ დაადასტურა სამეგრელოსა და ლეჩხუმში (სასარე-სახარდნე და სხვა ხე-ტყეზე, რომელიც მინდვრის სავარგულში იყო) გადასახადად მოჭრილი მასალის მესამედის დაწესება, თუკი ეს ადგილი სახნავად გადაიქცეოდა, მაშინ გადასახადიც მოსავლის მეოთხედით უნდა შეცვლილიყო. კომისიის მოსაზრებით, თუკი დადგინდებოდა, რომ გლეხები (ე. წ. გლეხის გლეხი) არაშთამომავლობით აზნაურის პირადი სახსრებით იყვნენ ნაყიდი, ასეთ შემთხვევაში, ეს გლეხები არ შეიძლებოდა მემამუ-

[1] Документы... 350—351.

ლეთა (არაშთამომავლობითი აზნაურის პატრონის) ჩვეულებრივ გლეხებად ჩათვლილიყვნენ. კომისიის დასკვნით, მათზე ქეთაილის გუბერნიის შესაბამისი წესები უნდა გავრცელებულიყო. ამასთან, თუკი გლეხის გლეხი მემამულის მიწა-წყალზე ცხოვრობდა და განთავისუფლდებოდა, მისი მიწა მემამულეს უნდა დარჩენოდა[1].

დეპუტატებმა, სცადეს სპეციალური წესი შეემუშავებინათ სამეგრელოსა და ლეჩხუმ-სვანეთში გლეხთა ნაყიდ მიწაზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთხმად უარყოფდნენ გლეხთა უფლებას ნაყიდ მიწაზე (იმოწმებდნენ ვახტანგ მეფის სამართლის 163, 231, 250 და 260-ე, აგრეთვე აღბუღას სამართლის 174-ე მუხლებს), იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ გლეხებს მიწის ნასყიდობაზე სპეციალური აქტები გააჩნდათ, მაგრამ წინააღმდეგი იყვნენ ამ აქტების ცნობისა, მითუფრო ათ წლისაზე მეტი ხანდაზმულობის შემთხვევაში.

მთავრობის კომისიამ მხედველობაში მიიღო სამეგრელოს მთავრის დ. დადიანის 1841 წ. ბრძანება გლეხთა მიერ გლეხის ყიდვის აკრძალვაზე, აგრეთვე ეკატერინე დადიანის 1856 წ. განკარგულება (მმართველ საბჭოსადმი) თავისი გლეხებისათვის უძრავი ქონების ყიდვის ნებართვაზე. კომისიამ აღნიშნა, რომ კანონით ნებადართული კერძო საკუთრების უარყოფა, კანონისადმი უპატივცემულობა იყო, ამიტომ კომისიამ საჭიროდ მიიჩნია კანონიერი გზით ნაყიდ მიწაზე მყიდველის უფლების აღიარება, მითუფრო, როცა ეს ახალი კანონით იყო ნებადართული. ამასთან, კომისიის დასკვნით, კანონიერი ნასყიდობა რუსულმა კანონმდებლობამ ოფიციალურად აღიარა რეფორმის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია დებულებაში შეტანილიყო სამეგრელოსა და ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში 1841 წლიდან ნაყიდ მიწაზე გლეხთა უფლების ცნობა. ამასთან, კომისიამ უარყო ნაწყალობევი მიწის გლეხისათვის მიკუთვნება, მიუხედავად იმისა, გლეხს ეს მიწა დამსახურებით თუ ქრთამით ჰქონდა მიღებული (დეპუტატების მტკიცებით ეს ქრთამი არასოდეს არ უდრიდა ფასს). კომისიის დასკვნით, თუკი გლეხს მემამულე ედავებოდა ნაყიდ მიწახე, ეს საქმე (არა უმეტეს ათი წლის ხანდაზმულობისა) მომრიგებელ მოსამართლეს უნდა განეხილა და გადაეჭრა. მაგრამ თუ დავა კვლავ გაგრძელდებოდა, საქმე (საბოლოო გადასაჭრელად) საგუბერნიო საგანგიოს ან მეფისნაცვალს უნდა განეხილა.

მთავრობის სპეციალურმა კომისიამ განიხილა აგრეთვე ნ. დადიანის მეურვის წარმომადგენლის ჩანაწერები, თითქოს დადიანის ქონების ინვენტარიზაციის აქტებში (1857—1859 წწ.) გლეხთა ყველა ვალდებულება არ იყო აღნუსხული, თითქოს არც ამ ვალდებულების ფულადი ღირებულება შეესაბამებოდა რეფორმის დროის ფასებს. კომისიის დასკვნით, ინვენტარიზაცია მეურვე ყიფიანის მონაწილეობით იქნა ჩატარებუ-

[1] Документы... с. 452.

ლი, რუსული მმართველობის დროს, ამიტომ მათ საფუძველზე უნდა შემდგარიყო საწესდებო სიგელები[1].

კომისიამ მხარი დაუჭირა წინადადებას, რომლის თანახმად დადიანის იმ გლეხს, რომელსაც ორ ადგილას ჰქონდა მიწის ნაჭერი, საკარმიდამო და ნადელი იქ გამოყოფოდა, სადაც ფაქტობრივად ცხოვრობდა[2].

კომისიამ არ გაიზიარა ნიკარაძის მოთხოვნა დადიანის გლეხებისათვის ნადელის გადაადგილებაზე ჯგუფური (სოფლური) დასახელების მიზნით. ამასთან, კომისიამ კატეგორიულად უარყო თავად-აზნაურთა დეპუტატების ასეთი მოთხოვნაც, რადგან ამას შეეძლო გლეხთა წინააღმდეგობა და გამოსვლები გამოეწვია[3].

კომისიამ შეუძლებლად ჩათვალა აგრეთვე ნიკარაძის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ნ. დადიანის გლეხებისათვის ერთბაშად გადაეხდევინებინათ 1856 წლიდან—რეფორმამდე დაუფარავი გადასახადები, რადგან ყველაფრის დადგენა შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, დაზუსტებული დავალიანების აკრება სავალდებულოდ მიიჩნია.

ასეთი იყო სამეგრელოსა და ლეჩხუმის თავად-აზნაურთა დეპუტატების მოსაზრებათა საფუძველზე მთავრობის კომისიის მიერ გლეხთა განთავისუფლებისა და ყოფა-ცხოვრების მოწყობის წესების პროექტი.

მოცემულ პროექტთან ერთად, შედგა სამეგრელოს (ყოფილ სამთავროს) მოსახლეობის სტატისტიკა.

ამ მონაცემებით სამეგრელოს, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გლეხური მოსახლეობა (მიახლოებით) 22 970 კომლს, ანუ 93 263 მამრ. სულს უდრიდა (აქედან ლეჩხუმის 2 700, ხოლო ქვ. სვანეთის 528 კომლს). აქედან საბატონო გლეხები 19 638 კომლს, ანუ 80 284 მამრ. სულს შეადგენდა, ხოლო საეკლესიო გლეხები — 3 332 კომლს, ანუ — 12 979 მამრ. სულს[4].

იგივე მონაცემებით, დასახელებულ კუთხეთა თავადაზნაურობა (მიახლოებით) 2 760 კომლს უდრიდა[5]. ამასთან, საბატონო გლეხთა 2 823 კომლი, ანუ 12 385 მამრ. სული დადიანსა და მისი ოჯახის წევრებს ეკუთვნოდა[6].

სამეგრელო, ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში წვრილ ძეძაძულეთა კატეგორიაში შევიდა 1678 კომლი (თითოეული მათგანი საშუალოდ 21 მამრ. სულზე — ნაკლებს ფლობდა). მათზე მთლიანად 1 629 გლეხის კომლი, ანუ 13 898 მამრ. სული მოდიოდა[7].

სამეგრელოსა და ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის თავად-აზნაურებისათვის გლეხთა განთავისუფლებაში მისაცემი თანხა (თბილისისა და ქუთაისის

---

1 Документы... с. 455.
2 იქვე, გვ. 456.
3 იქვე.
4 СМО. т. II, с. 505; ЦГИА СССР. ф. 1268. оп. 11. д. 8. л. 22.
5 იქვე.
6 Документы... с. 467; ЦГИА СССР. ф. 1268. оп. 11. д. 8. л. 23.
7 Документы... с. 509; ЦГИА СССР. ф. 1268. оп. 11. д. 8. л. 105.

გუბერნიების შესაბამისად) სულ 2 007 100 მანეთს შეადგენდა, ხოლო თუკი წვრილ თავად-აზნაურებსაც (1 687 კომლს) იგივე გუბერნიების შესაბამისი, დამატებითი დახმარება მიეცემოდა (თითოეულ სულზე დაახლოებით 15 მანეთი), ეს — 208 470 მანეთს შეადგენდა. ყველაფერი ეს, მთლიანად, 2 215 570 მანეთს უდრიდა[1]

ზემოაღნიშნული პროექტი და მთელი მასალები ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა თბილისში ჩაიტანა, სადაც მეფისნაცვალმა საკითხის საბოლოო განხილვა ცენტრალურ საგლეხო კომიტეტს დაავალა[2].

მეფისნაცვლის მითითებით, სამეგრელოს რეფორმის მომზადება უნდა დამთავრებულიყო 1867 წ. იანვრისათვის (როდესაც სამეგრელოს მმართველი ნ. დადიანი სრულასაკოვანი გახდებოდა).

მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საგლეხო კომიტეტმა 1866 წ. მაისში (ოთხ სხდომაზე) დეტალურად განიხილა სამეგრელოს გლეხთა განთავისუფლების წესები (დებულების პროექტი) და მასში გარკვეული ცვლილებები შეიტანა (სხდომებს ესწრებოდნენ: ბარონი ნიკოლაი, თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი, სტატსოვეტნიკები: ვიტე, ტიტოვი, ბოგდანოვ-კამინსკი და სხვ.[3]).

ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა ცვლილება შეიტანა ნადელის მოცულობის განსაზღვრაში: გლეხის მუდმივ სარგებლობაში დასატოვებელი მიწის მოცულობა უნდა განსაზღვრულიყო მემამულისა და გლეხის შეთანხმების საფუძველზე. თუ ეს არ მოხდებოდა, მაშინ, თითოეულ სოფელში, გლეხის მუდმივ სარგებლობაში უნდა დარჩენილიყო საკარმიდამო, ვენახი (დაბლარი და მაღლარი) და მინდვრის სავარგული (სათესსახნავი) მიწა, რომლითაც თითოეული გლეხის კომლი სარგებლობდა მოცემული წესების დამტკიცებამდე. თუ მემამულეს იმის ნახევარზე ნაკლები სახნავ-სათიბი მიწა რჩებოდა, რაც მთლიანად მის ხელში და დაქვემდებარებულ გლეხთა სარგებლობაში იყო (ვენახებიანად), მაშინ მემამულეს უფლება ეძლეოდა, მის განკარგულებაში არსებული მთელი მიწის ნახევარი თვითონ დაეტოვებინა. ასეთ შემთხვევაში, მემამულეს შეეძლო თითოეული კომლისათვის უმაღლეს ნადელზე (12 ქცევაზე) ნაკლები დაეტოვებინა[4].

გლეხის საკარმიდამოში (ეზოში, ანუ სამოსახლოში), გარდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის ადგილისა და ბაღ-ვენახისა, შედიოდა გლეხის სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულების (საფუტკრე, წისქვილი, დუქანი, ქარხანა და სხვ.) ადგილიც, რაც ერთ ქცევახე (900 კვ. საჟენზე) მეტი არ უნდა ყოფილიყო. თუ ამ მოცულობას აღემატებოდა, მა-

---

[1] Документы... с. 509; ЦГИА СССР, ф. 1268, оп. 11, д. 8, л. 105.
[2] იქვე, გვ. 466—467.
[3] ЦГИА СССР, ф. 1268, оп. 11, д. 8, л. 24.
[4] Документы... с. 472—473.

შინ მისი ოდენობა მემამულისა და გლეხის პირადი შეთანხმებით უნდა განსაზღვრულიყო ან მომრიგებელი მოსამართლის მეშვეობით[1].

თუ გლეხის დაბლარი ვენახი ორ ქცევას აღემატებოდა, მაშინ მას შეეძლო კიდევ ორი ქცევა მაღლარი დაეტოვებინა, ოღონდ მაღლარი ვენახი მინდვრის სავარგულში ჩაეთვლებოდა. თუ გლეხის ბაღში (სადაც მაღლარი ვენახის ლერწები, ხეხილი და თუთის ხეები იდგა), შედარებით თავისუფალ ადგილზე, ვენახის გაშენება შეიძლებოდა და მას გლეხი ორი წლის მანძილზე არ გააშენებდა, მაშინ მემამულეს შეეძლო ეს ადგილი თვითონ ჩამოეჭრა[2].

მემამულეს გლეხის მინდვრის სავარგულის ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო ჩამოეჭრა, თუ მისი მოცულობა ძირითად ნადელზე მეტი იყო. მემამულეს ზედმეტი მიწის ჩამოჭრა, მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ მის ხელში, საერთო კუთვნილი მიწის ნახევარზე ნაკლები რჩებოდა[3]. მაშინ ეს ზედმეტი მიწა გლეხის კუთვნილება გახდებოდა დამატების სახით, მაგრამ ამ შემთხვევაში გლეხი 10 პროცენტით მეტ გადასახადს იხდიდა. ლეჩხუმში, სადაც მიწა ძვირი ღირდა, დამატებით მიწაზე გლეხს მოსავლის მესამედი უნდა გადაეხადა. თუ გლეხი დაასაბუთებდა, რომ ეს მიწა ძვირადღირებული არ იყო და ამაზე მემამულე არ დათანხმდებოდა, საქმე მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ გადასახადის ოდენობა მოსავლის მეოთხედზე და 10 პროცენტის დანამატზე მეტი არ უნდა ყოფილიყო[4].

თუკი მემამულე გლეხის კომლს მიწას ჩამოაჭრიდა (უმაღლეს ან ძირითად ნადელზე ზევით), პირველ რიგში, ის მიწა უნდა ჩამოეჭრა, რომელიც საკარმიდამოს არ ესაზღვრებოდა.

თუ მემამულის ხელში კუთვნილი მიწის ნახევარზე ნაკლები რჩებოდა და ის გლეხს მიწას ჩამოაჭრიდა, მაშინ ამ უკანასკნელს უფლება ეძლეოდა, სამაგიეროდ, მემამულისათვის ცარიელი ადგილი მოეთხოვა (თუკი ჰქონდა), მაგრამ იმ ოდენობით, რომ ნადელის უმაღლესი ზომისათვის არ გადაეჭარბებინა[5]. თუკი გლეხი ჩამოჭრილი მიწის სამაგიეროდ ტყიან-ბუჩქნარ ადგილს მიიღებდა, ის ამ მიწაზე გადასახადისაგან ორი წლით უნდა განთავისუფლებულიყო.

თუ მემამულე გლეხს ჩამოაჭრიდა მაღლარი ვენახით, ან ხეხილით გაშენებულ ადგილს, მემამულეს ნარგავების ფასი უნდა აენაზღაურებინა, თუკი შეთანხმება არ მოხდებოდა, მაშინ მომრიგებელ მოსამართლეს, ადათის მიხედვით, უნდა განესაზღვრა მემამულის მიერ გლეხისათვის მისაცემი თანხის ოდენობა.

თუკი გლეხის საკარმიდამო სხვაგან, ახალ ადგილზე იქნებოდა გა-

---

[1] Документы... с. 474.

[2] იქვე, გვ. 475.
[3] იქვე, გვ. 476.
[4] იქვე, გვ. 475.
[5] იქვე, გვ. 477.

დატანილი, მას ერთი ქცევა მიწა უნდა მისცემოდა, მაგრამ, თუკი გლეხის ძველ საკარმიდამოს საქონლის გასაშვები და სხვა ამგვარი მიწა ესაზღვრებოდა, მაშინ გლეხისათვის მისაცემი საკარმიდამოს მოცულობა ქცევანახევრამდე უნდა ყოფილიყო[1].

თუ გლეხს გააჩნდა სამრეწველო-სავაჭრო და სხვა ამგვარი საწარმო, რომელიც უშუალოდ მის საკარმიდამოს არ ესაზღვრებოდა. მაშინ მემამულეს შეეძლო მისი შესყიდვა, ოღონდ შეუთანხმებლობის შემთხვევაში ამაზე სარჩელი მომრიგებელი მოსამართლისათვის უნდა მიეცა.

საკომლო ნაკვეთები მემკვიდრეებს შეეძლოთ გაეყოთ იმ შემთხვევაში, თუ მინდვრის სავარგულის თუ მაღლარი ვენახის მოცულობა ერთ ქცევაზე ნაკლები არ იქნებოდა, ხოლო დაბლარი ვენახისა — ნახევარზე.

თუ გლეხი დაბლარ ვენახს არ დაიტოვებდა, მას მემამულისათვის სახარდნე-სასარე ადგილიც უნდა დაებრუნებინა.

თუ გლეხებით დასახლებული საკარმიდამო და მინდვრის სავარგული უკაცრიელი დარჩებოდა, ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წლის ვადაში, ისინი მემამულეთა ხელში მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადიოდა, თუკი სასოფლო საზოგადოების არც ერთი წევრი არ ისურვებდა (შესაბამის ანაზღაურებით) მათ მიღებას[2].

ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა სამეგრელოს გლეხთა განთავისუფლების წესებში საბოლოოდ განსაზღვრა წვრილი მემამულის ცნებაც. ასეთად იწოდა ყველა ის თავად-აზნაური, რომლის სახმარი მიწა (სათავისთავო, აგრეთვე დაქვემდებარებულ გლეხთა სახნავ-სათიბი, საბალახო, ასევე ბაღ-ვენახი, ე. ი. ყველა ის ადგილი, რომელიც მინდვრის სავარგულში იყო მითვლილი) 60 ქცევაზე ნაკლები იყო. ასეთ მემამულეს (შესაძლებლობის შემთხვევაში) შეეძლო მთელი ამ მიწის ნახევარი დაეტოვებინა. თუკი ეს მიწა სხვადასხვა სოფლებში იყო გაფანტული, მას უფლება ჰქონდა ეს მიწა სურვილისამებრ ერთ სოფელში მიეღო[3]. მემამულე, რომლის მთელი სახმარი მიწა (სათავისთავო და საგლეხო) 30 ქცევას არ აღემატებოდა, იგი თავისუფლდებოდა გლეხისათვის მინდვრის სავარგულის გამოყოფის ვალდებულებისაგან.

საბოლოოდ დადგინდა საკარმიდამოზე გადასახადის ო�enობაც, როგორც წესი. ერთ ქცევიანი საკარმიდამოს გადასახადი 3 მანეთს (ვერცხლით) უდრიდა (ლეჩხუმში, აგრეთვე სენაკის ზოგიერთ სოფელში ერთ ქცევაზე ნაკლები საკარმიდამო — ერთ ქცევად ითვლებოდა, ხოლო ნახევარზე ნაკლები — ნახევარ ქცევად).

მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, სადაც ვაჭრობა და მრეწველო-

---

[1] Документы... с. 477.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 479.

ბა მაღალ შემოსავალს უზრუნველყოფდა, ან საკარმიდამოზე გაშენებულ ვენახსა და ხეხილს წელიწადში 20 მანეთი შემოსავალი მოჰქონდა, ერთქცევიანი საკარმიდამო შეიძლებოდა 120 მანეთამდე შეფასებულიყო, ასეთ საკარმიდამოზე გადასახადი წელიწადში 5 პროცენტით განისაზღვრა. ამასთან, თუკი მემამულის მიერ გლეხის ასეთი საკარმიდამო სოფლის გარეთ ან სხვაგან იქნებოდა გადატანილი, მაშინ საკარმიდამოზე გლეხის გადასახადი შესაბამის მინდვრის სავარგულს უნდა გატოლებოდა. თუკი ამ შემთხვევაში მემამულე და გლეხი ვერ ითრიგდებოდნენ, საქმე მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადაეჭრა, მაგრამ ასეთი საკარმიდამოს გადასახადი 2 მანეთზე მეტი არ უნდა ყოფილიყო[1].

აქვე განისაზღვრა ბალ-ვენახის გადასახადებიც. დაბლარი ვენახის გადასახადი მოსავლის მეოთხედი ღვინით განისაზღვრა, ხოლო მაღლარი ვენახის — მესამედით (თუ მასში ნათესიც იყო, აგრეთვე მისი მესამედითაც). ხეხილის გადასახადზე მემამულე და გლეხი თვითონ უნდა შეთანხმებულიყვნენ, თუკი ეს არ მოხდებოდა, საქმე მომრიგებელ მოსამართლეს უნდა გადაეწყვიტა[2].

მინდვრის სავარგულის გადასახადი მოსავლის მეოთხედით განისაზღვრა, ხოლო ჩამოსაჭრელად სახელდებულ ნაწილზე — ათი პროცენტის დამატებით[3]. თუკი მინდვრის სავარგულის შემადგენლობაში სასარე ან სახარდნე ტყე შედიოდა, მისი გადასახადი ურთიერთშეთანხმებით, ან მომრიგებელი მოსამართლის მეშვეობით უნდა გადაჭრილიყო[4].

საბოლოო წესის საფუძველზე, გლეხს ეკალებოდა ნადელზე გადასახადი ძნისა და ტაროს სახით, 10 ვერსის მანძილამდე მიეზიდა, ხოლო მარცვლის სახით — 50 ვერსამდე. იმ შემთხვევაში, თუ სამარხილე გზა არ იყო (როდესაც ტვირთი საპალნით უნდა წაეღო), დასახელებული მანძილი, ნახევრამდე უნდა შემცირებულიყო.

სამეგრელოსა და ლეჩხუმ-ქვემო სვანეთზე ბატონყმობის გაუქმებისა და გლეხთა ცხოვრების მოწყობის წესები 1866 წ. ნოემბერში უკვე მზად იყო, ის კავკასიის ადმინისტრაციამ ძოიწონა და მოკლე დროში უმაღლეს საგლეხო კომიტეტს დაამტკიცებინა. 1866 წ. დეკემბერში ბატონყმობის გაუქმება საზეიმოდ გამოცხადდა.

* * *

სრულ ასაკს მიღწევისთანავე (თავისი და შთამომავლის სახელით) ნ. დადიანმა ნებაყოფლობით აიღო ხელი სამეგრელოს მფლობელობაზე. სამაგიეროდ, იმპერატორის მითითებით, მმართველმა სენატმა მას 1 მილიონი მანეთი ფული გამოუყო, აგრეთვე იმ ქონების საფასური, რაც რეფორმით ერგო. ნ. დადიანი და მისი მემკვიდრეები კვლავ სამეგრე-

[1] Документы... с. 480.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 480—481.
[4] იქვე, გვ. 481.

ლოს თავადებად იწოდებოდნენ და ბრწყინვალების ეპითეტით მოიხსენიებოდნენ[1].

რუსული მმართველობის განძტკიცების მიზნით, დასავლეთ საქართველოში 1867 წ. მარტში ადმინისტრაციული რეფორმა განხორციელდა. ამიერიდან ქუთაისის გუბერნიის მმართველი სამხედრო გუბერნატორად იწოდა (გენერალ-გუბერნატორისა და სამოქალაქო გუბერნატორის ნაცვლად, რაც 1856 წლიდან არსებობდა). ამასთან გაუქმდა სამეგრელოს მფლობელის თანამდებობა და მმართველი საბჭო, ხოლო ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის ოკრუგები, რომლებიც ქუთაისის გუბერნიას შეუერთდნენ, მაზრებად იწოდნენ[2].

ბატონყმობის გაუქმების გამოცხადების ორი წლის თავზე (როგორც ქუთაისის გუბერნიაში) სამეგრელოსა და ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში საწესდებო სიგელების შედგენა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა, რადგან მიწა კვლავ გაუმიჯნავი იყო. არ არსებობდა სახმარი მიწის გენერალური გეგმა, არასოდეს არ ჩატარებულა მათი საერთო აზომვა. დაუდგენელი იყო მემამულეთა (მათ შორის დადიანისაც) მიწების ფართობი, მითუფრო გლეხთა სარგებლობაში (მფლობელობაში) არსებული მიწის თანაფარდობა და სხვ.

ყველა ამ საქმის მოგვარებას ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაცია მხოლოდ 70-იანი წლების დასაწყისში შეუდგა, მაგრამ განუწყვეტელი დავის გამო, მიწის ფართობის დადგენა და საწესდებო სიგელების შედგენა დიდხანს გაჭიანურდა.

1870—1871 წწ. მონაცემებით, სამეგრელოში, ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ნ. დადიანისა და მისი ოჯახის წევრების კუთვნილებად 2 922 კომლი გლეხი აღირიცხა (რეფორმის დროსთან შედარებით 100 კომლით მეტი), აქედან ლეჩხუმში — 301, ლენტეხის თემში — 164, ხოლო ლაშხეთის სოფელ სასაში — 40).

მიუხედავად მთავრობის ენერგიული მოქმედებისა, XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისში საწესდებო სიგელების გაფორმება მაინც ვერ მოხერხდა, ამას, დასახელებულ მიზეზებთან ერთად, ხელს უშლიდა აგრეთვე გლეხთა ნასყიდი მიწების საკითხის გაურკვევლობა. ეს საქმე კვლავ წამოტივტივდა არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ თბილისის გუბერნიაშიც. ჯერ კიდევ საწესდებო სიგელების გაფორმების დაწყების დროს, მარტო ქუთაისის გუბერნიის გლეხებმა მომრიგებელ მოსამართლეებს 63 668 ნასყიდობის ქაღალდი წარუდგინეს[3]. ცხადია, სხვა შრომატევად საქმესთან ერთად, ამდენი საბუთის გარჩევა, დაწესებულ დროში (2 წელიწადში), მომრიგებელმა მოსამართლეებმა ვერ შეძლეს, ამიტომ გუბერნიის ადმინისტრაციამ გასცა განკარგულება: 1) ნასყიდობის საბუთები გლეხებს დაბრუნებოდა; 2) საბუთების გარჩევა გადადე-

---

1 Документы... с. 466—467.
2 ЦГИА СССР, ф. 1268, оп. 12, д. 38, лл. 4—8, 16.
3 ЦГИА СССР, ф. 1268, оп. 21, д. 201, л. 1.

ბულიყო საწესდებო სიგელების კონკრეტულ გაფორმებამდე. ამასთან, თუ ნასყიდობის აქტი ოფიციალურად იქნებოდა აღიარებული, მაშინ ეს მიწა გლეხს უნდა მიკუთვნებოდა (თუ რეფორმის გამო ამ მიწაში გლეხს გამოსასყიდი ჰქონდა გაღებული, მაშინ ეს თანხა მას უნდა დაბრუნებოდა, ასევე — გაღებული გადასახადები). აღნიშნულმა წესმა 1876 წლიდან, ფაქტობრივად, კანონის ხასიათი მიიღო (მთელ საქართველოში), მაგრამ რატომღაც იგი მაინც არ ხორციალდებოდა. მართალია, სამეგრელოსა და რაჭაში, საქმის გარჩევა ნაკლებ დავას იწვევდა (რადგან ნასყიდობა სამეგრელოში ძირითადად ბაღ-ვენახებს შეეხებოდა, ხოლო დასახელებული აქტები რაჭაში სათანადო წესის მიხედვით იყო გაფორმებული), სამაგიეროდ, დიდი სირთულე იყო იმერეთში. საქმე იმაშია, რომ ნასყიდობის უდიდესი ნაწილი XIX ს. დასაწყისს ეხებოდა და ცუდად იკითხებოდა (ნაწერი ძალზე გაფერმკრთალებული ან გადასული იყო), თან ზოგიერთი მათგანი ყალბად იქნა მიჩნეული. ამასთან, გარჩევას აძნელებდა ისიც, რომ საბუთებში მკვეთრად არ იყო გამოკვეთილი მიწის ზომა და საზღვრები, თან მათი უმრავლესობა შინაური წესით იყო გაფორმებული. ყოველივე ეს, მემამულეებმა საბაბად გამოიყენეს და ხელაღებით უარყოფდნენ ყველა მათგანს.

საკითხი იმდენად გართულდა, რომ საქმეში მეფისნაცვალი და უმაღლესი საგლეხო კომიტეტი ჩაერია. იუსტიციის მინისტრის 1877 წ. მარტის დასკვნით, მომრიგებელ მოსამართლეს მხოლოდ ისეთი ნასყიდობის საბუთი უნდა მიეღო გასარჩევად, რომელიც წესისამებრ იქნებოდა გაფორმებული და რომელშიც მკვეთრად იქნებოდა აღნიშნული მიწის ფართობი და საზღვრები.

ბოლოს და ბოლოს გლეხთა ნასყიდობის ძიების წესები 1878 წ. 5 აგვისტოს უმაღლესად დამტკიცდა. მასში ნათქვამი იყო, რომ კანონიერი ნასყიდობის საბუთი გლეხს ერთი წლის მანძილზე უნდა წარედგინა მომრიგებელ მოსამართლესთან სარეგისტრაციოდ. მათი გარჩევის უკანასკნელ ვადად 1881 წ. იანვარი დაწესდა (შემდეგ ძალადაკარგულად ითვლებოდა)[1]. საწესდებო სიგელები XIX ს. 70-იანი წლების მეორე ნახევარშიც ნაკლებად ფორმდებოდა, ამდენად გლეხთა მიერ თავის გამოსყიდვა მეტისმეტად ნელა წარმოებდა. ამიტომ მეფისნაცვალი მიხეილი შეცბუნებული წერდა, რომ ქუთაისის გუბერნიაში 1876 წ. იანვრისათვის მემამულეებსა და გლეხებს შორის მხოლოდ 10 000-მდე გარიგება იყო გაფორმებული (დროებით. ვალდებულებისაგან განთავისუფლებულმა გლეხობამ, დაახლოებით 91 419 ქცევა მიწა გამოისყიდა 1 104 870 მანეთად). ამასთან, გაუნთავისუფლებელ გლეხთა ნაწილი უარს აცხადებდა ყოველგვარ ვალდებულებაზე[2].

დროებით ვალდებულ გლეხთა თავგამოსყიდვა იმდენად ნელი ტემ-

---

[1] ЦГИА СССР, ф. 1268, оп. 21, д. 201, лл. 21—31.
[2] ЦГИА СССР, ф. 1291, оп. 55, д. 59, д. 4

პით მიმდინარეობდა, რომ XIX ს. 80-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის გუბერნიის 50 ათასამდე კომლი ისევ მემამულეთა ვალდებულებაში რჩებოდა[1].

მემამულეებისადმი დროებით ვალდებულ გლეხთა დამოკიდებულება XIX ს. 80-იანი წლების შემდეგაც დიდხანს გაგრძელდა, საბოლოოდ ის მხოლოდ 1905—1907 წლების რევოლუციის დროს შეწყდა.

[1] ЦГИА СССР, ф. 1263, оп. 1, д. 4259, л. 159

РЕЗЮМЕ

В XV веке грузинская феодальная монархия распалась на отдельные царства и княжества, что имело крайне тяжелые последствия для жизни грузинского народа.

Правящие круги отдельных царств и княжеств вели братоубийственные войны, которые наносили огромный вред стране и ее обороноспособности.

Феодальной раздробленностью Грузии воспользовались в первую очередь соседние мусульманские страны, возглавляемые Турцией и Ираном, развернули агрессивные войны против Грузии. В результате непрерывных войн гибло или уводилось в плен значительное число жителей, разрушались города и села, крепости, церкви и монастыри, приходила в упадок хозяйственная и культурная жизнь страны.

Одним из неусыпных врагов, который постоянно вынашивал планы порабощения Западной Грузии, была Турция.

Царям и правителям Грузии, как и в целом правящим кругам, не хватало разума и твердости противопоставить врагу единство и силу. Как указывает историк Парсадан Горгиджанидзе, Грузию разоряли, с одной стороны османы, а с другой — кизилбаши, с которыми мужественно боролись грузины. Эти усилия не достигали цели, так как междоусобные войны, которые вели грузинские правители, не давали покоя стране, облегчая действия врагам. Если бы грузины действовали сообща, враг не смог бы их одолеть.

В результате постоянных нашествий мусульманских правителей и внутрифеодальной борьбы в Грузии с новой силой разразилась братоубийственная война, расширилось пленопродавство, участились измены и грабежи, эпидемии и голод.

В этих тяжелых условиях передовые силы Грузии искали выход из создавшегося положения. Стремление сохранить национальную независимость и самобытность привело Грузию к желанию присоединиться к России.

Несмотря на колониальное угнетение, присоединение Грузии к России имело прогрессивное значение.

И. Г. Чавчавадзе охарактеризовал этот акт следующими словами: с этого памятного дня Грузия обрела покой, умиротворилась изнуренная страна, успокоилась от разорений и нашествий, войн и сражений. Для Грузии наступила новая эпоха, эпоха мирной жизни.

После присоединения Грузии к России братоубийственные войны и обособленность сменились сравнительным единством Грузии. Ускорился конечный процесс консолидации грузинской нации. Грузия приобщилась к передовой культуре народов России. Она вышла на широкий путь своего исторического развития.

შემოკლებათა განმარტება

АКАК — Акты, собранные Кавказской археографической комиссиею, изд. под ред. председателя комиссии А. Д. Берже.

Документы — Документы по истории Грузии, том I, часть I, под ред. проф. Ш. К. Чхетия, Тб., 1954.

СХАО — Сельское хозяйство и аграрные отношения, том II, сост. проф. П. В. Гугушвили, Тб., 1950.

ЦГИА СССР — Центральный государственный исторический архив СССР. საქ. ცსია — საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი.

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი. რაჭა-ლეჩხუმის განსახლება
1. მდებარეობა და საზღვრები 7
2. გზები 11

თავი მეორე. რაჭა-ლეჩხუმის სოციალური სტრუქტურა
1. საქართველოს დაშლა და რაჭის საერისთაოს ხელახალი წარმოშობა . 20
2. რაჭა-ლეჩხუმის სოციალური სტრუქტურა 27

თავი მესამე. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XVII—XVIII საუკუნეებში 41

თავი მეოთხე. რაჭა-ლეჩხუმი XVIII საუკუნეში
1. რაჭა 84
2. ლეჩხუმი 98

თავი მეხუთე. რაჭა-ლეჩხუმი XIX საუკუნის პირველ ნახევარში
1. დასავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან და იმერეთ-სამეგრელოს მმართველი წრე 112
2. ახალი მმართველობის დამყარება და პოლიტიკური ვითარება . . 147
3. რაჭის მეურნეობა და გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობა . . . 176
4. ლეჩხუმის მმართველობა და მეურნეობა 181
5. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რაჭა-ლეჩხუმში 184

თავი მეექვსე. საგლეხო რეფორმა დასავლეთ საქართველოში
1. საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ქუთაისის გუბერნიაში . 189
2. საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ლეჩხუმში 229
რეზიუმე 252
შემოკლებათა განმარტება 253

გამომცემლობის რედაქტორი ქ. თავართქილაძე
მხატვარი გ. ქოქაშვილი
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჯილიძე
კორექტორები: ლ. არეშიძე, ე. ყვანია
გამომშვები ნ. თათარაშვილი

ს. ბ. № 6387.

გადაეცა წარმოებას 20.10.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.03.88. უე 01955. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16. პირობითი საღებავგატარება 16. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,5. ტირაჟი 2 000. შეკვ. № 891.

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
№ 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Государственного комитета Грузинской ССР
по делам издательств, полиграфии и книжной торговли,
Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.